

თბილისის შრომის წითელი ღრუხის ორდონოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ. ხარაჯიშვილი

მტკიცებითი სემარტადი

(ნარკვევები)



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1982

34 C
57.59 (2)
34 (47)
ს 258

წიგნში ასახულია მტკიცების პროცესის მარეგულირებელი ნორმების თვისებურებანი; კრიტიკულადაა მიმოხილული მტკიცებითი თეორიის ძირითადი საკითხები.

წიგნი დაეხმარება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და იუსტიციის ორგანოების მუშაკებს.

რედაქტორი ვ. ლორია

რეცენზენტები: ა. ლ. ბაქრაძე

ნ. ლორთქიფანიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1982.

I მტკიცებითი თეორია და მისი ადგილი სამართლის მეცნიერებათა სისტემაში

1. მტკიცებითი თუ მტკიცებაუნაობითი სამართალი

სამართლის ლიტერატურასა და პრაქტიკაში იხმარება ტერმინები „მტკიცებულებითი სამართალი“, „მტკიცებულებითი თეორია“, რუსულად ამ ტერმინების შესატყვისია — „Доказательственное право“, „Доказательственная теория“. „მტკიცებულებით სამართალს“ საფუძვლად უდევს „მტკიცებულება“, უფრო სწორად იგი გულისხმობს სამართალს მტკიცებულებათა შესახებ. ვფიქრობთ, წინაარსობრივად გამართლებული იქნება ვიხმაროთ გამოთქმა „მტკიცებითი სამართალი“ („მტკიცებითი თეორია“). მტკიცება მტკიცებულებასთან შედარებით ფართო ცნებაა. მტკიცება, ლიტერატურაში მიღებული განსაზღვრებიდან გამომდინარე, არის საკმეზე კანონიერი გზით ქვეშარიტების დასადგენად ინფორმაციების მოპოვება — შემოწმებასა და შეფასებაში მონაწილეთა საქმიანობა და ურთიერთდაპოკიდებულება. მტკიცება უეჭველად გულისხმობს მტკიცებულებებსაც: მტკიცება დინამიურობას გამოხატავს, იგი მიმდინარე პროცესებზე მიგვანიშნებს. მტკიცებულება (დამამტკიცებელი საბუთი) სულ სხვა ბუნებისაა. იგი უკვე მოპოვებულ ინფორმაციაა. დამამტკიცებელი საბუთების ცნება სხვადასხვანაირად განისაზღვრებოდა როგორც კანონმდებლობით, ისე მეცნიერულ ლიტერატურაში. დამამტკიცებელ საბუთებზე დღესაც არსებობს სხვადასხვა აზრი, ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანიც. მტკიცება შედარებით მყარი ცნებაა. იგი უეჭველად გამოხატავს პროცესში მონაწილე პირთა მოქმედებებს და მათ ურთიერთდაპოკიდებულებას ქვეშარიტების დასადგენად. ამის უარყოფა შეუძლებელია მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ჩამოვაყალიბებთ საკუთრივ მტკიცების ცნებას. იქ, სადაც მოქმედებაა — ურთიერთობაც მყარდება, და პირქით — ურთიერთობა ყოველთვის რაიმე მოქმედებით იაზრება. გამომშვიტელი, როდესაც დამამტკიცებელი საბუთების შეკრებას ახდენს, უეჭველად ამყარებს ურთიერთობას არა მარტო იმ პირებთან, ნივთე-

ბთან, რომელთაგანაც იგი ლებულობს ინფორმაციებს, არამედ იმათ-
თანაც, ვინც მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებაში (სპე-
ციალისტი, თანამოწმეები და სხვ.). ასევე ითქმის სასამართლო
მოქმედებათა შესახებ — პირის სამართალში მიცემისას, სამსჯავრო
გამოძიების პროცესში თუ სასამართლო წარმოების სხვა ეტაპზე.
მ. ს. სტროგოვიჩის სიტყვით, მტკიცება — ეს არის დამამტკიცებელი
საბუთების მეშვეობით ყველა იმ ფაქტისა და გარემოების დადგენა,
რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის საქმის გადა-
წყვეტისათვის... მტკიცების პროცესი არის ფაქტების, სისხლის
სამართლის საქმის გარემოებათა შემეცნების პროცესი¹. როგორც
ჩანს, რუსულადაც ტერმინი „მტკიცებულებითი“ სამართალი უშუა-
ლოდ უკავშირდება მტკიცებას და არა მტკიცებულებას. აღნიშნუ-
ლიდან გამომდინარე, ყოველნაირად გამართლებულია შესასწავლ
სამართლის სპეციალურ კურსს ეწოდოს „მტკიცებულებითი სამა-
რთლის“ ნაცვლად — „მტკიცებითი სამართალი“ და ამის შესატყვი-
სად დამკვიდრდეს აგრეთვე „მტკიცებითი თეორია“.

2. მტკიცებითი სამართალი და მტკიცებითი თეორია

მტკიცებითი სამართალი განირჩევა მტკიცებითი თეორიისაგან.²

მტკიცებითი სამართალი ეწოდება იმ ნორმათა ერთობლიობას,
რომლებითაც რეგულირდება მტკიცების პროცესთან დაკავშირებუ-
ლი პროცესუალური მოქმედებანი და ურთიერთობანი ქეშმარიტების
დადგენის მიზნით. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, სისხლის საპრო-
ცესო სამართლის ნორმები იმით განსხვავდებიან სხვა ნორმებისაგან,
რომ ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოიქმნება
და არსებობს არა ფაქტიური სახით, რომლისთვისაც შემდგომში
გამოიყენება სამართლის ნორმა, არამედ მხოლოდ სამართლებრივი

¹ М. С. Строгович. Курс советского уголовного процесса, том. 1, М., 1968, с. 295—296.

² ზოგიერთი ავტორი მტკიცებით თეორიას მტკიცებითი სამართლის სინო-
ნიმად თვლის (იხ. მაგალითად, М. Л. Шифман. Основные вопросы
теории советского доказательного права. 1956), რაც გაუგებრობადა
შეიწუღა.

ფორმით.¹ ამგვარი შეხედულება არ უნდა იყოს სარწმუნო. მართლაც, იმისათვის, რომ, მაგალითად, დამამტკიცებელ საბუთად მივიჩნიოთ ესა თუ ის ინფორმაცია (რომელსაც კანონმდებელი „ფაქტობრივ მონაცემს“ უწოდებს) განა საჭირო არ არის, უპირველეს ყოვლისა, ამ ინფორმაციის ფაქტიურ არსებობაში დარწმუნება? კანონში მითითებულია საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევის აუცილებლობაზე, მაგრამ ამ მოთხოვნის უზრუნველყოფა დამოკიდებულია იმაზე, თუ სინამდვილეში რა თავისებურებით ხასიათდება გამოსაძიებელი მოვლენა. იმისათვის, რომ ყოველმხრივად იქნეს გამოძიებული საქმე, საჭიროა დაუყოვნებლივ მივმართოთ იმ ნიშნებსა და თვისებებს, რომლებითაც ვლინდება თვით ეს გამოსაძიებელი შემთხვევა. ყოველად შეუძლებელია საქმის ყოველმხრივად გამოძიების აბსტრაქტული წესის შემუშავება; ვერც ერთი სამართლებრივი ფორმულა ვერ მოერგება მკვლელობის, ყაჩაღობის, გაფლანგვის და ა. შ. დანაშაულთა ყოველმხრივად გამოძიების უზრუნველყოფას, თუ ეს ფორმულა ფაქტებიდან არ იქნება წარმოქმნილი და მათზე დაფუძნებული. საქმის სრულად გამოძიება ქურდობის შემთხვევაში სულ სხვა ფაქტების შესწავლას გულისხმობს, ვიდრე, მაგალითად, თაღლითობის მიმართ და სხვ. თვითონ ქურდობის გამოძიება ფაქტობრივი მონაცემების სრულად მოპოვების მიღწევის მხრივ, არ უტოლდება მეორე ქურდობის საქმის გამოძიებასაც. ყველაფერი დამოკიდებულია დანაშაულებრივი მოვლენის კონკრეტულ ხასიათზე და მისი გამოვლინების ფორმებზე. სწორედ ამიტომაც დანაშაულის გამორკვევის ყოველმხრიობის და სისრულის მიღწევა არ გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოქმნისა

¹ კერძოდ, აღნიშნულია, თითქოს პროცესუალური თვალსაზრისით, საზოგადოებრივი ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც თრედიციული ურთიერთობა, პროცესში მონაწილენი ურთიერთობას იმეარებენ მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით (Гражданский процесс, 1979, с. 32—33). როგორც წესი, მტკიცებითი სამართლის ნორმის სტრუქტურასაც განსაზღვრავენ პაპოთეზით, დისპოზიციითა და სანქციით, მაგალითად, თუ მოწმის სახით დასაკითხია მცირეწლოვანი (პაპოთეზი), გამოძიებელმა საჭიროა ჩააბას პედაგოგი დაკითხვის პროცესში (დისპოზიციი), თორემ მის ჩვენებას არ ექნება მტკიცებითი მნიშვნელობა (სანქცია). (Теория доказательств в советском уголовном процессе. М., 1973, с. 78—90).

და არსებობის მხოლოდ სამართლებრივ საწყისს. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ფაქტიური საზოგადოებრივ ურთიერთობის წარმოქმნასთან, რომელსაც მერე ესადაგება სამართლებრივი ნორმა. საქმის გარემოებათა ობიექტური გამოკვლევის მოთხოვნა ფუჭი იქნებოდა, რომ ანგარიში არ ეწეოდეს ფაქტიურ ურთიერთობას (საზოგადოებრივ ურთიერთობას), რომელსაც შემდეგ ვუფარდებთ კანონის მოთხოვნას გამოძიების ობიექტურობის შესახებ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დამამტკიცებელი საბუთის ცნებაში გათვალისწინებული „ფაქტობრივი მონაცემები“ უკვე გულისხმობენ, საპროცესო მოქმედებამდე ფაქტიურ ურთიერთობებს, რომელთა გაუთვალისწინებლად გაძნელებოდა პროცესუალურ ურთიერთობებზე ლაპარაკი. სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე შედგენილი იგივე სარევიზიო აქტი, რომელიც, წინასწარ შემოწმებით მოპოვებულ სხვა მასალებთან ერთად, გამოძიებელმა საფუძვლად დაუდო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, თავისთავად ცხადია, გამოხატავს ფაქტიურ ურთიერთობას და მას უექველად ანგარიში უნდა გაეწიოს პროცესუალური ურთიერთობის წარმოქმნისთანავე. მართლაც, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, კანონის სულსკეცეთების შესაბამისად, არც არის ლაპარაკი დამამტკიცებელ საბუთებზე, სიტყვის საკუთარი გაგებით. არ არის პროცესი, მაშასადამე, ადგილი არა აქვს პროცესუალურ მოქმედებასაც, რომლის გარეშე, როგორც წესი, არ ხდება არც დამამტკიცებელი საბუთების შეკრება და არც მათი შემოწმება-შეფასება, მაგრამ ინფორმაციები, რომლებიც მასალების წინასწარი შემოწმების შედეგად იქნება მიღებული, მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ, კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით გაფორმებისას იქცევიან ე. წ. დამამტკიცებელ საბუთებად. თვითონ ეს ფაქტიც ნათლად დალადებს პროცესუალური ურთიერთობების გაგებისათვის რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტიურ ურთიერთობებს.¹

როცა ლაპარაკია, პროცესში მონაწილე პირთა მოქმედებებზე და მათ ურთიერთობებზე, აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ყველა ის პირი, ვინც, კანონის შესაბამისად, თავისებურად დაკავშირებულია სა-

¹ პროცესუალურ ურთიერთობაზე დაწვრილებით იხილეთ Топрия дознательств в советском уголовном процессе, 1973, გვ. 82—90. მტკიცების სფეროში სამართალურთიერთობის წარმოშობის წანამძღვრებად დასახელებულია: 1. მტკიცებითი სამართლის ნორმის არსებობა;

2. სამართალზემეტყურობა (პირები, რომლებიც სისხლს სამართლის საქმის აღძვრის მომენტიდან პროცესუალური უფლების სუბიექტებად იქცევიან);

3. იურიდიული ფაქტის არსებობა (ი. ლ. პეტრუხინი).

ბუთების შეკრების, პროცესუალური ფიქსირების, შემოწმებისა თუ შეფასების პროცესთან. ლიტერატურაში მიღებულია მტკიცებითი სამართლის ორ ნაწილად გაყოფა — ზოგად და კერძო ნაწილად. ზოგად ნაწილს მიაკუთვნებენ იმ ნორმებს, რომლებიც აღგენენ საბუთების ცნებას, საბუთების სისტემას, მათ კლასიფიკაციას, მტკიცებას, მტკიცების მიზანს, მტკიცების სტადიებს, მტკიცების საგანსა და ფარგლებს, საბუთების დასაშვებითობას¹ და შესახებითობას, მტკიცების სუბიექტების მოქმედების ფარგლებს; კერძო ნაწილში აერთიანებენ იმ ნორმებს, რომლებითაც განისაზღვრება საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებანი, მათი ჩატარების მიზანი. წესები (პროცესის სტადიების მიხედვით), ცალკეული საბუთების შეკრების, პროცესუალური ფიქსირების, შემოწმებისა და შეფასების თავისებურებები, ზოგიერთ კატეგორიის საქმეებზე საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების სპეციფიკა.¹

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სასამართლო წარმოება ფუნდამენტალურად დამყარებულია მტკიცებით სამართალზე. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მტკიცების კანონიერი ფორმები თავისთავად წარმართავენ შემეცნების პროცესებს? განისაზღვრება თუ არა პროცესუალური ნორმებით შემეცნების შინაარსი? რა თქმა უნდა, არა. აკრიტიკებენ რა სტროგოვიჩს, სტარჩენკოს და სხვ., ზოგიერთი ავტორი (მაგ., გ. მ. შინკოვსკი) უყიღურეს აზრებს ანვითარებს.² თუ მათ დაეუჭერებთ, მივალთ იმ აბსურდულ დასკვნამდე, რომ, მაგალითად,საექსპერტო დასკვნის შინაარსის სისწორე, მისი შემეცნებითი მნიშვნელობა უნდა განისაზღვროს არა ფაქტიური ნიშანთვისებებით, რომლებსაც ავლენს ექსპერტი გამოკვლევის პროცესში, არამედ პროცესუალური ნორმებით, რომლებითაც რეგლამენტირებულია ექსპერტის მოქმედება. შემეცნების შინაარსი რომ პროცესუალურ ნორმებში გვეძია, დავას არ უნდა იწვევდეს, მაშინ ყოველგვარ საზრისს დაკარგადა თვით შემეცნების პროცესიც, მას აღარ ექნებოდა გნოსეოლოგიური ხასიათი: ქეშმარიტების დადგენა, პროცესუალური თვალსაზრისით, აშკარად დოგმატურ ჩარჩოში მოექცეოდა.

როგორც ცნობილია, კანონმდებელი სამართლებრივი ნორმის შემუშავების დროს ხელმძღვანელობს სამართლის უზრუნველყოფის პრაქტიკითაც და იურიდიულ მეცნიერებათა მონაცემებითაც; მაგრამ ამის გამო, ცხადია, სამართლის არც ერთი დარგი არ გაუ-

¹ Теория доказательств в советском уголовном процессе. 1973. с. 9.

² იქვე, გვ. 10.

ტოლდება თავის შესატყვის სამართლებრივ მეცნიერებას. მტკიცებით სამართალს შეესატყვისება მტკიცებითი სამართლის მეცნიერება, ანუ მტკიცებითი თეორია. სამართლის ნორმას, ცხადია, ეკარგება პრევენტიული მნიშვნელობა, თუ იგი ყველასათვის ერთნაირად არ არის გასაგები; მაგრამ რამდენადაც ჭერჭერობით აუცილებელი ხდება ნორმების კომენტარებიც, მათ უნდა მიენიჭოთ, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული მნიშვნელობა. ცხადია, მტკიცებითი სამართლის მეცნიერება — მტკიცებითი თეორია თავისი მიზანდასახულობის მხრივ პროცესუალური ნორმების კომენტარებისათვის არ არის მოწოდებული. თანმიმდევრულ მეცნიერულ ნაშრომში ნორმის შინაარსის შესახებ იმ თვალსაზრისით უნდა იყოს ლაპარაკი, რამდენადაც ეს საჭირო იქნება თეორიული პრობლემის გადაწყვეტისათვის და ხელს შეუწყობს ნორმის ისტორიული ასპექტების გაშუქებას.

მტკიცებითი სამართლის მეცნიერების საგანს ყოველთვის განიხილავენ მტკიცებითი სამართლის საგანთან ორგანულ კავშირში. ეს იმას ნიშნავს, რომ ნორმები, რომელთა ერთობლიობა სამართლის ცნებას ედება საფუძვლად, ამავე დროს მეცნიერულადაც შეისწავლება. მტკიცებითი სამართლის ნორმების მეცნიერული შესწავლა კი იმას გულისხმობს, რომ გაანალიზდეს ნორმების შინაარსი ლოგიკურად — რამდენად შეესაბამებიან ისინი ცხოვრების რეალურ სინამდვილეს, როგორია მათი გამოყენების პრაქტიკა, სამართლის სხვა დარგების ნორმების სრულყოფის პერსპექტივის გათვალისწინებით მოხდეს მტკიცებითი სამართლის ნორმათა შემდგომი გაუმჯობესების თეორიული დასაბუთება და სხვ. იმისათვის, რომ მომკვლევმა, გამომძიებელმა, სასამართლომ თავი გაართვან სიძნელეებს, ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად დაადგინონ წარსულში მომხდარი გამოსაძიებელი მოვლენა, საჭიროადაა მიჩნეული, ისინი ფლობდნენ დამამტკიცებელი საბუთების შეკრების, შემოწმებისა და შეფასების გნოსეოლოგიურ პრინციპებს, იცნობდნენ მოკვლევისა და გამომძიების სფეროში დაშვებულ დამახასიათებელ შეცდომებს, რომელთა განზოგადებაც მტკიცებითი თეორიის საგანია. რაკი მტკიცებითი თეორიის მონაცემების ქეშმარიტებაც პრაქტიკითვე მოწმდება, უპირველად პრაქტიკულ და თეორიულ პრობლემებს მუდამ განუყრელ ურთიერთობაში იხილავენ. მტკიცებითი სამართლის საგნის შესატყვისად, როგორც ცნობილია, მტკიცების თეორია შეისწავლის: ამ მეცნიერების საგანს, ამოცანებს, სისტემას, მეთოდს, ქეშმარიტების პრობლემას, დამამტკიცებელ საბუთებს, მათ კლასიფიკაციას, საბუთების დასაშვებობას და შესახებობას, მტკიცების საგანს, მი-

ზანს, ფარგლებს, მტკიცების პროცესს, მტკიცების სუბიექტებს... აღნიშნულ პრობლემებს აერთიანებენ პირობით-მტკიცებითი სამართლის მეცნიერების ზოგად ნაწილში; ხოლო ისეთ პრობლემებს, როგორცაა: დამამტკიცებელი საბუთების ცალკეული სახეები, საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებანი, მტკიცების ეტაპები, სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის ცალკეულ კატეგორიის საქმეებზე მტკიცება — აკუფუნებენ მტკიცებითი სამართლის მეცნიერების განსაკუთრებულ ნაწილს. მტკიცებითი თეორია შეისწავლის აგრეთვე მტკიცების პროცესში მონაწილეთა მოქმედებებს; იმ კანონზომიერებებს, რომლებიც ახასიათებენ ინფორმაციების წარმოშობას, გადამუშავება-განმტკიცებასა და რეპროდუქციას, მათ შემოწმება-შეფასებას; მტკიცებითი სამართლის ისტორიას, საზღვარგარეთული სოციალისტური ქვეყნებისა და ბურჟუაზიული ქვეყნების მტკიცებით სამართალს.¹

**ა. მტკიცებითი სამართლის მეცნიერება და სახა
მონათესავე დარგები**

მტკიცებითი სამართლის მეცნიერება, ისე როგორც მეცნიერების სხვა დარგები, ემყარება დიალექტიკურ მატერიალიზმს². ამ შემთხვევაში მხედველობაშია საგნის მეთოდოლოგიური საყრდენი, მისი კვლევის საერთო სახელმძღვანელო საშუალება, მაგრამ მტკიცებითი სამართლის მეცნიერება ფილოსოფიას უკავშირდება აგრეთვე ცალკეული პრობლემების შესწავლისას; ცნობილია, რომ, მაგალითად, ქვეშარიტების პრობლემა ერთ-ერთი ფუძემდებლური პრობლემა ფილოსოფიაში. ქვეშარიტების პრობლემის სწორად გადაწყვეტას პრინციპული მნიშვნელობა აქვს მტკიცების პროცესშიც. მტკიცება მოკლებულია რეალობას ქვეშარიტების გნოსეოლოგიური მხარის გაუთვალისწინებლად. ამიტომ მტკიცებითი სამართლის მეცნიერება რაციონალურად ხელმძღვანელობს რა ქვეშარიტების ფილოსოფიური გაგებით; იგი, თავის მხრივ, ცნობილია, ხორცს ასხამს მას, რაკი,

¹ Теория доказательств в советском уголовном процессе, 1973. с. 17—21.

² როგორც ცნობილია, დიალექტიკურა მეთოდის გარდა, მტკიცებითი სამართალი იშველიებს ნორმატულ-დოგმატურ (ნორმების შემუშავება, რომლებიც ტიპიურად შეესატყვისება ცხოვრების სინამდვილეს), სოციოლოგიურ (ფაქტობრივი ინფორმაციებით მოწმდება მტკიცებითი სამართლის საზრისიანი პროსპექტულობა) და შედარებით, სამართლებრივ (მტკიცებითი სამართლის ერთიანობა და თავისებურებანი საერთო საკავშირო, რესპუბლიკური და საზღვ. სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობის გათვალისწინებით) მეთოდებს. ამ მეთოდების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ლიტერატურაში საკმაოდ არის ლაპარაკი. ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ მათი სკემატური ჩამოთვლით დავეყვითვით.

კვლევის საგნის. სპეციფიურობის გათვალისწინებით, აღრმავებს ზოგადის კერძო შემთხვევისათვის გამოყენების საზღვრებს. მტკიცებითი თეორია იყენებს ლოგიკის კანონებს შემოქმედებითად, ჰემსარიტების კრიტერიუმს — პრაქტიკის დეფინიციას, როგორც ფილოსოფიურ კატეგორიას... ამრიგად, ადგილი აქვს როგორც მტკიცებითი თეორიის ფილოსოფიასთან კავშირს, ისე სამართლის მეცნიერების ამ კონკრეტულ დარგში, ფილოსოფიური დოქტრინების გამოყენებით ხასიათს.

ლიტერატურაში საკმაოდ დასაბუთებულია აგრეთვე მტკიცებითი თეორიის კავშირი სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიასთან. არ არის სადავო, რომ სამართლის ნორმის ცნება, ნორმების კლასიფიკაცია, სტრუქტურა და სხვ., რასაც შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, მნიშვნელოვანია მტკიცებითი თეორიის თვალსაზრისითაც, ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის შესასწავლი ისეთი პრობლემები, როგორიცაა სამართლის წყაროები, სამართლებრივი ურთიერთობანი და სხვა. საერთო აღიარებით, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მიერ დამუშავებული დებულებანი და ინსტიტუტები პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენენ მოქმედი სამართლის დარგებისათვის, მათ აქვთ გამოყენებითი ხასიათი. შემთხვევითი არ არის, რომ ლიტერატურაში სამართლის ზოგად თეორიას სამართლის კონკრეტულ დარგებისათვის მეთოდოლოგიურ მეცნიერებადაც თვლიან (ს. ს. ალუქსეევი).¹ სხვა მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებული დებულება (თუ ინსტიტუტი) მხოლოდ მაშინ არის გამოსადეგი ამა თუ იმ მეცნიერებისათვის, როდესაც იგი შემოქმედებითად იქნება გააზრებული კონკრეტულ პრობლემათიკასთან შეპირისპირებით. სხვანაირად, მეცნიერული მონაცემების მეცნიერებაშივე გამოყენებას აღარ ექნებოდა სპეციფიკური ხასიათი. სწორედ ამ თვალსაზრისითაა გაგებული სამართლის ზოგადი თეორიის პრობლემებთან მტკიცებითი თეორიის დამოკიდებულება.

მტკიცებით თეორიას მჭიდრო კავშირი აქვს სისხლის სამართალთან. როგორც ცნობილია, რაკი სისხლის სამართლის მეცნიერება არის აგრეთვე დანაშაულის შესახებ მოძღვრება, ცხადია, მტკიცებითი თეორია, დანაშაულთან ბრძოლის სფეროში, უკავშირდება მას მტკიცების საგნის პრობლემის შესწავლისას. მართლაც, სისხლის სამართლის მეცნიერება შეისწავლის, მაგალითად, დანაშაულებრივი

¹ იხ. С. С. Алексеев. Теоретические проблемы в системе советского права, 1961; Теория доказательств в советском уголовном процессе, 1973. с. 24.

ხელყოფის ობიექტს, საგანს; ამ ცნებების სისხლის სამართლებრივი განსაზღვრებისათვის საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა ურთიერთობის წინააღმდეგაა მიმართული კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობა. მტკიცებით თეორიას არ აკისრებენ განსაზღვროს, თუ რა არის ხელყოფის ობიექტი, მისი სახეები, ხელყოფის საგანი... მაგრამ, ამასთან, შეუძლებელია მტკიცების საგანზე ვილაპარაკოთ, თუ არ გვეცოდინება, რა სიკეთის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული ესა თუ ის დანაშაული. ამიტომ მტკიცებითი თეორიისათვის ამოსავალია სისხლისსამართლებრივი ცნებები, რომლებიც, ასე თუ ისე, შეეხებიან მტკიცებას.

დანაშაულის ობიექტის გარდა, სისხლის სამართალი განიხილავს დანაშაულის ობიექტურ მხარეს, რომლის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედობა თავის გამოხატულებას ყოველთვის გარესინამდვილეში ქაოვებს. იგი არის როგორც მომხდარი ფაქტი, გარკვეული ფიზიკური ნიშნებით (ფსიქოლოგიური ქცევის ხერხი) წარსულში მომხდარი მოვლენა, რომელიც შესაძლებელია აღქმული და შეცნობილი იქნეს. ის ნიშნები, რომლებითაც ხასიათდება დანაშაულის ობიექტური მხარე, როგორც მიღებულია, შეიცნობა და გამოიყენება მტკიცებითი თეორიის თვალსაზრისით მტკიცების საგანში შემავალი ელემენტების სახით. ამ მხრივ საყურადღებოა სახელდობრ: ქმედობის ჩადენის ადგილი, დრო, ვითარება, საშუალებები, მიზეზობრივი კავშირი ადამიანის მოქმედებასა და ამ მოქმედების შედეგს შორის. ცნობილია, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილს სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, რაკი ამით განისაზღვრება რიგ შემთხვევაში არა მარტო თვით ქმედობის სიმძიმე, არამედ საერთოდ პასუხისმგებლობის შესაძლებლობის საკითხი. ასევე ითქმის დანაშაულის ჩადენის დროზე. განსაკუთრებით აღნიშნავენ ქმედობის ჩადენის ვითარებას. ცხადია, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად უნდა შეფასდეს, მაგალითად, ქურდობა, რომელიც ჩადენილია ხანძრის დროს, შველლობა დამტანჯველი საშუალებებით და სხვ. ყოველივე აღნიშნული ცნებების სისხლისსამართლებრივ მეცნიერებაში სწორად დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცების პროცესისათვისაც. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ მტკიცებითი თეორიაც დაინტერესებულია დანაშაულის ჩადენის საშუალებების განსაზღვრებით. დანაშაულის ჩადენის საშუალების ცნების ზუსტად განსაზღვრისათვის ითვალისწინებენ არა მარტო სისხლის სამართლებრივი კვლევის სფეროებს, არამედ იმასაც, თუ რამდენად შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის საშუალებების კლასიფიკაცია; და-

ნაშაულის ჩადენის ერთ-ერთ საშუალებად, ცნობილია, გამოიყენება ცივი იარაღი, ცივი იარაღის ტარება დამოუკიდებელ დანაშაულადაც ითვლება. მაშასადამე, სისხლის სამართლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტად იქნეს დადგენილი თვით ცივი იარაღის ცნება, რაც სამწუხაროდ დღემდე მიუღწეველია. იგივე საკითხი აინტერესებს მტკიცებით თეორიასაც, რადგან იქამდე, სანამ არ დადგინდება, თუ რა არის ცივი იარაღი, უხერხულია ჭეშმარიტებაზე ვილაპარაკოთ მის საექსპერტო შესწავლასთან დაკავშირებით.

მიზეზობრივი კავშირის დადგენა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, ისე მტკიცების პროცესში ჭეშმარიტების უზრუნველსაყოფად. მიზეზობრივ კავშირზე დიდი ლიტერატურაა შექმნილი. არსებობს სხვადასხვა შეხედულებანი მიზეზობრივი კავშირის ცნების გარშემო, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დღემდე საბოლოოდ გადაუწყვეტელია. ამის მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ თვითონ ფილოსოფიაშიც მიზეზობრივი კავშირის სფეროში ყველაფერი ნათლად არ არის გააზრებული და შესწავლილი, აქედან გამომდინარე, რაკი მიზეზობრიობის პრობლემა ფილოსოფიური ხასიათისაა, რაკი მკვლევარი-იურისტები ფილოსოფიური ნაშრომებით ხელმძღვანელობენ ძირითადი საკითხების გაშუქებისას, ბუნებრივად მეორდება ფილოსოფიურ მეცნიერებაში არსებული ხარვეზები იურისპრუდენციაშიც. ეფექტობთ, მიზეზობრივი კავშირის პრობლემა მტკიცებითი თეორიის კუთხითაც უფრო სრულად, ღრმად უნდა აისახოს და ჭეშმარიტების პრობლემას დაუკავშირდეს. მტკიცებითი თეორია სისხლის სამართლის მეცნიერებასთან საერთო ენის გამოხატვას მოითხოვს დანაშაულის სუბიექტის სწორად გაგების თაობაზეც. ცნობილია, რომ ჩადენილი ქმედობისათვის პირის პასუხისმგებლობის განსაზღვრელი ასაკი ისტორიულად სხვადასხვანაირად წყდებოდა. დღესაც არ გაგვაჩნია პასუხისმგებლობის სათანადოდ დასაბუთებული მტკიცე იურიდიული და მედიკური კრიტერიუმები. როგორც მიღებულია, მტკიცებითი სამართლის მეცნიერებას აინტერესებს სუბიექტი — წინასწარი გამოძიების დროს როგორც ბრალდებული და სასამართლოში საქმის განხილვის დროს კი — სამართალში მიცემული. ბრალის პრობლემას სისხლის სამართალი ჯეროვან ადგილს უთმობს, რაკი ბრალის გარეშე არ დგება პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის. მტკიცებითი თეორიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სწორად განსაზღვროს მტკიცების საგანი ამ მიმართებით. ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით, თითქმის ყოველთვის გაძნელებულია დანაშაულის სუბიექტური მხარისათვის

დამახასიათებელი ნიშნების უტყუერად გამოვლინება. ამ შემთხვევაში ძირითად სიძნელეს ქმნის ის, რომ ადამიანის გრძნობების, აზრებისა და ნების შესწავლისათვის არ გაგვაჩნია ხელშესახები შესაბამისი ინდივიდუალურად განსაზღვრული ობიექტური მყარი ნიშნები. მხოლოდ სავარაუდოდ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ფიზიკური მოქმედების მიხედვით ქვემარტ აზრებსა თუ გრძნობებზე.

ლიტერატურაში მრავალჯერ ეცადნენ ადამიანის მოძრაობის, გამომეტყველების, ფიზიოლოგიური ცვლილებებისა და ა. შ. სიმპტომებით დაესაბუთებინათ ქმედობის ფსიქოლოგია, მაგრამ ეს ცდები დღემდე უშედეგოა: განსაკუთრებით აღსანიშნავია მოტივისა და მიზნის (ფსიქოლოგიური ქცევის) მტკიცებითი მნიშვნელობა. იმას გარდა, რომ ისინი რიგ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტებია და, მაშასადამე, მათ დადგენას სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, მოტივი და მიზანი ყოველთვის. გამონაკლისების გარეშე, დამამტკიცებელ საბუთის თვისებებს იძენენ, როგორც კი საქმე მიდგება ხოლმე ფსიქოლოგიური ქცევის შინაარსის გარკვევაზე. ამიტომ ბუნებრივია, მოტივსა და მიზანს დიდი ადგილი უნდა დაეთმოს მტკიცებით თეორიაში.

ცნობილია, რომ ამჟამად კრიმინოლოგია შეისწავლება როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, თუმცა დასაბუთებას არ იყო მოკლებული მისი სისხლის სამართლის პრობლემების კონტექსტში განხილვა, როგორც მთელის ნაწილისა. ვფიქრობთ, შეუდარებლად რაციონალური იქნებოდა სისხლის სამართლის მეცნიერულ პრობლემატიკაში გაერთიანებულყო ის საკითხები, რომლებსაც კრიმინოლოგიის კვლევის საგანს უკავშირებენ. ის მკვლევარი, რომელიც დაინტერესებულია კრიმინოლოგიური საკითხებით, სულ ერთია, სისხლის სამართლის მეცნიერების გარეშე ვერ ჩაატარებს საფუძვლიან გამოკვლევას; მაშ, რატომ იყო საჭირო განუყოფელის გაყოფა? ამ კითხვაზე ძნელია გონიერული პასუხის გაცემა. ყველა კრიმინოლოგიური პრობლემა სწორედ სისხლის სამართლის მეცნიერებასთან ორგანულ კავშირში იძენს სპეციფიკურ ხასიათს, სხვანაირად იგი შეერწყმოდა სოციოლოგიას და „კრიმინოლოგიაზე“ ლაპარაკიც უაზრობა იქნებოდა. მაგრამ რაკი კრიმინოლოგიის არსებობა ფაქტია, ამ ფონზე უნდა გავიაზროთ იმ პრობლემების კავშირი მტკიცებით თეორიასთან, რომლებიც სისხლის სამართლებრივი ხასიათისაა, ოღონდ კრიმინოლოგიურს კი უწოდებენ.

დანაშაულის ხელშემწყობი პირობები, როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის თვალსაზრისით განიხილებიან, როგორც ამავე დროს პასუხისმგებლობის ხარისხზე ზეგავლენის მომხდენი გარემოე-

ბანი. მათი კრიმინოლოგიური გამოკვლევა იმას გულისხმობს, რომ სოციოლოგიური მეთოდებით სისხლის სამართლებრივი თემა შევისწავლოთ. სადღეისოდ დიდძალი ლიტერატურაა შექმნილი კრიმინოლოგიის სახელწოდებით, ავტორები (რ. ს. ბელკინი, ა. ა. ეისმანი და სხვა.) დანაშაულებრივი ქცევის მოტივის ფორმირებას, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და ბრალის დამამძიმებელ გარემოებათა ფაქტორებს კრიმინოლოგიურ გამოკვლევის საგნადაც აცხადებენ.¹ რა დასაძალია, უკვე ადვილი მისაგნები არ არის მატერიალური (თუ პროცესუალური) სამართლის ისეთი პრობლემა, რომელზედაც არ იყოს დაწერილი დისერტაციები. ამიტომ ხშირად სისხლის სამართლის ნებისმიერ თემაში ჩართავენ ხოლმე აგრეთვე „კრიმინოლოგიურ“ ნაწილსაც. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კრიმინოლოგიური გამოკვლევა, როგორც თვით სახელწოდებაც მიგვანიშნებს, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ სისხლის სამართლის მეცნიერებისაგან მოწყვეტით. კრიმინოლოგია სწორედ სისხლის სამართლის პოლიტიკას ემსახურება მთელი თავისი შინაარსით. როგორც ცნობილია, კრიმინოლოგიური განხრით იწერება ხოლმე „დამნაშავეობის გეოგრაფია“, მაგრამ, თავისთავად ცხადია, აქ იგულისხმება მხოლოდ სისხლის სამართლის მიზნების შესატყვისად დანაშაულის დინამიკის მეცნიერული ანალიზი სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ მეცნიერულ ინტერესებიდან არ გამომდინარეობს კრიმინოლოგიის სისხლის სამართლის მეცნიერებიდან ჩამოშორება. სოციოლოგია, შეისწავლის ადამიანის მოქმედების სოციალურ ფაქტორებს და სხვა სოციალურ მოვლენებს, სისხლის სამართლის მეცნიერება უნდა იყენებდეს მის მონაცემებს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების, პირობების თუ სხვა აქტუალური საკითხების სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით გადასაწყვეტად. მხოლოდ ასეთ ურთიერთობაში გვეხატება ე. წ. კრიმინოლოგიური პრობლემების რაციონალური დამუშავების შესაძლებლობანი.

ავტორთა უმრავლესობის აზრით, მტკიცებითი თეორია სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერების ნაწილია, რაკი იგი შეისწავლის მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს მტკიცების პროცესს. როდესაც ვეხებით მტკიცებითი თეორიისა და სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებას შორის ურთიერთობის პრობლემას, აქვე უეჭველად გასარკვევია სამოქალა-

¹ ი. ბ. Теория доказательств в советском уголовном процессе, 1973, с. 26; იხ. აგრეთვე «Криминология», 1968.

ქო საპროცესო სამართლის მეცნიერების ადგილიც. იურიდიულ ლიტერატურაში, ვფიქრობთ, შემთხვევით არ წამოიჭრა საკითხი სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის ერთიანი მტკიცებითი თეორიის შესახებ; ს. კურილევა საკმაოდ ადგილი დაუთმო ამ შეხედულების დამტკიცებას,¹ რაც არ იქნა გაზიარებული ავტორთა უმრავლესობის (ბელკინი, ეისმანი და სხვ.) მიერ; ძირითად არგუმენტად დასახელებულია ის, რომ მტკიცებითი სამართალი სისხლის სამართლის პროცესში და მტკიცებითი სამართალი სამოქალაქო სამართლის პროცესში ხასიათდებიან დამოუკიდებელი წყაროებითა და პრაქტიკით.² ამ თვალსაზრისის მომხრეები იღიწყებენ, რომ სამართლის სხვადასხვა დარგებს შეიძლება ჰქონდეთ ერთი და იგივე წყარო (მაგალითად, კონსტიტუცია), რომ სამოქალაქო სარჩელის შესახებ საქმის სასამართლოში განხილვის პრაქტიკა ერთნაირად არის საინტერესო სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესებისათვის, რაკი სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროსაც წარმოიჭრება ხოლმე სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტის საკითხი. ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის დამოუკიდებლად არსებობის მიზანშეწონილობაზე, ჩვეულებრივ, შესასწავლი საგნის მიხედვით მსჯელობენ. ამ მხრივ, თითქმის ძნელია რომელიმე პრინციპული მეცნიერული პრობლემა იქნეს დასახელებული, რომელიც მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის განხრით მტკიცებითი თეორიის საგანი იყოს ან, პირიქით, მხოლოდ სამოქალაქო სამართლის პროცესს ეხებოდეს. მტკიცებითი თეორიის შესახებ 1973 წლის კოლექტიური მონოგრაფიის ავტორები, კატეგორიულად უარყოფენ რა ერთიან მტკიცებით თეორიას სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებისათვის, ამავე დროს, ვერ უარყოფენ ორივე პროცესში მტკიცების მეთოდოლოგიური საფუძვლების, სახელმძღვანელო პრინციპების, ქეშმარიტების კრიტერიუმის, დამამტკიცებელი საბუთების ცნების, მათი შეფასების, მტკიცების პროცესისა და სხვათა ერთიანობას;³ მაშ რაღა რჩება განმასხვავებელ საფუძვლად? ასეთად ავტორები ასახელებენ: მტკიცებითი თეორიის ამოცანებს, საგანს, საშუალებებს და მტკიცების სუბიექტებს.⁴

¹ С. В. Курьлев. Основы теории доказательств в советском правосудии. 1:60.

² Теория доказательств в советском уголовном процессе, 1973, с. 27.

³ იქვე, გვ. 26—27.

⁴ იქვე, გვ. 26.

ეფიქრობთ, დაუსაბუთებელია ეს მოსაზრებაც. მივმართოთ ისევ ამავე მონოგრაფიის ავტორებს (გ. მ. მინკოვსკი, ა. ა. ეისმანი): და გავყვეთ მათი მსჯელობის ლოგიკას. ავტორები განმარტავენ, თუ რატომ ეწოდება მტკიცებითი სამართლის შეცნირებას „თეორია“. თეორიის სახელწოდება, მათი აზრით, ნიშნავს იმას, რომ მტკიცების პროცესთან დაკავშირებით სხვადასხვა მოვლენების აღწერის გვერდით ხდება მათი ახსნა, დგინდება მათი არსი.¹ მაგრამ არ არის უარყოფილი, რომ ყველა მეცნიერული ცოდნის სისტემა ემორჩილება ამ ბანალურ ჭეშმარიტებას.

შემდეგ, ავტორები მტკიცებითი თეორიის მიზნებსა და ამოცანებს საბოლოო ანგარიშში ხედავენ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების მიზნებსა და ამოცანებში, რომლებიც ჩამოყალიბებულია „საფუძვლების“ მე-2 მუხლში. ამასთან, არ უარყოფენ მტკიცებითი თეორიისათვის დამახასიათებელ საკუთარ სპეციფიკურ ნიშნებსაც. მაგრამ რაში გამოიხატება ეს ნიშნები? თურმე მტკიცებითი თეორიის უახლოესი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მივიღოთ და გავალწყოთ მტკიცების პროცესის შესახებ ცოდნა.² ავტორები აღბათ თვითონაც ვერ გრძნობენ, რომ ამ დებულებით ვერ უარყოფენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებისათვის მტკიცებითი თეორიის ერთიანობას. აქვე ლაპარაკია თეორიის ისეთ საბოლოო მიზანზე, როგორცაა პრაქტიკის სრულყოფა.³ უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორები გულისხმობენ სწორედ პრაქტიკის გაუმჯობესებას. თორემ თეორია პრაქტიკას გზას უნათებსო, ნათქვამია, და აღბათ, ამ შემთხვევაში ისიც არის მხედველობაში მიღებული, რომ ზოგჯერ პრაქტიკა მანკიერ გზას ადგას. საჭიროა მისი ძირფესვიანად შეცვლა, გაჩანსალება და არა სრულყოფა. „სრულყოფა“ შესაძლებელია უარყოფითისაც — ე. ი. ყოვლად დასაგმობი, მახინჯი პრაქტიკისაც. ამ გავებით, ცხადია, არ იქნება არაფრით გამართლებული, თუ, მაგალითად, ვიტყვი, დღევანდელი სასამართლო (საგამომძიებო) პრაქტიკა მოითხოვს „სრულყოფას“. რაკი სასამართლო-საგამომძიებო ორგანოთა მუშაების მხრივ კვლავაც აქვს ადგილი კანონიერების დარღვევას, უფრო რაციონალური და მისაღები იქნება ვილაპარაკოთ ამ ორგანოების გადახალისებაზე. მათი მუშაობის ძირეულად გარდაქმნაზე და ა. შ.

1. იქვე, გვ. 15.

2. იქვე, გვ. 18.

3. იქვე.

იქ, სადაც ავტორები მიზანზე ლაპარაკობენ, უდავოდ უმჯობესი იყო შეხებოდნენ მეცნიერების ამოცანებს. მტკიცებითი თეორიის ამოცანაა, მაგალითად, ადამიანთა მორალური აღზრდა, ანტიმეცნიერული დებულებების დაგმობა, იურისტ-სპეციალისტების მაღალი თეორიული ცოდნით აღჭურვა... ყველა ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებითი თეორია აღწევს თავის მიზანს, ე. ი. უზრუნველყოფს ჭეშმარიტების დადგენას. ჭეშმარიტების დადგენის გარეშე შეუძლებელია ამ მეცნიერების ამოცანებზეც ვილაპარაკოთ. ჭეშმარიტების დადგენა მხოლოდ მტკიცების პროცესშია შესაძლებელი და ისიც მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთების საშუალებით. მეცნიერების ამოცანები ყოველთვის ამა თუ იმ კლასის, პარტიის ინტერესებს უკავშირდება. პარტიულობის გარეშე მეცნიერების ამოცანებზე ძნელია ლაპარაკი. მაგრამ მეცნიერების მიზანი (თუ იგი ნამდვილად თანმიმდევრულ მეცნიერებაა, ჭეშმარიტების ძიებაა. მაშასადამე, მტკიცებითი სამართლის მეცნიერების, ანუ აფორიის მიზანია ჭეშმარიტების ძიება, ჭეშმარიტების მიღწევა. როდესაც მტკიცების პროცესში ჭეშმარიტება დგინდება, უეჭველად ეს პროცესი დიდ აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენს მტკიცების პროცესში მონაწილე პირებზეც. არავითარ პროპაგანდას არ შეუძლია ისეთი დადებითი ეფექტის მოხდენა, როგორც ეს ძალუძს ჭეშმარიტების დადგენისათვის გამიზნულ კანონიერსა და მეცნიერულად გამართლებულ პროცესუალურ მოქმედებას. ანტიმეცნიერულ დებულებათა დაგმობის ამოცანების განხორციელებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია, თუ თვითონ მეცნიერება უშუალოდ ჭეშმარიტების დადგენას არ ისახავს მიზნად. ასევე ითქმის იურისტ-სპეციალისტების მაღალ თეორიულ დონეზე მომზადების ამოცანასთან დაკავშირებით; ცხადია, მხოლოდ ჭეშმარიტების მაძიებელ მეცნიერებას შეუძლია მაღალი თეორიული ცოდნით აღჭურვოს სპეციალისტები... მეცნიერებას მაშინ უწერია წინსვლა, როდესაც იგი, როგორც ცოდნის სისტემა, ახალ-ახალ ჭეშმარიტებებს აღგენს შესასწავლ საგანში მოქცეულ პრობლემებთან დაკავშირებით.

გვეჩვენება, რომ დღევანდელი ჩვენი სამართლის მეცნიერებათა სისტემა მოითხოვს ხელახალ სერიოზულ შესწავლასა და გადასინჯვას.¹ არ არის დასამალი, სამართლის მეცნიერების მთელი რიგი დარგები ერთმანეთს იმეორებენ ძირითადი და წამყვანი პრობლემების

1. დოც. ს. შრელიშვილის იდეა იურიდიულ დარგების გამსხვილების შესახებ არ იყო მოკლებული საზრისს. სხვა საქმეა დღევანდებით თუ არა მას საამისოდ ვაჭვინებს დასახვასა და არგუმენტაციებში.

გაშუქებისას. ეტყობა აღარ გამოგვადგება მეცნიერების დარგებად დაყოფისათვის კოდექსების რაოდენობაზე დამყარების კრიტერიუმი.

როგორც შენიშნულია, თანამედროვე მეცნიერებანი ვითარდებიან ინტეგრაციისა და დიფერენციაციის გზით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მოითხოვენ გაერთიანებას, ურთიერთთან შეკავშირებას მონათესავე წამყვანი და პრინციპული პრობლემების გადაწყვეტისათვის. ამასთან, ცნობილია, დიფერენციაცია ხდება წამყვანისადმი დამორჩილებულ იმ სპეციფიურ პრობლემებისაც, რომელთა გაღრმავებული შესწავლისა და გადაწყვეტისათვის იქმნებიან სპეციალური მეცნიერული კურსები; ეს პროცესი საინტერესოა იურისპრუდენციის სფეროშიც, ოღონდ რატომღაც მეცნიერი-იურისტები თითქოს განგებ თავს არიდებენ მათ. თუ მტკიცებითი თეორიების სამართლებრივი რეგულირების მეთოდები ერთსახოვანნი არიან სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესებში, თუ მათ აერთიანებთ: ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, მტკიცების, მტკიცების პროცესის, დამამტკიცებელი საბუთების, კეშმარიტების, საბუთების შეფასების და სხვა წამყვანი ცნებები! მაშ რაღა ჰყოფთ ერთმანეთისაგან? ნუთუ კერძო საკითხებს ისეთი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ, რომ მათი გადაჭრისათვის მეცნიერების განსაკუთრებული დარგების გამართლებაზეც ვილაპარაკოთ? მტკიცებითი თეორია, როგორც სპეციალური კურსი, ცხადია, ერთია პროცესუალური მეცნიერების თვალსაზრისით. მტკიცებითი თეორიის ფარგლები მოიცავენ როგორც ზოგად თეორიულს, ისე კერძო ხასიათის პრობლემებს. ვიმეორებთ, შეუძლებელია დავეთანხმოთ იმ ავტორებს, რომლებიც ორ მტკიცებით თეორიაზე ლაპარაკობენ. მეცნიერების საგანთან დაკავშირებით დასახელებულ მონოგრაფიაში სხვა ადგილზე აღნიშნულია, რომ თეორიის შინაარსია, უპირველეს ყოვლისა, მოწესრიგებული, მთლიანი, შინაგანად დაკავშირებული არეკვლა მისი საგნისა, ე. ი. მტკიცების პროცესისა.¹ როგორც ვხედავთ, ამ გართულებული წინადადებიდანაც მაინც ისევ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მტკიცებითი თეორია შეისწავლის მტკიცების პროცესს, რომელიც არ შეიძლება იყოს პრინციპულად გაორებული. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს მტკიცების პროცესი მეცნიერული თვალსაზრისით არამც და არამც არ უპირისპირდება, პრინციპულად არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო საქმის განხილვისას მტკიცების პროცესს, საოცარი ის არის, რომ კრიმინალისტიკური, კიმიური, ფიზიკური, ავტოსაგზაო,

¹ Теория доказательств в советском уголовном процессе, 1973, с. 26.

² • ქ ე ე, გვ. 19.

ბულალტრული და სხვა სახის ექსპერტიზები გააერთიანეს და მოათავსეს „ერთ ჰერკევეშ“, ზოგიერთმა ავტორმა „თეორიული დასაბუთებაც“ კი გამოძებნა ექსპერტიზის მეცნიერების ცალკე ავტონომიისათვის... და ყოველივე ამას თითქმის არ გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი. პროცესუალურ მეცნიერებაში კი მკვლევრებს არ უნდათ დაინახონ სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებისათვის წამყვანი, ურთიერთთან ორგანულად დაკავშირებული, ორივესათვის ერთნაირი მნიშვნელობის მქონე პრობლემები...

შემდეგ, სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებითი თეორიის შინაარსში გულისხმობენ მტკიცების პროცესის მარეგულირებელ ნორმებს, ცალკეულ ინსტიტუტებსა და სხვა მოვლენებს, დაკავშირებულს მტკიცების პრაქტიკასთან.¹ მაშასადამე, წინადადების დასაწყისშივე ლაპარაკია ისევ მტკიცების პროცესზე; რაც შეეხება მტკიცების საშუალებასა და სუბიექტებს, ისინი სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ცხადია, იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო პროცესში არ არის წინასწარი გამოძიება, ბრალდებული, გამომძიებელი... მაგრამ ამით რა მტკიცდება? ჯერ ერთი, სისხლის სამართლის პროცესიც არსებობს წინასწარი გამოძიების გარეშეც, ჩვენ რომ გვკითხონ, წინასწარი გამოძიების ინსტიტუტი, დღევანდელი ფორმით, მთლიანად არც არის გაშართლებული. ა ესეც რომ არ იყოს, განა თუნდაც წინასწარი გამოძიების ან სასამართლო პრაქტიკის თავისებურებანი საკმარისია იმისათვის, რომ ისინი საფუძვლად დაედონ მეცნიერების ცალკე დარგს? ნუთუ არ შეიძლება მათი ისევე ცალკე პრობლემებად წარმოდგენა, როგორცაა: სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში, გამამტყუნებელ განაჩენთან დაკავშირებით სამოქალაქო სარჩელის აღქრა და ა. შ.?

უფიქრობთ, თვითონ სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესების პრობლემებიც იმდენად მონათესავენი და ერთგვაროვანნი არიან, რომ, თუ კარგად ჩაუფიქრდებით, მეცნიერული თვალსაზრისით მათი ურთიერთისაგან დაშორება უსარგებლოა. არავის შეუქლია უარყოს, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა, სამოქალაქო პროცესისა და სისხლის სამართლის პროცესის თეორიული პრობლემები განუყოფელი არიან; სასამართლო წარმოების პრინციპების, პირველ თუ მომდევნო ინსტანციებში საქმის განხილვის წესებისა და სხვა პრო-

¹ თეორია, გვ. 19. (ივლისხმება 'Теория доказательств в советском уголовном процессе, М., 1973).

ცესუალური ძირითადი ინსტიტუტების ერთიანობა საფუძველი უნდა იყოს იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ პროცესუალური სამართლის მეცნიერების ერთიანობაზე, მსგავსად სასამართლოს ორგანიზაციული ერთიანობისა. როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ამოცანაა სამართალდარღვევის აღმოფხვრა, ზოგადი და კერძო პრევენციის უზრუნველყოფა. არაფერი არ დაშავდებოდა იმით, რომ გვქონდეს ერთიანი პროცესუალური სამართლის მეცნიერება „პროცესუალური სამართლის საფუძვლების“ სახით, რომელიც გააერთიანებდა სპეცკურსებს: სამოქალაქო, სისხლის სამართლის, მტკიცებით სამართალსა... და მართლმსაჯულების ორგანიზაციას. რაკი პროცესუალური ურთიერთობა ემყარება სამართალდარღვევის რეალურ გამოვლინებას, ლოგიკურ წინააღმდეგობასაც არ წავაწყდებით. ცხადია, კვლავაც ცალ-ცალკე იქნება სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებზედაც დაემყარება შესაბამისი პროცესები, მაგრამ პროცესუალური მეცნიერება მათ გააერთიანებს თეორიული პრობლემების ურთიერთთან განუყრელ კავშირში განხილვასა და გამოკვლევისას. ის ცნობილი დებულება, რომ სამოქალაქო სამართლის პროცესი უნდა ემყარებოდეს სამოქალაქო სამართლის ნორმების მოთხოვნებს, ისე, როგორც სისხლის სამართლის პროცესი — სისხლის სამართლისას დავას არ იწვევს, მაგრამ ვიმეორებთ, ეს გარემოება სრულიადაც არ უშლის ხელს ერთიან პროცესო მეცნიერებაზე ვილაპარაკოთ, თორემ მივალთ იმ აბსურდულ დე, რომ ბოლოს და ბოლოს ფორმალურად გაეამართლებთ საფინანსო, ადმინისტრაციული, მიწის, წყლის და ა. შ. სამართლის საპროცესო მეცნიერების იდეას.

როგორც ცნობილია, ამ ბოლო დროს საქმაოდ მომრავლდნენ ადმინისტრაციული პროცესის მომხრეები. შეიქმნა ორიგინალური ნაშრომები (სტატიები, მონოგრაფიები და სხვ.) ამ სფეროში, დაეულ იქნა დისერტაციები; მათგან აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოც. ა. ლორიას მიერ მომზადებული სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საბჭოთა ადმინისტრაციული პროცესუალური სამართლის კოლიფიკაციის პრობლემები“, რომელიც 1977 წელს წარმატებით დაეულ იქნა კიევის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტში. ადმინისტრაციულ პროცესს უწოდებენ კომპეტენტური სუბიექტების საქმიანობას ინდივიდუალურ-კონკრეტულ საქმეთა გადასაწყვეტად საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის სფეროში; უფრო სწორედ, მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმის გამოყენების პროცედურას (ვ. დ. სოროკინი, „Сов. адм. и процессуальные права“, 1976. გვ. 30). თუკი ადმინისტრაციული პროცესი არის გარკვეული ზომით მტკიცების პროცედურა (მტკიცებულებათა შეკრება და ოპიეტური შეფასება სწორი გადაწყვეტილების მისაღებად), თუკი ადმინისტრაციული პროცესში მტკიცება პრინციპულად ინლოგოური სამოქალაქო და სახლია სამართლის პროცესში მტკიცებისა (იქვე, გვ. 30), მაშინ რა გვიშლის ხელა, რომ საერთოდ ერთიან საპროცესო სამართლის მეცნიერებაზე ვილაპარაკოთ? ამა ვის სწორდება, რომ ვიშაროთ თითქმის სხვადასხვა სფეროებში ერთი იე ივადე ცნებები, რომლებსაც

თითქმის ვეარგებთ მეცნიერულ ღირებულება? ე. წ. ადმინისტრაციულ პროცესში იზიარებენ, რომ, მაგალითად, მტკიცებულება ტერმინს აქვს ორი მნიშვნელობა: ჯერ ერთი, როგორც ცნობების წყარო, და, მეორეც, როგორც თვით ფაქტობრივი ვარაუდი (ე. ვ. დოდინი, მტკიცებულება ადმინისტრაციულ პროცესში (რუს.). 1973), რომ მტკიცებულებად ადმინისტრაციულ პროცესში მიჩნეულია: მოწმეთა ჩვენებები, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, დოკუმენტები, დაზარალებულის ჩვენებები, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულთა ჩვენებები და სხვ. განა ლოგიკრიად უფრო ადვილად არ დასაბუთდებოდა, რომ ადმინისტრაციულ პროცესულურად მეცნიერება ჩაგვეთვალა საერთოდ პროცესულური მეცნიერების ინსტიტუტად? მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი არეგულირებს სისხლის სამართლის საქმის განხილვა-გამოკვლევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, სამოქალაქო პროცესი—ქონებრივ და სხვ. დავასთან დაკავშირებულს, ადმინისტრაციული პროცესი კი—ურთიერთობებს შმართელობის სფეროში წამოქრილი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისთან დაკავშირებით (მაგალითად, განცხადების ან საჩივრის საქმესთან), მაგრამ პროცესულური სამართლის მეცნიერება პრინციპულად ირ შეძლება სხვადასხვანაირი ფისის სამართლის დარგებისათვის.

არც ის იწვევს დავას, რომ სამართლის ამა თუ იმ დარგისათვის, როგორც ნორმათა ერთობლიობისათვის, წყარობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ საკანონმდებლო აქტების მთელი კომპლექსი (კონსტიტუციური თუ დარგობრივი), ამიტომ, როგორც ცნობილია, მაგალითად სისხლის საპროცესო სამართლისათვის წყაროდ არ გამოდგება მართო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში მოქცეული ნორმები; ასევე უნდა ითქვას სამოქალაქო პროცესულურ სამართალზეც... მაშასადამე, ის ნორმები, რომლებითაც რეგულირდება სასამართლო წარმოება, საერთო აღიარებით მოითხოვენ ზოგად მეცნიერულ დასაბუთებას, ცხადია, ამა თუ იმ ინსტიტუტის თავისებურებათა გათვალისწინებით. სასამართლო პრაქტიკის მონაცემების მეცნიერული გადაამუშავება და აქედან გამომდინარე ჰეშმარტივი ლოგიკური დასკვნების გამოტანაც სწორედ იმას გულისხმობს, რომ უკუვაგდოთ ზოგჯერ პრაქტიკაში დამკვიდრებული არასწორი ტენდენციები, დავასაბუთოთ მიუღებელის მიუღებლობა, ავსხნათ მოვლენების განვითარების რეალური მიზეზშედეგობრიობა. არ არის დასაშალი, რივ შემთხვევაში, მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს თვით სასამართლოს უმაღლესი ორგანოების მოქმედებაც. მეცნიერულ ნაშრომებში, იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტავადებელი დადგენილების მისამართით მოკრძალებულ საყვედურებს... ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ პლენუმის სახელმძღვანელო მითითებები, თუ სასამართლო ორგანოებისათვის სავალდებულოა, იგი ცხადია, ასეთად არ ჩაითვლება მეცნიერებისათვის, ე. ი. მათ ერთნაირი საზომით ვერ მიუდგება პროცესულური სამართალი და პროცესულური სამართლის მეცნიერება. მაგრამ ამასთან განა სახელმძღვანელო განმარტე-

ბები, რაკი სავალდებულონი არიან, ამიტომ სამართლის ნორმებს უტოლდებიან? ზოგიერთი ავტორი (გ. მინკოვსკი და სხვ.) ეღაუება მ. ს. სტროგოვიჩს იმის გამო, რომ იგი არ სცნობს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებებსა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო მითითებებს საპროცესო სამართლის წყაროდ, რაკი ისინი უზრუნველყოფენ სამართლის ნორმების დაცვას. შესრულებას და არ ქმნიან ახალ ნორმებს. ავტორები მ. ს. სტროგოვიჩის დებულებას უპირისპირებენ არგუმენტებს — თითქოს იგი ვერ არჩევს კანონის ნორმას სამართლის ნორმისაგან და ა. შ.¹ მათი აზრით, რაკი გენერალური პროკურორის ბრძანებებსა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო მითითებებს სავალდებულო ხასიათი აქვთ, ამიტომ ისინი საპროცესო სამართლის წყაროებადაც ჩაითვლებიან (!). მაგალითისათვის მოჰყავთ პლენუმის 1971 წლის 16 მარტის დადგენილებიდან ამონაწერი; კერძოდ, დადგენილებაში ნათქვამია, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტის წინაშე არ უნდა იქნეს დასმული კითხვა: „ადგილი ჰქონდა მკვლელობას თუ თვითმკვლელობას“. პლენუმი ამახვილებს ყურადღებას აგრეთვე სხვადასხვა სპეციალობის ექსპერტების მიერ დასკვნის შედგენის წესებზე, მცოდნე პირის შეხედულების მნიშვნელობაზე და სხვ. სინამდვილეში, ვფიქრობთ, რომ ვისაც კი ოდნავი ინტერესი მაინც გამოუჩენია გასცნობოდა ექსპერტიზების შესახებ ლიტერატურას, მას ბანალურად მოეჩვენება მთლიანად ეს დადგენილება, რომელშიც ლაპარაკია დიდი ხნის წინათ მრავალი ავტორის მიერ თეორიულად ერთნაირად გადაწყვეტილ საკითხებზე; აღსანიშნავია, რომ მათი გადაწყვეტა აღარც პრაქტიკაში ხდებოდა სიძნელეებს, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, რაც მხოლოდ ცალკეული მუშაკების უცოდინარობით თუ აიხსნებოდა. თავისთავად ცხადია, „მკვლელობა“, „თვითმკვლელობა“, „უბედური შემთხვევა“ — ეს ისეთი მოვლენებია, რომლებსაც ვერც ერთი ექიმი ვერ განსაზღვრავს ინდივიდუალურად სიკვდილის ფაქტის მიხედვით. ექიმს შეუძლია დაადგინოს მხოლოდ სიკვდილის გამომწვევი უშუალო მიზეზი, მაგრამ, რაკი სიკვდილი, მკვლელობის, თვითმკვლელობისა თუ უბედური შემთხვევისას არ ხასიათდება რაიმე განმასხვავებელი საიდენტიფიკაციო ნიშნებით, ამიტომ საკუთრივ საგამომიბო-სასამართლო მტკიცების საგნად იქცევა მკვლელობაც, თვითმკვლელობაცა და უბედური შემთხვევაც.

ავტორები ამართლებენ კანონმდებელს, რაკი სისხლის სამართ-

¹ თეორია, გვ. 8.

ლის პროცესში ანალოგია დაუშვებლად არის მიჩნეული. მათი აზრით, ანალოგიის უარყოფისას კანონმდებელმა გაითვალისწინა ჩვენი საზოგადოების განვითარების დონე თანამედროვე ეტაპზე.¹ ვფიქრობთ, ამ არაფრისმთქმელი ფრაზით დაკმაყოფილება არ შეიძლება. უდავოა, რომ საზოგადოება ერთ ადგილზე არასოდეს არ შეჩერდება და მისი განვითარების შესაბამისად მომავალში უფრო მრავალფეროვანი გახდება პროცესუალური ურთიერთობანიც, რომელთაც ყოველთვის ეერ ასახავს მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობა.² ანალოგიის წინააღმდეგ ავტორებს მოჰყავთ ასეთი არგუმენტი, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, — წერენ ისინი, მტკიცებით სამართალთან დაკავშირებით, — მტკიცების ახალი ხერხები სისხლის სამართლის პროცესში წარმოიქმნებიან როგორც უკვე არსებულის სახეცვლილებანი; საგამოძიებო ექსპერიმენტი დათვლიერების სახეცვლილება იყო, ამოსაცნობად წარდგენა — დაკითხვის და ა. შ. მაგრამ შემდეგ მათი გამოყენების პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების შედეგად საჭირო გახდა ცალკე საგამოძიებო მოქმედებებად გამოყოფა და დამოკიდებულად რეგლამენტირებულნი იქნენ კანონმდებლობით.³

ნათქვამიდან, ვფიქრობთ, სწორედ ავტორების აზრის საწინააღმდეგო დასკვნა გამოძინარეობს, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტი არ იყო კანონში გათვალისწინებული, ჩვენ მაშინ ფაქტიურად ვიყენებდით დათვლიერების შესახებ პროცესუალური კანონის ანალოგიას; ასევე ითქმის ამოცნობასთან დაკავშირებით, როდესაც გამოიყენებოდა დაკითხვის შესახებ ისევე ფაქტიურად კანონის ანალოგია. „სახეცვლილება“ სხვა არაფერია, თუ არა „მსგავსება“, საგნის „გვირის“ მუწყებელი. მაშასადამე, ისტორიულად სისხლის სამართლის პროცესში უცხო არ იყო პროცესუალური კანონის ანალოგიის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ამჟამადაც, მაგალითად, ფაქტიურად კანონის ანალოგიით წარმოებს ჩვენების ადგილზე შემოწმება იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც ეს მოქმედება არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონით. ამის შემდეგ გაურკვეველია, რატომ უნდა უარვყოთ ანალოგიის გამოყენება, როცა იგი, კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით, არავის ინტერესებს არ ლახავს და ობიექტური პირობების გამო გარდუვალთა? თუ, მაგალითად, კინოგადაღება ფოტოგრაფირების სახეცვლილებათა,⁴ რა

¹ თეორია, გვ. 13.

² იხ. П. С. Элькин и др., Сущность советского уголовно-процессуального права, 1963, с. 160—162.

³ თეორია, გვ. 13—14.

⁴ იქვე, გვ. 14.

გვიშლის ხელს ვთქვათ, რომ კინოგადაღება უნდა მოხდეს იმ ნორმების დაცვით, რომლებსაც ითვალისწინებს ფოტოგრაფირება?

- მტკიცებით თეორიას კავშირი აქვს კრიმინალისტიკასთან. ლიტერატურაში მართებულად არის დაგმობილი ის არასწორი შეხედულება, თითქოს პროცესუალურისაგან განსხვავებით, კრიმინალისტიკის რეკომენდაციებს არა აქვთ საეაღლებულო ხასიათი. ეს დებულება გაუგებრობის შედეგია, რაკი არც ერთ მეცნიერულ დებულებას, წმინდა პროცესუალური ხასიათისა იქნება იგი თუ კრიმინალისტიკური. კანონის ნორმისეული საეაღლებულო ძალა არა აქვთ.¹ როგორც საყოველთაოდ მიღებულია, კანონმდებლობის მიერ განისაზღვრება ხოლმე საგამოძიებო — სასამართლო მოქმედებათა შესრულების ზოგადი წესები, ეს წესები არ იცვლება იმისდა მიხედვით, გამომძიებელი აწარმოებს, მავალითად, მოწმის დაკითხვას მკვლელობის, სპეკულაციის თუ სხვა საქმეზე, მოქმედება სრულდება ღამით, გამომძიებლის კაბინეტში თუ სხვა პირობებში. დავას არ იწვევს, რომ საგამოძიებო სასამართლო მოქმედებათა ზოგადი წესების, მთელი მტკიცების პროცესის ზოგად კანონზომიერებას შეისწავლის მტკიცებითი თეორია, მაგრამ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვთ მტკიცების პროცესის ცალკეულ ნიუანსებს — სასამართლო საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების გარემოებებს (ვითარება). საპროცესო კანონი არ ითვალისწინებს და. ცნობილია, ვერც გაითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის ყველა თავისებურებას, მისი გამოვლინების ფორმებს. დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენა, მათი ფიქსირება და შეფასება მთლიანად ვერ დაემყარება პროცესუალურ წესებს. უნდა შეგვეძლოს ფაქტების კონკრეტული პირობების შესატყვისად შეცნობა. ამის მიღწევა კი ამომწურავად მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ვახდენთ საგამოძიებო პრაქტიკის თეორიულ განზოგადებას ახალ-ახალი ტაქტიკური და ტექნიკური ხერხების შესამუშაებლად. მაგრამ კრიმინალისტიკა, იმ ნაწილში, რომელიც ეხება ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევას, სადღესოდ ობიექტების მეტად ფართო წრეს მოიცავს. ეს გარემოება ერთობ აბუნდოვნებს, გაურკვეველს ხდის კრიმინალისტიკის საგნის შინაარსს. ლიტერატურაში რატომღაც დამკვიდრდა ასეთი გამოთქმები: „ფიზიკური გამოკვლევა კრიმინალისტიკაში“, „ქიმიური მეთოდები კრიმინალისტიკაში“ და ა. შ. ეს გამოთქმები ფორმალურად მართლაც შეესატყვისება სინამდვილეს. საქმე ისაა, რომ კრიმინალისტიკურ დაწესებულებებში ნივთიერი დამამტკიცებ-

¹ თეორია, გვ. 29.

ბელი საბუთების ქიმიურ და ფიზიკურ გამოკვლევებს უმრავლეს შემთხვევაში აწარმოებენ ქიმიკოსები და ფიზიკოსები, რასაც ხშირად უწოდებენ „კრიმინალისტიკურს“, ეტყობა იმიტომ, რომ ამ სპეციალისტებს და კრიმინალისტებს „ერთ ჰერქვეშ“ უხდებოდა მუშაობა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ზოგჯერ ფიზიკური და ქიმიური ექსპერტიზების მეცნიერულ საფუძვლებზე სერიოზული გამომეტყველებით მსჯელობენ ექსპერტი-კრიმინალისტის მოწმობის მფლობელი დილეტანტებიც, რომელთაც არასოდეს არ მიუღიათ სპეციალური ცოდნა ამ ურთულესსა და შეუდარებელი ტემპებით განვითარებად დარგებში. განა საჭიროა სპეციალური მტკიცება იმისათვის, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებელია შეიქმნას, სასამართლო მედიცინისა და სასამართლო ფსიქოლოგიის მსგავსად, სასამართლო ქიმია და სასამართლო ფიზიკა? ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში თავიდან აცილებული იქნებოდა ყოველგვარი გაუგებრობა და მასთან ერთად მოხალისე „ფიზიკოსები“ და „ქიმიკოსები“... კრიმინალისტიკას ისედაც ბევრი ამოცანა აკისრია და სრულიად არ არის საჭირო უანგარიშოდ შევიტყუოთ ცოდნის იმ სფეროებში, საიდანაც საექვოა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძვლიანი ცოდნის გარეშე) სასარგებლო რამ გამოვიტანოთ; კრიმინალისტი განათლებითაც რომ ფიზიკოსი ან ქიმიკოსი იყოს, მისი ამ ხასიათის კვლევა მაინც არ იქნებოდა კრიმინალისტიკური, რადგან, საერთოდ დადგენილი წესისამებრ, ყველა მეცნიერებას აქვს თავისი საკუთარი საგანი, რომელიც შეპირობებულია შინაგანი კანონზომიერებებით. არის, რა თქმა უნდა, ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილი ქიმიური ან ფიზიკური მეთოდი, რომელიც სხვა მეცნიერებასაც შეუძლია გამოიყენოს, მაგრამ აქ ლაპარაკი ამაზე არ არის. მეცნიერების დასახელებული დარგების ზოგიერთი ე. წ. „მეთოდი“, რომელსაც იყენებს კრიმინალისტიკა, თვითონვე მოითხოვს მეცნიერულ შესწავლასა და გაღრმავებას, რაც, ცხადია, სცილდება კრიმინალისტიკის კვლევის ფარგლებს. კრიმინალისტიკა, ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მხოლოდ ობიექტების გარეგნობის ნიშნებს, მათ კანონზომიერებებს უნდა აქცევდეს ყურადღებას და მათ საფუძველზე ამუშავებდეს იდენტიფიკაციის გზებსაც. სწორედ ეს არის კრიმინალისტიკური ტექნიკის სპეციფიურობის ძირითადი განმსაზღვრელი, რაკი მეცნიერების არც ერთი დარგი არ ეხება მას. კრიმინალისტიკაში საგრძნობლად დაუმუშავებელია ცალკეულ დანაშაულთა განხილვის მეთოდის საკითხები. მართალია, ამ მიმართულებით სახელმძღვანელოები შეესებუ-

ლია პროგრამით გათვალისწინებული მასალით, დაწერილია ბევრი დისერტაცია, მაგრამ სქემატურობა და პროცესუალური დებულებების დუბლირება უეჭველად იგრძნობა მათში. ნაკლებად ხდება დანაშაულის ჩადენის საშუალებათა და ფორმების ღრმად შესწავლა და მათი განზოგადება; როგორც წესი, ზერელე ხასიათს ატარებს დამამტკიცებელი საბუთების მოპოვების ტაქტიკური ხერხების პრაქტიკის განზოგადება და სხვ.

მტკიცებით თეორიას, როგორც ცნობილია, კავშირი აქვს აგრეთვე ისეთ საბუნებისმეტყველო სპეციალურ დარგებთან, როგორიცაა — სასამართლო მედიცინა და სასამართლო ფსიქიატრია, რომლებიც, ევრღნობიან რა ზოგადი მედიცინის მონაცემებს, პროცესუალური ბრძნებისათვის აწარმოებენ როგორც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების. ისე ცოცხალი პირების გასინჯვა-გამორკვევას. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ქიმიკა და სასამართლო ფიზიკა ისეთსავე დამოუკიდებლობას დაიმკვიდრებენ, როგორიც აქვთ სასამართლო მედიცინას და სასამართლო ფსიქიატრიას, ცხადია, ისინი თავიანთო კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავენ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის ახალ-ახალ გზებს, რითაც მტკიცებით თეორიას საშუალება მიეცემა უფრო მეტად გააფართოოს ამ მიმართულებით ზოგადთეორიული განზოგადების საზღვრები, ხოლო კრიმინალისტიკას დაესახება პერსპექტივები ახალი ტექნიკური მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით.

რაკი ლოგიკისა და მათემატიკურ მეცნიერებათა მიღწევებით თანამედროვე ხანაში თითქმის ყველა სხვა მეცნიერების დარგიც სარგებლობს, ცხადია, შემთხვევით არ ყოფილა დასმული საკითხი მათი კრიმინალისტიკური მნიშვნელობის თაობაზე და, ამასთან, მტკიცებითი თეორიის თვალსაზრისით შეფასებაზეც. ცნობილია, რომ რაოდენობით მაჩვენებლებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ როგორც საგამომიებო მოქმედებათა (დათვლიერება, საგამომიებო ექსპერიმენტი...) ჩატარებისათვის, ისე ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევისათვის. კიბერნეტიკას დღეს გამოყენება აქვს ხელნაწერი ტექსტების მიხედვით პიროვნების დადგენისას (ალბათობის თეორიის მომარჯვებით, ხელის თითების ქარგების შესასწავლად და სხვ.¹) თანდათან ვრწმუნდებით, რომ მომავალში უფრო ფართო ასპარეზი დაეთმობა კიბერნეტიკას არა მარტო მტკი-

¹ Основы правовой кибернетики, под ред. М. С. Полевого и А. Р. Шляхова, 1977, с. 110—111; Основы применения кибернетики в правоведении, под ред. М. С. Полевого и Н. В. Витрука, М., 1977, с. 247—269.

ცვლის პროცესის ლოგიკური მოდელირების თვალსაზრისით, არამედ მისი მთლიანი წარმართვისათვის.

მტკიცებითი თეორია¹ განუხრელად იყენებს აზროვნების ლოგიკურ წესებს. ლოგიკის გარეშე არ ლაპარაკობენ რომელიმე სახის გამოკვლევაზეც... მაგრამ სასამართლო წარმოების პროცესში ჰეშმარიტების ძიების ლოგიკურ წესებს გამოჰყოფენ თავიანთი ინდივიდუალური ნიშნებითაც. ლიტერატურაში გავრცელებული აზრის მიხედვით, თავისებურება იქმნება, რაკი საქმის გამოძიება და გადაწყვეტა დაკავშირებულია კანონმდებლობის მიერ მტკიცედ დადგენილ დროსთან. მართლაც, მოტანილი დებულების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ დანაშაულის დროზე გახსნისა და გადაწყვეტის გარეშე ხდება თვით საგამომძიებო-სასამართლო ღონისძიებათა პრევენტიული როლის უგულებელყოფა. მაგრამ პრინციპულად მაინც ვერ უძლებს კრიტიკას ეს არგუმენტაცია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზოგჯერ სხვა სფეროებშიც ჰეშმარიტების დადგენის სისწრაფეს არანაკლები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. (მაგალითად ომიანობის დროს სამხედრო ტექნიკის დარგში მეცნიერულ აღმოჩენებს და ა. შ.). არც ის უნდა იყოს განსაკუთრებულად აღსანიშნავი, თითქოს მხოლოდ საგამომძიებო-სასამართლო გამოკვლევა ითავსებდეს შემეცნებითს და დამაჯერებლობით ამოცანებს.¹ შემეცნებისა და მისი რეზულტატების დამაჯერებლობის ურთიერთთანაფარდობის განსაზღვრა ერთნაირად არის გამძნელებული ცოდნის ყველა სფეროში. სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის დამაჯერებელი ის, რაც ჰეშმარიტია და პირიქით; ერთნი ძნელად იჯერებენ ჰეშმარიტს, მეორენი — ადვილად რწმუნდებიან არასარწმუნო მონაცემებითაც... ყველაფერი დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ შესაძლებელი მოვლენის რა ვითარებასთან გვაქვს საქმე, არამედ თვით შემეცნების სუბიექტებზეც და აგრეთვე იმ პირთა თავისებურებებზე, რომლებსათვისაც მნიშვნელობა აქვს, რომ დამაჯერებელი იყოს გამოსაკვლევ ობიექტებზე დასკვნები. მტკიცების პროცესშიც ადგილი აქვს ხოლმე პარადოქსულ მოვლენებს: გამომძიებელს, მოსამართლეებს სჯერაფ, რომ სწორად შეაფასეს ფაქტები; დამნაშავის მიმართ სწორად მიიღეს კანონით გათვალისწინებული ზომები, რაკი ფიქრობენ, რომ ჰეშმარიტება უტყუერად დადგინდა, არ იწვევენ დავას არც მოწმეთა ჩვენებები, არც ნივთიერი საბუთები და ა. შ., ჰეშმარიტება, რომ იტყვიან, ყველასათვის ნათელია... მაგრამ სამწუხაროდ, შეიქმნება ხოლმე ისეთი გარემოებანი, ხდება ფაქტების

¹ — გ. რ. ი. გ. 4.

იმდაგვარი დამთხვევები და ურთიერთთან მოჩვენებითად დაკავშირება, რომ ზოგჯერ მართლაც ძალიან ძნელდება. ექვი შეგუპაროს მათგან გამოტანილ კატეგორიული დასკვნის სისწორეში; ამას ხელს უწყობს ის, რომ ყველა ცალკე აღებული ფაქტი, — მიღებული ინფორმაცია არამც და არამც არ იწვევს დავას, მაგრამ სწორედ მათი „ერთობლივი შეფასებიდან“ მომდინარეობს შეცდომები; უფრო სწორად, როცა არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებს ფორმალურად, მექანიკურად აფასებენ, როცა უნებურად ინფორმაციების რაოდენობით მხარეს მეტი ყურადღება ექცევა, შეცდომები ყოველთვის არის მოსალოდნელი. ამის შესახებ დაწერილებით უფრო სხვა პრობლემასთან დაკავშირებით იქნება აღნიშნული, მაგრამ აქ მხოლოდ იმას უნდა გაესვას ხაზი, რომ მტკიცების პროცესი არაერთა საფუძველს არ იძლევა, რომ, სხვა სფეროში შემეცნებისაგან განსხვავებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ თვისებებზე ვილაპარაკოთ. რ. ს. ბელკინისა და ა. ი. ვინბერგის აზრით, მტკიცების პროცესში ლოგიკური წესების გამოყენებას ის თავისებურება ახასიათებს, რომ იგი მიმართულია ერთეულ, განუმეორებელ მტკიცების საგანზე, სადაც ამის გამო სპეციფიურია განზოგადება და ტიპიზაცია.¹ ვფიქრობთ, ყოველი გამოკვლევა მიმართულია „ერთეულ საგანზე“, უსაგნო კვლევა წარმოუდგენელია. საგნები კი ყოველთვის კონკრეტულნი არიან. ამას გარდა, შეუძლებელია ჰეშმარიტი კვლევის წარმოება, სადაც გამოყენება არ ექნება ტიპიზაციისა და განზოგადების ხერხებს. განა შესაძლებელია ერთეული საგნების ნიშანთვისებების შესწავლა, თუ ამავე დროს ადგილი არ ექნება მათ ტიპიზაციას, განზოგადებას? სად გაგონილა კონკრეტულის ზოგადის გარეშე შესწავლა, როცა შემეცნებაზეა ლაპარაკი? აგრეთვე არასწორია „სასამართლო ლოგიკის“ თავისებურების ახსნა იმით, რომ გამოკვლევს ეწინააღმდეგება სუბიექტი, რომელიც ცდილობს დაფაროს ჰეშმარიტება, (ა. მ. ლარინი)². ჰეშმარიტების დაფარვაში მოწადინებულნი, ცხადია, სხვა დარგებში გამოკვლევის დროსაც გამოჩნდებიან ხოლმე, ამასთან დაკავშირებით სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს ცხოვრებისეული მგაღალითების გახსენება... ასევე არასწორია იმის მტკიცება, რომ რაკი სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოკვლევა აუცილებლად უნდა დამთავრდეს გადაწყვეტილების მიღებით, რომელსაც მოსდევს სამართლებრივი შედეგები, თითქოს ამაშიც ვლინდება ლო-

¹ Р. С. Белкин, А. И. Винберг. Криминалистика и дознание, 1989, с. 11.

² თ ე ო რ ი ა, გვ. 4.

გიური კანონების გამოყენების თავისებურება (მინკოვსკი გ. მ...)¹ განა სხვა სახის სამართალდარღვევის შემთხვევებში სათანადო ორგანოები არ ღებულობენ გადაწყვეტილებებს? იქნებ მათ არ სჭირდებათ ლოგიკის კანონებით სარგებლობა? უწყებების ან ხელისუფლების სხვა ორგანოების დავალებით შექმნილი კომისიების მიერ ჩატარებული გამოკვლევები არ მთავრდება გადაწყვეტილებებით და მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგებით? საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საქმის გამოძიება-განხილვის დროს ლოგიკის კანონების რაღაც სპეციფიურ გამოყენებაზე მსჯელობა მეცნიერულ საფუძველს არ ემყარება. ლოგიკის კანონებს ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ შემეცნების ყველა სფეროსათვის. ჩვენ ვერ ვხედავთ განსხვავებას ლოგიკის გამოყენების თვალსაზრისით, ერთის მხრივ, როცა გამოძიებელი იღვწის თავის სასურველ შედეგს მიაღწიოს, და, მეორე მხრივ, თუ, მაგალითად, ექვანი მეუღლე ცდილობს „მოღალატე გამოიქიროს“... ორივე შემთხვევაში აზრობრივი ამოცანების დაყენებისა და მათი გადაწყვეტისათვის ერთნაირადაა საჭირო ლოგიკის კანონების გამოყენება.

დაბოლოს, მტკიცებით თეორიას გარკვეული ურთიერთობა აქვს სასამართლო ფსიქოლოგიასთან, ე. ი. სპეციალურ სასწავლო-სამეცნიერო კურსთან; რომელიც იკვლევს კანონიერების დაცვისა და გატარების, ორგანოთა მოქმედებების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს. ფსიქოლოგიის მეცნიერული მონაცემების იურისპრუდენციასა და სასამართლო პროცესში გამოყენების პრაქტიკას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს მონაცემები, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანია როგორც სისხლის სამართლებრივი პრობლემების (ჩვიდებულის, ბრალდებულის ქცევის მოტივის, მიზნის, ბრალის) დამუშავებისას, ისე საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედებათა და სასჯელის უზრუნველყოფის ფსიქოლოგიური მხარეების შესწავლისათვის. რაკი ფსიქოლოგია იკვლევს პროცესუალურ მოქმედებათა ფსიქიკურ თვისებებს, ცხადია, ამ თვისებების სწორი ანალიზი გვეხმარება ქვეშარტების დადგენისათვისაც.

¹ თეორია, გვ. 4; იხ. აგრეთვე А. А. Старченко, Логика в судебном исследовании, 1958.

დღემდე დავობენ ამ სპეციალური კურსის სახელწოდებაზე. ვფიქრობთ, უმჯობესია მას ეწოდოს კრიმინალური ფსიქოლოგია (პირვეანდელი მისი სახელწოდება). ამასთან დაკავშირებით არ უნდა იყოს სწორი საკვლევი საგნის დაქუცმაცება სამართლის დარგების მიხედვით. კრიმინალურმა ფსიქოლოგიამ უნდა ასახოს იმ პრობლემების მთელი კომპლექსი, რომელიც საკიბრობოტოა დანაშაულის ჩადენისა და დამნაშავეთა (დასჯილთა) აღზრდის ფსიქოლოგიური მხარის თვალსაზრისით.

II. მტკიცებითი თეორიის მეთოდოლოგიური საფუძვლები

ქეშმარიტება ითვლება არამართო შემეცნების მიზნად, არამედ მის საგნადაც. რაკი შემეცნების თეორიას ქეშმარიტების შესახებ მოძღვრებასაც უწოდებენ, რომელიც დიალექტიკის ნაწილიცაა, ამიტომ, ცხადია, მტკიცებითი თეორიის მეთოდის დახასიათებისას ცენტრალური ადგილი უნდა დაეთმოს თვით ქეშმარიტების რაობის ჩვენებას სასამართლო წარმოების პროცესში. ცნობილია, რომ ქეშმარიტება ადამიანის ცნობიერების გარეშე არ არსებობს. ობიექტური სინამდვილის საგნები თავისთავადნი არიან და არაფერი აქვთ საერთო ქეშმარიტებასთან იქამდე, სანამ ადამიანი არ დაუკავშირდება მათ ასახვის ფორმით — აღქმისა, წარმოდგენისა, თუ რაიმე ცნებების დადგენის პროცესში. ქეშმარიტებას რომ საკუთრივ ცნობიერებაც ვერ განსაზღვრავს, ეს უდავო დებულებად ითვლება. ქეშმარიტება ცნობიერია იმდენად, რამდენადაც შემეცნებელი სუბიექტია, იგი ასახვად ადამიანის გონებაში, მაგრამ, როგორც დადგენილია, თვით ეს ასახვა, როგორც სინამდვილის ადეკვატური სურათი, სრულებითაც არ არის დამოკიდებული ადამიანის ნება-სურვილზე, მის სუბიექტურ ფაქტორებზე; ქეშმარიტება მუდამ შეპირობებულია ობიექტური სინამდვილით. იგი ეფუძნება მხოლოდ ობიექტურ ნიშან-თვისებებს. შემთხვევითი არ არის მარქსისტულ ფილოსოფიაში „ობიექტური ქეშმარიტების“ ტერმინის დამკვიდრება, რითაც, თავისთავად ცხადია, არ ხდება იმის უარყოფა, რომ ცნობიერებაც სინამდვილის ნაწილია, სხეანიარად გაძნელებოდა მისი შემეცნების საგნად დასახვა.

დიალექტიკის კანონის მიხედვით, რაკი ბუნებისა და საზოგადოების მოვლენები მუდმივად ვითარდებიან და იცვლებიან, ცხადია, ქეშმარიტებაც ამ კუთხით უნდა იქნეს გაგებული. ქეშმარიტებას იმასაც უკავშირებენ, თუ ადამიანი როგორ ახდენს ზემოქმედებას

ბუნებაზე, რომ დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნები. ქეშმარიტება ეფუძნება პრაქტიკას და ამიტომაც თვით პრაქტიკაა მიჩნეული ქეშმარიტების კრიტერიუმად. მართალია, შემეცნების პროცესიც ცვალებადია, იგი არ შეიძლება დასრულდეს ოდესმე, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს შემეცნებელი გუშინდელზე უკეთესია და ხვალ კიდევ ვაცილებით უკეთესი იქნება? ქეშმარიტების ცვალებადობა. რომელიც ეფუძნება პრაქტიკისა და შემეცნების განვითარებადობას, არ შეეხება შეფასებითს მხარეს. უფრო სწორად, საკითხი უნდა გადაწყდეს არა იმისდამხედვით, თუ რა არის დღეს სასურველი და რა არა, არამედ მხედველობაში მისაღებია მხოლოდ სინამდვილის ობიექტური ნიშან-თვისებები. სხვანაირად ქეშმარიტება შეიზღუდებოდა კლასობრივი თუ სხვა ინტერესების ფარგლებით. სწორედ ქეშმარიტების ობიექტური ხასიათი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ დავადგინოთ აბსოლუტური ქეშმარიტება, რომელიც, როგორც აღიარებულია, შეფარდებით ქეშმარიტებათა კრებადობით მიიღება... რაც უფრო მეტი ინფორმაცია იქნება დაგროვილი ამა თუ იმ საგნის რაობის შესახებ, მით უფრო სრული იქნება ჩვენი წარმოდგენა სინამდვილეზე და ბოლოს ამ გზით შესაძლებლად ითვლება აბსოლუტური ქეშმარიტების მიღწევა. მაგრამ აბსოლუტურ ქეშმარიტებას ვერ მივიღებთ შეფარდებით ქეშმარიტებათა მექანიკური შეერთებით, მარტოოდენ მათი რაოდენობითი მხარეების გათვალისწინებით; ასე რომ იყოს, მაშინ წინა ეპოქაში შეფარდებით ქეშმარიტებად მიჩნეული ფენომენები მომდევნო ეპოქაში აბსოლუტურ ქეშმარიტებად შექამდებოდნენ, რადგან თუ შეფარდებით ქეშმარიტება ეპოქალური მოვლენებით (პირობებით) არის განსაზღვრული, ყოველი ეკონომიკური ფორმაცია კი, ყოველთვის პროგრესულია წინა ფორმაციასთან შედარებით, მაშასადამე, აბსოლუტური ქეშმარიტების მისაღებად საკმარისი იქნებოდა მხოლოდ ამ საზღვრების გადალახვა... თუ შეფარდებითი ქეშმარიტება არის ობიექტის სწორი, მაგრამ არასრული ასახვა, რომელიც შემდგომში შესაძლოა შეიცვალოს, დაზუსტდეს, გაღრმავდეს... ჩანაირად გვაძლევს ამდაგვარი ქეშმარიტებათა ჯამი აბსოლუტურ ქეშმარიტებას? უპირველესად, ნათელი ხდება ის, რომ ქეშმარიტება მხოლოდ კონკრეტულია. ცოდნა ვაცილებით ფართოა ქეშმარიტებაზე, მაგრამ ქეშმარიტება შეიძლება იყოს და არის კიდევ რაიმეს ცოდნის შედეგი, როგორც წესი. შეიძლებოდა თუ არა მიგველო აბსოლუტური ქეშმარიტება, თუ ეგრეთწოდებულ შეფარდებით ქეშმარიტებაში არ გვექნებოდა ნაგულისხმევი აბსოლუტური ქეშმარიტების მარცვლები? რა

ოქმა უნდა არა. და სწორედ ამიტომ „შეფარდებით ჭეშმარიტებას“ მხოლოდ ეს მარცვლები აქცევენ ჭეშმარიტებად; მათ გარეშე ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი უაზრობა იქნებოდა. ეს მარცვლები არიან თვისებები, რომლებითაც ხასიათდება ეს თუ ის კონკრეტული მოვლენა, საგანი. იმ შემთხვევაში, თუ შეფარდებით ჭეშმარიტებაში შემავალი მონაცემები არ იქნებოდნენ მუდმივი ფაქტების გამომხატველები, მაშინ ჩვენ მივიღებდით იმას, რომ თვით აბსოლუტური ჭეშმარიტების საფუძველიც (როგორც შეფარდებით ჭეშმარიტებათა ჯამი) არა-ჭეშმარიტი იქნებოდა.

ყველა მოვლენა რომ პირობითიცაა, დავას როდი იწვევს. ეს გარემოება მხოლოდ იმისკენ გვიბიძგებს, რომ კონკრეტულ მოვლენის შესწავლა მოხდეს სხვა უამრავ მოვლენათა კავშირების გათვალისწინებით, მაგრამ პარადოქსი იქნებოდა, რომ ამ თვალსაზრისით მხოლოდ „მიახლოებით ჭეშმარიტებაზე“ გველაპარაკა, მაშინ ეჭვის თვალით უნდა შეგვეხედა არამარტო ჩვენს გარშემო ყოველდღიურად მიმდინარე მოვლენებისათვის, ასევე მთელი კაცობრიობის კულტურული და მეცნიერული მონაპოვრებისათვისაც; აღარაფერი იქნებოდა სამუდამოდ გადაწყვეტილი, ყველაფერს ამგვარი „პირობითი“ ხასიათი ექნებოდა, ისინი რეალურად მიიჩნეოდნენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ვარსებობთ ჩვენ და სხვანი... ასეთი „პირობითობა“ საფუძველს გამოაცლიდა კონკრეტულ მოვლენათა მყოფობასაც. ისინი შეუცნობელადაც უნდა გამოცხადებულყვნენ. როდესაც ლაპარაკია შეფარდებით ჭეშმარიტებაზე, უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ჭეშმარიტების ფარგლები, ესე იგი ის შესაძლებლობანი, რომლებიც პერსპექტიულად ისახებიან ამა თუ იმ მოვლენის სხვა მხარეების გამოკვლევისათვის, მაგრამ ის, რაც გამორკვეულია და დასაბუთებული, იგი ან ჭეშმარიტია ან არ არის ასეთი, საშუალო არ შეიძლება იყოს. თუ მოვლენის რომელიმე მხარე, მისი რომელიმე დეტალი შეცნობილია, მაშასადამე, ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე. და ის, რომ, როგორც წესი, ჩვენი შესაძლებლობები ვერ უზრუნველყოფენ მოცემული მოვლენის მთლიან და ამომწურავ შეცნობას, ეს სრულიადაც არ მიუთითებს იმაზე, რომ მხოლოდ „შეფარდებით ჭეშმარიტებაზე“ ვილაპარაკოთ. მოვლენა მთლიანად დასრულებული სახით არც შეიძლება დახასიათდეს ჭეშმარიტების კუთხით. ეს იმიტომაც, რომ ჩვენ სრულად ვერასოდეს გავითვალისწინებთ ამ მოვლენასთან დაკავშირებულ მტკიცების საგანს, ე: ი. იმას, თუ რა შეიძლება გამორკვეული იქნეს ამ მოვლენასთან მიმართებაში (სამყარო ხომ უსასრულოა!). და ის, რაც ჩვენი თვალსაზრისის ცენტრშია, რაც ამოცანის სახით გვეძლევა, სწორედ კატე-

გორიულ ფორმაში მისი დაძლევისა და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტისაგან უნდა გამოვიყვანოთ: აბსოლუტური ჭეშმარიტების ცნება. ჭეშმარიტების სხვანაირი გაგება აზრს დაუკარგავდა მას; შეიძლება მოვლენა ერთსა და იმავე დროს ჭეშმარიტადაც გვეცნო და არც გვეცნო ასეთად. ვიმეორებთ, ჭეშმარიტების შეფარდებითობა ეხება მხოლოდ გამოსაკვლევი ობიექტის ჭეშმარიტობის მოცულობას, მის საზღვრებს. ცხადია, მეცნიერების დონის ამაღლებას უეჭველად თან ახლავს შესასწავლი ობიექტების კვლევის ფარგლების გაფართოება: ობიექტების სხვადასხვა ასპექტების ჭეშმარიტობის დონეზე შესწავლა და გადაწყვეტა იწვევს მონათესავე ასპექტების გაერთიანებას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ჭეშმარიტებების გამსხვილებას“, და ეს მაშინ, თუ აქაც, რასაკვირველია, მხედველობაში გვექნება მხოლოდ აბსოლუტური ჭეშმარიტების საზომები; სხვანაირად ისევ იქამდე მივალთ, რომ იძულებული ვიქნებით ვადიაროთ — თითქოს ჭეშმარიტება ერთსა და იმავე დროს აბსოლუტურიც არის და შეფარდებითიც. ამით კი ფაქტიურად უარს ვიტყვით პრობლემის გადაწყვეტაზე.

საბჭოთა პროცესუალურ ლიტერატურაში განსაკუთრებულ ადგილი ეთმობა ობიექტური ჭეშმარიტების პრობლემას. რაკი მტკიცება თავისი ხასიათით უთანაბრდება შემეცნების პროცესს, აქედან გასაგები უნდა იყოს ჭეშმარიტების როლის გარკვევაში ესოდენ დიდი ინტერესი. მ. ს. სტროგოვიჩის აზრით, ობიექტური (მატერიალური) ჭეშმარიტება ეს არის სისხლის სამართლის პროცესის უშუალო მიზანი¹. ეტყობა, ავტორს მხედველობაში აქვს სისხლის სამართლის პროცესი მტკიცების თვალსაზრისით, თორემ, ცხადია, სასამართლო წარმოება მართლ იმით ვერ დაკმაყოფილდება, რომ დაადგინოს ჭეშმარიტება. თუ ჭეშმარიტება გულისხმობს ფაქტების იმ სახით დადგენას, როგორც მათ სინამდვილეში ჰქონდათ ადგილი,² ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე დადგენილი ფაქტების საფუძველზე განსორციელებს სასამართლო წარმოების ამოცანაც — ე. ი. დაისაჯოს დამნაშავე. ზოგადი და კერძო პრევენციის უზარუნელსაყოფად. ან უდანაშაულოდ იქნეს მიჩნეული პირი, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია, დასჯა სიტყვის პირდაპირი გაგებით არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მიზნად. იგი მხოლოდ იმას გამოხატავს, რომ რაკი დანაშაულს ჰქონდა ადგილი უეჭველად დასჯაც გარდუვალია, როგორც დანაშაულის აუცილებელი ელემენტი, როგორც მისგან გამომ-

1. იხ. მისი დასახ. კერძო. ტ. I. 1968, გვ. 313.

2. იქვე.

დინარე და ამავე დროს მისი განმსაზღვრელი თვისებაც. უდავოა, სასამართლო წარმოებისათვის ვერ შემუშავდება ჰეშმარიტების სპეციალური ცნება. ჰეშმარიტება, ისევე უნდა იქნეს გაგებული ჰროცესუალურ მეცნიერებაში, როგორც ფილოსოფიაში. როგორც ლიტერატურიდან უკვე ცნობილია, სისხლის სამართლის პროცესში ჰეშმარიტების პრობლემაზე არსებობს სხვადასხვა შეხედულება. ა. ი. ვიშინსკი ჯერ კიდევ 1937 წელს ამტკიცებდა, რომ სასამართლო წარმოების დროს ადგილი აქვს შესაფასებელი ფაქტების მაქსიმალური ზღბათობით დადგენასო.¹ ს. ა. გოლუნსკის ჰეშმარიტება ესმოდა, როგორც ალბათობის ხარისხი, რომელიც აუცილებელი და საკმარისია განაჩენის დასაბუთებისათვის. მ. ა. ჩელტოვის აზრით, თუ ჩვენი დასკვნა საქმეზე არაფრით არ არის უარყოფილი, მა' ვლებულობთ, როგორც ჰეშმარიტებას (იხ. მისი Уголовный процесс, 1948).

ამ შეხედულებათა წინააღმდეგ ერთ-ერთმა პირველმა მ. ს. სტროგოვიჩმა გაილაშქრა, თავის ცნობილ მონოგრაფიაში (Учение о материальной истине в советском уголовном процессе, 1947). მიუხედავად იმისა, რომ პროფ. მ. ს. სტროგოვიჩმა საკმაოდ დამაჯერებლად გააკრიტიკა შეფარდებითი ცოდნის მტკიცების პროცესში გამოყენების კონცეფცია, მაინც არიან ავტორები, რომლებიც კვლავ ცდილობენ დაასაბუთონ ალბათობის საფუძველზე საქმის გადაწყვეტის შესაძლებლობა და, სხვათა შორის, უკვე თითქმის უფრო მეტი მეცნიერული სიზუსტის პრეტენზიაც აქვს ამ დასაბუთებას. მაგალითად, ს. ვ. კურილევი მართლმსაჯულებაში დამაჯერებლობისა და შეფარდებითობის საკითხთან დაკავშირებით იშველიებს ალბათობის შესახებ მათემატიკურ თეორიას. ვ. ღოროხოვი დამაჯერებლად აკრიტიკებს ს. ვ. კურილევს და დასძენს, რომ ალბათობა როგორც მიახლოებული ცოდნა, რომელსაც გაუგებრობასა და ჰეშმარიტებას შორის უკავია ადგილი, არ შეიძლება საფუძველად დაედოს პირის ბრალეულობას.² არ არის სარწმუნო ს. ვ. კურილევის შემდეგი მსჯელობა: თუ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს აღმოაჩნდება დანაკლისი, იგი ბრალეულია ამ დანაკლისისათვის; მაგრამ როდესაც შეუძლებელია დავადგინოთ დანაკლისი შედეგია ვატაცებისა თუ დაუდევრობის, ამ შემთხვევაში, ავტორის აზრით, მატერიალურმა პასუხისმგებელმა პირმა პასუხი უნდა აგოს დაუდევრობის ბრალით (ალბათობის თეორიის მიხედვით) და საჭიროა უარყოფილ იქნას ვატაცების ალბათობა,

1. მ. ს. სტროგოვიჩის კურსი, ტ. 1. გვ. 328.

2. თეორია, გვ. 48.

თუნდაც იგი მეტი შესაძლებლობის მაჩვენებელი იყოს.¹ ეს ულოგიკო და მეცნიერულად მიუღებელი დებულებაც სამართლიანად იქნა დაგმობილი ლიტერატურაში. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, არ შეიძლება თანამდებობის პირის მატერიალური ფასეულობის დანაკლისის გამო ბრალეულობაზე ლაპარაკი. ფასეულობის დანაკლისი, ცხადია, თავისთავად არ ადასტურებს მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ბრალს. დანაკლისი, რასაკვირველია, დანაშაული არ არის. დანაშაულის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია გამოვლინდეს ბრალის კონკრეტული ფორმა.² საამისოდ არ გამოგვადგება მხოლოდ მიზანშეწონილობის პრინციპით სარგებლობა, ვერც ის, რომ ვთქვათ, ოთქოს ეს კეთდება ბრალდებულის ინტერესების „სასარგებლოდ“, რადგან მარტოოდენ ფასეულობის დანაკლისის გამო მატერიალურად პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებაში მიცემა თავისთავად უკმე ნიშნავს მის კანონიერ უფლებათა უკიდურეს დარღვევას.

სასამართლო წარმოების დროს ჭეშმარიტების დადგენასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ცნობილია შეხედულებათა ოთხი განშტოება:³

I. მ. ს. სტროგოვიჩის აზრით, სისხლის სამართლის პროცესში უნდა დადგინდეს ფაქტის ჭეშმარიტება, ანუ აბსოლუტური ჭეშმარიტება ბანალური ფორმით⁴ (ამავე აზრს იზიარებენ: ნ. ს. ალექსეევი, ა. ა. სტარჩენკო და სხვ.);

II. შეფარდებითი ჭეშმარიტების კონცეფციას იზიარებენ ლ. ტ. ულიანოვა, ვ. ს. თადეოსიანი და სხვ.

III. ჭგუფი ავტორებისა თვლის რომ ჭეშმარიტების ფილოსოფიური გაგება სასამართლო წარმოებაში არ გამოიყენებაო (ა. ლ. რივლინი და სხვ.);

IV. არიან ავტორები, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესში ერთდროულად შეფარდებითსა და აბსოლუტურ ჭეშმარიტების დადგენას უჭერენ მხარს⁵ (ა. ი. ტრუსოვი, ვ. ი. ღოროხოვი და სხვ.).

დავიწყეთ ბოლოდან. როგორც ცნობილია, შემეცნების თეორია გულისხმობს შეუცნობადობიდან შეცნობითობაზე გადასვლას, ამ გზით ჩვენ ვუახლოვდებით ობიექტურ ჭეშმარიტებას, ოღონდ ვერა-

¹ „Правоведение“, 1968, № 1, с. 69.

² თეორია, 83. 49.

³ თეორია, 83. 53—54.

⁴ М. С. Строгович. Курс, т. I, с. 316.

⁵ А. И. Трусов. Основы теории судебных доказательств. 1960, с. 10—15.

სოდეს ვერ ამოვწურავთ მას, აბსოლუტური ქეშმარიტება არის კონკრეტულად განსაზღვრული მოვლენის სრული და ამომწურავი შემეცნება, არ გამოირიცხავენ ფაქტის ბანალური ფორმით დადგენასაც (საგნის უდავო, ამომწურავი ასახვა); ცნობილია აგრეთვე, რომ შეფარდებითი ქეშმარიტებაც ობიექტური სინამდვილის სწორი, მაგრამ არასრულ ასახვად არის მიჩნეული, რომელიც განიცდის შემდგომ ცვალებადობას, თუ გაუმჯობესებას. ვ. ი. დოროხოვის აზრით, ის, ვინც ამტკიცებს, რომ განაჩენი მხოლოდ აბსოლუტური ქეშმარიტებაა, ერთმანეთთან აიგივებს ობიექტურსა და აბსოლუტურ ქეშმარიტებებს, შეფარდებითი ქეშმარიტება კი ეკარგება მხედველობიდან.¹ ფიქრობთ, აქ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ქეშმარიტება ობიექტურ ქეშმარიტებად ითვლება. მაგრამ, რაკი შეფარდებითი ქეშმარიტება შეიცავს აგრეთვე აბსოლუტური ქეშმარიტების ელემენტებსაც, განა აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ საგამოძიებო-სასამართლო ორგანოები ერთდროულად ადგენენ როგორც შეფარდებითს, ისე აბსოლუტურ ქეშმარიტებას?² ის, ვინც სასამართლო წარმოების დროს ერთდროულად მოითხოვს შეფარდებითსა და აბსოლუტური ქეშმარიტების დადგენას (ვ. ნ. კუდრიაეცევი და სხვ.), ფაქტიურად უარს ამბობს პრობლემის გადაწყვეტაზე, გვერდს უვლის სპეციფიკურ წინააღმდეგობებს, რომლებიც თავს იჩენენ მტკიცების პროცესის ღრმად გააზრებისას. ეს არის ყველაზე უფრო იოლი გზა, რომელიც ზოგადი მსჯელობების გარდა არაფრის მაჩვენებელია. როგორც ცნობილია, ყველა მოვლენა განხილულ უნდა იქნას მისი ნიშან-თვისებების დიალექტიკურ მთლიანობაში, მაგრამ განა თვით ამ ნიშან-თვისებებიდან რომელიმე მათგანიც არ წარმოადგენს ხოლმე გარკვეულ პირობებში დამოუკიდებელი კვლევის საგანს? მაშინ ხომ იგი უნდა გამოვაცალკევოთ სხვა მსგავს ან საპირისპირო ნიშნებისაგან? შემეცნების პროცესი ერთგვარად ზღვარდადებულია, თუ მხედველობაში მივიღებთ მეცნიერების ცალკეული დარგების ამოცანებს. ყველა დარგს თავისი კვლევის საგანი გააჩნია და, ცხადია, ამ ფარგლებით იზღუდება. მაგრამ თვით ამ ფარგლებშიც მეცნიერული ქეშმარიტება ზღვარდაუღებელიცაა; აბსოლუტური ქეშმარიტება ამ შემთხვევაში ფარგლების გათვალისწინებით პროსპექტულია, იგი ერთგვარად გამოხატავს იმ სწრაფვას, რა გზითაც ვითარდება და სრულ სახესღებულობს მეცნიერება. თვით მეცნიერული ღებულების ქეშმარიტობა ამავე დროს ზღვარდადებული-

¹ თეორია გვ. 57.

² ოქვი, გვ. 58.

ლიცაა თუ მხედველობაში მივიღებთ არამარტო შემეცნების კონკრეტულ დარგების სპეციფიკიდან გამომდინარე შესასწავლ მხარეებს, არამედ იმასაც, რომ მეცნიერების სხვა დარგები სრულიად სხვა მხრივ იხილავენ ამავე დებულებას და ა. შ. მაგრამ ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ მეცნიერებაში არაფერია გადაწყვეტილი აბსოლუტური ქეშმარიტების დონეზე? ამა თუ იმ დებულების ქეშმარიტობაზე რომ ვლაპარაკობთ, ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ თვით ამ დებულების საწყისები, ე. ი. ის „ქვედებულებანი“. რომლებიც ბანალური ქეშმარიტების დონეზე არიან დადასტურებულნი. სხვანაირად იმასაც ველარ ვიტყვოდით, რომ „შეფარდებითი ქეშმარიტება“ შეიცავს აბსოლუტური ქეშმარიტების ელემენტებს. ეს „აბსოლუტური ქეშმარიტების ელემენტები“, ჩვენის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა „ქვედებულებათა“ აბსოლუტური განსაზღვრულობა. ჩვენ მათ ძირითადი დებულების დახასიათებისას ვიყენებთ, როგორც წინამძღვრებს, მაგრამ თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ, ისინი უკვე დამოუკიდებელ კონკრეტულ დებულების ფორმას მიიღებენ და ამ თვალსაზრისით შეგვიძლია აბსოლუტური ქეშმარიტების საზომით მივუდგეთ მათ. მაშასადამე, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ მოცემულ შემთხვევაში რომელ დებულებას ვიხილავთ. და რა ასპექტში. ასე რომ არ იყოს აბსოლუტურ ქეშმარიტებას დაეკარგებრდა ყოველგვარი ფასი. იგი შინაარსისაგან დაკლილ გამოთქმად დარჩებოდა.

ვფიქრობთ, ვ. ი. დოროხოვი წინააღმდეგობაში ეარდება მსჯელობის დროს. მისი აზრით, ქეშმარიტება აბსოლუტურია იმდენად, რამდენადაც სასამართლომ დამაჯერებელი და სრულიად გარკვეული პასუხი უნდა გასცეს სამართალში მიცემულის ბრალეულობაზე, კვალთიფიკაციის სისწორეზე და გამოიტანოს მართებული განაჩენი.¹ ცოტა უფრო ქვევით იგი წერს: გამოძიების ორგანოები და სასამართლო შეიცნობენ მხოლოდ იმის ნაწილს, რაც სინამდვილეში მოხდა, შეიცნობენ იმას, რაც პასუხობს მათ წინაშე დაყენებულ ამოცანას — დანაშაულის გახსნა, დამნაშავეის დადგენა და სამართლიანი დასჯა. ამ აზრით, ქეშმარიტება შეფარდებითია.² შეფარდებითი ქეშმარიტება ისე შეესატყვისება აბსოლუტურ ქეშმარიტებას, როგორც ნაწილი მთელს და ემსახურება უკანასკნელის დადგენას; იგი უშვებს შემდგომ გამოკვლევას, დამატებებსა და შევსებას.³ როგორც ჩანს, ავტორი ვერ ითვალისწინებს ქეშმარიტების კონკრეტულობას, ერთი და იგივე წყების ფაქტების ქეშმარიტობას სხვადასხვა სახელწოდე-

¹ თეორია, გვ. 55.

² იქვე, გვ. 56—57.

³ იქვე, გვ. 57.

ბით ნათლავს. შეშეცნებაში საერთოდ და მტკიცების პროცესშიც, კერძოდ, ცნობილია, რომ დებულების (თეზისის, ინფორმაციის) ჭეშმარიტობა ყოველთვის კონკრეტულ ხასიათს ატარებს, არ არსებობს დებულება (თეზისი ან ინფორმაცია) უსაგნოდ; ამ თვალსაზრისით დოროხოვის პირველ თეზისში მოტანილი აბსოლუტური ჭეშმარიტების საფუძველი სრულიად ემთხვევა მეორე თეზისის საფუძველს. თუ გამოძიების ორგანოები და სასამართლო შეიცნობენ იმას, რაც პასუხობს მათს წინაშე დაყენებულ ამოცანებს და ეს ფასდება, როგორც შეფარდებითი ჭეშმარიტება, რომელიც არ გამორიცხავს შემდგომ გამოკვლევას (დამატებებისა და შევსების სახით), მაშ რა-ნაირად ვღებულობთ, აქედან გამომდინარე, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას?

ცნობილია, რომ კანონით განსაზღვრულია ყველა ის გარემოება, რაც უნდა დადგინდეს სისხლის სამართლის საქმეებზე. სწორედ ამიტაც განასხვავებენ სასამართლო წარმოების დროს მტკიცებას სხვა სახის შეშეცნების ფორმებისაგან; მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ, რაკი სასამართლო-საგამოძიებო ორგანოები კონკრეტულ ამოცანებს წყვეტენ, ისინი არ აღგენენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას? რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერული დებულებების ჭეშმარიტობაც გარკვეულ საზღვრებს გულისხმობს, დებულების ჭეშმარიტობას განსაზღვრავს მეცნიერების დონე, ცხოვრების პრაქტიკა, მკვლევარის მეცნიერული ალლო და განჭვრეტის უნარი. ამ შემთხვევაში იცვლება ხოლმე თვით შეშეცნების საგანი, დებულება, რომელიც ობიექტური სინამდვილის ასახვის სახით არის მოცემული. ეს დებულება (საგანი) მაინც ჭეშმარიტი იქნება მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც ასახულია რომელიმე მხარე, ან მხარეთა რიგი დასრულებულად... მაგრამ სასამართლო წარმოების დროს დასამტკიცებელ თეზისებზე ამომწურავი პასუხების გაცემა უკვე ნიშნავს აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენას; ამ შემთხვევაში აღვლილი არა აქვს დასამტკიცებელ გარემოებათა შეცვლას, სინამდვილეში მომხდარი მოვლენის სხვაგვარად ასახვის შესაძლებლობებს. თუ დანაშაული მომხდარია, საჭიროა უტყუვრად გამოვლინდეს მისი ყველა ნიშანი და პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი გარემოებანი; რაც შეეხება სხვა გარემოებებს, მათ არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ჭეშმარიტებაზე, რაკი ისინი მტკიცების ფარგლებს სცილდებიან და სხვა ისეთ სფეროს განეკუთვნებიან, რაც მართლმსაჯულებასთან არ არის დაკავშირებული. სხვათა შორის, მეცნიერებაშიც დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იქმნება, როდესაც, მაგალითად,

მოცემულ დარგში რაიმე კერძო დებულების საბოლოოდ გადაწყვეტა
ტდება.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ავტორთა ერთი ჯგუფის
აზრით (ა. რივლინი და სხვ.), ჭეშმარიტების ფილოსოფიური გა-
გება სასამართლო წარმოებაში არ გამოიყენება. ვფიქრობთ, ამ
მკდარი შეხედულების უარსაყოფად მიზანშეწონილი არც არის სპე-
ციალურად შეჩერება. ცნობილია, ფილოსოფიურ დებულებებსა და
პრინციპებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ მეცნიერების ყველა
დარგის განვითარებისთვის; ჭეშმარიტების პრობლემა ერთ-ერთი ურ-
თულესი ფილოსოფიური პრობლემაა და მის სწორ გადაწყვეტაზე ბევ-
რი რამაა დამოკიდებული მტკიცებითი სამართლის სფეროშიც. უნდა
ვთქვათ, რომ ჭეშმარიტების გარეშე მტკიცებითი სამართალი უში-
ნაარსო იურიდიული ნორმების კრებადობად გადაიქცეოდა, რომლის
დროსაც საემარისი იქნებოდა პირის სისხლის სამართლის წესით დასჯა
ან სარჩელის დაკმაყოფილება მხოლოდ ფორმალური ნიშნების მიხე-
დვით. მართლმსაჯულების გნორციელებისას ჭეშმარიტებაზე რომ
უარი გვეთქვა, ეს თვით მართლმსაჯულებაზე უარის თქმაც იქნებოდა.
მაგრამ როგორ ჭეშმარიტებაზე შეიძლება ლაპარაკი სასამართლო-
საგამომიებო ორგანოების მოქმედების სფეროში? ხომ არ არის
საჭირო სპეციალური „იურიდიული“ ჭეშმარიტების შემოღება? რა
სქმა უნდა, არა. ჭეშმარიტების ცნება ფილოსოფიურ პრობლემად
რჩება მაშინაც, როდესაც ჩვენ მას ვიყენებთ იურისპრუდენციაში
სპეციალური მიზნებისათვის. ისე როგორც მიზეზობრიობის შესახებ
ფილოსოფიურ სწავლებას ვიყენებთ სისხლის სამართალში და არ
ვქმნით სპეციალურ სისხლის სამართლებრივ მიზეზობრიობას, ასევე
ჭეშმარიტების ფილოსოფიური ცოდნა უნდა მოვიმარჯვოთ სასა-
მართლო წარმოების პროცესში, ამ უკანასკნელის სპეციფიკურ თეი-
სებათა გათვალისწინებით.

საბჭოთა პროცესუალისტების ერთი ნაწილი, როგორც უკვე
ცნობილია, იზიარებს/სასამართლო წარმოების დროს მხოლოდ შე-
ფარდებითი ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას. ლიტერატურ-
რაში ერთხმად არის აღიარებული, რომ სისხლის სამართლის პრო-
ცესში შეფარდებითი ჭეშმარიტებით შემოფარგვლის იდეა ბურჟუა-
ზიულ პროცესუალისტებისაგან მომდინარეობს (მაგალითად, ფოი-
ნიცის აზრით, მოსამართლეები ალბათური დასკვნებით კმაყო-
ფილდებიან ¹).

¹ ი. ი. ფოინიცის, სისხ. სამ. სასამართლო წარმოების კურსი (რუს.),
ტ. 11, 1910, გვ. 180; მ. აგრეთვე ს. ვ. პოზნიშევი, სისხ. სამ. პროც. (რუს.), 1913,
გვ. 182; ვ. სლუჩევსკი, სისხ. სამართ. პროც. სახელმძ. (რუს.), 1913, გვ. 397;
თ ვ ო რ ი ა, გვ. 37—38.

სისხლის სამართლის პროცესში შეფარდებითი ქვეშარიტების დადგენის წინააღმდეგ პროფ. მ. ს. სტროგოვიჩის მოჰყავს ფრიად საყურადღებო არგუმენტები. იგი იმთავითვე მოითხოვდა და მოითხოვს აბსოლუტური ქვეშარიტების დონეზე საქმის გადაწყვეტას. მისი აზრით, აბსოლუტური ქვეშარიტება მკლავდება ან ამა თუ იმ წრის საგნების, მოვლენების სრული, ყოველმხრივი და ამომწურავი შემეცნების, ან შეფარდებითი ქვეშარიტების ნაწილის, ან ფაქტის ქვეშარიტობის მნიშვნელობით. ქვეშარიტება სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით, მ. ს. სტროგოვიჩის ესმის როგორც ფაქტის ქვეშარიტება, რომელიც თავისი გნოსეოლოგიური ბუნებით ენათესავება ენგელსის მიერ დახასიათებულ ბანალურ ქვეშარიტებას (მუდმივ ქვეშარიტებას — პარიზი საფრანგეთშია და სხვ.)¹ მ. ს. სტროგოვიჩი აქვე შენიშნავს იმ სიძნელებებს, რომელთა გადალახვა უხდებათ საგამოძიებო-სასამართლო ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის გამოკვლევისა და გადაწყვეტისას, რომ ქვეშარიტების მიღწევა სასამართლო წარმოების დროს ისე უბრალოდ არ ხდება, როგორც ზოგიერთ სხვა ფაქტების ბანალურ ქვეშარიტებად აღიარება. მაგრამ ავტორი დაჭერებულის იმაში, რომ სისხლის სამართლის პროცესში ქვეშარიტების სირთულეს განაპირობებს მხოლოდ მისი პრაქტიკულად დადგენის სიძნელებები და არამც და არამც ეს არ ცვლის თვით ქვეშარიტების გნოსეოლოგიურ ბუნებას. ე. ი. სისხლის სამართლის პროცესში ქვეშარიტება ისევე უნდა იყოს აბსოლუტური. როგორც „ბანალობა“². მაგრამ ვფიქრობთ, პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი ერთგვარ უზუსტობას იჩენს, როდესაც წერს: სისხლის სამართლის პროცესში მატერიალური ქვეშარიტება შეიძლება იყოს მხოლოდ აბსოლუტური ქვეშარიტება, ან ის საერთოდ იქნება არა ობიექტური ქვეშარიტება, არამედ მხოლოდ მიხვედრა, სააღბათო დაშვება, ჰიპოთეზა, ვერსია, რომელიც არავსდით არ შეიძლება განაჩენს დაედოს საფუძვლად.³ როგორც ვხედავთ, პროფ. მ. ს. სტროგოვიჩის ამ მსჯელობიდან იმ დასკვნის გამოტანაც შეიძლება, თითქოს იგვ, სცნობს რა აბსოლუტური ქვეშარიტების დადგენის აუცილებლობას, ამავე დროს შეფარდებით ქვეშარიტებას ათანაბრებს მიხვედრასთანაც, სააღბათო დაშვებასთანაც, ჰიპოთეზასთანაც და ვერსიასთანაც. მაგრამ, სხვათა შორის, თვითონ ავტორის აზრითაც შემეცნების ყველა საფეხური წარმოადგენს შეფარდებით ქვეშარიტებას, ე. ი. არასრულ ქვეშარიტებას, რომელიც უახლოვდება აბსოლუტურ ქვეშარიტებას, მაგრამ

¹ М. С. Строгович. Курс, т. I, 1968, с. 316.

² იქვე, 316.

³ იქვე.

არ უტოლდება მას.¹ მაშასადამე, ამ ლოგიკით შეფარდებითი ჭეშმარიტებაც ობიექტური ჭეშმარიტებაა და იგი არ შეიძლება ვაუტოლდეს მიხედვრას, ალბათობას, ვერსიას...

ლიტერატურაში დავაა იმაზე, ობიექტურ ჭეშმარიტების ცნებაში შედის თუ არა ქმედობის იურიდიული კვალიფიკაცია და სასჯელი. ნ. ნ. პოლიანსკის,² ვ. ნ. კუდრიავცევის,³ ვ. ი. ღოროხოვის⁴ და სხვათა აზრით, სისხლის სამართლის პროცესში ობიექტური ჭეშმარიტება შიდასაქმის ქმედობის იურიდიულ კვალიფიკაციასაც. ზოგიერთი ავტორი ობიექტური ჭეშმარიტების ცნებაში აერთიანებს სასჯელის სწორად განსაზღვრას.⁵ იმისათვის, რომ გავარკვიოთ ობიექტური ჭეშმარიტების ცნებაში შედის თუ არა ქმედობის იურიდიული კვალიფიკაცია, საჭიროა მხედველობაში გვქონდეს თვით კვალიფიკაციის არსი. პროფ. ვ. ნ. კუდრიავცევი კი, ეყრდნობა რა ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებს, დანაშაულის კვალიფიკაციის ცნებას ორი მნიშვნელობით იხილავს. იგი დანაშაულის კვალიფიკაციაში ზედებს როგორც ამა თუ იმ დანაშაულის ნიშნების დადგენის პროცესს, ისე სასამართლოსა და საპროკურორო ორგანოების მოქმედების შედეგს, რომელიც შესაბამისი იურიდიული აქტით დამაგრდება ხოლმე (დადგენილება, საბრალდებო დასკვნა, სასამართლოს განჩინება ან განაჩენი)⁶ აქედან გამომდინარე, დანაშაულის კვალიფიკაციას განსაზღვრავს, როგორც ჩადენილი ქმედობისა და სისხლის სამართლის ნორმით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ზუსტი შესაბამისობის დადგენასა და იურიდიულ დამაგრებას.⁷ როდესაც იურისტი იყენებს სისხლის სამართლის კანონს, ავტორის აზრით, მისი შემეცნება შედგება სამი ელემენტისაგან; ეს ელემენტებია: ა. საქმის ფაქტიური მდგომარეობის შესახებ წარმოდგენა; ბ. სისხლის სამართლებრივი ნორმის შინაარსის შესახებ წარმოდგენა; გ. ქმედობის ფაქტიური ნიშნებისა და სისხლის სამართლებრივი ნორმის განსაზღვრული ნიშნების ურთიერთობაზე წარმოდგენა.⁸ ნორმას ანსხვავებს რა მის შესახებ წარმოდგენისაგან, ავტორს აინტერესებს

1 М. С. Строгович, Курс, т. I, 1968, гл. 315

2 Н. Н. Полянский, Вопросы теории сов. уг. процесса, 1956, с. 117.

3 დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, 1972, გვ. 50, 51 (რუს.).

4 თეორია, 1973, გვ. 113, 138.

5 И. Д. Перлов. Приговор в советском уголовном процессе. с. 233.

6 ვ. ნ. კუდრიავცევი, დასახ. ნაშრომი. გვ. 7.

7 იქვე, გვ. 7—8.

8 იქვე, გვ. 51.

არა თვით ნორმის ქვეშარტობა, არამედ იურისტის მიერ მისი შინა-არსის ქვეშარტი გაგება.¹ ავტორი ფაქტიურ გარემოებათა და სისხლის სამართლებრივი ნორმის კავშირის ხასიათის შესახებ წარმოდგენას აღარებს ცალკეულისა (ერთეულის) და ზოგადის ურთიერთობას. აქედან გამომდინარე, ვ. კულრიავეცივი ემხრობა იმ ავტორებს, რომლებიც საქმეზე ქვეშარტების დადგენას აერცვლებენ დანაშაულის კვალიფიკაციაზე.² მისი სიტყვით, მართალია, სისხლის სამართლებრივი ნორმები იცვლებიან, მაგრამ ჩადენილი დანაშაული ყოველთვის უნდა შეფასდეს მოქმედი კანონის შესაბამისად.³ ვ. კულრიავეცივი არც იმას უარყოფს, რომ სამართლის ნორმა შეიცავს შეფასებით მომენტებს („ბოროტული „ხულიგნობა“, „დიდი რაოდენობით გატაცება“ და სხვ.), მაგრამ აქვე დასძენს, რომ შეფასების ელემენტებს მოიცავენ არამართ ნორმატული, არამედ დესკრიპციული გამოთქმებიც, ფაქტიურ გარემოებათა დადგენის დროსაც, თუნდაც ენობრივი თვალსაზრისით, ვადგენთ, მაგალითად, რა ჩაითვლება დარტყმად, იყო თუ არა ეს საგანი ცული.⁴ ავტორი განსხვავებას მხოლოდ იმაში ხედავს, რომ ენობრივი ნორმები არ ატარებენ სავალდებულო ხასიათს და არც ისე ზუსტად არიან განსაზღვრულნი, როგორც სამართლებრივი ნორმები. ავტორის აზრით, დანაშაულის კვალიფიკაციის დადგენისას მიიღწევა აბსოლუტური ქვეშარტება. ამ შემთხვევაში სინამდვილის შემეცნება ხდება ამომწურავად, ბანალური ქვეშარტების ფორმით; რაც შემოფარგლულია სამართლებრივი ნორმით.

ვ. ი. დოროხოვის სიტყვით, რაკი გამომძიებლები, სასამართლო საზოგადოებრივ პრაქტიკულ საქმიანობისას კონკრეტულ კმედობას იურიდიულად აფასებენ, საქმეზე დადგენილი ფაქტების ერთობლიობა ერთდროულად მოწმობს როგორც თვით მოვლენაზე, აგრეთვე მის დანაშაულებრივ ხასიათზე.⁵ უფრო სწორად, პრაქტიკულად ერთდროულად ხდება გამომძიებლის, სასამართლოს მიერ ფაქტიურ გარემოებათა დადგენა და იმ ნიშნების ამორჩევა, რომლებშიც ისინი გათვალისწინებულა.⁶ ვ. დოროხოვის აზრით, თუ სასამართლო

1. ვ. ნ. კულრიავეცივი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.
 2. ვ. ი. ბერუხოვი, სას. შტკიცებულებათა თეორიის საფუძვლები, 1960;
 3. ვ. ნ. ნეღბაილო, საბჭოთა სამართლებრივი ნორმების გამოყენება, 1960, ა. ს. შლიაპოშნიკოვი, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის განმარტება 1960, და სხვ.
 4. ვ. ნ. კულრიავეცივი, დასახ. ნაშრომი, 1972, გვ. 55.
 5. იქვე, გვ. 56.
 6. შტკიცებულებათა თეორია საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, 1973, გვ. 122.
 6. იქვე, გვ. 122.

დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონკრეტულ დანაშაულს, რომელიც ჩადენილია გარკვეული პირის მიერ, ეს უკვე ნიშნავს სინამდვილის ფაქტების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ (იურიდიულ) შეფასებას. ვ. დოროხოვი მ. ს. სტროგოვიჩთან პოლემიკის დროს არ უარყოფს, რომ ფაქტის იურიდიულ შეფასებას ახდენს მოსამართლე, მაგრამ ამასთან დანაშაულის თვითნებური კვალიფიკაცია არ შეიძლება.¹ ავტორი ცდილობს ერთმანეთს არ დაუპირისპიროს პროცესუალური და სისხლის სამართლებრივი ნორმების შინაარსი, აბსოლუტური ჰეშმარიტების შინაარსის განსაზღვრებისას.² ავტორი აღნიშნავს, რომ არასწორი კვალიფიკაცია ყოველთვის არასწორად ასახავს დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკურ არსს და არ იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ მართებულ ან არამართებულ სასჯელის ზომაზე.³

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სასჯელი მხოლოდ კვალიფიკაციის სისწორეზე არაა დამოკიდებული. როგორც ითქვა, ვ. ი. დოროხოვს ჰეშმარიტების ცნებაში შეაქვს სასჯელიც.⁴ ჯერ კიდევ ნ. ნ. პოლიანსკი აღნიშნავდა, რომ სასჯელის დანიშვნა არის ბრძანება, ბრძანება კი შეიძლება იყოს მხოლოდ მიზანშეწონილი ან არამიზანშეწონილი, მართებული, ან არამართებული.⁵ დოროხოვი არ ეთანხმება პოლიანსკის. მისი აზრით, ექვს არ უნდა იწვევდეს თვით სასამართლოს დასკვნები სასჯელის ზომაზე იმ თვალსაზრისით, — შეესაბამება თუ არა იგი ობიექტურ სინამდვილეს.⁶ ავტორი ედავება მ. ს. სტროგოვიჩს, რომელიც გააჩივებს იურიდიულ შეფასებას (კვალიფიკაციის შესახებ მსჯელობა) საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასებისაგან (გარკვეული პირის მიმართ სასჯელის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ მსჯელობა) დოროხოვის აზრით, არ უნდა დაეუპირისპიროთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეფასებას იურიდიული შეფასება.⁷ როგორც ჩანს, აქ მხოლოდ იმის აღნიშვნაა საჭირო, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასება უფრო ფართოა, ვიდრე იურიდიული შეფასება.

¹ თ ე ო რ ი ა, გვ. 127.

² ო ქ ვ ე, გვ. 127.

³ ო ქ ვ ე, გვ. 132.

⁴ ო ქ ვ ე, გვ. 135—136. ასეთივე პოზიცია უკავია რიველის (ი. ლ. რიველინი. განჩინის ვალდისწავა საბჭოთა კავშირში. 1958 გვ. 28), ა. ი. ტრუსოვს (სის. მტკიც. თურია 1960, გვ. 27), პერლოვს და სხვ.; იხ. ავრეთვე, თეორია, გვ. 135—136.

⁵ ნ. ნ. პოლიანსკი. დსახ. ნაშრომი, 1956, გვ. 118.

⁶ თ ე ო რ ი ა, გვ. 136—137.

⁷ ო ქ ვ ე, გვ. 126—127.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი რამდენიმე დასკვნისათვის. კვალიფიკაციის სწორ განსაზღვრას, მის თეორიულ წინამძღვრებს შეისწავლის სისხლის სამართლის მეცნიერება, რაღა თქმა უნდა, ობიექტური მონაცემების განზოგადებით; მაგრამ ამ ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას უზრუნველყოფენ საგამომძიებო-სამართლო ორგანოები. მომკვლევს, გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უეჭველად ევალებათ იცოდნენ კანონი და სამართალი; კანონმდებელი მეცნიერული მონაცემების საფუძველზე აყალიბებს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. თითოეულ ნიშანს აქვს შესატყვისი პრაქტიკული გამოვლინების ფორმა, სინამდვილეში მომხდარი მოვლენებისათვის დამახასიათებელი თვისება. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები მხოლოდ მაშინ ასახავენ სრულად სინამდვილეს, როდესაც ისინი იმდაგვარად არიან გააზრებულნი, რომ მხედველობის გარეშე არ არის დატოვებული ამა თუ იმ ქმედობის გამოვლინების არც ერთი ნიუანსი. სწორედ ქმედობის ასეთ სრულად და ყოველმხრივად განმარტავებელ დახასიათებას კანონმდებელი მაშინ ახდენს, როდესაც ჰეშმარიტად ასახავს სისხლის სამართლის ნორმა ცხოვრებაში არსებულ ქმედობის ნიშნებს. კანონმდებელი ამ შემთხვევაში უზრუნველყოფს ჰეშმარიტი ნორმის შემუშავებას. მაგრამ როდესაც ლაპარაკია მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის მიერ კვალიფიკაციის შეფარდებაზე, ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ვიგულისხმოთ ცოდნის გამოყენება, კანონმდებლის აზრის სწორი გაგება და არა ჰეშმარიტების დადგენა. კვალიფიკაციის შეფარდება, რომ დამოკიდებული იყოს მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის ნებაზე, მაშინ მოსალოდნელი იქნებოდა მათი თვითნებობაც ამ მიმართულებით. ვიმეორებთ, ცოდნის მიღება, სწორად გაგება იმისა, რაც უკვე დადგენილია, არ უტოლდება ჰეშმარიტების ძიებას; აქ აღვლი არა აქვს გამორკვევას, მოსაპოვებლის მოპოვებას, და სხვ. ის, ვინც კვალიფიკაციის შეფარდებას ჰეშმარიტების ძიებასთან ათანაბრებს ძალაუნებურად მტკიცებით თეორიას სისხლის სამართლის მეცნიერების შესწავლის საგნადაც ხდის. როდესაც ლაპარაკია სისხლის სამართლის პროცესში ჰეშმარიტების დადგენაზე, რა თქმა უნდა, მხედველობაშია იმ სიგნების, პირების დადგენა, რომლებიც იძლევიან ინფორმაციებს ამა თუ იმ გამოსავლინებელ ქმედების ნიშნებზე. აქ ჰეშმარიტების ძიებაა საკირო. სწორედ იმიტომ, რომ ქმედობის ნიშნები მზამზარეულად არა გვაქვს მოცემული, ისე როგორც სისხლის სამართლის ნორმის ნიშნები, მათ სკირდებათ დადგენა, ურთიერთმიმართებაში ვანხილვა

და სათანადოდ შეფასება. რაკი დანაშაული ყოველთვის წარსულში მომხდარი მოვლენაა, ცხადია, მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანიც ქვეშააღიტიების თვალსაზრისით მოითხოვენ შესწავლას და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება კვალიფიკაციაზე ლაპარაკი, ე. ი. იმ შეჯერებაზე, რასაც ახდენს გამოძიებელი (მომკვლევ) ან მოსამართლე, რომ დარწმუნდეს ქვეშაღიტიების დონეზე დადგენილი ნორმული ნიშნები გათვალისწინებული არის თუ არა კანონმდებლას მოცემულ ნორმაში. რა თქმა უნდა, ეს პროცესი ზოგჯერ ჯართულებულია, გაძნელებულია ან იმიტომ, რომ კანონმდებლის მიერ შემუშავებული ნორმა არასრულია, ბუნდოვანია (ზოგჯერ უფარგისიც), ან გამოძიების პროცესში ყველა გარემოება ობიექტურად ვერ არის დადგენილი, მაგრამ განა კანონმდებლის მიერ ნორმაში ჩადებული გაუგებრობა ქვეშაღიტიების ძიებით გამოსწორდება? ნუთუ გულუბრყვილობა არ იქნება, რომ, მაგალითად, რაკი კანონმდებლობამ ვერ შეძლო თანამდებობის პირის ცნების მკაფიო ჩამოყალიბება. ამ ხარვეზის შევსება „კვალიფიკაციის ქვეშაღიტი“ დადგენით უზრუნველყოფა? მაშასადამე, ქმედობის ფაქტიური ნიშნების კვლევა ქვეშაღიტიების დადგენის სახეს ატარებს, მაშინ როდესაც, ამა თუ იმ სისხლის სამართლის ნორმის შეფარდება თვით ქმედობის ფაქტიურ ნიშნებთან არ ნიშნავს ძიებას, იგი ემსახურება შეჯერებას, რაც, ცხადია, ვერ გათანაბრდება ვერც თეორიულ და ვერც პრაქტიკულ გამოკვლევასთან.

ჩვენ ვერ განვიხილავთ აგრეთვე სასჯელის განსაზღვრას აბსოლუტურ ქვეშაღიტიების დადგენის თვალსაზრისით. უდავოა, რომ სასჯელის განსაზღვრა წარმოუდგენელია ნორმის შინაარსის ცოდნისა და ქმედობის ფაქტიური ნიშნების დადგენის გარეშე. თუ არ ვიცით ნორმის ნამდვილი შინაარსი და უყოყმანოდ არა გვაქვს დადგენილი ქმედობის ფაქტიური ნიშნები სასჯელის განსაზღვრაც შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ რომ სასჯელის შეფარდება აბსოლუტური ქვეშაღიტიების დადგენასთან გვათანაბროთ, მაშინ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ცალკეული ქმედობისათვის წინასწარ აბსოლუტურად განსაზღვრული სასჯელებიც უნდა დავაწესოთ, რაკი, თუ, მაგალითად, ასი მანეთის ქურდობისათვის სხვადასხვა პირებს სხვადასხვანაირ სასჯელს შევუფარდებთ, ქვეშაღიტიებაზე ლაპარაკიც აღარ ივარგებს. იმის გარდა, რომ სასჯელი შეფასებითი კატეგორიაა და მას კანონმდებელი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქმედობისათვის გარკვეული პირობების გათვალისწინებით, თვითონ სასამართლოც განაჩენის დადგენის დროს უეჭველად ხელმძღვანელობს სასჯელის შეფარდების მიზანშეწონილობის პრინციპით, რაც, თავისთავად ცხადია, ძნელია შეფასდეს

ქვეშარიტების საზომით. ზოგჯერ შესაძლოა პიროვნებას სრულებითაც არ შეუფარდდეს სასჯელი ისეთი დანაშაულისათვის, რომლის ანალოგიური ქმედობისათვის უკვე დასჯილნი არიან სხვა პირები. მაკარად და სხვ. ასეთ პირობებში, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ქვეშარიტების ნამდვილი ბუნებიდან გამომდინარე, სასჯელს ვერ გავთანაბრებთ ქვეშარიტების ძიებასა და მის დადგენასთან. რამდენადაც სასჯელი ქვეშარიტებისეულ მონაცემებს ეყრდნობა, იმდენად საკუთრივ იგი, როგორც შეფასებითი კატეგორია, ქვეშარიტების ცნებაში ვერ მოთავსდება. მ. ს. სტროგოვიჩის სწორი შენიშვნით, სასჯელის ზომა თუმცა დამოკიდებულია სისხლის სამართლის კანონის სანქციაზე, შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე, მოსამართლეთა მართლშეგნებაზე და შინაგან რწმენაზე, მაგრამ მისი განსაზღვრისას მოქმედებენ სრულიად სხვა კრიტერიუმები, ვიდრე მაშინ, როდესაც ხდება გამოსაძიებელი ფაქტებისა და გარემოებების დადგენა.¹ პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი ობიექტურ ქვეშარიტებას სისხლის სამართლის პროცესში მატერიალურ ქვეშარიტებასაც უწოდებს, რითაც თითქოს ხაზი ესმება ობიექტური ქვეშარიტების სპეციფიურობას სისხლის სამართლის პროცესში. ამ სპეციფიურობას იგი ხედავს ჯერ ერთი იმაში, რომ სისხლის სამართლის პროცესში ქვეშარიტება არის ფაქტის ქვეშარიტება, ე. ი. ქვეშარიტების შინაარსია კონკრეტული ფაქტი დანაშაულებრივი ქმედობისა, რომელიც ჩაიდინა კონკრეტულმა პირმა გარკვეულ დროსა და ადგილზე; მეორეც, ეს ქვეშარიტება დადგინდება მხოლოდ კანონში გათვალისწინებული პროცესუალური საშუალებებით, პროცესუალური წესებით (იურიდიული მეთოდებით). მატერიალური ქვეშარიტება უპირისპირდება ფორმალურ ქვეშარიტებას. ავტორის აზრით, მატერიალური ქვეშარიტება ისევე კანონზომიერია სისხლის სამართლის პროცესში, როგორც დანაშაულის მატერიალური განსაზღვრება სისხლის სამართალში. როგორც ლიტერატურიდან ცნობილია, ზოგიერთი ავტორი (ა. ი. ტრუსოვი,² ვ. ი. დოროხოვი და სხვა) ედავება სტროგოვიჩს ამ ტერმინის ხმარებასთან დაკავშირებით საკმაო არგუმენტების გარეშე. ვფიქრობთ, ეს უსაგნო დავაა, რაკი თვითონ მ. ს. სტროგოვიჩიც არ უარყოფს, რომ მატერიალური ქვეშარიტება ეს იგივე ობიექტური ქვეშარიტებაა. იგი არ გულისხმობს, რა თქმა უნდა, ქვეშარიტებას „სისხლის სამართლის საქმის მასალების“ ფარგლებში, როგორც ეს

¹ მ. ს. სტროგოვიჩი, დს. კურსი, 1968. გვ. 325.

² А. И. Трусов. Основы теории судебных доказательств (Краткий очерк). 1960, с. 21.

ზოგიერთ ავტორს ეჩვენება. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „მატერიალური ჭეშმარიტება“ დიდი ხანია არსებობს; იგი არ გამოუგონია სტროგოვიჩს.

III. მტკიცების საგანი და მარბლები

1. მტკიცების საგანი

ჭეშმარიტების დადგენაზე ლაპარაკიც შეუძლებელია თუ არ არის განსაზღვრული მტკიცების საგანი. ყველა მოვლენა განიხილება კონკრეტულად; ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემეცნებელი უნდა ჩასწვდეს შესასწავლი მოვლენის მხოლოდ გარკვეულ მხარეს, შემეცნების ყველა სფეროში და სასამართლო წარმოებაშიც მტკიცებისას შეუძლებელია წინასწარ არ იქნას დაგეგმილი კვლევის მიმართულება; არ არსებობენ აბსოლუტურად „ყოველმხრივ გადაწყვეტილი პრობლემები“ და ეს იმიტომ რომ მათ გააჩნიათ სხვა სფეროებიც, რომლებიც სწორედ სხვა კუთხით მოითხოვენ შესწავლას. აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ კვლევის საგნის კონკრეტულად განსაზღვრულობის შემთხვევაში. სასამართლო წარმოების დროს ჭეშმარიტების დადგენა — ეს იგივე საქმის კონკრეტულ გარემოებათა სწორი და სრული ასახვაა; სამოქალაქო საქმეებზე მტკიცების საგანს ანუ საძიებელ ფაქტებს უწოდებენ იმ იურიდიულ ფაქტებს, რომელთა გადაწყვეტით უზრუნველყოფილი ხდება საქმის არსებითად განხილვა. სასარჩელო წარმოებისას მტკიცების საგანს მიაკუთვნებენ სარჩელის დამადასტურებელ ფაქტებსა და იმ ფაქტებსაც, რომლებიც ასაბუთებენ სარჩელის უარყოფისათვის ფაქტებს. სამოქალაქო საქმეთა სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-16 მუხლის შესაბამისად, სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეების მიერ ნაჩვენები ფაქტებით, მას შეუძლია თავისი ინიციატივითაც შეიტანოს მტკიცების საგანში ისეთი იურიდიული ფაქტებიც, რომლებზედაც არ იყო მითითებული მხარეთა მიერ და აგრეთვე არ გამოიკვლიოს ისეთი ფაქტები, რომლებსაც არა აქვთ იურიდიული მნიშვნელობა. ცნობილია, რომ სამოქალაქო სასამართლის ნორმებში

ნაჩვენებ სადავო ფაქტებიდან განისაზღვრებიან აგრეთვე თვით მხარეების უფლებებიცა და მოვალეობანიც და, აქედან გამომდინარე: მტკიცების საგანს შეიძლება შეადგენდნენ ისეთი იურიდიული ფაქტები, როგორცაა: ხელშეკრულებანი, გარიგებანი, დაბადების, სიკვდილის, ქორწინების, ზიანის მიყენების ფაქტის დადგენა და სხვ.¹

სამოქალაქო საქმეთა სასამართლო წარმოების საფუძვლების 50-ე მუხლის მიხედვით, მტკიცების ტვირთი აწევს იმ მხარეს, რომელიც მოითხოვს რაიმეს და აგრეთვე მასაც, რომელიც უარყოფს ამ მოთხოვნას. მაგრამ სამოქალაქო სამართლის პროცესში ცნობილია ისეთი ფაქტები, რომლებიც არ მოითხოვენ დამტკიცებას. ასეთ ფაქტებად მიჩნეულია: მსოფლიოში ცნობილი ფაქტები (მაგალითად, პრეზიდენტ კენედის შველულობა და სხვა); საბჭოთა კავშირში (სსრკ კომუნისტური პარტიის 1964 და 1971 წლებში მიღებული დადგენილებანი იურიდიული ცოდნის გაფართოების შესახებ), მოკავშირე რესპუბლიკებში (მაგალითად, ქ. თბილისში „დინამოს“ სტადიონის საზღიშო გახსნა და სხვ.), ოლქში, მხარეში, რაიონში (მაგალითად, სიღნაღის რაიონში 1976 წლის ზამთარში ვაზის მოყენვა) და სხვა. არ მოითხოვენ ხელახალ დამტკიცებას აგრეთვე პრედიციალურად დამტკიცებული ფაქტებიც (სასამართლოს დაკანონებული განაჩენებით ან გადაწყვეტილებებით დადგენილი ფაქტები). სამოქალაქო სამართლის პროცესში მტკიცებულებით ფაქტებს რატომღაც არ აერთიანებენ მტკიცებას საგანში შემაჯალ ფაქტებთან, თუმცა არ არის უარყოფილი, რომ მტკიცებულებითი ფაქტები, სანამ გამოყენებული იქნებოდნენ სხვა ფაქტების დასამტკიცებლად, საჭიროა თვითონვე დამტკიცდნენ.² მტკიცებულებითი ფაქტები, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო პროცესში უნდა მივიჩნიოთ მტკიცების საგანში გასათვალისწინებელ ფაქტებად. ცნობილია, რომ ალიბი, როგორც უარყოფითი ფაქტი სამოქალაქო საქმის განხილვის დროსაც მტკიცდება ხოლმე ამა თუ იმ პირის გარკვეულ დროს სხვა ადგილზე ყოფნის ფაქტით (დადებითი ფაქტით). ასევე გაუქართლებულია მტკიცების საგნიდან დაშორება ისეთი ფაქტებისა, რომლებსაც აქვთ პროცესუალური მნიშვნელობა (ვთქვათ, რომელიმე მხარის გამოუცხადებლობის მიზეზის, ქვემდებარეობის განსაზღვრისათვის გარკვეულ გარემოებათა დადგენა და სხვა). ასეთი ფაქტების დადგენა, ცნობილია, შეიძლება მხოლოდ მტკიცების პროცესში და ისიც

¹ საბჭოთა სამოქალაქო პროცესი, პროფ. მ. ბ. გურიევის რედაქციით, 1975, გვ. 139.

² იქვე, გვ. 139—140: იხ. აგრეთვე Советский гражданский процесс, 1970, под ред. А. А. Добровольского, с. 128—132.

დამამტკიცებელი საბუთების მეშვეობით. უდავოდ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების საგანი არის სასამართლო წარმოების დროს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც უნდა დადგინდეს.

ლიტერატურაში სწორად არის შენიშნული, რომ მტკიცების მიზანი და სასამართლო წარმოების ამოცანები ურთიერთთან კავშირშია, რომ მტკიცების მიზნის მიღწევა არის აუცილებელი პირობა სასამართლო-წარმოების ამოცანების შესასრულებლად (ვ. დოროხოვი და სხვ.). მაგრამ არ უნდა იყოს ზუსტი, როდესაც ამტკიცებენ, რომ შემეცნების საგანი სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში არ შეიძლება ამოიწუროს გარკვეული მოქმედებების, ობიექტური სინამდვილის ფაქტების დადგენით, რომ საჭიროა მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური (ანუ იურიდიული) არსობის შეცნობა. სხვათა შორის, რიგი ავტორებისა, სწორედ ამაში ხედავენ სისხლის სამართლის პროცესში შემეცნების თავისებურებებს.¹ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მართლაც სასამართლო წარმოების ამოცანები ერთგვარად განსაზღვრავს თვით მტკიცების მიზანსაც, რაკი ჰეშმარიტების დადგენა, როგორც აღვნიშნეთ, ყოველთვის კონკრეტულია. თავისთავად ცხადია, გამომძიებელი ან სასამართლო მტკიცების პროცესში არ ისახევენ მიზნად იმ გარემოებათა შემეცნებას, რომლებიც სცილდებიან სასამართლო წარმოების ამოცანებს, მაგრამ აქედან არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს ის, რომ მტკიცების მიზანი არ განვასხვაოთ სასამართლო წარმოების ამოცანებისაგან. თუ ვლაპარაკობთ „მტკიცების ამოცანაზე“, ამ შემთხვევაში უეჭველად უნდა ვიგულისხმოთ. „მტკიცების მიზანი“, რაკი მტკიცება, როგორც შემეცნების პროცესი, მიზნად ისახავს მხოლოდ ჰეშმარიტების დადგენას და არა სხვა მისგან გამომდინარე ფაქტების პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებას; შეცნიერული კვლევის სფეროშიც, როგორც ითქვა, შემეცნების მიზანია ჰეშმარიტების დადგენა და მხოლოდ ამის შემდეგ თვით ამ ჰეშმარიტების საფუძველზე შეიძლება ამა თუ იმ მეცნიერების ამოცანებზე ლაპარაკი.

სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ამოცანები (დანაშაულის სწრა-

¹ თეორია გვ. 117—118.

ფი და სრული გახსნა, კანონის სწორი გამოყენების უზრუნველყოფა, დანაშაულის სამართლიანი დასჯა, უდანაშაულოს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება, კანონიერების განმტკიცება, დანაშაულის თავიდან აცილება და აღმოფხვრა, მოქალაქეთა აღზრდა). როგორც ჩანს, თვითონ მტკიცების პროცესშიც ელინდებიან სასამართლო პროცესის ამოცანები. მაგალითად, როდესაც ვახდენთ მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის ან ბრალდებულის დაკითხვას, მათგან ინფორმაციების მიღება, თავისთავად ცხადია, გამიზნულია კემშარიტების დასადგენად: მაგრამ ამავე დროს, თვით ამ პროცესშივე ხორციელდება პრევენტიული ამოცანები. — ხდება პროცესში ჩაბმულ პირთა აღზრდაც, თუ სასამართლო საგამომძიებო მოქმედებანი კემშარიტებას ემსახურებიან.

საბჭოთა პროცესუალისტები მტკიცების საგანს სხვადასხვა ფორმით აყალიბებენ. მაგალითად, მ. ა. ჩელცოვის აზრით, მტკიცების საგანია, პირველ რიგში, ყველა ის ფაქტი, რომელიც პირდაპირ შეეხება სამართალში მიცემულის ბრალდების დასაბუთებას: მის მოქმედებას, ქმედობის შედეგს, მათ შორის მიზეზობრივ კავშირს, გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ მართლწინააღმდეგობას; ბრალის ფორმებს, გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ ქმედობის დასჯადობას; ავტორი მტკიცების საგანს აყოთენებს აგრეთვე ე. წ. დამხმარე ფაქტებს — არაპირდაპირ მხილებებსა და ისეთ ფაქტებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ წარდგენილ ცალკეულ მტკიცებულუბათა შეფასებისათვის.¹

მ. ს. სტროგოვიჩი მტკიცების საგანს შემდეგი სქემით გამოხატავს: I მთავარი ფაქტი; II მტკიცებულებითი ფაქტები; III. დანაშაულის შედეგები; IV. გარემოებანი, რომლებმაც ხელი შეუწყოვეს დანაშაულს, ფაქტები, რომლებისაგანაც შედგება სისხლის სამართლებრივი დასასჯადი ქმედობა და რომლებიც შეიტყავენ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებს, ცნობილია

¹ მ. ა. ჩ ე ლ ც ვ ი, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, 1951, გვ. 148—150. მტკიცების საგანს შესახებ იხ. აგრეთვე: რ. დ. რ ა ხ უ ნ ო ვ ი, წინასწარი გამოძიება საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, სადოქტორო დისერტაცია, 1953, გვ. 322—335; პ. ი. ტ ა რ ა ს ო ვ ი, რ ო ღ ო თ ო ვ ე დ, წინასწარი გამოძიება, 1955, გვ. 57; გ. შ. შ ი ნ კ ო ვ ს კ ი, მტკიცების ფარგლები საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, 1956, გვ. 38—39. ი. დ. პ ე რ ლ ო ვ ა, სასამართლო განხილვის საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, 1956, გვ. 489—505. ი. ბ. შ ი ხ ა ი ო ლ ო ვ ს კ ა ი ა, მტკიცების საგანი და ფარგლები საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, 1959, გვ. 154. (რუს.).

მთავარი ფაქტის სახელწოდებით.¹ ამ ფაქტს სხვანაირად რთულ ფაქტსაც უწოდებენ. რევოლუციამდელი რუსი მკვლევარის პ. ი. ლიუბლინსკის აზრით, მთავარი ფაქტია ყველა იმ გარემოებათა ერთობლიობა, რაც უწდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე. ასეთი განსაზღვრება, ცხადია, საზრისს უკარგავს თვით „მთავარი ფაქტის“ ცნებას და² ამიტომაც იქნა გაკრიტიკებული. როცა ლაპარაკია საქმის წარმოების მთლიან მოწესრიგებისათვის მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრის მნიშვნელობაზე, უგულებელყოფილი არ არის მტკიცების საგნის როლი საგამომიებო ტაქტიკის, კერძო მეთოდის, სასამართლო განხილვისა და ვერსიების შემუშავებისა თუ საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების თვალსაზრისით, როგორც ამას ვ. ტანასევიჩი და სხვები ფიქრობენ.³ ემხრობიან რა ზოგიერთ ავტორს (ი. მ. ლუზგინი და სხვ.), ვ. ტანასევიჩი და სხვებიც იმეორებენ, რომ მტკიცების საგანში თითქოს არ შედის ყველა ის გარემოება, რაც ღვინდება დამამტკიცებელი საბუთებით; ასეთი „შუალედური ფაქტები“, „შუალედური თეზისები“, „მტკიცებულებითი ფაქტები“, მათი აზრით, გვემსახურებიან მხოლოდ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დასადგენად,⁴ სწორად არის შენიშნული, რომ მ. შალამოვი უანგარიშოდ აფართოებს მტკიცებულებითი ფაქტების წრეს, როცა მათში გულისხმობს ყველა ფაქტს, რომლის მეშვეობითაც ღვინდება ჰეშმარიტება. არ უნდა იწვევდეს დავას, რომ ჰეშმარიტება ღვინდება არა მარტო მტკიცებულებითი, არამედ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებითაც, რომელთა გათანაბრება მტკიცებულებით ფაქტებთან შეუძლებელია. სხვა საქმეა — რა ჩაითვლება კონკრეტულ ვითარებაში მტკიცებულებით ფაქტებად. წინააღმდეგ ვ. ტანასევიჩისა და სხვათა მოსაზრებისა,⁵ ვფიქრობთ, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ პირობას, სიტუაციის შესაბამისად, შეიძლება ჰქონდეს როგორც იურიდიული, ისე „შუალედი“ ფაქტის მნიშვნე-

1 მ. ს. სტროგოვიჩი, დას. კურსი, ტ. 1., 1966, გვ. 363—369.

2 იხ. თეორია, გვ. 184.

3 იქვე, გვ. 140.

4 იქვე, გვ. 140—141.

5 იქვე, გვ. 141.

ლობა. სრულიად დაუსაბუთებელია იმ ავტორთა (ვ. დ. არსენევი,¹ მ. პ. შალამოვი, ვ. გ. ტანასევიჩი და სხვ.) მოსაზრებანი, რომლებიც მტკიცების საგნიდან გამოდევნიან დამამტკიცებელ (მტკიცებულე-ბით) ფაქტებს. მართალია, საფუძვლების მე-15 მუხლის მიხედვით. მტკიცების საგანში შედის გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიც-დეს სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ განა თვით მტკიცებულე-ბით ფაქტებს კი არ ესაჭიროებათ დამტკიცება? ვფიქრობთ, ვ. გ. ტანასევიჩისა და სხვათა მიერ მ. ს. სტროგოვიჩის კრიტიკა² უსაგნოა და გაუგებრობაზეა აგებული. მართლაც, სწორად შენიშნავს მ. ს. სტრო-გოვიჩი, რომ თუ მტკიცებულებით ფაქტებს არ გავითვალისწინებთ მტკიცების საგანში შესაძლოა ამას დაუმტკიცებელი ფაქტებით სარ-გებლობაც მოჰყვეს.³ არავის არ შეუძლია უარყოს ის, რომ მტკიცე-ბითი ფაქტების დამტკიცებაც გარდუვალია, რომ პრაქტიკაში ერთ-დროულად ხდება როგორც ამ ფაქტების, ისე იურიდიული მნიშვნე-ლობის ფაქტების დადგენა და არასოდეს არ იქმნება საშიშროება მათი ერთმანეთში აღრევისა. პირიქით, გამოძიებით, საქმის სასამა-რთლო განხილვით ბოლოს და ბოლოს გამოიკვეთება ხოლმე ყველა ფაქტის რაობა და დანიშნულება საქმის ბედის გადასაწყვეტად. კანონმდებელი, როგორც ცნობილია, დასადგენ გარემოებათა შორის იხსენიებს, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის აღვილს, დროს, საშუალებებს... მაგრამ განა ამ გარემოებებს ყოველთვის აქვთ იური-დიული მნიშვნელობა? განა მათი როლი კონკრეტული ვითარების შესაბამისად, მტკიცებულებითი (დამამტკიცებელი) ფაქტების თვალ-საზრისითაც არ განიხილება? მტკიცების საგანში მტკიცებულებითი ფაქტების შეტანის გაუმართლებლობის მაგალითად მოტანილია ერთი შემთხვევა, როდესაც გამოძიებელმა ხ-ს მკვლელობის საქმეზე უ-ს მხრივ მკვლელობის მუქარის ფაქტი ჩათვალა უ-ს მიერ ხ-ს მკვლე-ლობის დამადასტურებელ გარემოებად.⁴ ეს მაგალითი, ცხადია, მო-წმობს მხოლოდ გამოძიებლის უცოდინარობას და არამც და არამც

¹ ავტორი ასეთ უცნაურ დასკვნასაც აკეთებს: თუ მთავარი ფაქტის გარე-მობანი მხოლოდ მტკიცების გზით ღვინდება, დანაშაულის ხელშეწყობი გარე-მობანი შეიძლება გამოირკვეს სხვა გზითაც (В. Д. Арсеньев, Вопросы ор-шеніи теории судебных доказательств в советском уголовном процессе, 1964, с. 34). სინამდვილეში, სიგამძიებელი საქმეზე ყველაფერი დადგენილ უნდა იქნას მტკიცებულებებით, გარდა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებისა.

² ი ა ქ ვ ე, გვ. 143.

³ მ. ს. ს ტ რ ო გ ო ვ ი ჩ ი, კურსი, 1968, გვ. 367.

⁴ ა ე ო რ ი ა, გვ. 142.

არ მიუთითებს იმაზე, რომ უარი ვთქვათ მტკიცებულებითი ფაქტების დამტკიცებაზე:

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ე. წ. „შუალედურ“ ფაქტებს ანსხვავებენ „დამხმარე ფაქტებისაგან“ (ტანასევიჩი...). სახელდობრ, თუ „შუალედურად“ „მჩინეულია“ ისეთი ფაქტები, რომელთა მეშვეობითაც ღვინდება (ან უარყოფილი ხდება) გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს საქმეზე,¹ დამხმარე ფაქტებად მიიჩნევენ ფაქტებს, რომლებიც გამოიყენება მოწმეთა, ექვმიტანილთა დასადგენად, ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთების მოსაძებნად, პროცესში მონაწილეთა ურთიერთობის გამოსარკვევად, დამამტკიცებელ საბუთებს შორის წინააღმდეგობათა ამოსახსნელად და სხვ., რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ მტკიცების დროს.² როგორც ვხედავთ, ე. წ. დამხმარე ფაქტები არაფრით არ განსხვავდებიან ე. წ. „შუალედურ“ ფაქტებისაგან, რაკი ისინიც ემსახურებიან საქმის ობიექტურ და სრულ გამოკვლევას; მართლაც, თუ, მაგალითად, როგორც ცნობილია, გატაცებული ნივთის ექვმიტანილთან აღმოჩენა არაპირდაპირად მიუთითებს დანაშაულზე, თითქმის ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ სად იპყოფება ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი; როგორი ურთიერთობაა ბრალდებულსა და მოწმეს შორის, როცა ეს უკანასკნელი ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში; რით აიხსნება ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციების არსებობა და სხვ. არ უნდა იწვევდეს დავას, რომ თუ, მაგალითად, მოწმეთა ერთი ნაწილი ამტკიცებს იმას, რაც დიამეტრულად ეწინააღმდეგება იმავე ვითარების შემსწრე მოწმეთა ჩვენებებს, არც ერთი მათგანის ინფორმაცია არ გამოდგება დამაჩერებელ საბუთად, სანამ არ ამოიხსნება ეს წინააღმდეგობა. და სწორედ ამ წინააღმდეგობის მიზეზის მაუწყებელი ფაქტები — ინფორმაციები ამის გამოც იძენენ დამამტკიცებელი ფაქტის მნიშვნელობას. აქ მხოლოდ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. დამამტკიცებელი ფაქტები, ცხადია, როგორც წესი, ისევ დამამტკიცებელი საბუთებით დადგინდება ხოლმე. მაგრამ არ გამოირიცხავენ გამოწკლის შემთხვევაში ზოგიერთი მათგანის ოპერატიული გზით გამოვლენასაც; მაგალითად, დანაშაულის ჩადენის ადგილის შესახებ ცნობები შეიძლება მივიღოთ როგორც საგამოძიებო სასამართლო მოქმედების შედეგად (დაკითხვა, დათვალიერება და სხვ.), ისე ოპე-

¹ თ ე ო რ • ა, გვ. 142.

² • ქ ვ ე, გვ. 144.

რატომ ღონისძიებათა განხორციელებისას. ასევე უნდა ითქვას მოწვეებისა და ექვემდებარების დადგენასთან დაკავშირებით. მოწვევად დასაკითხ პირთა განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს თვით დამამტკიცებელი საბუთების შემოწმებისა და შეფასებისათვისაც. მაგალითად, თუ დადგინდება, რომ პეტრიაშვილის გარდა შემთხვევის შემსწრე იყო პავლიაშვილიც, რომელიც არ ადასტურებს პეტრიაშვილის ჩვენებას, ცხადია, შემთხვევის ადგილზე ორივეს ყოფნის ფაქტიც მხედველობაშია მისაღები სწორი დასკვნების გამოსატანად. რაკი დამამტკიცებელი საბუთებით დგინდება, სახელდობრ, ფაქტობრივი გარემოებანი და არა დანაშაულის კვალიფიკაცია (და სასჯელი), ამიტომ თითქოს არ არის საფუძვლების მე-15 მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.¹ ვფიქრობთ, ამ კუთხით საკითხის დაყენებაც კი გაუმართლებელია. საკითხავია — პროცესუალური კანონმდებლობა, მაგალითად, რატომ ითვალისწინებს მტკიცების საგანში პირის ბრალეულობას, როგორც სისხლის სამართლებრივ ცნებას და სხვა გარემოებებს კი მხოლოდ „პროცესუალური კონკრეტისაჲსი“ სახით წარმოგვიდგენს? განა ბრალეულობა არ შედის დანაშაულის შემადგენლობაში? როგორც ვიცით, ე. წ. დანაშაულის შემადგენლობის უნივერსალური ნიშნებია ქმედობაც, ბრალეულობაც, პირის განსაზღვრული ასაკიც... განსხვავებით რეგიონალური (ფაქულტატური), ნიშნებისაგან, რომლებიც ახასიათებენ გარკვეული ჯგუფის დანაშაულობებს (სამხედრო დანაშაული, თანამდებობრივი დანაშაული, თანამონაწილეობა, დანაშაულის მომზადება და სხვ.), მაგრამ განა ეს გარემოება ითვლება იმის საფუძვლად, რომ სისხლის სამართლის ცნებებს არ დაუკავშირდეს პროცესუალური „კონსტრუქციები“ და „სტრუქტურები“? მართლაც, თუ ჩვენ მტკიცების საგნის სტრუქტურისა და შინაარსის განსაზღვრის დროს ვიხელმძღვანელებთ, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის შემადგენლობის ელემენტების სახელწოდებითაც, ამით როდი ეძლევა დანაშაულის კვალიფიკაციას კვლევითი ხასიათი. დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები ხომ რეალური სინამდვილის ანარეკლია იდეალურ ფორმებში? და თუ ჩვენ მათ უშუალოდ მტკიცების საგანში გავითვალისწინებთ, ამით მხოლოდ საგამოძიებო-სასამართლო დარგის წარმომადგენლებს მუშაობას გავუადვილებთ. სისხლის სამართლის პროცესი ძირითადად ემსახურება სისხლის სამართლის პოლიტიკის უზრუნ-

¹ თეორია, გვ. 149.

ველყოფას. და ეს უნდა ჩანდეს აშკარად მტკიცების დროსაც. მტკიცების საგნის განსაზღვრისას საჭიროა მტკიცედ იქნეს დაცული თანმიმდევრობა კანონმდებლობის სფეროშიც. როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის საქმეზე დასამტკიცებელ გარემოებებთან ერთად იხმარება გამოთქმაც — „სხვა გარემოებები“. ერთგვარად მტკიცების საგნისაგან განსხვავებულია განაჩენით დასადგენი საკითხების სტრუქტურა. რაც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნეს მიჩნეული.

ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ საჭიროა უფრო კონკრეტულად გავარკვიოთ კანონმდებლის პოზიციები. სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-15 მუხლის, თანახმად, წინასწარი გამოძიებითა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას დამტკიცებას ექვემდებარება: 1. დანაშაულის შემთხვევა (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი და დანაშაულის ჩადენის სხვა გარემოებანი); 2. ბრალდებულის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში; 3. გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე; 4. დანაშაულით მიყენებული ზარალის ხასიათი და ოდენობა. აღსანიშნავია, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში გათვალისწინებულია აღნიშნული გარემოებანი მტკიცების საგნის სახით და ამასთან შეტანილია კორექტივებიც. მაგალითად, რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია რსფსრ სსკ 38—39 მუხლებზე, დამატებულია აგრეთვე „სხვა გარემოებანი“, რომლებიც ახასიათებენ ბრალდებულის პიროვნებას, და ბოლოს, მეოთხე პუნქტის შემდეგ ნათქვამია: „გამორკვევას ექვემდებარება აგრეთვე დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებანი“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მტკიცების საგანი განსაზღვრულია 59-ე მუხლში, სადაც გამეორებულია „საფუძვლების“ ტექსტი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „დანაშაულის შემთხვევის“ პუნქტში შეცდომით შეტანილია „მოტივი“, მაშინ როდესაც მომდევნო მეორე პუნქტი სპეციალურად ეხება ბრალდებულის ბრალეულობას და მოტივის ადგილიც სწორედ აქ იყო. ამას გარდა, პირველ პუნქტში „დანაშაულის ჩადენის სხვა გარემოებების“ ნაცვლად ნათქვამია: „სხვა გარემოებები“. კოდექსში სპეციალურ მუხლად არის გამოყოფილი (მე-60 მუხლი) დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოების გამორკვევა და აცილება.

უპირველეს ყოვლისა, საფიქრელია, რომ კანონმდებელი მტკიცების საგანში გათვალისწინებულ „დანაშაულის შემთხვევას“ ხმარობს ძალიან ფართოდ. ყოველ შემთხვევაში სწორედ ასე ესმის ზოგიერთ მკვლევარ იურისტსაც. მაგალითად, სტროგოვიჩის აზრით, „ყველა სისხლის სამართლის საქმეზე საჭიროა უყოყმანოდ დადგინდეს, რომ ის შემთხვევაა, ქმედობა, რომლის თაობაზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სინამდვილეში მოხდა“. მკვლელობის საქმეზე აუცილებელია დადგინდეს, რომ დაზარალებულს ძალადობით წაართვეს სიცოცხლე (და არ მომხდარა უბედური შემთხვევა, ან თვითმკვლელობა და ა. შ.)¹. როგორც ჩანს, „დანაშაულის შემთხვევა“ ეთანაბრება დანაშაულის შემადგენლობას, რაკი სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება სწორედ დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით. მართალია, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის პროცესში დანაშაულის შემადგენლობაზე ხშირად არა გვაქვს სრული წარმოდგენა, დანაშაულის ფაქტსა და მის შემადგენელ ელემენტებზე უფრო ზოგადად ვმსჯელობთ, მაგრამ ეს არ ცვლის იმას, რომ როგორც „დანაშაულის შემთხვევა“, ისე „დანაშაულის ფაქტი“ ერთნაირი გაგებით უნდა იხმარებოდეს. აქ ჩვენ ვერ გვიშველის ზოგიერთი ავტორის ტანასევიჩი და სხვ.) კომენტარი (უფრო კანონმდებლის პოზიციის დასაცავად რომ კეთდება), თითქოს სისხლის სამართლის კანონი „დანაშაულის შემთხვევას“ ვიწრო გაგებით ხმარობს, რაკი „ბრალდებულის ბრალეულობა“² ცალკეა გათვალისწინებული“. საკითხავია, დანაშაულის შემთხვევა რატომ მაინცდამაინც მოიცავს იმ გარეუბრებათა წრეს, „რომლებიც ახასიათებენ ძირითადად დანაშაულის ობიექტურ მხარისა და ობიექტის არსებით ნიშნებს“³? ყოველ შემთხვევაში, კანონმდებლის ტექსტიდან ეს პირდაპირ არც ჩანს.

გამომძიებელსა და სასამართლოს პროცესუალურ მოქმედებათა შესრულება შეუძლიათ მხოლოდ თავიანთ წარმობაში მყოფ საქმეებზე და, ბუნებრივია, მტკიცების საგნის შესახებ მსჯელობაც ამ მომენტიდან იაზრება. სწორედ ამიტომ არ იქნებოდა ურიგო, თუ მტკიცების საგანში შეეიტანდით პირველ რიგში — სავარაუდო დანაშაულბრივი ქმედობის (ფიზიკური ქცევის) გამოვლინების ხასიათს (ობიექტზე, საგანზე ხელყოფის დრო, ადგილი, საშუალება, თავისი შედეგებით). საქმე ის არის, რომ იქამდე, სანამ საბოლოოდ არ გაი-

¹ შ. ს. სტროგოვიჩი, კურსი, 1968, გვ. 363.

² თეორია, გვ. 164.

³ იქვე, გვ. 165.

რკვევა საეარაუდო დანაშაულის ყველა ნიშანი, შეუძლებელია ზელყოფის ობიექტური მხარე დანაშაულებრივად ჩაითვალოს. როგორც ენობილია, ხელყოფის დროსა და ადგილს მნიშვნელობა აქვს არა მარტო როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტებს კონკრეტულ შემთხვევებში, არამედ როგორც პასუხისმგებლობის განსსაზღვრელ გარემოებებს. დანაშაულის გახსნისათვის ამ კომპონენტების დადგენას უაღრესად დიდი როლი ენიჭება (აღიზი და სხვა). აქვე უნდა ითქვას თვით დანაშაულის ხერხებზე (ფიზიკურ ქცევებზე); შემთხვევითი არ არის, რომ ერთ დროს დანაშაულის ჩადენის ხერხების („ხელწერის“) მიხედვით რეგისტრაციის სისტემაე შეიქმნა, რაც გულისხმობდა დამნაშავის დადგენას დანაშაულის ჩადენის დროს მის მიერ გამოყენებული ხერხის ანუ ფიზიკური ქცევის თავისებურებათა მეშვეობით (თუ იგი სხვადასხვა დროს ჩაიდენდა შას). ცხადია, ძნელია გვაროვნული ნიშნების მიხედვით იდენტიფიკაციაზე ლაპარაკი, დანაშაულის ჩადენის „ხელწერა“ ინდივიდუალური გამომსახველობით არ იძლევა მოქმედი პირის უშეცდომოდ მიგნების საშუალებას, მაგრამ მისი ოპერატიული მნიშვნელობა კი ექვშიუტანელია. ხელყოფის ხერხი („ხელწერა“) თავისთავად ორგანულად ერწყმის ქმედობას. თვითონ დანაშაული, რომელსაც იურისტები ქმედობას (მოქმედებას ან უმოქმედობას) უკავშირებენ, ფსიქოლოგიურად, როგორც წესი, მხოლოდ ქცევის ხერხია, რომელიც ემსახურება გარკვეულ მოტივს ქცევის მიზნის უზრუნველსაყოფად. სისხლის სამართლის თვალსაზრისით, „დანაშაულის ჩადენის ხერხი“ არის, როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი (დამტანჯველი, ან სხვა ადამიანისათვის საშიში ხერხებით ჩადენილი განზრახი მკვლელობა და სხვა); ქმედობის ხერხს ენიჭება აგრეთვე პასუხისმგებლობის განსსაზღვრელი გარემოების მნიშვნელობა. ქმედობის შედეგი, როგორც ობიექტური მოვლენა, ახასიათებს დანაშაულის ობიექტურ მხარეს, მაგრამ იგი ითვლება პასუხისმგებლობის განსსაზღვრელ გარემოებადაც. თავისთავად ცხადია, სასჯელის გამოტანის დროს მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, ქურდობის შედეგად კონკრეტულად რა ზარალი განიცადა დაზარალებულმა. დანაშაულით მიყენებული ზიანი ყოველთვის უნდა იქნას სიზუსტით დადგენილი, თუ გვინდა, რომ ავირიდოთ შეცდომები როგორც კვალიფიკაციის, ისე პასუხისმგებლობის განსაზღვრაში. ჩვენც არ მიგვაჩნია სწორად ქმედობით მიყენებული შედეგების მტკიცების საგნის განსაზღვრისას მთავარი ფაქტის გარეთ გატანა, როგორც ამას, მაგალითად, პროფე-

სორი მ. ს. სტროგოვიჩი აკეთებს. მართებული არ უნდა იყოს აგრეთვე „შედგვის“ გამოჩენა „ზარალის ხასიათისა და ოდენობისაგან“ და მათი ცალ-ცალკე პუნქტებად შეტანა მტკიცების საგანში.¹ ვფიქრობთ, ერთნაირი გულმოდგინებით უნდა დადგინდეს ქმედობის შედეგი, უშუალო იქნება იგი (მაგალითად, ძალადობით სხვისი სიცოცხლის მოსპობა) თუ ნაწარმოები (თვითმკვლელობა გაუპატიურების გამო), რა პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს დანაშაულის შედეგების კლასიფიკაციას მათი დადგენის თვალსაზრისით, გაურკვეველია. ან როგორ შეიძლება სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების მუშაებს მიეცეთ რეკომენდაცია — ჭერ დაადგინონ „დანაშაულის შემთხვევასთან“ დაკავშირებით ქმედობის შედეგი, რაკი იგი, მაგალითად, კვალიფიკაციასაც განსაზღვრავს და მერე — სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად ცალკე იზრუნოს მისი დაზუსტებისათვის. ასეთი რეკომენდაცია უაზრო და ულოგიკო იქნებოდა. ვინც ასე თუ ისე გათვითცნობიერებულია კვლევადობის საკითხებში, მისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ხშირად დანაშაულის გახსნისათვის ამოსავალია სწორედ ფიზიკური ქმედობით გამოწვეული შედეგები (ხანძარი, გვამი ძალადობის ნიშნებით, საცავის გატეხვისა და ფასეულობის გატაცების ნიშნები და სხვა). ამ შედეგებს, ცხადია, ესაქიროებათ შესწავლა, რომელიც შესაძლოა თვით გამოძიების დამთავრებამდე მიმდინარეობდეს (მათი დაკონკრეტების თვალსაზრისით), მაგრამ ქმედობის შედეგების დანაწევრებას მხოლოდ გაუგებრობა შეიძლება მოჰყვეს. ბუნებრივია, რაკი გამოძიებელი (სასამართლო) დაადგენს საგარაუდო ქმედობის შედეგს, მას შეუძლია ამის შემდეგ, სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, მიიჩნიოს იგი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად, პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ გარემოებად, ან მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის აღძვრის საფუძვლად. სხვა საქმეა, როდესაც ზოგჯერ ამ თუ იმ ქმედობით გარკვეული ზიანი თავად იწვევს სხვა ზარალსაც (მოკლულის დამარხვის ხარჯები და სხვა). ასეთი ქონებრივი დაზიანების გადაწყვეტა კი, როგორც შენიშნულია, მართლაც სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობით წესრიგდება და განსახილველ მტკიცების საგანთან მას პირდაპირი კავშირი არა აქვს.

ვფიქრობთ, არაზუსტად არის განმარტებული ლიტერატურაში „დანაშაულის შემთხვევასთან“ დაკავშირებული „სხვა გარემოებანი“. კერძოდ, ზოგიერთის ფიქრით, იგი მოიცავს აგრეთვე, მაგალითად,

¹ ი. ე. ო. ბ. ზ. 177.

„დაზარალებულის ქცევის ხასიათს გაუპატიურების საქმეზე“,¹ რაც უფრო მიზანშეწონილია განხილულ იქნას დანაშაულის ჩადენის პირობების ასპექტში... საერთოდ აღსანიშნავია, რომ გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე, მოთხოვენ მთლიანად ჩამოთვლას, რაკი ისინი მხოლოდ ზოგად ფორმებშია ნაყარაუდევი. კანონით დაცულ ობიექტზე (საგანზე) ხელყოფის ობიექტური მხარის ნათელყოფისათვის დადგენილი უნდა იქნას სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედობის ჩამდენი პირის (პირების) ქმედობასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი. მას შემდეგ, როდესაც გამორკვეული იქნება ხელყოფის ობიექტი (საგანი) და ხელყოფის ობიექტური მხარის დამახასიათებელი ნიშნები (მიყენებული ზიანის ჩათვლით), ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ ინდივიდუალურად ვინ არის თვით ხელყოფი, და სახელდობრ მის მოქმედებას მოჰყვა თუ არა კონკრეტული შედეგი. ამ საფეხურზე, რა თქმა უნდა, ჯერ ძნელია ლაპარაკი ქმედობის ჩამდენი პირის შესახებ სრულყოფილ მონაცემებზე. აქ მხოლოდ ხაზი ესმება იმას, რომ შედეგი, რომელიც თავისთავად ფასდება, როგორც უარყოფითი მოვლენა საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით, გამოწვეულია ამა თუ იმ მოცემული კონკრეტული პირის ქმედობით. ცნობილია, მიზეზობრივი კავშირის დადგენა ხდება მხოლოდ ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როდესაც კანონით დაცულ ობიექტებზე ხელყოფა იწვევს გარკვეულ შედეგებს. მაგრამ მიზეზობრივი კავშირი პირის მოქმედებასა და დადგარ შედეგს შორის (რაც უნდა მძიმე იყოს ეს შედეგი), არ ითვლება საკმარისად იმისათვის, რომ პასუხისმგებაში მიეცეთ პირი, ან მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იქნეს გამოტანილი. ამიტომ უეჭველად ლოგიკურია მტკიცების საგანში ცალკე პუნქტად იქნას შეტანილი სავარაუდო დანაშაულის ჩადენაში პიროვნების ბრალეულობა, რაც ერთდროულად უნდა გულისხმობდეს როგორც მოქმედი პირის შერაცხადობისა და ასაკის, ისე კონკრეტულად ბრალის ფორმების განმსაზღვრელი ფაქტების დადგენას. უაღრესად დიდი პნიშენლობა აქვს განზრახვასთან ერთად ფსიქოლოგიური ქცევის ანუ მოტივისა და მიზნის დაზუსტებას, მათ ინდივიდუალურად გამოკვეთას, ფაქტიური ნიშნების საფუძველზე; როგორც ცნობილია, მოტივი ყოველთვის მოთხოვნილებას უკავშირდება, რაკი სწორედ მოთხოვნილებათა აქტივობის წყარო, მაგრამ ნებისმიერი ქცევა რთული ქცევაა, მას მარტო მოთხოვნილება და კონკრეტული სიტუაცია არ წარმოადგენს, როგორც ამას ადგილი აქვს იმპულსური ქცევის დროს. ქცე-

¹ მ გ რ ი ა ჯ, გვ. 170—171.

ვას იმიტომ ეწოდება ნებისმიერი, რომ სწორედ ნებისყოფა აძლევს სანქციას, ნებას რთავს ამა-თუ იმ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არჩეულ ფიზიკურ მოქმედებას, რომელიც აუცილებლად იქნება მიჩნეული განსჯის შედეგად. მაშინაც კი, როდესაც გაუფრთხილებელი ბრალით არის ჩადენილი დანაშაული, ბრალდებულის ფსიქოლოგიური ქცევის მოტივისა და მიზნის დადგენას უეჭველად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც მტკიცებულებით ფაქტებს, რადგან დანაშაული როგორც ფიზიკური მოქმედება, ამ შემთხვევაშიც რაიმე ფსიქოლოგიურ ქცევასთან არის დაკავშირებული, როგორც მისი უზრუნველყოფის ხერხი.

მტკიცების საგანში ცალკე მოსათავსებელია პირის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, აგრეთვე სისხლის სამართლის დევნის აღძვრის გამომრიცხველი და აღძვრული დევნის შემწყვეტი გარემოებანი, რაც გათვალისწინებულია პროცესუალური კანონმდებლობით. როგორც ცნობილია, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი შეეხებიან როგორც დანაშაულის შემადგენლობის ცალკეულ ელემენტებს (ობიექტს, ობიექტურ მხარეს, სუბიექტსა და სუბიექტურ მხარეს), ისე მთელ ქმედობასაც. აქ, რა თქმა უნდა, ნაგულისხმევია მხოლოდ ისეთი გარემოებანი, რომლებიც არ არიან შეტანილი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში; ჩამოთვლილ გარემოებებიდან თუ რომელიმე გათვალისწინებულია როგორც შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი, ნიშანი, მაშინ იგი ცალკე აღარ ითვლება შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებად. ამასთან მნიშვნელოვანია, ცხადია, მტკიცების საგანში გათვალისწინებული იქნას იმ გარემოებების დადგენაც, რომლებიც გამომრიცხავენ პასუხისმგებლობას და იწვევენ საქმის წარმოების შეწყვეტას (საფუძვლების მე-5 მუხლი, საქ. სსრ სსსკ მე-5 მუხლი). მტკიცების საგანში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებების გარკვევას. გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს მ. ს. სტროგოვიჩის მიერ ამ გარემოებათა მთავარი ფაქტისაგან მოცილება. როგორც ცნობილია, დანაშაულის ხელშემწყობი პირობების დადგენის აუცილებლობაზე სპეციალურად მიუთითებენ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის საპროცესო კოდექსები (საქ. სსრ სსსკ მე-60 მუხლი, რსფსრ სსსკ 68-ე და სხვა რესპუბლიკების სისხლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლები). თქმა იმისა, რომ თითქოს ყველა საქმეზე შეუძლებელია დეტა-

ლურად გამოვლინდეს ეს გარემოებანი¹, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებულა. უდავოდ, არანაკლებ სიძნელეებთან არის დაკავშირებული მოტივი (ფსიქოლოგიური ქცევა), მაგრამ მისი დადგენის აუცილებლობა ექვეს აღარ იწვევს; თუმცა არ არის გამორიცხული, რომ უკვე დადგენილ კონკრეტული მოტივის გარდა შესაძლოა დამნაშავეს ამოძრავებდა კიდევ სხვა მოტივიც (ფსიქოლოგიურად ერთდროულად რამდენიმე ქცევის შემთხვევებში), რომელიც გამოურკვეველი დარჩა, მაგრამ ეს სიძნელეები ხელს როდი აკვალბინებენ მოტივის ძიებაზე. რაც შეეხება იმას, რომ დანაშაულის ხელშემწყობი პირობები არ მოიხსენიება ხოლმე საბრალდებო დისკვნაში და განაჩენში², ამ ხარვეზს ესაპირობება გამოსწორება და არა უბრალო აღიარება. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუ სრული გარკვეულობით არ იქნება წარმოდგენილი დანაშაულის გამოვლინების ობიექტური და სუბიექტური პირობები (წინამძღვრები), არც დანაშაულის წინააღმდეგ თანმიმდევრულ ბრძოლაზე შეიძლება ლაპარაკი. დანაშაულობას ჩვენ ქვეყანაში იწვევს საზოგადოებრივ ყოფიერებასთან გარკვეული პირების ყოფიერების შეუთავსებლობა, რაც, კონკრეტულად ვლინდება საზოგადოებრივი წესებით პიროვნულ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის სახით. სრულ გაუგებრობად მიგვაჩნია დანაშაულის მიზეზი ვეძიოთ ე. წ. „ანტისაზოგადოებრივ განწყობაში“, თუმცა სამწუხაროდ, ავტორთა უმრავლესობა (ა. ვ. სახაროვი, პ. ს. დაგელი, ფ. ვ. ბასინი, ბ. ს. ვოლკოვი და სხვ.), მიუხედავად მათ შეხედულებებში არსებული მცირეოდენი სხვაობისა, ამ აზრს იზიარებს. ეს ეგრეთ წოდებული „ანტისაზოგადოებრივი განწყობა“ ეწინააღმდეგება დიმიტრი უზნაძის საყოველთაოდ აღიარებულ განწყობის თეორიას³; ამასთან, მას არევედარევა შეაქვს თვით მიზეზობრიობის სტრუქტურაშიც. მართლაც, როცა საერთოდ ქცევაზეა ლაპარაკი, უქველად იგულისხმება, რომ მას აღძრავს მოტივი და არა ფატალურად მიზეზი. მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აქტუალური სიტუაციის შექმნისთანავე პიროვნებას შეუგნებლად წარმოეშეება უკვე ქცევის განწყობა (იმპულსური ქცევის დროს); თვით ნებისმიერი ქცევის დროსაც მოტივია ქცევის აღმძვრელი (მოთხოვნილება; რომელიც დაკავშირებულია ნებისყოფასთან და ამა თუ იმ ფიზიკური ქცევის აუცილებლობის გაგებასთან). აქაც, როგორც იმპულსური ქცევის დროს, მოთხოვნილებას იწვევს პიროვნების სოციალურ-ბიოლოგიური ყოფიერება

¹ მ. ს. სტროგოვიჩი, დობახ. ნაშრომი, ვ. 368.
² იქვე, გვ. 368.

(რომელიც, თავის მხრივ, ზღვარდადებულია საზოგადოებრივ ყოფიერებით)... ამ გარემოებებს ჩვენ ხაზს უფრო იმიტომ ვუსვამთ, რომ დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებები (პირობები) აუცილებლად უნდა გამოვლინდეს, და ეს იმიტომაც, რომ მიზეზის უზრუნველყოფა წარმოსადგენია მხოლოდ კონკრეტულ პირობებში. დანაშაულის ხელშემწყობ გარემოებებს იურიდიული მნიშვნელობაც აქვთ. მათ დადგენას სავალდებულოდ ხდის კანონი, გამომდინარე ცხოვრების რეალური მოთხოვნებიდან; ისინი გათვალისწინებული უნდა იქნეს სწორედ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების სისტემაში და არა დამამტკიცებელ (მტკიცებულებით) ფაქტების გვერდით. ალკოპოლიზმი¹ ხშირად დანაშაულის ხელშემწყობ პირობად გვევლინება. ყველასათვის ცნობილია, რომ ხულიგნობას, მკვლელობას და სხვა ყოფით დანაშაულს უფრო სიმთვრალეში იღებენ. იმისათვის რომ გაუადვილდეთ დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა, ზოგჯერ განგებაც დათვრებიან ხოლმე. ამ გარემოების დადგენით, ცხადია, ნათელი ეფინება თვით ქმედობის ხასიათსაც. დანაშაულის ჩადენის პირობებად ლიტერატურაში ცნობილია აგრეთვე ცალკეულ ორგანიზაციებში, საწარმოებში, დაწესებულებებში მუშაობის მოშლა; კანონმდებლობაში დაშვებული ზარეზები, დანაშაულთან ბრძოლის შესუსტება და სხვა. ვფიქრობთ, ზოგჯერ არანაკლებ უბიძგებს და ანვითარებს დანაშაულობებს მექრთამეობა, პროტექციონიზმი და სხვა მანკიერი მოვლენები, რომელთა აღმოსაფხვრელად ვერ ტარდება ჭეროვანი ღონისძიებანი.

მტკიცების საგანში ცალკე უნდა იქნეს გათვალისწინებული მტკიცებულებითი („შუალედური“, „დამხმარე“) ფაქტები. პროფ. მ. ს. სტროგოვიჩის გამოთქმით, მტკიცებულებითი ფაქტებია ის ფაქტები, რომლებიც გვეხმარებიან ბრალდებულის გამტყუნებისათვის ან გამართლებისათვის.² მტკიცებულებით ფაქტებად მიჩნეულია: დანაშაულის ჩადენის ადგილზე დამნაშავის ყოფნის ფაქტი, მოწმის მიუქერძობელობის ფაქტი, მტრული დამოკიდებულება დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ სა-

¹ კანონმდებლობაში დღემდე არ არის მოგვიარებული მძიმე სიმთვრალის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხი. ჩვენ ჭერ კიდევ დათქმის ორი ათეული წლის წინაა აღენიშნავდით, რომ მძიმე ფიზიოლოგიური სიმთვრალე, რაჟი თავისი გამოვლინებით ძალიან ახლოსაა პათოლოგიურ სიმთვრალესთან, ასეთ მდგომარეობაში მყოფი სუბიექტის ქცევა არ მიმდინარეობს სოციალური პირობების დონეზე. რომ აქ გამოჩნდებოდა ნებისყოფის რილი და ა. შ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობდით (და ვფიქრობთ), რომ ხანამ კანონმდებელი არ შეიძინებს დასასჯელად მხოლოდ ალკოჰოლის ზოროტად გამოყენების ფაქტს, რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვია, ფიზიოლოგიური სიმთვრალის დროს დასჯილმა ზოგჯერ ატარებს ობიექტური შერაცხვის ხასიათს.

² იხ. მისი კუ რ ს ი, გვ. 367.

ხელწოდება „მტკიცებულებითი (დამამტკიცებელი) ფაქტები“ პირველ რიგში იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი უტყუერად უნდა იქნან დამტკიცებელი, რომ შემდეგში გამოვიყენოთ სხვა ფაქტების დასამტკიცებლად. მაშასადამე, მტკიცების საგანში შემავალ იურიდიული მნიშვნელობისა (მთავარი ფაქტი) და დამამტკიცებელი (მტკიცებულებით) ფაქტების დადგენას შორის განსხვავება არ არის. ის ვინც მოითხოვს, რომ მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების მიხედვით განისაზღვროს დასამტკიცებელ გარემოებათა წრე, ვფიქრობთ, ნაკლებად უნდა ზრუნავდეს ქეშმარიტების დადგენისათვის, თუ დამამტკიცებელი ფაქტების დადგენას მათი მტკიცების საგანში შეტანის გზით სავალდებულოდ არ გავხდით, უექველად შეიქმნება ქეშმარიტების დამახინჯების საფრთხეც. ან რატომ უნდა გვაშინებდეს ამ ფაქტების მტკიცების საგანში შეტანა? განა ამით იქმნება საშიშროება, რომ ისინი აგვერევა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებში? ან როგორ შეიძლება წინასწარ ვეძიოთ რომელ ფაქტებს აქვს იურიდიული მნიშვნელობა და ამის მიხედვით ვაგროვოთ დამამტკიცებელი საბუთები? პროცესუალისტების მიერ ერთხმად არის აღიარებული პირველ რიგში დანაშაულის შემთხვევის დადგენის აუცილებლობა; ამ პოზიციიანზე კანონმდებელიც. ამით კი, როგორც უკვე ითქვა, მივიწყებულა ის, რომ მტკიცების საგანი უნდა იაზრებოდეს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ, ე. ი. როდესაც დადგენილია დანაშაულის შემთხვევა (დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები); დანაშაულის შემთხვევა, თავისთავად ცხადია, გულისხმობს მის შემადგენელ ყველა ელემენტს და მათ შორის ბრალსაც (რახეც რატომღაც ცალკეცაა ლაპარაკი). ამიტომ უაზროდ გვეჩვენება ამ სახით მისი მტკიცების საგანში შეტანა. რა თქმა უნდა, გამოძიებელი საგამოძიებო გეგმის შედგენისას ითვალისწინებს, პირველ რიგში, ზოგად ვერსიებს — ვთქვათ, ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის არსებობას ან არარსებობას, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მას მხოლოდ მტკიცების საგანში გათვალისწინებულ დანაშაულის ელემენტების დამდგენ გარემოებათა თანმიმდევრული გამოარკვევით.

ლიტერატურაში სწორად არის შენიშნული, რომ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები დგინდებიან როგორც უარყოფითი, ისე

დადებითი ფორმით.¹ უარყოფითი ფაქტები მათ არარსებობას გულისხმობს. უარყოფითი ფაქტების დადგენის ორგვარი ხერხია ცნობილი.² ერთ შემთხვევაში მტკიცებულებით პირდაპირ დგინდება უარყოფითი ფაქტი (ვთქვათ, მოწმეები ამბობენ, რომ ბრალდებული გარკვეულ დროს არ იმყოფებოდა ამა და ამ ადგილზე); შესაძლოა აგრეთვე უარყოფითი ფაქტის დადგენა სხვა დადებითი ფაქტის დადგენით. თუ, მაგალითად, დამტკიცდება, რომ დანაშაულის ჩადენის დროს პირი იმყოფებოდა სხვა ადგილზე, ამით აგრეთვე მტკიცდება რომ მას არ შეეძლო ყოფილიყო დანაშაულის ჩადენის ადგილზე და დანაშაულის აღსრულება.³

მაშასადამე, საბოლოოდ მტკიცების საგანი სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს: 1. სავარაუდო დანაშაულზე პირი ქმედობის გამოვლინების ხასიათი (ობიექტზე, საგანზე ხელყოფის დრო, ადგილი, საშუალება (იარაღი), გარემოებანი, თავისი შედეგებითა და ეს შედეგები გამოწვეულია თუ არა პირის ქმედობით); 2. სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პიროვნება და მისი ბრალეულობა; 3. პირის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი; აგრეთვე სისხლის სამართლის დევნის აღძვრის გამომრიცხველი და აღძრული დევნის შემწყვეტი გარემოებანი; 4. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებანი, 5. დამამტკიცებელი (მტკიცებულებითი) ფაქტები.

2. მტკიცების ფარგლები

პროცესუალურ ლიტერატურაში მტკიცების ფარგლებად ითვლება დამამტკიცებელი საბუთების ერთობლიობა, რითაც დგინდება დასამტკიცებელი გარემოებანი. კანონის თანახმად, სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და პირი, რომელიც მოკვლევას აწარმოებს, მოვალენი არიან გამოავლინონ დანაშაულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი მტკიცებულებანი. როგორც მიღებულია, საქმის განხილვა სასამართლოში წარმოებს მხოლოდ მოცემულ საქმეში გამავალ ბრალდებულთა მიმართ და იმ ბრალდებით, რომლითაც ისინი მიცემულნი არიან სამართალში. ბრალდების შეცვლა სასამართლოში დასაშვებია, თუ ამით არ უარესდება სამართალში მიცემულის მდგომარეობა და არ ირღვევა მისი დაცვის უფლება... რო-

1 მ. ს. სტროგოვიჩი. დისკ. ნაშრომი, გვ. 370.

2 იქვე, გვ. 271.

3 იქვე.

გორკ ჩანს, სასამართლო განხილვის ფარგლები შეუძლებელია განისაზღვროს იმ დამამტკიცებელი საბუთების ვარეშე, რომლებითაც ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დგინდება ბრალდებულთა ბრალდებები, მათი შეცვლა თუ მოხსნა. ლიტერატურაში სამართლიანად არის გაკრიტიკებული ა. შ. ლარინის შეხედულება მტკიცების ფარგლებთან დაკავშირებით.¹ მისი აზრით, მტკიცების ფარგლებია დამამტკიცებელი ფაქტების ერთობლიობა.² სინამდვილეში, თავისთავად ცხადია, მტკიცების ფარგლებში უნდა ვიგულისხმოთ არა უშუალოდ ფაქტები (იქნებიან ისინი მხოლოდ მტკიცებულებითი თუ სამართლებრივი მნიშვნელობის), არამედ მათ შესახებ ინფორმაციები. როცა ელაპარაკობთ, მაგალითად, საგნებზე ექვმიტანილის მიერ თითის ანაბეჭდების დატოვების შესახებ, მტკიცების ფარგლებში იგულისხმება არა საგანზე ექვმიტანილის ხელის შეხების ფაქტი (რაც მტკიცების საგანს შეადგენს), არამედ საამისო ინფორმაცია. ინფორმაციებით ვგებულობთ არა მარტო დამამტკიცებელი ფაქტების, არამედ მტკიცების საგანში შემავალი სხვა ვარემოებათა შესახებ ცნობებსაც. მაგრამ მტკიცების ფარგლებთან დაკავშირებით საკითხი ისმება ფაქტობრივი მონაცემების ანუ ინფორმაციების ხასიათსა და ხარისხზე. რიგი ავტორები (ტანასევიჩი და სხვ.) არ თვლიან საჭიროდ მტკიცების ფარგლებში შეიტანონ ფაქტიური მონაცემები, რომლებითაც დგინდება, მაგალითად, რას წარმოადგენს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი, ვინ არის მისი მფლობელი, ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა და სხვა.³ ვფიქრობთ, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით საჭიროა შესაბამისი ინფორმაციები იქნას გამოყენებული აღნიშნული და ა. შ. ვარემოებათა დასადგენად იმისათვის, რომ შეცდომები არ იქნას დაშვებული სასამართლო ხარჯების დაკისრების დროს და სხვა.

ლიტერატურაში სწორად არის შენიშნული, მტკიცების მოცულობის განსაზღვრის მნიშვნელობაზე (ნ. ს. ალექსეევი და სხვ.), მაგრამ ბუნებრივად ძნელდება ამ „ნორმის“ დაცვა მაშინაც კი როდესაც ვცდილობთ ინფორმაციების შესახებითობისა და დასაშვებითობის მიხედვით წარვმართოთ მტკიცების პროცესი. არ არის დასაძალი, რომ წინასწარი გამოძიების დასაწყისში გამომძიებელს ხშირად უხდება ისეთი ინფორმაციების შეგროვებაც, რომლებიც არ განეკუთვნებიან კონკრეტულ საქმეზე დასადგენ ვარემოებებს. ამას იგი, რა თქმა უნდა, განგებ კი არ აკეთებს, არამედ, ზოგჯერ არც იცის თუ რა

¹ თ ე ო რ ი ა, გვ. 188—189.

² ახ. მისი სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება, 1970.

³ თ ე ო რ ი ა, გვ. 196.

არის აუცილებელი და ამ ძიებაში „თანმხლები“ ინფორმაციებზეც უარს არ ამბობს. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საჭიროა ვერიდოთ ინფორმაციების გაუმართლებელ დაგროვებას, რომ არ უნდა შევიტანოთ მტკიცების ფარგლებში: 1. ფაქტიური მონაცემები, რომლებიც არ ეხებიან საქმის გარემოებებს, 2. მონაცემები, რომლებიც ამტკიცებენ ისეთ გარემოებებს, რომლებიც უკვე საქმარისად დამტკიცებულია, 3. მონაცემები, იმ გარემოებათა დასამტკიცებლად, რომლებიც არ მოითხოვენ პროცესუალურ დამტკიცებას, 4. იმ მოქმედების ფიქსირება, საიდანაც წინასწარ ვიცით, რომ არ შეიძლება მივიღოთ გარკვეული სახის მტკიცებულება (ექსპერტის დანიშვნა და სხვა). 5. პროცესუალური წესების ძალით დაუშვებელი მტკიცება!... მაგრამ, განა ამ წესების დაცვით გაწეული სიფრთხილე თავიდან აგვაშორებს მტკიცების ფარგლების ცვალებადობას? თუკი სასამართლო წარმოების სტადიების მიხედვითაც და თვით ამა თუ იმ სტადიის ფარგლებშიც „მტკიცებულებათა მოცულობა“ მერყეობს, მათი კორექტირებისა და სრულყოფის ხარჯზე, როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ მტკიცების ფარგლები ერთი და იგივეა წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში?¹ ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ყველა სტადიაში ერთნაირადაა გათვალისწინებული მტკიცების საგანი, მტკიცებულებათა დასაშვებითობისა და შესახებითობის კრიტერიუმები, მაგრამ, ამასთან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კონკრეტული დანაშაულის გამოვლინების ფორმებს (როგორც ყოველთვის განსხვავებულს), მაშინ ხელთ შეგვრჩება მხოლოდ უსარგებლო სქემები და მექანიკურად მათი გამოყენების რეკომენდაციები, ზედმეტი აღმოჩნდებოდა მთელი მეცნიერული მეთოდები და ტექნიკური ხერხები, კრიმინალისტიკის საგანს რომ შეადგენს.

ვფიქრობთ, მხოლოდ თემის უზომო გატაცებით თუ შეიძლება აიხსნას წინასწარ შემუშავებული მტკიცების საგნის ასეთი გადაჭარბებული შეფასება. თეორიულად, რაღა თქმა უნდა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იდეალური შემთხვევა, როდესაც წინასწარი და სასამართლო გამოძიებით მივალწვეთ აბსოლუტური სიზუსტით გარემოებათა იმ თანმიმდევრობით დადგენას, როგორც გათვალისწინებულია მტკიცების საგანში. აი, ვთქვათ, მოხდა ხულიგნობა, ცენტრალურ ქუჩაში, დღისით-მზისით, უშველებელი დაწესებულების წინ, როდესაც თანამშრომლები შესვენებაზე გამოდიოდნენ... თავისთავად

¹ თეორია, გვ. 192—193.

² იქვე, გვ. 195. ეს მხოლოდ იდეალურ შემთხვევაში შეიძლება წარმოვიდგინოთ, როდესაც ყველაფერი დადგინდა, რაც საქმის სწორად დადგენისათვის არის საჭირო.

ცხადია, ამ შემთხვევაში შედარებით ადვილია პასუხი გავცეთ ყველა იმ კითხვაზე, რომელიც დაგვეხმარება მტკიცების საგანში გათვალისწინებულ გარემოებათა გამოსარკვევად. უფრო მეტიც, მტკიცების საგნის სქემის გარეშეც კი შეგვეძლო გაგვერკვია თუ რა მოხდა. მაგრამ დანაშაულის გამოძიება ხომ უფრო ხშირად შეუდარებლად აწეულია და მოულოდნელობით არის აღსაყვანი? როდესაც გამოძიებელი კრებს, მაგალითად, მონაცემებს სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტის დასადგენად, მას ძნელი გზის გავლა უხდება იქამდე, სანამ მიზანს მიაღწევდეს... დანაშაულის შემადგენლობის არც ერთი ელემენტი, არც ერთი სხვა გარემოება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, მზამზარეულად არ ეძლევა გამოძიებელს. დანაშაულის გამოძიებისას ყველა მათგანი მოითხოვს სხვადასხვა პირობების შესრულების შედეგად მიღებული ინფორმაციების აწონ-დაწონას, ზოგიერთი ინფორმაციის, როგორც გამოუყენებელის, მოხსნას, ზოგიერთისას კი — პირიქით, მიმატებას. კონკრეტული საქმის გამო, თავდაპირველად, მაგალითად, გამოძიებელს ჰქონდა იმის დამამტკიცებელი ინფორმაციები, რომ, ვთქვათ, ცეცხლის წაყიდვა და მნიშვნელოვანი ეროვნული ძეგლის დაწვა გამოწვეული იყო ეროვნული სიძულვილის'ან სხვა ქვეყნა გრძნობით, მაგრამ თანდათან ეს აზრი შეეცვალა და ხელთ შეჩრა იმ დამამტკიცებელი საბუთების ჯამი, რითაც მტკიცდება, მაგალითად, მხოლოდ დაუდევრობით ცეცხლის გაჩენა. ჩვენ თუ ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ ეს არის არა მტკიცების ფარგლების, არამედ „მტკიცების ფაქტიური მოცულობის“, „მტკიცებულებათა მოცულობის“ შევიწროება ან გაფართოება, ამით მხოლოდ გაუგებრობას წავაწყდებით მტკიცების საგნისა და ფარგლების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის ვარკვევისას. არ იწვევს დავას, რომ ზოგჯერ საკასაციო და საზედამხედველო წარმოების დროს საკითხი დადგება ხოლმე საქმის არსებითად ხელახლად განხილვისათვის სასამართლოში დაბრუნების შესახებ, სწორედ იმ საფუძველით, რომ გაფართოებული იქნას მტკიცების ფარგლები, ე. ი. გამოირკვეს გარემოებანი; რომლებიც უყურადღებოდ იქნენ დატოვებულნი. ამ შემთხვევაშიც თუ მივიჩნევთ, რომ ადგილი აქვს არა მტკიცების ფარგლების, არამედ მტკიცების მოცულობის გაფართოებას, უკეთეს შემთხვევაში, ეს შეიძლება ჩავთვალოთ ტერმინოლოგიური ხასიათის დავად, რომელიც მოკლებული იქნება შინაარსობრივ საფუძველებს (ჩვენ არ უარვყოფთ, ცხადია, მტკიცების საგნისა და ფარგლების ობიექტურ ხასიათს).

IV. დამამტკიცებელი საბუთების არსი

1. მტკიცებადგენის ცნების განსაზღვრა

მტკიცების საგანში გათვალისწინებული გარემოებანი შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთებით. სასამართლო წარმოების თეორიაში და პრაქტიკაში დამამტკიცებელ საბუთებზე უფრო რთული და დიდმნიშვნელობის პრობლემები არც მოიძებნება. დამამტკიცებელი საბუთები საფუძვლად ედება მთელ პროცესს — სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმის მოძრაობას მტკიცების პროცესში. დამამტკიცებელი საბუთების გარეშე არ არსებობს არც მოკვლევა, არც წინასწარი და სასამართლო გამოძიება. დამამტკიცებელი საბუთები ედება საფუძვლად საქმის საკასაციო და საზედამხედველო წარმოებას. დამამტკიცებელი საბუთების გარეშე პროცესუალური სამართალიც დაკარგავდა საზრისს. ბევრი პროცესუალური ინსტიტუტი თავის სათავეს მტკიცებიდან იღებს. შემთხვევითი არ არის, რომ დამამტკიცებელ საბუთებს სასამართლო წარმოების გაჩენისთანავე მიეჭა მთავარი ყურადღება; სხვა საქმეა, რომ დამამტკიცებელ საბუთებზე იქმნებოდა ყალბი წარმოდგენები, ისინი უფრო ხელს უწყობდნენ უსწორო გადაწყვეტილებათა გამოტანას და სხვ., მაგრამ დამამტკიცებელი საბუთების გარეშე რომ წარმოუდგენელი იყო „განსჯა“ და „დასჯა“ ეს უდავოა.

ბევრი საბჭოთა მკვლევარი დაინტერესდა დამამტკიცებელი საბუთების პრობლემებით (სტროგოვიჩი, პოლიანსკი, ჩელცოვი, კლეინმანი, გროძინსკი, პოტაპოვი, გოლუნსკი და სხვ.), დამამტკიცებელი საბუთების პრობლემები ამჟამადაც ყურადღების ცენტრშია და მოითხოვენ შემდგომ უფრო ღრმა დამუშავებას. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან პრობლემად უნდა ჩაითვალოს თვით დამამტკიცებელი საბუთების ცნება.

როგორც ცნობილია, აკადემიკოს ა. ი. ვიშინსკის აზრით, დამამტკიცებელი საბუთებია — ჩვეულებრივი ფაქტები, იგვევ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები, იგვევ ნივთები, იგვევ ადამიანები, იგვევ ადამიანთა მოქმედებანი. ისინი სასამართლო მტკიცებულებებს წარმოადგენენ იმდენად, რამდენადაც ექცევიან სასამართლო პროცესის ორბიტში, ვადაიქცევიან სასამართლოსა და გამოძიებისათვის საინტერესო გარემოებათა დადგენის საშუალებად.¹ დამამტკიცებელ საბუთებს ფაქტებთან და გარემოებებთან აიგივებდა აგრეთვე მ. ა. ჩელ-

¹ ა. ი. ვიშინსკი, სასამართლო მტკიცებულებათა თეორია სასამართლოში (რუს.), 1950, გვ. 223.

ოვო; იგი წერდა: დამამტკიცებელი ფაქტები ანუ, მტკიცებულებანი ეწოდება იმ ფაქტებს, რომლებისაგანაც კეთდება დასკვნა დასამტკიცებელი ფაქტების შესახებ¹.

პროფესორი მ. ს. სტროგოვიჩი თავისებურად განმარტავს დამამტკიცებელ საბუთებს. კერძოდ, მისი სიტყვით, დამამტკიცებელი საბუთებია ის ფაქტიური მასალა, რომელზედაც ეყრდნობა გამოძიება და სასამართლო, მთელი თავიანთი საქმიანობის პროცესში სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და გადაწყვეტის დროს, რომელთა საფუძველზე წყვეტენ ამ საქმეთა არსებით საკითხებს.² მ. ს. სტროგოვიჩი დამამტკიცებელი საბუთების ცნებას ორგვარ მნიშვნელობას ანიჭებს; ჭერ ერთი, დამამტკიცებელ საბუთებად იგი თვლის იმ ფაქტებს, რომელთა საფუძველზე დგინდება დანაშაულის არსებობა ან არარსებობა, დანაშაულის ჩადენაში ამა თუ იმ პირის ბრალეულობა, ან არაბრალეულობა და სხვა გარემოებანი, რომლებზედაც დამოკიდებულია ამ პირის პასუხისმგებლობის ხაზისხი. ამას გარდა, დამამტკიცებელი საბუთებია, მეორეს მხრივ, ქანონით გათვალისწინებული ის წყაროები, რომლებისაგანაც გამოძიება და სასამართლო დებულობენ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტებზე და რომელთა საშუალებითაც ისინი ამ ფაქტებს ადგენენ.³ როგორც ჩანს, პროფესორი მ. ს. სტროგოვიჩი დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტო ფაქტებს, რომლებითაც დგინდება მტკიცების საგანში გათვალისწინებული გარემოებები, არამედ, თვით მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებებს, ექსპერტის დასკვნასა და სხვ., ე. ი. რომლებსაც პროცესუალურ ლიტერატურაში დამამტკიცებელი საბუთების წყაროებს უწოდებენ. კონკრეტულ მაგალითს რომ მივმართოთ, დამამტკიცებელი საბუთი იქნება არა მარტო, ვთქვათ, დოკუმენტის გაყალბების ფაქტი, არამედ ის წყაროც (კრიმინალისტური ექსპერტიზის დასკვნა), რითაც მტკიცდება ეს გაყალბების ფაქტი. სტროგოვიჩის აზრით, დამამტკიცებელი საბუთების ამდაგვარ გაგებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, დამამტკიცებელი საბუთების შეფასება შეეხება პირველ რიგში, წყაროებს. მაგალითად, მოწმის ჩვენების შეფასებისას უნდა დავარწმუნდეთ, რომ მოწმე ლაპარაკობს მართალს, არ ცრუობს, არ ცდება. თუ გამოირკვა, რომ მოწმის ჩვენება არ არის დამაჯერებელი, მის საფუძველზე არ შეიძლება დადგინდეს ის ფაქტი, რაზედაც

1 საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, 1951, გვ. 134—135.

2 იხ. მისი კურსი, გვ. 287—288.

3 იქვე, გვ. 288—289.

აჩვენებს მოწმე.¹ მაგრამ მაშინაც, როდესაც დამტკიცდება, რომ სა-
 რწმუნოა მოწმის ჩვენება, გამოკვლევა ამით არ მთავრდება, საჭიროა
 შეფასდეს მოწმის ჩვენებით დადგენილი ფაქტი, ამტკიცებს თუ არა
 იგი სხვა დასადაგნ ფაქტს, შესაძლოა თუ არა ამ ფაქტის მიხედვით
 გაკეთდეს დასკვნა პირის ბრალეულობის ან არაბრალეულობის შესა-
 ხებ. მტკიცებულებითი ფაქტები გვეხმარებიან მთავარი ფაქტის დად-
 გენაში, მაგრამ თუ დამამტკიცებელ საბუთად არ ჩავთვლით ფაქტების
 შესახებ ცნობების მომცემ წყაროებს, მაშინ, სტროგოვიჩის შენიშე-
 ნით, აღარ შეიძლება ვილაპარაკოთ დამამტკიცებელი საბუთების
 კეთილხარისხოვნებაზე, ან არაკეთილხარისხოვნებაზე (რადგან ფაქ-
 ტები არ ხასიათდებიან ამ თვისებებით).² მ. ს. სტროგოვიჩი აკრიტი-
 კებს მ. მ. გროძინსკის, რომელიც თვლიდა, რომ დამამტკიცებელი
 საბუთებია მხოლოდ მტკიცებულებითი ფაქტები და ამ ფაქტების
 შესახებ მონაცემების წყაროები კი — მტკიცებულებათა წყაროე-
 ბიაო.³ ავტორი არ ეთანხმება აგრეთვე ს. ა. გოლუნსკის, მ. ა. ჩელ-
 ცოვს, რ. ს. ბელკინს და სხვებს, რომელთა შეხედულებით, სსრ კავში-
 რის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო
 წარმოების 1958 წლის „საფუძვლებმა“ თითქოს მხოლოდ უარ-
 ყვეს დამამტკიცებელი საბუთების ცნების ორგვარი მნიშვნელობა და
 დამამტკიცებელ საბუთად აღიარეს მხოლოდ ფაქტიური მონაცემები,
 ე. ი. ფაქტები.⁴ მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცე-
 სო სამართალშიც დამამტკიცებელი საბუთების ცნების სინონიმად,
 ფაქტობრივი მონაცემების გარდა, მიჩნეულია, პროცესუალური სა-
 შუალელებიც, რომლებითაც დგინდება ეს ფაქტობრივი მონაცემები.⁵
 ე. ი. დოროხოვი ხაზს უსვამს ფაქტიური მონაცემებისა და პროცე-
 სუალური წყაროების ერთიანობას და ცდილობს ამ მიმართულებით
 დაუპირისპირდეს დღემდე არსებულ სხვა შეხედულებებს. მისი
 აზრით, ეს ერთიანობა ყველაზე უფრო მკაფიოდ სსრ კავშირისა და
 მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარ-
 მოების 1958 წლის საფუძვლებიდან ჩანს. იგი არ ივიწყებს არც ადრე
 მოქმედ პროცესუალურ აქტებს და სურს დაამტკიცოს ერთის მხრივ,
 ფაქტების განსხვავება ფაქტობრივი მონაცემებისაგან და, მეორეს
 მხრივ, ფაქტიური მონაცემებისა და მათი წყაროების ერთიანობა.⁶

1 მ. ს. სტროგოვიჩი, კურსი, გვ. 289.

2 იქვე, გვ. 292—293.

3 დასახ. კურსი, გვ. 291; М. М. Гроданисский, Улики в советском уголовном процессе, вып. 7, 1945.

4 მ. ს. სტროგოვიჩი, გვ. 291.

5 საბჭოთა სამოქალაქო პროცესი, 1975, გვ. 131.

6 თეორია, გვ. 199.

იმისათვის, რომ ნათელვყოთ ე. ი. დოროხოვის ნაზრევი (რომელიც თითქოს დამამტკიცებელი საბუთების შესახებ მ. ს. სტროგოვიჩის ნაშრომზე კრიტიკულ რეცენზიას წააგავს), საჭიროა უფრო ღრმად ჩაეხედოთ თვით დავის საგანს; მეცნიერულ ტერმინებს მართალია უმთავრესად პირობითი მნიშვნელობა ენიჭებათ, მაგრამ ზოგჯერ არის ისეთი გარემოებანიც, რომელთაც გვერდს ვერ ავუვლით, თუ გვინდა, რომ კვლევის პროცესში კანონზომიერება იქნეს დატული. როგორც ცნობილია, მარტო ე. ი. დოროხოვი არ ანსხვავებს ფაქტობრივ მონაცემებს თვით ფაქტებისაგან. ლიტერატურაში ეს პოზიცია საკმაოდ გამოკვეთილად არის ჩამოყალიბებული და დაობენ მხოლოდ იმაზე, დამამტკიცებელ საბუთებად ფაქტები ჩაითვლებიან თუ ამ ფაქტების შესახებ მიღებული ცნობები, რომლებსაც აქამად ყველა ფაქტობრივ მონაცემებს უწოდებს. ეს დავა ახალი არ არის, მას დიდი ისტორია აქვს (მისი ასაკი ემპირიულად სასამართლო წარმოების ისტორიულ დასაბამიდან იღებს სათავეს), მაგრამ საკითხავია, ფაქტობრივი მონაცემები თავიანთი ხასიათით განსხვავდებიან ფაქტებისაგან? თუ ფაქტი რეალური სინამდვილის მოვლენაა, განა ფაქტობრივი მონაცემები ამ მოვლენის თვისებებს არ გულისხმობენ? ფაქტობრივი მონაცემები განა შეიძლება არსებობდნენ ადამიანის გონებაში? ისინი ხომ ობიექტური სინამდვილის ფაქტებია, რომლებიც აისახებიან ხოლმე ადამიანის შეგნებაში? განა არსებობს არაფაქტობრივი მონაცემებიც? მაშ რატომ არ ვუწოდებთ „ფაქტობრივ მონაცემებს“ საგნის ამა თუ იმ თვისებას. ნიშანს? უდავოდ გვეჩვენება, რომ „ფაქტები“ და „ფაქტობრივი მონაცემები“ — სინონიმებია. მაგალითად, იმ ადგილზე, სადაც შემდეგ ჩადენილი იქნა დანაშაული, მოქალაქე პეტრიაშვილმა შენიშნა თავისი მეზობელი პავლიაშვილი; დანაშაულის ჩადენის ადგილზე პავლიაშვილის ყოფნის ფაქტი დადასტურა მოწმე პეტრიაშვილმა თავისი ჩვენებით (ინფორმაციით). თუ დავუშვებთ, რომ იმავე პეტრიაშვილმა შემთხვევის ადგილზე დაინახა არა მეზობელი, არამედ უცნობი მოქალაქე, რომელსაც ჰქონდა, ვთქვათ, გრძელი ცხვირი, გაფითრებული სახე და სხვა, ეს ნიშნები სხვა არაფერი იქნება თუ არა „ფაქტობრივი“ მონაცემები, რადგან სწორედ ამ მონაცემებით არის შესაძლებელი გამოძიებისათვის საინტერესო პიროვნების დადგენა. მონაცემებით ხასიათდებიან, როგორც ადამიანები, ისე ცხოველები და უსულო საგნებიც. ადამიანის მონაცემებია: შინაგანი სამყაროც (კულტურა, ცოდნა...) და გარეგნობის ნიშნებიც (თანდაყოლილი თუ შეძენილი). აგრეთვე ცხოველებსა და საგნებსაც ახასიათებენ მონაცემები, რომლებიც განეკუთვნ-

ნებიან ან ზოგად, ან კერძო ნიშნებს; ეს ნიშნები, ვიმეორებთ, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფაქტები, ისინი განუყრელად არიან დაკავშირებული იმ საგანთან, რომლებსაც ისინი ახასიათებენ. წყლის თვისებას, ცხადია, ვერ დავაშორებთ წყლისაგან, მაგრამ ჩვენ რომ გარკვეულ ადგილზე წყლის არსებობა ფაქტად ჩავთვალოთ და მისი მონაცემები (ქიმიური შემადგენლობა) კი არ მივიჩნიოთ ფაქტებად, მაშინ უნდა დაეუშვათ წყლის არსებობის ფაქტი მისი შემადგენლობის გარეშე, ადამიანის შემთხვევის ადგილზე არსებობის ფაქტი, მისი კიდურებისა და სხვა ორგანოების გარეშე და ა. შ. ვფიქრობთ, საგამოძიებო თვალსაზრისითაც შესაძლოა ერთი რომელიმე მონაცემი (ვთქვათ, ანატომიური) იყოს მნიშვნელოვანი და მას იქამდე ვერ გამოვიყენებთ საქმეზე, სანამ მისი არსებობა არ დადასტურდება როგორც ფაქტისა. მაგალითად, უცნობის სახეზე წარუხოცველი ნაწიბურის არსებობა იგივე ფაქტის არსებობას ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშანი ჩვეულებრივად ჩაითვლება პიროვნების გარეგნობის ერთ-ერთ მონაცემად; ამ მონაცემზე, როგორც სხვა ობიექტურად არსებულ სინამდვილეზე შეიძლება მივიღოთ ცნობები, და სწორედ მათ ექნებათ ინფორმაციული ხასიათის ანუ მტკიცებულებითი მნიშვნელობა. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფაქტები — ფაქტობრივი მონაცემები არ უნდა აეურიოთ ინფორმაციებში, რომლებიც გვეძლევა ადამიანების (ცხოველების) ან უსულრო საგნების წყალობით.

ვ. ი. დოროხოვი დამამტკიცებელ საბუთებს უკავშირებს შედარებით დამოუკიდებელ ორი ჯგუფის ფაქტებს: პირველი ჯგუფის ფაქტებია მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები, მეორე — ფაქტები, რომლებიც არ შედიან მტკიცების საგანში (შუალედური, დამხმარე ფაქტები).¹

სხვათა შორის, მას მოჰყავს მ. ს. სტროგოვიჩის ღიდი ხნის წინათ გამოცემული სახელმძღვანელოდან ამონაწერი, სადაც კვითხულობთ: „პირდაპირ დამამტკიცებელი საბუთებით დასაღგენი ფაქტებიც გარკვეული აზრით მტკიცებულებითი ფაქტებია, რადგანაც მათგან კეთდება დასკვნა ბრალდებულის ბრალეულობის ან არაბრალეულობის შესახებ“.² აქედან გამომდინარე, ვ. დოროხოვიც არ უარყოფს, რომ ტერმინი „მტკიცებულებითი ფაქტი“ შეიძლება ნიშნავდეს მტკიცების საგნის ცალკეულ გარემოებათა ცოდნასაც. მოჰყავს მაგალითი: მოწმეებმა დაადასტურეს, რომ უცნობმა სუბიექტმა დაზარალე-

¹ თ ე ო რ ი ა, გვ. 201.

² მ. ს. ს ტ რ ო გ ო ვ ი ჩ ი, სესხლას ს.მ. პრატ. 1946, გვ. 167.

ბულს დაუზიანა სხეული და დაიძალა; ექსპერტის დასკვნით, დაზიანება მძიმე კატეგორიისა აღმოჩნდა. ავტორის შენიშვნით, ამ მაგალითზე, დანაშაულის შემთხვევის შესახებ ცოდნა — მტკიცებულებითი ფაქტი დაედება საფუძვლად პირის ბრალეულობასა და პასუხისმგებლობის შესახებ დასკვნათა სისტემების შემუშავებას.¹ მიუხედავად აღნიშნულისა, ავტორი მაინც უცნაურად დაასკვნის, რომ ტერმინი „მტკიცებულებითი ფაქტი“ („ფაქტი“), როგორც ფაქტის შესახებ დასკვნა (ცოდნა), არ შეიძლება გათანაბრდეს მტკიცებულებასთან, როგორც ფაქტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციასთან.² საკითხავია, რა გეიშლის ხელს? თუ ლოგიკაში მტკიცებულებაა არგუმენტი, დანასკვი, რითაც მტკიცდება ან არ მტკიცდება წამოყენებული თეზისი,³ მაშინ ე. წ. მტკიცებულებითი ფაქტებიც განა პირობით თვით ფაქტების შესახებ ინფორმაციის მნიშვნელობით არ იხმარება მტკიცების პროცესში? ვფიქრობთ, მტკიცებულებათა ცნების შესახებ ე. დოროხოვის შეხედულებაში წინააღმდეგობების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ უნდა ჩაითვალოს მტკიცებულებითი ფაქტების მტკიცების საგნისაგან ჩამოცილება. ავტორს არ სურს აშკარად აღიაროს, რომ მტკიცებულებითი ფაქტები ისევე მოითხოვენ დამტკიცებას, როგორც სხვა ყველა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი. ასეთი რამ კი მოსახერხებელია მხოლოდ მტკიცების პროცესში. თუ, მაგალითად, გარკვეულ მომენტში დანაშაულის ჩადენის ადგილზე ექვემდებარების ყოფნა დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით და სხვ., განა ეს პროცესი მტკიცებას არ უტოლდება? რა შავდება რომ მოვლენები თავიანთი სახელებით მოვიხსენიოთ ხოლმე? ნუთუ ერთმანეთში აგვერევა იურიდიული და მტკიცებულებითი მნიშვნელობის ფაქტები, თუ მათ ორივეს გავაერთიანებთ მტკიცების საგანში? ამაზე ფიქრიც ხომ გულუბრყვილობა იქნებოდა? ან განა არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ წინასწარ უშეცდომოდ „დავახარისხოთ“ ფაქტები მათი შემდგომი გამოყენების პერსპექტივების სრული გააზრებით? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფაქტი, როგორც ასეთი, არ შეიძლება დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვალოს (სხვა ავტორებთან ერთად ამას არ უარყოფს თვით დოროხოვიც). მაშასადამე, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ვფიქრობთ, უმჯობესია მტკიცებულებით (შუალედურ, დამხმარე) ფაქტებს ეწოდოს „მტკიცებულებით ფაქტებზე ინფორმაციები“.

1 თეორია, გვ. 226.

2 იქვე, გვ. 227.

3 იქვე.

ხელმძღვანელობენ რა ჰეგელის დებულებით (რომელიც მერე ლენინმაც გამოიყენა), რომ მტკიცება არის გაშუალებული შემეცნება, პროცესუალურ ლიტერატურაში სადავოდ გახადეს მტკიცების საგანში შემავალი მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის გამომძიებლის (მოსამართლის) მიერ უშუალოდ აღქმის შესაძლებლობა. ამ ოცდაათიოდე წლის წინათ, მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტში სპეციალურად იყო მსჯელობა ამ საკითხზე — ვ. ი. ლიევიცის ნაშრომთან („უშუალობის პრინციპი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში“) დაკავშირებით... და აი ახლა უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ დაყენებულ პრობლემას მას შემდეგ არ დასტუობია რაიმე შესამჩნევი ცვლილება. მკვლევართა უმრავლესობის (მ. მ. გროძინსკი, მ. ა. ჩელცოვი, მ. ს. სტროგოვიჩი და სხვ.) მიერ იმთავითვე მიღებულად ითვლებოდა, რომ დანაშაული, როგორც წარსულში მომხდარი მოვლენა გამომძიებლის (მოსამართლის) მიერ არ შეიძლება უშუალო აღქმით იქნას შესწავლილი. ვ. ი. ლიევიცას აზრით. რომელსაც ახლაც ჰყავს მომხრეები (დოროხოვი და სხვ.), არის დანაშაულის შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ განაგრძობენ უცვლელად ან ნაწილობრივ შეცვლილი სახით არსებობას; სახელდობრ: ჩადენილი დანაშაულის მატერიალურ შედეგებთან დაკავშირებული ფაქტები (დამწვარი სახლი, დაზარალებულის დასახიჩრებული სახე და სხვ.); დანაშაულებრივ ქმედობასთან დაკავშირებით შენახული პროდუქტები; აღმოჩენილ დანაშაულის ხელყოფის საგნები (გატაცებულ კოსტიუმი, საათი და სხვ.); დანაშაულის ჩადენის ადგილის გარემოება; დამნაშავეის გარეგნობის დამახასიათებელი ზოგიერთი ფაქტი (სახის ნაკეთები, სიმაღლე, თმის ფერი და სხვ.).

ვ. ი. დოროხოვი ეთანხმება ვ. ი. ლიევიცს¹ და დასძენს, რომ ჩამოთვლილ ფაქტებს უშუალოდ აღიქვამენო პროცესში მონაწილენი (გამომძიებელი, მოსამართლენი), რაკი ისინი არსებობენ სინამდვილეში და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს შეინარჩუნეს საქმისათვის მნიშვნელოვანი თვისებები.² ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. მ. ს. სტროგოვიჩს სრულიად დამაჯერებელი დასკვნა აქვს გაკეთებული 1955 წელშიც, როდესაც გამოცემული იქნა მისი ფუნდამენტური მონოგრაფია „მატერიალური ქეშმარიტება და დამამტკიცებელი საბუთები საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში“.³

¹ ვ. ი. ლიევიცა, უშუალობის პრინციპი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, 1947, გვ. 18—19.

² იხ. დასაბ. თეორია, გვ. 202—203.

³ დასაბ. ნაშრომი, გვ. 235—236, კურსი; ტ. 1. გვ. 313—314.

იგი სწორად აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში უშუალო აღქმის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთები და არა დასამტკიცებელი ფაქტები. მართლაც, სავარაუდო დანაშაულის ისეთი შედეგები, როგორცაა დამწვარი სახლი, ან დაზარალებულის დასახიჩრებული სახე განა არ წარმოადგენენ ამ ინფორმაციების წყაროებს, რომლებითაც ჩვენ ვაძგენთ შედეგის ფაქტს? შედეგიც ხომ თავისთავად უკვე წარსულია, რაკი გამოძიებელი (მოსამართლე) უშუალოდ ვერ შეესწრო და არც შეეძლო შესწრებოდა ამ შედეგის დადგომას? მაგალითისათვის დავასახელოთ ერთ-ერთი დიდი დაწესებულების დაწვის ფაქტი. გამოძიება წლობით გრძელდებოდა; საკმარისი ძიებებთან იყო დაკავშირებული ცეცხლის წაქიდების შედეგის, როგორც უკვე მომხდარი მოვლენის დადგენაც. საქვეყნოდ იქნა დემონსტრირებული ტელევიზიით ბრალდებულთა ჩვენებები, თუ როგორ გაინაწილეს ფულთ იმისათვის, რომ დაეწვათ დაწესებულება, მაგრამ განა აქედან იმის თქმა შეიძლება, რომ გამოძიებელმა (სასამართლოს შემადგენლობამ) ან თუნდაც ტელემაყურებლებმა უშუალოდ აღიქვეს ფულის განაწილების ფაქტი? ცხადია, აღქმულ იქნა მხოლოდ ინფორმაციები ანგარებით მოქმედების ფაქტთან დაკავშირებით, რაც უკმარისობის გრძნობის წყაროდაც იქცა ყველა გულშემამტკიცრისათვის. რაკი ვერ იქნა გაშიშვლებული ის არამზადა, რომელიც, გულუხვად იხარჯებოდა ხალხის სამტროდ.

თუ დაუშვებთ, რომ ხელყოფის შემდეგ შედეგი ყოენდება, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება დადგეს და სხვა, ამ შემთხვევაშიც შედეგზე შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ როგორც მომხდარ ფაქტზე; გამოძიებელი (მოსამართლე) თუ აკვირდება „ამ შედეგის დინებას“, იგი უნდა დაიკითხოს როგორც მოწმე, რომელიც ვერ შეითავსებს გამოძიებას. მაშასადამე, შედეგი, ისე როგორც ქმედობა, გამოძიებლისათვის (მოსამართლისათვის) უკვე მომხდარი მოვლენაა და მისი შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთებით. დამწვარი სახლი ის საგანია (საგანთა ურთიერთობით შექმნილი გარემოება), რომელიც გვაწვდის ინფორმაციებს, როგორც დანაშაულის (ცეცხლის წაქიდების) შედეგზე, ისე სხვა ფაქტებზე, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის გამოძიებისათვის. ასევე ითქმის დასახიჩრებულ სახეზე. განა გამოძიებელი უშუალოდ შეესწრო დასახიჩრების ფაქტს? (მაშინ ხომ იგი გამოძიებასაც ვეღარ ჩაატარებდა?). დასახიჩრება ამ შემთხვევაში გვაძლევს ინფორმაციას დაზარალებულის გარეგნობის ნიშნების სახით, როგორც სავარაუდო დანაშაულის შედეგის, ისე სხვა დასაადგენი ფაქტების შესახებ. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც დამწვარი სახლი, ისე დაზარა-

ლებულის დასახიჩრებული სახე საექსპერტო გამოკლევითაც შეი-
სწავლება, რაც მხოლოდ გაშუალებულ შემეცნებას გულისხმობს. სა-
კითხავია, რისთვის არის საჭირო დასახიჩრების ხასიათის დადგენა
საექსპერტო გამოკვლევის გზით, თუ ეს „დასახიჩრება“ არ განისი-
ლება მხოლოდ როგორც ინფორმაციის წყარო, განა შესაძლებელია
მისი დანაშაულის ჩადენის ფაქტად ცნობა გამომძიებლის უბრალო
აღქმით?

გაყალბებული დოკუმენტი, შინ გამოხდელი არაყი და სხვა
სწორედ რომ ნივთიერად მიუთითებენ იმ გარემოებებზე, რომლებ-
საც მნიშვნელობა ეძლევათ სიყალბის ფაქტის დასადგენად და ა. შ.
ცხადია, ამ შემთხვევაში ყალბი დოკუმენტი, როგორც ნივთიერი
დამამტკიცებელი საბუთი, უშუალოდ აღიქმება გამომძიებლის (სასა-
მართლოს შემადგენლობის) მიერ. მაგრამ აქ ლაპარაკია იმაზე, გათა-
ნაბრდეს თუ არა იგი საძიებელ ფაქტთან, ე. ი. თვით სიყალბის ჩადე-
ნის ფაქტთან. სამწუხაროა, როცა თეორიულად ერთმანეთში გვე-
რევა მოქმედების მიზანი და საშუალება. გამომძიებელს კი პრაქტი-
კულად მეტი გზა არა აქვს, ჭერ უნდა დაადგინოს დოკუმენტის რე-
კვიზიტების არსი, ამ რეკვიზიტების შესაბამისობა დოკუმენტის
შედგენის წესებთან და სხვა და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი
აღმოაჩენს დოკუმენტში შინაარსობრივ დამახინჯებას, შეუძლია და-
სკვნები გააკეთოს საძიებელი ფაქტის (სიყალბის ფაქტის და სხვ.)
შესახებ. ამასთან დაკავშირებით, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ
დოკუმენტის გაყალბების, არყის შინ გამოხდის ფაქტებს უშუალოდ
ვერც აღიქვამს გამომძიებელი (სასამართლოს შემადგენლობა). მსგავსი
ფაქტების დადგენა მოსახერხებელია მხოლოდ საექსპერტო გამო-
კვლევების გზით (ან მოწმეთა დაკითხვით).

საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ხელყოფის საგნები
(გატაცებული კოსტიუმი, საათი...) ნივთიერ დამამტკიცებელ საბუ-
თებს წარმოადგენენ და ამიტომ გვაკვირვებს იმ ავტორების მსჯელო-
ბანი, რომელთა მიხედვითაც დანაშაულის შემთხვევის ფაქტთან ათა-
ნაბრებენ ამ საგნებს. გატაცებული კოსტიუმის ან საათის აღმოჩენა
თავისთავად არ ნიშნავს, რომ ისინი გამოვაცხადოთ შემთხვევის ფაქ-
ტებად. აღმოჩენილი ეს საგნები წარმოადგენენ წყაროებს იმ ინფორ-
მაციებისა, რომლებითაც დგინდება სავარაუდო დანაშაულებრივი
ხელყოფის ფაქტი და სხვა. დანაშაულის ჩადენის გარემოებანი, ცხა-
დია. ყურადღებას იქცევენ როგორც დასამტკიცებელი ფაქტები, მა-
გრამ აქვე არ უნდა დაევიწყოთ, რომ, მაგალითად, გვამის პოზა.
თავისთავად არ ჩაითვლება. დანაშაულის ჩადენის გარემოებად ანუ

ფაქტად. იგი მხოლოდ გვაწვდის სათანადო ინფორმაციებს, რომ დავასვენათ დანაშაულის ჩადენის გარემოებაზე, როგორც ფაქტზე. დანაშაულის ჩადენის გარემოებანი უეჭველად დაკავშირებული იყო თვით ქმედობასთან, რაც უკვე წარსულს ეკუთვნის. რაკი ქმედობა დამთავრდა, მაშასადამე, „გარემოება“ იგივე აღარ არის, რაც იყო: საგნებისა და მოვლენების მიმართებები უკვე შეცვლილია (აღარ მოქმედებს დამნაშავე და სხვა.), ამიტომ სწორედ გამოძიების ამოცანაა გამოიყენოს ცალკეული საგნების მიმართებები, - როგორც ინფორმაციების წყაროები, რომ დაადგინოს სხვა ფაქტებთან ერთად დანაშაულის ჩადენის გარემოების ფაქტებიც. რაც შეეხება ზოგიერთ ფაქტებს, რომლებითაც ხასიათდება დამნაშავეის გარეგნობა (სახის ნაკვთები, სიმაღლე, თმის ფერი და სხვა), გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მათ არასოდეს არა აქვთ ეუორიული მნიშვნელობა, ისინი ყოველთვის განიხილებიან, როგორც მტკიცებულებითი ფაქტები (ანუ მათზე ინფორმაციები) და, რა თქმა უნდა, უშუალოდაც შეიძლება აღიქვას გამოძიებელმა (სასამართლოს შემადგენლობამ), როდესაც ახდენს. მაგალითად, ბრალდებულის გასინჯვას (მაგრამ ინფორმაციების წყარო მაინც თვით ბრალდებულის გარეგნობა იქნება). დამნაშავეის გარეგნობის ნიშნებიც უეჭველად დადგინდება დამამტკიცებელი საბუთების მიხედვით — მოწმეთა (დაზარალებულის) ჩვენებებით, ამოცნობით და სხვ. სამოქალაქო სამართლის პროცესიდან ცნობილია რამდენიმე მაგალითი, როდესაც მტკიცებულებათა გარეშე იურიდიულ ფაქტს აღიქვამს უშუალოდ სასამართლოს შემადგენლობა. ასეთ გამონაკლისად ს. ვ. კურილევის მიერ დასახელებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც მოპასუხე სასამართლო სხდომაზე გადაუხდის მძიებელს ვალს, რითაც იცვლება მხარეთა შორის უფლებრივი ურთიერთობა. აქვე შენიშნულია, რომ ასეთი მაგალითები მხოლოდ გამონაკლისს, ერთეულ შემთხვევებს წარმოადგენენ და საერთოდ კი იურიდიული ფაქტების დადასტურება დამამტკიცებელი საბუთების მეშვეობით ხდება.¹

¹ საბჭოთა სამოქალაქო პროცესი, 1975, გვ. 133. სხვათა შორის გამონაკლის შემთხვევებზე მითითებულია აგრეთვე პ. ა. ლუპინსკაიის მიერაც. მისი აზრით, სამოქალაქო პროცესში სადავო ფართობის იზოლირების ხასიათი, მიწის ნაკვეთის ზომა და. ა. შ. როგორც საძიებელი ფაქტები, ექვემდებარებიან სასამართლო შემადგენლობის უშუალო აღქმას (მხ. თ ე რ ი ა, გვ. 204). ვფიქრობთ, აქაც გაუგებრობას უნდა ქონდეს ადგილი, თორემ თავისთავად საძიებელია ხოლმე, როგორც წესი, შეესაბამება თუ არა განსაზღვრულ ნორმას მოცემული ფართობი, და დათვალეობა ხომ ამ შემთხვევაში საძიებელი ფაქტის დადგენის საშუალებაა?

დამამტკიცებელი საბუთების ცნების დოროხოვისეული გაგების უსწორობის სათავეს ისიც წარმოადგენს, რომ იგი დამამტკიცებელ საბუთებში აერთიანებს ფაქტიურ მონაცემებს (ინფორმაციებს) და ამ მონაცემების პროცესუალურ წყაროებს,¹ ამასთან, წინააღმდეგობაში ვარდება, როცა წერს: „მტკიცების საშუალებებს“ იყენებენ ზოგჯერ ფაქტიური მონაცემების წყაროს აღსანიშნავად, მაგრამ ზუსტი აზრით, ტერმინი „მტკიცების საშუალება“ ნიშნავს იმას, რის დახმარებითაც ხორციელდება მტკიცება, ე. ი. მტკიცებულებას. ჩვენც გამოვიყენებთ ამ ტერმინს, როგორც „მტკიცებულების“ თანაბარ ტერმინს, რომელიც გამოხატავს ფაქტიური მონაცემებისა და მათი პროცესუალური წყაროს ერთიანობას“².

აქ ბუნებრივად ისმის შემდეგი კითხვა: თუ „მტკიცებულების საშუალებას“ „ფაქტიური მონაცემების წყაროს“ ნაცვლად სჯობია ვუწოდოთ „მტკიცებულება“, მაშინ რაღას ნიშნავს მათი შერწყმა? ან როგორ შეიძლება ინფორმაციების (ანუ ეგრეთ წოდებულ „ფაქტიური მონაცემებისა“) და მათი პროცესუალური წყაროს ერთიანი გაგება არსებობდეს? მაშინ რაღა საჭიროა საერთოდ მათი ცალ-ცალკე ხსენება? განა ის, საიდანაც ვღებულობთ ინფორმაციას, რაც წარმოადგენს მათ დასაბამს, შეიძლება გავაერთიანოთ მტკიცებულების ცნებაში? ან რა თვალსაზრისით უნდა მოხდეს „ფაქტიური მონაცემების“ (ინფორმაციების) წყაროს მტკიცებულებათა ცნების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად გამოცხადება? მტკიცებულება, წყაროსაგან განსხვავებით, რომ სრულიად სხვა თვისებებს ვუღიშნებოდა? თუ ამას არ მიიღებს მხედველობაში ვ. დოროხოვი, განა ბევრიღა დარჩება სტროგოვიჩთან სადავო? მართო იმის აღნიშვნაც კმარა, რომ თუ სტროგოვიჩი მტკიცებულების წყაროებს ცალკეც ანიჭებს დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობას, დოროხოვი კი მას მტკიცებულების ცნების ელემენტად ნათლავს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ვ. დოროხოვი, ერთის მხრივ, სცნობს „ფაქტიური მონაცემების წყაროს“, და ამავე დროს, ცალკეც ლაპარაკობს „მტკიცებულების წყაროზე“: „მტკიცებულების მატარებელზე“ (ე. ი. ვღებულობთ მტკიცებულების წყაროს ორსართულიან ცნებას). მართალია, ეს მას არ გამოუგონია, სამოქალაქო პროცესში საკმაოდ დამკვიდრებულია „პროცესუალური საშუალების“ გვერდით „მტკიცებულებათა წყაროს“ (პირები, საგნები) ცნებაც, მაგრამ იქაც „პროცესუალური საშუალებებზე“, როგორც დამამტკიცებელ საბუთებზე ლაპარაკია

¹ იხ. თ გ ო რ ი ა, გვ. 197.

² თ გ ო რ ი ა, გვ. 213.

დამამტკიცებელი საბუთების ცნების ორგვარი მნიშვნელობის თვალსაზრისით; ე. ი. დამამტკიცებელ საბუთებად მიჩნეულია როგორც ფაქტობრივი მონაცემები, ისე „პროცესუალური საშუალებები“, რომლებითაც ღვინდება ეს მონაცემები.¹ ვფიქრობთ. ავტორები უფრო იმას ცდილობენ, რომ როგორმე თავისებურად ახსნან დამამტკიცებელი საბუთების შესახებ კანონმდებლის ფორმულა; თორემ 1958 წლამდე „პროცესუალური საშუალებანი და ხერხები“, „ფაქტობრივი მონაცემების“² გარეშეც გასაგებად გამოხატავდა დამამტკიცებელი საბუთის ცნების შინაარსს. უფრო სწორად, იგულისხმებოდა საქმეზე მნიშვნელოვანი ფაქტების ქეშმარიტების დადგენის აუცილებლობა, ე. წ. „მტკიცებულებით ფაქტებთან“ (როგორც ფაქულტატურ ელემენტთან) ერთად.³

რალა თქმა უნდა, უეჭველად საჭიროა კანონის პროპაგანდა, ისევე როგორც მისი დაცვა და ეს იურიისტ მეცნიერ-მუშაკებსაც ევალებათ, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მეცნიერულ ნაშრომში პრობლემის დაყენება და გადაწყვეტა დაქვემდებარებული უნდა იქნას არა იმდენად კანონის სადღეისო მოთხოვნებისადმი, რამდენადაც თვით კანონის სიცოცხლისუნარიანობის კანონზომიერებათა განვრცობისადმი. სხვანაირად მეცნიერულ ნაშრომში კანონმდებლის პოზიციის დაცვა თვითმიზნად გადაიქცევა და მის თეორიულ ღირებულებაზე ლაპარაკიც უსაგნო გახდება. ნამდვილ მეცნიერულ თეორიას მხოლოდ მაშინ შეუძლია გაუნათოს გზა პრაქტიკას, როდესაც იგი ითვალისწინებს პრობლემის გადაწყვეტის ყველა შესაძლებელ მიმართულებას. როგორც ცნობილია, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების შილებამდე (1958 წელი) საკმაოდ გაცხოველებული იყო დისკუსიები დამამტკიცებელი საბუთების ცნების თაობაზეც. ამ დისკუსიებმა, ცხადია, დადებითი როლი ითამაშეს კანონმდებლობისათვისაც, მოუხდავად მეცნიერთა აზრების სხვადასხვაობისა. სწორედ მეცნიერთა კამათში და ურთიერთკრიტიკაში უფრო ნათლად გამოჩნდა იმ ეტაპზე დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობანი. პროცესუალური კანონმდებლობით შემუშავებულ იქნა დამამტკიცებელ საბუთების ცნება, რომელიც, როგორც ნორმა,

¹ საბჭოთა სამოქალაქო პროცესი. 1975, გვ. 131—132; Советский гражданский процесс, 1979, с. 127.

² ე. წ. ოფდელსონი, მტკიცების პრობლემა საბჭოთა სამოქალაქო პროცესში, 1951, გვ. 32.

³ მ. ი. ბეკუა, გვ. 32—33. იხ. აგრეთვე ა. ი. გინზბერგის, ვ. მ. მინკოვსკის, რ. დ. რახუნოვის, არაბირდაირი მტკიცებულებანი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, 1956, გვ. 5.

საეალდებულოა სახელმძღვანელოდ საგამოძიებო-სასამართლო და-
რგის მუშაკებისათვის, მაგრამ, ცხადია, ამის გამო მას არ დაუქარავს
თეორიული ინტერესი...

კანონის თანახმად, „სისხლის სამართლის საქმეში დამამტკიცე-
ბელი საბუთებია ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა
საფუძველზე კანონით განსაზღვრული წესით მოკვლევის ორგანოები,
გამომძიებელი და სასამართლო აღდგენენ საზოგადოებრივად საშიში
ქმედობის არსებობას ან არარსებობას, ამ ქმედობის ჩამდენი პირის
ბრალულობას და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს
საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება:
მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებე-
ბით, ექსპერტის დასკვნით, ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთებით,
საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმებით და სხვა
დოკუმენტებით“ (საფუძვლების მე-16 მუხლი, საქ. სსრ სსსკ 61-ე
მუხლი, რსფსრ სსსკ 69-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლები).
როგორც ჩანს, კანონმდებელი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს დამა-
მტკიცებელი საბუთების ცნებას. ეს ცნება კანონშია მოცემული და
შეიძლება განსხვავდებოდეს მეცნიერული ცნებისაგანაც, რომელსაც
საეალდებულო ძალა არა აქვს არავისთვის. ბუნებრივია, ერთმანეთი-
საგან სრულიად განსხვავებული აზრებიც შეიძლება წამოიჭრას თვით
ამ ცნების გარშემოც, ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო, თუ დამამტკი-
ცებელი საბუთების ცნების შესახებ კანონმდებლის ფორმულას
მოკლედ მაინც განვიხილავთ.

როგორც ითქვა, სისხლის სამართლის საქმეში დამამტკიცებელ
საბუთებად ითვლება „ყოველგვარი ფაქტიური მონაცემები“... რაც
ნიშნავს, რომ შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, თუ სახელ-
დობრ როგორი ფაქტიური მონაცემები გამოდგება დამამტკიცებელ
საბუთებად. ამას აძნელებს არა მარტო დანაშაულობების გვართა და
სახეთა სიმრავლე, არამედ თვით ამა თუ იმ სახის ქმედობის გამოვლი-
ნების ინდივიდუალური თავისებურებანიც. ან კი როგორ შეიძლება
კონკრეტულად განვსაზღვროთ, თუ, მაგალითად, განზრახ მკვლელო-
ბის გამოძიებისათვის როგორი ინფორმაციები გამოგვადგება? განზ-
რახი მკვლელობა წარმოსადგენია დაუსრულებელი ვარიანტებით და
თანაც პრაქტიკის მაგალითების ანალიზის საფუძველზე. ზოგჯერ
სრულიად მოულოდნელ „ანომალიებსაც“ აქვს ადგილი, ე. ი. შემთ-
ხვევებს, ადრე რომ მსგავსი რამ არც ყოფილა ცნობილი... თუ ერთ
საქმეზე იმთავითვე ექვმიტანილის ქცევის მოტივს შეიძლება მიენი-

ქოს ფუძემდებლური მნიშვნელობა, მეორეზე — საგამოძიებო ვერსიებს მოსალოდნელია საფუძვლად დაედოს საექვეო პირის ფრჩხილებში ჩარჩენილი ქუპჭი, ან გარკვეული ნივთი, ან მოვლენისადმი ზედმეტი დაინტერესება და ა. შ. ცხადია, როდესაც კანონმდებელი ლაპარაკობს „ყოველგვარ ფაქტიურ მონაცემებზე“, უნდა ვიგულისხმოთ სწორედ ინფორმაციები (ცნობები, არგუმენტები) და არა ცხოვრებაში მომხდარი რეალური სინამდვილის ფაქტები.

ლიტერატურაში არასწორად არის გაგებული „ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემები“ დანიშნულების მხრივაც. ვ. ტანასევიჩი, გ. მინკოვსკი და ა. ეისმანი უსაფუძვლოდ ედავებიან ა. ი. ვიშინსკის დასადგენ გარემოებებთან დაკავშირებით.¹ ასევე გაუგებობაზეა აგებული ვ. დოროხოვის კრიტიკული შენიშვნებიც.² როგორც ცნობილია, მთელ რიგ პრინციპულ საკითხებზე ა. ვიშინსკის პოზიცია ლიტერატურაში სამართლიანად იქნა დაგმობილი. საფუძვლიან კრიტიკას, ცხადია, აქვს მეცნიერების განვითარებისათვისაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა, მაგრამ ზერელე კრიტიკა მხოლოდ უარყოფით ემოციებს იწვევს და იგი დასაგმობია ყველა სიტუაციაში. ა. ვიშინსკი თავის ცნობილ ნაშრომში („სასამართლო მტკიცებულებათა თეორია საბჭოთა სამართალში“) ხაზს უსვამს, რომ „ყველაზე საპასუხისმგებლო და ძნელი ამოცანაა განვსაზღვროთ სახელდობრ რომელი გარემოება არის არსებითი საქმისათვის, რომელ გარემოებას აქვს საქმისათვის მნიშვნელობა... ამ კითხვაზე პასუხი, საბჭოთა სასამართლო წარმოების წესებში არ მოიძებნება — ასეთი წესები ცხოვრებაში არ არის და არც შეიძლება იყოს. ეს შემთხვევები კი ზედმიწევნით სხვადასხვაგვარია და არც თუ იშვიათად განუმეორებელი...“³ როგორც ჩანს, აქ ლაპარაკია სახელდობრ იმაზე, რომ წინასწარ შეუძლებელია განისაზღვროს საქმისათვის მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი საბუთების წრე. ვფიქრობთ, ცოდვად არ ჩაგვეთვლება, თუ ვაღიარებთ, რომ ღღესაც შეუძლებელია წინასწარ განვსაზღვროთ ან საერთოდ ჩამოვთვალოთ ის ინფორმაციები, რომლებსაც მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოთ. ამაზე, სხვათა შორის, პროფ. მ. ა. გურვიჩის რედაქციით გამოცემული სამოქალაქო პროცესის სახელმძღვანელოშიც გასაგებად არის ნათქვამი: „რაც შეეხება მტკიცებულებებს — ფაქტიურ მონაცემებს, მათი წრე არ შეიძლება არც განისაზღვროს და არც შეიზღუდოს კანონით.“⁴

1 თეორია, გვ. 186.

2 იქვე, გვ. 199.

3 ა. ი. ვიშინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 235—236.

4 სამოქალაქო პროცესი, 1975, გვ. 132.

დამამტკიცებელი საბუთების ცნებაში კანონმდებელი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას „კანონით განსაზღვრულ წესებზე“. აქ, პირველ რიგში, უნდა ვიგულისხმოთ, ისეთი ინფორმაციები, რომლებიც დასაშვებია კანონით (ე. ი. ინფორმაციები მიღებულია კანონიერი წყაროებიდან, კანონიერი წესებით) და აგრეთვე შეეხებიან მტკიცების საგანში გათვალისწინებულ გარემოებებს (იურიდიული და მტკიცებულებითი ფაქტები). ნათქვამიდან, რაღა თქმა უნდა, ის არ გამომდინარეობს, რომ თუ დამამტკიცებელი ინფორმაციების მოღების დროს დარღვეული იქნება სხვა წესები (ვთქვათ, შეუფერებელ პირებს გამოჰყოფენ თანამოწმეებად) ეს არ მოახდენს გავლენას მტკიცებულების ხარისხზე.

დანაშაულის ცნებაში კანონმდებელი აკონკრეტებს იმ გარემოებებს, რაც უნდა დადგინდეს ფაქტობრივი მონაცემებით (ინფორმაციებით); კერძოდ, ეს გარემოებებია: „საზოგადოებრივად საშიში ქმედობის არსებობა, ან არარსებობა“, „ამ ქმედობის ჩამდენი პირის ბრალეულობა“ და „სხვა გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის“. როგორც ჩანს, კანონმდებელი არ სცნობს საკმარისად ერთნაირად გაამახვილოს ყურადღება დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტზე; უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი სულაც არ არის ნახსენები; ვფიქრობთ, ერთგვარ სისტემატიზაციას მოითხოვდა დასადგენი გარემოებების ჩამოთვლაც, თუნდაც მტკიცების საგანში გათვალისწინებულ გარემოებების შესაბამისად. როგორც დავინახეთ, საკმაოდ განსხვავდება სისხლის სამართლის საქმეზე დასამტკიცებელი გარემოებანი, დამამტკიცებელ საბუთებით დასადგენ გარემოებებისაგან; მაშინ როდესაც საქმისათვის მნიშვნელოვანი ყოველგვარი ფაქტები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ დამამტკიცებელი ინფორმაციებით. შეიძლება გვითხრან, რომ დანაშაულის შემადგენლობის დანარჩენი ელემენტები „სხვა გარემოებებში“ მოექცაო. მაგრამ ესეც არ უნდა იყოს ლოგიკური. თუ დამამტკიცებელი საბუთებით ვიწყებთ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობის არსებობის ან არარსებობის დადგენას, აქვე ისმება (აქამდეც უნდა დასძულიყო) კითხვა, ვის მიმართ ან რის მიმართ იყო მომხდარი ხელყოფა? ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება — ეს ზოგადი ცნებაა, დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტული ელემენტების გარეშე (ამასთან მეტად სადავო ცნებაც). ამას გარდა, თავისთავად საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჯერ კიდევ არაფერს ამბობს მიზეზობრივ კავშირზე, რომლის დაუდგენლად გაძნელებდა შემდგომ ეტაპზე ბრალის განსაზღვრა. კონკრეტული პირის ბრალეულობაც არ არის საკმარისი, რომ პირს პასუხისმგებლობა დაეკისროს,

აქ გასათვალისწინებელია ასაკობრივი თავისებურებანი და სხვ. დამამტკიცებელი საბუთების ცნებაში საერთოდ ჩვენ ზედმეტად გვეჩვენება: კანონმდებლის მიერ დასადგენ გარემოებათა ჩამოთვლა; საკმარისი იქნებოდა უფრო ზოგადად ყოფილიყო ნათქვამი მათ შესახებ. მეტად სადავოა და ამიტომ სპეციალურ განმარტებას მოითხოვს საქ. სსრ საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილი (სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების მეორე ნაწილი). თითქმის ყველა მკვლევარისა და პრაქტიკოსის ჭეშიაკის აზრით, დამამტკიცებელი საბუთების წყაროებია: მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმები და სხვა დოკუმენტები; ე. ი. ის, რაც ჩამოთვლილია დასახელებულ მუხლის მეორე ნაწილში. ამ აზრის გამოტანის საფუძველი ის არის, რომ კანონმდებელი გარკვევით ლაპარაკობს დამამტკიცებელ საბუთებზე, როგორც ფაქტობრივ მონაცემებზე და შემდეგ ლოგიკურადაც მათზე განმეორებით აღარ უნდა ყოფილიყო მითითება. ამ შემთხვევაში კანონმდებლის ფორმულაში რატომღაც წინასწარ უკვე გულისხმობენ არა მარტო დამამტკიცებელი საბუთების, არამედ მათი წყაროების შესახებ ცნობებსაც.

სინამდვილეში რასთან ვვაქვს საქმე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის საჭიროა ცოტა უფრო ღრმად ჩავხედოთ პრობლემას. თუ ავტორთა უმრავლესობის აზრით, მოწმის (დაზარალებულის, ექვმიტანილის, ბრალდებულის) ჩვენება დამამტკიცებელი საბუთების წყაროა, რომელსაც ე. დოროხოვი „ფაქტობრივი მონაცემების“ წყაროს უწოდებს, მაშინ საკითხავია თვითონ ეს ჩვენება, ე. წ. „ფაქტობრივი მონაცემების“ ჩამოცილებით რაღას წარმოადგენს? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენება უინფორმაციოდ? ჩვენება ხომ თავისთავად უკვე გულისხმობს ინფორმაციებს, რომელთა გარეშე იგი უშინაარსო და უსარგებლო გამოთქმად დარჩებოდა? რატომ ვუპირისპირებთ გარკვეული სახის მოვლენას იმ ნიშნებს, რომლებითაც იგი განისაზღვრება? ეს ხომ სრული გაუგებარება?! ვფიქრობთ, არ არის საჭირო დიდი დაკვირვება და თავისტეხა იმის მისახედრად, რომ, მაგალითად, მოწმის ჩვენებით მიღებული ინფორმაცია (ვთქვათ, ჩადენილი დანაშაულის საშუალების შესახებ) იგივე მოწმის ჩვენებაა და მეტი არაფერი; შეიძლება ზოგადად ითქვას, რომ მოცემული ფაქტი დადასტურებულია მოწმის ჩვენებით, ან მივეუთითოთ სახელდობრ იმ ინფორმაციაზე, რომლითაც მტკიცდება ეს ფაქტი. ამით

ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენება—ეს იგივე ინფორმაციის (ინფორმაციების) სინონიმია და თუ მას დამამტკიცებელი საბუთის წყაროს ვუწოდებთ, მაშინ დამამტკიცებელი საბუთები დაგვეყარება მხედველობიდან. უფრო მეტი გაუგებრობა შეიქმნება მოწმის (დაზარალებულის, ექვემდებარებულის, ან ბრალდებულის) ჩვენებას არა დამამტკიცებელი საბუთების, არამედ „ფაქტობრივი მონაცემების“ წყარო რომ ვუწოდოთ (როგორც ამას დოროხოვი აკეთებს), მაშინ ხელოვნურად დაეუპირისპირებთ „ფაქტობრივ მონაცემებს“ (ინფორმაციებს) დამამტკიცებელ საბუთებს.

მოწმის, დაზარალებულის, ექვემდებარებულის (ექვედებულის), ბრალდებულის ჩვენებების გარდა, დამამტკიცებელი საბუთების ერთ-ერთ წყაროდ თვლიან აგრეთვე ექსპერტის დასკვნას. სინამდვილეში წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს წამოჭრილ მნიშვნელოვან საკითხზე (საკითხებზე) ექსპერტის მიერ სპეციალური ცოდნის გამოყენების გზით გაცემული პასუხი სწორედ ის ინფორმაციაა, რომელსაც დამამტკიცებელი საბუთი ეწოდება. თუ ჩვენ ცალ-ცალკე დავანაწევრებთ, ერთის მხრივ, ექსპერტის დასკვნას, როგორც, ვთქვათ, წყაროს და, მეორეს მხრივ, ინფორმაციებს, ე. ი. დასკვნის შინაარსს, გამოდის, რომ შინაარსი მიუთითებს დამამტკიცებელ საბუთზე, ფორმა კი — წყაროზე. დამამტკიცებელი საბუთების და მათი წყაროების ცნებათა ასეთი ხელოვნური კონსტრუქცია, ვფიქრობთ, არავისათვის არ არის სასარგებლო. ექსპერტის დასკვნა, ისევე როგორც მოწმის (დაზარალებულის, ექვემდებარებულის, ბრალდებულის) ჩვენება გამოხატავს დამამტკიცებელი საბუთის სახეობას, რომელიც, რაღა თქმა უნდა, რეალურად სხვადასხვა ფორმით გვევლინება იმისდა მიხედვით, თუ სახელდობრ რა ინფორმაციებს შეიცავს იგი.

„ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები“ თითქოს აღარ უნდა პოითხოვდნენ კომენტარებს; თუ ისინი დამამტკიცებელი საბუთებია, თავისთავად ყველაფერი გარკვეული უნდა იყოს; სხვა საქმეა, თუ რას ვუწოდოთ საკუთრივ „ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი“. მაგრამ „ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები“ მოქცეულია იმ დასახელებათა გვერდით, რომლებსაც დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად იხსენიებენ. აქ ერთ თვალში მოსახვედრ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი; თუ „ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი“ უკვე საბუთია, იგი ამავე დროს როგორღა იქნება წყარო? ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი ხომ ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას ნივთიერად გვიდასტურებს, რომ სწორედ მის ნივთიერ ნიშნებში და თვისებებში უნდა ვეძიოთ მტკიცე-

ბულებითი მნიშვნელობის ინფორმაციები; მაშ რაღა შუაშია აქ წყარო? ნუთუ ეს უხერხულობაში არ აყენებთ იმ პირებს, რომლებიც საწინააღმდეგოს ფიქრობენ? მეტისმეტი გაურკვეველობა იქმნება კანონმდებლის შემდეგ გამოთქმასთან დაკავშირებით: „ეს მონაცემები დადგინდება... საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმებით და სხვა დოკუმენტებით.“ როგორც ცნობილია, დასახელებული ოქმებიც, სხვა დოკუმენტებთან ერთად, ითვლებიან დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად. ვფიქრობთ, აქ დამამტკიცებელი საბუთების ფიქსაცია (პროცესუალური დამაგრება) უსაფუძვლოდ არის გათანაბრებული დამამტკიცებელი საბუთების წყაროებთან. რატომ უნდა, უმჯობესი იქნებოდა კანონში ჩაწერილიყო, რომ „ეს ინფორმაციები დადგინდება: მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანლის, ბრალდებულის დაკითხვით, ექსპერტიზის დანიშვნით, დათვლიერებით, შემოწმებით, ამოღებით, ჩხრეკით, დაკავებით, ამოსაცნობად წარდგენით და საგამოძიებო ექსპერიმენტით... ამ შემთხვევაში ჩვენ მიუვითიებდით კანონით გათვალისწინებულ ყველა სასამართლო-საგამოძიებო მოქმედებაზე, რომელთა ჩატარების გარეშე შეუძლებელია დამამტკიცებელი საბუთების შეკრება, პროცესუალური დამაგრება, შემოწმება და შეფასება; ე. ი. სასამართლო-საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შედეგად მივიღებთ მოწმის ჩვენებას, დაზარალებულის ჩვენებას და ა. შ. დამამტკიცებელი საბუთების სახეებს, შესაბამისი შინაარსით.

თუ საგამოძიებო-სასამართლო მოქმედებათა ოქმებს ცალ-ცალკე ჩაეთვლით დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად, მაშინ ბუნებრივად იზადება კითხვა, განა მოწმეთა (დაზარალებულთა, ექვმიტანილთა, ბრალდებულთა) ჩვენებების ოქმებიც საგამოძიებო სასამართლო მოქმედების შედეგად არ დგება იმისათვის, რომ ფიქსირებულ იქნას მტკიცებულებანი? ნუთუ შეიძლება ერთ შემთხვევაში. მაგალითად, მოწმის დაკითხვის ოქმს კი არა, მოწმის ჩვენებას ვუწოდოთ დამამტკიცებელი საბუთის წყარო, მეორეში — დათვლიერების, შემოწმების, ამოღების, ჩხრეკის, დაკავების, ამოსაცნობისა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებს? ან განა კანონის ტექსტიდან გარკვევით ჩანს, თუ სახელდობრ რომელ ოქმებზეა ლაპარაკი? რატომ ერთ ოქმს ენიჭება დამამტკიცებელი საბუთის წყაროს მნიშვნელობა, მეორეს კი არა? შემთხვევითი არ არის. რომ სტუდენტებიც ხშირად იბნევიან, როდესაც დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად ასახელებენ მოწმის დაკითხვის ოქმებსაც, დაზარალებულის დაკითხვის ოქმებსაც და ა. შ.

სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-17 მუხლის ძალით, სამოქალაქო საქმეზე დამამტკიცებელი საბუთებია ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა საფუძველზე კანონით განსაზღვრული წესით სასამართლო აღგენს იმ გარემოებათა არსებობას ან არარსებობას, რომლებსაც ემყარება მხარეთა მოთხოვნები და ამ მოთხოვნების უარყოფა და სხვა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებანი. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: მხარეთა და მესამე პირთა განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობით მტკიცებულებებით, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებით და ექსპერტების დასკვნებით¹.

როგორც ჩანს, ეს განსაზღვრება კონსტრუქციულადაც და შინაარსითაც ბევრად არ განსხვავდება სისხლის სამართლის პროცესში კანონმდებლის მიერ შემუშავებული ფორმულისაგან და არც არის გასაკვირი, რადგან მტკიცებულების რაობა, უპირველეს ყოვლისა, თვით საკუთრივ მასში უნდა ვეძიოთ და არა იმაში, თუ რა მტკიცდება კონკრეტულ შემთხვევაში (მაგალითად, სარჩელის საფუძვლიანობა თუ დანაშაულის არსებობა და სხვა). მაგრამ სამოქალაქო საქმეზე დამამტკიცებელი საბუთების ცნებაში გარკვევით არის ლაპარაკი „საშუალებებზე“ (მოწმეთა ჩვენებები, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და სხვ.), როგორც დამამტკიცებელ საბუთებზე. სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაშიც საკმაოდ მიღებულია, რომ ფაქტიურ მონაცემებთან (ინფორმაციებთან) ერთად „პროცესუალური საშუალებანიც“ დამამტკიცებელი საბუთებია.¹ „ფაქტიური მონაცემები“ (ინფორმაციები) გამოიყენებიან როგორც იურიდიული ფაქტების, ისე მტკიცებულებათა ფაქტების დასადგენად. სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია „პროცესუალური საშუალების“. სხვადასხვანაირი გაგება სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესში, სასამართლო პრაქტიკაში მოწმის ჩვენებები, ექსპერტების დასკვნები და სხვა ე. წ. „პროცესუალური საშუალებები“, ყოველთვის გამოიყენებიან როგორც დამამტკიცებელი საბუთების სახეობის აღმნიშვნელი ტერმინები. ზემოთაც იყო აღნიშნული, რომ „ცარიელი“ ჩვენებებიც და ექსპერტების დასკვნებიც, თუ ისინი არ შეიცავენ საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციებს, მოკლებულნი არიან მტკიცებულებით ღირებულებას. მაგალითად, საექსპერტო პრაქტიკაში დასაშვებია როგორც კატეგორიული ისე ალბათური დასკვნის ფორმები. ექსპერ-

¹ დასახელებული სახელმძ. — სამოქალაქო პროცესი, 1975, გვ. 131; იხ. აგრეთვე ე. ს. იუ დ ე ლ ს ო ნ ი, მტკიცების პრობლემა საბჭოთა სამოქ. პროცესში (რუს.), 1951, გვ. 32; Советский гражданский процесс, 1979, с. 127.

ტის დასკვნას თუ ცალკეც მივანიჭებდით დამამტკიცებელი საბუთის როლს, მაშინ აღარ ექნებოდა მნიშვნელობა თვით დასკვნის შინაარსს (ინფორმაციას) და, აქედან გამომდინარე, ექსპერტის საეარაუდო დასკვნაც დამამტკიცებელ საბუთად უნდა ჩაგვეთვალა. როგორც ჩანს, ჩიხში მოვემწყვდევით, თუ დროზე არ დავემობთ ზოგიერთ „ტრადიციულ“ ვაუგებრობასაც. არ იქნებოდა ურიტო, თუ სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესისათვის შემუშავდებოდა დამამტკიცებელი საბუთების ერთიანი ცნება. კერძოდ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია იგი ასე ჩამოყალიბდეს: დამამტკიცებელი საბუთებია სასამართლო-საგამოძიებო მოქმედებებისას მიღებული ყოველგვარი ინფორმაციები (ცნობები), რომლებითაც მტკიცების პროცესში კანონით განსაზღვრული წესით დადგინდება დასამტკიცებელი და მტკიცებულებითი ფაქტები კერძობრივების მისაღწევად. ლიტერატურაში სწორად არის მითითებული, რომ სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებში შეიძლება წარდგენილ იქნას ინფორმაციები და არა ფაქტები; აგრეთვე, ცხადია, კეთილხარისხოვნება შეეხება ინფორმაციების წყაროებს.

დამამტკიცებელ საბუთთა წყაროების ცნება

თუ დამამტკიცებელი საბუთებია სასამართლო-საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას მიღებული ინფორმაციები (ცნობები) მოწმის ჩვენების, დაზარალებულის ჩვენების სახით და ა. შ., მაშ, რაღა უნდა ჩაითვალოს დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად? დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად უნდა მივიჩნიოთ სწორედ ის პირები და საგნები, რომლებიც „ატარებენ“ ფაქტების შესახებ ცნობებს.¹ ეს საკითხი მოითხოვს უფრო დაწვრილებით განმარტებას. რა თქმა უნდა, დამამტკიცებელი საბუთების წყაროდ არ შეიძლება ჩაითვალოს ყველა პირი: უნდა ვიგულისხმოთ, რომ მხოლოდ ისეთ პროცესუალურ პირებზეა ლაპარაკი, როგორიცაა მოწმე, დაზარალებული, ექვემდებარებული, ბრალდებული და ექსპერტი: ამ პირებს გააჩნიათ გარკვეული პროცესუალური უფლებები და მოვალეობანი. მოწმე, დაზარალებული, ექვემდებარებული და ბრალდებული იმიტომ ჩაითვლებიან დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად, რომ სწორედ მათ შეუძლიათ კონკრეტულ სიტუაციაში დანაშაულის მომზადების, ჩადენის დაფარვის ფაქტების ან სხვა გარემოებათა აღქმის შედეგად მიღებული ინფორმაციების (ცნობების) მოწოდება, რეპროდუქცია. არ მოითხოვს განსაკუთრებულ დამტკიცებას. რომ მოწმის ჩვენების

¹ იხ. აგრეთვე საბჭოთა სამოქალაქო პროცესი, 1975, გვ. 132.

წყაროა სწორედ ის, რაც იცის მოწმემ, რაც მან აღიქვა და დაიმა-
ხსოვრა მომხდარი მოვლენის გამო, წყარო ხომ მუდამ ამოსაგალს,
დასაბამს გულისხმობს; მაშასადამე, ჩვენების, ანუ ინფორმა-
ციის წყაროა სწორედ ჩვენების მიმცემი პირი და თვითონ
ტერმინი „ჩვენება“ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ მიღებული
ინფორმაციები (ცნობები) პროცესუალურად არის დამაგრებული
ჩვენების მიცემის ოქმში. თუ ჩვენ ცალკე აღებულ ინფორმაციას
(ცნობას) ჩვენების გარეშე დამამტკიცებელ საბუთად მივიჩნევთ,
მაშინ ლოგიკურად ყოველად უკანონო მოქმედებასაც გავამართლე-
ბდით; ე. ი. პროცესუალურად დაუმაგრებელ ცნობებსაც უკანონოდ
დამამტკიცებელ საბუთებად ჩავთვლით. მაშასადამე, დამამტკიცებე-
ლი საბუთების წყაროებად ჩაითვლებიან თვით პროცესუალური პი-
რები: მოწმეები, დაზარალებულები, ექვმიტანილები, ბრალდებუ-
ლები და არა მათი ჩვენებები, რომლებსაც მხოლოდ დამამტკიცებე-
ლი საბუთების მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ, რაკი ისინი დამაგრე-
ბული ინფორმაციების (ცნობების) სახით იაზრებიან.

რაც შეეხება ექსპერტის დასკვნას, აქაც ანალოგიური მდგომა-
რეობაა, დამამტკიცებელი საბუთია სწორედ ექსპერტის დასკვნა,
რომლის შინაარსსაც ინფორმაციები (ცნობები) შეაღგენენ. მაგრამ
ამ დასკვნის ავტორი, როგორც პროცესუალური პირი — დამამტკი-
ცებელი საბუთის წყაროა. ექსპერტი იმიტომ ინიშნება საქმეზე, რომ
მას აქვს სპეციალური ცოდნა, რომლის გამოყენება საჭირო გახდა
კონკრეტულ შემთხვევაში. ექსპერტი სწორედ ამ სპეციალური ცო-
დნის მეშვეობით წყვეტს გამოძიებისათვის და სასამართლოსათვის
საინტერესო საკითხებს, იგი მოწმესავით იმას კი არ ამოწმებს, რაც
უშუალოდ აღიქვა და დაიმახსოვრა, არამედ გაშუალებული გზით
სწავლობს ობიექტის მატერიალურ ნიშან-თვისებებს, რომ გამოიტა-
ნოს სათანადო დასკვნა. მისი დასკვნა უეჭველად სუბიექტურ ხასიათ-
საც ატარებს, რაკი შესასწავლ მოვლენას იგი აფასებს იმის მიხედვით,
თუ როგორი რწმენა ჩამოუყალიბდება. ჩვენ რომ, ექსპერტის ნაცე-
ლად, ექსპერტიზის დასკვნა ჩავთვალოთ დამამტკიცებელი საბუთის
წყაროდ, მაშინ იმ ულოგიკობასაც უნდა შევეგუოთ, თითქოს
საექსპერტო ინფორმაციები (ცნობები) ექსპერტის ცოდნიდან კი არ
გამომდინარეობენ, არამედ თვითონ დასკვნიდან.

ნიეთიერი დამამტკიცებელი საბუთები, როგორც ზემოთ აღვნი-
შნეთ, არ შეიძლება ამავე დროს ჩაითვალოს დამამტკიცებელი საბუ-
თების წყაროებადაც. მაგრამ საოცრად პარადოქსალურია ე. დორო-
ხოვის ის მტკიცება, თითქოს ნიეთიერი დამამტკიცებელი საბუ-

თების მატარებელია გამომძიებელი და თანამოწმე, აგრეთვე მოქალაქენი, რომლებმაც წარმოადგინეს საგანი.¹ ავტორი აქვე დასძენს, რომ იმ პირების მითითების გარეშე, რომლებმაც აღმოაჩინეს და აღწერეს დამამტკიცებელი საბუთის თვისებები, საგანი კარგავს დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობას.

ჯერ ერთი, საგანს თავისთავად არასოდეს არ შეიძლება ჰქონდეს დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა დანაშაულის გამო შექმნილი იმ გარკვეული ნივთიერი თვისებების გარეშე, რომლებიც ინფორმაციის სახით გვევლინებიან. მაგრამ ეს თვისებები საიდან მომდინარეობენ? საგნიდან, ცხადია, რადგან ვგულისხმობთ, რომ იგი გამოყენებული ყოფილა ან დანაშაულის ჩადენის იარაღად, ან ხელყოფის ობიექტად, ან მასზე დატოვებულია დანაშაულის კვალი; ფულიც და ფასეულობანიც სწორედ საგნობრივი თვისებების გამო გვაწვდიან საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციებს. საგანი რომ ინფორმაციების (ცნობების) შემცველია, ეს არ უნდა იწვევდეს დავას, მოვლენათა ასახვის თეორიიდან გამომდინარე. მართალია, კანონის თანახმად, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი დაწვრილებით უნდა აღიწეროს. დათვალიერების ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ გამომძიებელი, თანამოწმენი, მაგრამ ეს ხომ სწორედ დამამტკიცებელი საბუთების პროცესუალურ დამაგრებას ნიშნავს საგამომძიებო მოქმედების შესრულებით (დათვალიერებით) და. განა ვინც საგამომძიებო მოქმედებას ასრულებს, მასში უნდა ვეძიოთ დამამტკიცებელი საბუთების წყაროც? რა ძნელი მისახვედრია, მოწმის დაკითხვასაც გამომძიებელი (სასამართლო) ასრულებს, მაგრამ განა გამომძიებელი ამის გამო დამამტკიცებელი საბუთების წყაროდ გადაიქცევა? ან რომელი დამამტკიცებელი საბუთი შეიძლება დავასახელოთ, რომელსაც არ ვღებულობდეთ საგამომძიებო-სასამართლო მოქმედებათა შესრულებისას? რა თქმა უნდა, გამომძიებელიც და თანამოწმენიც უშუალო მოწმენიც ხდებიან, თუ სად იმყოფებოდა ესა თუ ის ნივთი, როგორ პირობებში ინახებოდა და სხვა, მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, მაგრამ ისინი ამის გამო არავითარ შემთხვევაში ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის წყარობად არ ჩაითვლებიან. მათ ევალებათ სათანადოდ აღწერონ და შეინახონ ნივთი სწორედ იმიტომ, რომ ნივთის შემცველი ინფორმაციების, ისე როგორც სხვა წყაროთა ინფორმაციების შეფასება ერთი რომელიმე ეტაპით არ ამოიწურება. გამომძიებელს (თანამოწმეებთან ერთად) ევალება ოქმში ზუსტად შეიტანოს საგნის ნიშან-თვისებების

¹ თ ე ო რ ი ა, გვ. 213.

შესახებ ცნობები და არ მისცეს მათ არავითარი შეფასება. ბანალური კეშმარიტებაა — გამომძიებელი არ ქმნის-დამამტკიცებელ საბუთებს, ის მხოლოდ აღმოაჩენს მათ, პროცესუალურად დაამაგრებს, შეამოწმებს და შეაფასებს; მთელ ამ პროცესში გამომძიებელი ვერასოდეს ვერ გადაიქცევა დამამტკიცებელი საბუთის წყაროდ იქამდე, სანამ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში საჭირო არ გახდება მისი მოწმის სახით დაკითხვა. მაშინ კი იგი მოწმის მოვალეობას შეასრულებს და, ცხადია, თვითონ იქნება იმ ინფორმაციების წყარო, რომლებიც მისთვის ცნობილია. ისიც უდავოა, რომ ზოგჯერ თანამოწმენიც დაკითხებიან ხოლმე მოწმის სახით, როცა სადავოა რაიმე გარემოება იმ საგამომძიებო მოქმედებისა, რომლის დასამოწმებლადაც ისინი მიიწვიეს. აქაც ანალოგიური სურათი იქმნება. თანამოწმე, ცხადია, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების კი არა, არამედ იმ ინფორმაციების წყარო იქნება, რომლებიც აღიქვა საგამომძიებო მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.

არანაკლებ წინააღმდეგობებს წაგაწყდებოდა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების წყარობად რომ ჩაგვეთვალა ის მოქალაქეებიც, რომლებმაც საგნები წარმოგვიდგინეს. განა ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს, ანუ დანაშაულის გამომძიებისათვის საინტერესო ფაქტების ნივთიერ ინფორმაციებს ნივთების წარმომდგენი იძლევიან? თქმა არ უნდა, თვითონ ნივთების წარმომდგენ მოქალაქეებსაც შეუძლიათ გითხრან, თუ სად ნახეს წარმოდგენილი ნივთი, როგორ პირობებში ინახებოდა იგი და ა. შ. მაგრამ განა ეს ინფორმაციები ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ღირებულებისანი იქნებიან? ისინი ხომ მხოლოდ ამ მოქალაქეების დაკითხვის გზით მიიღებიან და ამიტომაც მიცემული ჩვენებების წყარობადაც უნდა შეფასდნენ?

როგორც აღვნიშნეთ, კანონმდებელი ხაზს უსვამს აგრეთვე საგამომძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმებზე და სხვა დოკუმენტებზე, რომლებითაც დგინდება ფაქტიური მონაცემები (ინფორმაციები). ამ ოქმებში იგულისხმება: დათვალიერების, შემოწმების, ამოღების, ჩხრეკის, დაკავების, ამოსაცნობად წარდგენის და საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმები. საქ. სსრ სსსკ 78-ე მუხლში არასწორად არის აღნიშნული, რომ ისინი წარმოადგენენ „მტკიცების სისხლის სამართლის საქმეზე“. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მტკიცება შემეცნების ნაირსახეობაა და იგი დამამტკიცებელი საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად არ გამოდგება. არც ის ავტორები არიან მართალნი, რომლებიც დამამტკიცებელი საბუთების წყარობად თვლიან ზემოთ-

ჩამოთვლილი ოქმების შემდგენლებს (გამომძიებელი, თანამოწმენი).¹ საქმე ის არის, რომ ეს ოქმები სხვა არაფერია, თუ არა დამამტკიცებელი საბუთების პროცესუალურად დამაგრების ფორმები. მაგალითად, როგორც ზემოთ ითქვა, მოწმის დაკითხვა ფორმდება მოწმის დაკითხვის ოქმით, დათვალეერება—დათვალეერების ჩატარების ოქმით და ა. შ. ოქმები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციებს, კანონმდებლის მიერ მიჩნეულია დამამტკიცებელ საბუთებად; მაგრამ განა ინფორმაციების (ცნობების) წყარობად ოქმების შემდგენლები უნდა მივიჩნიოთ? მაგალითად, მოწმის ნაცვლად გამოძიებელი მივიჩნიოთ დამამტკიცებელი საბუთის წყაროდ? შემთხვევის ადგილის დათვალეერების ოქმს გამოძიებელი აფორმებს, მაგრამ თვით ამ ოქმში ვათვალისწინებულ ინფორმაციების წყაროდ გვევლინებიან ან ნივთები, ან სხვა ისეთი გარეშე პირები, რომლებმაც დათვალეერებამდე იცოდნენ შემთხვევის მოხდენის შესახებ და გვწვედიან კიდევ საამისოდ რაიმე ცნობებს; როგორც ცნობილია, დათვალეერების დროს უმთავრესად ხდება ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენა; ამას გარდა შემთხვევის ადგილზე ცალკეულ გარემოებებსაც, ვითარებებსაც ექცევა ყურადღება, რომლებსაც შემდგომში საქმისათვის აქვთ მნიშვნელობა. ამ ვითარებებს ცხადია, თვითონ ნივთები ქმნიან (უერთიერთთან მიმართებებით, მათი გამოყენების ხასიათის მიხედვით და სხვა). მაშასადამე, საჭიროა მხოლოდ დაწვრილებით იქნეს აღწერილი ოქმში ის, რასაც გამოძიებელი ნახავს შემთხვევის ადგილზე. გამოძიებელი (მოსამართლე) აღიქვამს მხოლოდ იმას, რაც ფაქტიურად არის შემთხვევის ადგილზე (ისე, როგორც მაგალითად, მოწმის დაკითხვის დროს იგი მოწმის ჩვენებას აღიქვამს). ამრიგად, დამამტკიცებელი საბუთების წყარობად ისევ საგნები და შემთხვევის შემსწრე ის პირები გვევლინებიან, რომლებიც შემდგომში მოწმეების სახითაც დაკითხებიან ხოლმე. განსხვავებით იმ ნივთებისა, რომლებიც წარმოდგენილი იქნებიან გამოძიებელთან, ან სასამართლოში ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების სახით, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი საგნების ნივთიერი თვისებები შეისწავლება თვით მისი ადგილმდებარეობისა და სხვა თავისებურებათა ვათვალისწინებით. აქვე უნდა ითქვას ჩხრეკაზე, რა დროსაც მნიშვნელობა ენიჭება საგნების აღმოჩენის ადგილს და სხვა. ვასინჯვის დროს ინფორმაციების წყაროა თვით ვასასინჯი პირი, როგორც სულიერი საგანი და არა პიროვნება, როგორც მოწმე. ამ გარემოებას ზაზი იმიტომ უნდა გაეყვას, რომ თუ,

¹ ი თ ვ ო რ ა ი ა, გვ. 214.

მაგალითად, გასასინჯ პირს ტანზე აღმოაჩნდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნიშნები, გამომძიებელი სწორედ მათი შეშვეობით ღებულობს ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ხასიათისანი არიან ისინი და სხვა. ამოსაცნობად წარდგენის დროს აგრეთვე დამამტკიცებელი საბუთის წყაროა ისევ სულიერი საგანი — ამოსაცნობი პირი, რომელიც გვაწვდის ცნობებს თავისთავად გარეგნობის მიხედვით და ამომცნობი ან მოწმეა, ან დაზარალებული, ან ექვემდებარებული და ან ბრალდებული. რაც, იმითაც მტკიცდება, რომ ამომცნობის წინ საჭიროა დაიკითხოს ამომცნობი იმის გამოსარკვევად, თუ რა ნიშნებით შეუძლია უზრუნველყოს ამომცნობა. ამოღებისა და დაკავების დროსაც ხშირად ვღებულობთ ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს. ამ შემთხვევებში დამამტკიცებელი საბუთების წყაროებია საგნები, რომლებიც ხასიათდებიან ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების თვისებებით. რა თქმა უნდა, შესაძლოა ამ გზით წერილობითი საბუთიც იყოს მიღებული, რომლის წყარო იქნება ის პიროვნება, ვის მიერაც შედგენილია ბი. საგამომძიებო ექსპერიმენტი, როგორც ცნობილია, ერთგვარი საცდელი მოქმედებაა ამა თუ იმ მოვლენის ინსცენირებისათვის. არც ამ შემთხვევაში იქნებიან დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად გამომძიებელი (მოსამართლენი) და თანამოწმენი. როცა, მაგალითად, ცდა ტარდება მოწმის სმენადობის შესამოწმებლად, მტკიცებულებით ინფორმაციებს გვაწვდის ისევ მოწმე — ე. ი. გვეუბნება იმას, თუ, მაგალითად, რა სიტყვები გაიგო ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ გარკვეული პიროვნებისაგან, გარკვეულ მანძილიდან და სხვა. ექსპერიმენტის დროს დამამტკიცებელი საბუთის (ინფორმაციის) წყაროდ შეიძლება იყოს საგანიც (საგნები). მაგალითად, როდესაც ვცდით, გაეტევა თუ არა ესა თუ ის საგანი სახლის გამონგრეული კედლის სივრცეში, ცხადია, თავისი მოცულობით თვითონ საგანი გვაწვდის ინფორმაციას ამის შესაძლებლობის შესახებ. რაც შეეხება გამომძიებელსა და თანამოწმეებს, რომლებიც ატარებენ ამ ცდას და ბოლოს ოქმს ადგენენ, ისინი პროცესუალურად დაამაგრებენ მხოლოდ ამ ცდის მთელ მიმდინარეობას თავისი შედეგებით.

კანონმდებელი დამამტკიცებელი საბუთების ცნების განსაზღვრების დროს სულ ბოლოს მიუთითებს, რომ „ეს მონაცემები დადგინდება“ -- „სხვა დოკუმენტებით“. სხვა დოკუმენტებში იგულისხმება — სარევიზიო აქტები, დახასიათებები, ცნობები და სხვა. დოკუმენტიც შეიძლება იყოს, ცხადია, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი, თუ ის ნივთიერად ადასტურებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას, მაგრამ, მისგან განსხვავებით, წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი, წერილობითი ფორმით გვაწვდის იმ ინფორმაციებს,

რომლებიც შეგვიძლია მივიღოთ აგრეთვე სხვა მსგავსი ფორმითაც (თუ დაიკარგა ერთი ცნობა, მოგვეყენებინა მეორეს და ა. შ.). სწორედ ამის გამო, წერილობითი დამამტკიცებელი საბუთების წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ პიროვნება, რომელმაც თავისი ნებასურვილი გამოხატა წერილობითი ფორმით.

V. დამამტკიცებელი საბუთების შესახებ მოთხოვნა და დანაშაულებითობა

1. დამამტკიცებელი საბუთების შესახებ მოთხოვნა

დამამტკიცებელი საბუთების შესახებ მოთხოვნა, როგორც ცნობილია, მოიცავს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ეხებიან კონკრეტულ საქმეს. უფრო სწორად, შესახებ მოთხოვნა ახასიათებს ინფორმაციებს (ცნობებს), თუ რამდენად შეეხებიან ისინი მტკიცების საგანში გათვალისწინებულ გარემოებებს. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო დებულებას მხოლოდ იმ დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. დამახასიათებელია, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო პროცესის კოდექსის 55-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო არ დებულებს განსახილველად, უარს ამბობს გამოთხოვაზე, ან თვითონ მოიცილებს ისეთ მტკიცებულებებს, რომლებსაც არა აქვთ მნიშვნელობა საქმისათვის. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ როდესაც საქმეში ერთი და იგივე ცნობებია სხვადასხვა წყაროების მიერ მოწოდებული, შესაძლოა ზოგიერთმა მათგანმა ამის გამო დაკარგოს მნიშვნელობა;¹ ვფიქრობთ, ასეთი დასკვნა პირობითია, რადგან ზოგ შემთხვევაში დეტალების გამორკვევის აუცილებლობის გამოც იზრდება „ერთნაირი“ ინფორმაციების რაოდენობა. ლიტერატურაში მართებულად არის შენიშნული, რომ შესახებ მოთხოვნის სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს იმავეთვე ვიზრუნოთ, თუ რას ემსახურებიან ეს ინფორმაციები.

გ. მ. მინკოვსკი და ა. ა. ეისმანი სადავოლ თვლიან რ. ს. ბელკინისა და სხვათა აზრს იმის შესახებ, თითქოს „მხოლოდ იმ ინფორმაციას აქვს ღირებულება, რომელიც შეიცავს რაღაც ახალს მტკიცების საგნის შესახებ“.² ვფიქრობთ, ეს დებულება სადავო კი არა, პრინცი-

¹ საბჭოთა სამოქალაქო პროცესი, 1975, გვ. 144.

² იგივე, გვ. 246.

პულად მიუღებელია. ყველასათვის ცნობილია შემთხვევები, როდესაც მსგავს ინფორმაციებს გვაძლევენ სხვადასხვა წყაროები; მაგალითად, შემთხვევის ადგილზე მყოფი ათივე მოწმე ერთსა და იმავე ფაქტს ადასტურებს (ვთქვათ, ხულიგნობის ფაქტს). განა აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ პირველად დაკითხული მოწმის ჩვენების შემდეგ სხვა მოწმეთა ჩვენებებს აღარ აქვთ ღირებულება, რაკი ისინი სიახლეს არ შეიცავენ? რა თქმა უნდა, არსებობენ დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც სხვადასხვა ფაქტებს ეხებიან, მაგრამ, თუ მათ შორის გამოირჩევიან ერთი და იგივე ფაქტის დამადასტურებელი ინფორმაციებიც, ამით არც ერთი მათგანის მნიშვნელობა არ იჩქმალება.

დამამტკიცებელი საბუთების შესახებითობის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თანმიმდევრულად იქნეს გააზრებული მტკიცების საგანში შემავალი გარემოებანი. კერძოდ, ხელყოფის ობიექტის დასადგენად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გაეამაზვილოთ იმ ინფორმაციებზე, რომლებიც ახასიათებენ თვით ხელყოფასაც (მოქმედების ხასიათი, მისი ჩადენის საშუალება, დრო, ადგილი, მიზეზობრივი კავშირი პირის მოქმედებასა და მოქმედების 'შედეგ' შორის და სხვა). ასევე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დანაშაულის სუბიექტი და სუბიექტური მხარე; მაგრამ აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. როდესაც ჩვენ ვკრებთ ამა თუ იმ გარემოების დასახასიათებლად ინფორმაციებს, ცხადია, მიზნობრივად ემოქმედებთ, მხედველობაში გვაქვს კონკრეტული ამოცანა; მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ რომელიმე საგამოძიებო მოქმედების ჩატარებით გვეზრუნა მხოლოდ ამ ვიწრო ამოცანის გადაწყვეტისათვის. სინამდვილეში საქმის რომელიმე მხარის შესწავლისათვის გამოყენებული ინფორმაციები შემოწმებულნი და გადაფასებულნი უნდა იქნენ სხვა კუთხითაც. მტკიცებულების შესახებითობა კი არ გამოირიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს რომელიმე ფაქტის დადგენით საქმისათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებათა შესახებ ვერსიების წამოჭრასა და სხვა. დამამტკიცებელი საბუთები შეეხებიან თუ არა კონკრეტული საქმის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს. ეს საკითხი ყოველთვის მოითხოვს თავისებურ გადაჭრას. იმ მომენტიდან, როდესაც გამოძიებელი საქმეს ღებულობს წარმოებაში და აღდგენს საგამოძიებო გეგმას, ბუნებრივია, ითვალისწინებს მასალებს, რომლებიც შეგროვილი იქნა სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. სწორედ ეს მასალები დაედება ხოლმე საფუძვლად თავდაპირველად მტკიცებულებათა შესახებითობის განსაზღვრას. უფრო სწორად: გა-

მომძიებელი ანალიზს უკეთებს რა მაგალითად, მოქალაქეების აბსნა-განმარტებებს, ნიეთებს, დოკუმენტებს და სხვა, დაასკვნის, თუ რო-მელი მათგანი მოითხოვს პროცესუალურ ფიქსირებას იმისათვის, რომ მათ მტკიცებულებითი ძალა მიენიჭოთ.

რა თქმა უნდა, ისეთი წყაროები (ნიეთები, პირები), რომლებსაც არ შეუძლიათ მოგვცენ საქმესთან დაკავშირებით სასარგებლო ცნო-ბები, საჭიროა საქმიდან მოცილებულ იქნენ. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ, არაშესახებითობის გამო, მიღებული საბუთი საერთოდ უვარგისია, როგორც დამამტკიცებელი საბუთი? არა, ეს ამას არ ნიშნავს. როგორც ცნობილია, შესაძლებელია კონკრეტული ინფორ-მაცია არ შეეხებოდეს მოცემულ საქმეს, ვერ აღგენდეს (ან ვერ უარყოფდეს) მტკიცების საგანში შემავალ ვერც ერთ გარემოებას, მაგრამ მას მნიშვნელობა ჰქონდეს ისეთი ფაქტის გამოვლინებისათ-ვის, რომელიც დამოუკიდებელ დანაშაულზე, ან სხვა სახის სამართალ-დარღვევაზე მიუთითებდეს. პრაქტიკაში უამრავი მაგალითები მოიძებნება ამის დამადასტურებელი და, მაშასადამე, შეცდომა იქნე-ბა, თუ საერთოდ ვიტყვი, რომ შესახებითობის გარეშე ინფორმა-ციები მტკიცებულებით მნიშვნელობას კარგავენო. დამამტკიცებელი საბუთების შესახებითობაში მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალუ-რად განსაზღვრული საქმისათვის გამოსაყენებელ ინფორმაციებს გულისხმობენ და არა საერთოდ ამ ინფორმაციების შინაარსობრივ თვისებებს დამაჩერებლობის თვალსაზრისით: იმ შემთხვევაში, რო-დესაც დამამტკიცებელი საბუთები (ინფორმაციები) განეკუთვნებიან არა გამომძიებლის წარმოებაში მყოფ კონკრეტულ საქმეს, არამედ სხვა მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც, ვთქვათ, ახალი დამოუკიდებე-ლი დანაშაულია, მაშინ ეს დამამტკიცებელი საბუთები, რასაკვირვე-ლია, დახასიათდებიან შესახებითობის ნიშნითაც, ოღონდ სწორედ ამ ახალი დანაშაულის გამო აღძრულ საქმესთან დაკავშირებით. შესა-ხებითობის ნიშნით ახასიათებენ მტკიცებულებას, როცა იგი ნათელ-ყოფს თუნდაც საქმის რომელიმე ეპიზოდს, ან მის დეტალს, ან პასუ-ხისმგებლობის განმსაზღვრელ თუ გამომრიცხველ გარემოებას. ძა-ლიან მნიშვნელოვანია დამამტკიცებელი საბუთების შესახებითობის საკითხი ე. წ. „მტკიცებულებითი ფაქტების“ ასპექტების გათვალის-წინებით. როგორც ზემოთ ითქვა, ბევრი პროცესუალისტი არ თვლის საჭიროდ მტკიცებულებითი ფაქტები შეიტანოს მტკიცების საგანში, მაგრამ ის კი არ არის უარყოფილი, რომ შესახებითობით ხასიათდებ-ნან თვით მტკიცებულებითი ფაქტებიც. თუ ღრმად ჩავუფიქრდებ-ით, აქაც შეიგრძნობა წინააღმდეგობა, რაკი მტკიცებულებით ფაქ-ტებსაც დადასტურება სჭირდებათ და იმისათვის, რომ შესახებითო-

ბის კუთხით განვიხილოთ მათი დამადასტურებელი ინფორმაციები, „მტკიცებულებითი ფაქტები“ მაინც დასამტკიცებელ გარემოებებში უნდა მოვაქციოთ. ცნობილია, რომ აქამდე, სანამ ე. წ. მტკიცებულებით ფაქტებს (მათზე ინფორმაციებს) სხვა ფაქტების დასამტკიცებლად გამოვიყენებდეთ, მათი შესახებითობა მხოლოდ ალბათურად ფასდება. ცხადია, არავის არ შეუძლია წინასწარ უშეცდომოდ განსაზღვროს შესახებითობის თვალსაზრისით, მაგალითად, თუნდაც იგივე ე. წ. ნეგატიური ფაქტები, რაზედაც საკმაოდ ბევრს ლაპარაკობენ ლიტერატურაში. იქამდე, სანამ „ნეგატიურ ფაქტებს“ მიეცემოდეთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა, საჭიროა თვით ეს ფაქტები უყოყმანოდ იქნენ დადგენილნი (მაგალითად, ის ფაქტი, რომ ყელგამოკრილ კაცთან ვერ ნახეს სისხლი, გაუპატიურებული ქალის სასქესო ორგანოში არ აღმოჩნდა მამაკაცის თესლი და სხვ.). აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული გარემოების უარყოფა უკვე ნიშნავს ზოგჯერ თვით სხვა გარემოებათა არსებობის შესაძლებლობასაც (მაგალითად, ალიბი). მაგრამ ლიტერატურაში და პრაქტიკაშიც ცნობილია, რომ არსებობენ სპეციალური დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც გვემსახურებიან არსებითად უკვე შეგროვილი დამამტკიცებელი საბუთების შემოწმებისათვის. ასეთი ფაქტები, ცხადია, მტკიცებულებითი ფაქტების კატეგორიას განეკუთვნებიან; ოღონდ მათ შესახებ მსჯელობისას დიდი სიფრთხილე გვმართებს. მაგალითად, მოწმის აღქმა, როგორც დადგენილია, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წყების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები მოქმედებენ მასზე კონკრეტულ სიტუაციაში. ამ ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი და როლი შესაძლებელია ზოგჯერ გამოვლინდეს როგორც საგამოძიებო ექსპერიმენტის, ისე სამედისინო (ფსიქიატრიული) ექსპერიმენტის ჩატარების გზითაც. მაგრამ არ იქნებოდა ურიგო, თუ ამ საქმეში ფსიქოლოგებსაც დავიხმარდით. საქმე ის არის, რომ უმეტეს შემთხვევაში აღქმის უნარის დაქვეითებას ვერ ავხსნით პათოლოგიური მოვლენებით. ფსიქოლოგზე უკეთესად, ცხადია, სხვა ვერავინ გეტყვის, თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს აღქმაში „ჩაჯარდნები“. ამიტომ გამართლებული უნდა იყოს ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ამ წყების საკითხების გადაწყვეტისათვისაც. ოღონდ, ცნობილია, ექსპერიმენტის დასკვნა იმის შესახებ რომ, მაგალითად, პიროვნებას კარგი აღქმის უნარი აქვს, ჭერ კიდევ არ ლაპარაკობს იმაზე, რომ იგი უსათუოდ აღიქვამდა კომმუნდარ მოვლენას. თუ პიროვნება უყურადღებობას იჩენდა მოვლენისადმი, დავას არ იწვევს, მას არ შეეძლო აღქვა იგი. იმასაც უნდა გაეგვას ხაზი, რომ როდესაც პიროვნების აღქ-

მის უნარი საეკვოდ მიიჩნევა ხოლმე, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს, ავით ჩვენების მიმცემი პირის ინფორმაციების შემოწმებასთან; ასევე იტქმის, მაგალითად, როდესაც მოწმე აღმოჩნდება ან ბრალდებულის, ან ეკვემიტანილოს, ან დაზარალებულის ნათესავი. ცნობილია, რომ ბრალდებულსაც შეუძლია თავის ჩვენებაში შეეხოს საქმეში არსებულ მისთვის ცნობილ მტკიცებულებებს, მაგრამ აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ბრალდებული ამ გზითაც ახორციელებს დაცვით ფუნქციას და ინფორმაციები, რომლებზედაც იგი ყურადღებას გაამახვილებს, უნდა შემოწმდნენ და შეფასდნენ ისევ დამამტკიცებელი საბუთების მეშვეობით. მთელ ამ პროცესში, ბუნებრივია, ზოგიერთი დამამტკიცებელი საბუთი თითქოს კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას, რაკი, მაგალითად, მრავალი შესაძლებელი ვერსიიდან თანდათან რჩება მცირე რაოდენობა; თუმცა ასეთმა მოჩვენებითობამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, — უარი არ უნდა ვთქვათ ხელახლა დავუბრუნდეთ მათ იქამდე, სანამ საბოლოოდ არ გადაწყდება საქმის ბედი. ასე რომ არ იყოს, მაშინ უნდა გველიარებიანა ზოგიერთი დამამტკიცებელი საბუთის წინასწარი ძალა და აღარ გვეზრუნა მათი ხელახლა შემოწმებასა და გადაფასებაზე. ა. ა. ეისმანი და გ. მ. მინკოვსკი სამართლიანად ემხრობიან ს. პავლოვს, რომლის აზრით, დამამტკიცებელი საბუთების შესახებთობის საკითხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ განისაზღვროს მათი ობიექტური ვარგისიანობა საქმეში კეშმარტების გახსნისათვის.¹ ეს კი გამომდინარეობს იქიდან, რომ დანაშაული ყოველთვის წარმოადგენს წარსულში მომხდარ მოვლენას და, ცხადია, მასთან დაკავშირებული მოვლენებიც უკვე წარსულის კუთვნილებად იქცევა იმ ნიშანთვისებებით, რომელოც ცვალებადობაზე ლაპარაკიც აღარ გვიხდება. ამიტომ სწორი უნდა იყენენ ა. ა. ეისმანი და გ. მ. მინკოვსკი იმაშიც, როცა არ სცნობენ დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობის შეცვლას, რომ სასამართლო წარმოების პროცესში თანდათან მხოლოდ წინასწარი შეფასება იცვლება და გადადის საბოლოო შეფასებაში, რის შედეგადაც შესახებთობის საკითხი საბოლოოდ წყდება პროცესის ამა თუ იმ სტადიისათვის ან მთელი პროცესისათვის.²

მტკიცებულებათა შესახებთობის საკითხი ერთნაირად პრობლემატურია სასამართლო წარმოების ყველა სტადიაზე; მათ შორის სამოქალაქო საქმის განხილვის დროსაც. ცნობილია, სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე დამამტკიცებელი საბუთე-

¹ ბ. ე. რ. შ. ა. გვ. 253.

² ბ. ე. რ. შ. ა. გვ. 254.

ბის შეგროვებას, მათ პროცესუალურ ფიქსირებას, შემოწმებასა და შეფასებას სწორედ რომ წინასწარი ხასიათი აქვს, რაკი ჯერ საბ.რ.ლოდ არ წყდება საქმის ბედი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გამოჩაყლის შემთხვევებს (სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას), მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პროცესის ამ სტადიაზე გამოძიებელს (პროკურორს) შეუძლია თავს ნება მისცეს უანგარიშოდ შეაგროვოს ცნობები (ინფორმაციები) იმის განუკითხავად, თუ რა გარემოებების დადგენას ემსახურებიან ისინი. მართალია, წინასწარი გამოძიების (მოკვლევის) დროს ერთგვარად გაძნელებულია ყველაფრის გათვალისწინება, აქ არ არის ყოველთვის იმის შესაძლებლობა, რომ სწორად განვკვირვოთ დანაშაულებრივი ქმედების ყველა შესაძლებელი ვარიანტიც კი, მაგრამ თუ გამოძიებული ამის გამო საქმის გეგმიური გამოძიების ნაცვლად ალაღბედზე დაიწყებს ინფორმაციების მოგროვებას, ამით იგი უსარგებლოდ დიდ დროს დაკარგავს და მალე ვეღარ გაართმევს თავს შეგროვილი მასალების „დახარისხებას“. რაც შეეხება საქმის სასამართლოში განხილვას, ეს პროცესი წინასწარ გამოძიებასთან შედარებით თავისებურია, რაკი ერთგვარად იმის შესაძლებლობანიც არსებობენ, რომ მოხდეს უკვე შეგროვილი დამამტკიცებელი საბუთების შესახებთაობის თვალსაზრისით გააზრება და დაჯგუფება. როგორც ცნობილია, სასამართლო მაშინაც კი, როდესაც წარმოებს პირის სამართალში მიცემა, დამამტკიცებელ საბუთებსაც იხილავს. ამ სტადიაზე შესახებთაობის ჰაკითხიც არის წამოწეული წინა პლანზე, რადგანაც სასამართლოს კანონით აქვს მინიჭებული უფლება მექანიკურად არ მოახდინოს, მაგალითად, საბრალდებო დასკვნის მიხედვით მოწმეთა გამოკვლევა. სასამართლოს შეუძლია გამოიძახოს დამატებითი მოწმეებიც (ან პირიქით, საბრალდებო დასკვნაზე დართული სიის მიხედვით ყველა არ გამოიძახოს), გამოითხოვოს დოკუმენტები და სხვა. მართალია, პირის სამართალში მიცემის დროს არ წყდება მისი ბრალეულობის საკითხი, მაგრამ, ცხადია, საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა თვით ამ სტადიის გამართლება, რომ მასალების მიხედვით ერთგვარად არ ხდებოდეს დამამტკიცებელი საბუთების შეფასება. სამართალში მიცემაც გულისხმობს გარკვეულ საფუძველს და ეს საფუძველი სხვა არაფერი შეიძლება იყოს, გარდა დამამტკიცებელი საბუთებისა, რომ პირმა ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაული.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს დამამტკიცებელი საბუთების შესახებთაობის განსაზღვრას სასამართლო გამოძიების სტადიაზე. სასამართლო გამოძიება — ეს პროცესის მთავარ სტადიადაა მიჩნეული, რაკი სწორედ აქ წყდება საქმის საბოლოო ბედი, და, ბუნებრივია,

თუ ყველა პრინციპული საკითხი და მათ შორის დამამტკიცებელი საბუთების შესახებითობა სწორედ არ იქნება გადაწყვეტილი, გაძნელება შეცდომების თავიდან აცილება.

ცნობილია, რომ სასამართლოსათვის წინასწარი გამოძიების მასალებს მხოლოდ იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც საშუალებას იძლევიან ვერსიების დასასახავად. სასამართლო განხილვა დაძოვუილებელი სტადიაა, და, ბუნებრივია, არ შეიძლება მოსდეს წინასწარი გამოძიებით შეგროვილ დამამტკიცებელ საბუთებზე ბრძალ დაყრდნობა. სასამართლოს ევალება, თავის მხრივ, შეამოწმოს არა მარტო წინასწარი გამოძიების მასალები, არამედ საკუთრივ ეს ვერსიებიც, ამ მასალების გარეშეც რომ წამოიჭრება ხოლმე. ამდენად წინასწარი გამოძიების შედეგი როგორც საქმის გადაწყვეტის მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებელი ამოსავალია და არა ერთადერთი. სწორედ ამის გამოც სასამართლო, კანონით, მოვალეა გულმოდგინედ შეამოწმოს ყველა ის ვერსია, რომელიც წამოიჭრება ხოლმე სასამართლო გამოძიების სტადიაზე; ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს ეს ვერსიები განხილული იქნენ თუ არა წინასწარი გამოძიების დროს; მთავარია, რომ ისინი შეეხებიან საქმეს. შემთხვევითი არ არის, რომ სასამართლო გამოძიების ფარგლები ზოგჯერ „ფართოვდება“. ამას ხელს უწყობს აგრეთვე პროცესში მონაწილე პირთა კანონიერი შუამდგომლობები, რომელთა საფუძველზეც ხდება იმ ახალი დამამტკიცებელი საბუთების მიღება და შეფასება, რომლებიც შეეხებიან სასამართლოში განსახილველ საქმეს.

საკასაციო წარმოების დროს, როგორც ცნობილია, განხილება ის დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც შეგროვილია როგორც საქმის წინასწარი გამოძიების, ისე მისი სასამართლოში განხილების დროს. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე გადასცეს წინასწარი გამოძიების ორგანოებს ან სასამართლოს ხელახლა გამოძიებისა და განხილისათვის იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ მიერ არ ყოფილა შეგროვილი ისეთი მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც შეეხებოდნენ მოცემულ კონკრეტულ საქმეს. ასევე უნდა ითქვას სასამართლოს საზედამხედველო წესით საქმის განხილვასთან დაკავშირებითაც. რაც შეეხება საქმის განხილვას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, აქ სწორედ უმთავრესად ისეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც გამოძიებისა და სასამართლოსათვის სრულიად უცხო იყო ისეთი გარემოება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საქმის ბედი და ამიტომ დაგვიანებით მაინც ხდება ამ შეცდომის გამოსწორება.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დამამტკიცებელი საბუთების დასაშვავითობას. სამოქალაქო პროცესში შესახებობაში გულისხმობენ იმ წესებს, რომლებითაც რეგულირდება დამამტკიცებელი საბუთების შერჩევა (ფაქტობრივ მონაცემებისა და პროცესუალური საშუალებების), ხოლო დასაშვავითობაში — მხოლოდ პროცესუალურ საშუალებებს. სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლის თანახმად, საქმის ის გარემოებანი, რომლებიც კანონით უნდა დამტკიცდეს გარკვეული მტკიცების საშუალებებით, არ შეიძლება დამტკიცდეს არავითარი სხვა მტკიცების საშუალებებით. ამ ნორმას მნიშვნელობას ანიჭებენ თვით შესახებობის ცნებისათვისაც. როგორც ცნობილია, არსებობს აუცილებელი მართივი წერილობითი ფორმა გარიგების (ვთქვათ, სესხის ხელშეკრულებისათვის 50 მანეთზე მეტ თანხასთან დაკავშირებით და სხვ.), რა დროსაც არ არის დასაშვავი მოწმეთა ჩვენებები; ე. ი. ამ შემთხვევაში მოწმეთა ჩვენებები საქმესაც არ ეხებიან... სახელმძღვანელოს ავტორები სამართლიანად ედავებიან კ. ს. იუდელსონსა და სხვებს, რომლებიც თვლიან, რომ დამამტკიცებელი საბუთების დასაშვავითობა შეზღუდულია აგრეთვე სანოტარო წესებით დასამოწმებელ გარიგებებისათვისაც. ავტორები მიუთითებენ ნორმებზე, რომლებიც აღგენენ, თუ რომელი გარიგება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, მაგრამ აქვე უნიშნავენ, რომ არ არის სანოტარო გარიგების დამტკიცების შეზღუდვა. დასახელებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, დაკარგულია გარიგების ყველა ეგზემპლარი; ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებად გამოსაყენებელია როგორც რეგისტრაციის წიგნის ჩანაწერი, ისე ნოტარიუსისა და მხარეების განმარტებები. არ იწვევს დავას ისიც, რომ კანონით, თუ დარღვეულია სანოტარო დამოწმების ფორმები, ასეთი გარიგება ფიქტიურად ითვლება.¹

სისხლის სამართლის პროცესშიც დამამტკიცებელი საბუთების დასაშვავითობის განსაზღვრას, პირველ რიგში, უმმართველების დადგენისათვის აქვს მნიშვნელობა. მართლაც, თუ ჩვენ წინასწარ არ გვეცოდინება ამა თუ იმ დამამტკიცებელი საბუთის ვარგისიანობის შესახებ, მას ვერც გამოვიყენებთ მტკიცების საგანში შემაჯავლი გარემოებების დასადგენად; საერთო აღიარებით, მტკიცებულებათა დასაშვავითობა სასამართლო წარმოებაში — ეს არის მტკიცებულებათა

სამოქალაქო პროცესი, 1975, გვ. 146—147. (რუს.), სამოქ., პროცესი, 1979, გვ. 133—134.

ვარგისიანობა მათი წყაროების ინფორმაციების (ცნობების) მიღების მეთოდებისა და ხერხების მხრივ. გ. მ. მინკოვსკი, ა. ა. ეისმანი და ი. ბ. მიხაილოვსკაია სამართლიანად ემხრობიან ც. მ. კაზს და აკრიტიკებენ ი. ლ. პერლოვს, რომლის ფიქრით, მტკიცებულებათა დასაშვებითობა წინასწარ განსაზღვრულია კანონით, ხოლო შესახებითობა განისაზღვრება ხოლმე საგამომძიებო-სასამართლო ორგანოების მიერ პეშმარიტების დასადგენად. სხვათა და ც. კაზის მოსაზრებიდანაც გამომდინარე, გ. მინკოვსკის, ა. ა. ეისმანის, ი. ბ. მიხაილოვსკაიას სიტყვით, კანონი განსაზღვრავს არა მარტო მტკიცებულებათა დასაშვებითობის (წყაროების და ინფორმაციების მიღების წესები), არამედ შესახებითობის პირობებს (მტკიცების საგანი)¹. აქვე სამართლიანად არის შენიშნული და უნდა გავიმეოროთ, რომ კანონმდებელი ამ შემთხვევაში კმაყოფილდება ზოგადი ხასიათის მითითებებით, და აქედან არამც და არამც არ გამომდინარეობს საგამომძიებო-სასამართლო ორგანოების „შეზღუდვა“ მტკიცებულებათა დასაშვებითობისა თუ შესახებითობის საკითხების გადაწყვეტისას.

ვფიქრობთ, უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ მტკიცებულებათა დასაშვებითობისათვის კანონმდებლობა ადგენს როგორც დამამტკიცებელი საბუთების სახეებს, ისე კონკრეტული ინფორმაციების მიღების წესებს. რა თქმა უნდა, როდესაც ვლაპარაკობთ დამამტკიცებელი საბუთების დასაშვებითობაზე, უკვე იგულისხმება გადაწყდეს საკითხი, მაგალითად, მოცემული ინფორმაცია ჩაითვლება თუ არა დამამტკიცებელ საბუთად. როგორც შენიშნულია, ისეთი დამხმარე საორიენტაციო ხასიათის ინფორმაციები (დამხმარე ფაქტებზე ვარაუდები), რომლებსაც არა აქვთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რაკი ისინი კანონის დაცვით არ ყოფილან ფიქსირებულნი, არც შეიძლება განხილული იქნან დამამტკიცებელი საბუთების დასაშვებითობის პოზიციით. შემთხვევით არ არიან გაკრიტიკებულნი რ. ს. ბელკინი და სხვანი, რომელთა მიხედვით, თითქოს არაპროცესუალური წყაროებიდან მიღებული საორიენტაციო ინფორმაციები გვეხმარებიან სწორად შევაფასოთ საქმეზე შეგროვილი მტკიცებულებანი.² გ. მ. მინკოვსკი და სხვ. მართებულად დასძენენ, რომ დამამტკიცებელი საბუთების შეფასებისათვის გამოსაყენებელია ისევე თვით დამამტკიცებელი საბუთები და არა საორიენტა-

¹ თეორია, გვ. 229.

² იქვე, გვ. 231, Р. С. Белякин, А. И. Винберг, Криминалистика и доказывание, 1849, с. 182.

ციო ინფორმაციები, მაგრამ, ვფიქრობთ, ავტორები არ იჩენენ სი-
ზუსტეს, როდესაც ამ საქმეში შემოწმებას აშორებენ შეფასებას.
წინააღმდეგ გ. მ. მინკოვსკისა და სხვათა შეხედულებისა, საორიენ-
ტაციო ინფორმაციებს, რომლებსაც არა აქვთ მტკიცებულებითი
ძალა, არ შეუძლიათ არც მტკიცებულებათა შემოწმების ფარგლებზე
მიგვითითონ, რადგან დამამტკიცებელი საბუთების შემოწმება ლოგი-
კურად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ შეფასების ელემენტების გა-
რეშე. დამამტკიცებელი საბუთების დასაშვებითობასთან დაკავშირე-
ბით გასათვალისწინებელია პროცესის ყველა ის სტადიები, რომლები-
სათვისაც შემოღებულია განსაკუთრებული წესები. გადაჭრით შეი-
ძლება ითქვას, რომ მტკიცების პროცესში დაშვებული კანონის
უოველგვარი დარღვევა უკვე დაუშვებელს ხდის ამ დარღვევით მი-
ღებულ ინფორმაციას (ცნობას), როგორც დამამტკიცებელ საბუთს.
ეს, პირველ რიგში, შეეხება თვით საგამოძიებო მოქმედებათა უკანონო
დარღვევას. ყველა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისათვის
არსებობს მტკიცედ დადგენილი წესები, რომელთა შესრულება
სავალდებულოა მომკვლევის, გამოძიებლისა თუ სასამართლოსათ-
ვის. ყველასათვის გასაგებია, რომ საგამოძიებო-სასამართლო
მოქმედებათა ჩატარებისას არ შეიძლება მიზანმა გაამართლოს საშუა-
ლება. დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენა, მათი პროცესუალური
დამაგრება, შემოწმება და შეფასება შეიძლება მხოლოდ კანონიერი
საშუალებებით. საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს მომკვ-
ლევის, გამოძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის დანაშაუ-
ლებრივი მოქმედება, მათ მიერ სასამართლო წარმოების პრინციპე-
ბის დარღვევა (დასაკითხი პირის მიმართ იძულებითი ზომების გამო-
ყენება, უკანონო ექსპერტიზის დანიშვნა, უკანონოდ მოწმის სახით
პირის დაკითხვა და სხვ.), ცნობილია, გამოიწვევს ამ მოქმედებების
შედეგად მიღებული ინფორმაციების დამამტკიცებელ საბუთებად
დაუშვებლობას.

ლიტერატურაში განსაკუთრებით არის გამახვილებული ყურად-
ღება საგამოძიებო-სასამართლო მოქმედებათა ოქმების გაფორმება-
ში დაშვებულ ხარვეზებზე და ის დასკვნაა გამოტანილი, რომ შესა-
ძლოა ეს ხარვეზები შევსებული იქნან, თუ დარღვევა თავისთავად არ
არის მნიშვნელოვანი. მაგალითად, მოტანილია ისეთი მაგალითი, რო-
დესაც მოწმე წინასწარი გამოძიების დროს დაკითხვის ოქმის ყველა
გვერდზე ხელს არ აწერს. ავტორთა აზრით, ამ შემთხვევაში ხარვეზი
შეიძლება გამოსწორებულ იქნეს სასამართლოში—იმევე მოწმის და-
კითხვით, თუ იგი დაადასტურებს, რომ წინასწარი გამოძიების დროს

დაკითხვის ოქმი სწორად იქნა შედგენილი, მიუხედავად იმისა, რომ უყურადღებობით არ მოუწერია ხელი მის ყველა გვერდზე.¹ ვფიქრობთ, აქ ერთგვარი უზუსტობაა დაშვებული. საქმე ის არის, რომ მოწმე განმეორებით დაკითხვისას (როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიების პროცესში) იძლევა ახალ ჩვენებას. მოწმე განმეორებით იკითხება არა იმიტომ, რომ დაადასტუროს ან უარყოს თავისი პირვანდელი ჩვენება, არამედ საქმის არსებითი გარემოების გასაჩვენებლად; ამას გარდა, თუნდაც მოწმემ აღიაროს თავისი უყურადღებობა ოქმის გაფორმების დროს, ამით, რასაკვირველია, მაინც არ ხდება დაშვებული ხარვეზის გამოსწორება. ასევე ითქმის ისეთ მოქმედებათა შესრულების დროს დაშვებულ ხარვეზებზე, რომლებიც სრულდება თანამოწმეთა მონაწილეობით; თანამოწმენი, როგორც ცნობილია, შეიძლება დაიკითხონ იმ მოქმედების გარშემო, რომლის მოწმენიც თვითონ იყვნენ (ამას თვით სახელწოდებაც ამართლებს), მაგრამ თუ თვითონ მოქმედების ჩატარების დროს იყო დაშვებული საპროცესო კანონების დარღვევა, ცხადია, თანამოწმეთა დაკითხვით ამ დარღვევის გამოსწორება მაინც არ შეიძლება. ასევე დაუშვებლად მიგვაჩნია სხვა დამამტკიცებელი საბუთებით ისეთი ხარვეზების „გამოსწორება“, როგორცაა ოქმებში დამახინჯებულად გვარის შეტანა და სხვა. ამ შემთხვევებშიც შეგვიძლია ლაპარაკი არა ხარვეზების გამოსწორებაზე, არამედ იმ წყაროების მოძებნაზე, რომლებისაგანაც მიღებულ ინფორმაციებს დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობა ექნებათ. რაც შეეხება თვითონ იმ ფიქსირებულ დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც კანონის დარღვევით არიან მიღებულნი, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისინი არადასაშვებითობის თვალსაზრისით უნდა იქნან განხილულნი მაშინაც, როდესაც ეს დარღვევა არ ითვლება ე. წ. არსებით დარღვევად. საქმე ის არის, რომ, რაკი დაწესებულია ამა თუ იმ მოქმედების ჩატარების განსაკუთრებული ფორმები, ვფიქრობთ, სავალდებულო უნდა იყოს ისინი ყოველგვარი გამოჩვეულების გარეშე. კანონის მოთხოვნების დაუცველობა თავისთავად დიდ წინააღმდეგობებს ქმნის ჰერმეტიკების დადგენაში, გზას უხსნის თვითნებობას. ამიტომ გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს ისეთი რეკომენდაცია, როდესაც მტკიცებულებათა დასაშვებითობის საკითხი წყდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის შესაძლებელი დარღვეული საპროცესო წესების გამოსწორება, ან მათი შედეგების „ნეიტრალიზება“. ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ის, რაც კანონის დარღვევით არის გაკეთებული — უკვე წარსულში მომხდარ ფაქტად

¹ ბ ე რ ი ა, გვ. 241.

რჩება და მის „გამოსწორებაზე“ თუ „ნეიტრალიზაციაზე“ ლაპარაკიც გაუმართლებელია. რაკი ერთ შემთხვევაში ვალიარებთ, რომ საგამო-
 ძიებო მოქმედების მონაწილეთა დაკითხვით ან დამატებითი მოქმე-
 დების ჩატარებით საგამომძიებო მოქმედებაში გამოვლინებული
 დარღვევა დამამტკიცებელ საბუთის ძალას უკარგავს თვით ამ მოქმე-
 დებას, რატომ არ უნდა გავრცელდეს ეს წესი ყველა მოქმედე-
 ბაზე, რომელიც საპროცესო წესების დარღვევითაა შესრულებული?
 ჩვენ არ მიგვაჩნია დასაშვებად აგრეთვე ე. წ. „დეფექტური“
 დამამტკიცებელი საბუთები: კერძოდ, ლაპარაკია ისეთ დამამტკიცე-
 ბელ საბუთებზე, რომლებიც ფიქსირებულია, ვთქვათ, დათვალე-
 რების, ჩხრეკის და ა. შ. ოქმებში და ამასთან ეს ოქმები შედგენილია
 კანონის დარღვევით. მაგალითად, ლიტერატურაში არ გამორიცხავენ
 ისეთი მოქმედების მნიშვნელობას, რომელიც ჩატარებულია რომე-
 ლიმე ეტაპზე თანამოწმეთა ვარემე; თუ დაპირისპირების დროს წი-
 ნასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებების ნაწილი იქამდე იქნა
 გამოქვეყნებული, სანამ დაპირისპირებული პირები ჩვენებას მისცე-
 ზდნენ და ამ ჩვენების ფიქსირება მოხდებოდა, ან მოწმეს მხოლოდ
 ცალკეულ ეტაპებზე მიეცა მისახვედრებელი კითხვები და ა. შ.¹
 მართალია, მსგავს შემთხვევებში ფორმალურად თითქოს არ უნდა
 იყოს ხელისშემშლელი პირობები, რომ მოქმედების ის ნაწილი, რო-
 მელიც კანონიერად იყო შესრულებული, ჩავთვალოთ დამამტკიცე-
 ბელი საბუთების მიღების დასაშვებ საშუალებად, მაგრამ აქ არ შეი-
 ძლება არ გავითვალისწინოთ უკანონობით გამოწვეული დეფექტების
 უარყოფითი ზეგავლენა არა მარტო მტკიცების კულტურაზე. არამედ
 საერთოდ ინფორმაციებზე, რის გამოც ეს უკანასკნელი, როგორც
 წესი, დამამტკიცებელ საბუთად არ უნდა იქნან დამკვეთული. საერ-
 თოდ უნდა ითქვას, რომ კანონით აღნიშნულ წესებში
 ყოველთვის გათვალისწინებულია მათი შესრულების გარანტიებიც.
 თუ რომელიმე წესის შესრულება რეალურად შეუძლებელია, ცხა-
 დია, უნდა დაისვას საკითხი კანონის შეცვლის შესახებ. ამიტომაც
 გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი „გამოსავლების“
 აბნა დამამტკიცებელი საბუთების დასაშვებითობასთან დაკავშირე-
 ბით. ჩვენ დაუჭერებლად მიგვაჩნია ისეთი სიტუაციები, როდესაც
 თითქოს შეუძლებელია მოიძებნონ მიუჭერძობელი თანამო-
 წმეები, რომ საფოსტო-ტელეგრაფიული კორესპონდენციის ამოღე-
 ბის დროს ყოველთვის არ არის შესაძლებელი დავისწროთ ფოსტის

¹ თ ე რ ი ა, გვ. 243.

თანამშრომლებიდან ორი თანამოწმე (თუ მხედველობაში მივიღებთ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა საუწყებო სისტემას და სხვ.).

როგორც ცნობილია, გამომძიებელი წინასწარ უნდა ღებულა-ბდეს ზომებს ამა თუ იმ მოქმედების ჩატარებისათვის კანონში გათვალისწინებული წესების დაცვით და იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ წესებს დაარღვევს, დამამტკიცებელი საბუთების დასაშვებითობის საკითხის გადასაწყვეტად არა აქვს მნიშვნელობა თუნდაც ეს დარღვევები ობიექტური მიზეზებით იყვნენ გამოწვეულნი. დამამტკიცებელ საბუთების ძალას ვერ შემატებს ინფორმაციებს ვერც საგამომძიებლო მოქმედებაში მონაწილეთა ჩვენებები, თუ ეს მოქმედება თავისთავად უკანონოდ იქნა ჩატარებული... ამ კატეგორიის დარღვევებს უნდა მიეწეროს აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე მოქალაქეთა დაკითხვების ჩატარება, საგამომძიებო მოქმედების ჩატარება იმ გამომძიებლის (მომკვლევის) მიერ, რომლის წარმოებაშიც არ იშვოფება საქმე, თუ იგი არ არის შესრულებული კერძო დავალების სახით და სხვ. ამ შემთხვევებშიც ხელოვნურად გვეჩვენება უკანონოდ მიღებული ეს ინფორმაციები სხვა სახის დამამტკიცებელ საბუთებად ჩავთვალოთ (მაგალითად, მომკვლევის მიერ ბრალდებულად დაკითხული იმ პირის ჩვენება; რომლის დანაშაულის წინასწარი გამოძიებაა სავალდებულო, ჩავთვალოთ ექვმიტანილის ჩვენებად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე მიღებული მოწმის ჩვენება — ახსნა-განმარტებად ან განცხადებად) და სხვ.¹ ასეთი სახის „მტკიცებულებანი“ რომ მიზანშეუწონელია დაიშვას საქმეში, ამას მოწმობს ლიტერატურაში თუნდაც ის მოთხოვნა, რომ მათ ნაცვლად აუცილებლად უნდა ჩატარდეს განმეორებითი საგამომძიებო მოქმედებანი. ეს ე. წ. „განმეორებითი“ საგამომძიებო მოქმედებანი სწორედ რომ წარმოადგენენ კანონიერ საშუალებებს დამამტკიცებელი საბუთების მიღებისათვის, რომელთა მნიშვნელობა არ შეიძლება განისაზღვროს მათ წინ უკანონოდ ჩატარებულ მოქმედებათა ხასიათის მიხედვით. პროცესუალური ფორმების დარღვევით მიღებული ინფორმაციები რომ დამამტკიცებელ საბუთებად ჩაგვეთვალა, მაშინ აღარაფერი უნდა გვეთქვა საერთოდ ოპერატიულ მოქმედებათა შედეგების მტკიცებითი მნიშვნელობის უარყოფაზე, რომელთა მიღება სრულებითაც არ გულისხმობს პროცესუალური წესების დარღვევას. თუკი ოპერატიული ინფორმაციები (ან სხვა სახის ინფორმაციები), რომლებსაც არა აქვთ პროცესუალური ფორმა, ვერ შესცვლიან მტკიცებულებებს,

¹ თ ე ო რ ი ა, გვ. 244—245.

მამ რანაირად უნდა მიენიჭოს მტკიცებულებითი მნიშვნელობა ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც, მართალია, საგამოძიებო მოქმედებებით არიან მიღებულნი, მაგრამ კანონის მოთხოვნების დარღვევით?

VI. დამამტკიცებელი საბუთების კლასიფიკაცია

მოვლენებისა და საგნების კლასიფიკაცია პირობითია იმდენად, რამდენადაც მათ საფუძვლად ედებათ წინასწარ მონიშნული გარემოებანი, მაგრამ სწორედ ამიტომაც დაუშვებელია თვითნებობა — უსისტემოდ საკლასიფიკაციო ობიექტების დალაგება. მეცნიერული კლასიფიკაცია წარმოუდგენელია საგნებისა და მოვლენების შინაგან კანონზომიერებათა გათვალისწინების გარეშე. საკლასიფიკაციო ობიექტები იმიტომ დაიყოფიან ხოლმე გვარების, სისტემების, სახეების, ჯგუფების... მიხედვით, რომ საამისოდ ობიექტური მონაცემები არსებობს; უფრო სწორად, ამ დაყოფის დროს მხედველობაში ღებულობენ საკლასიფიკაციო ობიექტების ნიშან-თვისებებს, აერთიანებენ ცალ-ცალკე მხოლოდ იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებსაც შინაგანად საერთო დამაკავშირებელი თვისებები აქვთ.

საპროცესო სამართლის თეორიაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებათა სწორ კლასიფიკაციას; მას წამყვანი როლი ენიჭება აგრეთვე დამამტკიცებელი საბუთების სწორად გამოყენების მხრივაც. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ დამამტკიცებელი საბუთების კლასიფიკაციაზე ძალიან ბევრი არის დაწერილი, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის პროცესში. ლიტერატურული წყაროები მოწმობენ, რომ სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამართალში შემუშავებული კლასიფიკაციები ერთმანეთისაგან პრინციპულად არ განსხვავდებიან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ დამამტკიცებელი საბუთების ნივთიერ და პიროვნულ დამამტკიცებელ საბუთებად დაყოფაზე. ეს დაყოფა არ არის ახალი. ამ დაყოფას იცნობდნენ ჯერ კიდევ ბენტამი, ჟირიაევი და წარსული დროის სხვა მოაზროვნენი. პიროვნული და ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ურთიერთისაგან გამოყოფის საკითხებს ცალ-ცალკე იხილავენ როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო პროცესში; მაგრამ, ცხადია, ამ კლასიფიკაციის პრობლემები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან. საყურადღებოა, რომ ასეთი კლასიფიკაცია ემყარება სწორედ წყაროს, ე. ი. დამამტკიცებელი საბუთების დაყოფა ხდება იმის მიხედვით — მტკიცებულებითი ინფორმაციები (ცნობები) მიღებულია ადამიანისაგან თუ ნივთებისაგან. სრულიად მართებულად არის მი-

ჩნეული სამოქალაქო პროცესუალურ ლიტერატურაში პიროვნულ მტკიცებულებებად: მოწმის ჩვენება, მხარეთა და მესამე პირთა განმარტებანი, წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი და ექსპერტის დასკვნა; ხოლო ნივთიერად — ნივთები მათი ნიშნებითა და თვისებებით.

პროცესუალისტების ერთი ნაწილი (ა. ი. ვინბერგი, გ. მ. მინკო-ვსკი, ა. ა. ეისმანი), უპირველეს ყოვლისა, პიროვნულ დამამტკიცებელ საბუთებად თვლიან: 1. მოწმის, დაზარალებულის, ექვემდებარებულისა და ბრალდებულის ჩვენებებს; აქვე შენიშნულია, რომ ეს ჩვენებები არის ინფორმაციების მატარებელთა ზეპირი თუ წერილობითი შეტყობინებანი, რომ მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გამოძიების დროს, კანონის შესაბამისად, გამოიყენოს. სის გარდა, ბრალდებულები, დაზარალებულები, მოწმეები ჩვენებებს იძლევიან ზეპირად; დაკითხვების ოქმები ჩვენებების ფიქსირების ფორმებია, რომელთა დანიშნულებაა ინფორმაციების შენახვა და მათი გადაცემა მტკიცების ადრესატზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზეპირი რეპროდუქცია შეუძლებელია და არც ამას ითხოვს კანონი.¹ ავტორები პიროვნულ დამამტკიცებელი საბუთების მეორე ჯგუფში აერთიანებენ დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებსაც კმნიან ისეთი საგამომძიებლო მოქმედებათა ოქმები, როგორცაა დათვალიერება, შემოწმება, ამოღება, ჩხრეკა, დაკაეება, ამოსაცნობად წარდგენა, საგამომძიებლო ექსპერიმენტი და ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკებში ჩვენების აღვილზე შემოწმება.² იგივე ავტორები მესამე ჯგუფში ათავსებენ სხვა დოკუმენტებს და ექსპერტიზის დასკვნებს.³

განვიხილოთ ეს ჯგუფები. როგორც დავინახეთ, ავტორების მიერ ბრალდებულების, ექვემდებარებულების, მოწმეების, დაზარალებულების ჩვენებები ჭერ მიჩნეულია დამამტკიცებელ საბუთებად, მერე მათ უწოდებენ ინფორმაციების მატარებელთა (მოწმე, დაზარალებული...) შეტყობინებებს; ე. ი. ლოგიკურად ჩვენებები მიჩნეულია დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად და არა დამამტკიცებელ საბუთებად. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თვითონ დამამტკიცებელი საბუთების დაყოფა ნივთიერ და პიროვნულ დამამტკიცებელ საბუთებად იაზრება მხოლოდ წყაროების მიხედვით. მართლაც, რაკი დანაშაული სამყაროში გამოვლინების მატერიალური ან სულიერი ფორმით აისახება, უფრო სწორად, დანაშაული ტოვებს კვალს საგნებზე ან ადამიანის

¹ თ ე ო რ ი ა, გვ. 259.

² ი ქ ე მ.

³ ი ქ ე ე, გვ. 260.

ცნობიერებაში, ამიტომ, ბუნებრივია, სწორედ აქ ვეძიოთ წყაროებიც. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ყოველთვის სათავე თვითონ დანაშაულია. დანაშაულის ჩადენისთანავე „გაჩნდნენ“ აგრეთვე დამამტკიცებელი საბუთებიც (გარემოში მატერიალური თუ სულიერი ცვლილებების გამო). ამ თვალსაზრისით ამოსავალია თვითონ დანაშაული, რომელსაც უკავშირდება როგორც დანაშაულის ჩადენამდე, ისე მის შემდეგ მომხდარი გარკვეული მოვლენებიც. მაგრამ, რაკი დანაშაული და მასთან დაკავშირებული მოვლენები წარსულში მომხდარი ფაქტებია, რომელთაც თვითონ ესაჭიროებათ დადგენა, ისინი თუნდაც ამიტომ ვერ გამოიყენებიან დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად. ასეთ წყაროებად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის პიროვნებანი და საგნები (ნივთები), რომლებზედაც აისახა დანაშაული და მასთან დაკავშირებული „კვლები“. გამომძიებელი (მომკვლევნი, პროკურორი, მოსამართლე), როგორც უკვე აღინიშნა, თვითონ არასოდეს არ ქმნის დამამტკიცებელ საბუთებს, იგი მხოლოდ აღმოჩენს მათ, პროცესუალურად გააფორმებს, შეამოწმებს და შეაფასებს: ის, რომ დაკითხვის ოქმი ფიქსაციის ფორმაა, როგორც დავინახეთ, ამას არ უარყოფენ გ. მ. მინკოვსკი და სხვ. მაშ როგორ შეიძლება ჩვენების „ფიქსაციის ფორმა“ გამოყენებულ იქნეს დამამტკიცებელ საბუთების წყაროდ? როგორც აღვნიშნეთ, პიროვნული დამამტკიცებელი საბუთების ცალკე გამოყოფას საფუძვლად უდებენ აგრეთვე დამამტკიცებელი საბუთების „წყაროების“ სახეებს. კერძოდ, მათში გულისხმობენ სასამართლო-საგამომძიებო მოქმედებათა (დათვალიერება, შემოწმება, ამოღება, ჩხრეკა, დაკავება, ამოსაცნობად წარდგენა, ჩვენების ადგილზე შემოწმება) ოქმებს. ჩვენ უკვე შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ ეს ოქმები არასწორად ითვლებიან დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად. კანონმდებლის მიერ სპეციალურად არის მითითებული აღნიშნულ ოქმებზე სწორედ იმიტომ, რომ მხოლოდ კანონიერად გაფორმებული ინფორმაციები (ცნობები) ჩაითვლებიან დამამტკიცებელ საბუთებად, რომ თუ ეს ცნობები (ინფორმაციები) არ იქნება მოპოვებული საგამომძიებო-სასამართლო მოქმედებათა ჩატარების გზით, ისინი არც დამამტკიცებელ საბუთებად გამოდგებიან მოცემულ საქმეზე. სხვათა შორის, საგამომძიებო-სასამართლო მოქმედებათა ოქმები და მათი დანართები ლიტერატურაში იმიტომაც არიან მიჩნეულნი დამამტკიცებელ საბუთების წყაროებად, რომ სასამართლოს საქმის არსებითად განხილვისას კანონით არ ევალება ჩაატაროს დათვალიერება, ამოღება, შემოწმება, ამოსაცნობად წარდგენა ან ჩვენების ადგილზე შემოწმება, მაშინ როდესაც საჭიროა მოხდეს მოწმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის ჩვენებების

ზეპირი რეპროდუქცია. სინამდვილეში ეს არგუმენტი ერთგვარად დამაჩერებლობით ვერ გამოირჩევა. ჭერ ერთი, მართალია, კანონი არ ავალებს სასამართლოს, რომ ყველა შემთხვევაში სასამართლომ თვითონაც ჩაატაროს, მაგალითად, დათვალიერება, ჩვენების ადგილზე შემოწმება და ა. შ., მაგრამ მაინც ხომ აქვს ადგილი ასეთ მოქმედებებს სასამართლოს მხრივ, მაშინ როგორღა შევფასოთ ისინი? ამას გარდა, თუ ჩვენ დასახელებულ ოქმებს პიროვნულ დამამტკიცებელ საბუთების წყარობად მივიჩნევთ იმიტომ, რომ თვით ამ ოქმების მიხედვით ვაპირებთ დამამტკიცებელი საბუთების გამოყენებას. ამით წინარიგში ვწევთ გამომძიებელს (მომკვლევს), რომელიც პროცესუალურად სრულიად არ არის მოწოდებული იმისათვის, რომ მან დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციები მოგვაწოდოს. დათვალიერების, ჩხრეკის და ა. შ. საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარებისას საქმე გვაქვს როგორც ნივთიერ (ძირითადად), ისე პიროვნულ დამამტკიცებელ საბუთებთან. არ არის ძნელი გასაგები, რომ, მაგალითად, შემთხვევის ადგილზე გამომძიებელს აინტერესებს სწორედ დანაშაულის ჩადენის (ან მისი აღმოჩენის) ადგილი, როგორც ნივთიერი სამყარო, სადაც მოქმედებდა დამნაშავე. შემთხვევის ადგილზე ნივთიერად მოცემული მტკიცებულებითი მნიშვნელობის გარემოებანი მოითხოვენ ზუსტ ფიქსირებას ოქმში, რასაც აკეთებს გამომძიებელი; აქვე მნიშვნელოვანია აგრეთვე საგამომძიებო მოქმედების დროს მონაწილე პირთა (თანამოწმენი, სპეციალისტი) განმარტებები და შენიშვნები, რომლებსაც საქმის გარემოებების თავისებურებათა მიხედვით დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობაც ენიჭებათ. შემთხვევითი არ არის, რომ ამ გარემოებების თაობაზე შეიძლება დაიკითხონ კიდევაც საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილე პირები. თუ ჩვენ დასახელებულ ოქმებს ჩავთვლით დამამტკიცებელი საბუთების წყარობად და იმიტომ მათ მივაწერთ პიროვნულ დამამტკიცებელ საბუთების ჩჭოფს, მაშინ საკითხავია — როგორად ჩავთვალოთ ისეთი მოქმედება, როდესაც სასამართლო სამსჯავრო გამომძიების დროს დათვალიერებს, ვთქვათ, ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს; ნუთუ დამამტკიცებელი საბუთის წყარო იქნება სასამართლოს სამსჯავრო სხდომის ოქმი, რომელშიც იწერება ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ნიშნები? როგორც ცნობილია, სასამართლოში ოქმს ადგენს სასამართლო სხდომის უდიდესი, რომელიც ამ ოქმზე პასუხისმგებელია სასამართლოს თავმჯდომარესთან ერთად. მაშასადამე, გამოდის, რომ ასეთი გზით მიღებული დამამტკიცებელი საბუთიც პიროვნულია. ამრიგად, კანონმდებლის მიერ მითითებული «სასამართლო-საგამომძიებო ოქმებით» ფიქსირებული ინფორმაციები შეიძლება

იყოს როგორც ნივთიერი, ისე პიროვნული დამამტკიცებელი საბუ-
თები. ოქმის დანართები, როგორც წესი, ნივთიერ დამამტკიცებელ
საბუთებს წარმოადგენენ. პიროვნული დამამტკიცებელი საბუთებია
აგრეთვე „სხვა დოკუმენტები“, რომლებზედაც კანონშია ლაპარაკი.
ეს დოკუმენტებია: დახასიათებები, ცნობები, საბუღალტრო ჩახაწე-
რები, ხელფასის უწყისები და ა. შ. პიროვნულ დამამტკიცებელ სა-
ბუთებად ითვლებიან ისინი სწორედ იმიტომ, რომ დამამტკიცებელი
საბუთების მნიშვნელობის ინფორმაციებს ვლებულობთ ამ დოკუმენ-
ტის შემდგენისაგან. თვითონ დოკუმენტი, რასაკვირველია. დამამ-
ტკიცებელი საბუთის სახეა, რაკი მასში მოცემულია ისეთი ინფორმა-
ციები, რომლებიც შეეხებიან გამოსაძიებელ, ან განსახილველ საქმეს.
დაბოლოს, პიროვნულ დამამტკიცებელ საბუთად სამართლიანად
მიიჩნევენ ექსპერტის დასკვნას: ცხადია, ექსპერტი იძლევა რა დასკვნ-
ას საქმისათვის საინტერესო ამა თუ იმ გარემოებების შესახებ, ამ
დასკვნაში მის მიერ ასახული ცნობები მოწმდებიან მათი შესახები-
თობისა და დასაშვებობის პრინციპების გათვალისწინებითაც.
ექსპერტის დასკვნას, როგორც დამამტკიცებელი საბუთების გარ-
კვეულ სახეს, პიროვნულად ხდის სწორედ ის გარემოება, რომ იგი
გამომდინარეობს ექსპერტისაგან, პიროვნებისაგან, როგორც გა-
რკვეული სპეციალური ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტისაგან.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო პროცესში ზოგჯერ ექსპერტის
დასკვნას (წერილობითის მსგავსად) შერეულ დამამტკიცებელ საბუთ-
საც უწოდებენ. ამას იმით ამართლებენ, რომ მიღებული ცნობების
წყაროა როგორც ნივთები, ისე ექსპერტი. ეს მოსაზრება არ არის
მოკლებული თავისებურ საფუძველს; როგორც ლიტერატურაში
ცნობილია, ს. ვ. კურილევი, მაგალითად, შერეულ დამამტკიცებელ
საბუთებს ცალკეც გამოჰყოფს, მაგრამ რაკი ის ნივთები, რომლებიც
საექსპერტო გამოკვლევის ობიექტებია, ნივთიერ დამამტკიცებელ
საბუთებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ამ გამოკვლევის შე-
მდეგ, ცნობილია, „უპირატესობა“ უნდა მიენიჭოს საექსპერტო და-
სკვნას, როგორც პიროვნულ დამამტკიცებელ საბუთს. მაგრამ შე-
რეულ დამამტკიცებელ საბუთებზე უფრო მაშინ არის ლაპარაკი,
როდესაც ნივთს (საგანს), მაგალითად, დამოუკიდებლადაც აქვს
ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა, მაგრამ მისი
გარკვეული მხარე მაინც მოითხოვს საექსპერტო გამოკვლევას (მა-
გალითად, დანაშაულის ჩადენის იარაღზე დატოვებულ კვალთა შე-
სწავლა და სხვ.).

პიროვნულის გარდა, დამამტკიცებელი საბუთების დიდ ჯგუფს აერთიანებს ე. წ. ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები. როგორც ითქვა, არ იქნებოდა სწორი, თუ ამ დაყოფას საფუძვლად არ დავედებდით წყაროებს და მივეუთითებდით მხოლოდ იმაზე, რომ ეს „ფაქტური მონაცემების“ სახეობათა გასასხვავებლად კეთდება. „საგნები, მატერიალური გამოსახულებანი ნივთიერად აელენენ ისეთ გარემოებებსა და ფაქტებს, რომლებიც კონკრეტულ საქმის დასადგენ გარემოებებთან არიან მიზნობრივად დაკავშირებულნი. სწორედ ამ ნივთიერი ნიშნების (თვისებების) წყალობით გამოიყოფა ნივთიერი სხვა სახის დამამტკიცებელი საბუთებისაგან. ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთების ცნების შესახებ ერთიანი აზრი არ არის შემუშავებული. სადავოა აგრეთვე ჩათვლებიან თუ არა ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებად ფოტოსურათები, ანაბეჭდები, ტვიფარები, გეგმები, სქემები; ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება მათი ცალკე განხილვა დამამტკიცებელი საბუთების სახეების საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ არ ვიზიარებთ, დამამტკიცებელი საბუთების პიროვნულ და ნივთიერად დაყოფის შემდეგ, ხელახლა გამოიყოს დამამტკიცებელი საბუთების წყაროები, როგორც კლასიფიკაციის ცალკე სახე. ავტორები, როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-16 მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილ ჩვენებებს (მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის, ბრალდებულის) ექსპერტის დასკვნას, ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს, საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმებსა და სხვა დოკუმენტებს თვლიან დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად. ჩვენ შევეცადეთ უარგვეყვ ეს შეხედულება, რაკი დაუსაბუთებლად გვეჩვენა და გზადაგზა ავტორთა მსჯელობებში წინააღმდეგობებსაც წავეწყდით. მაგალითად, როდესაც ავტორები კლასიფიკაციას ახდენენ და ცალკე გამოყოფენ „2. დამამტკიცებელი საბუთების წყაროების სახეებს“, იქვე მეორე გვერდზე წერენ: „...კანონმდებელი თვლის მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებებს მტკიცებულებათა დამოუკიდებელ სახეებად...“¹ ამის შემდეგ, ცხადია, გაუკრევეელი რჩება რალა შეიძლება ჩაითვალოს დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად თუ არა მოწმე, დაზარალებული, ექვმიტანილი ან ბრალდებული...

ლიტერატურაში მიღებულია თვით ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების კლასიფიკაცია. ეს კლასიფიკაცია

¹ თეორია, გვ. 264.

ფაქტიურად ეყრდნობა ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთების ცნების გვაროვნულ დახასიათებას, რაც მოცემულია კანონმდებლის მიერ. რასაკვირველია, კანონში არ არის ამომწურავად ჩამოთვლილი, თუ რა შეიძლება იყოს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი ყველა კონკრეტულ საქმეზე, მაგრამ თვითონ ამ ზოგად დახასიათებასაც მინიჭებული აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. საქართველოს სსრ სსსკ 74-ე მუხლის მიხედვით (რსფსრ, ხსსკ 83-ე მუხლი), ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთების სახეებია: დანაშაულის ჩადენის იარაღი; საგნები, რომლებზედაც დარჩენილია დანაშაულის კვალი, ობიექტები რომლებზედაც მიმართული იყო ხელყოფა, დანაშაულის გზით შეძენილი ფული და სხვა ფასეულობა; ყველა სხვა საგანი, რომელიც შეიძლება გამოდგეს დანაშაულის გამოაშკარაებისა და დამნაშავის გამომკლავლების საშუალებად, ან ბრალდების უარყოფის, ან ბრალდებულის ბრალის შემსუბუქების საშუალებად.

ლიტერატურაშიც სწორედ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ამ სახეების მიხედვით არის მიღებული მათი კლასიფიკაცია.

სისხლის სამართლის პროცესში ცნობილია დამამტკიცებელი საბუთების გამამტყუნებელ და გამამართლებელ დამამტკიცებელ საბუთებად დაყოფა. ამ სახის კლასიფიკაციას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. როგორც დადგენილია, სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლებს მე-14 მუხლის თანახმად, ყველა სისხლის სამართლის საქმეზე გამორკვეულ უნდა იქნეს, როგორც ბრალდებულის მამხილებელი, ისე მისი გამამართლებელი გარემოებანი, როგორც ბრალდებულის ბრალის დამამძიმებელი, ისე მისი ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი. კანონის ეს მითითება კარგად მიგვანიშნებს. გამამტყუნებელ და გამამართლებელ საბუთებად დაყოფის მნიშვნელობაზე. გამამტყუნებელ დამამტკიცებელ საბუთებად მიჩნეულია ისეთი მტკიცებულებანი, რომლებიც ამხელენ ბრალდებულს, ან ამძიმებენ მის ბრალს; ხოლო გამამართლებელ მტკიცებულებებად — რომლებიც უარყოფენ ბრალდებებს, ამსუბუქებენ ბრალდებულის ბრალს. რა თქმა უნდა, გამამტყუნებელ და გამამართლებელ საბუთებად დაყოფა თავისთავად აადვილებს თეორიულად სწორად იქნეს გაანალიზებული მტკიცებულებები ბრალდების საგანთან დაკავშირებით. ისე, როგორც ყოველგვარი კლასიფიკაცია, ეს დაყოფაც, ცხადია, პირობითია, მაგრამ იმის თქმა, რომ დამამტკიცებელი საბუთების საგნის მიხედვით დაყოფა თითქოს ხელოვნური და

სქოლასტიკურია,¹ მეცნიერულად უსაფუძვლოდ არის მიჩნეული. ა. ი. ვიშინსკი უარყოფდა ამ სახის კლასიფიკაციის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას იმის გამო, რომ იქამდე სანამ მტკიცებულებანი არ გამოიწერთობიან „სასამართლო გამოძიების ქარცეცხლში“, შეუძლებელია ვთქვათ. რომელი მათგანია გამამტყუნებელი და გამამართლებელი,² რომ ის გარემოებანი, რომლებიც წინასწარი გამოძიების დროს მიჩნეული იქნენ გამამტყუნებელ დამამტკიცებელ საბუთებად, სასამართლო გამოძიებისას არც თუ იშვიათად კარგავენ ამ თვისებებს, ნეიტრალდებიან ან გარკვეულ პირობებში გამამართლებელ მტკიცებულებებად გადაიქცევიან.³

ვფიქრობთ, ეს მსჯელობა ვერ შეარყევს გამამტყუნებელ და გამამართლებელ საბუთებად დაყოფის მეცნიერულ საძირკველს. ა. ი. ვიშინსკის შეხედულება გაკრიტიკებულ იქნა მ. ს. სტროგოვიჩისა და სხვათა მიერ. დამამტკიცებელი საბუთები რომ ყოველთვის მოითხოვენ შეფასებას, ეს აქსიომად უნდა იქნეს მიჩნეული. ვერ დავასახელებთ სასამართლო წარმოების ვერც ერთ ეტაპს, სისხლის სამართლის პროცესის ვერც ერთ სტადიას (განაჩენის აღსრულების გარდა), სადაც არ ფასდებოდეს დამამტკიცებელი საბუთები. თვითონ „სასამართლო გამოძიების ქარცეცხლში“ ნაწრთობი დამამტკიცებელი საბუთებიც ზოგჯერ სხვა კუთხითაც გადაფასდებიან ხოლმე საკასაციო და სახელდამხედველო წარმოების პროცესში. მაგრამ განა ეს ხელს უშლის კლასიფიკაციას? გამამტყუნებელ და გამამართლებელ საბუთებად დაყოფა სწორედ გულისხმობს იმას, რომ თუ მტკიცებულება სწორია, არ არის გაყალბებული, არ არის დამახინჯებული, იგი შეიძლება იყოს ან გამამტყუნებელი. ან გამამართლებელი. საბოლოო ანგარიშში ე. წ. „ნეიტრალური“ დამამტკიცებელი საბუთები (რ. რახუნოვის მიხედვით) არც არსებობენ. ლიტერატურაში მხედველობაშია მიღებული (გ. მ. გროძინსკი, მხილებანი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, 1944) ისეთი დამამტკიცებელი საბუთებიც, რომლებიც ასუსტებენ მხილებებს (მაგალითად, დამხმარე ინფორმაციები ამა თუ იმ მოწმის დაინტერესებაზე და სხვ.) ან, პირიქით, ამძიმებენ მათ. ეს ე. წ. „მტკიცებულებათა შესახებ მტკიცებულებებიც“ ბოლოს და ბოლოს, როგორც ცნობილია, გამამართლებელ ან გამამტყუნებელ დამამტკიცებელ საბუთებად გამოიკვეთებიან ხოლმე.

სამართლიანად არ არის გაზიარებული ის შეხედულება, თითქოს წინასწარი გამოძიების დროს, ვთქვათ, გამამტყუნებელ-დამამტკიცებ-

1 ა. ი. ვიშინსკის დასახ. „თეორია“, 1950 წ. გვ. 253.

2 იქვე, გვ. 255.

3 იქვე, გვ. 253.

ბელ საბუთებად მიჩნეული გარემოებანი ზოგჯერ სასამართლო გამო-
ძიებისას ნეიტრალდებიან ან გამამართლებელ საბუთებად გადაიქცე-
ვიან.¹ ვფიქრობთ, აქ თვით საკითხის ამდაგვარი დაყენებაც კი ძირში-
ვე მცდარია. დამამტკიცებელი საბუთები, თუ ისინი რეალურად ასა-
ხავენ სინამდვილეს (სხვანაირად ისინი არც გამოღვებიან დამამტკი-
ცებელ საბუთებად), არასოდეს არ შეიცვლებიან. თუ ობიექტურია
ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს, მაგალითად, გარკვეული პირის
მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენაზე, ეს ინფორმაცია აღარ
შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ ვინ შეაფასებს. პროცესს
სხვადასხვა სტადიების მიხედვით. მაგრამ საქმე ის არის, რომ ზოგჯერ
იმთავითვე ვერ არის სწორად შეფასებული დამამტკიცებელი საბუთი,
მას მიეწერება ის როლი, რომლის შესრულება ფაქტიურად არ შეუ-
ძლია და სამწუხაროდ ამის შესახებ გვიან ვგებულოთ ხოლმე. რო-
დესაც მტკიცებულებათა კლასიფიკაციაზე ვლაპარაკობთ, მხედველო-
ბაშია დათქმული პირობა, რომ დამამტკიცებელი საბუთები სათანა-
დოდ კანონიერი ფორმებით მიღებისა და შეფასების შემდეგ ნამდვი-
ლად წარმოადგენენ დამამტკიცებელ საბუთებს, თორემ ისეთი შე-
მთხვევებიც ხდება, როცა გარკვეული ინფორმაციები შეცდომით
დამამტკიცებელ საბუთებად მიიჩნევა, მაგრამ მერე ირკვევა, რომ
მათ საერთოდ, არა აქვთ საქმესთან არავითარი კავშირი და ა. შ.

პროცესუალურ ლიტერატურაში მკაფიოდ არის გატარებული
ის აზრი, რომ გამამტყუნებელ და გამამართლებელ დამამტკიცებელ
საბუთებად დაყოფა ყოველთვის გულისხმობს კონკრეტულ ბრალ-
დებულს, რომლის მიმართაც გამოიყენება მტკიცებულებანი. არ არის
ძნელი მისახვედრი, რომ, მაგალითად, თუ ერთი ბრალდებულის მი-
მართ არსებობს გამამტყუნებელი დამამტკიცებელი საბუთი, იგივე
საბუთი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეორე ბრალდებულის გასა-
მართლებლად. ამას ადგილი აქვს განსაკუთრებით ჭკუფური დანა-
შაულის დროს. მაგალითად, თუ სახელმწიფო ქონების გატაცების
შემთხვევაში აღმოჩნდება წერილობითი განკარგულება ორგანიზა-
ციის ყოფილი ხელმძღვანელის მიერ ფასეულობის გარეშე პირზე
უკანონოდ გაცემის შესახებ, მაშინ როდესაც ამ ფასეულობის მითი-
სებაც ბრალად ედებოდა მატერიალურ პასუხისმგებელ პირს. ცხადია,
ამ უკანასკნელისათვის მოცემულ დოკუმენტს გამამართლებელი და-
მამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო ორგანიზაციის
ყოფილი ხელმძღვანელისათვის იგი გამამტყუნებელი საბუთი იქნება.

¹ ი. Ц. М. К а з, Доказательства в советском уголовном процессе,
1960, с. 31. თერია, გვ. 286.

ისიც შენიშნულია, რომ დამამტკიცებელი საბუთების გამამტყუნებელ და გამამართლებელ დამამტკიცებელ საბუთებად დაყოფა კი არ უარყოფს, არამედ გულისხმობს, რომ ერთსა და იმავე სახის მტკიცებულება შესაძლოა შეიცავდეს როგორც გამამტყუნებელ. ისე გამამართლებელ საბუთების ხასიათის ინფორმაციებს. მაგალითად, ბრალდებულის ჩვენება იმის შესახებ, რომ მან, ვთქვათ, მიაყენა მეორე პირს სხეულის მძიმე დაზიანება, შეიძლება შეიცავდეს ცნობებსაც, რომ ეს მოქმედება გამოწვეული იყო დაზარალებულის მხრივ მძიმე შეურაცხყოფით და ა. შ.¹ როგორც აღინიშნა, დამამტკიცებელი საბუთების ამ სახის კლასიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს. წინასწარი გამოძიების (მოკვლევის) პროცესში ბოლოს და ბოლოს გამომძიებელი (მომკვლევნი) მიდის იმ დასკვნამდე, რომ საქმე გაიგზავნოს განსახილველად სასამართლოში, ან შეწყდეს საქმის წარმოება. ორივე შემთხვევაში საჭიროა დამამტკიცებელი საბუთების ყოველმხრივი და სრული ანალიზი. რა თქმა უნდა, დაუშვებელია გამომძიებელმა გამოიტანოს დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ისე, თუ იგი ვერ დაასაბუთებს სახელდობრ რომელი გამამართლებელი დამამტკიცებელი საბუთები მიუთითებენ ბრალდებულის არაბრალულობაზე. როცა მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის დევნა. აქვე საჭიროა აგრეთვე დაწვრილებით იქნეს განახილვებული ის გამამტყუნებელი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც, გამომძიებლის ფიქრით, ვერ დაედებიან საფუძვლად ბრალდებულის გამტყუნებას.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გამამტყუნებელი და გამამართლებელი საბუთების ცალ-ცალკე შემოწმებას და შეფასებას საერთო დასკვნის გამოტანისათვის, მაშინ, როდესაც საქმე იგზავნება სასამართლოში განსახილველად. საბრალდებო დასკვნა, როგორც მთელი წინასწარი გამოძიების (მოკვლევის) შემჯავებელი იურიდიული დოკუმენტი, უნდა შეიცავდეს დამამტკიცებელი საბუთების თვალსაჩინო და დამაჯერებელ ანალიზს; საბრალდებო დასკვნის წამკითხავს სრული სურათი უნდა შეექმნას იმისა, თუ სინამდვილეში რა მოხდა; ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამომძიებელი (მომკვლევნი) პირუთვნელად, ყოველგვარი გამოწვევის დაუშვებლად, ემოციების მოჭარბებისა თუ გარეშე ფაქტორების ზეგავლენების აცილებით, თანმიმდევრულად აწონ-დაწონის როგორც გამამტყუნებელ, ისე გამამართლებელ დამამტკიცებელ საბუთებს. ცუდია ის საბრალდებო დასკვნა, სადაც მთელი თავისი სიღრმით არ არის შე-

¹ = ე ო რ ი ა, გვ. 283—284.

ფასებული ყველა გამამართლებელი საბუთი, სადაც მიფუჩეჩებულია მონაცემები, რომლებიც ამსუბუქებენ ბრალდებულის ბრალს. გამოძიებლის ხელოვნება სწორედ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ გვაჩვენოს, თუ რატომ შეადგინა საბრალდებო დასკვნა ამა თუ იმ პირის ბრალდების საქმეზე, მაშინ როდესაც მის მიმართ გამამართლებელი საბუთებიც მოიპოვება. აქ საჭიროა დამტკიცება იმისა, რომ ეს გამამართლებელი საბუთები ვერ ხსნიან ბრალდებებს, სწორედ იმიტომ, რომ მიუღებელნი არიან; ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია დამამტკიცებელი საბუთების უარყოფა სიცოტავის გამო შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ თუნდაც საქმეში მხოლოდ ერთი გამამართლებელი დამამტკიცებელი საბუთი მოიპოვებოდეს (რომელიც უარყოფდეს პირის მიერ მოცემული დანაშაულის ჩადენას), მაინც უკვე გამამტყუნებელი დამამტკიცებელი საბუთებიც საექვონი ხდებიან. და იქამდე, სანამ არ მოიხსნება ეს წინააღმდეგობა, ძნელია კეშმარიტებაზე ვფლაპარაკოთ.

მტკიცებულებათა გამამტყუნებელ და გამამართლებელ დამამტკიცებელ საბუთებად დაყოფა დიდ დახმარებას უწევს სასამართლოს საქმის არსებითად გადაწყვეტის დროს. განაჩენის დასაბუთება შეუძლებელია წარმოდგენილ იქნეს დამამტკიცებელი საბუთების ამგვარი დაყოფის გარეშე. რაკი სასამართლო განაჩენის დადგენის დროს საბოლოოდ აფასებს მთელ დამამტკიცებელ საბუთებს (რომლებიც მოპოვებულ იქნენ წინასწარი და სასამართლო გამოძიების პროცესში); ცხადია, სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს მკაფიოდ მტკიცებულებათა „დახარისხების“ აუცილებლობაცა და მათ საფუძველზე დასკვნების სისწორეც. განაჩენის დასაბუთებას შემთხვევით არ ექცევა ერთ-ერთი მთავარი ყურადღება. დასაბუთება სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ არ არის საკმარისი მარტო გამამართლებელ ან გამამტყუნებელ საბუთებზე რაოდენობრივი მითითება. იქ, სადაც უარყოფითს ვამტკიცებთ, საჭიროა დადებითის ანალიზური გათვალისწინებაც; განაჩენის დაუსაბუთებლობა თავისთავად მის უკანონობასაც ნიშნავს, რადგან დაუსაბუთებელი განაჩენი მართლმსაჯულების აქტად ვერ ჩაითვლება... საკასაციო და საზედაშედელო წარმოების დროს განაჩენის დასაბუთებულობის საკითხის გადაწყვეტილებისას ესეც დამამტკიცებელი საბუთების ანალიზს მიმართავენ. ამოწმებენ იმას, თუ რამდენად სრულყოფილად არის გამოყენებული როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი საბუთები, ხომ არა აქვს ადგილი საბრალდებო ტენდენციებს და სხვ. მაშასადამე, მტკიცებულებათა დაყოფას გამამტყუნებელ და გამამართლებელ საბუთებად შეეძლება აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

დამამტკიცებელი საბუთების კლასიფიკაცია¹ მიღებულია აგრეთვე დამამტკიცებელი ფაქტების შესახებ ცნობების წყაროების მიხედვით. კერძოდ, დამამტკიცებელ საბუთებს ყოფენ პირველად და ნაწარმოებ მტკიცებულებებად. სხვათა შორის, ასეთი დაყოფა ცნობილია სამოქალაქო პროცესშიც. პირველად (უშუალო) მიჩნეულია ისეთი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც მიღებულია პირველ წყაროებიდან; მაგალითად, დანაშაულის შემსწრე მოწმის ჩვენება იმის შესახებ, რაც მან აღიქვა, დაზარალებულის ჩვენება მასზე თავდასხმის შესახებ, პირველადი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ცნობებს დასამტკიცებელ გარემოებათა შესახებ და სხვა. სამოქალაქო პროცესში მითითებულია, რომ დატოვებული კვალი საგანზე, ან მიწაზე, პირველადი დამამტკიცებელი საბუთია.

ნაწარმოებ (გაშუალებულ) დამამტკიცებელ საბუთებად მიჩნეულია ისეთი მტკიცებულებანი, რომლებიც მიღებულია არა პირველ წყაროებიდან, არამედ სხვა წყაროებიდან; ე. ი. ამ შემთხვევაში დასამტკიცებელი ფაქტის შესახებ ცნობებს შეიცავენ სხვა წყაროები, როგორც ამბობენ, ცნობებს ვლებულობთ „სხვისი ხელით“. სამოქალაქო პროცესში ნაწარმოებ დამამტკიცებელ საბუთს ისეთ მტკიცებულებასაც უწოდებენ, რომელიც გადმოსცემს სხვა დამამტკიცებელი საბუთის შინაარსს (ს. ვ. კურილევი). ნაწარმოებ დამამტკიცებელ საბუთებად ითვლება, მაგალითად, დოკუმენტის ასლი, რომელიც შეამოწმა და დაამოწმა სხვა პირმა, კვალთა ტვიფარები, ფოტოასლები... აქვე ლიტერატურაში სწორად არის შენიშნული, რომ ორიგინლისაგან არ განსხვავდება ისეთი დოკუმენტები, რომლებიც გამზადებული იყო ერთდროულად ერთი და იგივე პირის მიერ ორიგინალთან ერთად ეგზემპლიარების სახით. მაგალითად, ნოტარიუსის მიერ რამდენიმე ეგზემპლარად დამოწმებული გარიგება არ ნიშნავს ამ ეგზემპლარებიდან რომელიმეს არაორიგინალობას, ქონებაზე ყადაღის დადების, ჩხრეკისა და ამოღების ოქმები რამდენიმე ეგზემპლარად დგება, მაგრამ ყველას ორიგინალის მნიშვნელობა აქვს და ა. შ.

ლიტერატურაში (ძველშიც და ახალშიც) ნათლად ჩანს, რომ ამ კლასიფიკაციას სწორედ მტკიცებულებათა წყაროების მიხედვით ახდენენ. შემთხვევითი არ არის, თვით სიტყვიერი მინიშნებაც „პირველწყაროებიდან“, „სხვა წყაროებიდან“. ჩვენ ამას ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით პროცესუალურად იმ დებულების სისწორეში, რომ დამამტკიცებელი საბუთების წყაროებია, სახელდობრ: მოწმეები, დაზარალებულები, ექვემდებარებულები, ბრალდებულები, ექსპერტები, ნივთები და არა სხვა. სხვათა შორის,

ა. ი. ვინბერგი, ა. ა. ეისმანი და გ. მ. მინკოვსკი პირველადი და ნაწარმოები დამამტკიცებელი საბუთების განხილვის დროს მაინც სცნობენ, რომ პირველად დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს, მაგალითად, მ ო წ მ ი ს ჩ ვ ე ნ ე ბ ა¹ (ხაზი ჩვენია ბ. ხ.), რომელიც შეესწრო შემთხვევას ან მის ნაწილს. თუ მოწმის ჩვენება დამამტკიცებელი საბუთია,² მაშინ დამამტკიცებელი საბუთების ცნების კანონმდებლური ფორმულის ანალიზის დროს როგორღა გადაიქცევა ხოლმე იგი წყაროდ? აქ, რა თქმა უნდა, ამოსავლად მაინც ვერ გამოდგება „ფაქტების შესახებ ინფორმაციებისა და ამ ინფორმაციების წყაროების ერთიანობა“, რომელსაც სიცხადის ნაცვლად გაურკვეველობა შეაქვს დამამტკიცებელი საბუთების, მისი წყაროებისაგან გამიჯვნის საქმეში. ავტორები (ა. ი. ვინბერგი, გ. მ. მინკოვსკი, ა. ა. ეისმანი) პირველად დამამტკიცებელ საბუთად თვლიან არა მარტო თვითმხილველ მოწმის ჩვენებას, არამედ საკუთრივ მისი დაკითხვის ოქმსაც.³ უდავოდ მიგვაჩნია, რომ დაკითხვის ოქმი, რომელიც წარმოადგენს დამამტკიცებელი საბუთის (ჩვენების როგორც მტკიცებულების სახის) პროცესუალურ გაფორმების საშუალებას, არ შეიძლება გათანაბრდეს თვით დამამტკიცებელ საბუთთან. როგორც ვიცით, მტკიცების პროცესში სრულიად დამოუკიდებლად ლაპარაკობენ დამამტკიცებელი საბუთების პროცესუალურ დამაგრებაზე, მაშასადამე, მოწმის დაკითხვის ოქმი, სხვა არაფერია, თუ არა პროცესუალურად დამაგრებელი მოწმის ჩვენება. ამ შემთხვევაში დამამტკიცებელი მნიშვნელობა აქვს არა ამ ოქმს, არამედ ამ ოქმში ასახულ ჩვენებას, როგორც დამამტკიცებელ საბუთის ერთ-ერთ სახეს, საიდანაც ცნობების, ინფორმაციების სახით ვიგებთ დასამტკიცებელი ფაქტების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ლიტერატურაში ნაწარმოებ-დამამტკიცებელ საბუთად ითვლება ფოტოდოკუმენტების, კვალთა, იარაღის და სხვა ობიექტების მოცულობითი ასლები. თითქმის უდავოდ არის მიჩნეული, რომ სარევიზიო აქტი, შემაჯამებელი საბუღალტრო დოკუმენტი ნაწარმოები დამამტკიცებელი საბუთია,⁴ რაკი მას ამოსავლად აქვს სხვა წანამძღვრები, მაგრამ მაშინ როგორღა თვლიან ექსპერტის დასკვნას პირვანდელ დამამტკიცებელ საბუთად?⁵ ისიც ხომ, როგორც წესი, ყოველთვის ეყრდნობა სხვა მონაცემებს? რა თქმა უნდა, სექსპერტო დასკვნა არ არის მასალების უბრალოდ შეჯამება, ექსპერტი

1 თ ე რ ი ა, გვ. 265.

2 ი ქ ვ ე, გვ. 267.

3 ო ქ ე ე, გვ. 265.

4 ო ქ ვ ე, გვ. 266.

5 ი ქ ვ ი, გვ. 265—266.

პირადად გათვითცნობიერებულია გარკვეულ მოვლენაში, რაზედაც იძლევა დასკვნას (ისე, როგორც პირადად დოკუმენტის შემდგენი), მაგრამ განა თვით სარევიზიო აქტშიც რევიზორი არ გვაწვდის ცნობებს, რომელიც პირადად აღიქვა შემოწმებული და შეფასებული დოკუმენტებიდან? მაშ რატომ ვუწოდებთ, მაგალითად, სარევიზიო აქტს „დამაჯამებელ“ ნაწარმოებ დამამტკიცებელ საბუთს? ვფიქრობთ, ერთ სიბრტყეზეა მოსათავსებელი როგორც საექსპერტო დასკვნა, ისე სარევიზიო აქტი და მათ პირვანდელი დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ.

ლიტერატურაში საკმაოდ დამაჯერებლად არის ნაჩვენები პირველად და ნაწარმოებ საბუთებად დაყოფის მნიშვნელობა.¹ მტკიცებულებათა შეფასების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ საიდან მომდინარეობს ესა თუ ის ინფორმაცია. კანონმდებელი შემთხვევით არ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ თუ, მაგალითად, მოწმეს არ შეუძლია მიუთითოს, რომელი წყაროდან არის მისთვის ცნობილი ეს „მონაცემები“, მაშინ მოწმის ჩვენება დამამტკიცებელ საბუთადაც არ ჩაითვლება (საქ. სსრ სსსკ 66-ე მუხლი, რსფსრ სსსკ 68-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლები). აქვე აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებ დამამტკიცებელ საბუთებს პირველადთან შედარებით ნაკლებად სარწმუნოდ მიიჩნევენ. რაც უფრო დაშორებულია მტკიცების საგნისაგან ინფორმაციის (ცნობების) მომწოდებელი, იმდენად ნაკლებდამაჯერებლად ითვლება ეს ინფორმაციები. ცნობილია, მაგალითად, რომ თვითმხილველი მოწმის ჩვენება, როგორც პირველადი დამამტკიცებელი საბუთი უფრო სარწმუნოდ მიიჩნევა, ვიდრე ამ მოწმის მოწმის ჩვენება და უფრო ნაკლებად დამაჯერებლად — მოწმის მოწმის ჩვენება და ა. შ.²

ვფიქრობთ, ასეთი ზოგადი ფორმულით სარგებლობა შეცდომაში შეგვიყვანს და აი რატომ. არ უნდა იწვევდეს დავას, რომ თუ, მაგალითად, მოწმის ჩვენებას განვიხილავთ, იგი კონკრეტულად ფასდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ აღიქვა და დაიმახსოვრა მან საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებანი. ამ შემთხვევაში, ცხადია, მოწმისათვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა პირველადად თუ ნაწარმოებ წყაროდ მოენათლავთ მას. შეცდომას აღქმაშიც და დამახსოვრებაშიც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, როდესაც პიროვ-

1 მ. ს. ს ტ რ ო ვ ე ო ჩ ი, დასახ. კურსი, 1968; გვ. 374.

2 ი ქ ე ე, გვ. 374—375.

ნება უშუალოდ შეესწრება ამა თუ იმ შემთხვევას და მაშინაც, როდესაც ამ შემთხვევის შესახებ სხვა მოუყვება მას. ორივე შემთხვევაში ალქმის სუბიექტი გარეშე მოვლენას უკავშირდება შეგრძნების ორგანოების მეშვეობით და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები ზემოქმედებენ კონკრეტულ სიტუაციაში. ამიტომ ფსიქო-ფიზიოლოგიურ დასაბუთებას მოკლებულია საერთოდ ნაწარმოებ დამამტკიცებელ საბუთს რომ წყაროს მიხედვით ნაკლები ხარისხი მივანიჭოთ. აქ საკითხი ალბათ იმას უნდა შეეხოს, რომ არც თუ ისე იშვიათად ნაწარმოებ დამამტკიცებელ საბუთების წყაროებად გვევლინებიან ისეთი მოწმეებიც, რომლებმაც ყურმოკრულად იციან საქმის ამა თუ იმ გარემოებათა შესახებ, და, ცხადია, ქეშმარიტებისათვის ასეთ ინფორმაციებს დიდი ღირებულება არ ექნებათ. მაგრამ იმის დაეიწყებაც ხომ არ შეიძლება, რომ თვითონ პირველადი წყაროებიც ზოგჯერ არ გამოირჩევიან ინფორმაციების მოწოდების მხრივ სანდოდ? ამიტომ არც თუ სრულყოფილ საერთო სახელმძღვანელო წესად გამოდგება შემდეგი ფორმულა: ნაწარმოებ მტკიცებულებათა დამაჯერებლობა უკუპროპორციულია მტკიცების მთავარი საგნის დაშორებასთან, რამდენადაც მეტია ეს მანძილი. იმდენად მცირეა ეს დამაჯერებლობა.¹ აქ უფრო ისეთი ვითარებაა, როდესაც უკვე ალქმულ ინფორმაციების არაზუსტ, არასრულ ალქმასთან გვაქვს საქმე მეორე (თუ მესამე) პირის მიერ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამოც და, როგორც აღვნიშნეთ, არავითარი განსაკუთრებული მიზეზებით არ დახასიათდება ეს პროცესი შემთხვევის შემსწრე მოწმის ალქმის პროცესისაგან განსხვავებით, მეორე და თუნდაც მეთე მოწმისათვის ვილაციის მიერ მომხდარი ამბის მოყოლა თავისთავადაც ასევე აღსაქმელია, თავისი განსაკუთრებული ნიშნებით, რასაკვირველია. შემთხვევით არ ეძლევა მთავარი მნიშვნელობა ყველა მათი ჩვენების შემოწმებას; ოღონდ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საერთოდ ნაწარმოები დამამტკიცებელი საბუთის დეტალებში ჩაწვდომა მოსახერხებელია არა მარტო ბოლო ნაწარმოები დამამტკიცებელი საბუთის წინამორბედ ნაწარმოებ დამამტკიცებელ საბუთთან შეჯერებით, არამედ, პირვანდელი დამამტკიცებელი საბუთის მიგნებით და მისი ანალიზით. ამიტომ ვასაკვირი არ არის, რომ სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესში თითქმის ერთხმად არის აღიარებული ნაწარმოები დამამტკიცებელი საბუთების გამოყენების აუცილებლობა ამ მიმართულებით. კერძოდ, შენიშნულია, რომ ნაწარმოე-

¹ ი. ი. ვიშინსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255—256. სხვათა შორის, ასეთივე აზრისაა მ. ს. სტროგოვიჩი, იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, გვ. 374—375.

ბი დამამტკიცებელი საბუთები გეგმარებიან პირვანდელი დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენაში. ეს კი, გასაგებია, რადგან, თუ, მაგალითად, მოწმე აჩვენებს, რომ მან გაიგო სხვა პირისაგან — როგორ ემუქრებოდა ევემიტანილი დაზარალებულს, ცხადია, ამ მეორე წყაროს (მოწმეს) მემუიებით ადვილი შესაძლებელია მივაგნოთ პირველ წყაროს, — იმ მოწმეს, რომლისაგანაც გამომდინარეობს იუქარის შესახებ ცნობები (ინფორმაციები). რაკი მივაგნებთ პირველ წყაროს, უფრო გაადვილდება ნაწარმოები დამამტკიცებელი საბუთის შემოწმება, მისი ჭეშმარიტობის დადგენა, მაგრამ, ცნობილია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში პირველწყაროდან მიღებული ინფორმაციებიც არ შემოწმდეს მეორე წყაროდან მიღებული ინფორმაციებით. შესაძლოა ნაწარმოები დამამტკიცებელი საბუთები უფრო სანდონი აღმოჩნდნენ, ვიდრე პირვანდელი. ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე. განა პირვანდება ზოგჯერ არ გადათქვამს ხოლმე ნათქვამს თუნდაც სიმართლე იყოს? ან ხომ შეიძლება დაავიწყდეს ზოგი რამ, რასაც ადასტურებდეს მისგან გამგონი (მეორე წყარო, მოწმის მოწმე და ა. შ.).

ლიტერატურაში და პრაქტიკაში ნაწარმოებ დამამტკიცებელი საბუთებს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც ენიჭებათ. კერძოდ, ცნობილია, რომ ზოგჯერ ნადგურდება პირვანდელი საბუთები (მაგალითად, დაიწვა დოკუმენტის დედანი ხანძარში, მოკვდა მოწმე, რომელიც შეესწრო დანაშაულს და ა. შ.) და გვრჩება მხოლოდ მისი შემცველი ნაწარმოები მტკიცებულებანი. ცხადია, არ არის მნიშვნელობას მოკლებული, ვთქვათ, იმ მოწმის ჩვენება, რომელსაც განუცხადა მომავლადემა დაზარალებულმა, თუ ვინ დასჭრა სასიკვდილოდ და სხვა.

მტკიცებულებანი იყოფიან პირდაპირ და არაპირდაპირ საბუთებად. ეს დაყოფა ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის პროცესში. სამოქალაქო პროცესში პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს ისეთ მტკიცებულებას უწოდებენ, რომლისაგანაც გამომდინარეობს მხოლოდ ერთი გარკვეული დასკვნა საძიებელ ფაქტზე, თუ ეს მტკიცებულება თავისთავად ჭეშმარიტია. არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთად მიჩნეულია ისეთი საბუთი, საიდანაც რამდენიმე სავარაუდო დასკვნა გამომდინარეობს საძიებელი ფაქტის შესახებ. როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, ბურჟუაზიულ საპროცესო სამართალში იმთავითვე მოყოლებული დავა იმის შესახებ, აქვს თუ არა საჭრისი მტკიცებულებათა პირდაპირ და არაპირდაპირ დამამტკიცებ-

ბელ საბუთებად დაყოფას. სლუჩევსკი, ფოინიცი და სხვა — ილაშქრებდნენ დამამტკიცებელი საბუთების ამგვარი დაყოფის წინააღმდეგ; მტკიცებულებათა შინაგანი რწმენის პრინციპით შეფასებისას ადგილი აღარ უნდა ჰქონდესო ფორმალურ მტკიცებულებათა გადმონაშთებს.¹ არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთებით სარგებლობა სახიფათო და მაცდუნებელიაო. ისიც ცნობილია, რომ ზოგიერთი ავტორი (ბენტამი, გლაზერი, უილზი, ვლადიმროვი, ყირიაევი და სხვა) მხარს უჭერდა მტკიცებულებათა პირდაპირ და არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებად დაყოფას. ვლადიმროვი არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებს სხვაგვარად მხილებებს უწოდებდა.²

ალსანიშნავია, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესუალურ ლიტერატურაში მტკიცებულებათა ტრადიციული დაყოფის მიხედვით, პირდაპირ მტკიცებულებად ითვლება ისეთი დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც პირდაპირი გზით ადასტურებს პირის ბრალეულობას (მთავარ ფაქტს), ე. ი. დამნაშავეს მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ხოლო არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთად მიჩნეულია ისეთი მტკიცებულება, რომელიც ადგენს დამხმარე ფაქტს (ფაქტებს), რომლის სხვა ფაქტებთან განხილვის საფუძველზე კეთდება დასკვნა მთავარი ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ: მ. ს. სტროგოვიჩი, ნ. ნ. პოლიანსკი, რ. დ. რახუნოვი, ც. მ. კაზი, ა. ი. ტრუსოვი და სხვა. მ. ს. სტროგოვიჩი იხილავს რა პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებს, შენიშნავს, რომ პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი ყოველთვის უშუალოდ მიუთითებს მთავარ ფაქტზე; ე. ი. როდესაც, მაგალითად, თვითმხილველი მოწმე აჩვენებს რომ ბრალდებულმა მის თვალწინ ჩაიდინა დანაშაული, ან ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში თავს სცნობს დამნაშავედ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებთან. ოღონდ, ავტორი აქვე დაუყოვნებლივ ხაზს უსვამს, რომ თავისთავად პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთის არსებობა არ ნიშნავს ქეშმარიტების დადგენას, საჭიროა ყოველმხრივად და სრულად შემოწმდეს პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთებიც, რომ

1 იხ. ს ლ უ ჩ ე ვ ს კ ი, რუსული სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელო, 1892; ფოინიცი, სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების კურსი, ტ. II 1899.

2 საბჭოთა პროცესუალისტების უმრავლესობის მართებული აზრით, „მბლუება“ სიტყვის ნამდვილი შინაარსის მიხედვით უნდა ეიხმართ არა როგორც არაპირდაპირი, არამედ საერთოდ ვიმამტყუნებელი დამამტკიცებელი საბუთის. შინაშენლობით, რაკი არაპირდაპირი მტკიცებულებაც შეიძლება იყოს ვიმამართლებელი.

ადგილი არ ჰქონდეს შეცდომას; სინამდვილეში, მართლაც, როგორც ამას საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის მაგალითები მოწმობენ, არ არის გამორიცხული მოწმის, ან ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენებების მიცემის ან შეცდომის დაშვების შესაძლებლობანი და ა. შ. მ. ს. სტროგოვიჩის მიხედვით, არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი ადგენს არა მთავარ ფაქტს, არამედ მტკიცებულებით ფაქტს, რომელიც, თავის მხრივ, დამამტკიცებელი საბუთია მთავარი ფაქტისა.¹ ავტორს მოჰყავს ტიპური მაგალითი მკვლელობასთან დაკავშირებით: როდესაც, ვთქვათ, მოწმე უჩვენებს, რომ მკვლელობის ჩადენამდე მცირე ხნის წინ ბრალდებული ემუქრებოდა დაზარალებულს მოკვლით, ამ შემთხვევაში, ცხადია, მოწმის ჩვენებით პირდაპირ არ დასტურდება მკვლელობის ფაქტი. მისი ჩვენებიდან გამომდინარეობს მხოლოდ ის აზრი, რომ ბრალდებული ნამდვილად ემუქრებოდა დაზარალებულს სიკვდილით, თუ ეს ჩვენება სარწმუნოა, რასაკვირველია. მოწმის ჩვენებიდან მხოლოდ არაპირდაპირი გზით შეიძლება მივიღეთ სავარაუდო დასკვნამდე, რომ ბრალდებულს შეეძლო ჩაედინა მკვლელობა, რაკი დაემუქრა. მაგრამ თვითონ მუქარის ფაქტი ამ შემთხვევაში განხილულია, როგორც მტკიცებულებითი ფაქტი; მუქარის ფაქტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მთავარ ფაქტად, როდესაც იგი წარმოადგენს საქმის არსს, თუ მას აქვს იურიდიული მნიშვნელობა. სტროგოვიჩის სიტყვით, არაპირდაპირი მტკიცებულება არის როგორც მტკიცებულებითი ფაქტის შესახებ ცნობა (მაგალითად, მკვლელობის საქმეზე მოწმის ჩვენება ბრალდებულის მხრივ დაზარალებულისადმი მუქარის შესახებ), ისე მტკიცებულებითი ფაქტი (ე. ი. თვითონ მუქარის ფაქტი ამ საქმეზე).² მაგრამ აქვე დასძენს, რომ არაპირდაპირ მტკიცებულებებისაგან განსხვავებით, პირდაპირი მტკიცებულება ნიშნავს მხოლოდ ფაქტის შესახებ ცნობის წყაროს (ე. ი. მთავარ ფაქტს). პირდაპირ მტკიცებულებაში არა გვაქვს მტკიცებულებითი ფაქტი. ავტორი ასკენის: ყველა არაპირდაპირი მტკიცებულება არის პირდაპირი იმ ფაქტის მიმართ, რომელსაც იგი პირდაპირ ამტკიცებს და მისი პირდაპირ მტკიცებულებისაგან განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტი, რომელიც ღვინდება პირდაპირ მტკიცებულებით არის არა მთავარი ფაქტი (ე. ი. ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა), არამედ მტკიცებულებითი ფაქტი, დამხმარე ფაქტი, რის მეშვეობითაც ღვინდება მთავარი ფაქტი.

¹ მისი კუ რ ს ი, გვ. 376.

² იქვე, გვ. 377.

მ. ს. სტროგოვიჩი იხილავს გამამტყუნებელ და გამამართლებელ პირდაპირ-და არაპირდაპირ მტკიცებულებებს ურთიერთთან კავშირში. კერძოდ, მის მიერ მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით, მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის უდანაშაულობაზე (ან მისი ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებაზე) პირდაპირ გამამართლებელ მტკიცებულებად ჩაითვლება (მაგალითად, დანაშაულის ამსრულებლის მიმართ ალიბი და სხვა). ავტორს არაპირდაპირ გამამართლებელ მტკიცებულების მაგალითად მკვლელობის საქმეზე მოჰყავს მოწმის ჩვენება, რომელიც ადასტურებს ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის მეგობრულ ურთიერთობას.¹

ა. ი. ვინბერგი, გ. მ. მინკოვსკი და რ. დ. რახუნოვი, ანალოგიურად ანსხვავებდნენ პირდაპირ და არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებს ერთმანეთისაგან. ასევე ნათლად იყო ხაზგასმული ს. ა. გოლუნსკის, სტროგოვიჩისა და სხვა ავტორთა მიერ აღიარებული ის დებულება. რომლის მიხედვით პირდაპირ მტკიცებულებებს შეიძლება დაეუჭეროთ ან არ დაეუჭეროთ, მაგრამ არ შეიძლება მათზე ავადგოთ სსვადასხვა ერთმანეთის საწინააღმდეგო ვერსიები, გამოსაკლავი მოვლენის ხასიათის თაობაზე. ავტორები ელაგებთან მ. ლ. იაკუბს, რომელიც ზედმიწევნით აფართოებდა პირდაპირ დამამტკიცებელი საბუთებით დასადგენ გარემოებათა წრეს. კერძოდ, იაკუბის აზრით, პირდაპირი მტკიცებულებანი შეიცავენ ცნობებს არა მარტო გამოსაძიებელი ქმედობის ყველა გარემოების, არამედ ცალკეული გარემოებების შესახებაც.²

მ. ა. ჩელცოვის სიტყვით, პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენენ ისეთი ფაქტები, რომლებიც შედიან მტკიცების საგანში დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ნიშნების სახით.³ ლიტერატურაში სამართლიანად არის დაგმობილი ეს შეხედულება, რის მიხედვითაც პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები უტოლდება მტკიცების საგანს (უფრო სწორად მის ნაწილს).⁴ ლიტერატურაში გაკრიტიკებულია აგრეთვე მ. მ. გროძინსკის შეხედულება, რომელიც ფიქრობდა, რომ ისეთი პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი, როგორცაა დანაშაულის შემსწრე მოწმის ჩვენება, შეიცავს აგრეთვე მტკიცებულებით ფაქტს (ე. ი. მოწმის თვალყური ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაზე); სწორად არის შენიშნული, რომ მო-

1 მ. ს. სტროგოვიჩი, დსახ. კურსი, გვ. 377—379.

2 იხ. შათი — არაპირდაპირი მტკიცებულებანი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში (რუს.). 1956, გვ. 7—10.

3 სისხლის სამართლის პროცესი, 1962, გვ. 135.

4 თ ე ო რ ი ა, გვ. 271.

წმის აღქმა (მტკიცებულების ელემენტი) უსაფუძვლოდ არის გათანაბრებული გაშუალებულ ფაქტთან. ამასაც რომ თავი დავანებოთ, თუ პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებშიც გვაქვს მტკიცებულებითი ფაქტი, მაშინ ხომ, მ. ს. სტროგოვიჩის მართებული შენიშვნით, არაპირდაპირ მტკიცებულებაში ორი მტკიცებულებითი ფაქტი გვექნება (მაგალითად, მოწმემ დაინახა, როგორ მიდის დანაშაულის ჩადენის ადგილიდან ბრალდებულო: პირველი მტკიცებულებითი ფაქტი — მოწმის თვალყურია, მეორე — თვით ბრალდებულის წასვლა მოცემულ ადგილიდან).¹ ვფიქრობთ, არ საჭიროებს კომენტარს ასეთი კონსტრუქციის მიუღებლობა; მაგრამ მიუხედავად ამისა, თითქმის ანალოგიურ შეხედულებას ანჭითარებდა მ. პ. შალამოვი, თუმცა იმთავითვე არც თუ ისე აზრის სიცხადით გამოირჩეოდა მისი დასკვნები. კერძოდ, მ. პ. შალამოვი ფაქტებს უოფდა „პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებით ფაქტებად“. იგი არაფერს ამბობდა იმის შესახებ, „პირდაპირი მტკიცებულებითი ფაქტები“ შედიან თუ არა მთავარ ფაქტში; უდავოდ გაუგებრობის შედეგია ავტორის დასკვნა, თითქოს მთავარი ფაქტი მტკიცდება მხოლოდ მტკიცებულებითი ფაქტის მეშვეობით.² ვფიქრობთ, ავტორს არ უნდა აკვირებდეს ის გარემოება, რომ ზოგჯერ მტკიცებულებითი ფაქტები არ არის, მაგრამ ფაქტების შესახებ ცნობები პირდაპირ ადასტურებენ მთავარ ფაქტს. ამ შემთხვევაში მტკიცებულებითი ფაქტებით კი არ არის გაშუალებული მთავარი ფაქტის დადგენა, არამედ უშუალოდ ამ მთავარი ფაქტის შესახებ ცნობებზეა ლაპარაკი.

ავტორთა კოლექტივის მიერ 1973 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში („მტკიცებულებათა თეორია საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში“) ერთობ თავისებურად არის განხილული პირდაპირ და არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებად დაყოფის პრობლემა (ა. ი. ვინბერგი, ა. ა. ვისმანი, გ. მ. მინკოვსკი). ეს ავტორებიც ხაზს უსვამენ, რომ მეცნიერულ ლიტერატურაში პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთად ითვლება ისეთი საბუთი, რომელიც პირდაპირ აღგენს პირის ბრალეულობას ჩადენილ დანაშაულში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მართებულად ფვლიან იხელმძღვანელონ კანონმდებლის მიერ მტკიცების საგნის განსაზღვრებით და, აქედან გამომდინარე, პირდაპირ მტკიცებულებად მიიჩნიონ ისეთი საბუთი, რომელიც საქმეზე პირდაპირ (ე. ი. ერთი საფეხურით) აღგენს მტკიცების საგანს ან კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მის ელემენტს. პირდაპირი

¹ თ ე ო რ ი ა , გვ. 271, მ. ს. სტროგოვიჩი, კურსი, გვ. 376.

² მ მ ხ ი ლ ე ბ ა თ • თ ე ო რ ი ა , 1960, გვ. 26.

დამამტკიცებელი საბუთის საწინააღმდეგოდ, ავტორთა აზრით, არაპირდაპირი მტკიცებულება მრავალსაფეხურიანი პროცედურების შედეგად ჯერ ასაბუთებს შუალედური ფაქტის არსებობას და მერე, ამ გზით მტკიცების საგანს ან მის ელემენტს.¹ მაგრამ, ავტორთა სწორი შენიშვნით, შუალედური ფაქტიც მტკიცდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზით; მაგალითად, მოწმემ შეიძლება უშუალოდ დადასტუროს, რომ მან დაინახა ბრალდებული დანაშაულის ჩადენის ადგილზე, ამ შემთხვევაში ბრალდებულის შემთხვევის ადგილზე ყოფნის ფაქტი პირდაპირი გზით მტკიცდება; ამას გარდა, შუალედური ფაქტი არაპირდაპირი გზითაც მტკიცდება ხოლმე.² შემთხვევის ადგილზე თუ აღმოჩენილი იქნება ბრალდებულის ფეხსაცმლის ანაბეჭდი, ბუნებრივია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ბრალდებული უეჭველად იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე.

ავტორთა თვალსაზრისით, მტკიცებულებათა პირდაპირ და არაპირდაპირ საბუთებად დაყოფა ემყარება არა მარტო მათ სტრუქტურას (წარმოადგენენ თუ არა ისინი „ერთსაფეხურიანს“ ან „მრავალსაფეხურიანს“), არამედ დასამტკიცებელ გარემოებათა სწორ განსაზღვრებას.³ რაკი ავტორები სცნობენ, რომ როგორც პირდაპირი ისე ირიბი გზით შეიძლება დამტკიცდეს ე. წ. შუალედური ფაქტები (მაგალითად, მოწმის ჩვენება, რომ მან უშუალოდ დაინახა გასროლა, შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის ფეხსაცმლით დატოვებული კვალი და სხვ.), მაშასადამე, ლოგიკურად ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ შუალედური ფაქტები (მტკიცებულებითი ფაქტები) აუცილებლად უნდა გაერთიანდნენ მტკიცების საგანში, რაზედაც ზემოთ მივეუთითებდით. არაპირდაპირ საბუთებზე ავტორთა მსჯელობიდან სწორედ ეს დასკვნა გამომდინარეობს (კერძოდ, პირველ საფეხურად მიჩნეულია, მაგალითად, ექვმიტანილის ქურდობის ადგილზე ყოფნის ფაქტის დადასტურება, მეორე საფეხურად კი — მის მიერ ქურდობის ჩადენის შესაძლებლობა).⁴ არაპირდაპირი საბუთები რაკი უმეტეს შემთხვევაში სწორედ მტკიცებულებითი ფაქტების მნიშვნელობით გამოიყენებიან, ეფიქრობთ, საფუძველს მოკლებულია მათი მტკიცების საგნიდან ჩამოცილებაც, რადგან მათი დამტკიცება მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთებით იაზრება. რაც შეეხება საკუთრივ პირდაპირ და არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებად დაყოფის პრობლემას, იგი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

1 თეორია, გვ. 271.

2 იქვე, გვ. 270.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 269.

დამამტკიცებელი საბუთების მთავარი ფაქტის მიმართ კლასი-
ფიკაციას დიდი ხნის ისტორია აქვს. საკმაოდ ხანგრძლივი დროის
განმავლობაში საბჭოთა პროცესუალისტების უმრავლესობა სწორედ
მთავარი ფაქტის გათვალისწინებით ასაბუთებდა მტკიცებულებათა
პირდაპირ და არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებად დაყოფის
პრაქტიკულ მნიშვნელობას. თავისთავად ცხადია, თვით „მთავარი
ფაქტის“ ცნება მხოლოდ იმიტომ წარმოიშვა, რომ არსებობენ ე. წ.
„მტკიცებულებითი ფაქტები“, არაიურიდიული მნიშვნელობის ფაქ-
ტები, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ სამოქალაქო და სისხ-
ლის სამართლის საქმის სასამართლო წარმოების პროცესში. ყოველ-
გვარი კლასიფიკაცია პირობითია, მაგრამ ამ პირობითობაში თუ არ
არის გათვალისწინებული მოვლენების კანონზომიერება და მათი
ახსნის ლოგიკურობა, მაშინ ამ კლასიფიკაციასაც ეკარგება ფასი.
ჩვენ ვერ ჩაეთვლით მთავარი ფაქტის მიხედვით დამამტკიცებელი სა-
ბუთების კლასიფიკაციას მოძველებულად, უვარგისად. პირიქით.
სწორედ უფრო დაუსაბუთებელი და მიუღებელი ჩანს ის კლასიფი-
კაციები, რომელთა მიხედვითაც მტკიცებულებათა პირდაპირ და
არაპირდაპირ საბუთებად დაყოფა მხედველობაში არ ლებულობს
მთავარ ფაქტს. ამ შემთხვევებში ყოველთვის წამოიჭრება წინააღ-
მდეგობები და, რაც მთავარია, საექვო ხდება თვით კლასიფიკაციის
პრაქტიკული მნიშვნელობაც. მართლაც, თუ მტკიცების საგანია იმ
მნიშვნელოვან გარემოებათა ერთობლიობა, რაც უნდა დადგინდეს
საქმის სწორად გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, განა პრაქტიკუ-
ლად მოიძებნება დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც დაადასტუ-
რებს მთელ მტკიცების საგანს? ავტორები, როგორც ითქვა, პირდა-
პირ დამამტკიცებელ საბუთად თვლიან ისეთ საბუთს, რომელიც
პირდაპირ ადგენს საქმეზე მტკიცების საგანს, ან ერთ-ერთ მის
ელემენტს (კანონით განსაზღვრულს). მაშასადამე, მათ მხედველო-
ბაში აქვთ დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც უნდა შეიკავდნენ
ინფორმაციებს მტკიცების საგანში გათვალისწინებულ გარემოებებ-
ზე; ეს ინფორმაციები უნდა შეეხებოდნენ ერთდროულად. რა იქნა
უნდა, ან დანაშაულის შემთხვევას (შემადგენლობის ელემენტებს),
ბრალდებულის ბრალეულობას, მის პასუხისმგებლობის ხარისხს,
ზასიათს და აგრეთვე მიყენებულ ზარალის ოდენობას... ან კონკრე-
ტულად აღებულ რომელიმე ამ ელემენტს. ჩვენ სავესებით უდავოდ
მიგვაჩნია, რომ ვერც ერთი დამამტკიცებელი საბუთი ვერ უზრუნ-
ველყოფს მტკიცების საგანში გათვალისწინებულ გარემოებების
ერთდროულად დადგენას. ასეთი რამის წარმოადგენა თეორიულადაც
შენელია. პიროვნული პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთიც ვერ

შეიცავს ხოლმე მთელ დასამტკიცებელ გარემოებებს და ამიტომ, წინააღმდეგ ავტორთა შეხედულებისა, ამ შემთხვევაში, ცხადია, ჩვენ უკვე ვეღარ ვიხელმძღვანელებთ ს. ა. გოლუნსკისა და სხვათა დებულებით, რომლის მიხედვით, პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს უნდა დაეუჭეროთ, ან არ დაეუჭეროთ და მასზე არ შეიძლება ავაშენოთ ერთმანეთის საწინააღმდეგო ვერსიები გამოსაკვლევი ფაქტის ბასიათის შესახებ. უფრო სწორად, ეს დებულება ვერ გავრცელდება პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთზე, თუ მასში ვიგულისხმებთ იმ ინფორმაციებს, რომლებიც უნდა მოიცავდნენ მტკიცების საგანში გათვალისწინებულ გარემოებებს მთლიანად. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ლიტერატურაში სრულიად მართებულად იქნა დაგმო-ბილი მ. ლ. იაკუბის შეხედულება, რომელიც პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებად თვლიდა ისეთ საბუთებს, რომლებიც შეიცავდნენ ცნობებს როგორც გამოსაძიებელი ქმედობის ყველა გარემოებაზე, აგრეთვე მის ცალკეულ გარემოებებზე. ამ შეხედულების შესახებ ა. თ. ვინბერგი, გ. მ. მინკოვსკი და რ. დ. რახუნოვი მიუთითებდნენ, რომ პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთების წრის ამდაგვარი გაფარ-თობა ეწინააღმდეგება სასამართლო მტკიცებულებათა თეორიის დებულებებს, იწვევს აზრის დამახინჯებას, უკარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას მტკიცებულებათა პირდაპირ და არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებად დაყოფას.¹ როგორც ჩანს, მიუხედავად მ. ლ. იაკუბისა და სხვათა მკდარი დებულებების ამ სამართლიან კრიტიკისა, კვლავ იჩინა თავი პირდაპირ დამამტკიცებელი საბუთების წრის გაუმართლებელმა გაფართობამ, რაც ვერაფრითარ დასაბუთებას ვერ პოულობს. ეს მიმართულება გვერდს უვლის დამამტკიცებელი საბუთების პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებებად დაყოფას დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულობის მიხედვით, უარყოფს აგრეთვე პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთის თეზის — „მთავარ ფაქტს“² და ამით დამოუკიდებლობას იმკვიდრებს, მაგრამ, როგორც ითქვა, დასაბუთებულობით კი ვერ გამოირჩევა.

თეორიის ავტორთა (ა. თ. ვინბერგი, გ. მ. მინკოვსკი, ა. ა. ეისმანი) მიერ პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთად ითვლება ისეთი მტკიცებუ-ლებაც, რომელიც აღგენს მტკიცების საგანში შემავალ რომელიმე ელემენტს. ვთქვამთ, პირდაპირ დამამტკიცებელი საბუთისადმი ასეთი მიდგომაც არ შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად. სხვა რომ

¹ А. И. Винберг, Г. М. Миньковский, Р. Д. Рахунов. Косвенные доказательства в советском уголовном процессе, М., 1956, с. 14.

² თ ე რ ი ა, გვ. 270—271.

არაფერი ვთქვათ, მტკიცებულებითი ფაქტებიც შეიძლება დადგინდეს პირდაპირი გზით, თანაც ძალიან ძნელია წინასწარ გამოვაცალკეოთ მტკიცებულებითი ფაქტები იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისაგან. კანონმდებელი, მაგალითად, ითვალისწინებს მტკიცების საგანში გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე, მაგრამ ეს გარემოებანი არ არიან ამომწურავნი, სასამართლოსაც შეუძლია, მაგალითად, ბრალდებულის ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებებად მიიჩნიოს ესა თუ ის ვითარება; ამას გარდა, გაურკვეველია რა პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმას, პირდაპირი მტკიცებულებით იქნებიან დადგენილი, მაგალითად, მიყენებული ზარალის ოდენობა, ქმედობის ჩადენის დროს პირის მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, დანაშაულის ჩადენის ხერხი და სხვა, თუ არაპირდაპირი მტკიცებულებით? არასოდეს არ იყო სადავო, რომ ყველა ფაქტი, რომელსაც საქმისათვის აქვს მნიშვნელობა, შეიძლება დადგინდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზით, მაგრამ მეცნიერული კლასიფიკაციის საფუძვლად ითვლებოდა სწორედ ის, თუ როგორი (პირდაპირი ან არაპირდაპირი) გზით დადგინდებოდა დანაშაულის შემადგენლობა ბრალდებულის მოქმედებაში; მხედველობაში იყო მთავარი ფაქტის ძირითად გარემოებათა ერთობლიობა — მისი კონკრეტული გამოხატულება და ამასთან, ცხადია, მთავარი ფაქტის ყველა გარემოებას არ მოიცავდა პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებად დაყოფა.¹ ვფიქრობთ, კვლავაც მართებულად უნდა ჩაითვალოს პირდაპირ და არაპირდაპირ საბუთებად დაყოფა სწორედ დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით. ეს არის ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების ერთადერთი სწორი გზა; ასეთ კლასიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული თვალსაზრისითაც. დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ მიუთითებს მოცემული პირის მიერ გარკვეული დანაშაულის ჩადენაზე (ან არ ჩადენაზე) — პირდაპირი მტკიცებულება იქნება, მაგრამ თუ მხოლოდ სხვა ფაქტების დადგენის საშუალებით არის შესაძლებელი პირის ბრალეულობაზე დასკვნის გამოტანა, როგორც ტრადიციულად იყო მიღებული, არაპირდაპირ მტკიცებულებასთან გვექნება საქმე. ისიც მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ერთსა და იმავე გარემოებას სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ საქმის კონკრეტული ვითარების შესაბამისად; მაგალითად, ცნობილია, თუ სამხედრო პირი მკვლუ-

¹ ი. ა. ვინჩერცის, ვ. მ. მინკოვსკისა და რ. დ. რახუნოვის დასახ. ნაშრომი, 1956, გვ. 16.

ლობით დაემუქრება უფროსს, სამხედრო სამსახურის შესრულება-სთან დაკავშირებით. მაშინ ამ მუქარის შესახებ მოწმის ჩვენება პირ-დაპირი დამამტკიცებელი საბუთი იქნება, მაგრამ სხვა შემთხვევაში თუ მოწმის ჩვენებით დადასტურდება, რომ მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე ბრალდებული დაემუქრა კონკრეტულ პირს მოკვლით და ეს უკანასკნელი მართლაც მოკვლილი აღმოჩნდა, ამ მოწმის ჩვენებას არაპირდაპირი საბუთის მნიშვნელობა ექნება, რადგან ამ შემთხვევაში დგინდება მხოლოდ მუქარის ფაქტი. ე. ი. გაშუალებული ფაქტი, რომელიც თავისთავად პირდაპირ არ მიუთითებს მკვლელობაზე. ცხადია, შესაძლოა მოკვლით დაემუქროს პირი, მაგრამ მკვლელობა კი არ ჩაიდინოს.

პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი სვამს კითხვას — მტკიცებულებანი უკლებლივ იყოფიან თუ არა პირდაპირ და არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებად. თუ ეს დაყოფა მხოლოდ ეხება პირის ბრალულობის დამამტკიცებელ საბუთებს? ავტორი ამ კითხვაზე პასუხობს, რომ პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებები, შეეხებიან ბრალულობის დადასტურებას ან უარყოფას, ხოლო ის მტკიცებულებანი რომლებთაც დგინდება დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა გარემოებანი (და არა ბრალულობა) არ შედიან ამ კლასიფიკაციაში.¹ ავტორი ასეთ გარემოებად მიიჩნევს, მაგალითად, მკვლელობის ჩადენის ადგილსა და დროს, მატერიალური ფასეულობის დანაკლისის რაოდენობას, გამოსაკვლევი ქმედობის ყოველგვარ ნიშნებს, გარემოებებს რომლებიც არ შეიცავენ პირდაპირ ან არაპირდაპირ მითითებას რომელიმე პირის მიერ ამ ქმედობის ჩადენაზე.² მ. ს. სტროგოვიჩი მართებულად აკრიტიკებს ა. ი. ტრუსოვს, რომელიც თვლის, რომ პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთია ისეთი საბუთი, რომელიც ადასტურებს მთავარ ფაქტში შემავალ ფაქტს (განურჩევლად).³ ტრუსოვს მოჰყავს მაგალითი, როდესაც დაზარალებული მიუთითებს გაძარცვის ფაქტზე, მაგრამ ვერ ასახელებს გამძარცველს. მ. ს. სტროგოვიჩი სწორად შენიშნავს ა. ი. ტრუსოვს, რომ დაზარალებულის ჩვენება ამ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთად, მაგრამ ვფიქრობთ, არც მ. ს. სტროგოვიჩია მართალი, როცა მას არაპირდაპირ მტკიცებულებადაც არ თვლის. სინამდვილეში დაზარალებულის ჩვენებით მტკიცდება საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება — გაძარცვის ფაქტი, რომელიც უეჭველად

¹ იხ. შისი კურსი, გვ. 383—384.

² იქვე, გვ. 384.

³ ა. ი. ტრუსოვი, სასამართლო მტკიცებულებათა თეორიის საფუძვლები, 1960, გვ. 61.

შეფასდება არაპირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობით გარკვეული პირის მიერ ამ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. აგრეთვე, არ უნდა იყოს მართალი მ. ს. სტროგოვიჩი ა. ივინბერგის, ვ. მ. მინკოვსკისა და რ. დ. რახუნოვის მიმართ, რომლებიც თელიდნენ, რომ მტკიცებულებები (გამონაკლისის გარეშე), რომლებითაც დგინდება მთავარი ფაქტის დეტალები არიან არაპირდაპირი მტკიცებულებები.¹ უნდა დავეთანხმოთ მათ მიერ მოტანილ მაგალითსაც — მტკიცებულება. რომელიც მიუთითებს დანაშაულის ჩადენის დროზე, არაპირდაპირად ამხელს იმ პირს, რომელიც მოცემულ დროს შეიძლება ყოფილიყო შემთხვევის ადგილზე. „მტკიცებულებათა თეორიის“ ავტორების აზრითაც მტკიცებულებათა დაყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებად ეხება ყველა სახის მტკიცებულებებს, მიუხედავად წყაროებისა. ამ თვალსაზრისით, ისინი სამართლიანად საყვედურობენ მ. ს. სტროგოვიჩს, რომელიც თელის, რომ მტკიცებულებანი, რომლებითაც დგინდება, მაგალითად, მკვლელობის დრო და ადგილი, დანაკლისის რაოდენობა და ა. შ. არიან მტკიცებულებათა პირდაპირ და არაპირდაპირ საბუთებად დაყოფის ფარგლებს გარეთ.²

ამრიგად, არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთებია ისეთი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ ამა თუ იმ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის (არ ჩადენის) ფაქტს, მტკიცებულებითი ფაქტის ან იმ ფაქტის დადგენის მეშვეობით, რომელიც შედის მთავარი ფაქტის შემადგენლობაში, მაგრამ უშუალოდ გარკვეული პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში ბრალეულობის საკითხს კი არ ეხება.

ლიტერატურაში იმის ცდაც არის, რომ ჩამოთვალონ არაპირდაპირი მტკიცებულებანი; მაგალითად, მ. ს. სტროგოვიჩი საორიენტაციოდ შემდეგნაირად აჯგუფებს ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს: დანაშაულის ნივთიერი კვლები, დანაშაულის ჩადენისათვის აუცილებელი იარაღის ქონა, იმ ნივთის ქონა, რომელიც დანაშაულებრივ ზეღოფის საგანი იყო, ბრალდებულის დანაშაულის ჩადენის ადგილზე იმ დროს ყოფნა, როცა ჩადენილი იყო დანაშაული. დანაშაულის ჩადენისათვის მოტივის არსებობა, დანაშაულის ჩადენის მომზადება, დანაშაულის კვალი დაფარვა, ბრალდებულის ცხოვრების ყაიდის შეცვლა.

პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი აქვე დასძენს, რომ ყველა ფაქტი, რომელიც აბათილებს მამხილებელი ხასიათის ფაქტებს იქნება აგრეთვე

1 იხ. მათი დასახ. ნაშრომი, 1956, გვ. 19—20.

2 თეორია, გვ. 272.

არაპირდაპირი მტკიცებულება, გამამართლებელი ხასიათისა.¹ „მტკიცებულებათა თეორიის“ ავტორების აზრით, არაპირდაპირ მტკიცებულებებს საფუძვლად ედება სინამდვილის შემთხვევებისა და მოვლენებს შორის სხვადასხვა კავშირების გამოყენება (მიზეზობრიობის, დროის, სივრცის და სხვ.). არაპირდაპირ მტკიცებულებათა განსაკუთრებულ სახეებად დასახელებულია: ქცევის მტკიცებულება (საბუთიანობა); მსგავსის საბუთიანობა (მსგავსი ფაქტები), ნეგატიური გარემოებანი და დამხმარე მტკიცებულებანი. ქცევის მტკიცებულებებში გულისხმობენ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებულის ქცევის დამადასტურებელ საბუთებს (გამოძიებისა და სასამართლოსაგან თავის არიდება, წინასწარი შეცნობით გამოძიებისა და სასამართლოს შეცდომაში შეყვანის ცდა ბრალდებულის მხრივ; მოქმედება, რომელიც ცხადყოფს გარკვეული პირის მიერ ამა თუ იმ გარემოების ცოდნას).² სამართლიანად არის შენიშნული, რომ დაკითხვის, ჩხრეკის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ბრალდებულის მღელვარება, შიში, შეშფოთება და სხვა ემოციური ხასიათის გამოვლინებანი არ შეიძლება ჩაითვალოს არაპირდაპირ მტკიცებულებებად, რაკი შეუძლებელია საქმესთან მათი ობიექტური კავშირების დადგენა, მართლაც, გასაგები უნდა იყოს, ზოგჯერ ბრალდებულს ეშინია არა იმიტომ, რომ დანაშაული აქვს ჩადენილი და პასუხს მოთხოვენ, არამედ, უდანაშაულოდ რომ არ მისცენ პასუხისგებაში. ამასთან დაკავშირებით ჩვენც არ მიგვაჩნია სწორად არაპირდაპირ მტკიცებულებად ჩავთვალოთ საკუთრივ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებისადმი ბრალდებულის მიერ თავის არიდებაც. გასაგები მიზეზის გამო, „თავის ამრიდებელი“ შესაძლოა უდანაშაულოც იყოს. პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი სამართლიანად არ ანიჭებს აგრეთვე არაპირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობას — ბრალდებულის მიერ ჩვენებაზე უარის თქმას. ბრალდებულის ჩვენებაში წინააღმდეგობებს, ბრალდებულის მიერ ისეთ ფაქტებზე მითითებას, რომლებიც არ დასტურდება. ყოველივე ეს, მ. ს. სტროგოვიჩის სიტყვით, შეიძლება ნიშნავდეს, რომ ბრალდებულმა დაცვის არასწორი მეთოდი აირჩია, მაგრამ არ ამტკიცებს ბრალდებულის ბრალეულობას.³ ლიტერატურაში სამართლიანად იქნა დაგმოხილი ი. დ. პერლოვის პოზიცია, რომელმაც უიღბისეული დებულება გადმოარუსულა და ბრალდებულის ქცევას (დაკითხვის დროს თავის დაჭერა) გარკვეული მნიშვნელობა მიანიჭა დამამტკიცებელი საბუთების შე-

1 მისი კურსი, გვ. 390—391.

2 თეორია, გვ. 273—274.

3 იხ. მისი კურსი, გვ. 191.

ფასებაში.¹ მ. ს. სტროგოვიჩი საერთოდ უარყოფს ბრალდებულის ბრალის დადგენისათვის „მსგავსი ფაქტების“ დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობას. კერძოდ, მისი აზრით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არაპირდაპირ მტკიცებულებად ფაქტები, რომლებიც ანალოგიური არიან მოცემულ საქმის ფაქტებისა, ოღონდ მასთან არ იმყოფებიან მიზეზობრივ კავშირში (მაგალითად, არ შეიძლება ჩაითვალოს არაპირდაპირ მტკიცებულებად მოცემულ საქმეზე დანაშაულის ჩადენის ხერხების („ხელწერის“) მსგავსება სხვა საქმეზე დანაშაულის ჩადენის ხერხებთან.² „მტკიცებულებათა თეორიის“ ავტორთა აზრით კი, „მსგავსი ფაქტები“ (მაგალითად, დანაშაულთა ჩადენა მსგავსი ხერხებით, ერთნაირი ობიექტების მიმართ, ანალოგიური საშუალებების გამოყენება, დანაშაულის ჩადენის დროისა და ადგილის შერჩევა და სხვ.) საშუალებას გვაძლევენ გავაყეთოთ სავარაუდო დასკვნები, რომ ყველა დანაშაული ჩადენილია ერთი და იგივე პირის მიერ. ავტორები გვაფრთხილებენ, რომ ეს დასკვნა ცალკე აღებული, არ არის დამაჯერებელი, მაგრამ იქვე გულს გვიშაგრებენ — ყველა სხვა არაპირდაპირი მტკიცებულებაც ხომ ცალკე აღებული თავის თემას სააღბათოდ ამტკიცებს.³ მართალია ავტორები ხაზს უსვამენ, რომ „მამხილებელი ქცევისა“ და „მსგავსი ფაქტების“ მტკიცებულებებად გამოყენებისას (რაოდენობის მიუხედავად) მხოლოდ მათზე დაყრდნობით ბრალეულობაზე დასკვნის გამოტანა არ შეიძლება,⁴ მაგრამ აქ მიუღებელი სულ სხვა რამ არის. ავტორებს როგორღაც მხედველობიდან გამორჩათ, რომ იქამდე, სანამ მტკიცებულებითი ფაქტის შესახებ ცნობას (ინფორმაციას) დამამტკიცებელ საბუთად ჩავთვლიდეთ, საჭიროა თვით ეს ფაქტი უტყუვრად იქნეს დადგენილი, რომ იგი არ უნდა უშეებდეს მეორე ფაქტის შესაძლებლობასაც. მართალია, ყველა არაპირდაპირი მტკიცებულება ცალკეულად ადასტურებს თავის თეზისს სააღბათოდ, მაგრამ თვითონ არაპირდაპირი მტკიცებულება არ შეიძლება იყოს სააღბათოდ მოცემული. „მსგავსება“ საკუთრივ სააღბათოა, რადგან შეიძლება ერთი მოვლენაც იყოს და მეორეც... მაგრამ თუ თვითონ ამ ალბათური ფაქტით („მსგავსებიდან“) მტკიცების საგანში შემავალ გარემოების (გარემოებების) დადგენას შევეცდებით (რის გარეშეც არაპირდაპირ მტკიცებულებებს საერთოდ ეკარგებათ ფასი), მაშინ

¹ И. Д. Перлов. Судебное следствие в советском уголовном процессе, М., 1955, с. 180—181.

² იხ. მისი დასახ. კურსი, გვ. 391.

³ თ ე ო რ ი ა, გვ. 277.

⁴ ი ქ ე ე, გვ. 277.

მეთოდოლოგიურ შეცდომას დაეუშვებთ, რასაც პრაქტიკაში უეჭველად მოჰყვება საეალოლო შედეგებიც.

ლიტერატურაში სწორად არის შენიშნული, რომ ბრალდებულის უარყოფითად დამახასიათებელი ცნობები (მისი ადრე ნასამართლეობა, ამორალური საქციელი და ა. შ.) არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ბრალდებულის ბრალის დამადასტურებელ გარემოებად¹. მათ, ცხადია, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სასჯელის ზომაზე, მაგრამ მიზეზობრივი კავშირი არა აქვთ დანაშაულის ჩადენასთან. „მტკიცებულებითი თეორიის“ ავტორები როგორც ითქვა, არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთების განსაკუთრებულ სახედ ცალკე გამოჰყოფენ ნეგატიურ გარემოებებს (ე. ი. ზოგიერთი ფაქტის არარსებობა, რომელიც უნდა ყოფილიყო, თუ სწორია მოვლენის შესახებ ვერსია)². ნეგატიურ გარემოებად ავტორები მიიჩნევენ: მაგალითად, ჩვენების აღვიღზე შემოწმების დროს თუ აღმოჩნდება რომ ბრალდებულმა არ იცის დანაშაულის ჩადენის დეტალები, მაშინ როდესაც მისი განცხადებით მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში; როდესაც დოკუმენტზე ეჭვმიტანილის თითის ანაბეჭდები არ არსებობს, თუ მას აბრალებენ დოკუმენტის შედგენას და სხვა³. ნეგატიურ გარემოებებზე ჩვენ ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მათ მნიშვნელობას ერთხმად აღიარებენ როგორც პროცესუალისტები, ისე კრიმინალისტები. ნეგატიური გარემოებანი მხოლოდ უარყოფენ საჯულისხმო გარემოებებს.

დაბოლოს, როგორც ითქვა, არაპირდაპირ მტკიცებულებათა განსაკუთრებულ სახედ დასახელებულია დამხმარე (შემადფასებელი) მტკიცებულებანი⁴. სხვათა შორის, ამ სახის არაპირდაპირ მტკიცებულებებს, მსგავსების მიუხედავად, ანსხვაეებენ მრავალსაფეხურიანი არაპირდაპირი მტკიცებულებისაგან იმით, რომ ისინი ადასტურებენ არა მტკიცების საგნის ელემენტებს, არა შუალედურ ფაქტებს, არამედ მტკიცებულებებიდან (პირდაპირი თუ არაპირდაპირი) გამომდინარე დასკვნის იმედინაობას. მაგალითის სახით დასახელებულია: მოწმის დაუინტერესებლობის, მისი მხედველობის, სმენის, ხასიათის, მოვლენის აღქმის გარეგანი პირობების, ექსპერტის კვალიფიკაციის (მის მიერ შერჩეული მეთოდის შეცნობიერულად გამართლება) და მდგენი მონაცემები და სხვა⁵; აქვე დასახელებულია ამავე სახის საო-

1 შ. ს. სტროგოვიჩი, დასახ. კურსი, გვ. 391.

2 თეორია, გვ. 278.

3 იქვე, გვ. 278.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 279.

რიენტაციო მტკიცებულებანი. კერძოდ, მოწმეს შეუძლია გვითხრას, თუ, მაგალითად, ვინ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ (რომელსაც მისი ვარაუდით ეტოლინება საქმეზე რაიმე), დოკუმენტში შეიძლება იყოს მითითება ინფორმაციის მიღების სხვა წყაროზე და სხვ. და ა. შ.¹

ვფიქრობთ, ამ ე. წ. „შეფასებითი (საორიენტაციო) მტკიცებულებებით“ ისე არ უნდა გაფართოვდეს არაპირდაპირი მტკიცებულებათა წრე, რომ იგრძნობოდეს საგამოძიებო-სასამართლო მოქმედებათა ერთობ აღრევა ოპერატიულ ღონისძიებებთან. ზოგჯერ აბა რისთვის დასჭირდება, მაგალითად, გამოძიებელს რომ მან სპეციალურად დაკითხოს მოწმეს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ის გვითხრას, თუ სხვა ვინ შეიძლება დაკითხულ იქნას მოწმედ? ან თუ დოკუმენტიდან ჩვენ მივიღებთ ინფორმაციას სხვა დოკუმენტის ან ცნობის შესახებ, განა ზოგჯერ მხოლოდ ოპერატიული ღონისძიება არ არის საკმარისი, რომ აღმოვაჩინოთ მოსაძებნი დოკუმენტი თუ ინფორმაციის სხვა წყარო?

ცალკე ყურადღებას იპყრობს არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთების შეფასება. ლიტერატურაში მიღებულია დებულება, რომ ყველა მტკიცებულებითი ფაქტი დამტკიცებული უნდა იყოს უტყუვრად, რომ იგი გამოვიყენოთ სხვა ფაქტის დასამტკიცებლად.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ერთი რომელიმე არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი (მტკიცებულებითი ფაქტის შესახებ ინფორმაცია), განუზრგვლად მისი სრულფასოვნებისა, მაინც ვერ გამოდგება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტის დასადგენად. სხვათა შორის, როგორც ლიტერატურაშიც არის შენიშნული, ეს შეეხება არა მარტო არაპირდაპირს, არამედ პირდაპირ მტკიცებულებებსაც. ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება არ ითვლება საკმარისად იმისათვის, რომ საბოლოოდ მივიჩნიოთ მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადასტურებულად. აქ მრავალი გარემოებაა გასათვალისწინებელი, რომლებიც აიძულებენ ხოლმე ბრალდებულს დანაშაულში თავი სცნოს დამნაშავედ მაშინაც, როდესაც მას ფაქტიურად არ ჩაუდენია იგი. ერთნაირად ვერ შეფასდება როცა მრავალი მოწმის მიერ ფაქტის დადასტურებას ვუპირისპირებთ სრულიად საწინააღმდეგო ერთი მოწმის ჩვენებას. აქ, ძნელია გამოიძენოს საერთო კრიტერიუმი იმისა, თუ სად არის საზღვარი, რომლის იქით მტკიცებულებათა რაოდენობა უკვე თვისობრივ მხარეში გადადის; თუმცა, ეტყობა ყველაფერი იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, თუ საქმის როგორი ვითარება იჩენს თავს. დაბეჭდვით, რა თქმა

¹ თ ე ო რ ი ა; გვ. 279.

უნდა, ძნელია წინასწარ იმის თქმა სამი მოწმის ჩვენებაა მისაღებო თუ ოთხისა, როცა ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგონი არიან. იდეალურადაც რომ იქნას თეორიულად გააზრებული ყველა მათგანის ცალ-ცალკე დამაჯერებლობა, მაინც ისევ პრაქტიკას უნდა დავებრუნდეთ და საკითხი საბოლოოდ იმის მიხედვით გადავწყვიტოთ, თუ რა რწმენა შეიქმნება დამამტკიცებელი საბუთების ერთობლივი გადაფასებით. ზოგჯერ, მართალია, ასეთი გადაწყვეტილებისათვის ვერ შემუშავდება ხოლმე რწმენა, ყველაფერი სადავოდ და გაურკვეველი რჩება, მაგრამ; ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში არც უნდა იქნას გამოტანილი ბრალდებულის გამამტკიცებელი დასკვნები. ლიტერატურაში სპეციალურად არის გამასწავლებელი ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ არაპირდაპირი მტკიცებულებანი ერთმანეთთან უნდა ქმნიდნენ განუწყვეტელ რგოლებს, ადასტურებდნენ ერთმანეთს, რომ ერთი რომელიმე რგოლის გამოეარდნით დაიშლება მთელი ჯაჭვი, ე. ი. მიღებულად ითვლება ის აზრი, რომ არაპირდაპირი მტკიცებულებები ერთმანეთთან მექანიკურად კი არა, ორგანულად, ჰარმონიულად არიან დაკავშირებული და ამიტომ მხოლოდ ამ ჯაჭვში შეიძლება მტკიცებულებათა რაოდენობასაც მიენიჭოს მნიშვნელობა. მაშასადამე, როგორც ჩანს, არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთების რაოდენობრივი მხარე განხილული უნდა იქნეს როგორც მათი სისტემურობის გათვალისწინებით; ე. ი. რამდენად ქმნიან ისინი ერთიან სისტემას, რომ მათგან მხოლოდ ერთი დასკვნა გამომდინარეობდეს.

ლიტერატურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მიზეზობრივი კავშირის დადგენას მტკიცებულებით ფაქტებსა და პირის მიერ დანაშაულის ჩადენის (ან არ ჩადენის) ფაქტს შორის. მ. ს. სტროგოვიჩის სიტყვით, ყველა არაპირდაპირი მტკიცებულება (მტკიცებულებითი ფაქტები) მიზეზობრივ კავშირში უნდა იმყოფებოდნენ მთავარ ფაქტთან.¹ მიზეზობრივი კავშირი კი გაგებულია როგორც ფაქტებს შორის იმგვარი კავშირი, რომლის დროსაც ერთი ფაქტი არის მეორე ფაქტის მიზეზი და ეს უკანასკნელი პირველის შედეგი, ან ორივე ფაქტს აქვს საერთო მიზეზი, ე. ი. ორივე წარმოდგენილია, როგორც შედეგი მესამე ფაქტისა.² ლიტერატურაში ფაქტებს შორის მიზეზობრივი კავშირი ახსნილია შემდეგნაირად: ბრალდებულის ტანსაცმელზე აღმოჩენილი სისხლის ლაქა მკვლელობის საქმეზე, როგორც არაპირდაპირი მტკიცებულება მხოლოდ მაშინ მოგვეცემს

¹ მ. ს. სტროგოვიჩი, ჟურნალი, გვ. 385.

² იქვე, გვ. 386.

ბრალდებულის ბრალის შესახებ დასკვნის გაკეთების საფუძველს, როდესაც სხვა დამამტკიცებელი საბუთებით დამტკიცდება, რომ მაგალითად, ბრალდებულის მიერ დაზარალებულისათვის სასიკვდილო კრილობის მიყენების გამო მოეცხო მას სისხლო, როდესაც გამორიყბული იქნება სისხლის ლაქის გაჩენის სხვაგვარი ახსნა. ამ სახის მიზეზობრიობის დროს მთავარი ფაქტი (მკვლელობის ფაქტი) ითვლება მიზეზად, ხოლო მტკიცებულებითი ფაქტი (სისხლის ლაქის არსებობა)—შედეგად.¹ მკვლელობის მუქარის მაგალითზე შენიშნულია, რომ მკვლელობა არ შეიძლება ჩაითვალოს მუქარის მიზეზად. ხოლო მუქარა — მკვლელობის მიზეზად. იმისათვის, რომ მუქარის ფაქტი გამოყენებულ იქნას არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთად, საჭიროა დადგინდეს მუქარის ფაქტსა და მტკიცებულებით ფაქტს შორის სხვაგვარი მიზეზობრივი კავშირი. კერძოდ, მუქარის ფაქტი მხოლოდ იმიტომ ითვლება არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთად, რომ იგი ამტკიცებს ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის, მაგალითად, სიძულვილს... და ბრალდებულის განზრახვას მოკლას დაზარალებული. სიძულვილსა და მკვლელობის განზრახვის ფაქტი შესაძლოა იყოს ერთდროულად ორი ფაქტის მიზეზი—მოკვლის მუქარის და მკვლელობის ჩადენისა. მ. ს. სტროგოვიჩი აქედან ასკვნის, რომ მკვლელობის მუქარას არაპირდაპირად ბრალდებულის ბრალის დამადასტურებელი როლი მხოლოდ მაშინ შეუძლია შეასრულოს, როდესაც საქმის ყველა მტკიცებულებებით დადგინდება, რომ ბრალდებულის მხრივ დაზარალებულის სიძულვილი და მკვლელობის განზრახვა, რომელიც გამომჟღავნდა მუქარის ფაქტის მეშვეობით, იყო მკვლელობის მიზეზი.²

მაგრამ მიზეზობრიობის გარდა არის თუ არა საჭირო საამისოდ სხვა კავშირების დადგენა? მ. ს. სტროგოვიჩი არ უარყოფს, რომ გამოძიების დროს მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, ემთხვევიან თუ არა მოვლენები დროში (სხვადასხვა დროს ხომ არ მიმდინარეობენ). სივრცით ხომ არ არიან დაშორებულნი ობიექტები და სხვა, მაგრამ ამ ფორმების კავშირებს, მ. სტროგოვიჩის აზრით, მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ, როგორც მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის გზის მაჩვენებლებს და თვითონ კი არ შეუძლიათ გვემსახურონ მთავარი ფაქტის დადგენაში. ამ თვალსაზრისით იგი აკრიტიკებს ა. მ. ლარინს.³ ლარინი თვლის, რომ მტკიცებულებითი ფაქტები მთავარ ფაქტს

1 მ. ს. სტროგოვიჩი, დასახ. კურსი, გვ. 386.

2 იქვე, გვ. 386.

3 იქვე.

უკავშირდებიან როგორც მიზეზობრივად, ისე დროში, სივრცობრივად და ა. შ. ვფიქრობთ, რაკი ეს კავშირები საბოლოოდ მაინც მიზეზობრიობის დადგენას ემსახურებიან, მ. ს. სტროგოვიჩისაჲ პრინციპული დავის საფუძველი უნდა გააჩნდეს.

დაბოლოს, არაპირდაპირ მტკიცებულებებით სარგებლობისათვის შემუშავებულია წესი, რომლის მიხედვით ყველა არაპირდაპირი მტკიცებულება მხოლოდ ერთობლიობით უნდა გამორიცხავდეს სხვა დასკვნის შესაძლებლობებს და ერთადერთ დასკვნის საშუალებას იძლეოდეს ბრალდებულის ბრალეულობაზე. ამის საილუსტრაციოდ პროფესორ სტროგოვიჩს მოჰყავს მ. შ. გროძინსკის ნაშრომიდან („მხილებანი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, 1945.“) მაგალითი, რომლის მიხედვითაც ყაჩაღური თავდასხმის დროს მკვლელობის ფაქტი დადგენილი იქნა შემდეგი არაპირდაპირი მტკიცებულებებით: ორივე ბრალდებული ერთად ნახეს გავლილი იმ გზაზე, რომელზედაც ადრე გაიარა და მერე აღმოჩნდა მოკლული დაზარალებული. ერთ ბრალდებულთან ჩხრეკის დროს აღმოჩნდა დაზარალებულის შარვალი (სისხლის ლაქებით) და მისი განმარტება, თითქოს ეს შარვალი იყიდა ბაზარზე, სიცრუე გამოდგა: ამ შარვალზე და მეორე ბრალდებულის ტანსაცმელზე აღმოჩენილი სისხლის ლაქები იმავე ჯგუფისა იყო, როგორც კქონდა დაზარალებულს; მოკლულის ხელში ჩაბღუჭული პიჯაკის ჯიბე მიესადაგა თავისი ნახევების მიხედვით ბრალდებულის პიჯაკის გამოგლეჯილ ნაჯიბარს. მეორე ბრალდებულმა თავის ნაცნობებს განუცხადა, რომ უგზოუკვლოდ გადაკარგული დაზარალებული მოკლულიაო, იქამდე სანამ დაზარალებულის გვამი იქნებოდა აღმოჩენილი და ამოცნობილი.¹

VII. მტკიცების პროცესი

1. ზოგადი საკითხები

მტკიცების პროცესი მტკიცებითი სამართლის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა და მასთან დაკავშირებული საკითხების სწორად გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული სასამართლო-საგამოძიებო მიზნებისა და ამოცანების უზრუნველყოფა. მტკიცების პროცესს უწოდებენ მომკვლევის, გამოძიებლის, პროკურორის, სასამართლოსა და სხვა მტკიცების სუბიექტების მონაწილეობით მტკიცებულებითი ინფორმაციების შეკრების, ფიქსირების, შემოწმებისა და

¹ მ. ს. სტროგოვიჩის დასახელებული ნაშრომი, გვ. 387.

შეფასებისათვის პროცესუალურ ფორმებში წარმოებულ საქმიანობას, ქეშმარიტების დასადგენად და სასამართლო წარმოების ამოცანების უზრუნველსაყოფად.¹ დანაშაული, მისი ჩადენის მომენტიდან ჰკარგავს რეალობას, იგი არსებობს მხოლოდ ინფორმაციების სახით, რომლებსაც იძლევიან საგნები და ადამიანები. დანაშაული თავისი ჩადენის ფორმებით განუმეორებელია და ამიტომ, ცხადია, არ შეიძლება მისი იმ სახით შეცნობა, როგორც სინამდვილეში მოხდა; უფრო სწორად, ჩვენ ვერ გავხედებით მოწმენი უშუალოდ წარსულში მომხდარი მოვლენისა და ამიტომ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ამ მოვლენის გაშუალებული შესწავლით. ფილოსოფიურ ლიტერატურაში დაგმობილია ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც აბსოლუტური ქეშმარიტება (შეფარდებითი ქეშმარიტებისგან განსხვავებით) თითქოს არ არის დამოკიდებული დროზე, ადგილზე, შემეცნებელზე. ცნობილია, რომ აბსოლუტური ქეშმარიტებას უწოდებენ ფაქტების ქეშმარიტებასაც (ცალკე მოვლენა), მათემატიკურ ფორმულებსაც და ზოგიერთ ფიზიკურ კანონებსაც, ზოგად მსჯელობასაც (მაგალითად, „ყველა ადამიანი მოკვდავია“). ვ. ფ. კუზმინი შენიშნავს, რომ მეცნიერებას არ შეუძლია შეიზღუდოს ასეთი მითითებებით. მისი სიტყვით, საკმარისი არ არის ფაქტის აღიარება, საჭიროა მისი ახსნა; ზოგადი დებულებაც კონკრეტულ პირობებში გამოყენების გამო აღრმავებს და აფართოებს თავის შინაარსს; მაგრამ რაც შეეხება მთლიან შემეცნებას, იგი ისწრაფვის შეიცნოს მთელი ობიექტური სამყარო, ე. ი. გახდეს აბსოლუტური ქეშმარიტება ამ სიტყვის მთავარი მნიშვნელობით, ოღონდ ყველა მოცემულ მომენტში იგი შეზღუდულია, წარმოადგენს შეფარდებით ქეშმარიტებას.² ის, რომ ქეშმარიტებისათვის საჭიროა ფაქტის ახსნა და არა მისი უბრალო აღიარება, სპეციალურ დამტკიცებას არ მოითხოვს. თუ დავეთანხმებით ავტორს, რომ ყველა ქეშმარიტება უნდა იყოს როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი,³ მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, ივანიშვილის მიერ პეტრიაშვილის მკვლელობის ფაქტი აბსოლუტური სინამდვილეც არის და შეფარდებითიც; ასეთი დასკვნა კი ფაქტიურად საკითხის გადაწყვეტაზე უარის თქმა იქნებოდა. თუ ყველა შეფარდებითი ქეშმარიტება უნდა შეიცავდეს აბსოლუტური ქეშმარიტების ელემენტებს, როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ეს ელემენტებია და სხვა არაფერი მოვლენის

¹ თ ე ო რ ი ა, გვ. 298.

² ვ. ფ. კ უ ზ მ ი ნ ი, ობიექტური და სუბიექტური. (რუსულ ენაზე), 1976, გვ. 113—114.

³ ი კ ე ვ ე, გვ. 114.

(ცოდნის) ჰეშმარიტობის მაუწყებელი, ხოლო იმიტომაც არ შეიძლება აბსოლუტურად დამთავრდეს ცოდნა, რომ თვითონ სამყარო დაუსრულებელი; ამას გარდა, ათასჯერ არის შენიშნული, რომ თვითონ კონკრეტულ საგნებსაც დაუსრულებელი მხარეები და ნიშნები აქვთ, რომლებიც ყოველ საჭირო შემთხვევაში დამოუკიდებელ კვლევის საგნებადაც კი გადაიქცევიან. ასეთ დამოუკიდებელ კვლევის საგნად უნდა მივიჩნიოთ, მაგალითად, დანაშაული, რომელიც შეისწავლება მთელი თავისი ნიშნებით დასრულებული სახით.

მტკიცების პროცესში, უეჭველად იგულისხმება მეცნიერული დებულებების გამოყენება; წარმოუდგენელია შევიმეცნოთ დანაშაული, როგორც წარსულში მომხდარი მოვლენა, თუ არ ვეუფლებით, პირველ რიგში, იმ მეცნიერულ მეთოდებს, რომლებიც შემუშავებული იქნენ პრაქტიკის საჭიროებისამებრ და თვით პრაქტიკითვე დადასტურებულია მათი ჰეშმარიტი ხასიათი. მართალია, განსხვავებით დანაშაულის ჩადენის კონკრეტული შემთხვევისაგან, მეცნიერული დებულება განიცდის ცვლილებებს, იგი იხვეწება და ივსება მეცნიერული დარგის განვითარების შესაბამისად, მაგრამ აქედანაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ცალკეული დებულებები არ შეიცავენ აბსოლუტური ჰეშმარიტების ელემენტებს. რამდენადაც დანაშაულის შემეცნება ხდება მომკვლევის, გამოძიებლის, ან მოსამართლეთა მიერ, ცხადია, ისინი უნდა ფლობდნენ მეცნიერულ მეთოდებს დანაშაულის გახსნისა და გამოძიებისათვის. არავის არ შეუძლია უარყოს, ცხადია, ყველა მოვლენის განვითარებადობის ხასიათი; მაგრამ მტკიცების პროცესში ყურადღების ცენტრშია თვით დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების (პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი, გამომრიცხველი გარემოებანი) გაიგივება და არა ის, რომ მკვლევლობის შემდეგ, მაგალითად, არ მოხდება გვაშის გახრწნა, არ შეიცვლება გარემოს ნივთიერი ნიშნები და ა. შ. დანაშაულის დადგენა, მისი გაიგივება შესაძლებელია მხოლოდ აბსოლუტური ჰეშმარიტების დონეზე. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები არ უარყოფდნენ მუდმივი ჰეშმარიტების დადგენას. ფრ. ენგელსი ჰეშმარიტების პრობლემას სპეციალურად იხილავს თავის ცნობილ „ანტი-დიუერინგში“. ფრ. ენგელსი ჰეშმარიტების თვალსაზრისით მეცნიერებებს სამ დიდ ნაწილად ჰყოფს. პირველს აკუთვნებს მათემატიკას, ასტრონომიას, მექანიკას, ფიზიკას, ქიმიას და აქვე დასძინს, რომ თუ ვისმეს სიამოვნებას გვრის პრტყელ-პრტყელი სიტყვებით უბრალო ნივთები გამოხატოს, შეიძლება თქვას, რომ ამ მეცნიერებათა ზოგიერთი რეზულტატი წარმოადგენს საბოლოო ჰეშ-

შარხტებას, ამიტომაც ეწოდათ ზუსტი მეცნიერებანი; მაგრამ მათი ყველა რეზულტატი როდი ატარებს ასეთ ხასიათს. ფრ. ენგელსი მეორე კლასს აკუთვნებს ისეთ მეცნიერებებს, რომლებიც სწავლობენ ცოცხალ ორგანიზმებს. აქაც უშვებს მუდმივ კეშმარხტების დადგენის შესაძლებლობებს, მაგრამ ისეთი სახით, როგორცაა — „ყველა ადამიანი უნდა მოკვდეს“ და ა. შ. საბოლოო კეშმარხტების დადგენის სიძნელეს ფრ. ენგელსი უფრო მეტად ისტორიული წგუფის მეცნიერებებში ხედავს; იგი ასახელებს საბოლოო, ბანალური კეშმარხტების თვალსაზრისით ისეთ მაგალითებს, როგორცაა: ნაპოლეონი მოკვდა 1821 წლის 5 მაისს, რომ დღემდე ადამიანები იყოფოდნენ აგრეთვე გაბატონებულებად და დამორჩილებულებად და ა. შ.¹ როგორც ჩანს, მუდმივი (ბანალური) კეშმარხტების დადგენა უხდებთ შეშეცნების ყველა სფეროში; ვ. ი. ლენინის შენიშვნით, მეცნიერების განვითარების ყველა საფეხური ახალ მარცვალს უმატებს აბსოლუტური კეშმარხტების წამს. კეშმარხტების ფარგლების შეფარდებითობას და მის ამოუწურაობას საბოლოოდ, ცხადია, სამყაროს უსასრულობა განაპირობებს. არასოდეს არ დადგება ის მომენტი, კრიმინალისტიკამ, როგორც დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების ტექნიკური და ტაქტიკური ხერხების შესახებ სწავლებამ, ამოწუროს თავისი განვითარება (იქამდე, ცხადია, სანამ კაცობრიობას აღარ დასჭირდება დანაშაულთან ბრძოლა); მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, რომ, რაკი კეშმარხტება ყოველთვის კონკრეტულია (მოვლენა განიხილება მისი პირობების, დროსა და ადგილის მიხედვით), შეშეცნების განვითარების ყველა ეტაპზე კეშმარხტება ატარებს მეტწილად მიახლოებით, პირობით ხასიათს.² ლიტერატურაში ორიგინალურად არის დაყენებული საკითხი კეშმარხტებისა და სარწმუნოების (დამაჩერებლობის) ურთიერთთან მიმართების საკითხი. ა. რ. რატინოვს მიაჩნია, რომ შესაძლოა შეიმეცნოს საგანი და იყო კეშმარხტი ცოდნის მფლობელი „შენთვის“, ისე რომ აღარ იზრუნო ამ ცოდნის სხვებზე გადაცემისათვის, სხვათა გამოყენებისათვის, სხვებისათვის სარწმუნოდ დასაბუთებისათვის.³ სასამართლო წარმოების ამოცანების გადაწყვეტას ავტორი უკავშირებს არა მარტო კეშმარხტების დადგენას, არამედ გამოსაძიებელი და სასამართლო განსახილველი საგნის სარწმუნო ცოდნას (ნამდვილობას). პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი აკრიტიკებს ა. რ. რატინოვის ამ პოზიციას და დასძენს, რომ ინდივიდუალური შეშეცნება არაფრით არ შეიძლება დაკმაყოფილ-

1 ფ რ ი დ რ ი ს ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დურონიზმი, 1952, გვ. 103—106.

2 ი ბ. ვ. ფ. კ უ ზ შ ი ნ ი ს დ ა ს ა ხ. ნ ა შ რ ი შ ი, გვ. 118.

3 თ ე ო რ ი ა, გვ. 288.

დეს „თავისთვის“ შემეცნებით, თუ იგი ნამდვილი, მეცნიერული შემეცნებაა და შემეცნებელს სურს დარწმუნებული იყოს რომ მის მიერ გაგებულნი კეშმარიტია.¹

კეშმარიტება რომ ყოველთვის დამაჯერებელიც (სარწმუნოც) უნდა იყოს, თითქოს სადავო არ უნდა გახდეს. კეშმარიტება, რაკი შემეცნებელის გარეშე არ არსებობს, მაშასადამე, თუ შემეცნებელს არ სწამს, თავად არ არის დარწმუნებული ამა თუ იმ მოვლენის კეშმარიტობაში, კეშმარიტებასთანაც არ გვექნება საქმე. მაგრამ, ეტყობა. საკითხი მარტო ამ თვალსაზრისით ვერ ამოიწურება. კეშმარიტებას აფასებს არა მარტო ის, ვინც მას აღგენს, არამედ ისიც, ვინც შემდგომში მას იყენებს და ა. შ. გამომძიებლის მიერ დადგენილი კეშმარიტება მარტო გამომძიებლისათვის როდი არის სარწმუნო, იგი უნდა მიიჩნიოს ასევე კეშმარიტებად მოსამართლეებმაც და საერთოდ პროცესში მონაწილე ყველა პირმა. ამ თვალსაზრისით, უეჭველად მართალია ა. რ. რატინოვი; მართლაც, დამაჯერებლობა ნიშნავს სარწმუნოდ იყოს გარკვეული მოვლენა მონაცემების მიხედვით; მაგრამ, როგორც ჩანს, მ. ს. სტროგოვიჩს უმთავრესად მხედველობაში ჰყავს თვით შემეცნებელი, რომელიც ყოველთვის დაინტერესებულია დამაჯერებელი გახადოს კეშმარიტება არა მარტო „თავისთვის“, არამედ ყველასათვის. ამ თვალსაზრისით ძნელია კეშმარიტება დავაშოროთ დამაჯერებლობას. ისინი შესაძლოა იდენტური არ იყვნენ, როგორც ამას მ. ს. სტროგოვიჩი ფიქრობს, ოღონდ, კეშმარიტების აუცილებელ ნიშნად რომ დამაჯერებლობა უნდა იქნეს მიჩნეული, უდავოდ გვეჩვენება. მაგრამ არც თუ ისე იშვიათად, გამომძიებლის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნას, რაც მისი აზრით კეშმარიტებას ასახავს, არ ეთანხმება მოსამართლე; სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენი არ მიიჩნია საზოგადოებას მართებულად და ა. შ. რა არის ამ შემთხვევაში მთავარი? თუ პროცესში მონაწილე ყველა პირისათვის, საზოგადოებისათვის არ არის დამაჯერებელი კეშმარიტება, როგორღა ვილაპარაკოთ საგამომძიებო-სასამართლო მოქმედებათა პრევენტიულ ხასიათზე? შეიძლება თუ არა, რომ ყოველთვის გასაგებად ვერ იქნას დადგენილი კეშმარიტება? სხვათა შორის, ა. ე. მარუ ფიზიკურ მეცნიერებათა სფეროში კეშმარიტების დადგენასთან დაკავშირებით შენიშნავს: კეშმარიტება არ არსებობს ველურისათვის, ბავშვისათვის, სულელისათვის და უეციისათვის; კეშმარიტება არსებობს მხოლოდ მცოდნე ფიზიკოსისათვის.² ამ დებულების გან-

¹ მ. ს. სტროგოვიჩი, დასახ. კურსი, გვ. 296—297.

² იბ. ვ. ფ. კუზმინის, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

ზოგადებით ძნელი არ არის გავიგოთ ავტორის უზუსტობა. მაგრამ, ჩვენ აქ გვინტერესებს სწორედ მტიციების პროცესში ქვეშაირიტების დამაჩერებლობის კონკრეტული პრობლემა. ანბანური ბანალობაა, უცოდინარს ვერ დაარწმუნებ ამა თუ იმ დებულების სისწორეში იქამდე, სანამ არ შეაგნებინებ თვით ამ დებულების არსს. მაგრამ თუ პროცესში მონაწილე ყველა პირი და, რაც მთავარია, საზოგადოება ვერ ჩასწვდება გამომძიებლის ან სასამართლოს მიერ დადგენილ ქვეშაირიტებას, აღარც ამ ორგანოების მოქმედებათა აღმზრდელით სასიათზე ივარგებს ლაპარაკი. აბა, რისთვის არის საჭირო ისეთი საბრალდებო დასკვნა ან განაჩენი, რომლის შინაარსის ქვეშაირიტება მხოლოდ გამომძიებელს ან მოსამართლეს სწამს? საგამომძიებო-სასამართლო საქმიანობა პრაქტიკულ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება. ეს ამოცანები ორგანულად უნდა იქნენ დაკავშირებული საზოგადოების ინტერესებთან. როდესაც გამომძიებელს სჯერა, სწამს ბრალდებულის მიერ მოცემული დანაშაულის ჩადენა, ეს ამავე დროს სარწმუნო უნდა იყოს ზედამხედველი პროკურორისათვისაც, ადვოკატისათვისაც, როდესაც იგი მონაწილეობს გამოძიებაში და ა. შ. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ა. რ. რატინოვი მართალია, მაგრამ წარმოუდგენელია საერთოდ გამომძიებელმა ქვეშაირიტება დაადგინოს მხოლოდ „თავისთვის“, ისე, რომ იგი არ ზრუნავდეს „სხვისთვისაც“. აქ ალბათ უფრო მართებული იქნება ვილაპარაკოთ გამომძიებლის რწმენის მცდარობაზე; ე. ი. სინამდვილის დამახინჯებულად ასახვაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველი შეცდომა თუმცა სინამდვილის დამახინჯებულ ასახვას წარმოადგენს.¹ მაგრამ სიცრუე არ შეიძლება გათანაბრდეს შეცდომასთან. სიცრუე სინამდვილის განზრახ დამახინჯებას ნიშნავს, მაშინ როდესაც შეცდომა აზროვნების ლოგიკურ თანმიმდევრობაში, შეცდომა ორაზროვანი ტერმინების ხმარების გამო, გამოთვლებაში დაშვებული შეცდომები, ცხადია, სიცრუეს არ გულისხმობს. ამიტომ, ფიქრობთ, არ უნდა იყოს გამართლებული კ. ბაქრაძის მიერ სიცრუის შეცდომასთან გათანაბრება. შეცდომა არ შეიძლება იყოს ადამიანის მიერ შეთხზული.² პროფ. კ. ბაქრაძე ხელმძღვანელობს რა ლენინური დებულებით, ქვეშაირიტებას განსაზღვრავს, როგორც ჩვენი წარმოდგენების, აზრების შინაარსს, რომელიც არის არა ობიექტური რეალობა, არამედ

¹ კ. ბ ა ქ რ ა ძ ე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 5, 1976, გვ. 185.

² ი ქ ვ ე, გვ. 185. ცხადია, მცდარ მსოფლმხედველობებს საფუძვლად ედგება კლასობრივი ინტერესები. ამ შემთხვევაში სიცრუის როლი უფრო თვალსაჩინოა, რაც სინამდვილის დამახინჯებულად ასახვა ხდება ამა თუ იმ კლასის ბატონობის გამართლებისათვის.

ასანვა, მაგრამ იგი ადამიანის, კაცობრიობის ნება-სურვილსა და მის განწყობილებასზე, მის სუბიექტურ კომბინაციებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ობიექტური საგნებით, მათი კავშირებითა და მიმართებებით არის განსაზღვრული ისე, როგორც ეს საგნები, მათი კავშირები და მიმართებანი არსებობენ.¹ ამ განსაზღვრებით, როგორც ჩანს, თავს ვალწვეთ ტავტოლოგიასაც (ე. ი. აღარ ვიმეორებთ: ქეშმარიტება არის სინამდვილის ქეშმარიტი ასახვაო), მაგრამ ჩვენ ეს საკითხი ამჟამად გვაინტერესებს უფრო ქეშმარიტების დამაჩერებლობის თვალსაზრისით. პროფ. კ. ბაქრაძემ საკმაოდ სარწმუნოდ დაასაბუთა აგრეთვე თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსის ჰუსერლის პოზიციის მკლარობაც; ჰუსერლის აზრით, არსებობენ ქეშმარიტებანი თავისთავად, ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად.² უფრო სწორად, ქეშმარიტება მას დაჰყავდა საგნის „როგორობამდე“, რაკი საგნები ადამიანის ნება-სურვილის გარეშე არსებობენ გარკვეულად. როგორც ჩანს, აქ ძნელია ვილაპარაკოთ არა მარტო ქეშმარიტების დამაჩერებლობაზე, არამედ საერთოდ მის შემეცნებით ხასიათზე. ქეშმარიტება, რა თქმა უნდა, არ უდრის საგნების ობიექტურ არსებობას, ქეშმარიტება გულისხმობს სწორედ აზროვნებას. დამაჩერებლობაც დაკავშირებულია აზროვნებასთან. სუბიექტი მაშინ არის დარწმუნებული თავის შეხედულებების ქეშმარიტობაში, როდესაც, უნდა თუ არ უნდა, ობიექტურად არსებული საგნები აისახებიან იმდაგვარად, როგორც ისინი არსებობენ. რაკი გამოძიება (წინასწარი და სასამართლო) პრაქტიკული საქმიანობაა, ამიტომ, როგორც აღვნიშნეთ, რაღა თქმა უნდა, საჭიროა ზრუნვა იმისათვის, რომ ქეშმარიტება დამაჩერებელი იყოს ყველასათვის; სხვანაირად საზრისსაც დაკარგავდა მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.

მტკიცების პროცესში ცალკე ყურადღებას იპყრობს ლოგიკის პრობლემები. ლოგიკის, როგორც სწორი აზროვნების ფორმებსა და კანონებსზე მეცნიერების მონაცემები იმთავითვე იწვევდნენ ინტერესს მკვლევართა შორის. როგორც ცნობილია, ამ თვალსაზრისით საინტერესო გამოკვლევებია შექმნილი. რას უნდა ემსახურებოდეს მტკიცების პროცესში ლოგიკის მონაცემები? რასაკვირველია, რაკი გამოძიებელი (სასამართლო) გამოძიების პროცესში შეიმეცნებს

¹ კ. ბაქრაძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 5, 1976, გვ. 164.

² დასახ. ნაშრომი, გვ. 165. თუ ჰეგელისათვის საგანია თვითონ ქეშმარიტება. კანტის მხედვით, ქეშმარიტება აზრის სახით არსებობს, იგი ცნობიერებაშია. იგი ობიექტურია, რაკი შემეცნებელის აზროვნების სტრუქტურა თავისებურია და მას არ შეუძლია სხვაგვარად აზროვნება. ობიექტური ქეშმარიტება არის ჩვენი წარმოსახვით ისეთი შინაარსი, რომელიც სუბიექტზე, კაცობრიობაზეა დამოკიდებული (იქვე, გვ. 170).

დანაშაულთან დაკავშირებულ მოვლენებსა და ფაქტებს, ცნობილია, მას სჭირდება სწორი აზროვნება, აზროვნების კანონების ზუსტი დაცვა, აზრთა კავშირის სისწორის დამყარება ასახვის დროს, ცნებათა სწორი გამოყენება, მსჯელობათა წესების დაცვა, უშუალო და შუალობითი დასკვნებით სწორად სარგებლობა და ა. შ. პროფ. კ. ბაქრაძე საფუძვლიანად აკრიტიკებს ჩელპანოვის სახელმძღვანელოში დამკვიდრებულ პოზიციას, რომლის მიხედვით ქეშმარიტება არის მატერიალურიცა და ფორმალურიც. კერძოდ, ჩელპანოვის აზრით, დებულება მატერიალური ქეშმარიტებაა, თუ იგი სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ დანასკევი ფორმალური ქეშმარიტება იქნება, თუ იგი ლოგიკურად არის გამოყვანილი წინამძღვრებიდან (დანასკევი რომ არც შეესაბამებოდეს სინამდვილეს). კ. ბაქრაძე სამართლიანად უსვამს ხაზს, რომ ქეშმარიტება ერთია, რომ არ შეიძლება ერთი და იგივე მსჯელობა იყოს ერთდროულად ფორმალურად ქეშმარიტი, ხოლო მატერიალურად მცდარი, ფორმალურად მსჯელობა იქნება ქეშმარიტი, თუ ვიტყვი: დანაშაული არ არის ამორალური, ხ უ ლ ი გ ნ ო ბ ა დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ა; ხულიგნობა არ არის ამორალური.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, წინააღმდეგ ფორმალური ქეშმარიტების მომხრეთა შეხედულებებისა, საქმე არა გვაქვს ქეშმარიტება-მცდარობასთან, თუმცა დანასკევი ფორმალურად ქეშმარიტი მსჯელობაა (გრამატიკულად სწორი წინადადება). როგორც ლიტერატურაში მიღებულია, ქეშმარიტება-მცდარობა დამოკიდებულია სინამდვილესთან მიმართებაზე და არა წინამძღვრებთან კავშირზე.² მსჯელობების დროს, აზრთა სისწორე ყოველთვის არ ნიშნავს ქეშმარიტებას; სოფისტური იქნება დასკვნა თუ ვიტყვი: „ის რაც არ დაგიკარგავს, შენ გაქვს“, „შენ არ დაგიკარგავს რქები“, „მამასადამე შენ გაქვს რქები“.³ მართებულად არის შენიშნული, რომ ცოდნის ქეშმარიტობა მხოლოდ შემეცნების პროცესში ვლინდება.

საეღე წერეთლის აზრით, „ქეშმარიტება არის აზრის ის ობიექტური შინაარსი, რომელიც დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, თვითონ აზრისაგან; ის დამოკიდებულია საგანზე, აზრისაგან დამოუკიდებელზე“.⁴ ავტორის შენიშვნით, აბსურდია ქეშმარიტად მიიჩნია ქეშმარიტების უარყოფა.⁵ მაგრამ თუ შეფარდებითი ქეშმარიტების

1 კ. ბაქრაძე, ლოგიკა, 1955, გვ. 53.

2 იქვე, გვ. 54.

3 ნ. ე. კონდაკოვი, ლოგიკის ძირითადი კანონები, 1950, გვ. 196.

4 ქაუჯი წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, 1965, გვ. 17.

5 იქვე, გვ. 19.

კემმარიტობა სწორედ ისაა, რომ მასში არის აბსოლუტური კემმარიტება, მაშინ, ჩვენი აზრით, გაურკვეველია რატომ უწოდებს ს. წერეთელი შეფარდებით კემმარიტებას აბსოლუტური კემმარიტების ერთ მხარეს? ავტორის სიტყვით, „შემეცნების თეორია სწავლობს იმას, თუ როგორი დამოკიდებულება არსსა და აზრს შორის, როგორ არის შესაძლებელი აზრის ობიექტურობის კემმარიტობა; ლოგიკა კი მხოლოდ აზრის, ობიექტური აზრის წესებსა და კანონებს შეისწავლის“.¹ სასამართლო წარმოების თვალსაზრისით, ლოგიკის მნიშვნელობაზე რომ ლაპარაკია, გათვალისწინებულა, როგორც ცნებების, მსჯელობების, დასკვნებისა და ანალოგიის, ისე აზროვნების კანონებისა და დასაბუთების გამოყენების თავისებურებანი. დანაშაულებრივ მოვლენასთან დაკავშირებული გარემოებანი აისახება ხოლმე აღქმის სახით შეგრძნების ორგანოების მეშვეობით, და თანაც სწორედ იმდაგვარად. როგორც ისინი გვეძლევიან სენსორული (თვალსაჩინო) თვისებებით. მოწმე აღიქვამს, მაგალითად, თუ როგორ გამოიყურება კვალი, რა ფორმისაა საგანი, როგორი გემო აქვს საკმელს და სხვ. ასევე შეუძლია მას წარმოდგენა იქონიოს შეგრძნებითი შთაბეჭდილებების სახით საგნის გარკვეულ-გარეგან, თვალსაჩინო თვისებებზე. ამიტომ მტკიცების პროცესში გასათვალისწინებელია აღქმისა და წარმოდგენის თავისებურებანი, მაგრამ ამ დროს გამოიყენება აგრეთვე ცნებები, ე. ი. ობიექტური რეალობის განზოგადებული ასახვანი; ცნებებში, როგორც ცნობილია, აისახება ხოლმე საგნის არსის სწორედ ის, რაც არათვალსაჩინოა, უფრო სწორად, საგნის არსობა მოცემულია ისეთი ნიშან-თვისებების სახით, რომლებითაც უშუალო აღქმას არ ექვემდებარებიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, რაკი „ფსიქოლოგიურად ცნება განიცდება, როგორც სიტყვის მნიშვნელობა“ და თანაც სიტყვის მნიშვნელობის ყოველი განცდა (აზრი) არ არის ცნება, „სიტყვის მნიშვნელობა მაშინ წარმოადგენს ლოგიკურს. ანუ მეცნიერულ ცნებას, როდესაც ადამიანი ამ მნიშვნელობაში მოცემული ცნების არსებით ნიშნებს გულისხმობს, და, მაშასადამე, შეუძლია ამ ცნების განსაზღვრების მოცემა“.²

როდესაც ლაპარაკია კონკრეტულ დანაშაულზე მსჯელობის შესახებ,³ იგულისხმება, რომ არსებობს აზრი, რომელიც თვით ამ დანაშაულებრივ მოვლენას უკავშირდება. მტკიცების პროცესში მსჯე-

1 სავლე წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, 1965, გვ. 20.

2 რეაზ ნათაძე, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, 1969, გვ. 200.

3 მსჯელობის შესახებ იხ. ვ. ფ. ასმუსი, ლოგიკა, 1947, გვ. 69—146. დ. პ. გორსკი, ლოგიკა, 1958, გვ. 84—138. ე. ა. ხომენკო, ლოგიკა, 1971, გვ. 63—80.

ლობის გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საგამოძიებო — სასამართლო მოქმედებათა მიზნობრივი ჩატარება. მსჯელობას ექნება ადგილი, როდესაც ვამბობთ, რომ „ეს შემთხვევა დანაშაულის ფაქტია“. ივანიშვილმა გაძარცვა პეტრიაშვილი, „პეტრიაშვილი დაზარალებულია“ და სხვა. როდესაც ვამომძიებელი, მაგალითად, მსჯელობს — „პეტრიაშვილი დაზარალებულია“, ამით აისახება, როგორც იტყვიან, პეტრიაშვილის დაზარალებულთა „წრეში შეტანა“. ეს წრე კი განისაზღვრება იმით, რომ დაზარალებულს დანაშაულით მიერგება ზოლზე ან მატერიალური, ან მორალური, ან ფიზიკური ზიანი. როგორც ცნობილია, „მსჯელობები, რომელთა შემადგენელი ელემენტები წარმოადგენენ სუბიექტისა და პრედიკატის ცნებებს, — მარტივი მსჯელობებია. მსჯელობები, რომელთა შემადგენელი ელემენტები მსჯელობებია, რთულ მსჯელობებს წარმოადგენენ“...¹ გამოძიების პროცესშიც, თავისთავად ცხადია, ადგილი აქვს სხვადასხვა მსჯელობებს (მაგალითად, ვმსჯელობთ საგანთა არსებობის ან არარსებობის შესახებ; განვსაზღვრავთ ამა თუ იმ საგნისადმი ნიშნების მოკუთვნებს; ვადგენთ საგანთა შორის მიმართებას ისეთი მსჯელობით, როგორცაა „დანაშაული ზიანის მიზეზია“ და სხვა).

როგორც ცნობილია, იმ შემთხვევაში, როდესაც არ გვიხდება მსჯელობათა დასაბუთება („რევოლვერი ჟანგიანია“ „თითის ანაბეჭდი ხეული ქარგია“, „დამნაშავენი თარეშობენ“...), საქმე გვაქვს უშუალო ცოდნასთან, რომელიც ემყარება აღქმით მიღებულ ჰეშმარიტებს, მაგრამ არის აგრეთვე ე. წ. გაშუალებით (დასკვნით) მიღებული ცოდნა. მსჯელობა — კანონიერების დამცველმა არ შეიძლება იცხოვროს დამნაშავეთა ხარჯზე, ვერ დასაბუთდება უშუალო ცოდნით (აღქმით). ეს მსჯელობა მოითხოვს დასაბუთებას სხვა მსჯელობებით, ადრე უკვე მიღებული ცოდნით.²

დასკვნა ლოგიკურ ხერხად არის მიჩნეული, იგი აზრის გარკვეული ფორმაა, რომელიც შეიძლება მცდარიც იყოს.³ შენიშნულია, რომ ჰეშმარიტების მისაღწევად საჭიროა არა მარტო დასკვნის ფორმის გამოყენება, არამედ ამ ფორმაში ჰეშმარითი შინაარსის მოცემულობაც, რაც თავისთავად ცხადია, მიიღწევა საგანთა და მოვლენების როგორც ცოცხალი განჭკვრებით, ისე შუალობით ცოდნით, მაგრამ როდესაც ლოგიკოსები დასკვნის მარტივ მაგალითზე — $A=B$; $B=C$; $A=C$ — ლაპარაკობენ, აქვე აღიარებენ, რომ წინამძღვარში დადგენი-

¹ კ. ბაქრაძე, ლოგიკა, გვ. 171.

² კ. ბაქრაძე, ლოგიკა, 1955, გვ. 127—228. იხ. აგრეთვე დ. პ. გორასკი, ლოგიკა, 1958, გვ. 244—268. ვ. ფ. ასბუსი, ლოგიკა, 1947, გვ. 147—207.

³ კ. ბაქრაძე, იქვე, გვ. 229.

ლი სამი სიდიდის (A, B, C) მიხედვით, დასკვნაში A-სა და C ტოლობის დადგენით ახალი არაფერი გვეძლევა. ამ შემთხვევაში ხდება წანამძღვრებში მოცემულობის უბრალოდ გამეორება...; ისიც შენიშნულია, რომ ლოგიკურად (განსხვავებით ფსიქოლოგიურისაგან) დანასკვი ერთნაირი ღირებულებებისა „სიახლეს“ წარმოადგენს თუ არა იგი.¹ ლოგიკური დასკვნის ეს მარტივი ფორმა შეგვიძლია გამოვიყენოთ დანაშაულის კვალიფიკაციის მიმართაც. კერძოდ, დასკვნა ამ შემთხვევაში ასეთ ფორმას მიიღებს: ხულიგნობა არის საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, რაც გამოხატულია საზოგადოების აშკარა უპატივემულობაში; ივანიშვილმა უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რაც გამოიხატა საზოგადოების აშკარა უპატივემულობაში, ივანიშვილმა ჩაიდინა ხულიგნობა. აქედან ჩანს, რომ ჭეშმარიტება უნდა ვეძიოთ სწორედ წანამძღვრებში. როგორც ცნობილია, შუალობითი დასკვნა ემყარება ორ ან მეტ წანამძღვარს, მაშინ როდესაც უშუალო დასკვნა მხოლოდ ერთი წანამძღვარის შედეგია. ლიტერატურაში მართებულად არის შენიშნული, რომ უშუალო დასკვნაში მსჯელობიდან ვერ მივიღებთ თვით ამ მსჯელობისაგან განსხვავებულ რაიმეს; ერთი მსჯელობიდან ერთი აზრი გამომდინარეობს (მაგალითად, მკვლელობა დანაშაულია)... შუალობითი დასკვნა შეიძლება ატარებდეს ინდუქციურ (კერძოდან ზოგადისაკენ), ან დედუქციურ (ზოგადიდან კერძოსაკენ) სახეს. მიღებულად ითვლება, რომ დედუქციურია დასკვნა, რომლის დანასკვი ან ნაკლებად ზოგადია, ან იმავე ზოგადობისაა, როგორც წანამძღვრები.² კონკრეტულ მაგალითზე ეს ასე გამოჩნდება: „დანაშაული ამორალური ქცევაა“, „გაუპატიურება დანაშაულია“, „გაუპატიურება ამორალური ქცევაა“ (ამ კატეგორიულ სილოგიზმში, დასკვნით მსჯელობასთან შედარებით. წანამძღვრები ზოგადია).

მტკიცების პროცესში დიდი გამოყენება აქვს ე. წ. ინდუქციურ დასკვნებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სავარაუდონი არიან. გარჩევნ სრულ და არასრულ ინდუქციის სახეებს. სრულ ან შემავარდნებელ ინდუქციას გულისხმობენ მაშინ, როდესაც წანამძღვრების კრებადობა მიუთითებს საგანთა რომელიმე გვარზე (ჭგუფზე) და ამის შესახებ დასკვნაშია გამოთქმული, მაგალითად, ასეთი აზრი: „მკვლელობა იწვევს მატერიალურ შედეგს“, „თაღლითობა, გაუპატიურება, უჩალობა და სხვა — ჩამოთვლილია ყველა მატერიალური დანაშაული“... მაშასადამე, „ყველა მატერიალური დანაშაული იწვევს მატერიალურ შედეგს“.

¹ კ. ბაქრაძე, გვ. 233.

² В. Ф. Асмус, Логика, 1947, с. 235—239.

რიალურ შედეგს“. ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ სრულ ინდუქციურ დასკვნას დედუქციური ნიშნებიც ახასიათებს, რომ თუ წანამძღვრები ჰეშმარიტია, დასკვნა იქნება არა მხოლოდ სააღბათო, არამედ ჰეშმარიტიც.¹ ავტორები ნაკლებ შემეცნებითი ლირებულების მქონედ მიიჩნევენ სრულ ინდუქციას იმიტომ, რომ დასკვნაში ნაჩვენებია ის ზოგადი მსჯელობა, რომელიც წანამძღვარიცაა. თუ ჩვენ ამას დანაშაულის კვალიფიკაციას დაუქვეშებთ, დავრწმუნდებით, რომ დასკვნას ჰეშმარიტებასთან ვერ გავაიგივებთ. ასევე ცნობილია, რომ მარტივი ჩამოთვლის მეშვეობით ინდუქცია ზოგჯერ მცდარი დასკვნის წყაროა, რაკი იგი არ ითვალისწინებს შესაძლებელ მიზეზებსა და ამიტომ საჭიროა ვარაუდის მეცნიერული დადასტურება (ანალიზი და სსგ.). არასრული ინდუქციის პოპულარული სიხე, როგორც მიღებულია, გვექნება იმ შემთხვევაში, როდესაც ვასკვნით მომხდარი შემთხვევების საფუძველზე. თუ, მაგალითად, ივანიშვილი მსჯავრდებული იქნა ერთი და იგივე ხერხით სამჯერ ქურდობის ჩადენისათვის, მისი საპყრობილედან განთავისუფლების შემდეგ იმავე ხერხით ქურდობა მოსალოდნელია ჩაიდინა თვით ივანიშვილმა, მაგრამ, უდავოა, ამ გზით მიღებული დასკვნები მცდარიც გამოდგება ხოლმე. როგორც ლიტერატურაში სწორად მიუთითებენ, თუ პოპულარული ინდუქციისათვის ამოსავალია ფაქტების რაოდენობა, მეცნიერული ინდუქციისათვის მთავარია თვით ფაქტების ბუნება. ვერსიის (პიპოთეზის) აგება, ცხადია, წარმოუდგენელია დედუქციისა და ინდუქციის გარეშე.² როგორც ცნობილია, ინდუქცია ემყარება ანალოგიასაც, მაგრამ ანალოგიას დასკვნის გარკვეულ სახედაც თვლიან; ე. ი. გულისხმობენ დანასკვნის მიღებას საგანთა ნიშნების მსგავსების საფუძველზე, კ. ბაქრაძე ანალოგიის საფუძველზე დასკვნას დედუქციურ დასკვნას უქვეშებებს.³ მტკიცების პროცესში, თავისთავად ცხადია, შეუძლებელია ანალოგიით დაკმაყოფილება. გამომძიებელი (სასამართლო) ანალოგიით სარგებლობს იმდენად, რამდენადაც აღბათობიდან ცდილობს კატეგორიულ დასკვნებისათვის საფუძველების მოძებნას.

მტკიცების პროცესში განსაკუთრებით აღსანიშნავია აზროვნების კანონების მნიშვნელობა.⁴ არ მოითხოვს სპეციალურ მტკიცებას, რომ იგივეობის კანონი, წინააღმდეგობის კანონი და გამომრიცხველი

1 კ. ბაქრაძე, იქვე, გვ. 280—382. იხ. აგრეთვე — ვ. ფ. ასმუსი, ლოგიკა, 1947, გვ. 235—290, დ. პ. გორსკი, ლოგიკა, 1958, გვ. 244—268.

2 პიპოთეზის შესახებ იხ. დ. პ. გორსკი, ლოგიკა, 1958, გვ. 270—274.

3 კ. ბაქრაძე, გვ. 409.

4 იქვე, გვ. 418—441.

მესამის კანონი დიდ როლს ასრულებენ კეშმარიტების ძიებაში, თუმცა ისინი, როგორც ლოგიკის კანონები, არ წარმოადგენენ კეშმარიტების მიღწევის საკმარის პირობებს. მტკიცების პროცესში, სხვა სფეროში შემეცნების მსგავსად, გამომძიებელი (სასამართლო) უნდა ხელმძღვანელობდეს ამ კანონებით. იგივეობის კანონის თანახმად, საჭიროა გამომძიებელმა მტკიცების პროცესში ცნებები მხოლოდ ერთნაირი მნიშვნელობით იხმაროს. როდესაც ვლაპარაკობთ, რომ $A = A$, იგულისხმება აზროვნების პროცესში ცნებების ერთნაირ-შენელოვანება. ამ შემთხვევაში, როგორც მრავალჯერ არის შენიშნული, საქმე არა გვაქვს საგნებისა და მოვლენების უცვლელ იგივეობასთან, უფრო სწორად, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საგნები და მოვლენები განიცდიან მუდმივ ცვალებადობას. იგივეობის კანონი გულისხმობს მოცემულ მომენტში ნივთებისა და მოვლენების იდენტიფიკაციას მათი ნიშან-თვისებების მიხედვით. ჰეგელს, როგორც ცნობილია, დიალექტიკის საწინააღმდეგოდ და ამასთან ტაგტოლოგიად შიანდა იგივეობის კანონი, რაკი იგი ყველაფრის თავისთავთან იგივეობას გულისხმობს (ლიტერატურაში სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ეს პოზიცია).¹

1 კ. ს. ნ ა ი ა, ჰეგელი ლოგიკის კანონების შესახებ, „ლოგიკის საკითხები“, 1973, გვ. 89—143, ფორმალურის გარდა, ცნობილია დიალექტიკური ლოგია, რომელიც პირველად ჰეგელმა სცნო. დიალექტიკური ლოგიკის შესახებ წერდნენ ალექსეევი, როზენტალი, გოთელი და სხვანი. „დიალექტიკურ ლოგიკას“ ფუნდამენტური გამოკლევა მიუძღვნა სივლე წერეთელმა, რომელმაც ყველაზე უფრო ძირფესიანად ნათელყო დიალექტიკური. ლოგიკის, როგორც ფილოსოფიური ლოგიკის განვითარების გზები. ს. წერეთლის აზრით, მათემატიკური ლოგიკისა გან (რომელიც მათემატიკის სპეციალურ დარგს წარმოადგენს) განსხვავებით, დიალექტიკური ლოგია უნივერსალური ხასიათისაა (მეცნიერულ-შემეცნების ლოგია), რომელიც ამავე დროს მოქმედების მეთოდსაც წარმოადგენს. დიალექტიკური ლოგია სხვანაირად აზრის ფორმათა დიალექტიკური ლოგიკური განვითარებაა. რაკი დიალექტიკური ლოგია, როგორც ლოგია, არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა მეცნიერება აზროვნების ფორმების, კანონებისა და წესების შესახებ, ამიტომ, — ს. წერეთლის სიტყვით, — ორივე ლოგიკას (დიალექტიკურსაც და ფორმალურსაც) ერთი სავანი აქვს. მაგრამ აქვე დასძენს ავტორი, რომ ორი ლოგიკის აღიარება ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს, რადგან ორ ლოგიკას გამაერთიანებლად დასჭირდება მესამე და ა. შ. ავტორი გამოსავალს საკითხის შემდგენაობად გადაწყვეტაში ხედავს; ფორმალური ლოგია არის ლოგიკის განვითარების დაბალი საფეხური, დიალექტიკური ლოგია კი უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს; ფორმალური ლოგიკის განვითარება (რასაც იდგელი აქვს ახლაც) თუ ის სწორად წარმართება, აუცილებლად მიდის დიალექტიკურ ლოგიკამდე (იხ. მისი ნაშრომი, გვ. 30). ს. წერეთლის აზრით, ფორმალურ ლოგიკას იგივეობა ცალმხრივად ესმის, როგორც მხოლოდ აბსოლუტური იგივეობა (იგივეობა ყოველგვარი განსხვავების გარეშე), დიალექტიკური ლოგია კი აღიარებს კონკრეტულ იგივეობას — განსხვავების შემცველ იგივეობას, ე. ა. იგივეობა ესმის არა ცალმხრივად, არამედ, სრულად (გვ. 31)...

მტკიცების პროცესში წინააღმდეგობის კანონის გამოყენება არ უნდა იწვევდეს ექვეს. როგორც ცნობილია, არისტოტელედან მოყოლებული, წინააღმდეგობის კანონი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: შეუძლებელია მივაწეროთ საწინააღმდეგო ნიშნები ერთსა და იმავე საგანს ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე მიმართებით. „ორი ურთიერთ საწინააღმდეგო მსჯელობა ერთდროულად შეუძლებელია იყოს ჭეშმარიტი ერთსა და იმავე მიმართებაში“. თუ ჩვენ ამ კანონს გამოძიებას დაუეკავშირებთ, ძნელი არ არის მოიძებნოს მისი ყოველდღიური გამოყენების მაგალითებიც. როდესაც პიროვნება მიცემულია პასუხისგებაში, ჩვენ არ შეგვიძლია ერთდროულად იგი ჩავთვალოთ ბრალდებულად და თან არ ჩავთვალოთ ასეთად.

რა თქმა უნდა, წინააღმდეგობის კანონის მიხედვით შეუძლებელია გადაწყდეს თვით მსჯელობის ჭეშმარიტობა. უფრო სწორად, წინააღმდეგობის კანონში ხაზი ესმება მხოლოდ იმას, რომ ორ საწინააღმდეგო მსჯელობას შორის თუ ერთი მათგანი ჭეშმარიტია, მეორე მცდარი იქნება.¹ როდესაც ვამბობთ, რომ „ივანიშვილმა ჩაიღინა დანაშაული“, თუ ეს მსჯელობა ჭეშმარიტია, იგი გამორიცხავს—„ივანიშვილს არ ჩაუდენია დანაშაული“. ისეთი ვითარებაც არის შენიშნული, როდესაც ორივე საწინააღმდეგო მსჯელობა მცდარია: „ყველა დანაშაული მატერიალურ შედეგს ტოვებს“; „არც ერთი დანაშაული არ ტოვებს მატერიალურ შედეგს“.

გამორიცხული მესამის კანონის ფორმულას შემდეგნაირად აყალიბებენ: ორი კონტრადიქტორული მსჯელობიდან—ერთ-ერთი აუცილებლად ჭეშმარიტია; მეორე მცდარია, ანდა ორი კონტრადიქტორული მსჯელობიდან ერთ-ერთი აუცილებლად ჭეშმარიტია, მესამე შესაძლებლობა გამორიცხულია.² მაგალითად: „ყველა დანაშაული ამორალურია“, „ზოგიერთი დანაშაული არ არის ამორალური“, აქედან, ცხადია, ერთი ჭეშმარიტია, მეორე მცდარია, მესამე გამორიცხულია. „ივანიშვილი დამნაშავეა“; „ივანიშვილი არ არის დამნაშავე“. ამ მსჯელობაშიც ერთი ჭეშმარიტია, მეორე მცდარია, მესამე გამორიცხულია.

როგორც ცნობილია, არის აგრეთვე, საკმაო საფუძვლის კანონი, რომელიც პირველად ლაიბნიცმა ჩამოაყალიბა. მტკიცების პროცესში ამ კანონის გამოყენებაც ექვეს არ იწვევს, რაკი მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დასკვნა უნდა ემყარებოდეს საკმაო საფუძვლებს —

¹ კონდაკოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 181—201; ასმუსის დასახ. ნაშრომი, გვ. 15—17.

² კონდაკოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 203—230; ბაქრაძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 17—19; ზომენკოს დასახელებული ნაშრომი, გვ. 283—285.

„ყოველი ჰემმარიტი დასკვნითი მსჯელობა უნდა იყოს დასაფუძვლებული ისეთი მსჯელობებით, რომელთა ჰემმარიტება უკვე დადგენილია“.¹ ყველა მსჯელობა საჭიროა დამტკიცდეს.²

ჩვენ ლოგიკის უდავო დებულებებზე ერთობ დაწვრილებით განვებ შევაჩერეთ ყურადღება და არ მივუთითეთ ყველა იმ წყაროზე, სადაც ზემოთ დასმული საკითხები პრინციპულად ერთნაირად არის გაშუქებული. როგორც ცნობილია, ვ. ნ. კულდრიაევი დანაშაულის კვალიფიკაციის დროს დიდ ყურადღებას აქცევს ლოგიკურ ფორმებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ მტკიცების პროცესში ხდება კვალიფიკაციის შერჩევით ჰემმარიტების დადგენა. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ თვით ვ. ნ. კულდრიაევის შენიშვნით, სილოგიზმის ტრადიციული წესები არ წარმოადგენენ დიდ ღირებულებას კვალიფიკაციის პრობლემის გადასაწყვეტად. ავტორის სიტყვით, თუ ჩვენ დავადგენთ, რომ ა-მ ფარულად გაიტაცა, ვთქვათ, ველოსიპედი და ამას გარდა კარგად ვიცი, რომ ქონების ფარულად გატაცება არის ქურდობა, შემდგომისათვის დასკვნის გამოტანა არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს. ძირითად სიძნელედ ავტორი თვლის იმას, რომ გადაწვევით რომელი წანამძღვარები უნდა იქნენ აღებულნი დასკვნის მისაღებად.³ უფრო სწორად როდესაც ჩვენ ვარჩევთ შესაბამის ნორმას, სილოგიზმი („კვალიფიკაციის სილოგიზმი“) ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ როდესაც ნორმა მოძებნილია და სილოგიზმი აგებულია, ის უკვე პრაქტიკულად აღარ არის საჭირო, რამდენადაც კვალიფიკაციის მიზანი მიღწეულია“. მიუხედავად ამ მართებული მსჯელობისა, ავტორს სურს გვაჩვენოს შესაძლებელ ვარიანტებში დანაშაულის კვალიფიკაციის ყველა სახეობა.⁴ ავტორი ლოგიკური საფუძვლების მიხედვით მსჯელობს დანაშაულთა კვალიფიკაციის სახეობებზე, მაგრამ, ჩვენი რწმენით, აქედან სრულებით არ გამომდინარეობს ჰემმარიტების ძიების ფორმით კვალიფიკაციის შეფარდება. პირიქით, მთელი ეს მასალა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მომკვლევმა, გამომძიებელმა, მოსამართლემ უნდა იცოდნენ არა მარტო ნორმების შინაარსი, არამედ მათი გამოყენების წესები, რაც ვერ გათანაბრდება თვით ჰემმარიტების ძიებასთან. ჩვენი ღრმა

¹ კ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 434; ასმუსის დას. ნაშრომი, გვ. 19—22. გორსკის დასახ. ნაშრომი. გვ. 283—285.

² ვ. ფ. ასმუსი, ლოგიკა, 1947. გვ. 22—27; დ. პ. გორსკი, ლოგიკა, 1958. გვ. 285—286; ე. ა. ხომენკო, ლოგიკა, 1971. გვ. 30—31; ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 434; ნ. ი. კონდაკოვი, ლოგიკის ძირითადი კანონები, 1950. გვ. 249—271.

³ ვ. ნ. კულდრიაევი, დანაშაულის კვალიფიკაციის თეორიული საფუძვლები (რუს.), 1963, გვ. 148.

⁴ ი ქ ე ე, გვ. 149, 152—153.

რწმენით, დანაშაულის კვალიფიკაციის შეფარდება, განურჩევლად შისი ფორმისა, უნდა ნიშნავდეს სწორედ საძიებელ, გარემოებათა ზუსტ დადგენას და მათთან ნორმის შესახებ ცოდნის გამოყენებას. ეს ცოდნა, ვიმეორებთ, მიიღება არა გამოძიებლის (სასამართლოს) მიერ ნორმების შინაარსის დადგენით (რაც მათ გარეშე დადგენილია), არამედ მათი გავებით, იმის ათვისებით, რაც გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ერთმნიშვნელოვნად.

როდესაც ლაპარაკობენ ცნებებით, მსჯელობებითა და დასკვნების ფორმებით ლოგიკურ აზროვნებაზე, ცხადია, ითვალისწინებენ აგრეთვე მის ფსიქოლოგიურ ბუნებას; როგორც შენიშნულია, „აზროვნების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ამოცანაა ლოგიკის მიერ დადგენილი ვერბალური აზროვნების სამი ძირითადი ფორმის ცნების, მსჯელობისა და დასკვნის ფსიქოლოგიური, ბუნების გაშუქება. ფსიქოლოგია ლოგიკისაგან განსხვავებით, შეისწავლის არა გააზრებულ შინაარსს, მისი სისწორის თვალსაზრისით, არამედ თვით აზროვნების რეალურ პროცესს“.¹ ფსიქოლოგიაში მიღებულად ვთვლება, რომ შემეცნების პროცესს აერთიანებს აღქმაც, მესხიერებაცა და აზროვნებაც. თუ მესხიერება ასახულის შენახვისთვისაა მოწოდებული, აღქმა და აზროვნება — სინამდვილის ასახვას ემსახურებიან. მაგრამ აზროვნება წარმოდგენილია ახალი ამოცანის გადაწყვეტის გარეშე; აზროვნებისათვის სწორედ ის არის დამახასიათებელი, რომ სუბიექტს ამოძრავებს გაკვირვების სტიმული — „რა არის ეს?“, „როგორია ეს?“. აზროვნების პროცესი აქტიური პროცესია ამოცანის გადასაწყვეტად და დახშულად (მთლიანობითაც) მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, სწორედ ეს პროცესი ანსხვავებს მას ოცნებისაგან, რომელშიც აზრთა მსვლელობისადმი არანებისმიერ, არამედ უმიზნოდ დაყოლას გულისხმობენ.

აქ ჩვენ ამ საკითხებზე დაწვრილებით აღარ შევიჩრდებთ, რადგან არც არის საჭირო საკვლევი თემისათვის. მაგრამ მტკიცების პროცესთან დაკავშირებით, აზრობრივი ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელობაზე მიინც საჭიროა ზოგი რამ ითქვას. ლიტერატურაში საბარათლიანად არის შენიშნული, რომ მტკიცების პროცესში, ისე როგორც საერთოდ აზრობრივი მოქმედებისას, გადაწყდება ხოლმე ამოცანები: მოძებნის, გაიგივების, ახსნის, დასაბუთების, გათვალისწინების, საშუალებათა არჩევის, შეფასების შესახებ და სხვა.²

1 რ. ნათაძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 199.

2 მტკიცებულებითი თეორია სტუთონი იანხლის სამართლის პროცესში. (რუს.), გვ. 307.

თითოეული ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის გამოიყენება გარკვეული ცოდნა. მტკიცების პროცესში წამოიჭრება ხოლმე ისეთი მარტივი ამოცანაც, როდესაც გარკვეული საფუძვლის არსებობისას არ არის გაძნელებული მისი გადაწყვეტაც. მაგრამ, როგორც ეს შენიშნულია, ამოცანის გასამარტივებლად საჭირო ხდება რამდენიმე შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტა. შემოქმედებითი ხასიათის ინტელექტუალური მოქმედების დროს გამოიყენება ისევ ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ გამოიძებნოს უცნობი ამოცანის გადაწყვეტის სავარაუდო გზები მაინც. მაგრამ, ცნობილია, აზრობრივი ამოცანის გადაწყვეტა სავარაუდო ფორმით არ მთავრდება. იგი შემდგომისათვის მოწმდება და დაზუსტდება...

აღსანიშნავია, რომ მეცნიერულ სამყაროში დიდი ხანია რაც დამკვიდრდა ე. წ. მოდელირება, რომელიც გულისხმობს როგორც მატერიალურ, ისე აზრობრივ სტრუქტურებს, მათ ფორმებს, მოვლენების შესასწავლად რომ იყენებენ. მტკიცების პროცესში მოდელირების გამოყენებაზე მიუთითებენ, რაკი აქაც საჭირო ხდება შესასწავლი მოვლენის, როგორც მატერიალური, ისე აზრობრივი (იდეალური) იმიტირება. პრაქტიკულად, მაგალითად, გატეხის იარაღის მიერ დატოვებული კვალის ტვიფარი შეფასებულა, როგორც მოდელი, თვით გატეხის იარაღის ნიშნების შესასწავლად. ცნობილია, რომ გამომძიებელს შეუძლია აზრობრივად შექმნას შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის მოქმედებათა ცალკეული სურათები, რომლის შემოწმებასა და შეფასებასაც იგი ახდენს დამამტკიცებელი საბუთების მეშვეობით. თვითონ მატერიალური ხასიათის მოდელირებიც, როგორც შენიშნულია, დიდ დახმარებას გვიწევენ იდეალური მოდელუბის შექმნაში; ფოტოსურათები, შემთხვევის ადგილის მაკეტი და სხვ., ამავე დროს, განხილულია, როგორც ე. წ. იდეალური მოდელუბის შემუშავების წყაროები. მატერიალურ მოდელირებაზე ლაპარაკია — ამოცნობის, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ჩვენების ადგილზე შემოწმების დროს და ა. შ. ლიტერატურაში მართებულად მიუთითებენ ინფორმაციული ხასიათის ორგვარი მოდელის მნიშვნელობაზეც (სააღბათო და სარწმუნო); სარწმუნო მოდელი. შემეცნების შედეგად არის ცნობილი. შემჩნეულია, რომ აზრობრივი მოდელი ხასიათდება დომინანტურობით, სწორედ ამის გამოა, რომ ამოცანის გადაწყვეტისას ზოგჯერ დიდ როლს თამაშობენ მიხვედრები; შემთხვევითი არ არის, აგრეთვე, ლიტერატურაში ყურადღების გამახვილება ინტუიციასზე, როდესაც ლაპარაკობენ ისეთ იდეალურ

ინფორმაციულ მოდელზე, როგორცაა ვერსია.¹ ინტუიცია (ე. ი. ისეთი დასკვნა, რომელიც ნათლად არ არის წინასწარ გააზრებული და შემოწმებული სუბიექტის მიერ), სერიოზულ შენიშვნებს იწვევს მტკიცების პროცესში გამოყენების მხრივ ცალკეულ პროცესუალისტების ნაშრომებში. კერძოდ, მ. ს. სტროგოვიჩი, მაგალითად, გადაჭრით ილაპარაკებს „ინტუიციის“ გამოყენების წინააღმდეგ, ქეშმარიტების დასადგენად.² ა. რ. რატინოვი, ლიტერატურული წყაროების გამოყენებით, მიდის იმ დასკვნამდე, რომ საგამომიებო და სასამართლო ინტუიცია (როგორც გამოცდილებაზე და ცოდნაზე დაყრდნობით სწრაფი, უშუალო, გათვითცნობიერების გარეშე შემოქმედებითი ამოცანის გადასაჭრელად გადაწყვეტილების მიღების ინტელექტუალური უნარი), თავის როლს თამაშობს აზრობრივი ამოცანის ამოხსნაში. ამასთან რატინოვის სწორი შენიშვნით, ინტუიცია მტკიცების პროცესში დამხმარე როლს ასრულებს და იგი არ შეიძლება ემსახურებოდეს გამომძიებელს ან მოსამართლეს უშუალო დასკვნების დასაბამებლად.³

მტკიცების პროცესთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია სასამართლო ეთიკის როლი. სასამართლო ეთიკის მნიშვნელობაზე ბევრი ავტორი ლაპარაკობდა როგორც წარსულში (ა. ფ. კონი და სხვ.), ისე ახლა (მ. ს. სტროგოვიჩი, ლ. ე. აროცკერი, ა. რ. რატინოვი, გ. ფ. გორსკი და სხვ.), ჩვენ სწორად მიგვაჩნია იმ ავტორთა შეხედულება, რომელთა აზრით, სასამართლო ეთიკის საგანია მორალობის საერთო ნორმების სასამართლო საქმიანობაში სპეციალური გამოყენება (მ. ს. სტროგოვიჩი). რუდაეოლ ხელოვნურია სასამართლო წარმოებისათვის განსაკუთრებული სპეციფიკური ნორმების შემუშავება, როგორც ამას ა. დ. ბოიკოვი და სხვები ფიქრობენ. როდესაც ლაპარაკობენ მტკიცების მორალურ საწყისებზე, იმთავითვე გასაგებია უნდა იყოს ის ბანალური ქეშმარიტება, რომ ყოველგვარი პროცესუალური მოქმედება და პროცესუალური ფორმა მტკიცების უმწველად ეფუძნება თვით მორალურობას. ქეშმარიტების დადგენა რომ გამომძიებლის, პროკურორის, ადვოკატის, მოსამართლის მორალური ვალდებულებაა,⁴ თითქოს არ უნდა მოითხოვდეს განსაკუთრებულ მტკიცებას. ჩვენ არ მიგვაჩნია ზუსტად იმ ავტორთა შეხედულება (გ. ფ. გორსკი, ლ. დ. კოკორევი, დ. პ. კოტოვი), რომლებიც მტკი-

¹ თ ე ო რ ი ა, გვ. 310—317.

² იხ. მისი კ უ რ ს ი ა, გვ. 345—346.

³ დასახ. თ ე ო რ ი ა, გვ. 323.

⁴ გ. ფ. გ ო რ ს კ ი, ლ. დ. კ ო კ ო რ ე ვ ი, დ. პ. კ ო ტ ო ვ ი, სასამართლო ეთიკა (რუს.), 1973, გვ. 78.

ცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასებას თვლიან მტკიცების ღრმა მორალურ პრინციპად.¹ ჯერ ერთი, რაკი რწმენა დაკავშირებულია ისეთ მორალურ ნიშნებთან, როგორიცაა: დამოუკიდებლობა, თავისუფლება... ეს კიდეც არ გვაძლევს საფუძველს, რომ იგი წმინდა მორალურ პრინციპად გამოვაცხადოთ. როგორც ცნობილია, მტკიცებულებათა „შინაგანი“ რწმენით შეფასება გამომდინარეობს ობიექტური კეშმარტების დადგენის პრინციპიდან და თუ ვამბობთ, რომ „შინაგანი“ რწმენა სამართლიან მართლმსაჯულებას² მორალურ-ფსიქოლოგიურ გარანტიად ემსახურება, ამითაც გასაგები უნდა იყოს მორალურის როლი. არ იწვევს დავას აგრეთვე, რომ მტკიცების პროცესის მორალურ საწყისებს აპირობებს უდანაშაულობის პრეზუმპცია, მაგრამ, რაკი ისიც გამომდინარეობს უშუალოდ პროცესუალური ნორმებიდან (დამნაშავედ შეუძლია პირი სცნოს მხოლოდ სასამართლოში...), ამიტომ, ცხადია, არავითარ სპეციალური მორალური ნორმის გამოყენებაზე აქაც არ შეიძლება ლაპარაკი. საერთო წესად მისაღებია, რომ სასამართლო წარმოების პროცესში მორალური პრინციპები და ნორმები გამოიყენებიან იმ სპეციფიკურ თვისებათა გათვალისწინებით, რომლებითაც ხასიათდებიან თვით სამართლებრივი ნორმები. თავისთავად ცხადია, მტკიცების პროცესშიც სახელმძღვანელოა ისეთი მორალური პრინციპები, როგორიცაა: საქმისათვის თავდადება, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, პუმანურობა, კეთილსინდისიერება, სამართლიანობა და სხვა. ვიმეორებთ, მტკიცების პროცესის ეთიკური საწყისები ვლინდებიან პროცესუალურ წესებში (ფორმებში), რომელთა შესაბამისად ხორციელდება სასამართლო წარმოება სათანადო სტადიების მიხედვით.

რაკი მტკიცების გარეშე წარმოუდგენელია საერთოდ სასამართლო წარმოებაზე ლაპარაკი, შემთხვევითი არ არის, რომ იუსტიციის ორგანიზაციისა და სასამართლო წარმოების პრინციპებს უშუალო გამოყენება აქვთ თვით მტკიცების პროცესში. განურჩევლად იმისა, თუ როგორ პოზიციას დავიკავებთ ამ პრინციპების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, ყველა მათი როლი მტკიცების პროცესში იმდენად ნათლად გვეჩვენება, რომ მათზე სპეციალური შეჩერება ამ ნაშრომში არც მიგვაჩნია გამართლებულად. მარტლაც, განა სიეჭვო უნდა იყოს კანონიერებისა და ობიექტური კეშმარტების დადგენის პრინციპები პირველ რიგში და უმთავრესად მტკიცების პროცესს რომ გულისხმობენ? პროცესის რომელი სტადია, რომელი პროცესუალ-

¹ გ. ფ. გორსკი, ლ. დ. კოკორევი, დ.-პ. კობოვი, სასამართლო ეთიკა (რუს.), 1973, გვ. 79.

² იქვე, გვ. 89.

რი მოქმედება შეიძლება მივიჩნიოთ კანონიერად, თუ მას უძღოდა კანონის დარღვევით წარმართული მტკიცების პროცესი? თვითონ აღკვეთის ღონისძიების შერჩევაც კი წარმოუდგენელია ჩვეთვალთ კანონიერად, როდესაც საკმარის რაოდენობის დამამტკიცებელ საბუთებს არ ემყარება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა. როგორც ცნობილია, ოფიციალობის პრინციპი არა მარტო აღიარება იმისა, რომ მოკვლევას, გამოძიებას და საქმის სასამართლოში განხილვას აწარმოებენ ოფიციალური პირები, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფოებრივ საქმიანობას, არამედ იმის გარანტიაცაა, რომ პროცესში მონაწილე პირთა უფლებები დაცული იქნას სახელმწიფო ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით. საპროკურორო ზედამხედველობა, როგორც კანონიერების გატარებაზე უმაღლესი მეთვალყურეობა, მიზნად ისახავს მტკიცების პროცესში ყოველგვარი დარღვევის ლიკვიდაციას, კანონიერების განხორციელებისათვის ზრუნვას. უშუალოდ პრინციპი პირდაპირ გამოხატავს იმ აზრს, რომ გამოძიებელმა, მოსამართლეებმა უშუალოდ აღიქვან დამამტკიცებელი საბუთები, უშუალოდ შეაფასონ ისინი ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით. ასევე არ უნდა იწვევდეს დავას, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მათი რწმენის მიხედვით დამამტკიცებელი საბუთების შეფასება, სასამართლო წარმოების ზეპირობა, ბრალდებულის უფლება დაცვაზე, ეროვნული ენის პრინციპი, პროცესის შეფერხებითობა, სასამართლო ზედამხედველობა და სხვა პრინციპები უეჭველად. უზრუნველყოფენ მტკიცების პროცესის რაციონალურად წარმართვას.

2. მტკიცების პროცესის ეტაპები

მტკიცების პროცესს იათ ეტაპად ყოფენ. ეს ეტაპებია: 1. დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენა; 2. დამამტკიცებელი საბუთების განხილვა და მათი პროცესუალური დამაგრება; 3. დამამტკიცებელი საბუთების შემოწმება და 4. დამამტკიცებელი საბუთების შეფასება.

თუ გავითვალისწინებთ დამამტკიცებელი საბუთების თუნდაც კანონმდებლისეულ განსაზღვრებას, ძნელი მისახვედრი როდია ამ ეტაპების ზედმიწევნით პირობითი ხასიათი. მტკიცების პროცესის ეტაპებად დაყოფა არამც და არამც არ გულისხმობს მათ ურთიერთისაგან გათიშვას. მტკიცების პროცესი ერთიანი პროცესია და იგო იაზრება მხოლოდ მტკიცების პროცესის ეტაპების განუყოფელობით. ამა თუ იმ ეტაპს კი იმდენად აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რამდენადაც იგი ერთგვარად ავსებს სხვა ეტაპებს, როგორც მთელს

მისი შემადგენელი ნაწილი. ცხოვრებაში ხშირად მოვლენის მთლიანობიდან მის რომელიმე ნაწილაკს მხოლოდ იმიტომ გამოპყოფენ ხოლმე, რომ უფრო სრულად იქნას შეცნობილი.

როგორც ცნობილია, დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენა ნიშნავს იმ პირების მოძებნას, რომლებიც შეიძლება დაიკითხონ მოწმეებად, დაზარალებულებად, ნივთების აღმოჩენას, რომლებზედაც დარჩენილია დანაშაულის კვალი და სხვ.¹ ეს აზრი გამომხატულია სახელმძღვანელოებშიც და ცალკეულ ნაშრომებშიც. მაგრამ, თუ დავუყვირდებით, იგი ვერ გამოირჩევა ლოგიკურობით და აი რატომ. როდესაც ლაპარაკობენ იმ პირების აღმოჩენაზე, რომლებმაც იცინ რაიმე დანაშაულთან დაკავშირებულ ფაქტებზე და ამის გამო შეიძლება მათი მოწმეებად დაკითხვა, თავისთავად ცხადია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს დამამტკიცებელ საბუთებთან. ზოგჯერ მოწმის სახით დასაკითხ პირს არ აღმოაჩნდება ხოლმე ისეთი ინფორმაციები, რომლებსაც შეიძლება მიენიჭოს მტკიცებულებითი მნიშვნელობა. ამას გარდა, თვითონ დასაკითხი პირების (მოწმის, დაზარალებულის...) აღმოჩენაც არ უტოლდება დამამტკიცებელ საბუთებს. ზოგიერთი ავტორის მიერ ერთად არის გაერთიანებული დამამტკიცებელი საბუთების მოძებნა, აღმოჩენა, მიღება, დამაგრება და გამოკვლევა (გ. მინკოვსკი და ა. რატინოვი)² ფაქტობით, მტკიცების პირველ ეტაპზე ხდება არა დამამტკიცებელი საბუთების, არამედ მათი წყაროების აღმოჩენა; ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ბუნებაზე; აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მტკიცების პროცესში, პირველ რიგში, სწორედ იმ წყაროებს უნდა მივაგნოთ, რომლებიც მოგვაწვდიან ინფორმაციებს საგამომძიებლო საქმესთან დაკავშირებით. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ლაპარაკია დამამტკიცებელი საბუთების წყაროების აღმოჩენაზე, აღარ ითვლება მიზანშეწონილად ცალკე გამოვეყოთ დამამტკიცებელი საბუთების „მოძებნა“. „აღმოჩენა“, ცხადია, გულისხმობს აგრეთვე „მოძებნასაც“. მას შემდეგ, როდესაც აღმოვაჩინეთ დამამტკიცებელი საბუთების წყაროებს (პირებს, ნივთებს), ვახდენთ დამამტკიცებელი საბუთების შეგროვებას (აქ იგულისხმება აგრეთვე საგნები და დოკუმენტები, რომლებსაც წარმოადგენენ დაწესებულებები, საწარმოები, ორგანიზაციები, თანამდებობის პირები თუ მოქალაქეები). დამამტკიცებელი საბუთების შეგროვებაში გათვალისწინებულია როგორც მათი „მიღება“; ისე პროცესუალური „დამაგრე-

¹ იხ. მ. ს. სტროგოვიჩის დაცხ. კურსი, გვ. 202.

² მტკიცებულებათა თეორია საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, (რუს.), 1973. გვ. 367.

ბაც“, რაკი გარკვეული წესებით ფიქსირების გარეშე ინფორმაციები თავისთავად არ წარმოადგენენ მტკიცებულებებს. ამიტომ, ვიმეორებთ, როდესაც აღმოვაჩინეთ დამამტკიცებელი საბუთების წყაროებს (ან იმათ, რომლებსაც შეუძლიათ წარმოგვიდგინონ დოკუმენტები და საგნები), საჭიროა მოხდეს სასამართლო-საგამოძიებო მოქმედებებით „დამაგრებელი“ დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება, რაც, გულისხმობს აგრეთვე დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევასაც. მაგრამ მასზე კი არ დაიყენება, დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევა — ეს მთლიან პროცესად ითვლება, რომელიც მოიცავს როგორც დამამტკიცებელი საბუთების შემოწმებას, ისე მათ შეფასებას. როდესაც გამოძიებელი, მაგალითად, ახდენს დამამტკიცებელი საბუთის პროცესუალურ დამაგრებას (დაკითხავს მოწმეს და აფორმებს მოწმის დაკითხვის ოქმს, ნივთს აღწერს სათანადოდ ოქმში და სხვ.), ამავე დროს, უეჭველად ახდენს მათ შემოწმებასაც და შეფასებასაც; სხენაირად გაძნელებოდა თვით დამამტკიცებელი საბუთების შეგროვებაც; მართლაც, თუ დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა არ შეიძლება მიენიჭოს იმ ინფორმაციას, რომელსაც არა აქვს კავშირი საგამოძიებო ფაქტთან და სხვა, აქედან ძნელი გასაგები არ არის ინფორმაციების შემოწმებისა და შეფასების გარდუვალობა იმავე მომენტიდან, როცა დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება ხდება. დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება კი ხდება საგამოძიებო-სასამართლო მოქმედებათა ჩატარების წყალობით. ისიც ცნობილია, რომ საგამოძიებო მოქმედებანი¹ შეიძლება ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ; კანონმდებელი გამო-ნაკლისად უშვებს მხოლოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, რომელიც შეიძლება მოხდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ თეორიულად ეს გარემოება არაფრით არ არის გამართლებული (ულოგიკოზაა, როცა სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ვახდენთ გამოძიებას...).

არ იწვევს დაეას, დამამტკიცებელი საბუთების შეგროვების შიზნით, საგამოძიებო მოქმედებანი² უნდა ჩატარდეს კანონიერად; ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყველა მოქმედება გამართლებული უნდა იყოს თავისი საფუძვლიანობით. კანონმდებელი, ცნობილია, ჩხრეკის ჩატარებისათვის აუცილებლად თელის „საკმარის საფუძველს“, რაც

¹ აღსანიშნავია, რომ საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშების მიღებასაც საგამოძიებო მოქმედებად თვლიან; თუმცა უნდა შევნიშნოთ, ამ ნიმუშების მიღებას საზრისა აქვს მხოლოდ იმტომ, რომ დაინიშნოს ექსპერტიზა — ანუ ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედება.

² სწორად მიგვაჩნია ა. შ. ლარინის შეხედულება საგამოძიებო მოქმედებათა უწყვეტობაზე.

ჩვენი აზრით, წინააღმდეგ ზოგიერთი ავტორის შეხედულებისა (ა. რ. რატინოვი, გ. მინკოვსკი),¹ შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მტკიცებულებითი მნიშვნელობის ფაქტებზე ინფორმაციებით. თუ ჩვენ დავუშვებთ ჩხრეკის ჩატარებას დამხმარე ინფორმაციების შემთხვევაშიც, ამას შეიძლება მოჰყვეს სავალალო შედეგი — პიროვნული ღირსებების შელახვა და სხვა.

ლიტერატურაში სამართლიანად ანიჭებენ მნიშვნელობას საგამოძიებო მოქმედების შესრულების დროს, ადგილს, საგამოძიებო მოქმედებაში გარკვეულ პირთა მონაწილეობას, მოქმედების თანმიმდევრულად (დაპირისპირება დაკითხვის შემდეგ და ა. შ.) და განცალკევებულად ჩატარებას; საგამოძიებო მოქმედების გარკვეულ წესით ფიქსირებას და სხვ. სასამართლო-საგამოძიებო მოქმედებანი შეიძლება შეასრულონ მხოლოდ კანონში მითითებულმა პირებმა. კანონშივეა განსაზღვრული აგრეთვე ე. წ. საგამოძიებო მოქმედების სახით კერძო დავალებათა შესრულების წესები (სხვა რაიონის მომკვლევის ან გამომძიებლის მიერ). ლიტერატურაში რატომღაც გამართლებულად თვლიან, მაგალითად: მეორე სქესის პიროვნების გასინჯვას ექიმის მიერ (გამომძიებლის დაუსწრებლად); დათვალიერებად მიიჩნევენ მყვინთავის მიერ წყალქვეშა მიღამოების შესწავლას, მთამსვლელის მოქმედებას მიუღვამელ ადგილზე და სხვა. ა. რ. რატინოვისა და გ. მ. მინკოვსკის აზრით, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა საგამოძიებო მოქმედებიდან გამომძიებლის ჩამოშორებას, არამედ მასში მონაწილეთა წრის, ან მათი ფუნქციების გაფართოებას.² როგორც ჩანს, ეს არგუმენტი არ არის ლოგიკური. საგამოძიებო დათვალიერება, როგორც ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს თვით გამომძიებლის (მოსამართლეთა) მიერ არა მოქმედების „ხელმძღვანელობას“, ან მოქმედების შედეგებზე „ოქმის შედგენას“, არამედ სწორედ შემთხვევის გარემოებათა აღქმას, მის დეტალებში ჩაწვდომას, ინფორმაციების მიღების მიზნით. საოცარი ის არის, რომ ა. რატინოვი და გ. მინკოვსკი, ცოტა უფრო ქვემოთ, საგამოძიებო მოქმედებას არც კი თვლიან შესრულებულად, როდესაც დასაკითხი პირი გამომძიებლის წინადადებით („დაფიქრდი და დაწერე“) თვითონ წერს თავის ჩვენებას.³ განა ამ შემთხვევაში უფრო რეალური არ არის მოქმედებაზე ხელმძღვანელობის შესაძლებლობა? ან რატომ არის საგანგაშო, თუ დასაკითხი პირი უშუალოდაც რომ შეუდგეს თავის ჩვენების ფიქსირებას? არაფერია აღარ დავობს, რომ დასაკითხი

1 თეორია, გვ. 387.

2 თეორია, გვ. 400.

3 იქვე.

პირი თავისუფალი თხრობით იწყებს თავისი ჩვენების მიცემას და თუ უშუალოდ დაკითხვის პროცესამდე შესრულდება კანონით განსაზღვრული წესები, ვფიქრობთ, პირიქით, წახალისებული უნდა იქნას საკუთარი ხელით ჩვენების ჩაწერის პრაქტიკა.

კანონის თანახმად, მომკვლევს, გამოძიებელს, პროკურორს და სასამართლოს უფლება აქვთ საგამომიებო საქმეებთან დაკავშირებით გამოიძახონ, დადგენილი წესით, ყოველი პირი დასაკითხად (როგორც მოწმე ან დაზარალებული) და აგრეთვე ექსპერტი — დასკვნის მისაცემად. აქედანაც ნათლად ჩანს, რომ დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება იწყება სწორედ მტკიცებულების წყაროების აღმოჩენით. კანონი უფლებას ანიჭებს სასამართლო-საგამომიებო ორგანოებს მოთხოვონ დაწესებულებას, საწარმოს, ორგანიზაციას, თანამდებობის პირებს და მოქალაქეებს წარადგინონ ის საგნები და დოკუმენტები, „რომელთა საშუალებით შეიძლება საქმისათვის საჭირო ფაქტობრივი მონაცემების დადგენა“. ამას გარდა, კანონშივეა ნათქვამი, რომ „დამამტკიცებელი საბუთები შეიძლება წარმოადგინონ აგრეთვე ეკვიტანილმა, ბრალდებულმა, დამცველმა, ბრალმდებელმა, დაზარალებულმა, სამოქალაქო მოსარჩლემ, სამოქალაქო მოპასუხემ და მათმა წარმომადგენელმა, აგრეთვე ყოველმა მოქალაქემ, დაწესებულებამ, საწარმომ და ორგანიზაციამ“ (რსფსრ სსსკ 70-ე მუხ.; საქ. სსრ სსსკ 62-ე მუხ.). ამ ფორმულიდანაც ნათლად ჩანს დამამტკიცებელი საბუთების შეგროვების განსხვავება მათი წარმოდგენისაგან. პირველ შემთხვევაში გულისხმობენ გამოძიებლის აქტიურ მოქმედებას თვით საგნების ან დოკუმენტების მისაღებად, ხოლო მეორეში — საამისოდ სხვა პირთა დაინტერესებით წარმოებულ მოქმედებას. მაგრამ, როგორც გვეჩვენება, ორივე შემთხვევაში, წინააღმდეგ კანონმდებლის ფორმულირებისა, და ზოგიერთი ავტორის (გ. მიწყოსკი) შეხედულებისა,¹ ლაპარაკი უნდა იყოს მხოლოდ ნივთებზე და დოკუმენტებზე და არა დამამტკიცებელ საბუთებზე. რაკი ყოველი დამამტკიცებელი საბუთი მოითხოვს სათანადო პროცესუალურ მოქმედებას (რომ არაფერი ვთქვათ მათი შემოწმებისა და შეფასების აუცილებლობაზე), შეუძლებელია ხელალებით დამამტკიცებელ საბუთად მივიჩნიოთ წარმოდგენილი საგანი (დოკუმენტი), თუ იგი პროცესუალური წესების დაცვით არ დაერთვის საქმეს. გამოძიებელი (მომკვლევნი, მოსამართლე), როგორც ცნობილია, გამოითხოვს საგანს (დოკუმენტს) წერილობით, ან შეადგენს ოქმს, თუ თანამდებობის პირის ან მოქალაქის მიერ პირადად იქნება წარმოდგენილი სა-

¹ თ ე ო რ ი ა გვ. 361.

განი (დოკუმენტი). გამომძიებელს (მომკვლევს, მოსამართლეს) კანონით შეუძლია დაავალოს სათანადო კომპეტენტურ ორგანიზაციას (პირს) დოკუმენტური რევიზიის ჩატარება; მაგრამ თვითონ სარევიზიო შემოწმების შედეგებს რომ მტკიცებულებითი მნიშვნელობა მიენიჭოს, საჭიროა სარევიზიო აქტი დაერთოს საქმეს, დაიკითხოს რევიზიაში მონაწილე პირები -- რევიზიის შედეგების გამოსარკვევად და სხვა. იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქე (თანამდებობის პირი) აკეთებს ზეპირ განცხადებას, ცნობილია, ამის შესახებ უნდა შედგეს ოქმი, მაგრამ, მერე, როგორც წესი, ხდება განმცხადებლის დაკითხვა, საჭიროების შემთხვევაში დათვალიერება, დადგენილების გამოტანა ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთის საქმეზე დართვის შესახებ და ა. შ.

დამამტკიცებელი საბუთების შემოწმება და შეფასება მნიშვნელოვან ეტაპებად (ელემენტებად) ითვლებიან სასამართლო წარმოებაში. დამამტკიცებელ საბუთებს მხოლოდ მაშინ აქვთ საქმისათვის მნიშვნელობა, როდესაც ისინი სათანადოდ შემოწმდებიან. შე მო წ მ ე ბ ა შ ი გულისხმობენ დამამტკიცებელი საბუთის სისწორის დადგენას; მაგალითად, დაზარალებულის მიერ თავდასხმის ფაქტზე მიცემული ჩვენება არ შეიძლება მიღებულ იქნას, როგორც უტყუარი რამ -- თუნდაც ერთი შეხედვით ექვსაც რომ არ იწვევდეს. შეცდომების თავიდან ასაცილებლად, პრაქტიკა დაბეჭივით გვიბიძგებს ყოველგვარი დამამტკიცებელი საბუთის შემოწმებისაგან. მართლაც, წარმოუდგენელია სისხლის სამართლის პროცესში ვერსიებზე მუშაობა, თუ ისინი ყოველთვის ამომწურავად არ შემოწმდებიან. გამოძიება ხომ არც იაზრება ვერსიების შემუშავების გარეშე; თვითონ ვერსიების შემოწმება კანონზომიერად იწვევს ახალი ვერსიების შემუშავებას, როდესაც ასახსნელი მოვლენის სხვა, აქამდე უცნობი მხარეებიც გამოვლინდებიან ხოლმე. დანაშაული, როგორც მომხდარი მოვლენა, მის სრულ დადგენამდე, მხოლოდ შესაძლებელი ახსნის საფუძველს იძლევა. ვერსია ხომ (ცერძო ჰიპოთეზის მსგავსად) სწორედ შესასწავლი მოვლენის საყარაულო ახსნას ნიშნავს (მ. ს. სტროგოვიჩი). ვარაუდიც უნდა დამტკიცდეს შემოწმებით. უდავოდ გვეჩვენება, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტება დადგენილად ჩაითვალოს, როდესაც თანმიმდევრულად შემოწმებული იქნება ყველა შესაძლებელი ვერსია და ამის შედეგად მიღებული ერთადერთი კატეგორიული დასკვნა უკვე გამორიცხავს სხვა ვერსიის (ვერსიების) წამოჭრის შესაძლებლობას. ტერმინი „შემოწმება“ საკუთრივ საგამომძიებო მოქმედების გამოხატვის მნი-

შენელობითაც იხმარება („ჩვენების ადგილზე შემოწმება“). შემოწმება სხვა დარგების პრაქტიკული საქმიანობის სფეროებშიც თითქმის ერთნაირი მნიშვნელობით გაიგება (საბულალტრო შემოწმება. საექიმო შემოწმება...). რაკი საგამოძიებო ვერსიების შემოწმება მხოლოდ და მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთებით არის შესაძლებელი, ცხადია, თვითონ საამისოდ გამოსაყენებელი მტკიცებულებანიც შემოწმებას უნდა დაექვემდებარონ. დამამტკიცებელი საბუთის შემოწმებისათვის აუცილებლად არის მიჩნეული როგორც საკუთრივ მტკიცებულების გამორკვევა, ისე მისი საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში განხილვა და ახალი მტკიცებულებების მოპოვება. დამამტკიცებელი საბუთის შემოწმება ნიშნავს მის ანალიზს. მაგალითად, ბრალდებულის ჩვენებით, როდესაც იგი აღიარებს დანაშაულს, ვარკვევთ თუ რა პირობებში ჩაიდინა მან იგი, შეესატყვისება თუ არა ბრალის აღიარების ცალკეული მომენტები ერთმანეთს და სხვა. როგორც ცნობილია, დამამტკიცებელი საბუთების შემოწმებისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე უკვე მოპოვებული სხვა დასამტკიცებელი საბუთები, თუ რამდენად ამტკიცებენ ან უარყოფენ ისინი გამოსაძიებელ გარემოებებს. მოცემული დამამტკიცებელი საბუთის შემოწმებისათვის ხშირად გარდუვალია ახალი მტკიცებულებების მოპოვებაც. რომ დაერწმუნდეთ მის სისწორეში. სწორედ ამა თუ იმ გარემოების შემოწმების აუცილებლობა მოითხოვს ვეძიოთ მტკიცებულებანი, რომლებითაც ერთგვარად სავარაუდოდ გზები ისახება, თუ როგორ შეიძლება მათი მიგნება. როდესაც დამამტკიცებელი საბუთების შემოწმების დროს ანალიზზეა ლაპარაკი, თავისთავად ცხადია, იგი სინთეზის გარეშე არ იაზრება, ისევე, როგორც თვით შემოწმება შეფასების გარეშე. მაგრამ, ალბათ, სწორად უნდა იქნეს მიჩნეული მ. ს. სტროგოვიჩის შეხედულება, რომ შემოწმების დროს წინა რიგშია წამოწეული სწორედ ანალიზი, მაშინ, როდესაც შეფასება უფრო სინთეზს გულისხმობს, რაც, თავისთავად ცხადია, არ უნდა გამორიცხავდეს მათ დიალექტიკურ მთლიანობას. რაკი ვერსიას ცნობილი ფაქტებიდან უცნობი ფაქტების სავარაუდოდ ახსნად (ცოდნად) მიიჩნევენ, მაშასადამე, ბუნებრივიცაა, რომ ჭეშმარიტების საძიებლად საგამოძიებო გეგმა ეფუძნება შესაძლებელი საგამოძიებო და სასამართლო ვერსიების შემუშავებას და მათ კატეგორიულ გადაწყვეტას. ვერსიის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშნად მის დასაბუთებულობას თვლიან (რ. ს. ბელკინი), სინამდვილეში, საგამოძიებო-სასამართლო ვერსიები ზოგჯერ აიგება ხოლმე თვით ვარაუდებზეც, რომლებიც უნდა დასაბუთდეს ყველა ვერსიის ერთობლივი შემოწმებით. ის კი აუცილებელია, რომ როგორც ზოგადი (დანაშაუ-

ლის არსზე), ისე კერძო ვერსიები (ცალკეულ ელემენტებზე) უნდა შემუშავდეს სინამდვილის და არა მოჩვენების შესატყვისად.¹

როგორც ლიტერატურაშიც შენიშნულია, მტკიცებულებათა შემოწმების თვალსაზრისით გამოიყენება ისეთი კერძო, მეთოდები, როგორცაა: ექსპერიმენტი, დაკვირვება, გაზომვა (გამოთვლა), აღწერა, შედარება. ექსპერიმენტი ფართოდ გამოიყენება ცოდნის სხვადასხვებ დარგებში (ფიზიკა, ქიმია, ფსიქოლოგია...), ექსპერიმენტი, როგორც მითითებულა, აადვილებს ნებისმიერ პირობებში შევისწავლოთ ესა თუ ის მოვლენა; ჩამოვიცილოთ ბუნებრივი წინააღმდეგობანი მოვლენის „სუფთა სახით“ გამოსარკვევად, მოვახდინოთ ცდების გამეორება იმ სავარაუდო პირობების დაცვით, რომლებშიც საგულისხმოა მოცემული მოვლენის მიმდინარეობა, უზრუნველყოთ მთლიანი მოვლენის ცალკეული თვისებების ინსცენირებით გამოცდა და სხვ. პრაქტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საგამოძიებო სასამართლო ექსპერიმენტს, რომლის მიზანია არა მარტო მტკიცებულებითი მნიშვნელობის შქონე ინფორმაციების მიღება, არამედ თვით სხვა მტკიცებულებათა შემოწმებაც (მოწმის ჩვენება, ბრალდებულის ჩვენება...); ექსპერიმენტს მიმართავს, აგრეთვე, ექსპერტი-კრიმინალისტიც, როცა მაგალითად, აწარმოებს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევას (ახდენს, მაგალითად, საცდელ გასროლას ცეცხლსასროლი იარაღიდან). დაკვირვება, როგორც კერძო მეთოდი, მტკიცებულებათა შემოწმების საიმედო საშუალებად არის მიჩნეული; დაკვირვება უმთავრესად მხედველობითი აღქმის სახეთაგანია, ოღონდ აქ მიზანდასახულობა ასრულებს წამყვან როლს. დაკვირვების გარეშე, ცნობილია, არ ხდება არც ამოცნობა, არც დათვალიერება, არც ჩხრეკა და არც ჩვენების ადგილზე შემოწმება.

გაზომვა (გამოთვლა), წესით, აუცილებელია საგამოძიებო ექსპერიმენტის, დათვალიერების, ექსპერტიზისათვის, როდესაც კონკრეტულ გარემოებათა ნათელსაყოფად განზომილებათა ზუსტი ცოდნაა მნიშვნელოვანი. აღწერა, როგორც ერთ-ერთი კერძო მეთოდი, ფართოდ გამოიყენება რა მტკიცებულებათა ფიქსირების პროცესში, მას მნიშვნელობა აქვს ამის გამოც თვით მტკიცებულებათა შემოწმებისათვის. მტკიცებულებათა შემოწმებისთვის დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებენ აგრეთვე შედარების მეთოდს (რომელიც განსხვავდება შეჯერებისაგან), თუმცა ამ მეთოდში ხშირად გულისხმობენ როგორც დაკვირვებისა და გაზომვის, ისე აღწერის მეთოდების გა-

¹ თეორია, გვ. 418—426.

სოცენებასაც.¹ ლიტერატურაში დღემდე ავტორთა უმრავლესობის მიერ დავამოხილა ს. მ. პოტაპოვის აზრი იდენტიფიკაციის თეორიის ზოგადობის შესახებ (ტერზიფი, ვინბერგი, ბელკინი, ეისმანი, კოლდინი...), მაგრამ თანაც იმავე ავტორებს არ შეუძლიათ უარყონ, რომ იდენტიფიკაცია მოიცავს არა მარტო კერძო მეთოდებს (ექსპერიმენტი, დაკვირვება, შედარება...), არამედ ე. წ. საეციალურ მეთოდებსაც (ფოტოგრაფიული, ბალისტიკური, ქიმიური, ფიზიკური, ანტროპომეტრული (მ. მ. გერასიმოვი) მეთოდი და სხვა).² მაშ რატომ ვუსაყვედურებთ პროფ. ს. მ. პოტაპოვს, რომელმაც შექმნა იდენტიფიკაციის თეორია (კრიმინალისტიკის შესავალი, 1946), თუ იგი იდენტიფიკაციას ამ თვალსაზრისით განზოგადებულ მეთოდსაც უწოდებს? ს. მ. პოტაპოვი, შეიძლება დაბეჭდვით ითქვას, იდენტიფიკაციას მექანიკურად არ აიგივებს „წმინდა“ ფორმალურ ლოგიკურთან, როგორც ამას დასახელებული ავტორები მიაწერენ.³

დამამტკიცებელი საბუთების შეფასების პრობლემას დიდძალი ლიტერატურა მიეძღვნა როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ. მტკიცებულებათა შეფასებასთან დაკავშირებით გაკვირვებას იწვევს ფ. ნ. ფატკულინის შენიშვნა, თითქოს საეციალურ ნაწარმოებებში ლაპარაკია ხშირად თვით მტკიცებულებათა შეფასებაზე, ხოლო წყაროებსა და მათი მიღების (გამოყენების) საშუალებებზე საკითხიც არ ისმის. (სამაგალითოდ დასახელებულია: მ. ს. სტროგოვიჩის 1955 წ. გამოცემული მონოგრაფია—„მატერიალური ქეშმარიტება და სასამართლო მტკიცებულებანი“; „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი“; ვ. დ. არსენიევის — „სასამართლო მტკიცებულებათა ზოგადი თეორიის საკითხები“, 1964; ი. ი. მუხინის „ობიექტური ქეშმარიტება და სასამართლო მტკიცებულებათა შეფასების ზოგიერთი საკითხი მართლმსაჯულების განხორციელებისას“, 1971 და სხვ.). ამას ავტორი იმით ხსნის, რომ არასწორად არის გაგებული სასამართლო მტკიცებულებათა არსი. ავტორი ასახელებს მხოლოდ გ. ს. მოსესიანს („მტკიცებულებათა შეფასება საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში“, 1965, საკანდიტატო დისერტაცია), და ალბათ, თავის თავს თელის მეორედ, რომლებმაც თითქოს პირველად მიაქციეს ყურადღება დამამტკიცებელი საბუთების წყაროების შეფასებასაც.⁴

¹ თეორია, გვ. 404—408.

² დასახ. თეორია, გვ. 409.

³ იქვე, გვ. 411.

⁴ Ф. Н. Фаткулин. Общие проблемы процессуального доказывания, 1976, с. 171—172.

მაგრამ სინამდვილეში, როგორც ვიცი, სამართლის თეორიიდან საკმაოდ ცნობილია ისეთი მიმართულება, რომლის მომხრეები დამამტკიცებელ საბუთებად თვლიან არა მარტო „ფაქტიურ მონაცემებს“, არამედ თვით წყაროებსაც; და განა ფ. ფაქტუალიზმა ვერ ნახა ამ თვალსაზრისით წყაროების შეფასება? მ. ს. სტროგოვიჩის 1968 წლის „კურსშიც“ ხომ შეეძლო ამოეკითხა ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, მოწმის ჩვენების შეფასების შესახებ, მისი დამაჯერებლობის, ან არადამაჯერებლობის თვალსაზრისით და განა იქვე არაა ფაქტების, ცნობების შეფასებაზეც ლაპარაკი?¹

დამამტკიცებელი საბუთების შეფასების ცნება ერთნაირად როდია გაგებული იურიდიულ ლიტერატურაში. დამამტკიცებელი საბუთების შეფასების შინაარსში გულისხმობენ მათ სარწმუნობას (უ. მ. კაზი);² მათ სარწმუნობასთან ერთად, შესაბამისობასა და საკმარისობას (ა. ი. ტრუსოვი);³ მათ ძალასა და მნიშვნელობას (ვ. დ. არსენევი);⁴ მათ შესახებობას, დასაშვებობას, სარწმუნობას და საკმარისობას (ი. ლ. პეტრუხინი)⁵... სხვათა შეხედულებების ჩამოთვლის შემდეგ ფ. ნ. ფაქტულინიც, თავის მხრივ, გთავაზობს მტკიცებულებათა (ფაქტობრივი მონაცემების) შეფასების შინაარსის განმსაზღვრელ შემდეგ თვისებებს: პროცესუალური წყაროების შემცველი ცნობების კონკრეტულობა, შინაგანი შეთანხმებულობა და კეთილხარისხოვნება; ამ ინფორმაციების უნარი და საკმარისობა ცალკეული ფაქტებისა და გარემოებათა დადგენისათვის; ნივთიერობიექტებზე ქმედობის მატერიალურ კვალთა კეთილხარისხოვნება; ამ მატერიალურ კვალთა და მტკიცებულებით ფაქტების საქმესთან შესახებობა, მათი ურთიერთკავშირი; მტკიცებულებითი ფაქტებისა და მატერიალურ კვალთა სარწმუნობა, მათი უნარი საქმის იურიდიული მნიშვნელობის გარემოებათა დადგენაში; მთელი შეგროვილი მტკიცებულებების (ფაქტებზე ცნობები, მტკიცებულებითი ფაქტები და მატერიალური კვალები) თავიანთ ერთობლიობაში საკმარისობა მტკიცების საგანში შემავალი ყველა გარემოების და საქმისათვის მათ მნიშვნელოვან თვისებებზე სარწმუნო დასკვნისათვის. ამას გა-

¹ მ. ს. სტროგოვიჩის დასახ. კურსი, გვ. 304.

² Ц. М. Каз. Доказательства в сов. уголовном процессе. 1960 с. 47.

³ А. И. Трусоев. Основы теории судебных доказательств. 1960, с. 86—87.

⁴ В. Д. Арсеньев. Вопросы общей теории судебных доказательств, 1964, с. 130.

⁵ დასახ. „თეორია“, 1973, გვ. 428.

რდა, ავტორის ფიქრით, მტკიცებულებათა წყაროების შეფასება მოიცავს შემდეგ თვისებებს: დასაშვებობას, კეთილხარისხოვნებას, სისრულესა და საკმარისობას.¹ ვფიქრობთ, ამ ხელოვნურად გაზრდილ მსჯელობებში წინააღმდეგობანიც შეიმჩნევიან. კერძოდ, გაურკვეველია, რატომ დასჭირდა ავტორს მტკიცებულებითი ფაქტებისა და მატერიალურ კვალთა ურთიერთდაპირისპირება. ამასთან, განა თვითონ მატერიალური კვლები და მტკიცებითი ფაქტები არ გვაძლევენ ცნობებს, ინფორმაციებს? მაშ რატომღა უნდა გამოიყოს ცალკე „ფაქტების შესახებ ცნობები“? სინამდვილეში ფაქტების შესახებ ცნობებიც, მტკიცებულებითი ფაქტებიცა და მატერიალური კვლებიც მხოლოდ იმდენად იმსახურებენ საქმეზე, ყურადღებას, რამდენადაც მათ აქვთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რომლებიც შეიცავენ ე. წ. „ფაქტიურ მონაცემებს“ და ამიტომ მათ სხვადასხვა თვისებებს ვერ მივაწერთ, რასაკვირველია... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ გაგებითაც, როგორც დღეს დამამტკიცებელი საბუთების წყაროები იხმარება, მაინც არ შეიძლება მათი შეფასება დაეაშუროთ ფაქტების შესახებ ცნობების შეფასებას. ნუთუ კომენტარებს მოითხოვს ის ბანალობა, რომ თუ ვაფასებთ, მაგალითად, მოწმის ჩვენებას. უპიველად უნდა იგულისხმებოდეს მისი შინაარსიც, რომლის გარეშეც თვით „ჩვენებაც“ ვერ იარსებებს? ხელოვნურობის სიმძაფრით უფრო მეტად გამოირჩევა მტკიცებულებათა მიღების ხერხების შეფასება. ავტორს ამ შეფასების შინაარსად წარმოუდგენია იმის განსაზღვრა, მტკიცების სუბიექტების მიერ ყველა შესრულებული მოქმედება გათვალისწინებულია თუ არა პროცესუალური კანონმდებლობით, რამდენად შესრულდნენ ისინი კეთილხარისხოვნად და პროცესუალური წესების დაცვით.² ჯერ ერთი, სრულიად არ საჭიროებს შეფასებას ის გარემოება — მტკიცების სუბიექტებზე მიერ შესრულებული მოქმედებანი გათვალისწინებულია თუ არა კანონმდებლობით. ეს უნდა იცოდეს მომკვლევამაც, გამომძიებელმაც და მოსამართლემაც. მეორეს მხრივ, ის, რაც დადგენილია კანონით, იგი არის არა შეფასების ობიექტი, არამედ საეაღლებულოა. შეფასება, მიუხედავად ავტორის ამტკიცებისა (სამართლებრივი მოქმედების ელემენტიაო), მაინც სუბიექტურ კატეგორიად რჩება და კანონით დადგენილი წესები რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მტკიცების სუბიექტების შეფასებას ექვემდებარებოდნენ (ის რაც უკვე შეფასებულია თვით კანონმდებლის მიერ), მაშინ თვითნებობაც ვარდუ-

¹ Ф. Н. Фаткулин. Общие проблемы процессуального доказывания, 1976, с. 177.

² იქვე, ვა. 177—178.

ვალი იქნებოდა. ან როგორ შეიძლება იმის დაშვება, რომ მომკვლევ პირს, გამოძიებულს ან მოსამართლეს სპეციალური შეფასების გარეშე თითქოსდა არ ძალუძდეთ გაარჩიონ რომელი მოქმედებაა მიჩნეული კანონიერად და რომელი აკრძალული? ეს ხომ მათ სამართლის ცოდნით ეძლევათ?!

როგორც ცნობილია, სამოქალაქო სამართლის პროცესშიც ლაპარაკობენ დამამტკიცებელი საბუთების შეფასების შინაარსზე, მათი სარწმუნოების ძალის მიხედვით (მ. ა. გურვიჩი) და სხვა. გ. მ. რეზნიკი, იზიარებს რა რიგ პროცესუალისტთა შეხედულებებს, დასძენს, რომ მტკიცებულებათა შეფასებით უნდა დადგინდეს: მათი დასაშვებობა, შესახებობა, სარწმუნობა (დამაჯერებლობა), ძალა, საქმარისობა იმისათვის, რომ დამამტკიცებულად ჩაითვალოს საძიებელი ფაქტები.¹ ი. ლ. პეტრუხინის აზრით, მტკიცებულებათა შეფასება მათი დასაშვებობის თვალსაზრისით, ნიშნავს შემდეგი საკითხების ვადაწყვეტას: 1. ნებას რთავს თუ არა კანონი მოცემული სახის ფაქტიური მონაცემების წყარო გამოყენებული იქნას საქმეზე; 2. ხომ არ იყო დაშვებული პროცესუალური კანონის დარღვევა ინფორმაციის მიღებისას და დამაჯერებისას; 3. მოახდინა თუ არა გავლენა პროცესუალურმა დარღვევამ შესაბამისი ინფორმაციების სარწმუნობასა და სისრულეზე; 4. გამოყენებული იქნა თუ არა ყველა აუცილებელი წყარო ფაქტიური მონაცემების დასადგენად.² მიუხედავად ავტორის საწინააღმდეგო მტკიცებისა, ამ ჩამოთვლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ე. წ. წყაროების (მტკიცებულებათა სახეების -- ბ. ს.) დასაშვებობის საკითხი არსებითად ვადაწყვეტილია თვით კანონმდებლის მიერ.

როგორც ლიტერატურაშიც შენიშნულია, დაუშვებელია ოპერატრული მოქმედებით მიღებულ ცნობებს მიენიჭოს მტკიცებულებითი მნიშვნელობა, თუ ისინი არ იქნებიან სათანადოდ გაფორმებულნი პროცესუალურად. მართალია, არაპროცესუალური გზით მიღებული ფაქტებიც მაინც ფაქტებად რჩებიან (გ. ი. კოჩაროვი) ისევე, როგორც დასაკითხი პირის ქცევები (დაკითხვის პროცესში), მაგრამ მათ არ შეიძლება მიენიჭოთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა აწორედ იმდენად, რამდენადაც შეუძლებელი ხდება მათი პროცესუალური შემოწმება. ფ. ნ. ფატკულინი აღნიშნავს, რომ საქმეში წყაროს არსებობა თავისთავად არ ნიშნავს მტკიცებულებათა არსებობას. მოკყავს მაგალითი, როდესაც ბოროტი ხელისუფლებისთვის პასუხისგებაში მი-

¹ Г. М. Резник. Внутреннее убеждение при оценке доказательств, 1977. с. 7.

² თ ე ო რ ი ა გვ. 435—436.

ცემული პირი თავს სცნობს დამნაშავედ, მაგრამ ფაქტიურად რა გააკეთა ბრალდებულმა, ამის შესახებ სიმთვრალის გამო არაფერი არ ახსოვდა.¹ ვფიქრობთ, თუ საქმისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა სპირტიანი სასმელის დაღვების ფაქტს, ამ შემთხვევაში საბზე არა გვაქვს არც ე. წ. წყარო — ბრალდებულის ჩვენება, რაკი „მონაცემების“ გარეშე ჩვენებაც არ არსებობს... ასევე ჩვენც უდავოდ მიგვაჩნია — არ ექნება არავითარი იურიდიული მნიშვნელობა „ჩვენებას“, როდესაც მოწმე აცხადებს: „ბრალდებული ხულიგანია, ეს იცის ყველამ, მაგრამ თვითონ არაფერი არ დამინახავს“. საგულისხმოა, რომ ავტორები, როდესაც მიუთითებენ წყაროების არაკეთილხარისხოვნებაზე, ყურადღებას ამახვილებენ აგრეთვე ე. წ. ინფორმაციის მატარებლების (რომლებსაც ჩვენ წყაროები ვუწოდეთ — ბ. ხ.) თვისებებზე. საგანგებოდ აღნიშნულია, მაგალითად, საგნის ის თვისება, როდესაც მასზე საერთოდ დიდხანს არ რჩება ესა თუ ის კვალი, დასაკითხი პირის ფსიქიკური ან ფიზიკური თვისებები, რომლებიც გავლენას ახდენენ დასამოწმებელი ფაქტების აღქმაზე, დამანაშაურებაზე და გადმოცემაზე, ექსპერტის კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სხვა. ჩვენ გვეჩვენება, როდესაც წყაროების არაკეთილხარისხოვნებაზეა ლაპარაკი, მხედველობაში უნდა იყოს სწორედ ის საგნები (სულიერი თუ უსულო), საიდანაც ვგებულობთ ინფორმაციებს და არა ამ ინფორმაციების პროცესუალური ფიქსაციის ფორმები. ცხადია, უხარისხოდ შეიძლება გაფორმდეს ინფორმაციების პროცესუალურად მაფიქსირებელი ოქმიც, სხვა დოკუმენტებიც (დაკითხვის ოქმი, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერების ოქმი...), მაგრამ აქ უკვე სხვა მხრივ უნდა იყოს მსჯელობა. დამამტკიცებელი საბუთების კეთილხარისხოვნება კი უნდა გულისხმობდეს როგორც მათ საზეობრივ (მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა...), ისე კონკრეტული ინფორმაციების ვარგისიანობას. დიდი ხანია ცნობილია, შეუძლებელია ჩაითვალოს მტკიცებულებანი ვარგისიანად, როდესაც ისინი შეიცავენ არსებით წინააღმდეგობებს. მაგრამ საგამოძიებო პრაქტიკა იცნობს მოწმის, დაზარალებულის ჩვენებებში... ისეთ მეორეხარისხოვან წინააღმდეგობებს, წვრილმან „ზედმეტობებს“, რომლებიც, როგორც შენიშნულია, ადვილად შეიძლება მრინხნან უმტკივნეულოდ. ისინი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ ჰეშმარიტების დაღვენაზე, თუ, რასაკვირველია, მათ შეფასებაში შეცდომები არ იქნება დაშვებული.

¹ იხ. ფატკულინის დას. ნაშრომი, გვ. 187.

ლიტერატურაში მტკიცებულებათა კეთილხარისხოვნება თიქმის მათი სარწმუნობის სინონიმადაა ცნობილი; ეს ბუნებრივიცაა. რადგან არ შეიძლება მტკიცებულება მიჩნეულ იქნას სარწმუნოდ (არსებითად სწორად), თუ იგი არ არის კეთილხარისხოვანი. ი. ლ. პეტრუხინი სწორად მიუთითებს, რომ დამამტკიცებელი საბუთების შეფასება მათი სარწმუნობის თვალსაზრისით ხდება საგამოძიებო მოქმედების შესრულებისას, ვერსიების წარმოჭრისა და პროცესუალური გადაწყვეტილების მიღების დროს.¹

ვფიქრობთ, მართებულად შენიშნავს მ. ს. სტროგოვიჩი, რომ მტკიცებულების შეფასებასთან დაკავშირებულია მტკიცებულებათა შესახებობა და დასაშვებობა, მაგრამ ეს არ არის დამამტკიცებელი საბუთების არსებითი შეფასება, არამედ ასეთ შეფასებას წინ უძღვის.² როგორც ცნობილია, მტკიცებულებათა შესახებობა იმ ინფორმაციების ერთობლიობას გულისხმობს, რომლებითაც დგინდება მტკიცების საგანში შემავალი გარემოებანი. საბოლოო ანგარიშში, საკმეზე დასადგენი გარემოებების შესახებ ინფორმაციების მატარებელი წყაროებიცა და თვით მათში ასახული ამ ინფორმაციების ნიშანთვისებებიც ობიექტურად არსებობენ; ცხადია, დანაშაული თვითონვე წარმოშობს ხოლმე აგრეთვე დამამტკიცებელ საბუთებს, ობიექტურად არსებობენ პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი თუ გამომრიცხველი ფაქტობრივი გარემოებანიც და სხვა. ამოცანა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ სათანადო პროცესუალური წესების დაცვით, შეგროვდეს, შემოწმდეს და შეფასდეს ისინი. მაგრამ ცალკე სპეციალურ შეფასებას როდი მოითხოვენ დამამტკიცებელი საბუთები იმის გამოსარკვევად, შეეხებიან თუ არა მტკიცების საგანს. გ. მ. რეზნიკს არ შეიძლება გამართლებულად შესახებობის ხელაღებით ობიექტურ კატეგორიად გამოცხადება. ამ აზრის დასაცავად ასახელებს არაპირდაპირი მტკიცებულებების შესახებობის საკითხის ვადწყვეტის სირთულეს; მისი აზრით, არაპირდაპირ მტკიცებულებათა მტკიცების საგანთან დაკავშირება, პირველად სავარაუდოდ ხდება, შემდეგ კი ეს კავშირი ან მტკიცდება ან არა, ან საქმის გარემოების ბოლომდე გარკვევამდე ღიად რჩება.³ ვფიქრობთ, ეს არგუმენტი ვერ გამოდგება მტკიცებულებათა შესახებობის ობიექტური ხასიათის უარსაყოფად. დამამტკიცებელი საბუთების შეფასება შეეხება არა უშუალოდ შესახებობას, არამედ თვით მტკიცებულების არსს.

¹ თეორია, გვ. 436.

² იხ. მისი კურსი, 1968, გვ. 304.

³ Г. М. Резни́к. Внутреннее убеждение при оценке доказательств, 1977, с. 12—13.

თუ შეფასების შედეგად ვერ დადგინდება არაპირდაპირი მტკიცებულების ქეშმარიტობა, საერთოდ არ შეიძლება დაისვას საკითხი მისი შესახებობის შესახებ და, თუ რეალურ ფაქტად იქნება მიჩნეული უკვე, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, აღვილი გასარკვევო ხდება, საქმის რომელ გარემოებას ადგენს იგი. თუ გ. მ. რეზნიკის ლოგიკას გავყევებით, ალბათ სპეციალურად ცალკეც დაგვეპირდება დავამტკიცოთ რამდენად არიან შესახებითნი არაპირდაპირი მტკიცებულებანი, რადგან ისინი სავარაუდოდ უკავშირდებიან მტკიცების საგანს; მაგრამ ყველა არაპირდაპირი საბუთი მთავარი ფაქტის შესახებ განა მხოლოდ სავარაუდო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლევა? ეს ხომ სწორედ არაპირდაპირი მტკიცებულების თვისებაა?! პროცესუალურ ფორმაში მტკიცებულებითი ფაქტის ქეშმარიტობის დადგენა უკვე წყვეტს საკითხს მისი შესახებითობის თვალსაზრისითაც. მართლაც, თუ, მაგალითად, დადგინდება, რომ ექვმიტანილის (ექვდებულის) ტანსაცმელზე აღმოჩენილი სისხლის ლაქა იმავე ჭგუფს ეკუთვნის, როგორც ჰქონდა მოკლულს, ცხადია, თავისთავად ეს გარემოება მხოლოდ საალბათო დასკვნისთვის თუ გამოდგება მკვლელობაში ექვმიტანილის მონაწილეობასთან დაკავშირებით. აქ შეიძლება ასეთი სიტუაციაც შეიქმნას: ვთქვათ, იმავე ჭგუფის, სისხლი აღმოაჩნდა სხვა იმ პირსაც, რომელთანაც ჩხუბი მოუვიდა ექვმიტანილს მოცემულ მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე (ან მის შემდეგ) და მოეცხო სისხლი. ვფიქრობთ, ეს გარემოება მაინც არ ცვლის ვითარებას, რომ ექვმიტანილის მიერ მკვლელობის ჩადენის შესახებ ავაგოთ ვერსია. მართლაც, არაპირდაპირი მტკიცებულება ხომ არ გამორიცხავს დადგენილი ფაქტით სხვა ფაქტების შესაძლებლობებსაც. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ არაპირდაპირი მტკიცებულება პირდაპირი გზით მიგვიყვანდა მთავარ ფაქტამდე. როდესაც შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია ექვმიტანილის ხელის კვალი უძრავ საგანზე, ეს გარემოება უყოყმანოდ მიუთითებს მის იქ ყოფნაზე, რაც არ მოითხოვს სპეციალურ კვლევას — შეეხება თუ არა მტკიცების საგანს.

როგორც ცნობილია, დამამტკიცებელი საბუთების მოცულობა (მტკიცების ფარგლები) ზოგჯერ ერთგვარად ვიწროვდება და ზოგჯერ კი — ფართოვდება, მაგრამ ეს ხდება არა იმით, რომ დანაშაულთან დაკავშირებული გარემოებანი განიცდიან რაოდენობრივ ცვალებადობას, ან გარდუეალია ობიექტური კანონზომიერებით, არამედ ადგილი აქვს საგამოძიებო-სასამართლო შეცდომებს, უყურადღებობას, დანაშაულებრივ დაუდევრობას, დანაშაულის დაფარვით დაინ-

ტერესებულ პირთა ხელშეშლას და სხვა მტკიცებულებათა შესახებ ბითობის საკითხთან დაკავშირებით ხშირად ლაპარაკობენ მტკიცებულებათა ე. წ. „ძალაზე“. მტკიცებულების ძალას ზომავენ მისი უნარით, ზუსტად დაადგინოს საძიებელი ფაქტი. თუ მტკიცებულებას არ ახასიათებს შესახებითობა, მას ძალადაკარგულად თვლიან. მტკიცებულებათა შეფასების შინაარსში იხილავენ მტკიცებულებათა საკმარისობას საქმეზე საბოლოო დასკვნისათვის. მაგრამ არ არის დასახელებული რაიმე კრიტერიუმი, თუ როდის შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებანი საკმარისად სარწმუნო გადაწყვეტილების გამოტანისთვის. საქმე ის არის, რომ ზოგჯერ, პირიქით, სრულებითაც არ არის საკმარისი მტკიცებულებანი, მაგრამ, რაკი ველარ ხერხდება ხელშეშმული ობიექტური ფაქტორების წყალობით შემდგომი გამოკვლევა, ხშირად აუცილებელი ხდება ძიების შეწყვეტა. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრითაც, უფრო ივარგებს მტკიცებულებათა არ არსებობის გამო დასკვნის გამოტანაზე ლაპარაკი.

როგორც ლიტერატურაში შენიშნულია, ზოგიერთი პროცესუალისტი მტკიცებულებათა შეფასებას არ თვლის მხოლოდ აზრობრივ პროცესად (ს. ა. გოლუნსკი და სხვ.). ფატკულინიც წინააღმდეგია შეფასების აზრობრივი (ლოგიკური) მხარის აბსოლუტიზაციისა სამართლებრივის საზიანოდ; იგი ჩამოთვლის იმ კონკრეტულ პროცესუალურ მოქმედებებს (სისხლის სამართლის საქმის აღძერა, პირის პაუხისგებაში მიცემა, ბრალდების შეცვლა, საბრალდებო დასკვნის შედგენა, მისი დამტკიცება, საქმის დაბრუნება დამატებითი გამოძიებისთვის, პირის სამართალში მიცემა, ბრალდების მხარდაქერა, დაცვის უზრუნველყოფა, განაჩენის დადგენა და სხვა), რომელთა შესეობით აზრობრივი აქტები გამოიხატებიან გარეგნულად. აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, მტკიცებულებათა შეფასება — ეს არის სამართლებრივი მოქმედების ელემენტი.¹ გ. მ. რეზნიკი ედავება რა ი. მ. ლუზგინს, რომელიც შეფასებას მტკიცების პროცესის განუყოფელ, გამოუცალკევებელ ელემენტად თვლის, ს. ლ. რუბინშტიუნის სწავლების მიხედვით, შეფასების მეთოდად ასახელებს ანალიზს, აინთეზს, შედარებას, აბსტრაგირებას, განზოგადებას (და არა მტკიცებულებათა შეკრებას, გამოკვლევას, დაკვირვებას, ექსპერიმენტს, მოდელირებას, გამოთვლას... — ი. მ. ლუზგინს რომ ჰგონია).²

¹ Ф. Н. Фаткулин. Общие проблемы процессуального дознания, Казань, 1976, с. 175.

² Г. М. Резник. Внутреннее убеждение при оценке доказательств. 1977, с. 4.

დამამტკიცებელი საბუთების შეფასებას აზრობრივ პროცესად თვლიან მ. ს. სტროგოვიჩი, ე. ლ. პეტრუხინი და სხვა; მაგრამ, ისინი, ცხადია, არ ივიწყებენ მის კავშირს საგამოძიებო-სასამართლო ორგანოთა პრაქტიკულ საქმიანობასთან. ე. ლ. პეტრუხინის მიერ, მაგალითად, ასეთი განმარტებული მტკიცებულებათა შეფასება: „მტკიცებულებათა შეფასება — ეს არის გამოძიებლის, პროკურორის, მოსამართლეების აზრობრივი მოქმედება, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ისინი, ხელმძღვანელობენ რა კანონითა და სოციალისტური მართლშეგნებით, იხილავენ ყველა მტკიცებულებას ცალკეულად და მთლიანობაში, განსაზღვრავენ მათ შესახებ ითობას, დასაშვებობას, სარწმუნობას და საკმარისობას საქმეზე დასკვნების გასაკეთებლად“. მტკიცებულებათა შეფასებას უკავშირებენ საგამოძიებო ვერსიების შედგენას, საგამოძიებო სასამართლო მოქმედებებს, პროცესუალურ გადაწყვეტილებებს, გამოტანილ დასკვნებს საქმის ცალკეულ გარემოებებზე ან დანაშაულზე მთლიანად.¹

ვფიქრობთ, მტკიცებულებათა შეფასება — ეს არის არა სამართლებრივი მოქმედების ელემენტი, არამედ შემეცნების აუცილებელი პირობა. შეფასების გარეშე ქეშმარიტება არ იაზრება, მაშინ როდესაც ქეშმარიტობის დაუდგენლობის შემთხვევაშიც დასაშვებია პროცესუალური მოქმედება. დამამტკიცებელი საბუთების შეფასება საფუძვლად ედება მომკვლევის, გამოძიებლის, პროკურორის, სასამართლოს რწმენის ჩამოყალიბებას, მაგრამ სამართლებრივი მოქმედებისათვის ყოველთვის როდი ვხელმძღვანელობთ რწმენით. ფსიქოლოგიურად შეფასება, ნებისმიერი ქცევის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ამა თუ იმ მოვლენის შეფასება შესაძლოა დარჩეს მხოლოდ აზროვნების კუთვნილებად, არ გამოქვანდეს იგი გარეგნულად. შეფასება ყოველთვის აზრობრივ პროცესად რჩება და თანაც სამართლებრივ აქტამდე ვერ დაიყვანება, მაგრამ მეორე უკიდურესობაში ვარდება მ. ა. ჩელოვი, როდესაც იგი შეფასებას პროცესის მოცემული სტადიის დამაგვირგვინებელ მომენტად მიიჩნევს, როცა შეკრებილია ყველა მტკიცებულება და საქმისათვის მხოლოდ დასკვნის გამოტანა.²

სინამდვილეში, დამამტკიცებელი საბუთების შეფასება ხდება როგორც მათი წყაროების მოძიების, ისე მტკიცებულებათა შეგროვებისა და შემოწმების პროცესშიც. შემოწმებისა და შეფასების ცალკე ეტაპებად დაყოფა შემთხვევითი არ არის; რასაკვირველია,

¹ თ ე ო რ ი ა, გვ. 428.

² მ. ა. ჩ ე ლ ო ვ ი, საბჭოთა სსსრ-ის სასამართლო პროცესი (რუს.), 1962, გვ. 152.

შემოწმება ყოველთვის გულისხმობს შეფასებასაც, ისე როგორც ეს უკანასკნელი პირველს, მაგრამ მათი განცალკევება არამც თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა პრაქტიკული მიზნების შესაბამისად. შემოწმება სწორედ რომ პრაქტიკული საქმიანობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც თავისთავად შეფასებასაც გულისხმობს. კანონმა არ შეიძლება განსაზღვროს მტკიცებულებათა შეფასების შინაარსი. შეფასება სუბიექტური ფაქტორია, რომელიც ეფუძნება შესაფასებელი მოვლენის ფაქტობრივ ნიშნებს; ამ ნიშნების კანონმდებლის მიერ გათვალისწინება შეუძლებელიც არის და არც არის გამართლებული. მაგალითად, როდესაც ექსპერტი იკვლევს ნივთს — მასში იმ თვისებების დადგენის თვალსაზრისით, რომლებიც საგამომიებო საქმისთვის მნიშვნელოვანია, ვერავინ წინასწარ ვერ განსაზღვრავს ფაქტიურად რას დაემყარება შეფასება. გამომძიებელიც სწორედ ამავე კრიტერიუმით ხელმძღვანელობს საქსპერტო აქტის შეფასებისას, მან უნდა ხელახლა გააანალიზოს ნივთის თვისებები ექსპერტიზის პროცესის კვალობაზე და ყოველივე გადაათვას ფაქტიური ნიშნებით და არა სამართლებრივი ნორმების საფუძველზე; უფრო სწორად, ნორმების გამოყენება თავისთავად გულისხმობს ნივთის, საგნის (მოვლენის) ფაქტობრივ შეფასებას და ამიტომ სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ შეფასება საეალღებულო ნორმების გარეშეც არსებობს. ლიტერატურაში ძირითადად სწორად არის მითითებული, რომ მტკიცებულება ფასდება თავისუფლად, კანონში წინასწარ არ არის განსაზღვრული მათი ღირებულება (საკმარისობა) ამა თუ იმ დასკვნისათვის; ცნობილია, აგრეთვე, რომ დასკვნების შინაარსი გამომდინარეობს არა რომელიმე პირის მითითებიდან, არამედ უშუალოდ შეფასებიდან; კანონში სპეციალურად არის მითითებული, რომ მტკიცებულებათა შეფასება უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული, მაგრამ, ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია, ის, რომ საგანგებოდ არ არის დაწესებული მტკიცებულებათა ანალიზის აუცილებლობა ისეთი მოქმედებების ჩატარებისთვის, როგორიცაა: პირის პასუხისგებაში მიცემა, ჩხრეკა, ამოღება... სინამდვილეში, სწორედ ეს გარემოებაც უწყობს ხელს ზოგჯერ მომკვლევის, გამომძიებლისა თუ პროკურორის უკანონო მოქმედებას. იმ შემთხვევაში თუ, მაგალითად, პირის პასუხისგებაში მისაცემად საეალღებულო იქნებოდა გამომძიებლის (პროკურორის) დადგენილების დამამტკიცებელი საბუთებით დასაბუთება, ცხადია, გამომძიებელი (პროკურორი) მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობდა და ადვილიც აღარ ექნებოდა სარწმუნო მტკიცებულებათა გარეშე პირის პასუხისგებაში მიცემას.

დამამტკიცებელი საბუთების შეფასებასთან დაკავშირებით ყუ-
რადღებას იქცევს ე. წ. „შინაგანი რწმენის“ პრობლემა. ლიტერატუ-
რაში საკმაოდ ბევრი დაიწერა დამამტკიცებელი საბუთების შეფასე-
ბის ისტორიაზე.

დაწყებული საბრალდებო პროცესიდან (ორთაბრძოლის შედე-
გების მიხედვით რომ განსჯიდნენ), ვიდრე ინკვიზიციურ პროცესამდე
და თვით ფორმალურ მტკიცებულებათა შემოღებამდე, დიდმა დრომ
განვლო, სანამ საფუძველი ჩაეყარებოდა ე. წ. მტკიცებულებათა თა-
ვისუფალ შეფასებას „შინაგანი რწმენით“ (ისტორიულად ნაფიც
მსაჯულებს ხვდათ წილად ამ ცნების „მოთავეებად“ გამხდარიყვნენ,
რაც ვერდიქტი გამოჰქონდათ მხოლოდ „სახალხო სინდისის საფუ-
ძველზე“).

ალსანიშნავია, რომ თუმცა საბჭოთა კანონმდებლობაში იმთავი-
თვე გათვალისწინებული იყო შინაგანი რწმენის ობიექტურად დასა-
ბუთების აუცილებლობა, მაგრამ მაინც იჩინა თავი თეორიაში აზრთა
სხვადასხვაობამ. როგორც ლიტერატურული წყაროები მოწმობენ,
მ. მ. გროძინსკი თუ სასტიკად ილაშქრებდა „შინაგანი რწმენის“,
როგორც ყოველგვარი ობიექტურ დასაბუთებას მოკლებულ პრინცი-
პის წინააღმდეგ. ნ. ნ. პოლიანსკი ორივე პრინციპს (ფორმალურ და
„კანონიერ“ მტკიცების თეორიას და თავისუფალ შეფასების პრი-
ნციპს) უკიდურესობებდად თვლიდა. მ. კ. სტროგოვიჩი გმობდა შინა-
განი რწმენით შეფასების პრინციპს, როგორც სუბიექტივიზმის კლასი-
კური თეორიას, და წინ აყენებდა მტკიცებულებათა ობიექტივატივის
პრინციპს. ამ პერიოდში, ცნობილია, თავი იჩინა დოკუმენტების, ნი-
ვამტკიცებულებათა და ექსპერტიზის დასკვნის ერთობ გაიდევლება.

ასეთი ტენდენცია დაგმო ს. ა. გოლუნსკიმ და სხვებმა, თუმცა
ისინი განაჩენს უკავშირებდნენ მაქსიმალური ალბათობის დადგენას.
ამჟამად თითქმის ყველა პროცესუალისტი აღიარებს შინაგანი რწმე-
ნის მნიშვნელობას დამამტკიცებელი საბუთების შეფასებისთვის, ე. ი.
ისეთ შეფასებას, როდესაც არ არის სავალდებულო არც ერთი პირის
წინასწარი შეფასება. განურჩევლად მათი თანამდებობრივი თუ პრო-
ცესუალური მდგომარეობისა (ზემდგომი. ორგანოები, პროცესში
მონაწილე პირები და სხვა). ფსიქოლოგიურად რწმენა, ცხადია, სი-
ტყუა „შინაგანის“ დამატებას აღარ საჭიროებს, რაკი „გარეგანი“
რწმენა არ არსებობს. მაშინაც კი, როდესაც გარეგანი მოქმედებით
წარმოიქმნება რწმენა, იგი მაინც „შინაგანად“ გადაიქცევა, თუ ის
ნამდვილი რწმენაა; მეორეს მხრივ, განა შეიძლება წარმოვიდგინოთ
რწმენა გარეგანი მოვლენების გარეშე? ყოველთვის, პიროვნების გა-
რეშე უნდა იყოს რაღაც ისეთი, რომელიც გარკვეულ რწმენამდე

მიიყვანს შას. რწმენის ჩამოყალიბებისას ყველა შემთხვევაში გამო-
რიცხული უნდა იყოს იძულება, როგორც ეს შენიშნულია (ა. რ. რა-
ტინოვი და სხვ.), მაგრამ თავისთავად იძულება ვერ შექმნის რწმენას,
თუ თვითონ სუბიექტი არ ირწმუნებს. მოქმედებისათვის იძულება,
ცხადია. არ ნიშნავს რწმენით მოქმედებას. ამიტომ, როდესაც ვლა-
პარაკობთ მომკვლევის, გამოძიებლის, პროკურორის, მოსამართლის
რწმენაზე, თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს, რომ მათ იგი ჩამო-
ყალიბებული აქვთ დამამტკიცებელი საბუთების უშუალოდ შეფასე-
ბის შედეგად. და სწორედ ეს უშუალოება ავსებს, სცვლის „შინაგანს“,
რომელიც ვერ იგუებს ვერაფრითარ გარეშე ჩარევებს. ავტორები იწო-
ნებენ გამოთქმას — „შინაგანი რწმენა“ სწორედ იმიტომ, რომ რწმე-
ნა ამ შემთხვევაში გამორიცხავს ყოველგვარ გარეგან კრიტერიუმს
(გ. მ. რეზნიკი).¹ ეს ცნობილი აზრია, მაგრამ სამწუხაროდ ე. წ. გარეგა-
ნი კრიტერიუმების გარეშეც რომ მტკიცებულებათა შეფასება მეტ-
ნიერულად ვერ წესრიგდება — ამასაც ვერ უარყოფენ დასაბუთებუ-
ლად. თუ გარეგანი დოკუმები უარსაყოფია, განა მისაღებია შიშველი
„შინაგანი რწმენა“? თუ კონკრეტული საქმის სპეციფიურობა გ. მ.
რეზნიკის ფიქრითაც შინაგანი რწმენის შინაარსია, მაშასადამე, მტკი-
ცებულების რწმენით შეფასებისთვის ადგილი აღარ რჩება. მ. ს.
სტროგოვიჩს არც მიაჩნია საკითხი გადაწყვეტილად, თუ ვიტყვით,
რომ მტკიცებულებანი ფასდებათ თვით მტკიცებულებითვე? მაგრამ
განა უკეთესია, თუ რწმენას რწმენითვე შევაფასებთ? ვფიქრობთ,
ავტორები, რომლებიც შინაგან რწმენას უკავშირებენ გამოკვლევის
პროცესს (გ. დ. არსენევი, ა. რ. რატინოვი, გ. მ. რეზნიკი და სხვ.) ძა-
ლაუნებურად იმის აღიარებამდე მიდიან, რომ რწმენა უნდა შეფასდეს
ისევე რწმენით. რაკი წინასწარ განსაზღვრული გარეგანი კრიტერიუმი
არ არსებობს, მაშასადამე, მტკიცებულებანი უნდა შეფასდეს შინაგა-
ნი რწმენით. შინაგან რწმენას, განურჩევლად იმისა, — ვუწოდებთ
მას მტკიცებულებათა შეფასების მეთოდს (ა. ი. ტრუსოვი, ვ. დ.
არსენევი...), პრინციპს, ხერხს (გ. მ. რეზნიკი და სხვ.), ან კრიტე-
რიუმს (მ. ს. სტროგოვიჩი, ა. ა. სტარჩენკო...), ვერ მოვუძებნით თა-
ვის ადგილს, თუ მას მხოლოდ მტკიცებულებათა გამოკვლევის შე-
დეგად კი არ მივიჩნევთ, არამედ გამოკვლევის პროცესსაც მივატმას-
ნით. ავტორთა სხვადასხვა დასკვნები საქმეს ვერ შევლის იმის გასა-
მართლებლად, რომ სასამართლო-საგამოძიებო ორგანოები დამოუკი-

1 რეზნიკის დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

2 იხ. მისი ტრაქტი, გვ. 342.

3 იხ. რეზნიკის დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

დებელნი არიან პროცესუალური ფუნქციების შესრულებისას, რომ კანონი არ ადგენს არავითარ სავალდებულო გარეგან კრიტერიუმს მტკიცებულებათა დამაჯერებლობის საკითხის გადასაწყვეტად. სრულებით არ არის საჭირო შინაგანი რწმენა ვალიაროთ მტკიცებულებათა შეფასების ამოსავლად, გავაიგივოთ შეფასების ხერხთან (გ. მ. რეზნიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23) და სხვა. თუ ჩვენ ერთი წუთით მაინც დავივიწყებთ, რომ რწმენა — ეს არის მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთების შეფასების შედეგი, მაშინ ლოგიკურად იგი შემეცნების პროცესში პირველადი მოვლენის ადგილსაც დაიკავებს და ყველაფერი თავდაყირა შეტრიალდება. არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ რწმენა არის აზრობრივი, ინტელექტუალური ფაქტორი, მაშინაც, როდესაც ადამიანი ნებისმიერ ქვევას მიმართავს. ვიმეორებთ, რწმენა შეიძლება დარჩეს მხოლოდ აზრის კუთვნილებად, თუ იგი გარეგნულად არ გამოვლინდება კმედობაში. რწმენა რომ არ გაუტოლდება არც ინტუიციას, არც ვერაუდსა და არც უანგარიშო გრძნობას, ამაზე მრავალჯერ ითქვა ლიტერატურაში. მაგრამ აქ მთავარია რწმენის სუბიექტურობის აღნიშვნა, იგი ფსიქოლოგიური კატეგორიაა, რაკი არავინ არ უარყოფს, რომ მას ადგილი აქვს მხოლოდ შეხედულებათა (ინტერესების) კომპლექტურ ვითარებაში (ამ თვალსაზრისით, იგი გრძნობების, აზროვნებისა და ნებისყოფის ერთიანობას მოითხოვს); რწმენა დაკავშირებულია შეფასებით განცდებთან; უფრო სწორად მისი რეზულტატია, და, აქედან გამომდინარე, თვითონ რწმენა რომ შეფასების წარმმართველ ძალად გამოვაცხადოთ, მაშინ თავისთავად შეფასებასაც გამოეცლება მატერიალური საფუძველი, რამდენჯერაც არ უნდა ვიმეოროთ, რომ რწმენა ემყარება საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას ერთობლიობაში. რაკი კანონი არ ადგენს არავითარ აუცილებელ გარეგან კრიტერიუმს (განსაზღვრულ მაჩვენებელს, ნიშანს) მტკიცებულების სარწმუნოდ მიღებისთვის, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ასეთი რამ ბუნებაშიც არ არსებობდეს. თუ დამამტკიცებელი საბუთის ქეშმარიტი შეფასებისთვის რეალური საფუძველი არ არსებობს, ქეშმარიტების დადგენაზე ლაპარაკიც არ ივარგებს; მაშინ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სუბიექტურის შეცნობა სუბიექტურიითვე ხერხდება, აზრს აზრი იწვევს, რწმენას რწმენა და ა. შ. მართლაც, ის ავტორები, რომლებიც დამამტკიცებელი საბუთების შეფასების კრიტერიუმად შინაგან რწმენას აცხადებენ, ვერ მიუთითებენ, თუ რა გზით შეიძლება თვით რწმენის ნამდვილობის შემოწმება. თუ შინაგანი რწმენა — ეს არის მტკიცებულებათა შეფასების კრი-

ტერიუმში, მაგრამ თვითონ შინაგანი რწმენის კრიტერიუმს კი — საქმის ფაქტიური გარემოებანი წარმოადგენენ,¹ მაშინ ეს ნიშნავს, ვთქვათ, დამამტკიცებელი საბუთები ფასდება იმისათვის, რომ შემუშავდეს ჭეშმარიტი რწმენა. აქედან გამომდინარე, საჭიროების გარეშე გართულბულად მიგვაჩნია მ. ს. სტროგოვიჩის შემდეგი დებულება: „არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმში, რომლის მეშვეობით დგინდება ჭეშმარიტება და მოსამართლეთა დასკვნების ჭეშმარიტობის კრიტერიუმში, რაც მიიღება მტკიცებულებათა მეშვეობით“.² მომდევნო სტრიქონებში ავტორი სამართლიანად დასძენს, რომ „თუ მოსამართლეთა შინაგან რწმენას განვიხილავთ, როგორც სასამართლოს დასკვნების ჭეშმარიტობის კრიტერიუმს — ეს ნიშნავს ობიექტურ ჭეშმარიტების შეცვლას სუბიექტურ დარწმუნებულობით, რომელიც თავისთავად შეიძლება იყოს მართალიც და მცდარიც“.³ მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც დავინახეთ, მ. ს. სტროგოვიჩი მაინც დამამტკიცებელი საბუთების შეფასების კრიტერიუმად შინაგან რწმენას თვლის. თუ ა. ა. სტარჩენკოს სიტყვით (რომელსაც მ. ს. სტროგოვიჩიც ეთანხმება), შინაგანი რწმენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეფასდეს, როგორც მიღებული ცოდნის დამაჯერებლობის (სარწმუნობის) განმსაზღვრელი,⁴ რიდასთვის გვეჩრდება შეფასების ასეთი კრიტერიუმში? ვიმეორებთ, გამომძიებლის (მოსამართლის, პროკურორის) რწმენა ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს დამამტკიცებელი საბუთების შეფასებიდან და მას აქვს არსებითი მნიშვნელობა ჭეშმარიტების დადგენისთვის, მაგრამ ის, რომ დამამტკიცებელ საბუთებს აფასებს უშუალოდ გამომძიებელი (მოსამართლე, პროკურორი), სხვა პირთა ყოველგვარი ჩარევის, წინასწარი შემუშავებული „სქემების“ გარეშე — ეს რატომ უნდა ნიშნავდეს დამამტკიცებელი საბუთების შინაგანი რწმენით შეფასებას? რაკი კანონმდებელი არ უთითებს — რა ნიშნებით შეფასდეს, მაგალითად, კონკრეტული მოწმის ჩვენების დამაჯერებლობა, განა ეს იმის საფუძველს გვაძლევს, რომ გამომძიებლის რწმენაზე გადავიტანოთ მთელი სიმძიმე, როგორც შეფასებით მაჩვენებელზე? მართალია, პრაქტიკაში ერთი მოწმის ჩვენების დამაჯერებლობა მეორე მოწმის ჩვენებასთან შედარებით სწორედ რომ რწმენით გვეძლევა, მაგრამ დამაჯერებლობა ხომ ამ შემთხვევაშიც (მატერიალური ნიშნებიდან გამომდინარე)

1 მ. ს. სტროგოვიჩის დასახ. კურსი, გვ. 339.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 339—340.

4 იქვე, გვ. 340.

მხოლოდ შედეგის სახით იაზრება? მოწმის ჩვენება გვარწმუნებს ან არ გვარწმუნებს საძიებელი მოვლენის რეალობაში, მაგრამ ეს რწმენა შესაძლოა იყოს მცდარიც. როგორც ზემოთ ითქვა, დანაშაულის გამოძიება ფაქტიურად ვერსიების შედგენისა და მათი სრულად, ყოველმხრივად და ობიექტურად შემოწმების ფორმით მიმდინარეობს იქამდე, სანამ კატეგორიულ დასკვნამდე არ მივალთ და არ მოისპობა ახალი ვერსიების წარმოქმნის რეალური შესაძლებლობა. მაშასადამე, გამოძიების პროცესში; განსაკუთრებით მის რომელიმე სტადიის დამამთავრებელ ეტაპამდე, შეუძლებელიცაა ჰეშმარიტ რწმენაზე ლაპარაკი, ფსიქოლოგიურად რწმენა ხომ უკვე უნდა გამოორიცხავდეს ყოველგვარ მსჯელობასა და სავარაუდო დასკვნებს. რწმენა თუ საბოლოო არ არის — იგი რწმენადაც ვერ ჩაითვლება. გამოდის, რომ გამოძიების გარკვეულ მონაკვეთში კონკრეტულ მტკიცებულებათა შეფასება არც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩამოგვიყალიბდეს მტკიცე რწმენა — ერთი მტკიცებულების შეფასების შედეგად მიღებული რწმენა შეიძლება შეიცვალოს მეორე მტკიცებულების განხილვით და ა. შ. თუ ეს ასე ხდება (რაშიც ეჭვის შეტანა შეუძლებელია), განა დროის უქმად დახარჯვას არ უდრის — ვამტკიცოთ, რომ რწმენის საფუძველზე ხდება მტკიცებულებათა შეფასება? რწმენა ედება საფუძვლად რომელიმე პროცესუალური აქტის მიღებას, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთების შეფასებით მიღებული რწმენა, როგორც შემეცნების სუბიექტური მხარე, ვლინდება მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის შედეგების სახით. ვფიქრობთ, ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით: დამამტკიცებელი საბუთების უშუალოდ გამოკვლევით (შეფასებით) შეემუშავდება მოსამართლის (გამომძიებლის) რწმენა, რომელიც მხოლოდ იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი ჰეშმარიტების კრიტერიუმის (პრაქტიკის) სუბიექტური მხარეა. ობიექტური ჰეშმარიტება რომ ობიექტურად არ არსებობს, რომ იგი სუბიექტის (შემეცნებლის) გარეშე წარმოუდგენელია — ეს არ უნდა იწვევდეს დავას. მაგრამ, რაკი ჰეშმარიტების კრიტერიუმად პრაქტიკაა მიჩნეული (ფილოსოფიური გაგებით), ე. ი. საზოგადოებრივი-ისტორიული საქმიანობა (მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად), არ შეიძლება დამამტკიცებელი საბუთების შეფასების კრიტერიუმად ვალიაროთ თვით შეფასების შედეგი, ანუ რწმენა. მაგრამ საერთოდ სასამართლოს დასკვნების შემოწმება რომ შესაძლებელია, რაკი მათი ჰეშმარიტობის კრიტერიუმი მოსამართლეთა შე-

გნების გარეთაა — ეს არ უნდა იწვევდეს დავას.¹ მართლაც, შეუსაბამობა იქნებოდა, ჭეშმარიტების კრიტიკრიუმად პრაქტიკის აღიარების მიუხედავად, დამამტკიცებელი საბუთების შეფასების კრიტიკრიუმად გამომძიებლის ან მოსამართლის შინაგანი რწმენა მიგვეჩნია. ჯერ ერთი, მტკიცებულებათა შეფასება ხდება სწორედ იმისთვის, რომ დავადგინოთ ჭეშმარიტება. სხვა მიზანი არ არსებობს. მტკიცებულებათა შეფასებას ხომ ლოგიკურად მივყავართ გარკვეულ დასკვნამდე — შედეგამდე, — რომელიც სუბიექტურად მხოლოდ რწმენის სახით შეიძლება გამოიხატოს. თუ შეფასება არ არის სწორი, ცხადია, არც მის საფუძველზე შემუშავებული რწმენა (შედეგი, დასკვნა) იქნება ჭეშმარიტი. მაგრამ რწმენის ჭეშმარიტობა ისევ რწმენით შევაფასოთ? განა აქამდეც არ მივყავართ მტკიცებულების შინაგანი რწმენით შეფასებას? როდესაც, მაგალითად, მოწმის ჩვენებას ვაფასებთ „შინაგანი“ რწმენით — ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენს რწმენაზეა დამოკიდებული მივიჩნევთ თუ არა მას დამაჯერებლად. თუ მივიჩნით იგი დამაჯერებლად (სარწმუნოდ), მაშასადამე, მოწმის ჩვენების შემცველი ინფორმაციებიც ჭეშმარიტებას უნდა ასახავდნენ. ამ ლოგიკით სხვა რა გზა არსებობს ჭეშმარიტების დადგენისთვის? მეორეს მხრივ, შინაგანი რწმენის კრიტიკრიუმის გამოყენებას მომხრეები იშველიებენ სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძველების მე-17 მუხლს, სადაც ნათქვამია: „სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მომკვლევები პირი, მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, მათ ერთობლიობაში, ხელმძღვანელობენ კანონითა და სოციალისტური მართლშეგნებით. სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლისა და მომკვლევისთვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ განზრახული ძალა“. იქამდე, სანამ ეს წესი კანონში ჩამოყალიბდებოდა, მას თეორიულადაც ასაბუთებდა ავტორების უმრავლესობა. მაგრამ აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. თუ შინაგანი რწმენა სწორედ იმიტომ არის გამოსაყენებელი მტკიცებულებათა შეფასების კრიტიკრიუმად, რომ იგი ემყარება საქმის ყველა გარემოების გამოკვლევას (რაც, ცხადია, ისევ დამამტკიცებელი საბუთების სახით უნდა იაზრებოდეს), მაშინ ხომ ერთგვარ წინააღმდეგობასაც ვაწყდებით, რაკი ბოლოს და ბოლოს მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დამამტკიცებელი საბუთი დამამტკიცებელი საბუთითვე უნდა შევაფასოთ? მართლაც, რა საზომით შევა-

¹ თ ე ო რ ი ა, გვ. 138.

ფასოთ მოწმის ჩვენება (ან სხვა მტკიცებულება) ჰეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით? როგორც აღინიშნა, შინაგანი რწმენის კრიტიკრიუმის მომხრეების აზრით, იმისათვის, რომ რწმენა იყოს სწორი, დასაბუთებულო, საჭიროა მისთვისაც გარკვეული კრიტიკრიუმი, — რწმენის შესაბამისობა საქმის გარემოებასთან.¹ ვფიქრობთ, ასეთ ვითარებაში თითქმის სასაყვედურო აღარაფერი გვრჩება ვ. დ. არსენევთან, რომელსაც ჰეშმარიტების კრიტიკრიუმად სისხლის სამართლის პროცესში გამოჰყავს მტკიცებულებათა ერთიანობა (სისტემა); ე. ი. მტკიცებულებათა შეფასებას აფუძნებს ისევ მტკიცებულებებზე.² პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შინაგანი რწმენის ფსიქოლოგიური ხასიათის გამოკვლევას, რაკი რწმენა განხილული უნდა იქნეს, როგორც მოსამართლის შეგნების გარკვეული მდგომარეობა; ამას გარდა შინაგანი რწმენა, ავტორის აზრით, მორალური ხასიათისაა — რწმენით გასამართლებას სინდისით გასამართლებასთან ათანაბრებს; და ბოლოს, ავტორი შინაგანი რწმენის პროცესუალურ ხასიათს იმაში ხედავს, რომ მის საფუძველზე ფასდება მტკიცებულებანი.³ მაგრამ აქვე შემთხვევით არ არის ხაზგასმული, რომ შინაგანი რწმენის პრობლემა ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში არ არის საკმარისად შესწავლილი.⁴ დამამტკიცებელი საბუთების შეფასებისთვის შინაგანი რწმენის კრიტიკრიუმის გამოყენების მომხრეებს ალბათ ისიც ესმით, რომ საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრული და ობიექტური განხილვა მათ ერთობლიობაში შესაძლოა მცდარი რწმენის საფუძველიც იყოს, თუ ეს გარემოებანი (ფაქტების შესახებ ცნობები, ინფორმაციები) ვერ დასაბუთდებიან პრაქტიკის თვალსაზრისით (სიტყვის ფართო გაგებით); უფრო სწორად, დამამტკიცებელი საბუთების შეფასების შესამოწმებლად უნდა გამოვიყენოთ არა სუბიექტური (ფსიქიკური), არამედ ობიექტური საზომი. ასეთ საზომად (მაჩვენებლად) შემეცნებაში პრაქტიკაა მიჩნეული. ჩვენ ვერ დავეთანხმებით გ. მ. რეზნიკს, რომელიც მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასების გარდა სხვა გზას ვერ ხედავს გამოძიებლის, მოსამართლეების... შინაგანი რწმენის დასაბუთებულობის შესამოწმებლად.⁵ აქ აშკარად ჩანს ფსიქიკურის ფსიქიკური-თვე შემოწმების ტენდენცია (რაც ლიტერატურაშიცაა შენიშნული). პრაქტიკა, როგორც შემეცნების პროცესის განუყოფელი მხარე, მიჩ-

1 მ. ს. სტროგოვიჩის დასახ. კურსი, 1968, გვ. 339.

2 იქვე, გვ. 342.

3 იქვე, გვ. 349.

4 იქვე, გვ. 349.

5 დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 116.

ნეულთა სწორედ იმ ობიექტურ საზომად, რომლითაც ვარჩევთ ჰემ-მარიტებას. მცდარობისაგან. მაგრამ რა თავისებურებით ხასიათდება პრაქტიკა სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებით? სასამართლო წარმოება, როგორც ცნობილია, პრინციპულად არ განსხვავდება საერთოდ შემეცნების პროცესისაგან. ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ განზოგადებული, ისტორიული პრაქტიკა, ამტკიცებს არა მოცემულ აზრს მოცემული სუბიექტისას, არამედ საერთოდ აზროვნების ადეკვატურობას (ა. ა. ეისმანი), მაგრამ თუ ცალკე აღებულ მტკიცებულებისთვის ვერ გამოვნახავთ ჰემმარიტების სათანადო კრიტერიუმს პრაქტიკის სახით, მაშინ გაძნელება მისი ჩართვა ჰემმარიტების ძიების საშუალებათა სისტემაში. იმისათვის, რომ ესა თუ ის მტკიცებულება ვარგისად იქნეს მიჩნეული, საჭიროა, პირველ რიგში, მისთვის გამოიძებნოს ობიექტური შეფასების კრიტერიუმი; უფრო სწორად, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს თუ რამდენად დასაბუთებულია მოცემული მტკიცებულების შეფასება ობიექტურად; მტკიცებულების შეფასების შედეგად მიღებული რწმენის ობიექტური მაჩვენებელი ხომ არ არის სადავო ან არასაკმარისი ჰემმარიტების დადგენის თვალსაზრისით; ამას კი მივალწევთ მხოლოდ მაშინ, როდესაც პასუხს გავცემთ კითხვაზე, თუ რატომ არის მისაღები კონკრეტული მტკიცებულება, რატომ გამომდინარეობს მისგან სახელდობრ მოცემული დასკვნა და რა ნიშნებით არის იგი სარწმუნო. ამ საკითხის გადაწყვეტა საგამოძიებო საქმიანობაში მეტად პრობლემატურია. აქ თავს იჩენენ მთელი რიგი შემაფერხებელი გარემოებანი, რომლებიც მოითხოვენ სერიოზულ ანალიზს. როგორც შენიშნულია, პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ დაუინტერესებელ მოწმეთა ჩვენებები სარწმუნონი არიან თუ, რასაკვირველია, თავს არ იჩენენ აღქმის, დამახსოვრების ან ჩვენების რეპროდუქციის აშკარა ხელშემშლელი პირობები. რაკი დანაშაულის ფაქტი დადგინდება ხოლმე ე. წ. შემსწრე მოწმეების ჩვენებებითაც, ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი ფსიქოლოგია, უფრო სწორად, მოწმეთა ჩვენების შეფასებისთვის ფსიქოლოგიური მონაცემებიც გამოყენება ნათელყოფს იმ ობიექტური თვისებების გამოვლინებას, რომლებიც თვით ამ მოწმეების ჩვენებათა შეფასების ჰემმარიტობის მაჩვენებელია. პრაქტიკიდანაც დადასტურებულია, რომ საქმის ბედით დაინტერესებულ მოწმეთა ჩვენებები არ ითვლება საიმედო მტკიცებულებად; წინააღმდეგ გ. მ. რეზნიკის შეხედულებისა,¹ საქმის ბედით დაუინტერესებელ მოწმეს არ შეუძლია მისცეს

¹ იხ. რ ე ზ ნ ი კ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

ცრუ ჩვენება. როგორც ცნობილია, ქეშმარიტების დასადგენად ნაკლებად გამოსაყენებლად მიიჩნევა დანაშაულში თანამონაწილეთა ჩვენებები. სტატისტიკით დადასტურებულად თვლიან, რომ გაუპატიურების საქმეებზე უმთავრესად გამოიყენება დაზარალებულთა ჩვენებანი, მაგრამ მათი ქეშმარიტობის კრიტერიუმში ნაკლებად არის შესწავლილი, მით უმეტეს დაზარალებული, როგორც წესი, დაინტერესებულია ხოლმე საქმის ბედით. სასამართლო პრაქტიკა არ ცნობს ბრალდებულის აღიარებას საკმარისად ბრალდების დამტკიცებისთვის. როგორც ჩანს, პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია დამამტკიცებელი საბუთების შეფასების გარკვეული კრიტერიუმები, ჩვენებებთან დაკავშირებით, მაგრამ, თანაც აშკარაა მათი ზედმიწევნით სიღარიბე. საქმე ის არის, რომ მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის ჩვენებათა შეფასების ქეშმარიტობის მაჩვენებლები სრულყოფილად მხოლოდ მაშინ გამოვლინდებიან, როდესაც ფართოდ დაინერგება ამ პირობა დაკითხვების დროს ფსიქოლოგიური მონაცემების მაქსიმალურად გამოყენება. სადღეისოდ ცნობილია მთელი რიგი ზერხები, რომლებითაც შეგვიძლია შევამოწმოთ რწმენის ქეშმარიტობა; მართლაც, შემთხვევის ადგილზე პირის ყოფნის ფაქტის შესახებ რწმენა უტყუვრად შეიძლება შემოწმდეს უძრავ საგანზე დატოვებული თითის ანაბეჭდებით, რაკი პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ადამიანის თითების ქარგები ინდივიდუალური და უცვლელი კონფიგურაციებით ხასიათდება. საქმის კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე შემუშავებული რწმენა ზოგჯერ შემოწმდება ხოლმე სისხლის ჯგუფით, ცდით და სხვა, მაგრამ სასამართლო შეცდომების საკმაოდ მრავალი შემთხვევა მაინც ქეშმარიტების კრიტერიუმის სიღარიბეში უნდა ვეძიოთ; ამიტომ, საგამოძიებო-სასამართლო ორგანოთა მუშაობის მორალურად გაჭანსაღების აუცილებლობის გვერდით, ყოველდღიური ზრუნვა გვმართებს გავაუმჯობესოთ მეცნიერული ცოდნის გამოყენების პრაქტიკა დამამტკიცებელი საბუთების შეფასების დროს, თუ გვინდა რომ არ შევლახოთ მოქალაქეთა უფლებები, მათი უკანონოდ პასუხისგებაში მიცემითა და დასჯით.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით დ. პ. გორსკის და მის მომხრეებს (ა. ი. ტრუსოვი, ა. ა. ფისმანი, გ. მ. რეზნიკი...), რომლებიც ფიქრობენ, რომ თითქოს ქეშმარიტება შეიძლება არსებობდეს პიპოთეზის სახით და არ არის აუცილებელი მისი დასაბუთება, დამტკიცება.¹ ავტორების სიტყვით, რაკი აზრი ჯერ არ არის დამტკიცებულ — ეს იმას არ ნიშ-

¹ დ. პ. გორსკი, ლოგია, გვ. 91, გ. მ. რეზნიკის დასახელებული ნაშრომი, გვ. 63.

ნავს, რომ არ არსებობს ობიექტური ჰეგემარიტება. როგორც ჩანს, ობიექტური ჰეგემარიტება ავტორებს უნებურად დაჰყავთ მოვლენის ობიექტურად არსებობამდე. სინამდვილეში, ჰეგემარიტება არ არსებობს შემეცნებისა და შემეცნებლის გარეშე; მაშასადამე, აზრი, ვილასთვისაა ჰეგემარიტი, თუ იგი. პირველ რიგში, არ არის დასაბუთებული და სარწმუნო თვით შემეცნებლისათვის? ობიექტურად შეიძლება არსებობდნენ და კიდევაც არსებობენ საგნები, მოვლენები... მაგრამ არა ჰეგემარიტება. ის რომ ჰეგემარიტება თვით შემეცნებლისათვისაც უნდა იყოს სარწმუნო — ეს არ ნიშნავს ობიექტური ჰეგემარიტების სარწმუნოებით შეცვლას, როგორც ამას გ. რეზნიკი ფიქრობს;¹ წინააღმდეგ ავტორის მტკიცებისა, ცოდნის ჰეგემარიტობას არ ახასიათებენ სარწმუნოებისა და დასაბუთებულობის ცნებები, ცოდნის, შინაარსის ობიექტურობის გარეშე; თანაც ალბათობით ჰეგემარიტი ცოდნის დახასიათება უმართებულოა. დამაჯერებელი ცოდნა ცხადია განისაზღვრება არა მარტო შემეცნების საშუალებათა განვითარებით, ცოდნითა და სუბიექტის მიერ გამოყენებული ხერხებით, არამედ ცოდნის შინაარსის ობიექტურობითაც.

დამამტკიცებელი საბუთების შეფასებასთან დაკავშირებით ცალკე ყურადღებას იპყრობს მართლშეგნების პრობლემა. სოციალისტური მართლშეგნება ითვლება მტკიცების პროცესის იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორად. აქედან გამომდინარე, რწმენა არ შეიძლება უშუალოდ დაეყრდნოს მართლშეგნებას. მართლშეგნება, როგორც ადამიანის აზროვნების კუთვნილება, გვეხმარება მტკიცებულებათა შეფასებაში, მაგრამ მას არ განიხილავენ როგორც მტკიცებულების შეფასების კრიტერიუმს. მართლშეგნების შინაარსში ჩვეულებრივად გულისხმობენ სოციალისტური სამართლის პრინციპების შესახებ ცოდნას, იურიდიულ მეცნიერებათა მონაცემების ცოდნას, ადამიანის ფსიქიკურ დამოკიდებულებას სამართალთან და სამართლიანობასთან (ამორალურობისა და უკანონობისადმი ზიზღი..., ტრადიციები, განწყობები, რწმენა, იდეალები...), მოქმედი კანონმდებლობის ცოდნას...². დამამტკიცებელი საბუთების შეფასებისას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს კანონების ცოდნას. უპირველეს ყოვლისა, კანონით განსაზღვრულია დამამტკიცებელი საბუთების შეფასების ზოგადი სახელმძღვანელო წესი. ცნობილია აგრეთვე, რომ კანონით განსაზღვრულია მტკიცების საგანი, დამამტკიცებელი საბუთების შესახებითობა, მათი დასაშვებითობა, საგამო-

¹ დ. პ. გორსკი, ლოკია, გვ. 91, გ. მ. რეზნიკის დასახელებული ნაშრომი, გვ. 64.
² თ ე ო ი ა, გვ: 489.

ძიებო-სასამართლო მოქმედებათა წესები სისხლის სამართლის პროცესის სტადიების მიხედვით და სხვ.¹.

ზოგიერთი პროცესუალისტი დამამტკიცებელი საბუთების შინაგანი რწმენით შეფასებას დამოუკიდებელ პრინციპად თვლის (მ. ა. ჩელცოვი, ი. დ. პერლოვი,² გ. მ. რეზნიკი...³). გ. მ. რეზნიკი ელაება იმ პროცესუალისტებს, რომლებიც შინაგან რწმენას უკავშირებენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და მათი კანონისადმი დამორჩილების პრინციპს (მ. ლ. იაკუბი, ე. მ. კაზი). გ. რეზნიკს არც ის მიაჩნია სწორად, რომ შინაგანი რწმენით მტკიცებულებათა შეფასების ინსტიტუტი ობიექტური კვშმარიტების პრინციპის ნაწარმოებად ჩაითვალოს (როგორც ამას მ. ა. ჩელცოვი⁴, ტ. ნ. დობროვოლსკაია⁵... ფიქრობენ). ავტორი (სხვათა მიხედვით) თვით ობიექტური კვშმარიტების დადგენასაც არ თვლის საერთოდ პრინციპად, რაკი იგი სისხლის სამართლის პროცესის მიზანიაო⁶.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „შინაგანი რწმენა“, როგორც დამამტკიცებელი საბუთების შეფასების შედეგი, დაკავშირებულია არა მარტო მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპთან, არამედ იგი, უპირველეს ყოვლისა, უშუალოდ პრინციპის განხორციელების მაუწყებელია. სწორედ პროცესუალური გადაწყვეტილებების მიღებისას, დამამტკიცებელი საბუთების საკმარისობის შესახებ მსჯელობა (რასედაც ყურადღებას ამახვილებს ავტორი) შესაძლებელია მტკიცებულებათა უშუალოდ განხილვის შედეგად; ზემდგომ სასამართლოსაც არ შეუძლია მიუთითოს საქმის ხელახლა განხილვის თაობაზე თუ რომელ მტკიცებულებას მიენიჭოს სარწმუნო ხასიათი სწორედ იმიტომ, რომ მოსამართლენი ყველა შემთხვევაში განაჩენის დადგენამდე დამამტკიცებელ საბუთებს უნდა იხილავდნენ უშუალოდ. შინაგანი რწმენის მტკიცებულებათა შეფასების დამოუკიდებელ პრინციპად მიჩნევა, მასასადამე, არ შეიძლება იყოს გამართლებული; რწმენა რომ აზრობრივი პროცესია და იგი ყოველთვის წინ უძღვის პროცესუალურ გადაწყვეტილებებსაც — ეს ერთობ ბანალობაცაა და მისი პრინციპამდე აყვანა თუნდაც ამის გამო მიუღებელია.

1 დასახ. თ ე რ ი ა გვ. 484—485.

2 И. Д. Перлов. Кассационное производство в советском уголовном процессе. 1968, с. 33.

3 დასახ. ნ ა შ რ ი მ ი, გვ. 51—54.

4 М. А. Челцов. Советский уголовный процесс, 1951, с. 81—82.

5 Т. Н. Добровольская. Принципы советского уголовного процесса. с. 124. (რეზნიკის დასახ. ნაშრომი, გვ. 53).

6 რ ე ზ ნ ი კ ი, გვ. 53—54.

დამამტკიცებელი საბუთების შეფასებასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ცალკეა განიხილული ე. წ. უდანაშაულობის პრეზუმპცია. ეს პრინციპი სსრ კავშირის კონსტიტუციაშიც არის შეტანილი. უდანაშაულობის პრეზუმპცია, მიღებული წესის თანახმად, გულისხმობს ბრალდებულის უდანაშაულობას იქამდე, სანამ მისი დანაშაული არ დადასტურდება კანონიერი წესებით. პრეზუმპციას (ვაჩუხებს) დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის კანონის გამოყენებასთან დაკავშირებითაც; პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ როგორც უდავო, ისე უარსაყოფი პრეზუმპცია საგრძნობ როლს ასრულებს სასამართლო წარმოების პროცესში. პრეზუმპციის მნიშვნელობაზე ლიტერატურაში საკმაოდ ბევრია ნათქვამი (როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ). მ. ს. სტროგოვიჩი, ნ. ნ. პოლიანსკი და სხვანი, თავიანთ შრომებში სპეციალურ ადგილს უთმობენ პრეზუმპციას. სამართლებრივ პრეზუმპციაში გულისხმობენ იმ წესებს, რომლებითაც მიიჩნევენ ფაქტების არსებობას ან არარსებობას, სანამ საწინააღმდეგო მტკიცებულებანი არ იქნებიან წარმოდგენილნი, ან რომლებითაც იკრძალება მათი უარყოფა. პირველი სახის პრეზუმპცია ცნობილია უარსაყოფი პრეზუმპციის სახელწოდებით, ხოლო მეორე — უდავო პრეზუმპციად. პრეზუმპციის მნიშვნელობა პირველ რიგში იმაში გამოიხატება, რომ მართებულად და რაციონალურად იქნეს წარმართული მტკიცების პროცესი. სამოქალაქო პროცესში ფართოდ არის ცნობილი ფიზიკური პირის უფლება-უნარიანობის პრეზუმპცია (მხარეები არ ამტკიცებენ უფლებაუნარიანობას საგანგებო შემთხვევათა გარდა); აგრეთვე მნიშვნელოვანია გარკვეული ასაკის ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის პრეზუმპცია — ცხადია პირი ითვლება ქმედუნარიანად, სანამ არ დადასტურდება მისი არაქმედითუნარიანობა.¹ თეორიულადაც საინტერესოა უგზო-უკვლოდ დაკარგულის სიკვდილის პრეზუმპცია, რაზედაც სპეციალური ყურადღება გაამახვილა გ. ნ. ანტიტიატროვმა. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო საკუთრების პრეზუმპცია და სხვ. დ. მ. გენკინის აზრით, სოციალისტური საკუთრების პრეზუმპცია გამოყენებული უნდა იქნას წარმოების საშუალებებზე, იარაღებზე და ნაგებობებზე. ამ შემთხვევაში მხედველობაშია, ცხადია, სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის დავა; როდესაც სახელმწიფო უნდა ივარაუდებოდეს სადავო ქონების მესაკუთრედ და კერძო პირმა კი ამტკიცოს თავისი უფლებები მას-

¹ К. С. Юдельсон. Проблема доказывания в советском уголовном процессе, 1951, с. 252—255.

ზედ.¹ რამდენადაც ბრალეული პასუხისმგებლობა ცნობილია სამოქალაქო სამართალშიც, ზოგიერთი ავტორი ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ არაბრალეულობის პრეზუმპცია ერთნაირად გამოიყენება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის პროცესში.² როდესაც ლაპარაკია სისხლის სამართლებრივ პროცესუალურ პრეზუმპციაზე, მხედველობაშია, ერთი მხრივ, ისეთი ფაქტები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დამტკიცებას, და, მეორეს მხრივ, მტკიცებულებათა შესახებ თითობის განსაზღვრა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხანდაზმულობის პრეზუმპციას, მაგრამ იმის თქმა, რომ ამ შემთხვევაში თითქოს საჭირო აღარ არის დადგინდეს: დანაშაულის სუბიექტი. დანაშაულის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი,³ არ უნდა იყოს სწორი, რადგან, ზოგჯერ სახელდობრ ამ გარემოებათა დადგენის გარეშე გაურკვეველია თუ რა დანაშაული იქნა ჩადენილი... პროცესუალური სამართლებრივი პრეზუმპციის სხვა სახეობის მნიშვნელობაზეც მითითებულია ლიტერატურაში. კანონის მიხედვით, მხოლოდ სასამართლოს განაჩენით შეიძლება მიჩნეული იქნას პირი დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად და დაედოს სასჯელი. გამამტკიცებელი განაჩენი კანონით არ შეიძლება ემყარებოდეს ვარაუდებს და იგი შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამტკიცებულია სამართალში მიცემულის ბრალი საქმის სასამართლო განხილვისას. უდანაშაულობის პრეზუმპცია ითვლება არა მარტო ქვეშარტების დადგენის, არამედ ბრალდებულის უფლებების დაცვის საიმედო გარანტიად. უდანაშაულობის პრეზუმპციას აღარ აქვს ადგილი მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც განაჩენი დაკანონდება. თუმცა, ზოგიერთი ავტორის (ნ. ნ. პოლიანსკი⁴) ფიქრით, უდანაშაულობის პრეზუმპცია შეწყდება, როგორც კი გამოძიების ორგანო დარწმუნდება, რომ უკვე შეკრიბა ბრალდებულის ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი. მაშასადამე, როგორც ჩანს, უდანაშაულობის პრეზუმპცია დაყვანილია გამოძიებლის სუბიექტურ შეხედულებამდე. ასეთსავე აზრს ანვითარებენ მ. ლ. იაკუბი, ა. ი. ტრუსოვი⁵ და სხვანი, რომლებიც მის მნიშვნელობას ამოწურავენ თანმიმდევრულად გამოძიებლისა და სასამართლოს

¹ Гражданское право, 1944, часть I, с. 250 (იხ. აგრეთვე იუდეუსონის დასახ. ნაშრომი).

² კ. ს. იუდეუსონის დასახ. ნაშრომი, 1951, გვ. 249.

³ თეორია, გვ. 346—347.

⁴ Н. Н. Полянски й. Вопросы теории советского уголовного процесса, 1956, с. 187—188.

⁵ ა. ი. ტრუსოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 153—156.

მიერ სუბიექტური (ლოგიკური) მეთოდის გამოყენებით.¹ ავტორთა უმრავლესობა არ იზიარებს ამ შეხედულებას. უდანაშაულობის პრეზუმპცია ითვლება არა პროცესის მონაწილეთა სუბიექტურ შეხედულებად, არამედ ობიექტურ სამართლებრივ მდგომარეობად;² განაჩენის გამოტანამდე და მის დაკანონებამდე ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ არა გამომძიებლის ან პროკურორის, არამედ სახელმწიფოს. როგორც სამართლის სუბიექტის მიერ.³ წინასწარი გამოძიების პროცესში უდანაშაულობის პრეზუმპციის არსი იმაში ჩანს, რომ გამომძიებელი ვალდებულია თვითონ დაამტკიცოს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა, მაგრამ ამასთან, საბოლოო დასკვნა ბრალეულობის შესახებ უნდა გამოიტანოს საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრებისას და არა საბრალდებო დასკვნის შედგენის დროს, როგორც ამას ი. ლ. პეტრუხინი⁴ და ზოგიერთი სხვა ავტორი ფიქრობს. მართლაც, საბრალდებო დასკვნაში არ შეიძლება მოხსენებული იქნას იმაზე მეტი ბრალდება ან მტკიცებულებანი, რაც საფუძვლად დაედება ხოლმე სისხლის სამართლის დევნის აღძვრასა და მის პროცესს; საბრალდებო დასკვნა კი, შეიძლება ითქვას, წინასწარი გამოძიებისთვის სისხლის სამართლის დევნის შედეგების საილუსტრაციო შეჯამებაა მხოლოდ. გამომძიებელი საბოლოოდ სწორედ მაშინ არის დარწმუნებული, რომ პასუხისგებაში მიცემულ პირს ბრალი მიუძღვის ჩადენილ დანაშაულში, როდესაც იგი ადგენს საქმის გამოძიების დამთავრების შესახებ ოქმს; თუმცა, ცხადია, ამით არ მთავრდება უდანაშაულობის პრეზუმპციის მოქმედება. ცნობილია, რომ გამოძიება მთავრდება, რაკი გამომძიებლის სუბიექტური შეხედულების მიხედვით ბრალდებულს ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში... თავის მხრივ, სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე სამართალში მიცემული ითვლება უდანაშაულოდ, მაგრამ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის დროს იგულისხმება — მოსამართლენი დარწმუნებულნი ირიან, რომ სამართალში მიცემული დამნაშავეა; საბოლოოდ ეს მოწმდება მეორე ინსტანციის სასამართლოში, თუ გასაჩივრებული იქნება განაჩენი. მხოლოდ განაჩენის დაკანონების შემდეგ თვლიან უდანაშაულობის პრეზუმპციის მოქმედებას შეწყვეტილად; თუმცა, როგორც ცნობილია, უდანაშაულოდ დასჯის ფაქტებიც გამოვლინდება ხოლმე, როგორც საზედამხედველო წარმოებისას, ისე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების დროს.

1 ა. ბ. ტ რ უ ს ო ე ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 153—156.

2 მ. ს. ს ტ რ ო გ ო ვ ი ჩ ი, კურსი, გვ. 352.

3 თ ე ო რ ი ა, გვ. 351.

4 ი ქ ვ ე.

იმ დროს როდესაც გამოძიებელს გამოაქვს დადგენილება სის-
ხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ დამნაშავეის თავდებ-
ქვეშ გადაცემის თაობაზე, ან იგი შეწყვეტს წარმოებას ამნისტიით,
ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიზეზით, მასალების ამხანაგურ
სასამართლოზე, პირის თავდებში თუ არასრულწლოვანთა კომისიაზე
გადაცემით, — ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, როგორც ცნობილია,
გამომძიებლის დადგენილებას არა აქვს პრეიუდიციალური მნიშვნე-
ლობა. გარდა იმისა რომ პროკურორს შეუძლია გააუქმოს ასეთი
დადგენილებანი, როგორც არასრულწლოვანთა კომისიას, ისე ამხა-
ნაგურ სასამართლოს საქმის განხილვის პროცესში უფლება აქვთ
პირი მიიჩნიონ არაბრალეულადაც. ამასთან ისიც ცნობილია, რომ
სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, შეწყდება რა თავდებობაც,
დამტკიცებას ექვემდებარება, აგრეთვე, ის გარემოებანიც, რომელთა
შესახებაც შეწყვეტილი იყო წარმოება. ი. ლ. პეტრუხინი¹ და სხვანი
მოითხოვენ ყველა დასახელებულ შემთხვევაში საქმის წარმოების
შეწყვეტა ზღვებოღეს სასამართლოს მიერ, რაც არ არის მოკლებული
დამაჩერებლობას. უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე,
მ. ს. სტროგოვიჩი, რ. დ. რახუნოვი, ვ. მ. სავიცი და სხვები სამართ-
ლიანად მოითხოვენ (გამამართლებელი განაჩენის გამოტანის, ან საქ-
მის წარმოების შეწყვეტისთვის) კანონმდებლობაში შეიცვალოს
ფორმულა — „დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის მონაწილეო-
ბის დაუმტკიცებლობა“ — „უდანაშაულობით“. მართლაც, ლოგიკუ-
რად, თუ უდანაშაულობის პრეზუმპცია გულისხმობს სინამდვილეში
პირის სრულ უდანაშაულობას, სანამ დამაჩერებლად არ დადასტურ-
დება მისი ბრალი მოცემულ დანაშაულში, მაშასადამე, საქირთა კა-
ტიგორიულად ითქვას, რომ იგი უდანაშაულოა, როდესაც გამოგვაქვს
გამამართლებელი განაჩენი ან ვწყვეტთ საქმის წარმოებას. ლიტერა-
ტურაში და პრაქტიკაში ფართოდ არის ცნობილი რომ სწორედ უდა-
ნაშაულობის პრეზუმპცია იძლევა საფუძველს ყოველგვარი ეჭვები
განმარტებული იქნეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში
მხედველობაშია ისეთი ეჭვები, რომლებიც წინასწარი თუ სასამართ-
ლო გამოძიების დროს, მიუხედავად ყოველგვარი ღონისძიების მიღე-
ბისა, შეუძლებელი იყო მოხსნილიყო. უდავოა, რომ მამხილებელი
მასალები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს მაინც ბადებენ ეჭვებს, ვერ
დაედებიან საფუძვლად პირის ბრალეულობას, მაგრამ, პირიქით,
როდესაც გამამართლებელი გარემოებანიც საეჭვოა, ეს კი იმის
მაუწყებლად ითვლება, რომ ისინი ვერ მოიხსნებიან ბრალეულობის

¹ ი. ე. ო. ი. ი., გვ. 353—354..

საკითხის გადაწყვეტისას და, მაშასადამე, ვერც იმას ვიტყვით, რომ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული. პროცესუალურ ლიტერატურაში შეიმჩნევა ტენდენცია პრეზუმპციის ფარგლების გაფართოების შესახებ. კერძოდ, ლაპარაკია ე. წ. უდავო პროცესუალურ პრეზუმპციებზე. მაგალითად, მითითებულია, რომ რამდენადაც არ იქნება დაცული მტკიცების წესები, იმდენად მტკიცების შედეგებს ექარგებათ ლირებულება (მხედველობაშია განაჩენის გაუქმების აუცილებელი საფუძვლები, ჩვენების გაუფასურება, როდესაც არ არის ცნობილი მოწმის გაცნობიერების წყარო და სხვა). დასახელებულია უდავო (კერძოდ) პრეზუმპციები (გამომძიებლის, მოსამართლის, პროკურორის, მომკვლევის, ექსპერტის არაობიექტურობის ან არაკომპეტენტურობის პრეზუმპცია, როგორც მათი აცილების საფუძველი; გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად პრეზუმპცია ბრალდებულის აღიარების არასაკმარისობის შესახებ...)¹. ვფიქრობთ, საფუძველიანად არიან გაკრიტიკებულნი ვ. ზ. ლუკაშევიჩი და მ. ლ. იაკუბი, რომელთა ფიქრით, უდანაშაულობის პრეზუმპცია თითქოს გრძელდება განაჩენის დაკანონების შემდეგაც. ი. ლ. პეტრუხინის შენიშვნით, განსაკუთრებულ სტადიებზე შეიძლება მოქმედებდეს არა უდანაშაულობის, არამედ განაჩენის ჰეშმარიტობის პრეზუმპცია, რომელსაც პროცესუალისტები უარსაყოფ პრეზუმპციასაც უწოდებენ. კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ჰეშმარიტობის პრეზუმპცია გაგებულია, როგორც ვარაუდი, რომ წინა სტადიების პროცესუალური გარანტიები უზრუნველყოფენ ჰეშმარიტების დადგენას². მაგრამ ჰეშმარიტობის პრეზუმპცია გულისხმობს გარკვეული რაოდენობის მცდარ განაჩენებს და არა კონკრეტული განაჩენის ალბათობას, რის გამოც პეტრუხინი არ ეთანხმება ს. ვ. კურილეცს, რომელიც საერთოდ უარყოფს ჰეშმარიტობის პრეზუმპციას³. რაკი პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ მცდარი განაჩენების გაუქმება ხდება სასამართლო ზედამხედველობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების პროცესშიც, ცხადია, ამ თვალსაზრისით, ძნელია არ დავეთანხმოთ ჰეშმარიტების პრეზუმპციას. ლოგიკურად კი უდანაშაულობის პრეზუმპციის უზრუნველყოფა წერტილს უნდა უსვამდეს ყოველგვარ მსჯელობას და აღარ იძლეოდეს ვარაუდების საშუალებას.

როგორც ცნობილია, უდანაშაულობის პრეზუმპცია საკმაოდ ზვალსაჩინო ინსტიტუტია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიც (ამ

¹ იხ. დასახ. თეორია, გვ. 358.

² თეორია, გვ. 359 (იხ. აგრეთვე, М. П. Якуб. Демократические основы советского уголовного процессуального права, 1960, с. 114).

³ იქვე, გვ. 359.

მხრივ საყურადღებოა, — საფრანგეთში ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის დეკლარაცია (პირველი სამართლებრივი პრინციპი)... ასევე ცნობილია, რომ 1966 წლის 16 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 21-ე სესიამ დაამკვიდრა, რომ „ყველა ბრალდებულს უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ დადასტურდება კანონის თანახმად“.¹ თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს მნიშვნელოვანი პრინციპი არ არის საიმედოდ გარანტირებული.

საბჭოთა მტკიცებით სამართალში სპეციალურ ყურადღებას იპყრობს ე. წ. პრეიუდიცია (სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულობა სხვა სასამართლოსათვის), რომელთანაც დაკავშირებული საკითხების სწორ გადაწყვეტას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა; ცნობილია, რომ ზოგჯერ წარმოიქმნება ხოლმე გაუგებრობა ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტისას; კერძოდ, მოსამართლეებს უმუშავდებათ პრეიუდიციის საწინააღმდეგო რწმენა. ე. ი. კამინსკაიას აზრით, შინაგანი რწმენით საქმის გადაწყვეტა შეუძლებელია იქამდე, სანამ არ გაუქმდება პრეიუდიციული მნიშვნელობის გადაწყვეტილება. ასეთი კოლიზიის შემთხვევაში მ. ს. სტროგოვიჩი მოითხოვს საქმე გადაწყდეს მოსამართლეთა შინაგანი რწმენით. მას მხარს უჭერენ სხვა ავტორებიც, ოღონდ საკიროდ მიიჩნევენ კანონმდებლობაში შეტანილი იქნას შესწორება. სახელდობრ, განაჩენი (გადაწყვეტილება), რომელმაც უარყო პრეიუდიცია, არ შეეკანონიერ ძალაში იქამდე, სანამ ზემდგომი სასამართლო არ შეამოწმებს ორივე განაჩენს ან განაჩენსა და სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებას და არ განსჯის რომელი მათგანია სწორი².

როგორც ცნობილია, როდესაც სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს სასამართლო სარჩელზე უარს ეტყვის მოსარჩელეს, მას უფლება ერთმევა ხელახლა წარადგინოს სამოქალაქო ძიების სახით სარჩელი. ეს წესი იმით არის გამართლებული, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა თავისთავად გულისხმობს ზიანის გამოკვევასაც, რომელთანაც დაკავშირებულია სარჩელი. თუ სასამართლო საქმის სამოქალაქო წესით განხილვისას არ დააკმაყოფილებს სარჩელს, ასევე მოსარჩელეს ეკრძალება იგივე სარჩელი წარადგინოს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას; მაგრამ რაკი სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივითაც გადაწყვიტოს ზარალის ანაზღაურება დაზარალებუ-

¹ დასახ. თეორია, გვ. 348—349.

² იქვე. გვ. 360.

ლის სასარგებლოდ, ამიტომ ამ შემთხვევას ერთობ ანსხვავებენ პირველისაგან. ლიტერატურაში სამართლიანად არის შენიშნული სიძნელეები სისხლის სამართლის საქმის განხილვამდე სამოქალაქო საქმეზე პრეიუდიციული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებთან დამოკიდებულების მხრივ. ი. ლ. პეტრუხინის სწორი შენიშვნით, რაკი შემთხვევა და მოქმედება სამოქალაქო და სისხლის სამართლის თვალსაზრისით მთლიანად არ ემთხვევა ერთმანეთს, რომ შემთხვევა და მოქმედება (რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება) უკვე ბრალდებულს უკავშირდება დანაშაულის სახით, ბრალდებულის უფლებები კი მოპასუხეზე ფართოა, ამიტომ ფაქტიურად გამოუყენებელს ხდის სისხლის სამართლის საქმეზე პრეიუდიციული მნიშვნელობის გადაწყვეტილებას¹. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორი მაინც უშვებს სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების ქეშმარიტობის პრეზუმციას და კოლიზიის შემთხვევაში მოითხოვს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე საქმის გაგზავნას (სამოქალაქო საქმეზე პრეიუდიციული მნიშვნელობის გადაწყვეტილებასთან ერთად) ზემდგომ სასამართლოში; ასეთივე აზრია გატარებული სამოქალაქო სასამართლო წარმოების იმ წესის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის ძალით, კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოსთვის მხოლოდ იმ საკითხებში — ჰქონდა თუ არა აღგილი მოცემულ მოქმედებებს და შესრულებული იყო თუ არა ისინი გარკვეული პირის მიერ. ლიტერატურაში ცალკეა გამახვილებული ყურადღება გამოყოფილი საქმის განხილვაზე. ვფიქრობთ, სავსებით საფუძვლიანია იმ ავტორთა შეხედულებანი, რომლებიც მოითხოვენ, რომ გამოყოფილი საქმე გადაწყდეს შინაგანი რწმენით, დამოუკიდებლად ძირითადი საქმის გადაწყვეტის ხასიათისა.² თავისთავად ცხადია, არ არის გამორიცხული მთლიანად შეიცვალოს გამოკვლევის მიმართულება; მით უმეტეს, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, გამოყოფილ საქმეში ბრალდებულის სახით მონაწილე პირები მოკლებული იყვნენ პროცესუალურ გარანტიებს მთავარ საქმესთან დაკავშირებით (არ იყვნენ ჩაბმული მტკიცებულებათა კვლევის პროცესში და სხვა). უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო წარმოების პრაქტიკაში გვხვდება საკმაო მაგალითები, როდესაც პრეიუდიციულ მნიშვნელობას ანიჭებენ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების შეწყვეტისას დადგენილ ფაქტებს. ზოგჯერ საკვიროდ მიიჩნევენ შეჩერებულიყო საქმის

1 თეორია, გვ. 361; პროფ. კ. ს. იუდელსონი, დისახ. ნაშრომი, გვ. 221—242.

2 თეორია, გვ. 362.

წარმოება მეორე საქმეზე წარმოების დამთავრებამდე; სამოქალაქო წესით სასამართლოს გადაწყვეტილების (ხლომილებასა და მოქმედებასთან დაკავშირებით) პრეიუდიციულ მნიშვნელობაზე (სხვა სასამართლოში საქმის განხილვის დროს) არაერთხელ ყოფილა მითითებული სსრკ უმაღლეს სასამართლოს მიერ. სასამართლო პრაქტიკის ისტორიაში საინტერესოდ წყდება აგრეთვე რეგრესული საჩივლები პრეიუდიციულ ინსტიტუტთან მიმართებაში.¹ სამოქალაქო საქმის განხილვის დროს დადგენილ სიყალბის ფაქტს პრეიუდიციული ძალა ენიჭებოდა სისხლის სამართლის საქმისათვის და საჭირო იყო მხოლოდ სიყალბის ჩამდენის ბრალეულობის დადგენა და სხვა. პროფ. კ. ს. იუდელსონის აზრით, გამამართლებელ განაჩენს დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო აქვს სამოქალაქო პროცესისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობა; რაკი ხლომილება და მოქმედება შედის ბრალდების ფორმულაში.² იმავეითვე არ იწვევდა დაეას აგრეთვე, რომ სარჩელის რაოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ ღებულობდნენ განაჩენის პრეიუდიციულ მნიშვნელობას. აეტორთა ყურადღებას იქცევს ადმინისტრაციული ორგანოების ის გადაწყვეტილებანიც, რომელთა შემოწმება სასამართლოს არ ევალება; სასამართლო ხელმძღვანელობს, როგორც ვიცი, საზოგადოდ ცნობილი ფაქტების გარდა უდავო ფაქტებითაც (მოპასუხის მიერ სარჩელის აღიარება სასამართლოში...). მაგრამ ყოველივე ზემონათქვამთან დაკავშირებით უდავოდ უნდა იქნას მიჩნეული, რომ სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესშიც სასამართლოს ყოველთვის ევალება იღვწოდეს პრეზუმირების დადგენისთვის, რომ არ შელახოს მოდავე მხარეთა ინტერესები; ამ თვალსაზრისს ვერ შევცლის ვერც მტკიცების საგამში შეწავილ გარემოებათა თავისებურებანი და ვერც დამამტკიცებელი საბუთების გამოყენების ფორმები.

VIII. მტკიცების სუბიექტები

1. მტკიცების სუბიექტებისა და მოვალეობის ცნება

მტკიცების სუბიექტების განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცების მოვალეობისა და ე. წ. მტკიცების ტვირთის სწორ გაგებას. ისტორიულად, როგორც ცნობილია, მტკიცების ტვირთი აწვა თეზისების ჩამომყალიბებელს (საბრალდებო ტიპის პროცესი). მტკიცების ტვირთი ნაწილდებოდა მხარეთა შორის იმდაგვარად, რომ

¹ კ. ს. იუდელსონის დასახ. ნაშრომი. 1951, გვ. 240—241.

² დასახ. ნაშრომი, 1951, გვ. 223.

ვინც ადასტურებდა ამა თუ იმ მოთხოვნას, ისევე ამტკიცებდა მას (რომის სამართლის მიხედვით). თანამედროვე პირობებშიც მხარეებს ევალეზად ამტკიცონ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებანი. ინგლისურ და ამერიკულ სამართალში ფართოდ არის გავრცელებული სასამართლო წარმოების შეჭიბრებითობის პრინციპი სწორედ იმ გაგებით, რომ მხარეები ასრულებენ წამყვან როლს სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის პროცესის შედეგების მიღებაში. როგორც ლიტერატურაშიც არის მითითებული, საბჭოთა სამართლისთვის ასეთი გაგებით მიუღებელია როგორც მტკიცების მატერიალური ტვირთის (დანაშაულის შემადგენლობის არსებობის შესახებ მტკიცების მოვალეობა ბრალმდებელს ეკისრება, ბრალდებულმა კი, პირიქით, თავისი უდანაშაულობა უნდა ამტკიცოს), ისე ფორმალური მტკიცების ტვირთისა (პროცესუალური მოთხოვნების შესახებ მტკიცების მოვალეობის განაწილება იმ ანგარიშით, რომ თუ ვერ დაამტკიცებს რომელიმე მხარე ამ მოთხოვნას, იგი უარყოფილი იქნება სასამართლოს მიერ) და ფაქტიური მტკიცების ტვირთის ცნებები (კანონში გაუთვალისწინებელი ვითარება, როდესაც მხარეები მოითხოვენ სასამართლომ ცნოს კონკრეტული გარემოება დადასტურებულად), რაზეც ლაპარაკობენ ი. ი. ფონინცი და სხვ. კ. ს. იუდელსონის აზრით, სასამართლოს მტკიცებულებითი საქმიანობა რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით, რაკი „მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს“, ხოლო სამოქალაქო მძიებელისა და მოპასუხის, როგორც მხარეების მტკიცებულებითი საქმიანობა კი რეგულირდება სასამართლოს მიერ კანონის საფუძველზე.¹ ამ უზუსტო დებულების მიხედვით, ერთგვარად მოსამართლეთა თვითნებობის გამართლებამდეც მივალთ. სამოქალაქო სასამართლო-წარმოების პროცესში მტკიცების სუბიექტებად მიჩნეული არიან მხარეები, მესამე პირები, მათი წარმომადგენელნი, პროკურორი და სასამართლო. მხარეები მტკიცების სუბიექტებად ითვლებიან, რაკი მათ შეუძლიათ მოითხოვონ სასამართლოსაგან მიიღოს კანონიერი მტკიცებულება განსახილველად. ლიტერატურაში სამართლიანად არის მითითებული, რომ სათანადო მინდობილობის გარეშე შეუძლებელია მხარეთა (მესამე პირთა) მატერიალური ელემენტების დისპოზიციურობა ეკუთვნოდეთ წარმომადგენლებს (სარჩელზე უარის თქმა, შერიგებით საქმის დამთავრება, სარჩელის ცნობა...)² საბჭოთა მოქმედი კანონმდებლობით, ყველა მხარე ვალდებულია დაამტკიცოს

¹ ე. ს. იუდელსონის დასახ. ნაშრომი, 1951, გვ. 83—86.

² იქვე, გვ. 117.

ის გარემოება, რომელზედაც იგი უთითებს, როგორც თავისი მოთხოვნის (ან უარყოფის) საფუძველზე. აქედან ნათელია, რომ გარემოებანი, რომლებიც საფუძვლად ედება გარკვეულ მოთხოვნას (თეზისს), საჭიროებენ დამტკიცებას მათი სისწორის ან სიყალბის გამოსარკვევად, რაც ეკისრებათ მხარეებს (მესამე პირს) და მათ წარმომადგენლებს.

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების მოვალეობის საკითხი მეტისმეტად მწვავედ დგას, და თანაც ფართო მოცულობით. ი. ლ. პეტრუხინი და სხვ., ანსხვავებენ რა მტკიცების ტვირთსა და მოვალეობას, დასძენენ, რომ გამოთქმა „მტკიცების ტვირთი“ მიუღებელია, რადგანაც თუ ბრალდებული, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩლე, მოპასუხე და მათ შორის პროკურორიც ვერ დაამტკიცებენ თავიანთ დებულებებს — ეს არ გამოიღებს შედეგად იმას, რომ რომელიმე გარემოება დარჩეს დაუმტკიცებელი. როგორც ცნობილია, ნ. ნ. პოლიანსკის მტკიცების ტვირთი ესმოდა იმდაგვარად, რომ თუ მხარე ვერ დაადასტურებს რომელიმე წარმოჩენილ გარემოებას, იგი დარჩება დაუმტკიცებელი, ხოლო მტკიცების მოვალეობა იძულებულს ხდის მხარეს ამტკიცოს თავისი თეზისი.¹ ზოგიერთი ავტორი არ ეთანხმება ნ. პოლიანსკის ამ მოსაზრებას, მაგრამ, თანაც ვერ იძლევა მტკიცების ტვირთსა და მოვალეობას შორის სარწმუნო განსხვავებას.² მ. ს. სტროგოვიჩი მტკიცების მოვალეობის სპეციალურ აღმნიშვნელად თვლის მტკიცების ტვირთს (onus probandi) და მას უკავშირებს უდანაშაულობის პრეზუმპციას, რომ ბრალდებულის ბრალის დამტკიცება ევალება (მტკიცების ტვირთი აწევთ) სისხლის სამართლის დევნის ორგანოებს. ამასთან, მხედველობაში აქვს კანონის მოთხოვნა, რომლის ძალით, სასამართლოს, პროკურორს, გამომძიებელს და მომკვლევს უფლება არა აქვთ გადაიტანონ მტკიცების მოვალეობა ბრალდებულზე. სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს სასამართლოს წესით გააბათილოს მათი ღირსებისა და პატიოსნების შემლახველი ცნობები, თუ ამ ცნობების გამაერცვლებელი ვერ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერებიან; გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლის პროცესულური საქმიანობის ყველა მონაწილე აკეთებს იმას, რასაც კანონი აკისრებს ან რისი უფლებაც აქვს კანონითვე, მ. ს. სტროგოვიჩი უარყოფს მტკიცების მოვალეობის ფართო გაგე-

1 ნ. ნ. პოლიანსკი, ნარკვევები საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერების განვითარების შესახებ, 1960 (რუს.).

2 დასახელებული თეორია. გვ. 507—510.

ბას, როგორც საქმის გარემოებათა გამოკვლევას, გამოვლინებას, დადგენას.¹ მ. ს. სტროგოვიჩი სამართლიანად შენიშნავს, რომ წინააღმდეგობის დროს ბრალდებულის ბრალეულობის მტკიცებების მოვალეობა აწევს გამომძიებელს, რაკი მან გამოიტანა დადგენილება მისი პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ; სასამართლოში სამართალში მიცემულის ბრალეულობის მტკიცება ეკისრება პროკურორს იმიტომ, რომ მან დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა და იგი უპერს მხარს ბრალდებას სასამართლოში.² მაგრამ ამ მსჯელობაში შეიმჩნევა ერთგვარი შეუსაბამობაც. ბრალდებულის მიერ თავის გასამართლებლად მტკიცებულებათა წარმოდგენლობა არ ნიშნავს მის ბრალეულობის დამტკიცებას, ანუ სასამართლოში, როდესაც პროკურორს არ შეუძლია დაამტკიცოს სამართალში მიცემულის ბრალეულობა, ეს კიდევ უპირობოდ არ ნიშნავს ამ უკანასკნელის უდანაშაულობას. რამდენადაც საბოლოოდ სასამართლოს განაჩენით უნდა გადაწყდეს საქმის ბედი. მ. ს. სტროგოვიჩის აზრით, მტკიცების მოვალეობა (ტვირთი) არ აკისრია დამცველს, გამომდინარე იქიდან, რომ თუ დამცველი ვერ წარადგენს ბრალდებულის გამამართლებელ საბუთებს, ეს არ მიუთითებს მისი მარწმუნებლის ბრალეულობაზე.³ მეორეს მხრივ, როგორც ცნობილია, კანონი ავალებს დამცველს, რომ გამოიყენოს დაცვის ყველა კანონიერი საშუალება, რომ გამოავლინოს ბრალდებულის გამამართლებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებანი. ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, დასაფიქრებელია დამცველის როლის პრობლემა მტკიცების მოვალეობასთან დაკავშირებით. მ. ს. სტროგოვიჩი მტკიცების მოვალეობას არ აიგივებს საქმის გარემოებების გამოკვლევასთან, მტკიცებულებათა შემოწმება-შეფასებასთან (როგორც ამას აკეთებენ ც. კაზი და სსე.), და, აქედან გამომდინარე, სასამართლოში მტკიცების ტვირთს აკისრებს პროცესის იმ მონაწილეს, რომელიც ამტკიცებს, რომ ბრალდებული დანაშაულებად არაა სასამართლოს, რომელიც განაჩენის გამოტანამდე ბრალდებულის ბრალეულობაზე ვერაფერს ვერ იტყვის.⁴ რაკი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი საჯარო ხასიათისაა, ამიტომ, ავტორის სიტყვით, როდესაც რომელიმე დაინტერესებული პირი ვერ მიუთითებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებაზე ან ვერ წარმოადგენს

¹ იხ. მისი კურსი, გვ. 354—355.

² იქვე, გვ. 355, მისი აზრით, მტკიცების ტვირთი აწევს საზოგადოებრივ ბრალდებულსაც, იქვე, გვ. 357.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 356. მ. ს. სტროგოვიჩის ფიქრით, როდესაც დაზარალებული მხარს უპერს ბრალდებას, გამომდინარე საბრალდებო პოზიციით და მოითხოვს ბრალდებულის დასჯას — მასაც აწევს მტკიცების ტვირთი (გვ. 357—358).

მის დასამტკიცებლად საბუთებს, სასამართლოს არ შეუძლია უყუ-
რადღებოდ დატოვოს იგი. ცნობილია მტკიცების სუბიექტების
სხვადასხვა კლასიფიკაცია; კერძოდ, მტკიცების სუბიექტებად მი-
ჩნეულია სახელმწიფო ორგანოები (მოკვლევის ორგანო და მომკვ-
ლვეი, გამომძიებელი, საგამომძიებო ბრიგადის წევრები, კერძო
დავალებით საგამომძიებო მოქმედების შემსრულებლები, საგამო-
ძიებო განყოფილების უფროსი, პროკურორი — საქმის აღძვრისა
და წინასწარი გამოძიების სტადიაზე, სასამართლო), რომლებიც
პროცესის გარკვეულ სტადიაზე (ეტაპზე) უზრუნველყოფენ მტკი-
ცებას კანონების დაცვით, საქმის გარემოებათა ყოველხრივ, სრული
და ობიექტური გამოკვლევის თვალსაზრისით, ღებულობენ ვადა-
წყვეტილებას საქმის სხვა სტადიაზე გადაცემის ან დამთავრების შე-
სახებ, მტკიცებითი და მატერიალური სამართლის ნორმების გამო-
ყენებით.¹ მტკიცების სუბიექტების მეორე ჯგუფს მიაკუთვნებენ იმ
პირებს, რომლებსაც აქვთ მტკიცების პროცესში აქტიური და ხანგრძ-
ლივი მონაწილეობის უფლება, საკუთარი თუ სხვისი კანონიერი
ინტერესების დასაცავად (ა- პროკურორი სასამართლოში, ბ- საზო-
გადოებრივი ბრალდებული, გ- დაზარალებული, დაზარალებულის
წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოსარჩე-
ლის წარმომადგენელი; დ- ეკვდებული, ბრალდებული, დამცველი,
საზოგადოებრივი დამცველი, ბრალდებულის კანონიერი წარმომად-
გენელი, სამოქალაქო მოპასუხე, სამოქალაქო მოპასუხის წარმომად-
გენელი)². ლიტერატურაში ცალკეა განხილული მტკიცებისთვის ჩა-
ბმული სხვა სუბიექტები, რომლებსაც აქვთ პროცესუალური უფლე-
ბები და მოვალეობანი და შეუძლიათ შეასრულონ დამხმარე როლი
(უკვლას არა აქვს საკუთარი პროცესუალური ინტერესები, არ ასრუ-
ლებენ ძირითად პროცესუალურ ფუნქციას); ასეთებად ითვლებიან:
სასამართლოს სსდომის მდივანი, მთარგმნელი, სპეციალისტი, თანა-
მოწმე; მოწმე, ექსპერტი, დაზარალებული, ეკვდებული, ბრალდე-
ბული, პირები, რომლებთანაც ჩატარდა ამოღება ან ჩხრეკა, ამომც-
ნობები, პირები, რომელთა მიმოწერაზე ყადაღა დადებული, ნაგე-
ბობის მფლობელები, სადაც ხდება საგამომძიებო დათვლიერება ან
ექსპერიმენტი; იმ დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელ-
მძღვანელები, თანამდებობის პირები, მოქალაქეები, რომლებსაც
მოეთხოვათ საგნებისა და დოკუმენტების წარმოდგენა ან თავიანთი
ინიციატივით წარადგინეს დოკუმენტები (საგნები), საექსპერტო და-

¹ დას. თ ე ო რ ი ა, 1973, გვ. 495—496.

² ი ქ ე ე, გვ. 495—497.

წესებულებათა ხელმძღვანელები; ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების ხელმძღვანელები, ჩხრეკის ჩატარების ადგილის მიხედვით სახლმმართველობის, ადგილობრივი საბჭოების, ან დაწესებულებების წარმომადგენელი, ყადაღადღებული ქონების, ან ნივთმტკიცებათა დამცველი პირები, საფოსტო კორესპონდენციაზე ყადაღის დადების შემთხვევაში — ფოსტისა და ტელეგრაფის მუშაკები.¹

მტკიცების მოვალეობის თვალსაზრისით, ი. ლ. პეტრუხინი მტკიცების სუბიექტებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად: 1. მომკვლევ, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო (რაკი ისინი სათანადო სტადიების მიხედვით კრფენ, ამოწმებენ და აფასებენ მტკიცებულებებს); 2. ბრალდებული, რომელიც კანონის თანახმად, არ არის ქალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა; 3. ა. დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩლე და სამოქალაქო მოპასუხე (მათაც არ აწევთ მტკიცების მოვალეობა); ბ. ის პირი, რომელსაც ევალება ბრალდებულის დაცვა (დამცველი), დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩლის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი, რომლებიც ამტკიცებენ პროცესუალურ მოთხოვნათა საფუძვლებს; გ. საზოგადოებრივი ბრალდებელი, საზოგადოებრივი დამცველი, ბრალდებულის ახლო ნათესაეები; დამცველის სახით სხვა კერძო პირები; დამცველის სახით პროფკავშირების ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელი; დაზარალებულის ახლო ნათესაეები, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩლისა და მოპასუხის ახლო ნათესაეები, რომლებიც დაშვებულნი არიან, როგორც მათი წარმომადგენელი (მათ მტკიცების მოვალეობა ეკისრებათ მორალურ საწყისებზე).²

2. გამოძიებალი (მოძიებელი), როგორც მტკიცების სუბიექტი

წინასწარი გამოძიების პროცესში მომკვლევ პირი და გამომძიებელი ითვლებიან მტკიცების სუბიექტებად. კანონის თანახმად, წინასწარი გამოძიების დროს გამომძიებელი ლებულობს გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავალდებულოა პროკურორისაგან სანქცია. იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებებს პირის პასუხისგებაში მიცემის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და ბრალდების მოცულობის შესახებ, ბრალდებულის სამართალში მისაცემად საქმის გაგზავნის, ან საქმის შეწყვეტის შესახებ, გამომძიებელს უფლება აქვს წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს საქმე და თავისი საწინააღმ-

1 იხ. დსახ. თეორია, 1973, გვ. 495.

2 იქვე, 1973, გვ. 502.

დევო მოსაზრებანი წერილობით. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ან გააუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებებს, ან ამ საქმეზე გამოძიების წარმოებას დაავალებს სხვა გამომძიებელს... (საქ. სსრ სსსკ 127-ე მუხლი). ეს წესი, თავისთავად ცხადია, გამომძიებლის შინაგანი რწმენით საქმიანობის შესანიშნავი გარანტიაა, რაც, სამწუხაროდ, არ ვრცელდება მომკვლევ ორგანოებზე. ა. რ. რატინოვი, ნ. ა. იაკუბოვიჩი სამართლიანად არ იზიარებენ პ. ი. ლიუბლინსკის და სხვათა შეხედულებებს, გამომძიებლის საქმიანობის მხოლოდ საბრალდებო ტენდენციებით შემოფარგვლის (დახასიათების) შესახებ,¹ მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, თითქოს გამომძიებლის (მომკვლევის) მტკიცების მოვალეობა იმით ამოიწურებოდეს, რომ მისი დასკვნები პირის ბრალეულობაზე უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებებს.² განა ეს თავისთავად არ იგულისხმება? ამის გარეშე საერთოდ შეუძლებელია გამოძიების (მოკვლევის) წარმოება. ვერც მ. ს. სტროგოვიჩის შეხედულება გამოირჩევა ყოველმხრივ დამაჯერებლობით. მისი აზრით, გამომძიებელი გახსნის რა დანაშაულს, წაუყენებს ბრალდებას პირს, რომელსაც თან ამხელს, და თანაც იცავს ერთდროულად.³ პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის პროცესში არსებობს სამი ძირითადი ფუნქცია — ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქცია.⁴ ვფიქრობთ, ძნელი წარმოსადგენია შეუთავსდეს დაცვისა და ბრალდების ფუნქციები ერთმანეთს ლოგიკურადაც. თუ პიროვნება ბრალს სდებს მეორეს, ცხადია, იგულისხმება (რაიმე ნაწილში გამამართლებელი საბუთებიც რომ არსებობდეს) — შეუძლებელია ბრალდების გაქარწყლება.

დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ი. ლ. პეტრუხინის მტკიცება, თითქოს წინასწარი გამოძიების დროს შეიძლება ვილაპარაკოთ არა წინასწარ განსაზღვრულ თეზისზე, არამედ დამამტკიცებელი საბუთების შეკრების, შემოწმებისა და შეფასების შესახებ დანაშაულის გასახსნელად (თუ ის ჩადენილია).⁵ თავისთავად ცხადია, დამამტკიცებელი საბუთების გარეშე ვერავითარი თეზისის შემუშავება ვერ მოხერხდება, მაგრამ საბრალდებო თეზისის ჩამოყალიბების შეუძლებლობის შემთხვევაში, რომ საქმის შემდგომ გამოძიებას საზრისი ალარ ექნება — არც ეს უნდა იწვევდეს დავას.

1 თეორია, გვ. 523.

2 დასახ. თეორია, 1973, გვ. 523.

3 მ. ს. სტროგოვიჩი, დასახ. კურსი, ტ. I, 1968, გვ. 226—227.

4 იხ. მისი დასახ. კურსი, გვ. 226.

5 დასახ. თეორია, გვ. 503—504.

სინამდვილეში, როგორ შეიძლება მტკიცების მოვალეობის პრობლემის გადაწყვეტა წინასწარი გამოძიების პროცესში? უეჭველად მხედველობაში მისაღებია ის, რომ როგორც გამოძიებლის, ისე მომკვლევის მიერ საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ დაუყოვნებლოდ უნდა ხდებოდეს საგამოძიებო მოქმედებით დანაშაულის ფაქტის დადასტურება, თუ ასეთს აქვს ადგილი, რაკი სისხლის სამართლის საქმე (გამოძიება) აღძრულია სწორედ იმიტომ, რომ იგულისხმება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა. ამ ეტაპზე, ცხადია, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ბრალდებისა და დაცვის ფუნქციებზე. თუ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტში საშუალება არ გვქონდა პროცესუალური წესების დაცვით შეგვემოწმებინა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ყოველმხრივი ხასიათი, ახლა უკვე სრული შესაძლებლობაა იმის გამოსარკვევადაც, არის თუ არა საფუძველი სისხლის სამართლის დევნის აღძვრისათვის. წინააღმდეგ ზოგიერთი ავტორის შეხედულებისა, მართალია, მტკიცების მოვალეობა არ ამოიწურება მარტოდენ საბრალდებო თეზისის მტკიცებულებებით დასაბუთებით, მაგრამ წინასწარი გამოძიების (მომკვლევის) დროს, რომ სწორედ საბრალდებო თეზისის შემუშავება ასრულებს წამყვან როლს ამ თეზისაზრისით — ეს უდავოდ გვეჩვენება.¹ საბრალდებო თეზისის გარეშე არ არსებობს სისხლის სამართლის დევნის აღძვრა, ამ უქანასკნელის გარეშე კი უაზროა არა მარტო ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების შესახებ ლაპარაკი, არამედ, საერთოდ გამოძიების შემდგომ მსვლელობაზე, თუ საქმე არა გვაქვს გამონაკლისის სახით მედიკური ხასიათის იძულებითი ღონისძიების განხორციელებისთვის ნიადაგის მომზადებასთან. საერთო წესით, წინასწარი გამოძიება არც აღიძვრებოდა, რომ სავარაუდოდ არ ყოფილიყო დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული პირი, რაკი დანაშაულის ფაქტი — დანაშაულის შემადგენლობა თავისთავად გულისხმობს დანაშაულის სუბიექტსაც. აქედან გამომდინარე, დამნაშავე პირის არსებობა იმთავითვეა ნავარაუდები, როგორც კი საქმე აღიძვრება ხოლმე. და თუ ეს ასეა, მაშასადამე, ბრალდებაა სწორედ ის პირველადი, რომლისაგანაც შემდგომში გამომდინარეობს დაცვის ფუნქციაც; თუ უარყოფით წინასწარი გამოძიებისას ბრალდების ფუნქციას, უნდა უარყოფით დაცვის ფუნქციაც, ე. ი. იმ უფლებათა უზრუნველყოფაც, რომლებიც გააჩნია ბრალდებულს: ბრალდება კი იწყება პროცესუალურად გამოძიებლის (მომკვლევის) მიერ პირის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ;

¹ მ. ს. სტროგოვიჩი. დასაბუთებული კურსი, ტ. I, 1968, გვ. 354; В. М. Савицкий, Государственное обвинение в суде, 1971, с. 167.

პირის პასუხისგებაში მიცემა არ გამოირიცხავს, არამედ უეჭველად გულისხმობს საქმის მასალების ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად გამოკვლევას; რომ თუმცა გამომძიებელმა (მომკვლევმა) უყურადღებოდ არ დატოვა ბრალის არც ერთი უარყოფელი და შემამსუბუქებელი გარემოება, მაინც ვერ გამონახა საფუძველი შეერყია საბრალდებო თეზისის უტყუარობა, უფრო სწორად, რაკი გამომძიებელი (მომკვლევნი), მტკიცებულებებმა „აიძულეს“ შეემუშავებინა ბრალდების ფორმულა და შემდეგ ბრალდებულის უფლებების რეალურად უზრუნველყოფამაც ვერ გააქარწყლა სისხლის სამართლის დეენის საფუძველი, ცხადია, ეს უკვე ნიშნავს ბრალეულობის მტკიცებას; საბრალდებო თეზისის მტკიცების ვალდებულება ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს დანაშაულის არსებობის შემთხვევაში და, თუ დანაშაულს არა აქვს ადგილი, მაშინ არც შეიძლება აღიძრას პირის მიმართ სისხლის სამართლის დენა და მტკიცების მოვალეობის პრობლემაც მოხსნილი უნდა იქნეს, გამოძიების შეწყვეტის სახით. ვფიქრობთ, გაუგებრობის წყაროა სწორედ ის, რომ ხშირად უსაფუძვლოდ ხდება პირის პასუხისგებაში მიცემა—ჯერ აძლევენ პირს პასუხისგებაში და მერე ამტკიცებენ მის ბრალეულობას. სისხლის სამართლის დეენის აღძვრა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო ეტაპად უნდა ჩათვალოს. თუ პირის ბრალდება არ იქნება დადასტურებული ქმედობის რომელიმე ეპიზოდის სახით მაინც, — ეს იწვევს შემდგომშიაც ყოველგვარ უკანონობას. გამომძიებელი როდესაც ბრალდებულს გააცნობს ბრალდებას, საბრალდებო თეზისს, მაშასადამე, ვალდებულია ამტკიცოს ამ ბრალდების (საბრალდებო თეზისის) სისწორე. მან ბრალდება სწორედ იმიტომ წაუყენა პირს, რომ სუბიექტურადაც იკისრა ვალდებულება დამნაშავეს პასუხი აგებინოს. მტკიცების ვალდებულება გამომდინარეობს ან დაცვის, ან ბრალდების პოზიციებიდან. მაშასადამე, ვიმეორებთ, მხოლოდ პირის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ რეალურად თავს იჩენს ეს პრობლემა და გამომძიებელი უკვე დაცვის პოზიციით კი არ წარმართავს გამოძიებას, არამედ იგი უკვე ბრალდებელია, რადგან საამისო საფუძველიც აქვს. იგი ყოველნაირ კანონიერ ზომებს ღებულობს, რომ განხორციელდეს ბრალდებულის უფლება დაცვაზე, რომ არ შეილახოს ბრალდებულის ინტერესები, მაგრამ ეს უკვე ბრალდებიდან გამომდინარე საქმიანობაა, რომლის გარეშე თვით საბრალდებო თეზისიც დაკარგავდა საზრისსა და მნიშვნელობას; ბრალდება და დაცვა ხომ ურთიერთისაგან გამომდინარე და თანაც ურთიერთთან საპირისპირო ფუნქციებიცა; უბრალო ბანა-

ლობა — ბრალის გარეშე არ არის დაცვა და, პირიქით. როდესაც გამომძიებელი აყალიბებს საბრალდებო თეზისს, ცხადია, მას უპირისპირებს დაცვის თეზისსაც, მაგრამ სწორედ იმიტომ რჩება იგი ბრალმდებლად, რომ ბრალდებას ვერ უარყოფს დაცვა... ამიტომ იმის უარყოფა, რომ გამომძიებელს (მომკვლევს) აწევს ბრალდების დამტკიცების მოვალეობა, არაპირდაპირად თვით წინასწარი გამომძიების (მოკვლევის) უსაზრისობასაც ნიშნავს. ან რისთვისღაა საჭირო წინასწარი გამომძიების მიმართებაში უდანაშაულობის პრეზუმპციასზე ყურადღების გამახვილება, თუ გამომძიებელს არ დაევალება¹ ამტკიცოს სწორედ პირის ბრალეულობა; პირის პასუხისგებაში მიცემამდე ხომ ამ პრინციპზე ლაპარაკიც უაზრობაა?

8. პროკურორი, როგორც მკაცრი სპეციალისტი

მტკიცების პროცესში პროკურორის როლის შესახებ დღესაც გრძელდება დისკუსია. საბჭოთა პროცესუალურ სამართალში თავიდანვე განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ეს საკითხი სამოქალაქო საქმეების განხილვისთან დაკავშირებით. 1948 წლის სამოქალაქო სამართლის პროცესის სახელმძღვანელოს მიხედვით, პროკურორი მხარედ ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აღძრავს საჩივრს. ამის გარეშე პროკურორის მონაწილეობას სამოქალაქო პროცესში დასახელებული სახელმძღვანელო აფასებს როგორც კანონიერების დაცვისათვის წარმოებულ საქმიანობას. მ. ს. სტროგოვიჩი იმთავითვე თვლიდა სამოქალაქო პროცესში მონაწილე პროკურორს მხარედ. სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, განურჩევლად იმისა, აღძრავდა თუ არა პროკურორი საჩივრს სასამართლოში. კ. ს. იუდე-ლისონის აზრით, რაკი სისხლის სამართლის საქმეზე მხარეებია მხოლოდ ბრალდებული და დამცველი, ხოლო სამოქალაქოში — მძიებელი და მოპასუხე, მესამე მხარე წარმოუდგენელია; პროკურორი არ შეიძლება იყოს მხარე სამოქალაქო სამართლის პროცესში, განურჩევლად იმისა, აღძრავს თუ არა იგი საჩივრს; იგი მხოლოდ როგორც პროცესის განსაკუთრებული მონაწილე ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ სასამართლომ გამოიტანოს კანონიერი გადაწყვეტილება¹. 1975 წელს გამოცემულ სამოქალაქო სამართლის პროცესის სახელმძღვანელოში ვ. ფ. ტარანენკო და სხვები თვლიან, რომ პროკურორი სამოქალაქო სამართლის პროცესში ყოველთვის ახორციელებს ზედამხედველობას კანონების ზუსტად შესრულების მხრივ. მაგრამ, რო-

¹ იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, 1951, გვ. 123—125.

გორც შენიშნულია, დასახლებული სახელმძღვანელოს ავტორების მიერ (1975) არ არის განხილული საკითხი — ჩაითვლება თუ არა: პროკურორი სამოქალაქო სამართლის პროცესში მხარედ; მსჯელობიდან არააპირდაპირად მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ პროკურორს არ მიიჩნევენ მხარედ.¹ ვფიქრობთ ამ საკითხის მართებულად გადასაჭრელად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა გარემოება: უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ, დადგენილი წესის თანახმად, პროკურორი მონაწილეობას ღებულობს მნიშვნელოვან საქმეებში, სადაც ისმის საკითხი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე, სამუშაოზე აღდგენის, მამრბის დადგენის, ბინიდან გამოსახლების თაობაზე და სხვ. პროკურორი სამოქალაქო სამართლის პროცესში მონაწილეობის დროსაც, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელია, როგორც საერთოდ კანონიერების გატარებაზე ზედამხედველი; მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ პროკურორი საქმის სასამართლო განხილვისას თითქოს უშუალოდ ახორციელებს ამ ფუნქციას. ჯერ ერთი, სარჩელის განხილვის პროცესი თავისი ხასიათით წინასწარ ვერ განსაზღვრავს საქმის ბედის გადაწყვეტას; სასამართლოში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიძლება დაისვას საკითხი, როდესაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას; გადაწყვეტილების გამოტანამდე არც მოსამართლეს და არც სახალხო მსაჯულებს მორალურადაც არა აქვთ უფლება გამოთქვან თავიანთი შეხედულება საქმესთან დაკავშირებით. მაშასადამე, სასამართლოს მოქმედების კანონიერებაზე დასკვნის გამოტანა ნაადრევეია თვით საქმის განხილვის პროცესში, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ცალკეულ გარემოებებს, დაკავშირებულს მოსარჩლის ან მოპასუხის ამა თუ იმ შუამდგომლობის სასამართლოს მიერ დაუქმყოფილებლბდასთან და სხვა, რაც, თავის მხრივ; ჯერ კიდევ არაფერს ამბობს საქმის ბედის გადაწყვეტაზე. ამას გარდა, სასამართლოზე საპროკურორო ზედამხედველობა იაზრება ზემდგომ სასამართლოში წარდგინების ან პროტესტის შეტანის ფორმით; ცხადია, პროკურორს სრულიად არ შეუძლია პროცესუალური საკითხებიც დააყენოს სათანადო ორგანოს წინაშე იქამდე, სანამ სასამართლო არ დაამთავრებს საქმის განხილვას და გადაწყვეტილებაში არ ჩამოაყალიბებს თავის პოზიციებს, ვფიქრობთ, და-

¹ თუ ა. ფ. კობლოვი სახელმწიფოს წარმომადგენელს, სარჩელის შემტან პროკურორს მხარედ თვლის, ა. ა. დობროვოლსკის სარჩელის წარმდგენი პროკურორი მაინაა მხარედაც და ზედამხედველადაც; ა. ფ. კლინმანი კი პროკურორს მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლად თვლის. (Советский гражданский процесс, 1972, с. 52).

უსაბუთებელია იმ ავტორთა შეხედულება, რომლებიც პროკურორის მონაწილეობას სასამართლო საქმის განხილვის დროს ახასიათებენ როგორც საპროკურორო ზედამხედველობას. პროკურორი სამოქალაქო სამართლის პროცესშიც უეჭველად მხარედ უნდა იქნეს მიჩნეული არა მარტო მაშინ, როდესაც იგი უშუალოდ აღძრავს სამოქალაქო სარჩელს («საფუძვლების» მე-6 მუხლის შესაბამისად,) არამედ სხვა დაინტერესებულ პირთა სარჩელებთან დაკავშირებით სასამართლოში მონაწილეობის დროსაც. მართალია, პროკურორი სახელმწიფოს ინტერესებს იცავს, მაგრამ ეს ინტერესები ხომ განყენებულად არ არსებობენ. კანონის შესაბამისად, აქ იფულისხმება როგორც ცალკეულ მოქალაქეთა, ისე თანამდებობის პირების, დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. როგორც ცნობილია, პროკურორი სარჩელის აღძვრისთვის წინასწარ კრფეს სათანადო მასალებს (თუმცა მას არ შეუძლია დაკითხოს მოწმეები, ჩაატაროს ექსპერტიზა, ან სხვა ისეთი მოქმედება, რომლებიც სასამართლო კომპეტენციას განეკუთვნება). კანონით, პროკურორი მოვალეა დაამტკიცოს თავისი მოთხოვნა; იგი აძლევს განმარტებას სასამართლოს; სასამართლო კამათი პროკურორის სიტყვით იწყება, შემდეგ გამოდის მოსარჩელე და პროცესში მონაწილე სხვა პირები. ბოლოს პროკურორი იძლევა დასკვნას. დამახასიათებელია, რომ, განურჩევლად იმისა თუ რა ფორმით ლებულობს პროკურორი სასამართლო პროცესში მონაწილეობას, იგი არ უნდა იყოს შეზღუდული პირვანდელი მასალებით. როდესაც პროკურორი, სარჩელის აღძვრის შემდეგ, საქმის სასამართლოში განხილვის დროს მივა იმ დასკვნამდე, რომ არ შეიძლება დაკმაყოფილდეს სარჩელი, იგი ვალდებულია დაასაბუთოს თავისი შეხედულება სარჩელის უარყოფის შესახებ; ამასთან, კანონის მიხედვით, საქმის წარმოება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვის სარჩელზე თვით დაინტერესებული პირიც. პროკურორს არ შეუძლია, რა თქმა უნდა, მოპასუხესთან შეთანხმებით მოითხოვოს საქმის შეწყვეტა, კანონითვე, პროკურორს ვერ წარედგინება შემხვედრი სარჩელი, როგორც ამას ადგილი აქვს ხოლმე მატერიალური სამართლის უფლებებით აღჭურვილ მოსარჩელის მიმართ, მაგრამ პროკურორის პროცესუალური უფლება—უარი თქვას სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნაზე (რაც სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო), არ უარყოფს, მის, როგორც პროცესში მონაწილე მხარის, პოზიციებს.

საქმის სასამართლოში განხილვისას პროკურორის მონაწილეობას თუ არ ჩავთვლით მხარის საქმიანობად, მაშინ ერთგვარად შეიძ-

ყვოდა თვით შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველიც. მართალია, პროკურორი, მაშინაც კი როდესაც ჩაებმება ხოლმე უკვე აღძრულ სარჩელის განსჯაში, მოვალეა იზრუნოს კემშარიტების დადგენისთვის და განუკითხავად არ მიჰყვეს რომელიმე წინასწარ შემუშავებული აზრის დაცვას, მაგრამ საბოლოოდ მაინც პროკურორი ან მოსარჩელის მხარეზეა, ან მოპასუხის, მას სხვა ინტერესები არ შეიძლება ჰქონდეს სასამართლოში. მისი საქმეში მონაწილეობა უეჭველად გულისხმობს იმთავითვე გარკვეულ პოზიციით მოქმედებას; როდესაც ეცნობა მასალებს, მას უმუშავდება კონკრეტული მიმართულების დასაცავად აზრი. საკუთარი ინიციატივით სარჩელის აღძვრისას, ცხადია, იგი მიდის სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილების დასასაბუთებლად; სხვა შემთხვევებში შეიძლება მან საქმის განხილვის დასაწყისშივე მოპასუხის ინტერესების დასაცავად იზრუნოს პირადი რწმენის საფუძველზე, მაგრამ ვანა ეს გარემოებანი გეაძლევენ იმის უფლებას, რომ პროკურორის სამოქალაქო პროცესში მონაწილეობა დავუპირისპიროთ მხარეების ცნებას? როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესშიც პროკურორი ზოგჯერ მონაწილეობას ლებულობს მაშინაც, როდესაც საქმის განხილვის დასაწყისშივე შეუმუშავდება რწმენა ბრალდებულის უდანაშაულობაზე. პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ამ შემთხვევაში, საბრალდებო პოზიციის დაკავების ნაცელად, ზრუნავს ბრალდების მოსხნის დასაბუთებისათვის და საბოლოოდ მოითხოვს კიდევ სამართალში მიცემულის გამართლებას; მაგრამ ეს გარემოება მაინც ვერ არყვეს პროკურორის სასამართლოში მონაწილეობის ხასიათს — როგორც სახელმწიფო ბრალმდებელისას (მხარე). ანალოგიურად შეიძლება ითქვას პროკურორზე, როგორც მოსარჩელის, მოპასუხის სასარგებლოდ სახელმწიფო ინტერესების დაცვაზე. ცნობილია, პროკურორი მონაწილეობას ლებულობს სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს როგორც მეორე ინსტანციის, ისე სასამართლო ზედამხედველობის ფორმით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების პროცესში. თავისთავად პროკურორის მონაწილეობა სასამართლოში გადაწყვეტილების კანონიერების ან დასაბუთებულობის გამორკვევის თაობაზე არ შეიძლება ჩაითვალოს საპროკურორო ზედამხედველობად. პროკურატურის ორგანოების სათანადო უფლებამოსილ პირებს საამისოდ საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად ამ შემთხვევაში შეაქვთ პროტესტები (ან წარდგინებები) და სწორედ აქ იჩენს თავს საპროკურორო ზედამხედველობის თავისებურება. იგი აპროტესტებს გადაწყვეტილებას, როდესაც კანონის დარღვევას აქვს ადგილი, სასამართლო სხდომაზე მონაწილეობაც

რომ არ ჰქონდეს მიღებული. პროკურორის დასკვნა სასამართლო სხდომაზე არ შეიძლება განხილულ იქნას ზედამხედველობის განხორციელების ფორმად, რადგან ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, როგორ განიხილებას გამოიტანს გადაწყვეტილების შემმოწმებელი სასამართლო. თუ სათანადო თანამდებობის პროკურორის მიერ ზედამხედველობის წესით შეტანილ პროტესტს (დაკანონებულ გადაწყვეტილებაზე) მხარს უჭერს სასამართლო პროცესში მონაწილე პროკურორი (ჯერ მას ეძლევა სიტყვა) — ესეც არ უნდა შეფასდეს საპროკურორო ზედამხედველობის თვალსაზრისით, რადგან პროკურორი მხოლოდ ერთ-ერთი მხარეა და მისი მოსაზრებების სასამართლოს მიერ საბოლოო განხილვამდე საზედამხედველოც არსებითად არაფერია.

საბჭოთა პროცესუალისტები თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ საპროკურორო საქმიანობა ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობის სახით (თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მაგალითად, ნ. ა. იაკუბოვიჩის და ზოგიერთ სხვათა შეხედულებას — ბრალდებისა და კანონიერებაზე ზედამხედველობის ფუნქციებად დაყოფის მიზანშეწონილობის შესახებ.¹ ვფიქრობთ, ლიტერატურაში შეცდომით არის გათანაბრებული საერთოდ საპროკურორო საქმიანობა საპროკურორო ზედამხედველობასთან. ის, ვინც მოკვლევასა და წინასწარი გამოძიების მიმართ საპროკურორო ზედამხედველობაზე ლაპარაკობს, მან უნდა ფაქტიურად უარყოს პროკურორის მტკიცების მოვალეობა (მონაწილეობა). ეს ნათელი გახდება უფრო მაშინ, თუ გავიხსენებთ პროკურორის კანონიერ უფლებებს გამოძიებლის მოქმედებებთან დაკავშირებით, რომ პროკურორს შეუძლია გამოიყენოს გამოძიებლის მიმართ არა მარტო დისციპლინური, არამედ პროცესუალური სანქციაც (გააუქმოს გამოძიებლის დადგენილება, საქმე ჩამოართვას მას და სხვა); პროკურორის მითითება სავალდებულოა როგორც მომკვლევისათვის, ისე გამოძიებლისათვის. ყოველივე ეს კი, შეუთავსებელია საპროკურორო ზედამხედველობის ცნებასთან. როდესაც ამბობენ, რომ მტკიცების პროცესში პროკურორი მეთვალყურეობას უწევს მომკვლევისა და გამოძიებლის მოქმედებებს კანონის ზუსტად გამოყენების თვალსაზრისით,² ისინი ფაქტიურად არც ცდილობენ განმარტონ—რაში გამოიხატება კონკრეტულად საპროკურორო ზედამხედველობა მოკვლევასა და გამოძიებაზე; სწორედ ამიტომ რატომღაც საუწყებო ხასიათის კონტროლს (შემოწმება) საპროკურორო ზედა-

¹ თეორია, გვ. 533.

² ვ. მ. სავოცკი, საპროკურორო ზედამხედველობა მოკვლევაზე და წინასწარ გამოძიებაზე, 1939 (რუს.), მ. ლ. შიფმანი, პროკურორი სისხლის სამართლის პროცესში, 1948 (რუს.), და სხვ.

მხედველობად ასაღებენ. შორს რომ არ წავიდეთ, როგორც ცნობილია, გამოძიებელს უფლება აქვს შეწყვიტოს წარმოება (შემთხვევის არ არსებობის, დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის, ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო), ე. ი. გადაწყვიტოს საბოლოოდ საქმის ბედი (პირის ბრალეულობაზე); გამოძიებელს შეუძლია ამგვარად საქმის ბედი გადაწყვიტოს საბოლოოდ არა მარტო საკუთარი ინიციატივით, არამედ პროკურორის მითითების საფუძველზეც; და განა პროკურორის მითითებები (რომლებიც სავალდებულოა გამოძიებლისათვის) შეიძლება განხილული იქნან ზედამხედველობის პოზიციით? მ. ს. სტროგოვიჩი, აკრიტიკებს რა რ. დ. რახუნოვს და პ. ს. ელკინდს (რომლებიც გამოძიებელს მიაწერენ მხოლოდ გამოძიების ფუნქციას), დასძენს, რომ წინასწარი გამოძიებისას ერთად არის თავმოყრილი სისხლის სამართლის დევნა, დაცვა და საქმის გადაწყვეტა.¹ დაცვის ფუნქციასთან დაკავშირებით ჩვენ ცოტა ქვემოთ შევჩერდებით, აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ, სტროგოვიჩის სწორი შენიშვნით, „გამოძიება“ არ შეიძლება გაუთანაბრდეს „ფუნქციას“, რადგან ცალკეული პროცესუალური ფუნქცია შეუდარებლად ვიწრო ცნებაა — ვიდრე წინასწარი გამოძიება, რომელსც მოიცავს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტადიას.² მაგრამ სახელმწიფო ბრალმდებლის როლზე ერთობ ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია მ. ს. სტროგოვიჩის პოზიცია. მისი სიტყვით, პროკურორის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლად გამოსვლა, ბრალდებისადმი მხარდაჭერა არის კანონიერებაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების ყველაზე მწვავე ფორმა. რაკი ყოველგვარი დანაშაული კანონიერების დარღვევაა, პროკურორის მიერ ბრალდებისადმი მხარდაჭერას თვლის კანონიერებაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების საშუალებად.³ მაგრამ ამასთან, აეტორი აკრიტიკებს მ. ლ. შიფმანს, რომელიც პროკურორს, როგორც ბრალმდებელს (მხარეს) თვლის აგრეთვე კანონიერების დამცველ ორგანოდ.⁴ მ. ს. სტროგოვიჩი, პროკურორს მიიჩნევს რა დამცველთან თანაბარუფლებიან მხარედ, აღნიშნავს, რომ პროკურორი არ ახორციელებს ზედამხედველობას სასამართლოზე არც მაშინ, როდესაც იგი მონაწილეობას ღებულობს სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე ბრალდებულის სამართალში მისაცემად და არც სასამართლოს სხდომაზე სახელმწიფო ბრალმდებლად გამოსვლის დროს... პირველ შემთხვევაში იგი ასაბუთებს

1 მ. ს. სტროგოვიჩი. კურსი, 1968, ტ. I, გვ. 226.

2 იქვე, გვ. 226.

3 იქვე, გვ. 219—220.

4 იქვე, გვ. 223.

სამართალში მიცემის აუცილებლობას, მეორეში — ცდილობს დანაშაულის ნათელყოფას და დამნაშავეის ღირსეული დასჯის უზრუნველყოფას.¹ ეფექტობთ, ავტორს მართებდა უფრო მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა საპროკურორო ზედამხედველობაზე თავისი აზრი. ერთ შემთხვევაში იგი ლაპარაკობს სახელმწიფო ბრალმდებელზე, როგორც კანონიერების განხორციელებასთან დაკავშირებით ზედამხედველობაზე, მეორეს მხრივ, არ უარყოფს, რომ საქმის სასამართლო განხილვის დროს პროცესის მონაწილეთა (მათ შორის პროკურორის) მიერ კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა ევალება სასამართლოს შემადგენლობას;² მაშასადამე, თუ სასამართლოში პროკურორი არ ახორციელებს სასამართლო ზედამხედველობას, მაშინ კანონიერების განხორციელების რომელ ფორმაზეა ლაპარაკი? კანონიერებაზე ზედამხედველობა ხომ ზოგადი ცნებაა, რომელსაც აქვს თავისი დარგები? მართალია, პროკურორმა სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლად მონაწილეობის დროს უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს კანონის დარღვევის არც ერთი შემთხვევა — პროცესში მონაწილეთა მოქმედების მხრივ და სხვა, მაგრამ განა ეს ზედამხედველობას ნიშნავს? თვით დამცველსაც ევალება, კანონის მოთხოვნის ფარგლებში განახორციელოს დაცვის ფუნქციები და მიაქციოს სასამართლოს ყურადღება პროკურორის არასწორ მოქმედებაზეც, თუ ამას ექნება ადგილი, რაკი მხარეები თანასწორუფლებიანი სუბიექტები არიან. პროკურორი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია, მაგრამ სახელმწიფო ინტერესების დაცვა, ცხადია, არ ნიშნავს საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებას სასამართლო სხდომის დროს; პროკურორს აქვს მტკიცების მოვალეობა და, აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ თუ პროკურორი მონაწილეობს სასამართლო სხდომაზე, დამცველის მონაწილეობაც სავალდებულოა, რომ მან განახორციელოს დაცვის ფუნქციები. თუ წინასწარი გამოძიების დროს პროკურორს, მაგალითად, კანონით ეკისრება მტკიცების ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი უშუალოდ ასრულებს საგამოძიებო მოქმედებებს (სხვა შემთხვევაში იგი მონაწილეობს მტკიცებისას), პირის სამართალში მიცემისა და განსაკუთრებით საქმის სასამართლოში განხილვის დროს პროკურორი ვალდებულია დაამტკიცოს ბრალდებულის ბრალეულობა, როდესაც საამისო საფუძველი გააჩნია, რასაკვირველია. ბრალდების დასაბუთებისათვის იგი უნდა დეტალურად გაეცნოს არა მარტო მტკიცებულებებს საბრალდებო დასკვნის და-

1 მ. ს. სტროგოვიჩი. კურსი, 1968, ტ. I, გვ. 222.

2 • ქ ვ ბ, გვ. 221.

მტკიცებამდე, არამედ იმ დამატებით მასალებსაც, რომლებიც სასამართლოში იქნება წარდგენილი. ლიტერატურაში სამართლიანად იქნა დაგმოხილი მ. ა. ჩელცოვის, მ. ლ. იაკუბისა¹ და სხვათა პოზიცია, სახელმწიფო ბრალმდებლის მტკიცების მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ. აქვე საჭიროა აღინიშნოს ავტორთა (ა. რ. რატინოვი, ნ. ა. იაკუბოვიჩი) უზუსტობა, როდესაც ისინი საქმის საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციებში განხილვისას პროკურორის მტკიცებაში მონაწილეობას საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებად თვლიან.²

4. ევემიტანილი (ეპედეაული) და ბრალდეაული, როგორც მკაცრი სუბიექტური სუბიექტური

ევემიტანილის ცნება მოცემულია კანონში. ევემიტანილად ითვლება პირი, როდესაც იგი ეპეით არის დაკავებული (72 საათის განმავლობაში) ან გამოყენებულია მის მიმართ აღკვეთის ღონისძიება (10 დღემდე). მართალია ევემიტანილის მიერ ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ივარაუდება, მაგრამ, ცხადია, ეს ვარაუდი დადასტურებული უნდა იყოს ობიექტური მონაცემებით. რაკი ევემიტანილს აქვს პროცესუალური უფლებები (იცოდეს რომელ დანაშაულში არის ევემიტანილი, მისცეს განმარტება, განაცხადოს შუამდგომლობა, გაასაჩივროს მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის მოქმედება), იგი გარკვეულ ეტაპზე მტკიცების სუბიექტადაც ითვლება. ევემიტანილი თავისი პროცესუალური მდგომარეობით, ცნობილია, ვერ გათანაბრდება ვერც მოწმესთან და ვერც ექსპერტთან; მას აქვს გარკვეული ინტერესები; ევემიტანილი არ არის მოვალე ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა; ეს ტვირთი აწევს მომკვლევს ან გამომძიებელს, რომლებმაც ეპის საფუძველზე დააკავეს პირი ან შეურჩიეს მას აღკვეთის ღონისძიება.

მტკიცების პროცესში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრალდებულს. ბრალდებულის გარეშე არ არსებობენ ბრალდებისა და დაცვის ფუნქციები და მაშასადამე, არც მტკიცების მოვალეობის პრობლემა წამოიჭრება. პირის მიმართ სისხლის სამართლის დევნის აღძვრის შემდეგ, მას უჩნდება დაცვის უფლებაც, რაც გულისხმობს ბრალდებულის უფლებათა მთელ კომპლექსს. კანონის მიხედვით, ბრალდე-

¹ М. Л. Якуб, Демократические основы сов. уголовного-процессуального права; 1960, с. 117—118. იხ. აგრეთვე თეორია, გვ. 534.
² დასახ. თეორია, 1973, გვ. 535.

ბულს უფლება აქვს: იცოდეს რაში ედება ბრალი და მისცეს განმარტება ბრალდების ირგვლივ; წარადგინოს მტკიცებულებანი; აღძრას შუამდგომლობანი; გაეცნოს საქმის მასალებს დამცველთან ერთად; მონაწილეობა მიიღოს საქმის სასამართლოში განხილვის დროს; მისცეს აცხილება; გაასაჩივროს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს მოქმედება; საქმის სასამართლო განხილვისას თქვას საბოლოო სიტყვა. რა თქმა უნდა, ბრალდებულს ამვე დროს კანონით ეკისრება ზოგიერთი ვალდებულებაც (სასამართლო-საგამომძიებო ორგანოთა დაბარებისთანავე გამოცხადდეს მითითებულ ადგილზე, არ წავიდეს დათქმულ ადგილიდან წაუსვლელობის ხელწერილის დადების შემთხვევაში, დაემორჩილოს სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის განკარგულებებს და სხვა). მაგრამ ბრალდებული არამც და არამც არ არის იურიდიულად ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა იმ გაგებით, რომ თუ ვერ დაამტკიცებს ასეთს თითქოს მისი საწინააღმდეგო დასკვნები იქნება გამოტანილი. რაკი ბრალდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას აღკვეთის ღონისძიებანი და სხვა იძულებითი ღონისძიება, ცხადია, იგი ამიტომ ვერასოდეს ვერ გადაიქცევა პროცესუალური საქმიანობის ობიექტად (როგორც ადრე ამას მ. ა. ჩელცოვი ფიქრობდა), მაგრამ არც მ. ს. სტროგოვიჩის მტკიცება გამოირჩევა სიზუსტით, როდესაც იგი „ბრალდებულს“ უპირისპირებს „ბრალეულობას“.¹ მართალია, „ბრალეულობა“ სისხლის სამართლებრივი ცნებაა, პირის პასუხისგებაში მიცემა კი პროცესუალური აქტია, მაგრამ ბრალდებული, რომ ბრალდების (ბრალის) გარეშე არ იაზრება, არც ეს უნდა იწვევდეს დავას. სწორედ პირის ბრალდებებთან არის დაკავშირებული მისი უფლებებიც; ბრალდების გარეშე მის მიერ ჩვენების მიცემაც დაკარგავდა საზრისს. მაგრამ ისიც უდავოდ რჩება, რომ წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის დროს ბრალდებულის მონაწილეობა მეტად შეზღუდულია; საკმარისია ითქვას, რომ ბრალდების წარდგენის მომენტში, ბრალდებულმა ხშირად არც იცის თუ რა მტკიცებულებებს ფლობს გამომძიებელი (მომკვლევნი). ზოგიერთი ავტორი (ნ. ა. იაკუბოვიჩი და სხვ.) ამას იმიტაც ასაბუთებს, რომ თუ ბრალდებულს ეცოდინებოდა უკვე შეკრებილ მტკიცებულებათა შესახებ, ამას თითქოს შეიძლებოდა მოჰყოლოდა ჯერ კიდევ აღმოუჩენელ მტკიცებულებათა დაფარვა ან ფალსიფიკაცია.² ვფიქრობთ, ეს მოსაზრება ვერ ამართლებს შექმნილ მდგომარეობას. ბრალდებულს არ შეიძლება დავუშალოთ ის უტყუარი მტკიცებულებანი, რომლებზედაც დამყარე-

¹ მ. ს. სტროგოვიჩი, დასახ. კურსი, გვ. 234—235.

² დასახ. თეორია, 1973, გვ. 545.

ბულია პირის პასუხისგებაში მიცემა, ასეთი მოქმედებით უეჭველად იქმნება სისხლის სამართლის დევნის უსაფუძვლოდ აღძვრის საფრთხე. გაურკვეველია, მაინც რატომ არის მოსალოდნელი, აღმოუჩენელი მტკიცებულებანი გაყალბდეს, თუ, მაგალითად, გამოძიებელი პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში აჩვენებს, რომ დანაშაულში კონკრეტული სუბიექტის ბრალეულობა დადასტურებულია გარკვეული მტკიცებულებებით? გამოძიებელს (მომკვლევს) არ შეიძლება, ცხადია, დაევალოს ყველა დამამტკიცებელ საბუთზე მითითება (მით უმეტეს თუ ზოგიერთი ჭეროვნად არც არის შემოწმებული), მაგრამ იმ პირობებში, როდესაც ბრალდებულისთვის არ არის ცნობილი საერთოდ მტკიცებულებათა შესახებ არაფერი, შეუძლებელია ბრალდებულის დაცვის უფლების სრულ გარანტიებზე ვილაპარაკოთ. სხვათა შორის, რაკი წინასწარი გამოძიების დროს მხოლოდ ნაწილობრივ მონაწილეობს ბრალდებული (ისეთი მოქმედების ჩატარების სახით, როგორცაა — ექსპერტიზა, დაპირისპირება და სხვა), ამ გარემოებამ ზოგიერთ ავტორს (მაგალითად, მ. ს. სტროგოვიჩი) საფუძველი მისცა პროცესის ამ სტადიაზე უარეუო შეჯიბრებითობის პრინციპი. პროფესორ მ. ს. სტროგოვიჩის აზრით, წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებული არ არის მხარე, მას იცავს ის ორგანო, რომელმაც პასუხისგებაში მისცა.¹ ავტორს მხედველობაში აქვს აგრეთვე ის, რომ საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბრალდებული სრულუფლებიანია ბრალდებულთან, რაც არ ითქმის წინასწარი გამოძიებისას ბრალდებულის პროცესუალურ მდგომარეობაზე. ვფიქრობთ, ეს არგუმენტები ვერ ცვლის საქმის ვითარებას. ბრალდებული წინასწარი გამოძიების სტადიაზეც პროცესში მონაწილე პირია და მხოლოდ მხარის უფლებით. რაკი ბრალდების წარდგენის შემდეგ სახელდობრ გამოძიებელს (მომკვლევს) აწევს მტკიცების მოვალეობა, ცხადია, მან უნდა დაამტკიცოს ბრალდების ფორმულის სინამდვილე. ბრალდების ფორმულის მისამართი კი მხოლოდ ბრალდებულია, რომელსაც სახელდობრ იმიტომ ენიჭება დაცვის უფლება, რომ უზრუნველყოს ბრალდების გაბათილება, თუ მას ეს შეუძლია და ამის შესახებ არსებობს რეალური შესაძლებლობა. მართალია, ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, მაგრამ რომელი ჰკუთმყოფელი პირი იტყვის უარს თავდაცვაზე, თუ წინ დაუძლეველი არაფერი ელობება? გამოძიებელი ვალდებულია იზრუნოს ბრალდებულის უფლებების უზრუნველსაყოფად, რაკი ამის გარეშე შეუძლებელია ქეშმარიტების დადგენა. ბრა-

1 მ. ს. სტროგოვიჩი, კურსი, გვ. 233.

ლდებულის უფლებები კი გამომდინარეობენ, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ მისი პასუხისგებაში მიცემის აქტიდან, ე. ი. რეალური შესაძლებლობის შემთხვევაში მას უჩნდება, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაცვიტ მორალური ვალდებულებაც, რაკი აღანაშაულებენ. როგორც ჩანს, მაშასადამე, სახეზე გვაქვს ბრალდებისა და დაცვის მხარეები. ეს ფუნქციები უერთმანეთოდ ვერც იაზრებიან. მაგრამ, აქ პრობლემა სხვა მხრივ მოითხოვს მოწესრიგებას. ცხადია, საქმეს ვერ უშველის ბრალდებულს მხარეც რომ არ ვუწოდოთ. მთავარი კი სწორედ ის არის, რომ წინასწარი გამოძიების დროს შეიქმნას რეალური გარანტია ბრალდებულის, როგორც მხარის დაცვისათვის. მოქმედი კანონით, ბრალდებული ფაქტიურად მოკლებულია სრულფასოვან დაცვას უმრავლეს კატეგორიის საქმეებზე. წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ ბრალდებულის ინტერესების დასაცავად ადვოკატის დაშვება ფაქტიურად ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებების განხორციელებას; იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდეგ მიღებული შედეგების მიხედვით ძალიან ძნელია და ზოგჯერ კი სრულიად შეუძლებელიც დაცვის პოზიციით მნიშვნელოვანი რამის გაკეთება. რასაკვირველია, ძნელია, დამცველმა განსაჯოს — როგორ იქნა ესა თუ ის მოქმედება შესრულებული, სახელდობრ, რით შეიძლებოდა შევსებულყოფიერ უკვე მოპოვებული ინფორმაციები და სხვა. ვფიქრობთ, ვერაერთარი სალი აზრი ვერ დაუპირისპირდება იმ აუცილებლობას, რომ დამცველი ყველა შემთხვევაში ჩაებას სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის პასუხისგებაში მიცემის მომენტიდან, რითაც ნამდვილად ხელს შევუწყობთ ბრალდებულს, როგორც მხარეს, განახორციელოს თავის დაცვის უფლებები.

დასავალი, როგორც მათიანის სუბიექტი

დამცველის მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, კემარიტების დადგენისთვის აქვს მნიშვნელობა.¹ თავისთავად ბრალდებულის უფლებების განხორციელება ამ ამოცანასვე ემსახურება. კანონის მიხედვით, დამცველი დაიშვება საქმეზე მონაწილეობისთვის, როგორც წესი, წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტიდან — როდესაც გამომძიებელი ბრალდებულს წარუდგენს გასაცნობად საქმის მთელ მასალებს. დამცველის მონაწილეობა გათვალისწინებულია პროკურორის დადგენილებით სისხ-

¹ ადვოკატურის ამოცანებზე იხ. სსრკ ადვოკატურის შესახებ კანონი.

ლის სამართლის დევნის აღძვრისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ საქმეზე წინასწარი გამოძიება არ ჩატარებულა, წესით, დამცველი დაიშვება ბრალდებულის სამართალში მიცემის მომენტიდან. კანონის თანახმად, დამცველად დაიშვებიან ადვოკატები, პროფესიული კავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა პირები, რომლებსაც ასეთი უფლება მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით ენიჭება. კანონი ითვალისწინებს აგრეთვე საზოგადოებრივ დამცველის (და ბრალმდებლის) მონაწილეობასაც. დამცველის მონაწილეობა სავალდებულოდაა მიჩნეული სასამართლოში საქმის განხილვის დროს შემდეგ შემთხვევებში: არასრულწლოვანთა საქმეებზე; მუწჯი, ყრუ, უსინათლო და სხვა ისეთი პირების საქმეებზე; რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძთ თვითონ განახორციელონ დაცვის უფლება; იმ პირთა საქმეებზე, რომლებიც არ ფლობენ ენას, რომელზედაც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება; იმ პირთა საქმეებზე, რომლებსაც ბრალად ედებათ ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც სასჯელის ზომად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა; თუ მონაწილეობას დებულობს სახელმწიფო (საზოგადოებრივი) ბრალმდებელი, აგრეთვე სამართალში მიცემულთა ინტერესებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას, როდესაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი. აღნიშნულ შემთხვევებში სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს მეორე დამცველის მონაწილეობა. ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის საპროცესო კოდექსი (ლიტვა, ლატვია, საქართველო, სომხეთი) საფუძვლების მიღებისთანავე სავალდებულოდ არ მიიჩნევდნენ დამცველის მონაწილეობას საზოგადოებრივი ბრალმდებლის მონაწილეობის შემთხვევაში, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ბრალდებულის ინტერესების სასარგებლო ღონისძიებად. კანონის მიხედვით, დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა აგრეთვე, წინასწარი გამოძიების პროცესში, თუ პასუხისმგებაში მიცემულია არასრულწლოვანი, მუწჯი, ყრუ, უსინათლო და სხვა ისეთი პირები, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძთ თვითონ განახორციელონ დაცვის უფლება. ცნობილია, რომ რსფსრ, უკრაინის, საქართველოს საპროცესო კოდექსებმა გაითვალისწინეს დამცველის სავალდებულო მონაწილეობა, როდესაც ბრალდებული ვერ ფლობს გამოძიების წარმოების ენას; წინასწარი გამოძიების დროს სავალდებულოდ მიიჩნიეს დამცველის მონაწილეობა ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებმა (სომხეთი, უზბეკეთი, საქართველო), როდესაც დანაშაული ითვალისწინებს სი-

კვილით დასჯას. ლიტერატურაში სწორად არის შენიშნული (მ. ს. სტროგოვიჩი), რომ პროცესში სავალდებულო მონაწილეობა უნდა დაეკისროს ადვოკატს ან ბრალდებულის სხვა წარმომადგენელს. რომელთა ჩაბმა არ გამოირიყება საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობით, რადგან ეს უკანასკნელი არ არის ბრალდებულის წარმომადგენელი. კანონის თანახმად, „დამცველი მოვალეა გამოიყენოს კანონში აღნიშნული დაცვის ყველა საშუალება და ხერხი, იმ მიზნით, რომ გამოირკვეს გარემოებანი, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს, ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას და გაუწიოს ბრალდებულს საჭირო იურიდიული დახმარება... ადვოკატს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ბრალდებულის დაცვაზე მას შემდეგ, რაც მან ეს იკისრა“.

როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის პროცესში დამცველის აუცილებელი მონაწილეობის თვალსაზრისით, სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მიღების შემდეგ სხვადასხვა პოზიცია დაიკავეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებმა, თუმცა, რასაკვირველია, თეორიულ ახსნას ვერავინ გამოუძებნიდა თუ რატომ უნდა ყოფილიყო ერთ შემთხვევაში აუცილებელი დამცველის მონაწილეობა „სასიკვდილო“ კვალიფიკაციით პირის პასუხისგებაში მიცემისას და მეორეში — არა; რატომ მხოლოდ ზოგიერთი რესპუბლიკაში ხელს უშლიდა ბრალდებულს ენის უცოდინარობა თავის უფლებების დასაცავად და იგივე პირობებში სხვა რესპუბლიკის ბრალდებულს კი — არა. ცხადია, რესპუბლიკების კანონმდებლობის შემოქმედების ორიგინალობას გონივრული შინაარსეული კანონზომიერებანიც უნდა გააჩნდეს; თუმცა, სამწუხაროდ, არა მარტო ცალკეული რესპუბლიკების, არამედ საკავშირო კანონმდებლობაშიც ზოგჯერ ადგილი აქვს ცხოვრების მოთხოვნილებებთან გარკვეულ შეუსაბამობებს. ამის მაგალითებს გვაწვდის საგამოძიებო-სასამართლო ორგანოთა საქმიანობის ისტორია. არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, როდესაც ბრალდებული ეძლევა პასუხისგებაში, იკითხება როგორც ბრალდებული და მას ყველა შემთხვევაში არ შეუძლია დახმარებისთვის მიმართოს დამცველს. სტატისტიკა მოწმობს, რომ დამცველის გარეშე გამოძიებული სისხლის სამართლის საქმეების საკმაოდ დიდი რაოდენობა დაბრუნდება ხოლმე წინასწარი გამოძიებისათვის, ან მთავრდება წარმოების შეწყვეტით, ბრალდებულის უფლებათა დარღვევებსაც რომ ჰქონდა ადგილი. ესეც რომ არ იყოს, თავისთავად შესაძლოა პირს არ ჰქონდეს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, არ იყოს მუნჯი, ყრუ, უსი-

ნათლო, მაგრამ არ შეეძლოს თავდაცვა; ბრალდებულს ყველა სტადიაზე შეუძლია გაუწიოს დახმარება დამცველმა და განსაკუთრებით კი წინასწარი გამოძიებისას, როდესაც ყველაზე მეტი საშიშროებაა გამოძიების ცალმხრივი წარმართვისათვის, რაკი გამომძიებელი თვითონვე არის ბრალმდებელი და მასზეა დამოკიდებული უზრუნველყოფს თუ არა ბრალდებულის უფლებების განხორციელებისთვის საკმაო პირობების შექმნას... როგორც მრავალჯერ არის შენიშნული, წინასწარი გამოძიების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, რეალური შესაძლებლობის შემთხვევაში, მხოლოდ ნიადაგი მომზადდეს საქმის სასამართლო განხილვისათვის; როგორც პირის პასუხისგებაში მიცემის აქტი, ისე საბრალდებო დასკვნა მხოლოდ საჯარო ბრალდების კონკრეტული ფორმებია, რომელთა უკან ყოველთვის იგულისხმება სახელმწიფო ორგანო — ბრალმდებელი ორგანო, რაკი მას ბრალდების გარდა არ გააჩნია საქმის გადაწყვეტის კომპეტენცია (როდესაც ამ სტადიაზე სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი იქმნება, ჩვენც ვფიქრობთ, ეს ფუნქცია უნდა შეასრულოს ისევე სასამართლომ, რაც დაკავშირებულია გადაწყვეტილების პრეიულიციული მნიშვნელობის პრობლემასთანაც და სხვ.).

ლიტერატურაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ წინასწარი გამოძიების დროს თვითონ გამომძიებელი ასრულებს დაცვის ფუნქციას, როდესაც მონაწილეობას არ ღებულობს დამცველი. მ. ს. სტროგოვიჩი ასე აყენებს საკითხს — თუ გამომძიებელი არ შეასრულებდა დამცველის ფუნქციას, მაშინ უმრავლეს საქმეებზე მხოლოდ ბრალდებულს მოუხდებოდა დაცვის ფუნქციის განხორციელება, რაკი სისხლის სამართლის დევნის აღძვრის მომენტიდან დამცველის მონაწილეობა შეზღუდულია. იგი აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში შედეგად მივიღებდით ცალმხრივ, საბრალდებო ხასიათის საგამომძიებო საქმიანობას.¹ როგორც ჩანს, ავტორი გამომძიებლის სადამცველო ფუნქციის შესრულების აუცილებლობას იმით ასაბუთებს, რომ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული პროცესის გარკვეულ მონაკვეთში დამცველის მონაწილეობა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ უნდა იყოს ლოგიკური. გამომძიებელი წინასწარი გამოძიებისას დამცველად ვერ გადაიქცევა, რაკი არ მონაწილეობს დამცველი. ელემენტარული ბანალობაა — დამცველი მაშინაც იცავს პირს, როდესაც მის მიერ დანაშაულის ჩადენა უდავოა; უფრო სწორად, დამცველი ყოველთვის მოვალეა დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები, მაგრამ გამომძიებელს შეუძლია ასევე მოიქცეს? ვანა გამომძიებელი

¹ იხ. მისი დასახ. კურსი, ტ. I, გვ. 227.

იზრუნებს დაცვის ნიუანსების ძებნისათვის, როდესაც დარწმუნდება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის უტყუარობაში? აქ საკირო იყო პირდაპირ კანონმდებლობაში ხარვეზის აღიარება და არა გამოძიებლისათვის უჩვეულო ფუნქციის მიწერა. არ იწვევს დაეას, რომ კანონის მიხედვით, გამოძიებელი ვალდებულია, გამამტყუნებელთან ერთად, გამამართლებელი გარემოებანიც გამოიკვიოს, მაგრამ ეს არგუმენტიც ვერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ გამოძიებელი თითქოს ასრულებს სადამცველო ფუნქციას, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი (მ. ს. სტროგოვიჩი...) ფიქრობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებელიც ვალდებულია იხელმძღვანელოს არა მარტო გამამტყუნებელი, არამედ გამამართლებელი საბუთებითაც, მაგრამ ამით იგი, ცხადია, დამცველად ვერ გადაიქცევა ხოლმე, თუ ზოგჯერ სახელმწიფო ბრალმდებელი ბრალდებას უხსნის ბრალდებულს — ამას იგი აკეთებს სწორედ იმიტომ, რომ იგი მიუკერძოებელი, სახელმწიფო ბრალმდებელია და მას უფლება არა აქვს შექანიკურად შეასრულოს თავისი ფუნქცია. გამოძიებელიც სახელმწიფოს წარმომადგენელია; იგი არ შეიძლება იყოს ბრალდებულის წარმომადგენელი და თუ, მ. ს. სტროგოვიჩის სწორი მტკიცებით, დამცველი ყოველთვის უნდა იყოს ბრალდებულის წარმომადგენელი, მაშინ რანაირადღა შეიძლება გამოძიებელი დამცველადაც მივიჩნიოთ? გამოძიებელმა, ცხადია, უნდა დაიცვას კიდევ ბრალდებულის ინტერესები, მაგრამ — ეს სულ სხვა კრილიში განსახილველი საკითხია და მას სადამცველო ფუნქციის ქეშმარიტ უზრუნველყოფასთან პირდაპირი კავშირიც არა აქვს. სხვათა შორის, როდესაც მ. ს. სტროგოვიჩი იხილავს დამცველის სავალდებულო მონაწილეობის საკითხს, იქვე დასძენს, რომ ამ შემთხვევაში დაცვა უნდა დაევალოს ადვოკატს (ან ბრალდებულის სხვა წარმომადგენელს) და მისი აუცილებელი მონაწილეობა არ გამოირიცხება საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობით, რადგან ეს უკანასკნელი არის არა ბრალდებულის, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივის წარმომადგენელი.¹ მაშასადამე, ეს არგუმენტიც ისევ ჩვენი პოზიციის სასარგებლოდ ლაპარაკობს. თუ საზოგადოებრივი დამცველიც ვერ შეცვლის ადვოკატს — დამცველს, როგორც ბრალდებულის წარმომადგენელს, რანაირად შეიძლება გამოძიებელმა შეცვალოს დამცველი? დამცველის სისხლის სამართლის დევნის ალტერნის მომენტიდან ჩაბმას სწორედ ის მნიშვნელობა აქვს, რომ მან მონაწილეობა მიიღოს დამამტკიცებელი

¹ მ. ს. სტროგოვიჩი, დას. კურსი, ტ. I, გვ. 242.

საბუთების გამოკვლევაში, დაესწროს საგამოძიებო მოქმედებებს, შეიტანოს შენიშვნები საგამოძიებო ოქმებში, აღძრას შუამდგომლობა გამოძიების აცილებაზე და სხვა. ამის გარეშე, როგორც ცნობილია, დამცველის უფლებები დამამტკიცებელი საბუთების წარდგენასთან დაკავშირებით მეტად შეზღუდულია; მას შეუძლია მხოლოდ წარადგინოს დოკუმენტები და ცალკეული ნივთები (იურიდიული კონსულტაციის მიერ გამოთხოვილი...), რომლებსაც შეიძლება მიენიჭონ მტკიცებულებითი მნიშვნელობა. აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს დაცვას აქვს საჯარო-სამართლებრივი ხასიათი (ი. დ. პერლოვი და სხვ.), ვერ უძლებს კრიტიკას; დამცველს არ შეიძლება მიენიჭოს დამოუკიდებლობა ბრალდებულის ინტერესების დაცვებით, დამცველი, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ბრალდებულის წარმომადგენელია (ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ პ. ს. ელკინდი, რ. დ. რახუნოვი და სხვ.), მ. ს. სტროგოვიჩმა დამაჯერებლად დაასაბუთა ეს პოზიცია.¹ მართალია ლიტერატურაში (ნ. ა. იაკუბოვიჩი² და სხვ.) ცდილობენ კანონიერი წარმომადგენლის ცნების მიმოხილვით შეარჩიონ ეს შეხედულება, მაგრამ, რაკი კანონით დაზარალებულის ინტერესების დამცველი-ადვოკატი ითვლება მის წარმომადგენლად, როგორც შენიშნულია, დავას აღარ უნდა იწვევდეს, შეორეს მხრივ, სასამართლოს პროცესში სამართალში მიცემულის მხარეზე მყოფი ადვოკატიც რომ სამართალში მიცემულის წარმომადგენლად ჩაითვალოს. უდაოდ გაუგებრობას წავაწყდებოდით დამცველი რომ ბრალდებულის წარმომადგენლად არ მიგვეჩნია. ცხადია, „კანონიერი წარმომადგენელი“ ფართო მნიშვნელობისაა და სხვადასხვა ასპექტში განსახილველი ცნებაა იმისდამხედვით, თუ ვის ინტერესებს იცავს. საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკიდან ცნობილია შემთხვევები, როდესაც ბრალდებული (სამართალში მიცემული) თავს ცნობს დაჰნაშავედ და მოითხოვს, რომ შეაკრადაც დაისაჯოს; დამცველის პოზიციას ამ ვითარებაშიც განსაზღვრავს, როგორც იტყვიან, საადვოკატო ეთიკა — თუ დამცველი დარწმუნდება, რომ დანაშაული მართლაც ჩადენილია სამართალში მიცემულის მიერ და მისი უარყოფა უჯერბულიცაა, მაინც უნდა ამოვიდეს დაცვის პოზიციიდან და შემამსუბუქებელ გარემოებებზე გადაიტანოს მთელი ყურადღება. მაგრამ პრაქტიკა მიუთითებს სრულ კოლიზიაზეც, როდესაც დამცველი სავსებით არ ეთანხმება სამართალში მიცემულს, რომ საერთოდ ჩადენილია დანაშაული, ან რომ იგი სახელდობრ სამართალში მიცე-

¹ ი ქ ვ ე, გვ. 245—252.

² დასახ. თეორია, 1973, გვ. 556—557.

მულის მიერაა ჩადენილი. ასეთ შემთხვევაში, რეკომენდებულია. დამცველი მოქმედებს თავისი რწმენით, და, ცხადია, დამოუკიდებლად იღვეოდეს სამართალში მიცემულის სასარგებლოდ. დამცველის ორივე ეს პოზიცია გამართლებულია იმით, რომ საბოლოოდ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქმის ბედი, და, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, დიდი უხერხულობა შეიქმნებოდა დამცველს რომ მოეთხოვა პიროვნების დასჯა და სასამართლოს კი განმართლებელე განაჩენი გამოეტანა.

როდესაც ბრალდებული (სამართალში მიცემული) არ ცნობს თავს დამნაშავედ, ცნობილია, რომ შეიძლება იგი აშკარად ცრუობდეს, ამახინჯდეს ფაქტებს, დაუშვებელი მეთოდებით იმართლებდეს თავს და ა. შ., მაგრამ აქაც, როგორც ყოველთვის, დამცველს მართებს დაცვის პოზიციით მიუდგეს გარემოებათა შეფასებას და საამისოდ გამოიყენოს მხოლოდ კანონიერი საშუალებები. ლიტერატურაში სწორად იქნა უარყოფილი რ. დ. რახუნოვის შეხედულება, რომელიც შესაძლებლად თვლის დამცველის განსხვავებული პოზიციით გამოსვლას, თუ ამაში დაეთანხმება სამართალში მიცემული. არასწორია აგრეთვე მისი აზრი, თითქოს როდესაც ბრალდებული თავს არა ცნობს დამნაშავედ, დამცველს „შეიძლება ჰქონდეს თავისი აზრი და ამ შემთხვევაში უარი უნდა თქვას დაცვაზე“¹. დამცველმა რომ უარი განაცხადოს დაცვაზე იმ მოტივით, რომ იგი არ ეთანხმება ბრალდებულს, ვერ ნახა საქმეში გამამართლებელი საბუთები და სხვა — ეს ფაქტიურად ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევა იქნება. როგორც ცნობილია, დამცველის (ადვოკატის) მიერ დაცვაზე უარის თქმა აკრძალულია კანონით; (დაცვაზე უარის თქმა შეუძლიათ ბრალდებულის ახლო ნათესაეებს, საზოგადოებრივ დამცველს).

პროცესუალურ ლიტერატურაში კატეგორიულად მიუთითებენ იმაზე, რომ თითქოს დამცველს არ აწევს მტკიცების მოვალეობა, ბრალდებულის მსგავსად, რაკი, თუ იგი ვერ დაამტკიცებს ბრალდებულის უდანაშაულობას, ეს უკანასკნელი მაინც არ ითვლება დამნაშავედ. ვფიქრობთ, სწორად შენიშნავს ფ. ნ. ფატკულინი (წინააღმდეგ მ. ს. სტროგოვიჩის შეხედულებისა), რომ შეზღუდული მოვალეობა საქმის გარემოებათა გარკვეულ ნაწილში დამცველსაც აწევს.² გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი თუ

¹ Р. Д. Рахунов, Участники уголовно-процессуальной деятельности, с. 223—224. იხ. აგრეთვე, მ. ს. სტროგოვიჩის კურსი, გვ. 249.

² Ф. Н. Фаткулин, Общие проблемы процессуального доказывания, 1976, с. 87.

ვერ დაამტკიცებს სამართალში მიცემულის ბრალს, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სასამართლო უეჭველად უდანაშაულოდ მიიჩნევს სამართალში მიცემულს.

6. დაზარალდავლი, როგორც ზიანიანი სუბიექტი

როგორც ცნობილია, დაზარალებულად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულით მიყენებული აქვს მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი. თუ ფიზიკური ზიანისათვის დაზარალებულად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ მოქალაქე, მორალური და მატერიალური ზიანი არ არის გამორიცხული მოუფიდეს ორგანიზაციასაც, დაწესებულებასაც, საწარმოსაც (ქონებრივი ზარალი, გამაწილებელი ცნობების გავრცელება...). აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირი, როგორც დაზარალებული, პროცესში მონაწილეობს მხოლოდ როგორც სამოქალაქო მოსარჩლე — ე. ი. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ქონებრივი ზარალის ანაზღაურება. დაზარალებულად პირის ცნობისათვის, კანონის თანახმად, გამოძიებელს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს — განჩინება. დაზარალებულს წინასწარი გამოძიების დროს შეუძლია წარადგინოს მტკიცებულებანი (ხმის ჩანაწერი, დოკუმენტი, ფოტოსურათები...), მაგრამ კანონით მას ეკრძალება გამოძიებლის (მომკვლევის) მსგავსად თვითონ შეაგროვოს მტკიცებულებანი (თუმცა ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი კერძო საწყისებზე გაეფართოებინათ დაზარალებულის უფლებები ამ მიმართულებით — ლ. დ. კოკარევი...). დაზარალებული სასამართლო-სამსჯევრო გამოძიების დროსაც სარგებლობს პროცესის სხვა მონაწილეებთან თანაბარი კანონიერი უფლებებით მტკიცებულებათა გამოკვლევის, მათი წარმოდგენის, თუ შეამდგომლობის აღძვრის მხრივ. აღსანიშნავია ერთგვარი წინააღმდეგობა, როდესაც, ერთის მხრივ, ვაღიარებთ, რომ დაზარალებულს უფლება აქვს ამხილოს დამნაშავე, ბრალი დასდოს მას, ხოლო, მეორეს მხრივ, ი გ რ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა მისცეს ჩვენება. ცხადია, დაზარალებული, ბრალდებლის ამოცანას ანხორციელებს არა მარტო შეამდგომლობის აღძვრით, მტკიცებულებათა წარდგენით და სხვა, არამედ უშუალოდ ჩვენების მიცემითაც. მართლაც, წარმოუდგენელია თავი შეიკავოს ბრალდებულის მხილებაში ან გვერდი აუაროს საერთოდ საბრალდებო პოზიციებს, როდესაც იგი პასუხს აგებს ცრუ ჩვენებისათვის; მართალი ჩვენება კი, როდესაც ბრალდებულს სინამდვილეში ჩადენილი აქვს დანაშაული, უკვე ნიშნავს მის მხილებას, უნდა თუ არა ეს დაზარალებულს. ლიტერატურაში სწორად არის მითითებუ-

ლი, რომ დაზარალებული — მოქალაქე დანაშაულის ყველა შემთხვევაში არის ბრალმდებელი, რაკი იგი იცავს თავის ინტერესებს, რომელიც დაირღვა დანაშაულით,¹ თავის ინტერესების დაცვა ამ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ ნამდვილი დამნაშავის მხილებით; ამიტომ შეუსაბამობა იგრძნობა, როდესაც ამავე დროს ვამბობთ, რომ დაზარალებულს შეუძლია თავი შეიკავოს დამნაშავის გამოაშკარავებაზე, ბრალი არ დასდოს ბრალდებულს;² საკითხავია, რა თემაზე უნდა ილაპარაკოს დაზარალებულმა დაკითხვის დროს, როდესაც იგი მოვალეა სწორი ჩვენება მისცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მუქარით?

სწორად არის შენიშნული, რომ დაზარალებული — მოქალაქე შეიძლება ერთდროულად იყოს აგრეთვე სამოქალაქო მოსარჩლეც, მაგრამ ამით იგი არ კარგავს დაზარალებულის, როგორც ბრალმდებლის უფლებამოსილებას.³ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის სამსჯავრო გამოძიებაში მონაწილეობას, იგი, კანონის შესაბამისად, მონაწილეობს სამართალში მიცემულთა, მოწმეების, ექსპერტების დაკითხვებში, ათვლიერებს ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს, აყენებს შეამდგომლობებს... მონაწილეობს კამათში. კანონის შესაბამისად, ასაჩივრებს განაჩენს მისი ინტერესების დარღვევის თაობაზე: მონაწილეობს ლებულობს საკასაციო წარმოების დროსაც მტკიცებულებათა შემოწმების თვალსაზრისით (სასურველი იყო, ცხადია, დაზარალებულის მონაწილეობა გათვალისწინებულ იყო საზედამხედველო წარმოების პროცესშიც, როგორც ამის შესახებ სწორად შენიშნავენ). დაზარალებულის პროცესუალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ლიტერატურაში წამოჭრილია ზოგიერთი პრობლემური საკითხები; კერძოდ, მ. ს. სტროგოვიჩის აზრით, საჭიროა მორალური ზიანის ერთობ გაფართოებული გაგება. იგი მოითხოვს მორალურ ზიანად ჩაითვალოს დანაშაულის მცდელობა (მკვლელობის მცდელობის ფაქტი და სხვა).⁴ საინტერესოა აგრეთვე, მ. ს. სტროგოვიჩის შეხედულება დანაშაულის შედეგად დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში მისი წარმომადგენლის — ახლო ნათესავის დაზარალებულადაც მიჩნევასთან დაკავშირებით. ავტორი სვამს კითხვას — თუ ნივთის მოპარვის შემთხვევაში ნივთის დამკარგავი მოქალაქე მიიჩნევა დაზარალებულად, რატომ არაა დაზარალებულ

1 მ. ს. სტროგოვიჩი, დასახ. კურსი, 1968, ტ. 1. გვ. 255.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 256.

4 იქვე, გვ. 257—258.

— ძვირფასი ახლობელის სიკვდილის გამო? შესაბამისად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების (1961) მე-7 მუხლისა, მ. ს. სტროგოვიჩი მოითხოვს დაზარალებულის უფლებებით ისარგებლოს არა მარტო ფიზიკურმა, არამედ იურიდიულმა პირმაც, როდესაც დანაშაული მას აყენებს მორალურ ზიანს.¹ გარდაცვალებული—დაზარალებულის ახლო ნათესავი — წარმომადგენლად ითვლება იმდენად, რამდენადაც ის იცავს და უფრთხილდება მის სახელს, ღირსებას.

დაზარალებულის (ისე, როგორც სამოქალაქო მოსარჩლის, სამოქალაქო მოპასუხის) წარმომადგენლად კანონით დასაშვებია ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ახლო ნათესავი და სხვა პირიც (გამომძიებლის, მომკვლევის დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით). კანონითვე ცნობილია, რომ კერძო ბრალდების საქმე შეიძლება აღიძრას დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენლის საჩივრით, თუ დაზარალებული არის არასრულწლოვანი, ან ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლის გამო თვითონ არ შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა. კერძო ბრალდების საქმე შეიძლება აღიძრას პროკურორის ინიციატივითაც, როცა ამას მოითხოვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესები. ან მოქალაქეთა პირადი უფლებების დაცვა, ოღონდ ასეთი გზით აღძრული საქმის წარმოება არ შეწყდება ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგებით. კანონში გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში სასამართლო განაგრძობს საქმის განხილვას, თუ საჭიროა დაცული იქნეს სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა ინტერესები.

როგორც ცნობილია, როდესაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება არ არის საჭირო, გამომძიებელს უფლება აქვს შეამოწმოს დაზარალებული (ისე როგორც მოწმე, ექვემდებარებული, ან ბრალდებული) მის ტანზე განსაკუთრებული ნიშნების ან დანაშაულის კვალის დასადგენად. დაზარალებული ზოგჯერ საჭიროებისამებრ მონაწილეობს საგამოძიებო ექსპერიმენტის, დათვალიერების ჩატარებისას; აუცილებლობის შემთხვევაში გამომძიებლის დადგენილებით დაზარალებულს (მოწმეს) შეიძლება ჩამოერთვას ნიმუშები შედარებითი გამოკვლევისათვის (თუ არის ვარაუდი მის მიერ ნივთზე ან შემთხვევის ადგილზე კვალის დატოვების შესახებ).

კანონის შესაბამისადვე, წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ დაზარალებულს (ისე, როგორც სამოქალაქო მოსარჩლეს, მოპასუხეს, მათ წარმომადგენლებს) უფლება აქვს გაეცნოს საქმის

¹ ი ქ ე ე, გვ. 256.

მასალებს (კანონით დადგენილ ფარგლებში), ასევე კინოგადაღებებს, ხმის ჩაწერის მასალებს და სხვა (რაც ფორმდება საგაშვებო ოქმით). მას უფლება აქვს აგრეთვე მასალებს გაეცნოს ბრალდებულის სამართალში მიცემის შემდეგ (თუ წინასწარი გამოძიება არ ჩატარებულა).

ლიტერატურაში სწორად არის შენიშნული დაზარალებულის სასამართლო კამათში მონაწილეობის აუცილებლობის შესახებაც. დაზარალებული არის ბრალმდებელი, მაგრამ, ცხადია, სადღესიოდ მტკიცების ვალდებულება მას აწევს უმეტესად მორალური თვალსაზრისით.

7. სამოქალაქო მამიახალი და სამოქალაქო მოაკახუხა, როგორც მამიახალის ხუნიამამი

სისხლის სამართლის პროცესში სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტი დაზარალებულისადმი დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის სასამართლო წესით ანაზღაურების მოთხოვნაში მდგომარეობს (დამნაშავისაგან ან მის მაგიერად მატერიალური პასუხისმგებელი პირისაგან — არასრულწლოვანის მშობლებისაგან). მაგრამ ისიც ცნობილია, რომ დაზარალებულს (სამოქალაქო მოსარჩელეს) სარჩელი შეუძლია წარადგინოს სამოქალაქო წესითაც (მათ შორის დანაშაულით დაზარალებულ იურიდიულ პირსაც), ოღონდ ამ შემთხვევაში სარჩელი შეიძლება აღძრას დაზარალებულის (წარმომადგენლის) გარდა სხვა პირმაც. სხვა პირების (გარდა ბრალდებულისა და მისი წარმომადგენლისა) მიმართ სარჩელი შეიძლება აღიძრას მხოლოდ სამოქალაქო წესით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულისადმი დანაშაულით მიყენებული ქონებრივი ზიანის ხასიათი და ოდენობა უმჯობესია შესწავლილ იქნას სწორედ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლოში გადაწყვეტისას. თუ არ იქნება დადგენილი მატერიალური ზიანი, როგორც დანაშაულის შედეგი, როდესაც მას ჰქონდა ადგილი, ცხადია, ქეშმარიტებაზეც ძნელია ლაპარაკი (რომ არაფერი ვთქვათ გატაცებული ქონების რაოდენობის დაზუსტების აუცილებლობაზე დანაშაულის კვალიფიკაციისათვის და სხვა). დანაშაულით მიყენებული ზიანის დადგენა სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელიცაა; ზიანის ოდენობა შედის მტკიცების საგანში. ყოველივე ამის გამო, შემთხვევით არ არის ავტორთა ერთსულოვნება სისხლის სამართლის პროცესში სამოქალაქო სარჩელის განხილვის მნიშვნელობაზე. სამოქალაქო მოსარჩელეს კანონი ანიჭებს უფლებას მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულის ბრალეულობის გამოკვლევაშიც, რაკი სარჩელი გამომდინარეობს სწორედ

დამნაშავეის ბრალისაგან, მაგრამ, როგორც ცნობილია, მას არ შეუძლია გამოძიებისას იზრუნოს ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი ცნობების დადგენისათვის, შეეხოს დანაშაულის კვალიფიკაციას და სასჯელის საკითხებს სასამართლო კამათის დროს. ლიტერატურაში სწორად არის შენიშნული, რომ სამოქალაქო მოსარჩლის აღნიშნული შეზღუდვები პრაქტიკულად არ ვრცელდება მოქალაქეზე — სამოქალაქო მოსარჩლეზე, რომელიც ამავე დროს საქმეში მონაწილეობს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტის გამოკვლევაში, როგორც დაზარალებული.¹ კანონის თანახმად, სამოქალაქო მოპასუხედ შეიძლება ჩაითვალოს პირი, რომელიც ქონებრივად პასუხისმგებელია ბრალდებულის დანაშაულბრივი ქმედობისთვის და მის მიმართ წარდგენილია სარჩელი (სხვა ყველა შემთხვევაში ზარალი დაეკისრება ხოლმე უშუალოდ ბრალდებულს, სარჩელის წარდგენისას). სამოქალაქო მოპასუხეც, როგორც მიღებულია, უფლებამოსილია წარადგინოს მტკიცებულებანი ბრალის გასაბათილებლად ან შესამსუბუქებლად, აღძრას შუამდგომლობა სარჩელის საფუძვლიანობასა და რაოდენობასთან დაკავშირებით, გაეცნოს საქმის მასალებს, გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება და დადგენილება. მოპასუხეს, ისე როგორც მძიებელს (დაზარალებულს), შეიძლება ჰყავდეს წარმომადგენელი (მშობელი, მეურვე, მზრუნველი — როგორც შემცველი პირები). მოპასუხე შეიძლება დაიკითხოს ამავე დროს როგორც მოწმე. მოპასუხის (დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩლის) წარმომადგენელი მოქმედებს მინდობილობით შეთანხმების თანახმად; მას არ შეუძლია თავისი მარწმუნებლის საზიანოდ რაიმე მოიმოქმედოს. კანონის თანახმად, მტკიცების სუბიექტებად მიჩნეულია როგორც დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩლე და მოპასუხე, ისე მათი წარმომადგენელი. ცხადია, როგორც სამოქალაქო მოსარჩლეს, ისე მოპასუხეს მტკიცების მოვალეობა აკისრიათ მხოლოდ მორალური თვალსაზრისით. კანონის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლოს მიერ განაჩენით სარჩელის უარყოფა დაზარალებულს ალარ აბლევს უფლებას ხელახლა ეძიოს ზარალის ანაზღაურება სამოქალაქო წესით; ასევე, სამოქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელზე უარის თქმა (სისხლის სამართლის საქმის განხილვამდე) დაზარალებულს უფლებას ართმევს ხელახლა შეიტანოს სარჩელი. მაგრამ ზოგჯერ დაზარალებულის მიერ არ ხდება ხოლმე სარჩელის აღძვრა ან სასამართლო არ წყვეტს სარჩელის საკითხს — ზარალის რაოდენობის დაუზუსტე-

¹ დას. თეორია, 1973. გვ. 561.

ბლობის, დანაშაულის შემადგენლობის დაუმტკიცებლობის გამო, სამართალში მიცემულის გამართლების ან სხვა მიზეზით; ასეთ შემთხვევებში, ცნობილია, დაზარალებულს უფლება ენიჭება აღძრას სარჩელი სამოქალაქო წესით.

**8. საზოგადოებრივი ბრალშეჯახლი და საზოგადოებრივი
დაამძვარი, როგორც მტკიცებულების სუბიექტი**

კანონის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა და საზოგადოებრივმა დამცველმა. სასამართლო პროცესში საზოგადოებრიობის წარმომადგენლობის ეს წესი ხელს უწყობს კეშმარტების დადგენას, საზოგადოების თვალსაზრისით დანაშაულის განსჯას. ცხადია, საზოგადოებრივი ბრალმდებელი განსხვავდება სახელმწიფო ბრალმდებლისაგან პროცესუალური მდგომარეობით ისევე, როგორც საზოგადოებრივი დამცველი — ადვოკატისაგან (ბრალდებულის ანლო ნათესავებისა თუ წარმომადგენლისაგან), მაგრამ მათი პროცესში მონაწილეობის ძირითადი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება სრულყოფილი გახდეს როგორც ბრალდების, ისე დაცვის ფუნქციების უზრუნველყოფა, რომ დაცული იქნას სახელმწიფო და პიროვნების ინტერესებთან ერთად საზოგადოებრივი ინტერესებიც. სისხლის სამართლის პროცესში, რასაკვირველია, არ შეიძლება და გამართლება ჰქონოდა საზოგადოებრიობის წარმომადგენლობას საერთოდ — ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების წინასწარ გათვალისწინების გარეშე, რაკი ასეთ პროცესში ამა თუ იმ მხარის მონაწილეობას საზრისი აქვს მხოლოდ იმ გაგებით, თუ ვის ინტერესებს ემსახურება. როგორც ცნობილია, სახელმწიფო ბრალმდებელი სახელმწიფოს სახელით და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იცავს სახელმწიფოს ინტერესებს; საზოგადოებრივი ბრალმდებელი კი — საზოგადოების დავალებით საზოგადოების ნებას წარმოაჩენს ბრალდების ფორმით. საზოგადოებრივი დამცველი არ ითვლება ბრალდებულის წარმომადგენლად, რაკი მას შეუძლია საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში უარი თქვას დაცვაზე, იგი, წესით, ვერ შეცვლის ამიტომ ბრალდებულის წარმომადგენელს — ადვოკატს, როდესაც საკითხი დაისმის დამცველის მიწვევაზე ან დანიშვნაზე. მაშასადამე, საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დამცველი არ არიან შეზღუდულნი საზოგადოებრივი შეხედულებებით და სისხლის სამართლის პროცესში მათ პოზიციებს, კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს მათივე რწმენა, შემუშავებული საქმის მასალე-

ბით, რომელთა გამოკვლევაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ. ვფიქრობთ, საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დამცველი, თუ სასამართლო სხდომაზე შეეცლიან თავიანთ პოზიციებს, მორალურად ვალდებულნი არიან თავდაპირველად ჩამოაყალიბონ ის მოტივებიც, რის გამო მათ დააკისრა ამა თუ იმ ორგანიზაციამ, დაწესებულებამ თუ საწარმომ ბრალდების ან დაცვის ფუნქცია (წესის მიხედვით, ერთმა იურიდიულმა პირმა ერთდროულად არ შეიძლება წარგზავნოს სასამართლოში როგორც ბრალმდებელი, ისე დამცველი). საზოგადოებრივ ბრალმდებელს, როგორც მტკიცების სუბიექტს, მორალურად აწევს ვალდებულება ამტკიცოს ბრალდებულის ბრალეულობა, ისევე, როგორც დამცველს — მისი უდანაშაულობა ან ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი.

8. სასამართლოს პროცესუალური სამართალი

სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების ორგანო, საქმის გადაწყვეტის პროცესუალურ ფუნქციას ასრულებს ყველა ორგანოსაგან დამოუკიდებლად, ოფიციალურად, საქვეყნოდ, კოლეგიალურად, პროცესის ზეპირობის, უწყვეტობის, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის, სასამართლო შემადგენლობის უცვლელობის, ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფის, შეკიბრებითობის და ეროვნული ენის და სხვა პრინციპების საფუძველზე. სასამართლოს გარდა, არც ერთ ორგანოს არ შეუძლია ბრალდებული მიიჩნიოს დამნაშავედ და შეუფარდოს სისხლის სამართლის სასჯელი. კანონის თანახმად, ბრალდებულის სამართალში მიცემის დანიშნულებათა გაირკვეს — არის თუ არა საფუძველი საქმის სასამართლო განხილვისათვის... საქმის სასამართლო განხილვის ე. წ. მოსამზადებელ პერიოდში, კანონის მიხედვით, მოწმდება როგორც გამოწვეულ პირთა გამოცხადება, ისე ხდება პროცესში მონაწილეთა შეამდგომლობების განხილვა (აცლებათზე, გამოძიების დაწყების წესებზე და სხვ.); გამოძიება კი ძირითადად შემოიფარგლება ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმეთა დაკითხვებით, ექსპერტის დასკვნის მოსმენით, ნივთსაბუთთა დათვალიერებით, დოკუმენტების გამოკვეყნებით... რის შემდეგაც, თუ არ იქნება განსახილველი ახალი მტკიცებულებანი, დაიწყება სასამართლო კამათი.

სასამართლო გამოძიებას ხელშეწყობს სასამართლოს თავმჯდომარე, იგი, კანონის შესაბამისად, განუმარტავს პროცესში მონაწილეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, ყურადღებას აქცევს, თუ რამდენად დასაშვებია ესა თუ ის მტკიცებულება, ხომ არა

აქვს ადგილი იმ გარემოებათა შესახებ ინფორმაციების მოწოდებას, რომლებიც არ შეეხებიან საქმეს, რამდენად ზუსტად ფიქსირდება მტკიცებულებანი ოქმში და სხვა. წესით, სასამართლო კამათში მონაწილენი (პროკურორი, საზოგადოებრივი ბრალმდებელი, დაზარალებული — ბრალმდებელი, სამოქალაქო მოსარჩლე, მოპასუხე, მათი წარმომადგენელი, დამცველი, საზოგადოებრივი დამცველი, ან თვით ბრალმდებელი, როცა დამცველი არ მონაწილეობს) აჭამებენ მტკიცებულებათა შეფასების შედეგებს; იშვიათად, მაგრამ მაინც ზოგჯერ სასამართლო კამათის შემდეგ განახლდება ხოლმე სასამართლო-სამსჯავრო გამოძიება (თუ გამოვლინდება ისეთი გარემოება, რომელიც არ შემოწმებულა სასამართლოს მიერ). ბრალმდებულის საბოლოო სიტყვას ის საზრისი აქვს, რომ მას საშუალება ეძლევა ერთხელ კიდევ გადასინჯოს თავისი მდგომარეობა, გამოავლინოს შთაბეჭდილებანი, სურვილები, თხოვნა. უმეტესად სწორედ საბოლოო სიტყვაში მქლავნდება ხოლმე სამართალში მიცემულის დამოკიდებულება დანაშაულისა და სასჯელისადმი, მას შეუძლია სინანული გამოხატოს წადენილი ქმედობის გამო, რაც უნდა ფაქიზად შეაფასოს სასამართლომ, რომ ადგილი არ ჰქონდეს სიცრუეს. სასჯელის შემსუბუქების მიზნით თვალთმაქცობას და სხვა; და თუ სამართალში მიცემული წამოჭრის ისეთ საკითხებსაც, რომლებიც მოითხოვენ ხელახალ შემოწმებას, ცნობილია, სასამართლო-სამსჯავრო გამოძიება უნდა განახლდეს; სხვანაირად, სამართალში მიცემულის მიერ დასახელებულ ინფორმაციებს გამოძიებით შემოწმების გარეშე ვერ მიენიჭებათ მტკიცებულებითი მნიშვნელობა განაჩენის დადგენისას. თანახმად კანონისა, სამართალში მიცემულის საბოლოო სიტყვის შემდეგ მოსამართლენი განაჩენის გამოსატანად ვადიან სათათბირო ოთახში, რომლის საიდუმლოება დაცულია კანონით. განაჩენში ყველა საკითხი წყდება ხმის უმრავლესობით, თანაც თუ თავმჯდომარეს (ან სახალხო მსაჯულს) განსაკუთრებული აზრი შეუძლავდება, ვალდებულია ეს აზრი წერილობით ჩამოაყალიბოს (რაც არ გამოქვეყნდება, მაგრამ კანონითვე მნიშვნელობა აქვს მეორე ინსტანციის სასამართლოსთვის, ოღონდ თუ არ გასაჩივრდება განაჩენი და ისე დაკანონდება. — საქმე უნდა გადაიგზავნოს ზემდგომ სასამართლოში განაჩენის გაპროტესტების საკითხის გადასაჭრელად). ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად წესი, რომლის მიხედვით განსაკუთრებული აზრის მქონე მოსამართლეც ვალდებულია ხელი მოაწეროს განაჩენს. ჯერ ერთი, განაჩენი განურჩევლად იმისა — გამამართლებელია თუ გამამტყუნებელი, დგინდება ხმის უმრავლესობით და ეს უნდა ჩანდეს ხელმოწერებითაც; ამას გარდა, დიდი უხერხულობაა კაცი აიძულო ხელმოწერით დაადასტუროს ის,

რასაც არ ეთანხმება. ეს გაუმართლებელია ფსიქოლოგიურადაც და მორალურადაც.

პროცესუალურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ არის გაშუქებული განაჩენის კანონიერების, დასაბუთებულობისა და პორტუგალიის საკითხები. შენიშნულია რომ კანონიერება განაჩენის სამართლებრივ მხარეს ეხება, ხოლო დასაბუთებულობა — ფაქტობრივს, მაგრამ ისინი უეჭველად დიალექტიკურ მთლიანობაშია, რაკი უკანონო განაჩენი, როგორც ცნობილია, დაუსაბუთებელია და დაუსაბუთებელი კი — უკანონო. განაჩენის კანონიერება გამომდინარეობს წინასწარი გამოძიების და საქმის სასამართლოში განხილვის დროს პროცესუალური და მატერიალური სამართლის ნორმების მოთხოვნების დაცვიდან, ხოლო დასაბუთებულობა — მის დამტკიცებულობიდან. განაჩენს არ თვლიან მოტივირებულად, თუ არ იქნება ახსნილი, რატომ არის ესა თუ ის მტკიცებულება მისაღები ან მიუღებელი, დასაშვები ან დაუშვებელი, საკმაოისი ან არასაკმაოისი და ა. შ. ცხადია, თუ ჰეშმარიტება არ არის დადგენილი და მისი დადგენა შეუძლებელია, სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანოს.

მაგრამ აწევს თუ არა მტკიცების ტვირთი სასამართლოს? თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლო ემყარება შეჭიბრებითობის პრინციპს, ბრალმდებლის ფუნქციას ასრულებს ბრალმდებელი, ხოლო დაცვისას — ბრალმდებელი, მისი დამცველი, ცხადია, ამ თვალსაზრისით, არ აწევს მას მტკიცების მოვალეობა. ცნობილია, სასამართლოს შეუძლია აღძრას სისხლის სამართლის გამოძიება მოწმის ან ექსპერტის მიმართ ცრუ ჩვენების ან ცრუ დასკვნის მიცემის შემთხვევაში მხოლოდ განაჩენის დადგენის პროცესში, რაკი სასამართლო საქმის ბედს საბოლოოდ მხოლოდ განაჩენით წყვეტს. ეს გარემოებაც კარგად მიგვანიშნებს იმაზე, რომ იქამდე, სანამ სასამართლო არ გამოიტანს განაჩენს, მას არ შეუძლია დაიკავოს არც ბრალმდებლისა და არც დაცვის პოზიცია, თუმცა იგი თავის ინიციატივითაც კრეფს, ამოწმებს და აფასებს მტკიცებულებებს, რომ დადგენილ იქნას ჰეშმარიტება. მას არ ევალება არც დაცვა და არც ბრალმდებლის ფუნქცია, იგი მხოლოდ და მხოლოდ ასამართლებს¹ და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საშუალება მიეცეს გამოიტანოს გამამტყუნებელი, ან გამამართლებელი განაჩენი. იქამდე კი, თუ იგი გამოამტყუნებს სამართალში მიცემულის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ბრალმდებელთან დაკავშირებით, იგი ამით დაარღვევს კანონს. მხო-

¹ მ. ს. სტროგოვიჩის დასახ. კურსი, გვ. 207.

ლოდ ის მოსამართლე შეიძლება ჩაითვალოს თანმიმდევრულად და ჯეროვნად მოსამართლის ფუნქციის შემსრულებლად, რომელიც განაჩენის გამოტანამდე არც შეიტყობს დამნაშავედ მიაჩნია სამართალში მიცემული თუ არა. მას კანონითაც და მორალურადაც ეკრძალება წინასწარ ჩათვალოს საქმის ესა თუ ის გარემოება დამტკიცებულად. საბრალოდ დასკვნაში ჩამოყალიბებული ბრალდება, წესით — ეს არის სასამართლოსათვის ბრალდების მხარის აზრი, რომელიც უნდა შეამოწმოს, ისევე როგორც სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის თუ პროცესში მონაწილე სხვა პირების პოზიციები, გასამართლების (საქმის გადაწყვეტის) და ბრალდება-დაცვის ფუნქციების ერთმანეთში აღრევა არც კანონმდებლობის სულისკვეთებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს და არც სასიკეთოდ ჩაითვლება. სასამართლოს თუ მივაწერთ დაცვის ან ბრალდების ფუნქციებს, მაშინ უნდა უარვყოთ ის ძირითადი თვისება (განაჩენის გამოტანამდე დანაშაულზე აზრის გამოუთქმელობა), რითაც ხასიათდება მართლმსაჯულება. პროკურორიცა და დამცველიც ვალდებული არიან თავიანთი პოზიციებით ამტიკონ წაყენებული თეზისები, მაგრამ მოსამართლენი, როგორც ცნობილია, არაფერს არ ამტკიცებენ განაჩენის გამოტანამდე, ისინი მხოლოდ ამოწმებენ საქმეში არსებულსა და ახლად მოპოვებულ მასალებს იმ თვალსაზრისით, რომ მათზე საბოლოო დასკვნები განაჩენში გააკეთონ.

საკასაციო, საზედამხედველო და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების წესით წარმოების დროსაც არ შეიძლება სასამართლოს ეკისრებოდეს მტკიცების ტვირთი. რადგან ამ შემთხვევაშიც სასამართლო ვერ დაიკავებს ვერც ბრალმდებლისა და ვერც დაცვის პოზიციას. იგი საქმის განხილვის შედეგად აკეთებს დასკვნას განაჩენის (გადაწყვეტილების) კანონიერებასა და დასაბუთებულობის თაობაზე:

დაჯამებითი საბუთების ცალკეული სახეები

1. მოწმის ჩვენება

მოწმის ჩვენება მტკიცებულებათა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა (რომელსაც დამამტკიცებელი საბუთების წყაროსაც უწოდებენ). მოწმის ჩვენებით შესაძლებელია მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენა. მოწმის ჩვენება, რომელიც შეიცავს საქმისათვის მნიშვნელოვან ცნობებს (ინფორმაციებს), ერთსა და იმავე დროს შეიძლება ამტკიცებდეს პირის ბრალეულობა-

საც და ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებასაც... ამიტომ მნიშვნელობა აქვს არა ზოგადად „მოწმის ჩვენებას“, არამედ იმას, თუ კონკრეტულად რა ინფორმაციებს შეიცავს იგი. როდესაც მოწმის ჩვენება საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს არ ეხება, მისი გამოყენება მტკიცებულების სახედ გამორიცხულია. აქედან გამომდინარე, ლიტერატურაში სრულიად სამართლიანად იქნა მიჩნეული ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებულად მ. ლ. იაკუბის მტკიცება, თითქოს დაკითხვის საგანი უფრო ფართო იყოს, ვიდრე ჩვენების საგანი.¹ ის, რომ მოწმეს შეუძლია დაკითხვის დროს ისეთ გარემოებებზეც მიუთითოს, რომლებსაც არა აქვთ მნიშვნელობა, ცხადია, ისინი არც დაკითხვის საგანს შეადგენენ. მოწმის დაკითხვისა და მისი ჩვენების საგანს შეადგენს მტკიცების საგანში შემავალი გარემოებანი სიტყვის ფართო გაგებით, რაკი ამა თუ იმ გარემოების დადგენა მთითხვის აგრეთვე მასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების შესწავლასაც, რომ გაადვილდეს კონკრეტული ვითარების შეფასება. მოწმის ჩვენებას უწოდებენ კანონით განსაზღვრული წესებით დასაკითხი პირის მიერ მომკვლევთან, გამომძიებელთან ან სასამართლოში საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე ნათქვამს; ხოლო მოწმე — ეს დასაკითხი პირია, რომელსაც შეუძლია საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე ჩვენების მიცემა. მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნას ყველა, ვისაც კი ქეშმარიტების დადგენისათვის სსსარგებლო ცნობების მოწოდება შეუძლია. კანონით არ არის დაწესებული რაიმე შეზღუდვები დასაკითხ პირთა წრის განსაზღვრისას (ასაკთან, თანამდებობასთან დაკავშირებით თუ სხვა). მოწმედ შეიძლება დაიკითხონ მცირეწლოვანი ბავშვებიც, თუ მათ შეუძლიათ აღიქვან და გადმოგვიცენ საინტერესო ცნობები, ღრმა მოხუცებულებიც, დიდი თანამდებობის პირებიც, და სხვანიც, რაკი ყველა მოვალეა ხელი შეუწყოს გამოძიებისა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფას. კანონში მითითებულია მხოლოდ გამონაკლისზე — თუ ვინ არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ. კერძოდ, მოწმედ არ შეიძლება დაიკითხოს დამცველი იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას მოვლენები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის. ეს წესი შემოღებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობითაც. რაკი მოწმე შეუცვლელია, ცხადია, თუ ადვოკატმა

¹ М. Л. Якуб, Процессуальные проблемы оценки показаний свидетеля, потерпевшего и обвиняемого (докторская диссертация). 1970, с. 519.

იციის რაიმე საქმესთან დაკავშირებით (იგი იყო დანაშაულის შემსწრე და სხვა), ის უნდა დაიკითხოს მოწმედ. ამ შემთხვევაში კანონით მას არ შეუძლია ამავე დროს შეასრულოს სადამცველო ფუნქცია. კანონი კრძალავს მოწმედ დაიკითხოს დამცველი იმ გარემოებებზე, რომლებიც მან შეიტყო დამცველის მოვალეობის შესრულებისას, სწორედ იმიტომ, რომ დამცველი ბრალდებულის წარმომადგენელია. ამ თვალსაზრისით, ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა საქმეში, ჩვენი აზრითაც, უნდა გამორიცხავდეს მის მოწმედ დაიკითხვის შესაძლებლობას; დამცველი რომ მოწმედ იკითხებოდეს იმ გარემოებებზე, რაც მისთვის ცნობილი გახდა სადამცველო მოვალეობის შესრულებისას, მაშინ საერთოდ გაუფასურდებოდა დაცივის ინსტიტუტი და ბრალდებულის დაცივის უფლებების გარანტიებზეც გაძნელებოდა ლაპარაკი. ლოგიკურად, ცხადია, დამცველი არც მაშინ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ იმ ფაქტებზეც, რომლებიც მან იციის სხვა საქმეში დამცველად მონაწილეობის გამო, თუნდაც ამ ფაქტებს მეორე საქმის გამოძიებისა და გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. სამართლიანად არის დაგმობილი დ. ს. კარგვის რედაქციით გამოცემული 1956 წლის სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელოს პოზიცია, რომლის მიხედვითაც დამცველი ვალდებულია აცნობოს საგამოძიებო ორგანოებს თუნდაც ბრალდებულთან საუბრის დროს გაგებული ცნობები ყველა იმ დანაშაულთა შესახებ, რომელთა განუცხადებლობა ისჯება კანონით. მ. ს. სტროგოვიჩის მართებული შენიშვნით, სადამცველო ფუნქციის შესრულების საკითხს არავითარი კავშირი არა აქვს განუცხადებლობაზე პასუხისმგებასთან.¹ დამცველი მოვალეა დაიცვას ე. წ. პროფესიული, „საადვოკატო საიდუმლოება“, რომ არ შელახოს ადვოკატურის ავტორიტეტი. რა თქმა უნდა, დამცველმა საქიროა დაფაროს არა მარტო ის გარემოებანი, რომლებიც მან შეიტყო ბრალდებულთან საუბრის დროს, არამედ სხვა გზითაც — ბრალდებულის ახლობლებისაგან, ნათესავებისაგან და სხვა. სხვანაირად საკითხის გადაწყვეტა ხელყოფდა ბრალდებულის დაცივის უფლებას. აქედან გამომდინარე, გვეჩვენება, რომ კანონმდებლობით არ უნდა იყოს გათვალისწინებული ბრალდებულის ცოლის, ქმრის, სხვა ახლო ნათესავების ვალდებულება მოწმის სახით ჩვენების მიცემაზე. მართალია, ლიტერატურაში ამ მხრივ დათქმულია რაღაც საშუალოდ პირობები, რომ მათ მიერ ჩვენებაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვე-

¹ მ. ს. სტროგოვიჩი, დსახ. კურსი, 1968, ტ. I. გვ. 400.

ტის დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე და ყურადღება, მაგრამ ეს მაინც არ არის გამოსავალი. თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ დამცველს უფლება არა აქვს ბრალდებულის, საზიანოდ გაახმაუროს ცნობები, რომლებიც შეიტყო ბრალდებულის ნათესაეების და ახლობლებისაგან, მაშინ ერთობ ულოგიკოა, რატომ უნდა დავევალოთ მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მუქარით თქვან ის, რაც ზიანს მოუტანს ბრალდებულს, რომ არაფერი ვთქვათ, ფსიქოლოგიურ და მორალურ ფაქტორებზე, რომლებიც ბუნებრივად იწვევენ არასასურველ კონფლიქტებს ასეთ ურთიერთობაში. ჩვენ არც ის მიგვარჩნია სწორად, კანონმდებლობით რომ არ არის უფლებამოსილი მოწმე უარი თქვას ჩვენებაზე, თუ ამ ჩვენებით საკუთარ თავს. გაამხელს დანაშაულში. როგორც ცნობილია, ბევრ სოციალისტურ ქვეყანაშიც სპეციალურად არის კანონში ფიქსირებული მოწმის ეს უფლება, რაც ჰუმანურობის მაუწყებელიცაა. როდესაც არსებობს საკმარისი კანონიერი საფუძველი პიროვნების ექვიმიტანილად ან ბრალდებულად დაკითხვისათვის; ცნობილია, ისინი უნდა დაკითხონ ამ სახით, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელია მოწმედ დაკითხოს პირი საკუთარ ბრალდებებზე (როგორც ამას ფიქრობს მ. ლ. იაკუბი დო სხვა) და ფაქტიურად იგი ჩაყენებულ იქნას ბრალდებულის ან ექვიმიტანილის მდგომარეობაში, პასუხისმგებლობის შიშით გაუჩინოთ ბრალის აღიარების ვალდებულება.

როგორც ცნობილია, მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნან ის პირები, რომლებმაც წარმოადგინეს საგამოძიებო-სასამართლო ორგანოებში მასალები (რევიზიის ჩამტარებლები, საფინანსო დარგის ინსპექტორები თუ სხვა სათანადო თანამდებობის პირები); საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში ხშირად დაკითხებიან მოწმეებად როგორც სპეციალისტები, ისე თანამოწმეები. სპეციალისტი, რაკი სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობს ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების შესრულებისას გამოძიებლის ან სასამართლოსათვის დახმარების აღმოსაჩენად სპეციალური ცოდნის გამოყენების სახით, სწორედ ამიტომ მის ჩვენებას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა, თუ რა გააკეთა, ვთქვათ, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ მოწმედ იქნება დაკითხული ოპერატიული დარგის მუშაკი, ვთქვათ, ექვიმიტანილის დაკავებასთან დაკავშირებით და სხვა, მაშინ იგი, როგორც სწორად არის შენიშნული, მონაწილეობას ვეღარ მიიღებს მოცემული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში. ასევე, თუ მოწმედ იქნება დაკითხულნი გამოძიებლები, მოსამართლენი, ექსპერტები, მთარგმნელები, მდივანი, იმის დასადგენად — როგორ ჩატარდა სადაო, კონკრეტული საგა-

მოძიებო მოქმედება და სხვა, ცნობილია, ისინი ველარ შესარულებენ თავიანთ მოვალეობებს ამ საქმეში. კანონის შესაბამისად, მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს აგრეთვე ყველა ის პირი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქმის წინასწარი გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში, როდესაც წარმოება განახლდება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო; სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების წინააღმდეგ და თანამდებობრივ დანაშაულის შემთხვევაში კანონით დაშვებულია დაკითხონ მოწმეებად ამ საქმეთა გამოძიებასა და გადაწყვეტაში მონაწილე პირები; არ არის გამორიცხული ბრალდებულიც დაკითხოს მოწმედ სხვა საქმეზე¹. ვფიქრობთ, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და ქეშმარიტების დასადგენად (მოკვლევასა და გამოძიებისას) დაკითხვებიც უნდა ტარდებოდეს თანამოწმეთა დასწრებით. კანონის მიხედვით, ცრუ ჩვენებისათვის მოწმე შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენისას გამოტანილ განჩინებით, ამ საქმის გამოკვლევა და განხილვა სასამართლოს მიერ დასაშვებია ძირითად საქმეზე განაჩენის დაკანონების ან წარმოების შეწყვეტის შემდეგ. თუ მოწმის ჩვენება შეეხება სახელმწიფო საიდუმლოებას, კანონი მოითხოვს მისი დაკითხვა მოხდეს სასამართლოს დახურულ სხდომაზე (გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს ევალებათ დაიცვან სახელმწიფო საიდუმლოება); რაც შეეხება სამსახურებრივ საიდუმლოებას, მისი დაცვის მოტივით მოწმეს უფლება არა აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე.

მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის (ჩვენების მიცემაზე უარის თქმა) პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონმდებლობა ერთობ გადაქარბებულ სიფრთხილეს იჩენს ამ მიმართულებით წინასწარი გამაფრთხილებელი ზომების შემოღების სახით. მოწმეს, გარდა იმისა, რომ აგებინებენ კანონის შინაარსს, რომელიც ითვალისწინებს მოწმის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხელწერილსაც ართმევენ საამისოდ. ჯერ ერთი, რაკი სისხლის სამართლის კოდექსი დასასჯელად მიიჩნევს მოწმის მიერ ცრუ ჩვენებასა და ჩვენებაზე უარის თქმას, მაშასადამე, იგი (ისე როგორც სხვა ნორმები) სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის განურჩევლად იმისა — გაფრთხილდება თუ არა მოწმე წინასწარ პასუხისმგებლობის შესახებ. სისხლის სამართლის ნორმის უზრუნველყოფისათვის რატომღა აუცილებელი, რომ პროცესულურად ცალკეც გაფორმდეს „მოწმის გაფრთხილება“? — ამას არა აქვს

¹ იხ: აგრეთვე, დასახ. თ ე რ ი ა, გვ. 571—572.

თეორიული ახსნა. ნუთუ არ იქნებოდა საკმარისი დაეჯერებოდით საერთოდ მოწმისათვის მისი უფლებებისა და მოვალეობის განმარტებით, რაც გაფორმდებოდა სათანადოდ ოქმში და არ გამოგვეყო მათგან საგანგებოდ მოწმის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. ცნობილია, რომ სისხლის სამართლის წესით ისჯება — უკანონო განაჩენის გამოტანაც, ადვოკატის მიერ უკანონოდ დაცვის საშუალებების (მტკიცებულებათა გაყალბება...) გამოყენება და სხვა, მაგრამ განა ამისათვის საჭიროა, რომ წინასწარ ხელწერილით გავაფრთხილოთ მოსამართლეები, ან ადვოკატები (პროცესში მონაწილე სხვა პირები)? ვფიქრობთ, ფსიქოლოგიურადაც და მორალურადაც არ უნდა იყოს მართებული პიროვნებას ხელწერილი ჩამოვართვათ იმის თაობაზე, რომ არ იცრუოს. ეს მოქმედება კეთილსინდისიერ მოქალაქეებში იწვევს კანონიერ გულისწყრომას. მათ უჩნდებათ უკმაყოფილობის გრძნობები, გამოწვეული უნდობლობით. ამ შემთხვევაში დასაკითხი პირის სინდისი და ღირსება შელახულია უსაფუძვლო ეჭვებით. პიროვნებამ პასუხი უნდა აგოს კანონის თანახმად საკუთარი დანაშაულებრივი ქმედობისათვის, მათ შორის სიცრუისათვის, მაგრამ ამ პასუხისმგებლობაზე უფრო მძიმეა სიმართლის მოყვარული კაცისათვის თვით გაფრთხილების ფაქტი, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, გამფრთხილებლის უტაქტობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს (ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხომ სერიოზულად ვერ ეტყვი კაცს, არ იცრუო — თუ არ იცნობ ვისთანა გაქვს საქმე; სასამართლო-საგამომძიებო ორგანოების მუშაკები კი, მით უმეტეს, ხშირად არც იცნობენ დასაკითხ პირს). როგორც ცნობილია, მოწმეს აქვს მთელი რიგი პროცესუალური უფლებებიც (ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე; ისარგებლოს ჩანაწერებით, მოითხოვოს ჩვენების ზუსტად ფიქსირება ან საკუთარი ხელით ჩაწერა და სხვა).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოწმის ჩვენების შეფასებას. აქ ყურადღებას იპყრობს არა მარტო მოწმის შეგნებული დამოკიდებულება მტკიცების საგანთან, ანუ ჩვენებით დასადგენ გარემოებებთან (რაც იწვევს ცრუ ჩვენებასაც), არამედ, ის ობიექტური საღუძველიც, რომელსაც ემყარება ხოლმე მოწმის არასწორი ჩვენება შეცდომის წყალობით. მოწმის მიერ ჩვენების მიცემა რთულ ფსიქოლოგიურ პროცესებთან არის დაკავშირებული. ზოგჯერ დამკითხველთან მის ურთიერთობას წინასწარ მიღებული გადაწყვეტილება განაპირობებს. იგი უპირისპირდება მას გარკვეული მიმართულებით მოქმედების წყალობით; არ სურს მისცეს სწორი ჩვენება სხვადასხვა მოსაზრებით... მიუხედავად დამკითხველის ცდისა, დასაკითხი პირი არ ცვლის ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას; იგი ამ შემთხვევაში

მიმართავს სხვადასხვა ხრიკებსაც, თვალთმაქცობს, ისეთად წარმოადგენს საკუთარ პერსონაჟს, თითქოს არ არის ჩვეული იცრუოს, ვერ უღალატებს სინდისს, „ნანობს“ რომ გამოძიებელს სასურველს ვერაუხერს ეუბნება და ა. შ. ყოველივე ამის სინათლეზე გამოტანა ძალიან მხელია. ხშირად ჯერ კიდევ არ არის საქმის ასავალ-დასავალი სათლად გარკვეული, არ ვიცით სად არის ქეშმარიტება და სად სიცრუე: გამოძიება ამომწურავად ჩატარებულადაც რომ მიაჩნდეს გამოძიებელს, მაინც დაეჰქედება დასაკითხი პირის მიერ მოულოდნელი ჩვენების მიცემისას, რაკი საგამოძიებო პრაქტიკა იცნობს ისეთ მაგალითებსაც, როდესაც საქმის მთელ გარემოებებს დაუპირისპირდება ხოლმე რომელიმე მოწმის ჩვენება და მისი შემოწმებით ძირფესვიანად იცვლება გეგმიურად გაანალიზებული პოზიციები და ვერსიები. ძალიან ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიცაა ერთბაშად გავიგოთ მოწმე ცრუობს თუ მართალს ლაპარაკობს. ამის გასარკვევად ჰუელი რიგი პირობებია გასათვალისწინებელი; სამწუხაროდ, სრულიადაც არ არის საკმარისი პიროვნების ავტორიტეტი, მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამსახურება, თანამდებობრივი მდგომარეობა, განათლება, იმისათვის, რომ დავასკვნათ, მართალს ლაპარაკობს თუ არა იგი დაკითხვის დროს. მოწმის მიერ ჩვენების მიცემა ფიზიკური ქცევაა. მისი ფსიქოლოგიური ქცევა ყოველთვის შეპირობებულია კონკრეტული მოტივითა და მიზნით, როდესაც პიროვნება ცრუობს, მას ამობრავებს ან გამორჩენის, ან ბრალდებულის პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების, ან სხვა რამ ქვენაგრძნობისეული მოტივი. უმორტიოდ სიცრუე არ არსებობს. თვითონ სიცრუე კი ფსიქოლოგიური ქცევის ხერხია, სიცრუე ხომ რაიმე სახის ქცევით არის შესაძლებელი. იგი ფიზიკურ ქცევაში იჩენს თავს; ფსიქოლოგიური ქცევა კი უმორტიოდ არ არსებობს. სიცრუის დროს, ცხადია, მოწმე ვერ იმოქმედებს იმპულსურად, მას გარკვეული მიზანი აქვს დასახული ამ შემთხვევაში. მოწმის სიცრუის დადგენისათვის არ არის საკმარისი საქმეში არსებული სხვა დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც მოწმის ჩვენების საწინააღმდეგო გარემოებებზე მიუთითებენ. ძალიან მარტოა, მაგრამ ზოგჯერ მოწმის მხარეზეც აღმოჩნდება ხოლმე სიმართლე. როდესაც იგი თავისი ინფორმაციებით უპირისპირდება საქმის მთელ მასალას. აქ ისეთი ვითარებაა მხედველობაში, როდესაც გარემოებანი ურთიერთთან შეკავშირდებიან შემთხვევით, თითქოს მიზეზობრივი კავშირის უწყვეტ ჯაჭვსაც კი ქმნიან, და ყოველივე ეს ბოლოს, მოგვიანებით მქლავნდება. ამიტომ, რაკი არც ერთ დამამტკიცებელ საბუთს არ შეიძლება წინასწარ მიენიჭოს რაიმე უპირატესობა, ცხადია, მოწმის ჩვენების შეფასებისათვისაც ვერ გავიხდით

სარწმუნოდ მანამდე მიღებულ მტკიცებულებებს, რომლებიც საქმის არსზე გარკვეულად მიუთითებენ. საგულისხმოა, თვით მოწმის ჩვენებითაც მოწმდებიან სხვა მტკიცებულებანი, და აქედან გამოძღინარე, თუ რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა — ამ საკითხის გადაჭრა მართო შესაღარებელი მტკიცებულებების შინაარსიდან ამოსვლით ვერ მოხერხდება. მოწმის სიცრუის გამომჟღავნებისთვის ყველაზე უფრო საიმედო საშუალებაა ჩვენების მიცემის მოტივის (ფსიქოლოგიური ქცევის) შესწავლა.¹ მაგრამ სამწუხაროდ, ამ მიმართულებით სერიოზული კვლევა დღემდე არ წარმოებს. მოტივის დადგენისთვის რეკომენდებულია შემოწმდეს — რა ურთიერთობა აქვს მოწმეს დაზარალებულთან, ბრალდებულთან (პროცესში მონაწილე სხვა პირებთან); ოღონდ საამისოდ არ ივარგებს ზოგადი ცნობებით სარგებლობა; ანგარიში უნდა გაეწიოს ყოველგვარ წვრილმანს: თუ იგი ნათესაურ ან მეგობრულ ურთიერთობაშია საქმის ბედით დაინტერესებულ პირებთან, სახელდობრ რაში გამოიხატება ეს ურთიერთობა. ხომ არ ჰქონდა ადგილი ქონებრივი (ფულადი) სარგებლობის მიღებას, რაიმე საქმის გამო სიკეთის გადახდას, უსიამოვნებას და სხვა. დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმის პიროვნების შესწავლას (მიდრეკილებანი, ხასიათი...), არის თუ არა იგი გულმართალი, როგორ იცნობენ მას ამ თვალსაზრისით საზოგადოებაში (სამსახურში), ოჯახში; თუ იყო ადრე მოწმედ დაკითხული სხვა საქმეზე, როგორაა შეფასებული მისი ჩვენება... ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ე. წ. „კეთილშობილურ სიცრუის“ გამომჟღავნების შემთხვევებს; რა სახით, რამდენად ხშირად ავლენდა იგი ამას; ასეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება უფრო იმიტომ გვეკირდება, რომ „კეთილშობილური სიცრუეც“ (როგორც კანტიც შენიშნავდა) მაინც ერთგვარად ამახინჯებს პიროვნებას, მისთვის გაადვილებულია სიცრუისათვის გადაწყვეტილების მიღება; მას ერთობ აღარც კი ეხამუშება ბოროტულადაც იცრუოს „შესაფერის სიტუაციაში... როგორც წესი, ცნობილია, რომ არ ცრუობენ ისეთი მოწმეები, რომლებიც ამხელენ დანაშაულში თავის ახლობელს, ნათესავს, მეგობარს. ეს ბუნებრივი მოვლენა დიდი ხანია პრაქტიკამ დაადასტურა, მაგრამ, ცხადია, აქ გამონაკლისი შემთხვევებიც შეიძლება იყოს. ზოგჯერ, მაგალითად, ნათესავეც „ამხელს“ ხოლმე პირს დანაშაულში, თუ წინასწარი შეთანხმებით სხვა ახლობლის პასუხისმგებლობიდან დახსნა სწადია (სრულწლოვანის დანაშაულს დააბრალდებენ არა-

¹ Б. В. Харазшвили. Вопросы мотива поведения преступника в советском праве, 1963.

სრულწლოვანს, ან პირიქით, ღრმად მოხუცებულს განგებ დადებენ ზრალს, მისთვის ძვირფასი ადამიანის პასუხისმგებლობიდან დახსნის მიზნით და ა. შ.).

არანაკლები წინააღმდეგობები იჩენენ თავს მოწმის ჩვენების მიცემისას, როდესაც იგი დაინტერესებულია თქვას მხოლოდ სიმართლე. მოწმის ეს მოქმედება, იმით განსხვავდება წემოთ განხილული მოქმედებებისაგან, რომ მისი დამოკიდებულება მომხდარი მოვლენისადმი იმთავითვე იყო მიუკერძოებელი, ეს მოვლენა მას არ უჩენს რაიმეს დამახინჩების მოთხოვნილებას, არ გრძნობს თავს ვალდებულად, რომ რაღაც არ უნდა დაუჭდეს, დაიცვას მხოლოდ გარკვეული პირის ინტერესები და ა. შ. თავისთავად ცხადია, პიროვნება ამა თუ იმ გარემოების მოწმედ უმეტესად მოულოდნელად გახდება ხოლმე. პიროვნება, როგორც წესი, არ ითვალისწინებს და არც შეუძლია გაითვალისწინოს, თუ რა დასამოწმებელ გარემოებას ექნება ადგილი. მოწმეები, ეს ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან — იგივე გლეხები, მუშები, მოსამსახურეები, თუ თანამდებობის პირები; მათ არ ევალებათ მულამ ფხიზლად იყვნენ, აქეთ-იქით იცქირონ, რათა არ გამოჩნეთ რაც მათ გარშემო ხდება, რომ შემდეგ ზუსტად დაამოწმონ მომხდარი მოვლენა. ამიტომ, როდესაც დაკითხვის პროცესი მიმდინარეობს, მოწმე იხსენებს არა მარტო მოვლენას და მასთან საკუთარ დამოკიდებულებას, არამედ დაკითხვისას იგი ამჟღავნებს იმ ინფორმაციების ცოდნას, რომლებიც მას შემორჩა და გარკვეულად გადაფასდნენ. მოწმის მიერ რეალური სინამდვილის აღქმა, მისი დამახსოვრება და რეპროდუქცია, რასაკვირველია, არ გამოირჩევიან რაიმე განსაკუთრებული თვისებებით; ამ შემთხვევაშიც შეიძლება ჩვეულებრივი ადამიანის ფსიქიკურ კანონზომიერებაზე ვილაპარაკოთ მხოლოდ. ფსიქოლოგიურად სწორედ ეს კანონზომიერებანი იქცევენ ყურადღებას, რომლის შესახებ საკმაოდ ბევრია დაწერილი ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. პარადოქსია, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში (როდესაც ფაქტიურად საფუძველი ჩაეყარა ე. წ. „სასამართლო ფსიქოლოგიას“), ნაყოფიერი მუშაობით ამ მიმართულებით უფრო იურისტი მეცნიერნი გამოირჩეოდნენ (პროსი, შნეიკერტი, სპასოვიჩი, ვლადიმროვი, კონი, კანტაროვიჩი...). სასამართლო ფსიქოლოგიის ბევრი საკითხი ჩანასახშივე მხოლოდ წმინდა პრაქტიკული სარგებლობის თვალსაზრისით იძენდა ღირებულებას — უმთავრესად ეს იყო ერთგვარი „ბუნებრივი ექსპერიმენტის“ მომქმედება პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობის გამო. ინტენსიური

დაკვირვებების შედეგად ფსიქოლოგიური პრობლემები თანდათან ემპირიულიდან ლოგიკურ ხასიათს ღებულობდნენ, მუშავდებოდა უკვე განზოგადებული დებულებანი, წესები, რომლებიც გამოსაყენებლად ვარგოდნენ მსგავსი მოვლენების ასახსნელად. კრიმინალურ ფსიქოლოგიასთან შედარებით, „სასამართლო ფსიქოლოგიის“ სწრაფად გაძლიერების მიზეზი სწორედ ის იყო, რომ დანაშაულის გამოძიება ფსიქოლოგიური ცდების გარეშე ხშირად საზრისსაც კარგავდა, მაშინ როდესაც დანაშაულისა და სასჯელის ფსიქოლოგიური მხარე იმთავითვე მოითხოვდა. მეტწილად, უპირველეს ყოვლისა, თეორიული თვალსაზრისით წარმოიჩინას; არც ის არის შემთხვევითი, რომ სასამართლო ფსიქოლოგიამ, მიუხედავად თავისი ერთობ ემპირიული ხასიათისა, მანც ჭეროვანი გავლენა მოახდინა არა მარტო მტკიცებით სამართალზე, არამედ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაზეც. თითქოს საოცარია, მაგრამ ფაქტია — შტერნი და სხვა ფსიქოლოგები ჰარბად სარგებლობდნენ სწორედ იურისტების დასკვნებითა და საგამოძიებო პრაქტიკის მონაცემებით ფსიქოლოგიურ პრობლემებზე მუშაობისას. მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიაში ზოგიერთმა არასწორმა დასკვნამ საფუძველი ჩაუყარა ისეთ მიმართულებასაც, რომლის მიხედვით მოწმის ჩვენება საერთოდ იქნა აღიარებული არასრულფასოვან მტკიცებულებად. ეს იყო პერიოდი, როდესაც ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს, ე. წ. „მუნჯ მოწმეებს“ მეტად ენდობოდნენ, ვიდრე მოწმეთა ჩვენებებს. ამ ტენდენციას საკმაოდ დიდხანს ჰქონდა გასაქანი ბევრი ქვეყნის საგამოძიებო პრაქტიკაში და დღესაც არ არის დაგმობილი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. ჩვენ თუ უარყოფთ მოწმის ჩვენების საშუალებით ქეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას, მაშინ საერთოდ საეჭვო გახდება შემეცნების პროცესთან დაკავშირებული შეგრძნებებიც და აღქმაც. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე მოწმის ჩვენებათა გამოყენების აუცილებლობა დიდი ხანია დამტკიცდა პრაქტიკით; მაგრამ თვალსაჩინოა ის სიძნელეები, რომლებიც გვხვდება მოწმის ჩვენების შეფასების მხრივ. ვფიქრობთ, იქამდე, სანამ ღრმად არ დაინერგება ჩვენების შეფასების პროცესში ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემები, შეუძლებელია სერიოზული შეცდომების თავიდან აცილება. გამოძიების დროს ფსიქოლოგიური მონაცემების რაციონალურად გამოყენება ჭერჭერობით არც თუ ისე ადვილია, რაკი გამოძიებულებს (მოსამართლებებს) არა აქვთ სათანადო მომზადება; ამიტომ, დღესდღეობით საჭიროა სისტემატურად იქნას გამოყენებული სპეციალისტ-ფსიქოლოგის დახმარება მოწმის დაკითხვისას (აგრეთვე, საჭიროებისამებრ სხვა საგამოძიებო მოქმედების დროსაც). ეს რომ ასეა, ამაში ადვილად

დავრწმუნდებით თუნდაც იმ საკითხების ზედმიწევნით ზოგადი, სქემატური ჩამოთვლითაც, რომელთა ცოდნა აუცილებელია მოწმის ჩვენების შეფასებისთვის და რომლებზედაც ჩვენ დაწვრილებით ვერც შევიჩრდებით.

მოწმე აღიქვამს საქმისათვის მნიშვნელოვან, გარემოებებს შეგრძნების ორგანოების საშუალებით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის, რომ აღქმის დროს ადამიანის მიერ განიცდება საგნები და მათი თვისებები, როგორც ობიექტურად არსებულნი. ფსიქოლოგიაში ცალკე ადგილი აქვს დათმობილი იმის მტკიცებას თუ მოთხოვნილებებს (უსაგნო შეგრძნებითი თვისებების ნაცვლად) როგორ აკმაყოფილებენ თვით ობიექტური საგნები. განვიცდით, მაგალითად, არა შინაგანად სიწითლეს თავისთავად, არამედ ობიექტურად სისხლის წითელ ფერს, დანის პირის ელვარებას და ა. შ. აღქმის ხაზობრივ (პისტოლეტი, დანა...) ხასიათის ცოდნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. აღქმის საგნობრიობის შესახებ ლაპარაკის დროს გულისხმობენ აგრეთვე აღქმის სენსორულ შინაარსსაც, სურათსაც, ე. ი. ფერს, სუნს, ხორკლიანობას, სიციხეს და ა. შ. მაგრამ უსაგნო შეგრძნებებს არც ცნობენ. დ. უზნაძის ექსპერიმენტებიდან ცნობილია, რომ როდესაც თვალდახუჭული ადამიანი მაგარ საგანს ეხება, ჰგავს რეზინად გულისხმობს, იგი მას მაინც რბილად ეჩვენება. ლიტერატურაში ხაზს უსვამენ, რომ აღქმის დროს აზროვნების აქტით არ ხდება საგნის ჯგუფური („კლასობრივი“) მიკუთვნება („კატეგორიალობა“). ამას გარდა სპეციალური მიმართულებაა შექმნილი აღქმის (გეშტალტური) სტრუქტურული მთლიანობის შესახებ, რომ აღქმას განაპირობებს ობიექტური საგნის მთლიანობა, მაგრამ ლიტერატურაში მითითებულია სიძნელეებზეც, როდესაც მაგალითად, ვერ გამოცალკევდება ობიექტური სუბიექტური მხარისაგან (გრილი ნიჟით გაგრილება, სხეულის გათბობა თბილი წყლით...), როდესაც აღქმა დიფუზურად განიცდება (რ. ნათაძე). აღქმის კონსტანტობის (უცვლელობის) თეორიულად სწორ გადაჭრასაც უეჭველად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მოწმის ჩვენების სწორი შეფასებისათვის. თანამედროვე ფსიქოლოგიაში დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის აფუძველზე ეს პრობლემა დაძლეულ იქნა ორიგინალურად. როგორც ცნობილია, ჯანლიან ამინდში, იქ სადაც ჩვენთვის არ არის ნაცნობი ადგილები, განეწყობით ხოლმე საგნების შორეულ მანძილზე დასანახად, რაკი ბუნდოვნად ჩანან და ამიტომ ჩვეულებრივზე უფრო გადიდებული გვეჩვენება. ლიტერატურაში ცნობილია, რომ, მაგალითად, ბინოკლში აღქმის სიტუაცია განაწყობს დაშორების აღქმისაკენ, ხოლო ლუპაში — საგნის სიდიდის შეცვლისაკენ. აღქმა საყუ-

რადღებოა ურთიერთობის გარდა, სივრცითი თვისებების ასახვის თეალსაზრისითაც. როგორც დადგენილია, კორიზონტისაყენ საგნები ილიქმებიან არა მარტო დიდებად, არამედ უფრო დაშორებულადაც. მანძილის აღქმისას ყურადღებას აქცევენ ე. წ. სივრცის შევსებულობას. მაგალითად, გაშლილ მინდორზე, ან ტბაზე, ე. ი. შეუვსებელ სივრცეზე უშეცდომოდ თითქმის შეუძლებლად ითვლება მანძილის აღქმა, მაშინ, როდესაც, შევსებულ სივრცეში საგნების ურთიერთდაშორების წყალობით უფრო ადვილია მანძილის სწორი აღქმა. დაკვირვებით დაადასტურეს, რომ გამოდარებისას მთიან ადგილებში შორეული საგნები ახლოს ჩანან, ხოლო ჯანღში — უფრო დაშორებულად გვეჩვენება; ასევე, ნაწილობრივ დაფარული საგანი შორიდან ჩანს დამფარავ საგანთან შედარებით. გარდა იმისა, რომ სივრცის აღქმისას ჩვენ განვიცდით მთლიან სივრცეს, ასევე, განიცდება დროის მსგელობაც. როგორც ლიტერატურაში ცნობილია, დროის განცდა ადამიანს უმუშავდება ცხოვრების გამოცდილებით. დადასტურებულად ითვლება, დრო სწრაფად გადის მოქარბებული განცდებისას („სასეე დროის კანონი“). ეს წესი არ ვრცელდება წარსულის მოგონებაზე. ამ შემთხვევაში დრო ხანგრძლივად გვეჩვენება, თუ მეტ განცდებს ჰქონდა ადგილი; უსიამოვნო ემოციები დროს „ახანგრძლივებს“. თუ უსიამოვნებას ელის ადამიანი, დრო უცბად გადის, სიამოვნების მოლოდინში კი — ნელა. ადამიანის ცხოვრების პირობების შესაბამისად, აღქმის პიროვნულ ხასიათზეც. ლაპარაკობენ (ვლ. ნორაკიძე...).

საყურადღებოა აგრეთვე ფსიქიკური ფაქტორებით შეპირობებული აღქმის ე. წ. ფსიქოლოგიური ილუზიები. დ. უზნაძის ფსიქოლოგიურმა სკოლამ ექსპერიმენტულად დაადასტურა ილუზიების ფიქსირებული განწყობით განსაზღვრულობა (უზნაძემ პიპნოზურ ძიღში ცდისპირს მარჯვენა ხელში დიდი ბუჭთისა და მარცხენაში პატარა ბურთის დაჭერით გამოუმუშავა ფიქსირებული განწყობა, მერე როცა გამოლეიბების შემდეგ ტოლი ბურთები გადასცეს ცდის პირს, მას მარჯვენა ხელში დაჭერილი ბურთი მაინც დიდად მოეჩვენა). დადასტურებულად ითვლება, რომ აღქმის ილუზიები შეიძლება გამოიწვიოს ყალბმა რწმენამ, ძლიერმა სურვილმა, აფექტმა და სხვ. ნ. ადამაშვილის ექსპერიმენტით, ძლიერი და სუსტი ბგერების სათანადოდ რამოდენიმეჯერ აღქმის შემდეგ (ფიქსირებული განწყობის შემუშავებისას), ორი თანაბარი სიძლიერის ბგერიდან პირველი უკვე სუსტად აღიქმება...

როგორც შენიშნულია, პასიური აღქმისაგან (საგნის ხატი უნებური გაღიზიანების სახით) განსხვავებით, აქტიური აღქმა (დაკვირ-

ვება) ადამიანის განზრახვას ეფუძნება. უფრო სწორად, აქტიურ აღქმას დაკვირვებას უწოდებენ სწორედ იმიტომ, რომ იგი გეგმიურ ხასიათს ატარებს. რა თქმა უნდა, აქტიური აღქმა უფრო სრულყოფილია და სარწმუნოც; მაგრამ აქვე ითვალისწინებენ დაკვირვების კონკრეტულ შინაარსს, რას ეძებს დამკვირვებელი საგანში და სხვა.¹ ცხადია, მოწმე იშვიათად აღმოჩნდება ხოლმე დამკვირვებლის როლში, რაკი მისი ქცევა, როგორც წესი, წინასწარ არ არის შეპირობებული ისეთი განზრახვით, რომ იგი მისცემს ჩვენებას; მაგრამ ამ მოვლენის ცოდნას უეჭველად აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა.

ცალკე ინტერესს იწვევს ყურადღება. დ. უზნაძის აზრით, ყურადღება უნარია ცნობიერი გახადოს ის, რაც სხვანაირად ცნობიერების ფარგლებს გარეთ იქნებოდა. ყურადღების დაქვეითებას ადგილი აქვს ფიზიკური ან გონებრივი გადაღლისას. დადგენილია, რომ ადამიანი მაქსიმალურად ყურადღების დაძაბვისას, როდესაც იგი ახდენს ყურადღების კონცენტრაციას მხოლოდ ერთი მიმართულებით, სხვა მიმართულებით სრული უყურადღებობა იქმნება; როგორც ცნობილია, ყურადღების ნებისმიერი ბართვის უნარი 11 წლის ბავშვთან შეიმჩნევა, მაგრამ მისი ყურადღების მოცულობა თანდათან ფართოვდება და დასრულებულ სახეს ღებულობს 16 წლის ასაკში. ყურადღების პათოლოგიური დაქვეითება შენიშნულია სხვადასხვა სახის დაავადებებისას, რომლებიც იწვევენ ცნობიერების დაქვეითებას და სხვა.

ფსიქოლოგიაში ცნობილია ყურადღების თვალსაზრისით ადამიანთა კლასიფიკაცია. კერძოდ, გაარჩევენ: ყურადღების სტატიკურ და დინამიკურ ტიპებს; ყურადღების მყარ და გადახრად, სწრაფ და ნელი შეგუების, განაწილებულ და კონცენტრირებულ, ყურადღების ადვილ და ძნელ განანაცვლების ტიპებს. როგორც დადგენილია, ყურადღების სტატიკური ტიპისათვის დამახასიათებელია შედარებით ხანგრძლივად ყურადღების გარკვეული მიმართულებით დაძაბული კონცენტრაციის უნარი, ხოლო დინამიკური ტიპი ხასიათდება ყურადღების ობიექტის შეცვლის უნარით. ყურადღების მყარ ტიპად ითვლება ის, რომელსაც საქმიანობაში ვერ აფერხებს საერთო ხელშემშლელი პირობები (გამღიზიანებლები); ამ ტიპის საწინააღმდეგოა — გადახრადი ტიპი. ყურადღების სწრაფი შეგუების ტიპი ადვილად ეგუება უცხად აღმოცენებულ გამღიზიანებელს, ხოლო ნელი შეგუების ტიპი — პირიქით; ყურადღების განაწილებულ ტიპს შეუძლია „ორმაგი“ მოქმედება, კონცენტრირებული ტიპი კი — მოკლებულია ამ უნარს; და ბოლოს, ყურადღების ადვილი განანაცვლების ტიპი-

¹ რ ე ვ ა ზ ნ ა თ ა ძ ე. ზოგადი ფსიქოლოგია, 1977, გვ. 141—154, 176—228. გლ. ნორაკიძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 192—228...

სათვის არ არის საძნელო ყურადღების ახალი მიმართულებით გადატანა, მაშინ როდესაც ყურადღების ძნელი გადანაცვლების ტიპის სუბიექტს ძალიან უჭირს ერთი საგნიდან მეორეზე გადანაცვლება (ერთი მოქმედების მეორეთი შეცვლა)¹. ადამიანთა ყურადღების ტიპებად დაყოფა, ცხადია, პირობითია, მაგრამ, რაკი ამ კლასიფიკაციას მეცნიერული დაკვირვებები და ექსპერიმენტები უღვეს საფუძვლად, იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოწმის ჩვენების შეფასების დროსაც. თუმცა, ეს საკითხი ამ თვალსაზრისით არ არის სათანადოდ შესწავლილი. ექსპერიმენტულად დადასტურებულად ითვლება, რომ, ვარჯიშის ნიადაგზე ადამიანს შეიძლება გამოუმუშავდეს მტკიცე, გადანაცვებადი, სტატიკური, მყარი, განაწილებული ყურადღება.² ტრადიციული დაყოფით, გაარჩევენ უნებლიე და ნებისმიერ ყურადღებას. უნებლიე ყურადღებას სხვანაირად პასიურ ყურადღებასაც უწოდებენ, რადგან იგი არ აღმოცენდება განზრახვის საფუძველზე (მოვლენა, საგანი, უნებლიედ იპყრობს კაცის ყურადღებას). ნებისმიერ (აქტიურ) ყურადღებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პიროვნება ყურადღებას თვითონ იმორჩილებს და წარმართავს განზრახვის ნიადაგზე; ამ შემთხვევაში უშუალოდ მოთხოვნილება კი არ უძღვება ყურადღებას, არამედ—ნებისყოფა. ყურადღებას ნებისყოფასაც ადარებენ. ფსიქოლოგიაში ცალკე ადგილი ეთმობა ყურადღების ობიექტურ ფაქტორებს; მათგან, ერთგვაროვნების შემთხვევაში აღნიშნულია: საგნის სიდიდე (თუ ერთგვაროვნება დაირღვევა დიდ საგნებს შორის უფრო პატარა მიიქცევის ჩვენს ყურადღებას); გამლიზიანებლის ინტენსივობა (ძლიერი ტკივილი, კივილი, ძლიერი განათება, ძლიერი სუნი); საგნის სიახლოვე (წინა საგანი მეტ ყურადღებას იქცევს); საგნის განცალკევება სხვა საგნებისაგან; გამლიზიანებლის ხანგრძლივობა (ხმაური რომ გაგრძელდეს უჩვეულოდ); მოძრაობა (უძრავის ამოძრავება, თვითონ უძრავნი, მოძრავებთან შედარებით, უფრო შეუქმნეველნი არიან); ცვლილება (მუდმივ გამლიზიანებლის შეწყვეტა, ნაცნობი საგნის შეცვლა); ნაცნობობა (უცნობ საგანთა შორის ნაცნობი იპყრობს ყურადღებას); სიახლე (რაკი ყოველდღიური შთაბეჭდილება აჩლუნგებს ყურადღებას, სიახლე იპყრობს ყურადღებას). სიახლესა და ნაცნობობას ზოგიერთი ავტორი გარკვეული თვალსაზრისით სუბიექტურ ფაქტორებადაც მიიჩნევს.³

1 ე. ლ. ნორაკიძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1967, გვ. 228—260.

2 იქვე, გვ. 259; რ. ნათაძე, გვ. 241—269.

3 რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1977, გვ. 273—275; ყურადღების თვისებებზე იხ. აგრეთვე, ე. ლ. ნორაკიძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1967, გვ. 242—259; და სხვ.

ობიექტური (გარეგანი) ფაქტორების გარდა, ცნობილია, აგრეთვე, შინაგანი (სუბიექტური) ფაქტორებიც. ასეთ ფაქტორებად მიიჩნევენ: მოთხოვნილებას, განწყობას, ინტერესს, მოლოდინს, ნებისყოფას (ზოგიერთ ფიზიოლოგიურ და ანტიპიგიენურ პირობებსაც — სიმთვრალე, ნარკოტიკებით გაბრუება, უსუფთაო ჰაერზე ყოფნა, გადაღლა, და სხვ.).

ჩვენ განგებ შევჩერდით მეცნიერული ფსიქოლოგიის ცნობილ მონაცემებზე. უბრალო, ამ სქემატური ცნობებითაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ადამიანის აღქმის პროცესების შეფასება ადვილი დასაძლევია არ არის, მით უმეტეს, როდესაც საკითხი ეხება უკვე მომხდარ ფაქტს. რაკი მოწმეთა აღქმა არაფრით არ განსხვავდება ადამიანის, ჩვეულებრივი აღქმისაგან, რომელიც დაკავშირებულია ყოველდღიურ საქმიანობასთან, ამიტომ ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, მოითხოვს ძალიან ფაქიზსა და ღრმა ანალიზს გამომძიებლის (მოსამართლის) მხრივ, როდესაც იგი აწარმოებს პიროვნების მოწმის სახით დაკითხვას. ამ მიზნით ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე უნდა ჩაებნენ სპეციალისტი ფსიქოლოგები გამომძიების პროცესში ქეშმარიტების დადგენის უზრუნველსაყოფად. ეს რომ ასეა, შეგვიძლია დავრწმუნდეთ აგრეთვე მეხსიერების ფსიქოლოგიური ანალიზის წყარობითაც, რომელსაც, აღქმასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმის (დაზარალებულის, ექვმიტანილის და თვით ბრალდებულის) ჩვენების შეფასებისათვის.

მეხსიერებას ფსიქოლოგიაში განსაზღვრავენ, როგორც წარსულში აღქმულის წარმოდგენის უნარს, როგორც წარსული გამოცდილების შენახვას, დამახსოვრებას და დამახსოვრებულის აღდგენას. კარგ მეხსიერებად თვლიან სწორად, დიდხანს დამახსოვრებულს და ზუსტად აღდგენის უნარს (ვლ. ნორაკიძე). გაარჩევენ პასიურ (განზრახვის გარეშე) და აქტიურ (ნებისმიერ) მეხსიერებებს. მარტივი მეხსიერების სახეებიდან (ნებელობის გარეშეც რომ ვლინდება) გაარჩევენ: უშუალო მეხსიერებას, ცნობას, პერსევერაციას და ასოციაციურ (წარმოდგენები) მეხსიერებას. უშუალო მეხსიერებას ხანმოკლესაც უწოდებენ, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, უშუალო მეხსიერება არ ხასიათდება ფარული პერიოდით. იგი აღქმას თითქმის არ სცილდება, აღქმულ გავიზრდება ხოლმე წარმოდგენაში (ცოდნაში) სულ ცოტა ხნით, რაკი ადგილი აქვს აღქმულის რეპროდუქციას (საბეჭდ მანქანაზე ბეჭდვა და სხვ.). ცნობის მეხსიერებაში გულისხმობენ არა წარსულის აღქმის რეპროდუქციას (მოგონება) არამედ, საგნის ხელახალი აღქმისას. მის ცნობას, ნაცნობობის განცდას დ. უზნაძე ხსნის ფიქსირებული განწყობის საფუძველზე —

ცნობას განაპირობებს მეორადი აღქმის განწყობის პირველთან იგივეობა. მარტივ მეხსიერებას მიაკუთვნებენ აგრეთვე ე. წ. პერსევერაციას, ე. ი. აღრე აღქმულის რეპროდუქციას წარმოდგენის სახით თავისთავად, აკვიტებული ამოტივტივების გზით (ოღესლაჲ გაგონილი სიტყვის „უმიზეზოდ“ გახსენება და სხვ.). საგნის (მოვლენის) სრული ცნობა ითვლება ცნობის მეხსიერების უმაღლეს სახედ. მეორადი აღქმულის გაიგივება ხდება პირველადი აღქმულის მიხედვით. თუ აღქმას საგნის (მოვლენის) ხატსაჲ უწოდებენ, წარმოდგენა — ასევე საგნის (მოვლენის) ხატად ითვლება, ოღონდ, საგნის ზემოქმედების გარეშე (აღქმის გარეშე წარმოდგენა არ იაზრება); უფრო სწორად, წარმოდგენის დროს თავს იჩენს აღქმის ხატი. წარმოდგენის გარეშე რომ ძნელი იქნებოდა წარსულისა და მომავლის გამიჯვნა, არც ეს არის სადაჲო. სწორედ წარმოდგენის საშუალებით თვლიან შესაძლებლად ე. წ. ასოციაციურ მეხსიერებას. წარმოდგენის რეპროდუქცია ამ შემთხვევაში ასოციაციურად ხდება (სხვა საგნის აღქმის ან წარმოდგენის მეშვეობით). მაგალითად, ცნობილია, რომ გამოძიებულთან (მოსამართლესთან) შეხვედრას შეუძლია გაგვახსენოს დამნაშავე (კონტრასტული ასოციაცია); ფოტოსურათმა — მასში გამოსახული პიროვნება (მსგავსებით ასოციაცია); ელვის წარმოდგენამ — ქუხილის (დროში მოსაზღვრეობის ასოციაცია); ტყისამ — ნადირის (სივრცითი მოსაზღვრეობის ასოციაცია.), (რ. ნათაძე და სხვ.). დადგენილად ითვლება აგრეთვე, რომ წარმოდგენა იმდენივე შეიძლება იყოს, რამდენიც აღქმაა (მხედველობის, სმენის, მოძრაობის წარმოდგენება). აქტიურ მეხსიერებას ნებელობითი პროცესებით განსაზღვრავენ. როგორც ცნობილია, ისეთი აქტიური მეხსიერების სახეები, როგორცაა დასწავლისა და მოგონების მეხსიერება მტკიცდებიან სასკოლო ასაკის პერიოდში: მოგონება („ისტორიული მეხსიერება“) — ეს იგივე მომგონებლის განცდების მოგონებად ითვლება. მოგონებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოწმის მიერ ჩვენების მიცემისას; ამ საკითხით დაინტერესებულ ფსიქოლოგთა უმრავლესობა საეცებით უშეცდომო ჩვენებებს პრაქტიკულად არც ცნობენ, რომ შეცდომები იზრდება პიროვნების ემოციური მდგომარეობის ზეგავლენითაც, აღქმულის ჩვეულებრიობითაც (ჩვეულებრივში მტკიცე ცვლილებები შეუძმჩნეველია), არაჩვეულებრიობითაც (იწვევს ფანტაზიას), და, რაც მთავარია, აღქმიდან ხანგრძლივი დროის გასვლითაც. ვფიქრობთ, ის, რაც ფსიქოლოგების მიერ მოგონების სფეროში შეცდომად არის მიჩნეული — ეს იგივე აღქმის შეცდომებია უმთავრესად, რაკი მოგონება აღქმის რეპროდუქციის ერთ-ერთი სახეა. ფსიქოლოგიაში ცნობილი ექსპერიმენტები (როდესაც

ცდის პირის წინაშე გაითამაშებენ ხოლმე მოქმედებას, შემდგომში აღწერისათვის და სხვ.), სწორედ მოწმის მიერ აღქმაში დაშვებულ ხარვეზებზე მიუთითებენ, რაც თავისთავად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ პიროვნების ინტერესს, ცოდნას, გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ მოვლენის აღქმისათვის. პრაქტიკაში უტყუარად არის დადასტურებული, რომ მოწმე უფრო ამახინჯებს ფაქტებს, როდესაც მას დაჰკითხავენ შთამაგონებელი შეკითხვების მიცემით და სხვა, მაგრამ ამ გარემოებათა საფუძველზე თუ საერთოდ უარყოფთ მოწმის ჩვენების დამაჯერებლობას, მაშინ ექვის ქვეშ მოექცევა თვით ექსპერიმენტატორ-ფსიქოლოგთა დებულებანიც, რაკი აღქმისა და მოგონების გარეშე მათი ცდებიც დაჰკარგავდა საზრისს. დასწავლას უწოდებენ ცოდნის დამახსოვრებას. ცოდნის მიღებას განზრახვის გარეშეც თვლიან დასაშვებად (ბავშვს ესიამოვნება ზღაპრის მოსმენა და ამასობაში იმახსოვრებს მას); დასწავლის ფაქტორებიდან ცნობილია: ნებელობა (ვარჯიში, გამორება); ინტელექტუალური ფაქტორი (მასალის გაგება, ჩვევების შემუშავება...); ინტერესი (მოვლენებისადმი შემეცნებითი დამოკიდებულება, საგნის გაცნობისადმი სწრაფვა); სენსორული ფაქტორი (ზოგიერთა კარგად იმახსოვრებს ნანახს, ზოგი — მოსმენილს, ზოგი — მოძრაობითს — ე. ი. ობტიკური, აკუსტიკური და მოტორული მეხსიერების ტიპები; ცნობილია ლოგიურ-სიტყვიერი მეხსიერების ტიპიც, რომელიც სიტყვიერ აზრებს უკეთ იმახსოვრებს); გამოცდილების ფაქტორი (იურისტი უფრო ადვილად დაიმახსოვრებს იურიდიულ დებულებას, ვიდრე სხვა); მოქმედების შეწყვეტა (მოქმედების დაუმთავრებლად მიტოვება ამოცანის დახსოვების პირობაა); ფიზიოლოგიური ფაქტორი (აღკაპოლი, გადაღლილობა, და სხვ.).¹

ლიტერატურაში ცალკე ადგილი ეთმობა დასწავლის კანონზომიერებებს. მათგან ცნობილია: მასალის მოცულობის გავლენა დასწავლაზე, ელემენტების გაერთიანება, გლობალური დასწავლა, პროგრესული დასწავლის წესი, დასწავლის პროცესში მასალის რეპროდუქციის წესი და სხვ. (გ. კეჩუაშვილი...).

განსაკუთრებით საყურადღებოა დავიწყება. ფსიქოლოგიურად დავიწყება ისეთივე კანონზომიერ მოვლენად ითვლება, როგორც დახსოვება. არ არსებობენ ისეთი ადამიანები, არაფერი რომ არ ავიწყლებათ. ადამიანის განვითარებისათვის უალრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ შეთვისებულ შინაარსებსაც, რომლებმაც უკვე დაჰკარგეს აზრი და ამიტომ დავიწყებასაც მიეცნენ; განწყობის თეო-

¹ გ. ნ. ო. კ. მ. ქ. ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 276—285.

რის თანახმად, წარსული შთაბეჭდილებების საფუძველზე შექმნილ განწყობები მართალია დაეიწყებულნი არიან, მაგრამ ისინი მასალის ზემოქმედების გამო პიროვნული ცვლილებების სახით მაინც შემოინახება ხოლმე და გარკვეულ პირობებში თავისებურად იჩენენ თავს ქცევებში. შემჩნეულია აგრეთვე, რომ «დაეიწყებული» ცოდნა საფუძვლად ედება აზროვნების განვითარებას, ახალი განწყობების შექმნას, პიროვნების ესთეტიკურ გარდაქმნას და სხვა. დაეიწყების კანონზომიერებაზე დიდ გავლენას ახდენს დრო; მაგრამ, როგორც დადგენილია, ადამიანს შეუდარებლად ნაკლები დროის დახარჯვა სჭირდება დაეიწყებული მასალის შესწავლისათვის ვიდრე ახლისა. ცნობილია, რომ მოძრაობის ჩვევები დიდხანს შემოინახება ხოლმე მხესიერებაში; ასევე, ცალკე სიტყვებთან შედარებით ადვილად ეიმახსოვრებთ ფრაზებს, უაზრო მარცვლებთან შედარებით — სიტყვებს, არათვალსაჩინოსთან შედარებით — თვალსაჩინოს და ა. შ.¹ როგორც დაეინახეთ, დაეიწყების ფსიქოლოგია ც განსაკუთრებულ სიძნელეებს ქმნის მოწმის ჩვენების შეფასებასთან დაკავშირებით. ცოდნის ეს სფერო გამოყენებული უნდა იქნეს თვით მოწმის დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგ-სპეციალისტის დახმარებით.

მოწმის ჩვენების შეფასებისას არანაკლები მნიშვნელობა აქვს გათვალისწინებულ იქნას მისი გადმოცემის (რეპროდუქციის) უნარი. დიდი ხანია შენიშნულია, რომ ყველა ადამიანი ერთნაირად ვერ გადმოცემს აღქმულსა და დამახსოვრებულ მასალას; ერთნი თუ კარგად იცავენ ლოგიკურ თანმიმდევრობას, ფლობენ აზროვნების კანონებს პრაქტიკულად შთაბეჭდილებების გამოვლენისას, მეორენი მთლიანად ან ნაწილობრივ მოკლებულნი არიან ამ უნარს, უჭირთ აზრების დალაგება მომხდარი მოვლენის შესატყვისად, დეტალების დაკავშირება ძირითად აზრთან და სხვა. რა თქმა უნდა, რეპროდუქციის უნარზე ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის ინტელექტუალური განვითარების დონეზე, მის პროფესიაზე და სხვა, მაგრამ, არც თუ ისე იშვიათად, დიდად განათლებულ ადამიანსაც უჭირს ხოლმე თქვას დალაგებულად ის, რაც იცის. ერთნი აზრს წერილობით უკეთ გამოხატავენ, ვიდრე სიტყვიერად, მეორენი, პირიქით. შედარებით ნაკლებია ისეთი უნარის ადამიანები, რომლებსაც ერთნაირად ეხერხებათ როგორც წერილობით, ისე ზეპირად აზრის გადმოცემა. უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენის ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი ჭერ კიდევ საკმაოდ არ არის შესწავლილი მეცნიერულად. საგამოძიებო პრაქ-

¹ ე. ლ. ნორაკიძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1967, გვ. 261—294; რევაზ ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1977, გვ. 284—359.

ტიკაში კი ზოგჯერ მოწმის მიერ უსისტემო თხრობა სამწუხაროდ აიხსნება ხოლმე მოწმის „არაკეთილსინდისიერებით“ მაშინ, როდესაც მოწმის მიერ გაზეპირებული თხრობა უფრო მეტად ფასდება, თუ იგი მოხერხებულად არის ყალბად გააზრებული და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ სამართლებრივ ლიტერატურაში არ არის უარყოფილი მოწმის დასკვნებისა და შეხედულებათა მნიშვნელობა თხრობისას, რომ შეუძლებელია აღქმა და გადმოცემა წარმოვიდგინოთ აბსოლუტურად დამოუკიდებლად დასკვნისა და შეხედულებებისაგან (ცხადია, მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ ფაქტების შესახებ ცნობებს და არა სუბიექტურ შეხედულებებს, დასკვნებს ამ ფაქტების გამო), მაინც რატომღაც დღემდე მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიის შესწავლისას ძირითადი ყურადღება ექცევა აღქმის, მეხსიერებისა და რეპროდუქციის საკითხებს, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორცაა აზროვნება თითქმის უყურადღებოდ არის დატოვებული — ეს მაშინ, როდესაც ახალი სიტუაცია — ეს იგივე ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ აზროვნების საქმეა,¹ რომ აღქმა უძლეურად ითვლება იქ, სადაც უჩვეულო (ახალი) სიტუაცია იჩენს თავს — გაკვირვების განცდა (ან განცდისებური კითხვა — „რა არის ეს“?). ამოცანის გადაწყვეტა („აჰა“ განცდა) მხოლოდ აზროვნებისთვის არის დამახასიათებელი. ცნობილია, მოწმე არა მარტო აღიქვამს ფაქტებს, არამედ იგი ახდენს აღქმის მასალის გონებრივ გადამუშავებას (მსჯელობა, დასკვნები). თეალსაჩინო ასახვა — „ცოცხალი განკვერტა“ ორგანულად უკავშირდება გაშუალებულ შემეცნებას (აზროვნებას). როგორც დადგენილია, ადამიანს არ შეუძლია „მხოლოდ აღიქვას“, იგი უეპველად იწყებს არსებითის წედომას (მოვლენის მიზეზობრიობა, კერძოსა და ზოგადს შორის მიმართება და სხვა); აზროვნებას ნებისმიერ მოქმედებასაც უწოდებენ, რაკი იგი მხოლოდ აქტიური ფორმით არის შესაძლებელი (განსხვავებით მეხსიერებისაგან), მაგრამ ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ აზროვნება მაინც „დახშული ხასიათისაა“. როგორც ცნობილია, აზროვნების არსებითი ფაქტორია შემეცნების მოთხოვნილება, რაც საფუძვლად ედება გაკვირვებას; ცხადია, პრაქტიკულ და თეორიულ საკითხის დაყენებაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცოდნა, გამოცდილება; ამოცანის გადაჭრის განწყობას აჩენს შემეცნების მოთხოვნილება და სიტუაცია, ანუ ამოცანა. ისიც ცნობილია, რომ ადამიანი ამოცანას სწყვეტს ან იმ წესით, რაც უკვე გამოუყენებია ანალოგიური ამოცანის გადასაწყვეტად, ან ახალი

¹ შ. ნ ა დ ო რ ა შ ე ო ლ ი, პარონების სოციალური ფსიქოლოგია, 1975, გვ. 17.

ხერხის მიგნებით. მაგრამ ამ ახალი ხერხით ამოცანის გადაჭრა შემდგომში საფუძვლად ედება სხვა ანალოგიურ ამოცანის გადაჭრას; როგორც სწორად არის შენიშნული, „აზროვნების მიმდინარეობის ძირითად განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს: ამოცანის შემჩნევისა და გადაწყვეტის პროცესში მთელი ფსიქიკური აქტივობის განუწყვეტელი ობიექტივაცია, ამოცანის გაცნობიერება, რომელიც გამოიხატება ამოცანის გადაჭრის სისწორის კონტროლში, შემოწმებაში, კრიტიკაში, შეცდომების შემჩნევაში, მათი გამოსწორების გზების ძიებაში“ (ვლ. ნორაკიძე). დადასტურებულად ითვლება, რომ კონკრეტული საგნის წარმოდგენა საგნის მნიშვნელობასაც გულისხმობს. როდესაც მოწმე კონკრეტულ საგანს თვალსაჩინოდ წარმოიდგენს, ვთქვათ, იმ მიდამოს, სადაც ქურდობა მოხდა, ეს წარმოდგენა, ცნობილია, სრულიადაც არ უნდა იყოს ისეთი თვალსაჩინო, როგორაც აღქმაა. უფრო მეტი, დადგენილია, რომ წარმოდგენა იმდენად ზოგადია, რომ დეტალები გამოტოვებულიც არის და ზოგჯერ მომეტებულადაც არის დასურათხატებული. როგორც შენიშნულია, ე. წ. ზოგადი წარმოდგენისას მნიშვნელობის აღნიშვნას ერთობ გარკვეული ადგილი უქირავს. როდესაც მოწმე ზოგადად წარმოიდგენს ცეცხლსასროლ ჭარალს, რომელიც გამოყენებული იქნა შემთხვევის დროს და მისი კონკრეტული სახე მას არ აღუქვამს, შემთხვევის აღდგენაში ამ ვითარებაში იარაღის ხატი მკრთალია. მოწმის (დაზარალებულის...) დაკითხვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს — ხომ არ აგებს იგი თავის ჩვენებას სიმბოლურ წარმოდგენებზე. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გასარკვევია ეს წარმოდგენები ემყარებიან თუ არა საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკომუნიკაციოდ შემოღებულ სიმბოლოებს (ხიფათის მაუწყებელი ნიშანი და სხვა), რომლებსაც უკავშირებენ აგრეთვე, ე. წ. „ნატურალური სიმბოლიზაციის“ ელემენტებსაც. ლიტერატურაში ცნობილია აგრეთვე ე. წ. „ინტელექტუალიზებული წარმოდგენები“, სადაც წამყვანი აზრი და თვალსაჩინობა უკანა რიგში დგება. რიგ შემთხვევაში ამა თუ იმ სიტყვას, ფრაზას ცალკეული პირები თავისებურ მნიშვნელობას ანიჭებენ, რაც თავისთავად არც უტოლდება საზოგადოდ დადგენილ გამოთქმებს. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა კუთხური გამოთქმების დამახინჯებულად გაგებაში და სხვა. ცხადია, დაკითხვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო თხრობის ფორმას, არამედ მის შინაარსსაც. უდავოდ არის მიჩნეული, რომ როგორც აზრი, ისე წარმოდგენა აღქმიდან იწყება; აზრს არათვალსაჩინო ასახვასაც უწოდებენ — შეეხება იგი კონკრეტულ საგანს თუ საგანთა წყებას, გვარს... (ვლ. ნორაკიძე). არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოწმის (დაზარალებ-

ბულის...) ჩვენების შეფასების დროს სწორად იქნეს გაგებული იმ მოქმედების, საუბრის თუ სხვადასხვა მრავალმნიშვნელოვანი გამოთქმების დედააზრი, რასაც ჩვენება ეხება. ფსიქოლოგიაში დადგენილად ითვლება, რომ აბსტრაქტულ დედააზრს მთლიანი შინაარსის ფორმით განვიცდით, თუმცა, მას ერთი სიტყვით ვერასოდეს გამოვხატავთ. მაგალითად, იმისათვის რომ გავიგოთ მახვილგონიერი გამოთქმის დედააზრი, საკმარისი არც არის თითოეული სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობაში წვდომა... ჩვენების ფსიქოლოგიაში ჯეროვან ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე აღქმულისა და წარმოდგენილ ხატების აზროვნების პროცესში გადამუშავების თავისებურება, რაც ხდება ანალიზის, აბსტრაქციისა და სინთეზის წყალობით.¹ სპეციალურ პროცესუალურ, კრიმინალისტურ და ფსიქოლოგიურ ლატერატურაში აზროვნების ფსიქოლოგიური ბუნებისადმი ნაკლები ყურადღება ერთობ იმით არის გამოწვეული, რომ დღემდე გამეფებულია არასწორი შეხედულება მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებაში მსჯელობებისა და დასკვნების მიუღებლობის შესახებ. დასაკითხ პირს, ცხადია, არ ევალდება ახსნას დანაშაულებრივ მოვლენასთან დაკავშირებული აღქმული გარემოებანი, მაგრამ გამოძიებისათვის საბნტერესო მოვლენისადმი დასაკითხი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების მხოლოდ აღქმითა თუ მეხსიერებით შემოფარგვლა რომ ვერ არის მოსახერხებელი, არც ეს უნდა იწვევდეს დავას. არ არის გამორიცხული, რომ პიროვნება მოექცევა ისეთ განსაზღვრულ გარემოებებში, რომლებიც მოითხოვენ მეცნიერული ცნებებით აზროვნებას. როდესაც, მაგალითად, პიროვნება შემსწრე ხდება მეცნიერის მიერ საჯაროდ სხვისი დებულებების თავისად გასაღებისა, ცხადია, მას ეს გარემოება არ შეუძლია ასახოს ლოგიკური აზროვნების გარეშე, მხოლოდ აღქმით. როგორც ცნობილია, თუ აღქმით აისახება ხოლმე საგნის ფორმა, ფერი, სუნი და სხვა სენსორული — შეგრძნებითი თვისებები, ლოგიკური აზროვნება, როგორც ცნებებით აზროვნება, უეპველად გულისხმობს საგნების არსებითი ნიშნების ცოდნას, ცნება გამოხატავს არა მარტო სიტყვის მნიშვნელობას, არამედ მეტსაც, ვინაიდან ყოველი აზრის განცდას არ აიგივებენ ცნებასთან, რომელიც ვერ აღიქმება (ვერ წარმოიდგინება) თვალსაჩინოდ. მაგრამ, ადამიანი იყენებს არა მარტო მეცნიერულს, არამედ ყოველდღიურ ცნებებსაც (ადამიანი, გამომძიებელი, სამართალი...), შენიშნულია, რომ ცნებები გამოიყენება სახელდობრ მსჯელობაში, სწორედ ამიტომაც ლოგიკური აზროვნების ფორმებად მიჩნეულია როგორც ცნება; ესე

¹ რ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 408—430.

მსჯელობა და დასკვნა. დადგენილად ითვლება აგრეთვე, რომ მსჯელობა ფსიქოლოგიურად სრულ ან არასრულ დარწმუნებულობის განცდას გულისხმობს: ამა თუ იმ ფრაზის მექანიკური განმეორება გამოთქმულის სისწორის ან სიყალბის განცდის გარეშე ვერ გვაძლევს მსჯელობას. თუ ცნებას გამოხატავს სიტყვა, მსჯელობის მაჩვენებელია წინადადება, რითაც გვლავნდება მიმართება ქვემდებარეს (სუბიექტის) და შემასმენელს (პრედიკატს) შორის, თუმცა პრაქტიკაში მსჯელობას ერთი სიტყვითაც გამოხატავენ (მირბის, კლავს...) და ზოგჯერ კი უსიტყვოდ თავის დაქნევითაც და სხვა; მაგრამ აქაც გულისხმობენ ობიექტებს შორის მიმართებას¹. არ უნდა იწვევდეს დავას, რომ მსჯელობის გარეშე მოწმეს საერთოდ ვაუქნელდებოდა ჩვენების მიცემა, რაკი იგი ამა თუ იმ მოვლენის აღქმის შემდეგ, როგორც წესი, მიმართავს მის აზრობრივად გადამუშავებას. მაგალითად, როდესაც მოწმე ამბობს რომ მოძალადეს ბუს მიუგავსო თვალები და სხვ., უეპველად აქვს ადგილი მსჯელობას. მსჯელობას ექნება ადგილი აგრეთვე თუ მოწმე იტყვის: „შემთხვევის ადგილი მილიციიდან უფრო ახლოსაა, ვიდრე ჩემი სახლი“ (დროისა და სივრცის მიმართება), „ექიმიტანილმა ზუსტად ასეთივე უხამსი მოქმედება ჩაიდინა გუშინ კინოთეატრში“ (იგივეობის მიმართება); „დანაშაული რომ არა, გამომძიებელიც (მოსამართლეც) ვერ იარსებებდა“ (მიზეზ-შედეგის მიმართება) და სხვა. მოწმე მიმართავს ინდექციურ, დედუქციურ და ანალოგიით დასკვნასაც².

2. დაზარალეულის ჩვენება

ლიტერატურაში მითითებულია დაზარალეულის ჩვენების თავისებურებებზე. მათ შორის აღსანიშნავია, რომ დაზარალეულს უფლება აქვს იმსჯელოს გამოსაკვლევ ფაქტებზე, გამოთქვას თავისი შეხედულებანი დანაშაულის შემთხვევისა და პროცესში მონაწილე პირების თაობაზე; აქედან გამომდინარე, სწორად არის აღნიშნული ისიც, რომ დაზარალებული იძლევა არა მარტო ჩვენებას, არამედ განმარტებასაც (მას შემდეგ, როდესაც მომკვლევია, გამომძიებელი, მოსამართლე (დადგენილებით) ან სასამართლო (განჩინებით) პირს მიიჩნევენ დაზარალებულად). როგორც მიღებულია, დაზარალებულის დაბარება და დაკითხვა ხდება მოწმის დაბარებისა და დაკითხვის

¹ იხ. რ ე ვ ა ზ ნ ა თ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1977, გვ. 367—469.

² ამ პარაგრაფში ყველგან განვებ არ ვუთთებთ ფსიქოლოგიურ დიქტად ლიტერატურაზე, რაკი საჭირო მონაცემები, რომლებიც ჩვენ ზედმიწევნით სქემატურად გადმოვეცით, ყველა სახელმძღვანელოში მონაარსობრივად თითქმის ერთნაირადაა წარმოდგენილი.

ანალოგიურად; კანონით, დაზარალებულის (ისე როგორც მოწმის) მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, თავის არიდება, წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მაგრამ სასამართლო გამოძიების პრაქტიკა მაინც არ ათანაბრებს დაზარალებულს მოწმესთან ამ თვალსაზრისით. საქმე ის არის, რომ დაზარალებული, როგორც წესი, ბუნებრივად დაინტერესებულია საქმის ბედით, იგი ზოგჯერ აზვიადებს მომხდარ მოვლენას ნებისთი თუ უნებლიეთ; ასეთ ვითარებაში მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა არაზუსტი ჩვენების მიცემის გამო მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს/ ვფიქრობთ, დაზარალებულის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა ცრუ ჩვენებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც იგი, ამას სჩადის ანგარებით ან სხვა ქვეყნა გრძნობით. დაზარალებული როდესაც აზვიადებს ფაქტებს იმისათვის, რომ დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი ან მკაცრად იქნეს დასჯილი — ძნელია მის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი. არის შემთხვევა, როდესაც დაზარალებული ჩვენებას იძლევა არა როგორც ნამდვილად დაზარალებული, არამედ როგორც ცრუ დაზარალებული. პიროვნებას იგი ადანაშაულებს იმ ქმედობაში, რომელიც ფაქტიურად არ ყოფილა ჩადენილი და სხვა. ასეთი ვითარება, ცხადია, არც შეიძლება არ იქნეს შეფასებული, როგორც დანაშაული. არ უნდა იყოს ზუსტი ლიტერატურაში იმის აღნიშვნა, რომ, მოწმეებისაგან განსხვავებით, თითქოს მხოლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს — დაკითხონ იგი (მოშველევმა, გამოძიებელმა ან სასამართლომ) თავისი ინტერესების დასაცავად. მართალია, დაზარალებულს, როგორც წესი, ამოძრავებს საკუთარი ინტერესებიც და ამის გამო მისი ჩვენებაც ერთგვარად სუბიექტურ ხასიათს ატარებს ხოლმე, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ჩვენების შეფასებისას, მაგრამ, ვფიქრობთ, მოწმესაც უნდა პქონდეს უფლება მოითხოვოს — დაკითხონ იგი, თუ მისი აზრით, ჩვენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ინტერესების დადგენას.

დაზარალებულს შეიძლება მისცეს შეკითხვები ექსპერტმა, როდესაც სასამართლოში საექსპერტო დასკვნისათვის მნიშვნელობა აქვს რომელიმე გარემოების გამოკვლევას; მაგრამ ექსპერტი შეიძლება დაკითხონ დაზარალებულის მიერ ბრალმდებლის დაკითხვის შემდეგ (მერე — სამოქალაქო მოსარჩლის, მოპასუხის, მათი წარმომადგენლების, დამცველის და სამართალში მიცემულის მიერ). დაზარალებული, ისე როგორც მოწმე, სამოქალაქო მოსარჩლე, სამოქალაქო მოპასუხე (მათი წარმომადგენელი), დამცველი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, თანამოწმე კანონით ვალდებულია

არ გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მონაცემები (რაც იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას).

დაზარალებულის, ისე როგორც მოწმის ჩვენება ფიზიკური მოქმედებაა და უექველად ნებისმიერი ქცევის მოტივისა და მიზნის ასპექტში უნდა იქნეს განხილული ყოველთვის. დაზარალებულს არ შეუძლია მისცეს ჩვენება უნებურად. დაზარალებულის ჩვენების ფსიქოლოგიის შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს იმავე გარემოებებსა და ფაქტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მოწმის ჩვენების ჩამოყალიბებისა და რეპროდუქციის პროცესში (ოღონდ, ცხადია, გათვალისწინებული უნდა იქნას ის სპეციფიკური მხარეები — შიში, მღელვარება და სხვა — რაც ახლავს დაზარალებულს დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტების აღქმისას).

8. ექვმიტანილის ჩვენება

ექვმიტანილის ჩვენება ითვლება დამოუკიდებელ დამამტყიცებელ საბუთის სახედ. ექვმიტანილს, მოქმედი კანონმდებლობით, უფლება აქვს მისცეს ჩვენება; იგი ვერ დაისჯება, მოწმის მსგავსად, ჩვენებაზე უარისთქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში. ექვმიტანილის ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში დროებით მოვლენად ითვლება; რადგან პიროვნების მიმართ ან უნდა დამტყიცდეს მისი დანაშაულში მონაწილეობა, ან განთავისუფლდეს იგი ყოველგვარი ექვებისაგან! ამიტომ შემთხვევითი არ იყო ავტორთა ერთი ჭგუფის მიერ ექვმიტანილად პიროვნების დაკითხვის უარყოფა, მისი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ექვმიტანილი დაიკითხება ხოლმე იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავებული იქნა ან შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება. ამას გარდა, კანონით გათვალისწინებულია მისი დაკითხვის შესაძლებლობა ექვმიტანილისთვის ცნობილ ყველა გარემოების შესახებ. კანონის შესაბამისად, დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი პირის დაკავების უფლება აქვს მომკვლევს, გამომძიებელს, თუ მას შეიძლება შეეფარდოს სასჯელი თავისუფლების აღკვეთა, და თანაც, როდესაც: მას წაასწრეს დანაშაულის ჩადენის დროს; ან უშუალოდ მისი ჩადენის შემდეგ; მნახველნი (მათ შორის დაზარალებულნიც) მასზე მიუთითებენ, როგორც დანაშაულის ჩამდენზე; ექვმიტანილზე ან მის ტანსაცმელზე, მასთან ან მის ბინაში აღმოჩენილი იქნება დანაშაულის აშკარა კვალი, სხვა მონაცემების არსებობის შემთხვევაში, თუ იგი გაქცევას ცდილობდა ან როდესაც მას არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან არ არის დადგენილი ექვმიტანილის ვინაობა. და-

კავების შესახებ დგება ოქმი, რაც ეცნობება (24 საათის განმავლობაში) პროკურორს. პროკურორი მიიღებს რა ამის შესახებ შეტყობინებას, იგი 48 საათში ან გასცემს სანქციას ან გაანთავისუფლებს დაკავებულ პირს. დაკავებული პირი უნდა დაიკითხოს 24 საათში დაკავების მომენტიდან. დაკითხვის ოქმში აღინიშნება არა მარტო ის, რომ ექვემტანილს განემარტა უფლებები, არამედ ისიც თუ რაშეა იგი ექვემტანილი...

ექვემტანილის ჩვენება იმით ემსგავსება ბრალდებულის ჩვენებას, რომ ექვემტანილიც თავს იცავს იმ ბრალდებისაგან, რომლის ჩადენაში ექვემტანილია იგი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ექვემტანილის ინსტიტუტი (იქამდე, სანამ იგი იარსებებს) მკვეთრად უნდა იქნას პრაქტიკულ საქმიანობაშიც გამიჯნული „ბრალდებულისაგან“ და არამც და არამც არ შეიძლება ხელაღებით პიროვნების ექვემტანილად დაკითხვა, რაკი არ არსებობს მისი ბრალის დამადასტურებელი საფუძველი. შეუწყნარებელია აგრეთვე ბრალდების წარდგენის მომზადების საბაბით პიროვნების ექვემტანილად დაკითხვა. ასეთ შემთხვევაში მართლაც რომ მიეცემა უკანონობას და თვითნებობას უსაზღვრო გასაქანი. პრაქტიკაში უკანონობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ექვემტანილს. ზოგჯერ არ აცნობენ სრულად იმ მასალებს, რომლებიც საფუძველად ედება დანაშაულის ჩადენაში მისი მონაწილეობის ეჭვებს. მართალია, როდესაც ექვემტანილს არა აქვს შერჩეული აღკვეთის ღონისძიება და არც დაკავებულია იგი, მას, როგორც ექვემტანილს, ჰკითხავენ ბრალდების წარდგენამდე, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს- ის კანონი, რომელითაც პირი შეიძლება ჩაითვალოს ექვემტანილად (რასაც სამწუხაროდ ყოველთვის არ ეწევა ანგარიში პრაქტიკაში). როდესაც მოკვლევის ან გამოძიების დროს აღარ არის საფუძველი პირის ექვემტანილად ცნობისათვის, ცნობილია, იგი შეიძლება დაიკითხოს მოწმედ, თუ მის ჩვენებას მნიშვნელობა ექნება საქმისათვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიმართ დადასტურდება ბრალი, მას ჩვეულებრივად წარედგინება იგი და დაიკითხება ბრალდებულად. მაშასადამე, იმ პირს, რომელიც მოკვლევის ან წინასწარ გამოძიების დროს დაკითხული იყო ექვემტანილად, კანონის შესაბამისად, სასამართლო დაკითხავს მოწმედ ან ბრალდებულად, თანაც დასაშვებია ექვემტანილის ჩვენების გამოქვეყნება, თუ საპატიო მიზეზით შეუძლებელია მისი დაკითხვა (ბრალდებულად, მოწმედ) სიკვდილის ან მძიმე ავადმყოფობის გამო.

ექვემიტანილის ჩვენების შეფასება უნდა მოხდეს ისევე, როგორც სხვა დამამტკიცებელი საბუთებისა. გასათვალისწინებელია ექვემიტანილის ჩვენების ფსიქოლოგია: ჩვენების მოტივები, მიზნები და სხვა. სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. ვფიქრობთ, კანონით არ უნდა იყოს დაშვებული ექვემიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევა და მით უმეტეს დაპატიმრება. როგორც ცნობილია, საკმაოდ ხშირი შემთხვევაა, როდესაც ბრალდების წაყენებისთვის მომკვლევნი ან გამოძიებელი ვერ პოულობს საფუძველს და, მაშასადამე, სრულიად უკანონოდ ათავსებენ პიროვნებას საპატიმროში 10 დღე-ღამის განმავლობაში. ეს არის ისეთი სულიერი ტრავმა უდანაშაულო ადამიანისათვის, რომელსაც ველარაფერი გამოასწორებს. აღკვეთის ღონისძიება შეეფარდება ხოლმე ბრალდებულს მას შემდეგ, როდესაც წაუყენებენ ბრალდებას და დაკითხავენ; ამასთან ყოველად გაუმართლებელია ბრალდებულის მიმართ უსაფუძვლოდ პატიმრობის შერჩევა. ხოლო მაშინ, როდესაც ექვემიტანილის შესახებ არის ლაპარაკი, ყოველთვის არის მოსალოდნელი უკანონობა მისი პატიმრობაში აყვანის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, სააღბათოდ პირის დაპატიმრება, რომ შესაძლოა დადასტურდეს მის მიერ დანაშაულის ჩადენა, აღკვეთილი უნდა იქნას, როგორც გაუმართლებელი და სახიფათო ღონისძიება. ექვემიტანილი, ცხადია, მიზანშეწონილია დაკავებული იქნას კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მაგრამ აქაც უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ დაკავებულის საპატიმროში მოთავსება კანონითვე დასაწყველად უნდა იქნეს გამოცხადებული. დაკავებული შეიძლება მოთავსდეს მილიციის სამორიგოში, ან სპეციალურად განკუთვნილ ოთახში, მეთვალყურეობით, სადაც შექმნილი იქნება ნორმალური პირობები ადამიანური ცხოვრებისათვის.

4. ბრალდებულის ჩვენება

ბრალდებულად ითვლება პირი იმ მომენტიდან, როდესაც იგი პასუხისგებაშია მიცემული. ბრალდებული, კანონის შესაბამისად, დაიკითხება ხოლმე პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში ჩამოყალიბებულ ბრალდებებზე და სხვა ყველა იმ გარემოებებზე, რაც ცნობილია ბრალდებულისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიროვნების პასუხისგებაში მიცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობენ უტყუარი მონაცემები, რომ დანაშაული ნამდვილად ჩადენილია და ისიც მოცემული პირის მიერ. არავითარი გამონაკლისი, სააღბათოდ ბრალდებულის წარდგენა გამორიცხ-

ხული უნდა იქნას ყველა შემთხვევაში; პირის, როგორც ბრალდებულის პასუხისგებაში მისაცემად შედგენილ დადგენილებაში მომკვლევი, გამომძიებელი მკაფიოდ უნდა აყალიბებდნენ, თუ სახელდობრ რომელი დანაშაული რა დროს, რა ადგილას, რა გარემოებებში და ვის მიერ იქნა ჩადენილი, დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე. კვლავაც ვიმეორებთ, რომ პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში დამამტკიცებელი საბუთების გვერდის ავლა ხელს უწყობს უკანონობას, ლახავს ბრალდებულის დაცვის უფლებას, რაკი ძნელია ჭეშმარიტ დაცვაზე ლაპარაკი იმ პირობებში, როდესაც არ ვამხელთ არგუმენტებს, რომლებზეც ემყარება ბრალდება... კანონში გათვალისწინებულია ბრალდებულისათვის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გაცნობაც და თანაც, თუ უარს განაცხადებს ბრალდებული ხელის მოწერაზე, რომ იგი გაეცნო დადგენილებას, ეს აღინიშნება ხოლმე დადგენილებაში და ეცნობება პროკურორს. დადგენილებაში უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ბრალდებულს განემარტა მისი უფლებები (რასაც აგრეთვე ხელს აწერს ბრალდებული). როდესაც წარედგინება ბრალდება, როგორც ცნობილია, საჭიროა მოხდეს ბრალდებულის დაუყოვნებლივ დაკითხვა (გამომძიებლის კაბინეტში, ბრალდებულის საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას). დაკითხვის დასაწყისში, წესით, გამომძიებელი ეკითხება ბრალდებულს ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ და ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ ისმენს მის თავისუფალ თხრობას ბრალდების ირგვლივ. კანონმდებელი მიუთითებს როგორც ბრალდებულის ჩვენებაზე, ისე განმარტებაზე. მ. ს. სტრაგოვიჩის სწორი შენიშვნით, ასეთი პირობითი განსხვავებულობა იმის შედეგია, რომ ბრალდებული არა მარტო იძლევა ცნობებს ფაქტებზე, არამედ ახსნის ხოლმე მათ, განმარტავს თავის დამოკიდებულებას ბრალდებასთან, იცავს თავს¹, არ უნდა იწვევდეს დავას, რომ ბრალდებულის მიერ აღძრული შუამდგომლობა: სასამართლო კამათში მონაწილეობის დროს მოყვანილი არგუმენტები; საბოლოო სიტყვა არ შეიძლება გათანაბრდეს მის ჩვენებასთან. იმისათვის, რომ ბრალდებულისაგან მივიღოთ ჩვენება (მტკიცებულება), საჭიროა იგი დაიკითხოს. როგორც წესი, დაკითხვის საგანს განსაზღვრავს პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება. როდესაც წინასწარი გამომძიების (მოკვლევის) დროს არასწორად არის განსაზღვრული ბრალდების შინაარსი, ცხადია, ამ შემთხვევაში დაკითხვის საგანი შეიცვლება სასამართლო გამომძიების დროს. არასწორად უნდა ჩაითვალოს .ლ. მ. კარნეევას მტკიცება, რომ თითქოს

¹ იხ. მისი კურსი, ტ. I, გვ. 414.

პასუხისგებაში მიცემის დადგენილება და საბრალდებო დასკვნა ასახავენ გამოძიების ორგანოების ვერსიას.¹ ასეთი დასკვნა სწორედ იმის შედეგია, რომ პასუხისგებაში მიცემის დადგენილება არ დასაბუთდება ხოლმე მტკიცებულებებით; მეორეს მხრივ, თუ ამ აზრს დაეთანხმებით, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ წინასწარი გამოძიების დროს გამოირიცხულია ქვეშაირიტების დადგენა, რაჟ, ვერსია არამც და არამც არ უტოლდება ფაქტის სარწმუნობას. მ. ს. სტროგოვიჩი სამართლიანად აკრიტიკებს ჩელცოვს, რომელიც არ ანიჭებს მტკიცებულებით მნიშვნელობას ბრალდებულის ჩვენებას, როდესაც იგი თავს არ ცნობს დამნაშავედ.² ცხადია, კანონი დამამტკიცებელ საბუთად ცნობს არა ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებას, არამედ მის ჩვენებას, რომელიც უნდა შეფასდეს ისე, როგორც სხვა მტკიცებულებანი. როდესაც მოტივის მტკიცებულებით მნიშვნელობას ვეხებოდით, 1963 წელს აღენიშნავდით, რომ ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვანაირი მოტივით. ამის მიხედვით ბრალდებულის ჩვენება, როგორც ფიზიკური მოქმედება, ფსიქოლოგიურად სხვადასხვა ქცევის ასპექტში უნდა იქნეს განხილული, ამავე საკითხს მიაქცევს ყურადღება მტკიცებითი თეორიის შესახებ მონოგრაფიის ავტორებმაც და სამართლიანად აღნიშნეს, რომ დანაშაულის ცრუ აღიარება (სრული, ნაწილობრივი) შეიძლება იყოს დაკავშირებული სასჯელის შიშთან, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მოთხოვნილებასთან, დამნაშავეის დაფარვის სურვილთან, ინტიმური მხარეების დაფარვის მოთხოვნილებასთან და სხვა. ცნობილია, „დანაშაულის აღიარება“ შესაძლებელია მუქარით, გამომძიებლის მიერ მოტყუებით და სხვა. ბრალდებულმა შეიძლება შეცდომით ცნოს თავი დამნაშავედ მაშინ, როდესაც მას ფაქტიურად არ ჩაუდენია დანაშაული. შეცდომას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბრალდებულის მიერ მოელენების არასწორი აღქმის გამო, ძლიერი აღელვების შედეგად და სხვა. უდანაშაულო ბრალდებულს შეუძლია არასწორი ჩვენება მისცეს იმის გამოც, რომ, მისი ფიქრით, სხვა გზით ვერ დააღწევს ბრალდებებს თავს. ბანალური ქვეშაირიტებაა, რომ თავისთავად ბრალდებულის სიცრუე არ ამტკიცებს მის ბრალს. ბრალდებულის დაკითხვის დროს (ისევე როგორც ექვმიტანილის, დაზარალებულის, მოწმის დაკითხვისას) გამოირიცხული უნდა იქნას ყოველგვარი ზემოქმედება და მათ შორის ფსიქოლოგიურიც. თანაც ჩვენ გაზვიადებულად მიგვაჩნია იმ ავტორთა დასკვნები (ა. რ.

¹ თეორია, გვ. 601.

² იხ. მისი ქუ რ ს ი, გვ. 416.

რატინოვი და სხვ.), რომლებიც უდანაშაულო ბრალდებულის მიერ დამნაშავედ თავის წარმოჩენას გამოძიებლისა და მოსამართლის შთაგონებითაც ხსნიან, მათი ავტორიტეტისა თუ გავლენის წყალობით. სამართლის საკითხების პროპაგანდის, ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით, ძნელად უნდა მოიძებნონ ადამიანები, რომლებიც ვერ გაარჩევენ სიკეთეს ბოროტებისაგან... ამას გარდა, როგორც ცნობილია, დამნაშავენიც (რომელთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა) თვითონვე ცდილობენ შეისწავლონ კანონები. უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ აღვნიშნავთ ზოგიერთი გამოძიებლის (მოსამართლის) მიერ ბრალდებულის მოტყუების ან შეცდენის შემთხვევებს. პრაქტიკაში იდგილი აქვს ერთი და იგივე ბრალდებულის მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემის შემთხვევებსაც. ეტყვათ, ბრალდებული თავს ცნობს დამნაშავედ წინასწარი გამოძიების დროს, ხოლო სასამართლოში უარყოფს დანაშაულის ჩადენას. ასეთ შემთხვევებში, უდავოა, არც ერთ მათგანს არ ენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა იქამდე, სანამ არ გაიჩვენება არა მარტო ამ წინააღმდეგობის მიზეზები, არამედ ისიც, თუ რომელი მათგანი ასახავს სინამდვილეს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილი იქნებოდა ბრალდებულის დაკითხვაც წინასწარი გამოძიებისას ჩატარებულიყო თანამოწმეთა შონაწილეობით.

ცალკე ყურადღებას იპყრობს ბრალდებულის მიერ დანაშაულის გულახდილი მონანიება, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში (თუ დანაშაული არ არის მეტად მძიმე) ბრალის აღიარებით გამოცხადებასთან ერთად, კანონმდებელი შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევს როგორც ლიტერატურაშიც არის შენიშნული, დამნაშავის ყოველგვარი აღიარება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მის გულახდილ მონანიებად. აქ მხედველობაშია მისაღები ზემოქმედების გარეშე აღიარება იმის გათვალისწინებითაც, დანაშაულის ჩადენის ფაქტი ისედაც ნათელია თუ არა იმ დროს, როდესაც თვით დამნაშავე კიცხავს თავის თავს ჩადენილი ქმედობისათვის, როდესაც იგი ნანობს იმას, რაც გააკეთა. ცხადია, უტაქტო და უკანონო მოქმედებად უნდა ჩაითვალოს, თუ გამოძიებელი მოტყუებით ბრალდებულს შეჰპირდება სასამართლო შემამსუბუქებლსა სასჯელს დანაშაულის აღიარების შემთხვევაში და ამ გზით მიაღწევს კიდევ - აღიარებას. როდესაც ბრალდებული წინასწარი გამოძიების დროს მეორედ დაკითხვისას ცვლის თავის ჩვენებას, კანონით საჭიროა აქაც ჭერ ტქმში იქნას შეტანილი მისი თხრობის შინაარსი და მერე მიეცეს კითხვები (დამაზუსტებელი, საკონტროლო, შემავსებელი, შემახსენებელი). დაკითხვის წინ ბრალდებულისათვის კითხვის მიცემას — ცნობს თუ არა

იგი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ, ამართლებენ მისი პროცესუალური მდგომარეობით და, დაცვის უზრუნველყოფის თეალსაზრისით; სინამდვილეში ბრალდებული, რაკი ეცნობა ბრალდების შინაარსს, ცხადია, იგი ჩვენებაში გამოხატავს თავის პოზიციას და სწორედ ამ ჩვენებითვე იცავს თავს წარდგენილი ბრალდებისაგან. დაკითხვის დაწყებამდე კი ზოგჯერ ბრალდებულს არც აქვს ნათლად გარკვეული საკუთარი დამოკიდებულება ბრალდებისადმი. აღსანიშნავია ლიტერატურაში დაშვებული ზოგიერთი სხვა წინააღმდეგობანიც, მაგალითად, ლ. მ. კარნიევა ბრალდებულისათვის მტკიცებულებათა ერთბაშად წარდგენის წინააღმდეგია იმ მოტივით, რომ თითქოს ამით საშუალება გვეძლევა ობიექტურად შევაფასოთ ბრალდებულის (ექვმიტანილის) ჩვენების სისწორე, მისი იმ მტკიცებულებებთან შეფარდებით, რომელთა შესახებ ჯერ არ იცის დასაკითხმა. ავტორის აზრით, ამით გამორიცხული იქნება ბრალდებულის მიერ მოვლენის დეტალების მისადაგება იმ მასალებთან, რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის მასალების გაცნობისას.¹ ვფიქრობთ, ამ მსჯელობაში არაფერი არ არის დამაჯერებელი. ჯერ ერთი, ბრალდებულს შეუძლია სხვა გზითაც გაიგოს, თუ რა მასალები გააჩნია გამოძიებელს (შემთხვევის ადგილის დათვალიერების, დოკუმენტების გამოთხოვის შედეგად და სხვ.) და ამიტომ ბრალდებულის ჩვენების შეფასება იმის მიხედვით, თუ ის რამდენად ემთხვევა უკვე მოპოვებულ მასალებს,² ჰეშმარიტების საზომად ყოველთვის ვერ გამოდგება. ამას გარდა, ძნელი წარმოსადგენია ბრალდებულმა მტკიცებულებების გაცნობით უცბად გაიაზროს ლოგიკურად ისეთი ვერსიები, რომლებსაც ბოლომდე სინამდვილის ელფერი ექნება. სწორედ რომ ბრალდებული დაკითხვისათვის გამოძახების დროს წინასწარ ადგენს გეგმას ჩვენების მიცემის შესახებ, მას ჩვენების ფაბულა ხშირად დანაშაულის ჩადენისთანავე (ზოგჯერ იქამდეც) აქვს ხოლმე მოფიქრებული და როდესაც მომენტი დგება მისი დაკითხვისა, დამამტკიცებელი საბუთების გაცნობა, პირიქით, წონასწორობას აკარგვიანებს მას, თუ გამოძიებელს საკმარისი რაოდენობით აქვს ისინი შეგროვილი. ბრალდებულს უკვე უჭირს წინასწარ გააზრებული სიცრუის ახალი სიცრუით შეცვლა; განა თვითონ ლ. მ. კარნიევაც არ ამბობს ცოტა უფრო ქვემოთ, რომ ბრალდებულს „თვით დაკითხვის პროცესში უძნელდება ახალე დეტალების მოფიქრება“, რომ დასაკითხი წინააღმდეგობაში ვარდება და სხვა?³ ცხადია, როდესაც მტკი-

1 დასახ. თეორია, გვ. 620.

2 იქვე, გვ. 622.

3 იქვე, გვ. 622.

ცებულებებით დადასტურებული იქნება დანაშაული, დამნაშავე ველარ შეძლებს. გამოგონილი სიცრუე დაამსგავსოს სინამდვილეს, შეარჩიოს სინამდვილეში მომხდარი მოვლენებიდან ის, რის თქმაც ზიანს არ მოუტანს, მაგრამ დამაჯერებელს კი ვახდის სიცრუეს და სხვა. ამ გარემოებების დავიწყებით დაკითხვის ტაქტიკაზე ლაპარაკიც უსაგნოდ მიგვაჩნია. სიცრუედ არ შეიძლება ჩაითვალოს ცნობების გაუხმაურებლობა, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ფიქრობს (ლ. მ. კარნიევა). ყოველთვის არ არის საიმედო დაუჯეროთ ბრალდებულს აგრეთვე, როდესაც იგი მიუთითებს ისეთ დეტალებზე, რომლებიც შეიძლება ცოდნოდა მას დანაშაულის ჩადენის გამო; როგორც პრაქტიკა მოწმობს, არ არის გამორიცხული მისთვის ცნობილი იყოს ასეთი გარემოებანი სხვა წყაროებიდანაც. სამართალში მიცემულის დაკითხვა თავისებურად ითვლება იმდენად, რამდენადაც ამ მოქმედებაში მონაწილეობენ არა მარტო სასამართლოს შემადგენლობა, არამედ სახელმწიფო ბრალმძებელიც, დაზარალებულიც... ამავე დროს ისიც არის აღსანიშნავი, რომ ბრალდებულსაც თავის მხრივ შეუძლია მისცეს შეკითხვები მოწმეებს, ექსპერტებს, დაზარალებულებს, სხვა ბრალდებულებს... სასამართლოში ბრალდებულისაგან სწორი ჩვენების მიღების უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება, თუ შემცირდება დრო დანაშაულის ჩადენიდან სასამართლო-სამსჯავრო გამოძიებამდე.

ცალკე ყურადღებას იპყრობს ე. წ. გათქმა. გათქმა სისხლის სამართლის პროცესში ნიშნავს ბრალდებულის მიერ სხვა პირის მხილებას დანაშაულში. პრაქტიკაში ადგილი აქვს ხოლმე ცრუ გათქმას. ამიტომ საჭიროა სიფხიზლე, ხომ არ ამოძრავებს ბრალდებულს დანაშაული გადააბრალოს (მთლიანად ან ნაწილობრივ) მეორე ბრალდებულს (ან სხვა პირს). მ. ს. სტროგოვიჩი სამართლიანად არ ეთანხმება იმ ავტორებს, რომელთა ფიქრით (მ. მ. გროძინსკი, ი. ო. მოტოვილოვკერი და სხვ.), გათქმა უნდა ნიშნავდეს მხოლოდ ცრუ ჩვენებას ბრალდებულისას სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. დამაჯერებელია ის არგუმენტიც, რომ, თუ გათქმა უნდა ვუწოდოთ ისეთ ჩვენებას, რომლის სიცრუე უკვე დადგენილია (დაკანონებული განაჩენით), მაშინ გათქმის ცნებაც მოკლებულია პროცესუალურ საზრისს, რაკი ჰკარგავს მტკიცებულებით მნიშვნელობას.¹ თითქმის უდავოდ ითვლება, რომ ბრალდებულის ცრუ ჩვენება-გათქმა — უდანაშაულო პირის დადანაშაულების ფორმით არამც და არამც არ შეფასდება როგორც ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის

¹ იხ. მისი კ უ რ ს ი, გვ. 428.

დამადასტურებელი გარემოება. სადაეო საკითხს წარმოადგენს ბრალდებულის (ექვმიტანილის) ჩვენების ადგილზე შემოწმება. მ. ს. სტროგოვიჩის მართებული შეხედულებით, დაუშვებლადაა მიჩნეული ბრალდებულის მიერ უკვე მიცემული ჩვენების შემოწმება ადგილზე, როდესაც შემთხვევის ადგილის დათვალიერება ჩატარდა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე. ამ შემთხვევაში არ არის გამოტყვევებული ბრალდებულმა დადასტუროს ადგილზე ისეთი ფაქტები, რომლებზედაც გაგებული ჰქონდა სხვადასხვა წყაროებით. ამას გარდა, ცნობილია, რომ, თუ ცალკე განვიხილავთ შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის მიერ მოწვედილ ცნობებს, იგი უტოლდება დამოუკიდებელ ჩვენებას, რომელიც მოითხოვს დაკითხვის ოქმში გაფორმებას. მაგრამ რაც შეეხება შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ბრალდებულის მონაწილეობას — ეს დასაშვებია კანონითაც და პრაქტიკაშიც მას ხშირად აქვს ადგილი. ამ თვალსაზრისით, არც თუ ისე საფუძვლიანია ჩვენების ადგილზე შემოწმების ცალკე საგამოძიებო მოქმედებად მიჩნევა. როგორც ცნობილია, შემთხვევის ადგილის დათვალიერება უმეტეს შემთხვევაში ხდება პროცესში მონაწილე პირთა დაინტერესებით, ან სხვა მოქალაქეთა შეტყობინების საფუძველზე. თუ, მაგალითად, დაზარალებული (ან ბრალდებულის) დაკითხვის დროს მიუთითებს ისეთ გარემოებაზე, რომელიც მოითხოვს ადგილზე შემოწმებას და ამასვე შუამდგომლობს დასაკითხი პირი, ცხადია, ამ მოქმედების უზრუნველყოფას შეიძლება ეწოდოს კანონიერად მხოლოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერება, თუ იგი ჩატარდება თანამოწმეთა დასწრებით და სათანადო წესების დაცვით. მართალია, შემთხვევის ადგილზე ჩვენების შემოწმება გათვალისწინებული არის ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით (ლიტვა, ლატვია, 'ყაზახეთი...), მაგრამ მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის თუ ბრალდებულის მონაწილეობით შემთხვევის ადგილზე გასვლა მათი ჩვენებების შემოწმების ან დაზუსტებისათვის — უნდა გულისხმობდეს დათვალიერებას, როგორც საგამოძიებო მოქმედებას (მ. ს. სტროგოვიჩი).

† არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვაზე საკმაო ლიტერატურაა შექმნილი. როგორც ეს ყველგან ხაზგასმულია, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას დასაკითხი პირის ასაკობრივი მდგომარეობა, მისი ფსიქოლოგიური სიმწიფე; ჩვენების შეფასებისათვის ამ გარემოებათა გათვალისწინებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ დაკითხვის დროს სავალდებულოა პედაგოგის ან მშობლის დასწრება. ფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა სპეციალისტის სახით დაკითხვის დროს მონაწილეობა მიეღო ფსი-

ქოლოგს, რომელიც დახელოვნებულია ბავშვთა ფსიქოლოგიაშიც ეს-
 მით უფრო საჭიროა თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ფსიქოლოგიის
 მიღწევები საკმაოდ საგრძნობია და თანაც ცალკეც ისწავლება კრი-
 მინალური (სასამართლო) ფსიქოლოგია, რომელიც მოიცავს არა-
 სრულწლოვან დამნაშავეთა ქცევის ფსიქოლოგიურ კანონზომიერე-
 ბასაც. ლიტერატურაში რეკომენდებულია აგრეთვე ბრალდებულის
 ჩვენებების ფიქსირება მოხდეს გამომძიებლის მიერ და მხოლოდ
 ბრალდებულის თხოვნის საფუძველზე ნება დაერთოს მას თვითონ
 ჩაწეროს თავისივე ჩვენება.¹ ვფიქრობთ, ეს დებულება ვერ გამოირ-
 ჩევა თანმიმდევრობით, რადგან ისიც არის აღნიშნული, რომ ბრალ-
 დებულის ჩვენებაში შენარჩუნებული იქნეს დასაკითხი პირის ენო-
 ბრივი თავისებურებანი, მისი მოყოლის მანერა და სხვა. ყოველივე
 ამ წესების დაცვა რომ გამომძიებელს არ ძალუძს, ამასვე მეტყველებს
 საგამომძიებო პრაქტიკაც; არ არის დასამალი, რომ ბრალდებულთა
 დაკითხვის ოქმები ერთნაირი სტილით არის ხოლმე შედგენილი,
 განურჩევლად ბრალდებულის საქმიანობის ხასიათისა და განათლე-
 ბისა. ოქმების მიხედვით, ბრალდებული წერა-კითხვის მცირე მცოდნე
 მტვირთავი ისეთივე ფორმით გადმოსცემს ჩვენებას, როგორც უმა-
 ლესი განათლების ფილოლოგი, ან სხვა დარგის სპეციალისტი და
 ა. შ. მაშასადამე, თვითონ ეს ფაქტიც ნათლად ადასტურებს აუცი-
 ლებლობას ყველა შესაძლებელ შემთხვევაში ბრალდებულმა თვითონ
 ჩაწეროს თავისი ჩვენება, განურჩევლად იმისა — სურს თუ არა მას
 ეს; ასეთ პირობებში, უეჭველად თავისუფალი თხრობის დამთავრე-
 ბის შემდეგ, ჩვენების ჩაწერისთანავე გამომძიებელი ოქმში ჩააწერი-
 ნებს საჭირო კითხვასაც, რომელზედაც უნდა გასცეს პასუხი ბრალდე-
 ბულმა (ასევე გაფორმდება მომდევნო კითხვა — პასუხი და ა. შ.).
 ვფიქრობთ, დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული ბრალდებულთან
 ყოველგვარი შედაცვა იქამდე, სანამ ბრალდებულის მიერ მიცემუ-
 ლი ჩვენება არ გაფორმდება სათანადოდ ოქმში² ჭეშმარიტების დად-
 გენისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ბრალდებუ-
 ლის (ასევე მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანლის) ჩვენების
 მაგნიტოჩანაწერს. როგორც ცნობილია, ამის შესახებ საკითხი დაისვა
 თითქმის მაშინვე, როდესაც მაგნიტოფონი იქნა გამოგონილი, მაგრამ
 დღემდე სრულად მაინც ვერ არის მოწესრიგებული მისი გამოყენება
 როგორც კანონმდებლობით, ისე პრაქტიკაში. მაგნიტოფონზე ბრალ-
 დებულის ხმის ჩაწერას კი აუცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს,
 რაკი ამ შემთხვევაში სრული შესაძლებლობა იქმნება ფიქსირებული

¹ თეორია, გვ. 621.

იქნას არა მარტო ჩვენების შინაარსი, არამედ ხმის ინტონაცია და სხვა... ხმის ჩაწერის პროცესში თანამოწმეთა მონაწილეობის მნიშვნელობაც არ უნდა იწვევედეს დავას./

6. მესამეობის მახასიათებელი

ექსპერტის დასკვნას განსაკუთრებული სახის მტკიცებულება-საც უწოდებენ (მ. ს. სტროგოვიჩი და სხვ.), თუმცა ასეთ შეფასებას ყველა დამამტკიცებელი საბუთი იმსახურებს, რაკი დამოუკიდებლად ვერც ერთ მათგანს ვერ ჩაეთვლით, თუ ისინი არ ხასიათდებიან მხოლოდ საკუთარი ნიშან-თვისებებით. კანონის თანახმად, პროკურორის, მომკვლევის, გამოძიებლის, სასამართლოს მიერ შეიძლება ექსპერტად დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს მეცნიერული, ტექნიკური ან სხვა სპეციალური ცოდნა, რაც გამოიყენება გამოძიების პროცესში წამოჭრილ არაიურიდიული საკითხების გადასაწყვეტად... კანონით, ექსპერტიზის ჩატარების შესახებ საჭიროა გამოტანილ იქნას სათანადო დადგენილება (ან განჩინება), სადაც აღინიშნება ექსპერტიზის ჩატარების საფუძვლები, ვინ უნდა ჩაატაროს ექსპერტიზა (პიროვნება ან დაწესებულება) და ის კითხვები, რომლებიც უნდა გადაწყდეს საექსპერტო გამოკვლევით. გამოძიებელს (მომკვლევს) უფლება აქვს დაესწროს ექსპერტიზის ჩატარებას; გვამის გაკვეთასთან დაკავშირებულ სამედიცინო ექსპერტიზის დროს კი მისი დასწრება აუცილებლად არის მიჩნეული. ექსპერტს კანონით უფლება აქვს: გაეცნოს საქმის საჭირო მასალებს, მოითხოვოს დამატებითი მასალები, დაესწროს საგამოძიებო მოქმედების შესრულებას გამოძიებლის (მომკვლევის) ნებართვით და მისცეს შეკითხვები დასაკითხ პირებს, უარი თქვას დასკვნის მიცემაზე გარკვეულ პირობებში. სამედიცინო, ფსიქიატრიული, კრიმინალისტიკური და საბუღალტრო ექსპერტიზები, როგორც მიღებულია, უმთავრესად ტარდება საექსპერტო დაწესებულებებში. გამოძიებელი (მომკვლევით) მოტივირებულ დადგენილებას და მასალებს უგზავნის საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს — ეს უკანასკნელი კი ამ მასალებს გადასცემს სათანადო ექსპერტს (ექსპერტებს) და განუმარტავს მას მოვალეობებს.

გამოძიებელი კანონით უფლებამოსილია ექვემდებარებულ ან ბრალდებული მოათავსოს სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული დაკვირვებისათვის, საამისო საფუძვლის არსებობისას; ხოლო ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებაში ბრალდებულის ან ექვემდებარებულის მოათავსება, როდესაც ისინი არ იმყოფებიან პატიმ-

რობაში, შეიძლება მხოლოდ პროკურორის სანქციით (სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ვადა უთანაბრდება პატიმრობის ვადას). ცხადია, ექსპერტი დასკვნას იძლევა თავისი ცოდნის ფარგლებში. საექსპერტო დასკვნაში რეკომენდებულია აღინიშნოს არა მარტო ექსპერტის ვინაობა, შედარებითი გამოკვლევას აღვილი და დრო. არამედ ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, გადასაწყვეტი საკითხები (საჭიროებისამებრ ექსპერტის მიერ დაყენებული საკითხებაც), ექსპერტიზაში მონაწილენი, გამოსაკვლევნი და შესადარებელი მასალები, გამოკვლევის პროცესი. საექსპერტო აქტის დასკვნით ნაწილში კონკრეტული პასუხი უნდა იქნეს გაცემული ყველა კითხვაზე, რაზეც ხელს აწერს ექსპერტი (ექსპერტები). ექსპერტის დასკვნა, როგორც დამამტკიცებელი საბუთის სახე, ყოველთვის უნდა შეფასდეს პროკურორის, მომკვლევის, გამომძიებლის და სასამართლოს მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. აღნიშნული პირები კანონით უფლებამოსილნი არიან არ დაეთანხმონ ექსპერტს, უარყონ მისი მოსაზრებები, ოღონდ ეს უნდა დაასაბუთონ სპეციალური დადგენილებით, ან განჩინებით (განაჩენით). როდესაც პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევნი (სასამართლო) არ თვლიან დასკვნას სრულად, ან გასაგებად, მათ შეუძლიათ დანიშნონ დამატებითი ექსპერტიზა, რომლის ჩატარება, როგორც წესი, დაევალება ხოლმე იმავე ექსპერტს. ზოგიერთ საექსპერტო დასკვნას კი დაუსაბუთებლად ან, საექვო გარემოებათა გამო, არასწორად თვლიან და ატარებენ განმეორებით ექსპერტიზას უექველად სხვა ექსპერტის (ექსპერტების) მეშვეობით. ცნობილია, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც არ არის სავალდებულო პროკურორმა, გამომძიებელმა, მომკვლევამ (სასამართლომ) დააყენონ საკითხი განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, თუ არსებობს შესაძლებლობა სხვა მტკიცებულებებით გაირკვეს საქმის გარემოება. სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარება სპეციალურად არის გათვალისწინებული კანონით. კერძოდ, ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა შემდეგ შემთხვევებში: როდესაც საჭიროა სიკვდილის მიზეზის, სხეულის დაზიანების ხარისხისა და სიმძიმის დადგენა; თუ მომკვლევნი, გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო შეეჭვდებიან ექვემტანილის ან ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობით და უნდა გამოირკვეს რამდენად ისინი შერაცხადნი არიან, თუ საჭიროა მოწმის, დაზარალებულის ფსიქიკური ან ფიზიკური მდგომარეობის გამოკვლევა საექვო გარემოებათა გამო — რამდენად სწორად აღიქვამენ ისინი მოვლენებს; დაბოლოს, დოკუმენტის აზარსებობის შემთხვევაში, როდესაც საქმისათვის.

საჭიროა ექვემდებარების, ბრალდებულის და დაზარალებულის ასაკის დადგენა.

ექსპერტის დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის სასამართლოში განხილვისას. ექსპერტი სასამართლოშიც გარკვეული უფლებებით სარგებლობს. იგი, კანონის თანახმად, მონაწილეობას ღებულობს დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაში, რამდენადაც ეს საჭიროა სწორი დასკვნის მიცემისათვის (სასამართლოს ნებართვით შეკითხვებს აძლევს დასაკითხ პირებს); შემოღებული წესის მიხედვით, სასამართლოში ექსპერტიზის დანიშვნისათვის პროცესში მონაწილე დაინტერესებული პირები ადგენენ ექსპერტისათვის შეკითხვებს, რაც მსჯელობის საგნად ხდება, ამის შემდეგ სასამართლო ღებულობს გარკვეულ გადასაწყვეტ კითხვებს.)

ექსპერტიზის შესახებ უამრავი ლიტერატურაა შექმნილი. დაწერილია დისერტაციები, მონოგრაფიები, უთვალავი სტატიები... კრიმინალისტიკაში გაფორმებულ დისერტაციების. უმრავლესობა სწორედ ექსპერტიზებს შეეხება და თანაც ყველგან ლაპარაკია ამავე დროს ექსპერტიზის პროცესუალურ საკითხებზეც. ბევრ მათგანში ხელახლაა პრობლემად წამოწეული ისეთი საკითხები, რომლებიც უკვე ბანალობაა და ლიტერატურაშიც კარგა ხანია დამკვიდრებულია... სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის დადგენილება („სსრკ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1971 № 8, გვ. 10), მაგალითად, კრძალავს განაჩენი დაეფუძნოს ექსპერტის სააღბათო დასკვნას. ეს სრული ქეშმარიტებაა და გასაგები უნდა იყოს ყველა მოსამართლისათვის: აბა როგორ შეიძლება ვარაუდის მიხედვით კატეგორიულად გადაწყდეს საქმის ბედი, ან განა წარმოსადგენია თუნდაც ისეთი მსაჯული, რომელიც ვერ გაარჩევს ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილებით, რომ მართო მისმგავსებით დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლება? განა საბუთი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც რაიმეს დადასტურებისათვის არ არის გამოსაყენებელი? არავითარ თეორიულ პრობლემას ექსპერტის სააღბათო დასკვნა არ წარმოადგენს. უკვე დიდიხანია, რაც ყველაფერი ნათქვამია ამის შესახებ. დღეს ვერც ერთი საღად მოაზროვნე თავს ვერ გამოიდებს, ვერ შეუდგება იმის უარყოფას, რომ ალბათური დასკვნა არ შეიძლება იყოს მტკიცებულება. მაგრამ აქ ლაპარაკი უნდა იყოს არა მეცნიერულ სიბრტყეზე, არამედ ყოველდღიურ ბანალურ მოვლენებზე; საკითხი ასე უნდა იქნეს დაყენებული — როდის ან ვის აეკრძალა ვარაუდის წამოკრა?

თუნდაც თვით მეცნიერული კვლევის დროს შეიძლება მოვითხოვოთ, რომ მხოლოდ კატეგორიული დასკვნის გამოყენებით იაზროვნოს მკვლევარმა? ან იქნებ გამომძიებელსაც აეკრძალოს ვარაუდებით სარგებლობა? (განა გამოძიება ვარაუდების წამოჭრისა და მათი გადაწყვეტის პროსპექტულობით არ შეიძლება დახასიათდეს ქეშმარიტების დადგენამდე?). არ ეკრძალება ვარაუდი რომ გამოთქვას მოწმემ (დაზარალებულმა...) ამა თუ იმ მოვლენის შესახებ (ვთქვათ, დაზარალებული ვარაუდობს, რომ თავდამსხმელი მისი მეზობელი უნდა ყოფილიყო, რადგან მას მიაშვავსა გარკვეული ნიშნებით). ადამიანები ვარაუდებზეც ამყარებენ თავიანთ მომავალს და სხვ. მაშასადამე, თუ არავის ეკრძალება ვარაუდების დასახვა (რაკი ასეთი აკრძალვა აზროვნების აკრძალვასაც ნიშნავს გარკვეული თვალსაზრისით), რატომ მაინცდამაინც ექსპერტს უნდა დაეკისროს არაბუნებრივი ვალდებულება, რომ არაფერი თქვას, თუ სავარაუდო აზრები გაუჩნდება? ვფიქრობთ, ასეთი აკრძალვა არცერთი კანონით არ შეიძლება, სხვა საქმეა, რომ ალბათობა არ იქნეს არეული კატეგორიულობაში, რაც ნორმალურად განვითარებულ ადამიანებში წარმოუდგენელიცაა. ამიტომ იმთავითვე გარკვეული იყო, რომ ექსპერტი გამოკვლევის შედეგად იძლევა ან კატეგორიულ, ან ალბათურ დასკვნას (როდესაც თვითონ მეცნიერული დებულებაა ალბათური, ან გამოსაკვლევი საგანი თუ დოკუმენტი არ შეიცავენ მკაფიოდ საკმარის ნიშნებს). ზოგჯერ კი ექსპერტი უარსაც აცხადებს დასკვნის მიცემაზე, თუ არ არსებობს საერთოდ საიდენტიფიკაციო ნიშნები, მეცნიერებაში არ არის შემუშავებული რაიმე მეთოდი, დაყენებული საკითხის გადასაწყვეტად და სხვა. მართალია, როდესაც გამომძიებელი (მომკვლევნი, სასამართლო) ნიშნავს ექსპერტიზას, მას უკვე აქვს გარკვეული ვარაუდი ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისათვის (საგამომძიებო მასალების საფუძველზე), მაგრამ იგი არ შეიძლება გაუტოლდეს ექსპერტის ვარაუდს, რომელიც შეიქმნება ზოლმე მხოლოდ მიღებული მასალების გამოკვლევის შედეგად. როდესაც ექსპერტის ვარაუდი ემთხვევა ექსპერტიზის დამნიშვნელის ვარაუდს — ეს კიდევ უბიძგებს ამ უკანასკნელს მეტი ყურადღება გაამახვილოს გარკვეული მიმართულებით, რომ არ დარჩეს არც ერთი გარემოება შეუსწავლელი. ექსპერტიზასთან დაკავშირებით რაკი უამრავი ლიტერატურა შეიქმნა, მოხდა ის, რომ ზოგიერთი ავტორის (ავტორთა) მიერ მეცნიერებაში დაუსაბუთებლად შემოტანილი დებულებანიც უკვე სადავო „პრობლემების“ სამოსელში გაეხვივნენ (გაჩნდნენ მომზრენიც და მოწინააღმდეგენიც) და დღემდე ველარც ხერხდება მათგან თავის დაღწევა. ერთ-ერთ ასეთ საკითხად შეიძლება დავასახელოთ ექსპერ-

ტიზის ჩატარება მხოლოდ საქმის მასალების მიხედვით. რ. ს. ბელკინი, ი. ლ. პეტრუხინი და სხვანი დღესაც იტყვიან იმ პოზიციას, რომ შესაძლებელია ჩატარდეს ექსპერტიზა, მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის ჩვენებების საფუძველზე, ვთქვათ, ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის გამოსარკვევად, დანაშაულის ჩადენის დროს და სხვა.¹ ავტორები ელავებიან მ. ს. სტროგოვიჩს და მ. ა. ჩელცოვს, რომლებიც კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან ასეთი სახის ექსპერტიზისა. აქ შეიძლება ხაზი გაესვას შემდეგ გარემოებას: უპირველესად, ავტორები წინააღმდეგობაში ვარდებიან ექსპერტის მიერ კომპეტენციის გადამეტების დაუშვებლობასთან დაკავშირებით. ერთგან ისინი შენიშნავენ: ბრალდებულის, ექვემდებარებულის, დაზარალებულის მიერ ექსპერტისათვის მოწოდებული ანამნეზური მონაცემები აუცილებელია დასკვნის შედგენისათვის; თანაც თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული პირობის დიდ დანერგვებულობას ავადმყოფობის დადგენის თუ უარყოფის მხრივ, გასაგები ვახდება, რომ მათი ცნობები მოითხოვენ გულმოდგინე შემოწმებას, ვიდრე ექსპერტის დასკვნას დაედებოდნენ საფუძველად. ხაერთო წესით, ეს შემოწმება უნდა მოახდინოს იმ ორგანომ, რომელიც აწარმოებს საქმეს, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით. (ხაზი ჩვენია — ბ. ხ.).²

შეუდრამად უნდა ჩაითვალოს ავტორთა ის მსჯელობა, რის მიხედვითაც, თითქოს არაა საჭირო საგამოძიებო მოქმედებით შემოწმდეს მხოლოდ ისეთი მონაცემები, რომლებსაც აცნობებს ექსპერტს ბრალდებული, დაზარალებული და ა. შ. და ისინი პოეებენ საკმარის დადასტურებას საექსპერტო გამოკვლევის ობიექტურ მონაცემებში.³ გაურკვეველია, როდის აქვთ მოხდა ჩვენებების ისეთი კლასიფიკაცია, რომ ერთნი მოითხოვენ შემოწმებას, მეორენი კი — არა. ან თვითონ „საექსპერტო გამოკვლევის, ობიექტური მონაცემები“ აპრიორულად შეიძლება მიღებულ იქნან უტყუარ ფაქტებად? დამამტკიცებელი საბუთების შეფასებისადმი სწორედ ასეთი ზერელე დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას ექსპერტიზის ჩატარების დაშვება საქმის მასალების მიხედვით. კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ საგამოძიებო მასალები (მტკიცებულებანი) განუწყვეტლივ შეფასებას ექვემდებარებიან იქამდე, სანამ გამომძიებლის მიერ არ შეწყდება წარმოება ან სასამართლო არ გამოიტანს განაჩენს; და, აქედან გამომდინარე, რანაირად შეიძლება ექსპერტმა თავისი დასკვნა

¹ თეორია, გვ. 700—701.

² თეორია, გვ. 718.

³ იქვე.

დაამყაროს ჭერ შეუფასებელ მასალებზე (მტკიცებულებებსაც ხომ ვერ შეაფასებს იგი?). მართალია, პრაქტიკაში წამოიჭრება ხოლმე აუცილებლობა გადაწყდეს ისეთი საკითხი, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, ვთქვათ, ავადმყოფობის მიმდინარეობის შესახებ და სხვა, მაგრამ რომელი სერიოზული ექსპერტი ითავებს თავისი დასკვნა დაამყაროს მხოლოდ სხვის მიერ მოწვედილ ცნობებზე? როგორც ცნობილია, დიაგნოზისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს ანამნეზურ მონაცემებს, მაგრამ არა გადაწყვეტი. აქ შეიძლება მხოლოდ ის აღინიშნოს, რომ გამომძიებელმა (სასამართლომ) მსგავს სიტუაციაში შეიძლება მიმართოს სპეციალისტს (ამ შემთხვევაში ექიმს) ცალკეულ მტკიცებულებათა შეფასების მიზნით სპეციალური საკითხების გარკვევისათვის, რაც, ცნობილია, დასაშვებია საქასაციო და საზედამხებდველო წარმოების პროცესშიც.

ვ. ა. პრიბუზოვა საჭიროდ თვლის ე. წ. საკონტროლო ექსპერტიზას, როდესაც საჭიროა ექსპერტიზა მესამედაც ჩატარდეს.¹ როგორც ცნობილია, ექსპერტის დასკვნას აფასებენ საგამომძიებო-სასამართლო ორგანოები და ისინივე უწევენ კონტროლს ექსპერტიზას, რის უფლებაც არა აქვს არც ერთ ექსპერტს, მიუხედავად მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა თუ განათლებისა. ასევე პროცესუალურად გაუმართლებელი უნდა იყოს ტერმინი „საკომისიო ექსპერტიზა“, რადგან თვითონ ეს სახელწოდება უკვე მიუთითებს არსებული ისაღმე კომისიის უზრუნველყოფას, ექსპერტის დასკვნის შემოწმებას კომისიის მიერ. მიზანშეწონილი იქნებოდა „საკომისიო ექსპერტიზის“ ნაცვლად გვეთქვა „კოლექტიური (ჯგუფური) ექსპერტიზა“, რაკი თავისი არსით ასეთი სახის ექსპერტიზა სწორედ რამოდენიმე ექსპერტის მონაწილეობას გულისხმობს და არა საექსპერტო აქტის კონტროლს, შეფასებას, რაც სასამართლო-საგამომძიებო ორგანოების ფუნქციას შეადგენს. ჩვენ სწორად მიგვაჩნია მ. ს. სტროგოვიჩის შეხედულება ე. წ. კომპლექსური ექსპერტიზის პროცესუალურად მიუღებლობის შესახებ. როდესაც, მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაულის საქმეზე დაინიშნება ხოლმე ერთდროულად ექსპერტებად ბუღალტერი, საქონელმცოდნე, ინჟინერი, აგრონომი... ისინი დასკვნის დროს იყენებენ თავიანთ სპეციალურ ცოდნას, მაგრამ დასკვნას ერთად აწერენ ხელს. ეს პრაქტიკა არაფრით არ არის გამართლებული, რადგან ექსპერტი ინდივიდუალურად პასუხისმგებელია თავის დასკვნაზე.² სხვათა შორის, კომპლექსურ ექსპერტიზასთან, ერთობ

¹ В. А. Прибузова, Заключение эксперта как доказательство в советском уголовном процессе, 1959, с. 145.

² დასახ. კურსი, გვ. 445.

არაპირდაპირი კავშირი აქვს საექსპერტო დაწესებულებაში სხვადასხვა დარგის ექსპერტების გაერთიანებას. ამ, თუ შეიძლება ითქვას, კომპლექსური საექსპერტო დაწესებულების შექმნის ინიციატივა წარმოიშვა სასამართლო ექსპერტიზების სსრ კავშირის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ კრიმინალისტიკის ინსტიტუტიც არსებობდა დამოუკიდებლად, სასამართლო-სამედიცინო მეცნიერულ დაწესებულებათა მსგავსად; მაგრამ ამჟამად კრიმინალისტიკას საექსპერტო ინსტიტუტებში და ლაბორატორიებში მხოლოდ „რიგითი წევრის“ ადგილი უკავია (იქ ტარდება კრიმინალისტიკური, ბიოლოგიური, საქონელმცოდნეობის, საბუღალტრო, ავტოტექნიკური... ექსპერტიზები). ცხადია, ყველა სახის ექსპერტიზას აქვს მეცნიერული საფუძველი, რომლის განვითარება სრულიადაც არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი სხვადასხვა დარგის სპეციალობა მოიყრის თავს ერთი შენობის კერქვეშ. ყველა სახის ექსპერტიზას აქვს საკუთარი გამოკვლევის მეთოდები და მეცნიერული პერსპექტივები. სხვადასხვა სახის ექსპერტიზებისათვის პროცესუალურ სტატუსს ქმნის პროცესუალური სამართალი და არა „ექსპერტიზების შესახებ მეცნიერება საერთოდ“, რომელიც არც შეიძლება არსებობდეს. ამიტომ გაუმართლებლად უნდა იქნეს მიჩნეული კომპლექსური ექსპერტიზაც, ისევე, როგორც „კომპლექსური საექსპერტო დაწესებულება“.

კანონით განსაზღვრულია სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების პირობები; მაგრამ სინამდვილეში, როგორც შეინიშნება, თითქმის ყოველთვის ტარდება ექსპერტიზა (ტრანსპორტის კატასტროფის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების შემთხვევებში და სხვ.), როდესაც საჭიროა სპეციალური ცოდნის გამოყენება და ეს ბუნებრივიცაა. ვფიქრობთ, უმართებულო იქნება არ ჩატარდეს ექსპერტიზა, მაგალითად, როდესაც ხელწერას უარყოფს სავარაუდო ავტორი და ამ დოკუმენტს მნიშვნელობა აქვს ჰეშმარიტების დადგენისათვის. პრაქტიკიდან ცნობილია განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობაც, კერძოდ, როდესაც ექსპერტიზის ჩატარებისას ადგილი ჰქონდა პროცესუალურ დარღვევას, არამეცნიერული მეთოდების გამოყენებას, ექსპერტის არაკომპეტენტურობას და სხვა. მ. ს. სტროგოვიჩის მართებული შენიშვნით, როდესაც გამოძიებელი აუცილებლად თვლიდა ექსპერტიზას და მის შედეგებს კი საფუძვლიანად არ ეთანხმება, მან უნდა ჩაატაროს ახალი ექსპერტიზა, თუ საქმე იგზავნება სასამართლოში, რომ ამ უკანასკნელს საშუალება მიეცეს ექსპე-

რტებს შორის შექმნილი წინააღმდეგობები: გამოკვლევისათვის¹ იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ექსპერტიზის საგანი დაკავშირებულია მტკიცების საგანთან, ობიექტის ხასიათთან, მეცნიერების განვითარების დონესთან. ამ ცნობილ დებულებას რ. დ. რახუნოვიც ემხრობოდა ჯერ კიდევ 1950 წელს (თავის ნაშრომში—ექსპერტიზის თეორია და პრაქტიკა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესზე). დიდი ხანია ცნობილია სიკვდილის დადგომის შემდეგ მიყენებული ჭრილობების შეცნობის შესაძლებლობანი, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ არ არსებობს ჭრილობა, რომლის მიყენება არ შეეძლოს თვითონ დაზარალებულსაც (სიცოცხლეში, რასაკვირველია).

ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა, რომ ექსპერტიზით დაუშვებელია გადაწყდეს ისეთი იურიდიული საკითხები, როგორცაა: განზრახვა, გაუფრთხილებლობა, და სხვა; აგრეთვე მიღებულად ითვლება, საექსპერტო დასკვნით არ შეიძლება დადგინდეს „დაზარალებულის სახის წარუხოცელი სიმახინჯე“, „ასტიკი მოპურობა“, „მკვლელობა“, „თვითმკვლელობა“, „უბედური შემთხვევა“, „შეუძლია თუ არა პირს აგოს პასუხი თავის მოქმედებაზე“ ... ეს საკითხები უნდა დაადგინოს გამომძიებელმა და სასამართლომ.² ჩვენ სწორად მიგვაჩნია მ. ს. სტროგოვიჩისა და სხვა ავტორთა შეხედულება, რომლებიც სამართლის ნორმას არ თვლიან ექსპერტიზის საგანად. ისიც უდავოდ გვეჩვენება, რომ ექსპერტიზის ჩატარების დროს თუმცა სარგებლობენ ნორმების მოთხოვნებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვით გამოკვლევის პროცესი, როგორც სპეციალური ცოდნის გამოყენება, შეიძლება შეიცვალოს ნორმის ანალიზით. მართალია, ექსპერტიზა ტარდება გამომძიებლის (სასამართლოს) დაუსწრებლად, მაგრამ, გამომძიებლის დაუსწრებლად მოხდება ზოლმე აგრეთვე საწინააღმდეგო სქესის მქონე პირის გასინჯვაც, მყვინთაუების მიერ მდინარის ფსკერის დათვალიერებაც და სხვა. ექსპერტის სპეციალისტისაგან განსხვავების შესახებ ლიტერატურაში პრინციპული წინააღმდეგობა არ შეიმჩნევა. სპეციალისტი ეხმარება გამომძიებელს მტკიცების პროცესში თავისი სპეციალური ცოდნის გამოყენებით (ყერძოდ, ამა თუ იმ საგამომძიებო მოქმედების ჩატარების დროს და ამ დახმარებას — სპეციალისტის რჩევას, მის შეხედულებას არ ანიჭებენ მტკიცებულებით მნიშვნელობას). გვამის დათვალიერების დროს კანონით აუცილებელია მონაწილეობა მიიღოს ექიმმა, როგორც სპეციალისტმა. იგი ამ დროს, რასაკვირველია, არავითარ

¹ სტროგოვიჩის დასახელებული კურსი, გვ. 450.

² იქვე, გვ. 440.

გამოკვლევას არ აწარმოებს. სპეციალისტ-კრიმინალისტის დახმარება გამომძიებელს აღარ დასჭირდება, თუ იგი ღრმად დაეუძულა ამ დარგში მეცნიერულ მონაცემებს. დათვალიერების ანალიზიურია გასინჯვა (თანამოწმებთან ერთად ზოგჯერ ექიმიც მონაწილეობს ხოლმე), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ მოქმედებით ვლინდება ადამიანის (ბრალდებული, ეჭვდებული, დაზარალებული, მოწმე) ორგანიზმის ნიშნები ან მის ტანზე დანაშაულის კვალი, რაც ფორმდება ოქმში ისე, როგორც სხვა საგამომძიებო მოქმედებისას. როგორც კი დაისმება საკითხი, ვთქვათ, სხეულის დაზიანების ხასიათის დადგენის შესახებ და სხვა, საჭიროა დაინიშნოს ექსპერტიზა (და არ დაეყმაცოფილდეთ გასინჯვით). ლიტერატურაში სამართლიანად არის დაგმობილი ა. ვ. დულოვის შეხედულება ექსპერტის დასკვნის ნაწარმოებ დამამტკიცებელ საბუთად მიჩნევის შესახებ¹. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ასეთი აზრი ეწინააღმდეგება თვით ნაწარმოები მტკიცებულების ცნებას, რაკი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ნაწარმოები მტკიცებულება ინარჩუნებს დამოუკიდებელ მნიშვნელობას პირვანდელის გვერდით, მაშინ როდესაც, თუ არ არის ჩატარებული ექსპერტიზა, ზოგჯერ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთიც კარგავს საზრისს. გაუგებრობის შედეგია აგრეთვე ა. დულოვის დებულება, თითქოს ექსპერტის დასკვნა ყოველთვის ემყარება საქმეზე უკვე შეკრებილ მტკიცებულებით მასალებს.² სინამდვილეში, როდესაც ექიმი-ფსიქიატრი იკვლევს პიროვნებას მისი შერაცხადობის საკითხთან დაკავშირებით, მასზე არ ამბობენ, რომ ეს დასკვნა ემყარება საქმეში შეკრებილ მტკიცებულებით მასალებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ექსპერტის დასკვნის შეფასება. ლიტერატურაში არ იწვევს დაეას, რომ ექსპერტიზა, რომელიც მოიცავს საექსპერტო დათვალიერებას, გარჩევითი შედარებით გამოკვლევას, საექსპერტო ექსპერიმენტს, შედეგების შეფასებასა და საბოლოო დასკვნებს, ფასდება გამომძიებლის (მომკვლევის, ან სასამართლოს) რწმენით. მართალია, ამჟამად სავსებით დაგმობილია, როგორც რევოლუციამდელი (ლ. ე. ვლადიმეროვის და სხვა), ისე საბჭოთა პროცესუალისტების (მ. ა. ჩელცოვის და სხვა) შეხედულებანი, რომლებიც უარყოფდნენ, როგორც წესი, ექსპერტის დასკვნის კრიტიკულად შეფასების შესაძლებლობებს გამომძიებლის ან სასამართლოს მიერ, მაგრამ სიძნელები რომ იქმნება ხოლმე ამ დარგში — ესეც ძნელია ხელაღებით უარყოთ. საექსპერტო დასკვნის შეფასების

¹ А. В. Дулов. Вопросы теории судебной экспертизы в советском уголовном процессе, 1969, с. 33.

² იქვე.

დროს ყურადღებას აქცევენ, თუ რამდენად შეეფერება დასკვნა დავალებას, დასკვნის სისრულეს და მეცნიერულ დასაბუთებას, სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან კავშირს, პროცესუალური წესების დაცვას... ამ თვალსაზრისითაც გასაგებია, ექსპერტი აღარ ითვლება არც „მეცნიერულ მოსამართლედ“ და არც მისი დასკვნაა მიჩნეული „მეცნიერულ განჩინად“; პროფესორ მ. ს. სტროგოვიჩის შეხედულებით, ექსპერტიზის ჩატარების აუცილებელი პირობაა როგორც ექსპერტის საკმაო კვალიფიკაცია, ისე საექსპერტო აქტის მეცნიერული დასაბუთება, სისრულე, ობიექტურობა, ექსპერტის მიუკერძოებლობა, იმ გარემოებათა გამორიცხვა, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედონ დასკვნაზე (ექსპერტად არ შეიძლება დაიშვან ისეთი პირები, რომლებიც სამსახურებრივ ან სხვა დამოკიდებულებაში იმყოფებიან ექვემდებარებულთან, ბრალდებულთან, დაზარალებულთან, სამოქალაქო მოსარჩლესთან, სამოქალაქო მოპასუხესთან, იმ პირებთან, რომლებმაც ჩაატარეს რევიზია, რომლებიც მკურნალობდნენ ავადმყოფს, დაზარალებულს — მკვლელობის ან სხეულის დაზიანების საქმეზე და სხვა)¹.

სასამართლოს შეუძლია არ დაეთანხმოს საექსპერტო დასკვნას, როდესაც: დასკვნა არასრულია, ან საექსპერტო მასალა უხარისხია; დასკვნის შედეგები არ არის დამაჯერებელი; არ არის საკმარისი მეცნიერული დარგის დონე, ან ექსპერტის კვალიფიკაცია; დარღვეულია აპროცესო წესები². რა თქმა უნდა, ექსპერტის დასკვნის შეფასებისათვის დასახელებული საშუალებანი პრაქტიკული გამოცდილების შედეგადაც არის მიღებული, მაგრამ ასევე ზოგჯერ პრაქტიკაში იწვევს ისეთი კოლიზიებიც, როდესაც დასკვნაც თითქოს სრულია, მასალაც ხარისხიანია, არც გამოკვლევის შედეგები ჩანს დაუჯერებლად, ექსპერტსაც აქვს საკმაო გამოცდილება, არ არის დარღვეული პროცესუალური წესები — დასკვნა კი, ბოლოსდაბოლოს, უსწორია. აქ მთავარი მიანიჭ. არის დასკვნის მეცნიერული მხარე, რასაც ყოველთვის უშუალოდ გამოიმძიებელი ან სასამართლო სრულად ვერ ჩასწვდება ხოლმე. დიდი მნიშვნელობა აქვს, ცხადია, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, გამოიმძიებლის (მოსამართლის) მიერ მეცნიერული ლიტერატურის გაცნობას, მაგრამ ამ გზით საფუძვლიანი ცოდნის მიღება სპეციალურ დარგში არ არის ადვილი. ექსპერტის დაკითხვა, მართალია, გარკვეულ სინათლეს მოჰყვანს ხოლმე დასკვნის შინაარსს, მაგრამ ამ შემთხვევაში ძირითადად ლაპარაკია იმ შედეგების გარშე-

¹ სტროგოვიჩის დასახ. კურსი, გვ. 442—443.

² იქვე, გვ. 447—449.

მო, რომლებსაც, ბუნებრივია, იცავს თვითონ ექსპერტი და ამიტომაც არ არის გამორიცხული სუბიექტური ფაქტორების ზეგავლენაც. დამატებით და განმეორებით ექსპერტიზებს. აქვთ თავიანთი დანიშნულებანი, რომლებსაც მთლიანად ვერ დაეფუძნება მათზე ადრე უკვე ჩატარებული ექსპერტიზების შეფასება. საქმე ის არის რომ განმეორებითი ექსპერტიზაც კი, რომელსაც სხვა ექსპერტი ატარებს, ისევე უნდა შეფასდეს, როგორც პირველადი ექსპერტიზა; როგორც იტყვიან, უპირატესობა ამ შემთხვევაში წინასწარ ვერცერთს ვერ მიენიჭება. ამ თვალსაზრისითაც ჩვენც გაუმართლებლად მიგვაჩნია, როდესაც განმეორებითი ექსპერტიზის დამოუკიდებელ საგნად პირველადი ექსპერტიზის შედეგების შემოწმებაა ხოლმე დასახული. ვფიქრობთ, ყველაზე უფრო ფართო გასაქანი უნდა მიეცეს საექსპერტო აქტის შეფასებისას მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის ჩაბმას; ამასთან, საჭიროდ მიგვაჩნია, სპეციალისტის მიერ საექსპერტო დასკვნისა და მასალების გაცნობის შემდეგ, მისი დაწვრილებითი დაკითხვა მოცემულ სფეროში მეცნიერების მიღწევების, გამოსაყენებელი მეთოდების ნაირსახეობისა და მათი ექსპერიმენტული შემოწმების შედეგების შესახებ და სხვა. სპეციალისტმა უნდა მიუთითოს თუ რომელ მეცნიერულ ნაწარმოებში არის გადაწყვეტილი კონკრეტული ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებული პრობლემები და რამდენად არიან ისინი გაზიარებული მეცნიერულ სამყაროში; სპეციალისტს უნდა მოეთხოვოს აგრეთვე სტატისტიკური მონაცემები (თუ ასეთი არსებობს) სამეცნიერო დაწესებულებებში კონკრეტული სახის ექსპერტიზების პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების წყაროების შესახებ; თუ სპეციალისტს მიაჩნია შესაფასებელი ექსპერტის დასკვნა დასაბუთებულად, რით შეიძლება იგი უფრო დამაჯერებელი გახადოს ყველასათვის...

გ. ნივთიერი მტკიცებადანი

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები ყოველთვის იპყრობდნენ ყურადღებას საგამომიებო სასამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით. ნივთიერ მტკიცებულებათა არსის შესახებ დაინტერესებული იყვნენ როგორც ბურჟუაზიული (ლ. ე. ვლადიმეროვი, ვ. კ. სლუჩევსკი, ი. ი. ფონინკი, ნ. ნ. როზინი...), ისე საბჭოთა პროცესუალისტები (მ. ს. სტროგოვიჩი, ს. ა. გოლუნსკი, ნ. ნ. პოლიანსკი, მ. ა. ჩელცოვი, მ. შ. გროძინსკი და სხვა).

საბჭოთა კანონმდებლობით განსაზღვრულია ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ცნება, მათი შენახვის წესები, ვადები და ის

ლონისძიებანიც, რომლებიც მიიღება ხოლმე ნივთიერ მტკიცებულებების მიმართ საქმის გადაწყვეტისას. კერძოდ, 'ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთად კანონმდებელი თვლის დანაშაულის ჩადენის იარაღს, ან ისეთ საგანს, რომელზედაც დატოვებულია დანაშაულის კვალი, არის ქმედობის ობიექტი, დანაშაულებრივი გზით შექმნილი ფული, სხვა ფასეულობა და ყველა სხვა საგანი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დანაშაულის გამოაშკარავებისა და დამნაშაის გამოძევების საშუალებად, ან ბრალდების უარყოფის, ბრალის შემსუბუქების საშუალებად. ნივთსაბუთი, კანონის თანახმად, დაწვრილებით უნდა აიწეროს დათვალიერების ოქმში, გადაეღოს მას ფოტოსურათი, როგორც ეს შესაძლებელია და დაერთოს საქმეს მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით, ან სასამართლოს განჩინებით და ინახებოდეს სისხლის სამართლის საქმესთან. ორგანოდან ორგანოში საქმის გადაცემისას ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებიც იგზავნება. ზოგჯერ შეიძლება ნივთსაბუთი პატრონსაც დაუბრუნდეს (თუ გამოძიებას ხელი არ შეეშლება. იმ შემთხვევაში, როდესაც საგნის სიდიდის ან სხვა მიზეზით არ შეიძლება მისი საქმესთან შენახვა, საჭიროა დაილუქოს, გადაეღოს ფოტოსურათი და ინახებოდეს იმ პირის მიერ მითითებულ ადგილზე, რომელიც პასუხისმგებელია საქმის წარმოებაზე.) ნივთსაბუთები ინახება განაჩენის დაკანონებამდე (საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილების, ან განჩინების გასაჩივრების ვადის გასვლამდე), აგრეთვე გადაწყვეტილების დაკანონებამდე, როდესაც საქმე განხილული იყო სამოქალაქო წესით ნივთზე საკუთრების უფლების სარჩელის სახით. ნივთიერი დოკუმენტები ინახება საქმის შენახვის ვადამდე (ან უბრუნდება დაინტერესებულ დაწესებულებას). სათანადო დაწესებულებას გამოსაყენებლად უმაღვე უნდა გადაეცეს ის ნივთები, რომლებიც ფუქდება (როდესაც ისინი ვერ დაუბრუნდებიან პატრონს). პატრონს უბრუნდება ხოლმე იმავე სახეობისა და ხარისხის საგნები, ან მათი სახელმწიფო ღირებულება საამისო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. კანონითვე არის განსაზღვრული, რომ განაჩენში სპეციალურად უნდა გადაწყდეს ნივთსაბუთის ბედი. ასევე ნივთსაბუთის საკითხი წყდება დადგენილებით ან განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტისას. კერძოდ, ბრალდებულის კუთვნილი დანაშაულის იარაღი ან ისპობა, ან კონფისკაცია უკეთდება მას. ისპობა აგრეთვე ის ნივთები, რომლებიც არ შეიძლება მოქმედებდნენ ბრუნვაში (ან უნდა გადაეცეს ისინი სათანადო დაწესებულებას), ან თუ მათ არა აქვთ რაიმე ღირებულება (დაინტერესებულ პირებს დაუბრუნდებათ ისინი უშუამდგომლობის შემთხვევაში). ფული და სხვა

ფასეულობა, რომლებიც დანაშაულებრივი გზით იქნა შექენილი, სასამართლოს განაჩენით ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში. კანონის თანახმად, სხვა დანარჩენი ნივთები მიეცემა კანონიერ მფლობელს, ან რჩება სახელმწიფოს — როცა მფლობელი ვერ დადგინდება (საქ. სსრ სსსკ 74—77 მუხ.).¹

დღეს პროცესუალურ ლიტერატურაში ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ცნების თაობაზე შეხედულებათა სიმრავლე აიხსნება უმთავრესად პრობლემის სირთულით, რასაც ემატება ზოგიერთი ავტორის სიახლისაკენ ლტოლვით გამოწვეული გადახრებიც. გ. ი. კოჩაროვის, ს. ს. სტეპირევის და სხვათა მიერ, ერთის მხრივ, ნივთიერ მტკიცებულებად მიჩნეულია მხოლოდ მოცემული ნივთი თუ თვისება, რაც არ შეიძლება გამოიყოს ნივთისაგან, ხოლო, მეორეს მხრივ — კვალის ნივთიერება მთელი მისი თვისებებით, რაც შესაძლებელია გამოიყოს საგნისაგან და გადატანილ იქნას მეორე საგანზე (დაქტილოფირზე თითის ანაბეჭდების გადატანა და სხვა).¹ ავტორთა სიტყვით, ის ფირი, რომელზედაც გადატანილი იქნა ანაბეჭდი, იქცევა ნივთიერ მტკიცებულებად. ასეთი დასკვნა სინამდვილეში მოკლებულია დასაბუთებას. როგორც ცნობილია, შემთხვევის ადგილზე კრიმინალისტიკური მნიშვნელობის ანაბეჭდებიდან ტვიფრის დამზადებას ან მეორე საგანზე მათ გადატანას იდენტიფიკაციის მიზნებისათვის ახდენენ, რაკი სწორედ ხელის ანაბეჭდები და საგნები ინდივიდუალური ნიშნებით ხასიფთდებიან. შემთხვევის დროს საგანზე დატოვებული კვალი ამ საგანთან ერთად მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულთან (თუ ასეთს ჰქონდა ადგილი) და საგანიც ამიტომაც მტკიცებულება, რომ კვალი მას უცვლელს გარკვეულ ფორმას (თვისებას), რაც საინტერესო ხდება თვით კვალის წარმოქმნის მექანიზმის თვალსაზრისითაც, დანაშაულებრივ ქმედობასთან მიმართებაში. მაგრამ ფირი, რომელზედაც გადატანილია ანაბეჭდი, არ შეიძლება თავისთავად ჩაითვალოს ნივთსაბუთად, თუნდაც იმიტომ, რომ მას იყენებს გამოძიებელი (მომკვლევე), როგორც ტექნიკურ საშუალებას შემდგომში შედარებითი გამოკვლევისათვის. განა საგამოძიებო-საექსპერტო პრაქტიკაში ტექნიკურ საშუალებათა დანერგვა იმას მოასწავებს, რომ ისინი შეცვლიან ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს? ნივთიერ მტკიცებულებებს ყოველთვის მკაფიოდ უნდა ვანსხვავებდეთ მათი ფიქსაციის, შემოწმებისა და შეფასების ხერხებისაგან, სხვანაირად სხვადასხვა წყებისა და მნიშვნელობის საგნები ერთმანეთში აგვერევა. გამოძიებელი იყენებს ლუპასაც, მიკროსკოპსაც,

¹ დანახ. თეორია, გვ. 635.

ფოტომასალასაც და სხვა, მაგრამ გონივრული იქნება მათი მტკიცებულებად მიჩნევა? ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი, ისე როგორც ყველა მტკიცებულება, იქმნება დანაშაულებრივი ქმედობის (მოშაღება, ჩადენა, დაფარვა) შედეგად და არა გამომძიებლის (მომკვლევის) ან სასამართლოს მიერ; როდესაც, მაგალითად, მ. მ. გროძინსკი მოუთითებდა, რომ საგნის დათვალიერებით, ან გამოკვლევით შეიძლება დადგინდეს საქმისათვის¹ მნიშვნელოვანი გარემოება, ამით იგი სრულიადაც არ აპირებდა იმის თქმას, რასაც მიაწერს ზოგიერთი ავტორი (გ. ი. კოჩაროვი, ს. ს. სტეპინევი და სხვ.)¹. გროძინსკის მხედველობაში ჰქონდა ნივთსაბუთების გამოყენების საშუალებანი. მართლაც, ნივთიერი მტკიცებულება ან მხოლოდ დათვალიერდება ხოლმე, ან აგრეთვე საექსპერტო გამოკვლევასაც ექვემდებარება. განა ვისმეს უთქვამს, რომ ნივთსაბუთი არ უნდა აიწეროს დათვალიერების ოქმში, ან დასაკითხი პირის ჩვენებაში (რომელმაც აღმოაჩინა ნივთი)?... აღწერა რომ არ ცვლის თვით ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის მეშვეობით მიღებულ ინფორმაციებს, არც ეს გარემოება უნდა იყოს სადავო, უფრო მეტი გაუგებრობა იქმნება ავტორთა შემდეგი დასკვნით: „მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტი დაკარგულია, ოქმები და ჩვენებები — იმ ფარგლებში, რომლებშიც უზრუნველყოფენ მისი ნიშნების დამაჩერებლად გადმოცემას — ცვლიან ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს“² ვფიქრობთ, კომენტარები ზედმეტია. ოქმები და ჩვენებები ვერავითარ შემთხვევაში ვერ ცვლიან მტკიცებულებას. მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის ჩვენებებს ნივთიერი მტკიცებულების ნიშან-თვისებების შესახებ, ცხადია, აქვთ გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის ისევე საჭიროა მივმართოთ უშუალოდ წიგნებს, როგორც ინფორმაციის წყაროებს. ავტორების მიერ ნივთიერ მტკიცებულებათა ჩვენებებით ან ოქმებით შეცვლის ტენდენცია შემთხვევითი არ არის; ერთის მხრივ, ავტორები იმოწმებენ ა. ი. ტრუსოვს იმაში, რომ ინფორმაციები, რომლებსაც შეიცავს მტკიცებულება, მოითხოვენ მსჯელობას, გაშიფვრას (დათვალიერდება, წარედგინება დასაკითხ პირს, ჩატარდება ექსპერტიზა...), მეორეს მხრივ, ნივთები ზოგჯერ დაყვანილია თვით მათი შემოწმების საშუალებებამდე.³ შემთხვევის აღვილზე აღმოჩენილ კვალს მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს სწორედ იმიტომ, რომ იგი გარემოებასთან მიმართებაში განუმეორებელია; იგი ადასტურებს მოვლენის გარკვეულ

1 დასახ. თეორია, გვ. 635—636.

2 დასახ. თეორია, გვ. 636.

3 იქვე.

მხარეს (ექვემტკიცების შემთხვევის ადგილზე ყოფნას ან პირიქით...).

ამ კვალიდან მიღებული ანაბეჭდი კი დამოუკიდებლად არაფერს არ გვეუბნება. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ის არის, რომ იმდაგვარად იქნენ აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებანი, როგორც ისინი გაჩნდნენ დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენასთან დაკავშირებით და მოხდეს მათი ფიქსირება სწორედ გარემო ვითარებასთან მიმართებაში. ამ პირობების დაუცველობა ნივთს უკარგავს მტკიცებულებით მნიშვნელობას, მაგრამ მისი დაცვა კი თვით ფიქსაციის ხერხებს (ოქმს, ფოტოსურათებს...) ვერ გადააქვევს ნივთიერ მტკიცებულებებად. ამას გარდა, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალი ისევე არ უდრის მის ტვიფარს ან სხვა ხერხით მიღებულ გამოსახულებას, როგორც ნეგატივი. პოზიტივს. ცნობილია ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ისეთი სახეც (დოკუმენტებიც) რომლის გამოყენებისათვის მნიშვნელობა არა აქვს შემთხვევის ადგილზე იქნება იგი აღმოჩენილი თუ დაინტერესებულ პირი წარმოგვიდგენს (მაგალითად, ყალბი დოკუმენტი, ბრალდებულის წერილი, სადაც ცნობს თავს დამნაშავედ და სხვ.), მაგრამ აქაც მხედველობაშია მისაღები, რომ ასეთი საბუთებიც იქმნება არა გამოძიების (სასამართლოს) მეშვეობით (როგორც ამას ადგილი აქვს ანაბეჭდების აღების დროს), არამედ მათგან დამოუკიდებლად. როდესაც შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ კვალიდან მზადდება ტვიფარი ან სხვა სახის გამოსახულება — ეს ხდება, როგორც წესი, გამოწვევის სახით (უშუალოდ კვლიანი ნივთის წამოღების შეუძლებლობის გამო)... როგორც ცნობილია, კანონმდებელი რამოდენიმე საგამოძიებო მოქმედებას ასახელებს, რომელთა მეშვეობით შესაძლოა აღმოჩენილ იქნას ნივთმტკიცებულება; ეს მოქმედებანი ფიქსირდება სათანადო ოქმებით. თუ ფიქსაციის საშუალებას გავუთანაბრებთ თვით ფიქსირებულ გარემოებებს, მაშინ ლოგიკურად რამდენიმე ნივთიერ მტკიცებულებასაც მივიღებთ. როდესაც ლაპარაკია ნივთიერმტკიცებულებათა შეცვლის შესაძლებლობაზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, თუ რა გზით მიიღწევა იგი. ბუნებრივად (მომკვლევის, გამოძიების, სასამართლოს ჩაურევლად) რომ იცვლებოდეს ერთი საგანი მეორეთი (თუნდაც მხოლოდ ნაწილი ნიშანთვისებების მხრივ), ულაპარაკოდ შეგვეძლო ჩაგვეთვალა ერთი საგანი მეორის ნაწარმოებად, ისევე როგორც ადგილი აქვს ხოლმე საერთოდ ნაწარმოები მტკიცებულების შექმნისას, რაც არ დაიყვანება მის პროცესუალურ ფიქსაციამდე, რასაკვირველია. ის, რომ ნივთის ფიქსაციის დროს იცვლება ნივთიერება — ფერი, წონა და სხვ. — ეს მართალია არ გვიშლის ხელს აღებუქდოთ ზოგიერთი ნიშანი საი-

დენტიფიკაციო მიზნებისათვისაც, მით უმეტეს, როდესაც მოსალოდ-
ნელია ობიექტის შეცვლა, თუ გვინდა გამოკვლევა ვაწარმოოთ თვით
ასლის დახმარებით, რომ არ წაეახდინოთ გამოსაკვლევი ობიექტი,
როცა ობიექტის დიდხანს შენახვა ვერ ხერხდება, დღია მოცულო-
ბით და ადგილიდან ვერ დაეძრავთ, განუყოფელია გარემოდან და
სხვა¹; მაგრამ ამ პროცესის შედეგების გათანაბრება ნაწარმოებ მტკი-
ცებულებასთან უმართებულო იქნება. ავტორების დათქმით, „ნაწარ-
მოები მტკიცებულება შეიძლება მივიღოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ გვესაჭიროება ასლი, ტვიფარი, ანაბეჭდი, იმ თვისებების ფიქსი-
რებისათვის, რომლებიც განეკუთვნებიან გარეგნობას, ზედაპირის
კატეგორიას და ემორჩილება განახლებას². მაგრამ მათ ავიწყლებათ
რომ ასლსაც, ტვიფარსაც და ანაბეჭდსაც ამზადებს გამომძიებელი,
მხოლოდ ნივთიერი ნიშნების ფიქსაციისათვის და მას უფლებაც არა
აქვს შექმნას თუნდაც ასეთი გზით ახალი მტკიცებულება. ამ თვალსა-
ზრისით, ჩვენ ვერ დავეთანხმებით მ. ს. სტროგოვიჩსაც, მტკიცებუ-
ლებად რომ მაინც თვლის იმ ტვიფარს, რომელიც დამზადდება შემო-
ხვევის ადგილზე კვალიდან, თანამოწმეთა დასწრებით და შეტანილი
იქნება დათვალიერების ოქმში (ხოლო შემდგომში ტვიფარიდან ზე-
ლახლა დამზადებულ ტვიფარს და ა. შ. იგი არ თვლის მტკიცებულე-
ბად)³. მართალია, ავტორი ხაზს უსვამს ტვიფარების დამზადებისას
თანამოწმეთა დასწრების მნიშვნელობას, მაგრამ რა იცვლება ამით?
თუ, მისივე სიტყვით, შემთხვევის ადგილზე გამომძიებლის მიერ გა-
დაღებულ ფოტოსურათებს (გვამის, საცავის...) ენიჭებათ არა მტკი-
ცებულებითი, არამედ მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობა (რო-
გორც გვგმას, სქემას), რატომ უნდა მიენიჭოს დამოუკიდებელი
მტკიცებულებითი მნიშვნელობა ისეთ ტვიფარს, რომელიც აგრე-
თვე ნივთიერი ფიქსირების ერთ-ერთი სახეა მხოლოდ? ყველაფერს
რომ თავი დავანებოთ, კანონი ხომ ნივთის ფოტოგადაღებასაც ითვა-
ლისწინებს, რაც ხდება თანამოწმეთა დასწრებით, რაკი დათვალე-
რება წარმოუდგენელია მათ გარეშე (სასამართლო გამოძიების დროს
კი თანამოწმეთა მონაწილეობის შესახებ არც ისმის საკითხი). თუკი
დათვალიერების ოქმი ნივთებისა და ადგილის გარემოების
პროცესუალური ფიქსირების საშუალებაა, ფიქსირების ერთ-ერთ
დამხმარე საშუალებად ფოტოგადაღებაც ითვლება. ფაქტიური შე-
დეგების მიღების თვალსაზრისით მათ შორის პრინციპული სხვაობა
არც შეიძლება იყოს, პირიქით, ფოტოგადაღება უფრო ზუსტად ასა-

¹ დსახ. თეორია, გვ. 642.

² იქვე.

³ იხ. მისი კურსი, გვ. 455.

ბავს გადასაღებ ობიექტს, მაგრამ, ვიმეორებთ, რომ ამ გამოსახულებით მაინც არ შეიძლება შეიცვალოს უშუალოდ ნივთი და მისი თვისებები; გამომძიებელი (მომკვლევნი, სასამართლო) მტკიცებულებებს აღმოაჩენს (შეკრებს), პროცესუალურად დაამაგრებს, შეამოწმებს და შეაფასებს, მაგრამ ვერასოდეს ვერ შექმნის მათ. შესანიშნავია ისიც, რომ რ. ს. ბელკინი თავის სადოქტორო დისერტაციაში („გამოკვლევის ექსპერიმენტული მეთოდი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში და კრიმინალისტიკაში“) შედარებითი გამოკვლევისათვის მიღებულ ნიმუშებს არ თვლის ნივთიერ მტკიცებულებად. ნიმუშებს, იგი ანიჭებს დამოუკიდებელ მნიშვნელობას პიროვნებისა და საგნების დადგენისათვის. თუ ნიმუშები, თავიანთი ბუნებით, მხოლოდ „უახლოვდებიან ნივთიერ მტკიცებულებებს“, როგორც ამას „თეორიის“ ავტორები აღნიშნავენ, თუ ნიმუშებს აქვთ „სხვაგვარი წარმოშობა“, რაკი ისინი „არ იქმნებიან გამოსაკვლევნი მოვლენით“, ისე, როგორც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები¹, მაშინ რატომ ვიციწყებთ ნივთიერ მტკიცებულების ამავე თვისებას ტვიფარებისა და ანაბექდების მიმართ? ვანა ტვიფარს ან ანაბექდს გამოსაკვლევნი მოვლენა ქმნის? კანონმდებლის აზრითაც ხომ ექსპერიმენტული ნიმუშების დამზადება უშუალოდ გამომძიებელს (მომკვლევს, სასამართლოს) ევალება? ნიმუშების მიღების გარკვეული კანონმდებლისეული წესების არსებობის მიუხედავად, ნიმუშები მაინც არ ითვლება ნივთიერ მტკიცებულებად (თუმცა მათ მიღებას დამოუკიდებელ საგამომძიებო მოქმედებასაც კი უწოდებენ). მაგრამ პრაქტიკაში ხომ ძალიან ხშირად ექსპერიმენტულ ნიმუშებს ექსპერტიც ამზადებს (მაგალითად, ექსპერიმენტული გასროლა, ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს და სხვ.)? ისიც ხომ ცნობილია, რომ როდესაც უშუალოდ კვალიანი საგანი წარედგინება ხოლმე ექსპერტს, იგი გამოკვლევის პროცესში მიმართავს თვით ამ კვალიდან ანაბექდების მიღებას? საკითხავია, თუ ასეთი ანაბექდი-არ უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელ ნივთიერ მტკიცებულებად, რა საფუძვლით მივიჩნიროთ შემთხვევის ადგილზე გამომძიებლის მიერ დამზადებული ტვიფარი ან ანაბექდი მტკიცებულებად? კანონმდებლის აზრიდან გამომდინარე, შესადაარებელი ნიმუშები, ცხადია, დამზადებული უნდა იქნას გამომძიებლის მიერ. მაგრამ, როდესაც ნიმუშებს ამზადებს თვითონ ექსპერტი, უადგილოა არგუმენტი, თითქოს ასეთი ნიმუშების პროცესუალური სტატუტი სრულიად სხვაა, რაკი ისინი შედიან იმ მასალების შემადგენლობაში, რომლებსაც ეყრდნობა ექსპერტი და შესა-

¹ დასახ. თეორია, გვ. 646.

ძლებელია დაერთოს მის დასკვნას¹. სინამდვილეში, განა გამომძიებლის მიერ მიღებულ ნიმუშებს კი არ ეყრდნობა ექსპერტი ან არ დაერთვის მის დასკვნას? უდავოდ, ნიმუშებს ექსპერტიზის გარეშე არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რაზედაც სწორად არის შენიშნული ლიტერატურაში. ოღონდ, ვფიქრობთ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც გამომძიებლის მიერ დამზადებულ ანაბეჭდებსა და ტვიფარებს აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, თუ მათ საფუძველზე არ ჩატარდება საექსპერტო გამოკვლევა. რაც შეეხება ნიმუშებში საიდენტიფიკაციო ნიშნების მოცემულობას, საფუძველად რომ ედგება ხოლმე საექსპერტო დასკვნას, როგორც მტკიცებულებას — ეს არ უნდა იწვევდეს დავას.

მტკიცებულებათა პროცესუალური დამაგრება უმთავრესად ხდება ოქმების საშუალებით (აგრეთვე ტვიფარების, ფოტოსურათების და სხვა მეთოდებით); მაგრამ ნუთუ ყველასათვის ნათელი არაა, რომ „დამაგრება“ ყოველთვის უნდა გულისხმობდეს რაღაც — მას გარეშე ობიექტურად არსებულს, რომელიც მოითხოვს ფიქსირებას? თუ ექსპერტის დასკვნასაც კი არ შეუძლია შეცვალოს ნივთიერი მტკიცებულება, მიუხედავად იმისა — მას ნივთმტკიცებათა ენასაც კი უწოდებენ (ნ. პოლიანსკი...), როგორ შეიძლება მტკიცებულებების დაყვანა ფიქსაციის საშუალებებამდე?... დამამტკიცებელი საბუთის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი (განურჩევლად მისი სახეობისა) ის უნდა ჩაითვალოს, რომ მას გამომძიებელი (მომკვლევნი, სასამართლო) არ ქმნის. დათვლიერებასაც, ჩხრეკასაც,² გასინჯვასაც და ამოღებასაც (თანამოწმების დასწრებით რომ ტარდება) ის საზრისი აქვს, რომ შევავაროვოთ და დავამაგროთ, შევამოწმოთ და შევაფასოთ ჩვენს გარეშე არსებული ნივთები, რომლებსაც გარკვეული ნიშნების წყალობით ენიჭებათ მტკიცებულებითი მნიშვნელობა. დათვლიერება, ცხადია — ეს არ არის გამოკვლევა, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ფიქრობს (ნ. ვ. ტერზიევი, რ. ს. ბელკინი...). გამომძიებელი (მომკვლევნი, სასამართლო) არავითარ გამოკვლევას არ ახდენს სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით. დათვლიერების დროს ადგილი აქვს სწორედ საგნების, მოვლენების, ვითარების „მიმოხილვას“, როგორც ისინი წარმოგვიდგებიან სტატიკური თუ დინამიკური შესწავლისას. სრულ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს რეკომენდაცია — არ გამოვიტანოთ დადგენილება სისხლის კვალის მსგავსი ნიშნისა

¹ დასახ. თეორია, გვ. 646.

² ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებას სამართლიანად თვლიან შესაძლებლად სასამართლოშიც (ვ. არსენევი და სხვ.), სადაც არ უნდა იყოს საქრო თანამოწმეთა მონაწილეობა, თუ ასეთი მოქმედების ჩატარებას ახდენს უშუალოდ სასამართლო და არა პოლიცია, სასამართლოს განჩინებით (თეორია, გვ. 653).

საგნის ნივთიერ მტკიცებულებად მიჩნევის შესახებ, სანამ არ და-
 მტკიცდება, რომ ეს არის სინამდვილეში სისხლის ლაქა და არა ჟანგი
 ან სხვა ნივთიერება.¹ არ იწვევს დავას, რომ სისხლისმსგავსლაქიანი
 საგანი ნივთიერმტკიცებულებად მიიჩნევა ხოლმე მხოლოდ გარკვეულ
 პირობებში (ექვმიტანილთან საგანგებოდ შენახულ ნივთზე, იარაღზე
 და სხვა). თუ შემდეგ გამოკვლევის დროს დადგინდება, რომ ეს არის
 არა სისხლის, არამედ სწორედ ჟანგის ან სხვა ნივთიერების ლაქა, —
 ამას არანაქლები მტკიცებულებითი მნიშვნელობა ექნება. და-
 თვალთვლების დროს მოპოვებულ ნივთებსა თუ მოვლენის
 ვითარებას ფიქსირების თვალსაზრისით არ ეძლევათ შეფასება, არ
 კეთდება რაიმე დასკვნები, როგორც ამას ადგილი აქვს საექსპერტო
 გამოკვლევისას. ლიტერატურაში ნ. ა. სელივანოვის მიერ სპეცია-
 ლურად იქნა განხილული ნივთმტკიცებულებების ე. წ. წინასწარი
 გამოკვლევის საკითხი;² და იგი ასეთ მოქმედებას მხოლოდ საორიენ-
 ტაციო მნიშვნელობას ანიჭებს. ვფიქრობთ, ასეთ „გამოკვლევას“
 შესაძლოა მოჰყვეს უარყოფითი შედეგებიც, წინასწარი აზრის შემუ-
 შავების მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ნივთები და დოკუმენტები
 გარკვეულ პირობებთან დაიძებნება ხოლმე ჩხრეკის მეშვეობითაც, არც
 ამ მოქმედების შედეგებზე შეიძლება მსჯელობა ჩხრეკის ოქმში.
 განსაკუთრებული ხასიათისაა ე. წ. საგამომიებო ექსპერიმენტი, რო-
 შელიც გულისხმობს დანაშაულთან დაკავშირებულ გარკვეულ (კანო-
 ნით დასაშვებ) გარემოებისა და შემთხვევის ვითარების ინსცენირე-
 ბას. ჩვენ ვერ დავეთანხმებით „თეორიის“ ავტორების (გ. ი. კოჩა-
 როვი, ს. ს. სტეპიჩევი და სხვ.) შეხედულებას, რომლებიც ფიქრობენ,
 რომ, მაგალითად, ბრალდებულის მიერ საექსპერიმენტოდ შესრუ-
 ლებული ბეჭდის ანაბეჭდიც ნივთიერი მტკიცებულება იქნება, თუ
 იგი ასეთი სახის სიყალბეში იმხილება.³ ცხადი უნდა იყოს, რომ ექს-
 პერიმენტულად არავითარი ნივთიერი საბუთის შექმნა არ შეიძლება.
 ცდით მტკიცდება (ნიმუშის შექმნის სახით) მხოლოდ ის, რომ პი-
 როვნებას აქვს გარკვეული. ჩვევა, უნარი, ვთქვათ, საკეტის გადახერ-
 ხვის, ყალბი ბეჭდის დამზადების და სხვა. იქნებ, უმჯობესი იქნებოდა
 ექსპერიმენტის (დათვალთვლების) ჩატარების დროს გველაპარაკა
 სწორედ მტკიცებულების ისეთ განსაკუთრებულ სახეზეც, როგორი-
 ცაა „ადგილის გარემოებანი“, რომელთაც თვითვე ჰქმნის „ნივთიერი
 სამყარო“, მაგრამ ნივთიერ მტკიცებულებას კი არ უტოლდება პრო-
 ცესუალურად. ადგილის გარემოების წყაროდ სწორედ „უძრავობაში“

¹ თეორია, გვ. 649.

² Н. А. Селиванов. Вещественные доказательства, 1971, с. 77.

³ იხ. თეორია, გვ. 655.

მყოფი საგნების ურთიერთმიმართებანი გვევლინებიან. ექსპერიმენტი, რა თქმა უნდა, შეიძლება დადგინდეს ექვლებულის ის უნარი, რაც გააჩნია დამნაშავეს ქმედობის ჩადენისას, მაგრამ ამ სახის ექსპერიმენტით უაზროა ნივთიერ მტკიცებულებების შექმნაზეც ვილაპარაკოთ, რაკი ამ უნარის წყაროა თვით საცდელი პიროვნება, რომელსაც შეუძლია მრავალჯერ გამოავლინოს (საექსპერიმენტოლად) თავისი უნარი, და არა ნივთი, რაც შეუცვლელია ხოლმე ნივთმტკიცების ცნობილი განსაზღვრების მიხედვით. ექსპერიმენტის შედეგად აგრეთვე პირს არ აღმოაჩნდება ხოლმე ის უნარი, რითაც ხასიათდება დაუდგენელი დამნაშავე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე დოკუმენტები, როგორც ნივთიერი მტკიცებულებანი. ცხადია, აქაც გასათვალისწინებელია, რომ დოკუმენტი — ნივთიერი მტკიცებულება მოითხოვს სათანადო პროცესუალურ გაფორმებას (რა გზით იქნა იგი მოპოვებული, მისი დათვალეირების ოქმი, დადგენილება, ნივთის საქმეზე დართვის შესახებ), მაგრამ თეორიულ ინტერესს წარმოადგენს თვითონ დოკუმენტის ნივთიერი ხასიათი. როგორც ცნობილია, დოკუმენტი-ნივთსაბუთი შეიძლება წარმოადგინონ თავიანთი ინიციატივით მოქალაქეებმაც, თანამდებობის პირებმაც, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმაც, ოპერატიული დარგის მუშაკებმაც. ლიტერატურაში სწორად არის აგრეთვე მითითებული, რომ დოკუმენტის მასალად შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც საწერი ქაღალდი, ისე ქსოვილი, ფოტოქაღალდი, კინოფირი და სხვა. მაგრამ აქ აუცილებლად გასარჩევია დოკუმენტები, შექმნილი საგამოძიებო-სასამართლო მოქმედებათა შედეგად (ოქმები და სხვა) იმ დოკუმენტებისაგან, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი მტკიცებითი მნიშვნელობა (ავადმყოფობის ისტორია დიქტოფონზე და სხვ.). პროცესუალური დოკუმენტებიც შეიძლება შესრულდეს არა მხოლოდ ასოებით (ოქმი...), არამედ სხვა პირობითი ნიშნებითაც (ჩანახაზები, სქემები...), ხმის ჩამწერის საშუალებითაც, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ არ შეიძლება მიენიჭოთ იმაზე მეტი მნიშვნელობა, რაც გათვალისწინებულია მტკიცებულებათა ფიქსაციისათვის. ვ. გ. ტანასევიჩი და გ. მ. მინკოვსკი დავობენ იმის თაობაზე, რომ არ შეიძლება წერილობითი ნივთსაბუთი შეუცვლელ ინდივიდუალურ საგნად ჩაითვალოს. არგუმენტად მოტანილია გნოსეოლოგიური თვალსაზრისი მატერიალური ობიექტების ინდივიდუალობის შესახებ.¹ ეს ატტორები მართლნი იქნებოდნენ. რომ ტრადიციულად დოკუმენტების „შეცვლა“

¹ თ ე ო რ ი ა, გვ. 671.

არ გულისხმობდეს მხოლოდ მათი „ღუბლიკატებით“ ან სხვა მსგავსი დოკუმენტებით შეცვლას (პროცესუალური თეალსაზრისით, რასაკვირველია). მაგრამ მთავარი გაუგებრობა სწორედ ის არის, რომ აქ ისევ ნივთმტკიცებულების დათვალეირების ოქმებით შეცვლის შესაძლებლობაზეა ლაპარაკი (თუ ნივთიერი მტკიცებულება არ შეიძლება ამოღებული და შენახული იქნას, ან თუ დაიკარგება იგი, როდესაც შეუძლებელია ასლის მიღება და სხვა). მეორეს მხრივ, ავტორთა (ე. გ. ტანასეიჩი, გ. მ. მინკოვსკი) ფიქრით, ზოგიერთი დოკუმენტიც (არანივთიერი) უცულო აღმოჩნდება ხოლმე და ისევ დათვალეირების ოქმია დასახელებული, როდესაც შემთხვევის ვითარება შემდგომში შეიცვლება (აგრეთვე მოზარდის დაბადების შესახებ მმჩის ბიუროს მოწმობის დაკარგვა).¹ ის, რომ მმჩის ბიუროს მიერ გაცემული დაბადების მოწმობა, რომელიც დაიკარგა, არ შეიძლება შეიცვალოს სხვა რწმით — ასეთი გამონაკლისი შემთხვევები ვერ დაედება საფუძვლად წესის შემუშავებას; ისიც ხდება, რომ ზოგჯერ მოწმემ — პირვანდელმა წყარომაც, შესაძლოა ვერავის გაანდოს სიკვდილამდე საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებანი. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შემთხვევის ადგილის დათვალეირების ოქმში ფიქსირდება ნივთები და მათი ურთიერთთან მიმართებანი, რომლებიც ქმნიან ადგილის ვითარებას. ამიტომ, გაურკვეველი რჩება, რატომ ერთ შემთხვევაში შემთხვევის ადგილის დათვალეირება უნდა ჩაითვალოს ნივთსაბუთად (რაკი იგი ცვლის მას), და მეორეში — წერილობით საბუთად? სრულ გაუგებრობად და ხელოვნურად მიგვაჩნია ნივთიერი და წერილობითი დოკუმენტების ურთიერთისაგან განსხვავება იმისდა მიხედვით, თუ მათში რა ხერხით არის გამოხატული მოკლენები და ფაქტები. ამ პოზიციის დამცველების ფიქრით, დოკუმენტში გამოიყენება ნიშნობრივი სისტემა, წერილობითი ან ხმის მეტყველების ფორმები (სქემები, ჩანახატები, გრაფიკა...), მაშინ. როდესაც, ფაქტიური ინფორმაციის შენახვა და გადაცემა ნივთსაბუთთა საშუალებით ხდება არა მათი აღწერით, არამედ უშუალო აღბეჭდვით (ფეხსაცმლის კვალი, ფოტო, კინოფილმი)². აღსანიშნავია, რომ ამავე დროს დოკუმენტის ფოტოპირს მაინც დოკუმენტად თვლიან. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ ფოტოგამოსახულებაში რომ ხდება ინფორმაციის გარდაქმნაც; მაგრამ როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ თითქოს დოკუმენტის ნივთსაბუთად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ მასში უშუალოდ გამოიხატოს საქმისათვის მნიშვნე-

1 თეორია, გვ. 671.

2 დასახ. თეორია, გვ. 672.

ლოვანი გარემოებანი (ბრალდებულის, დაზარალებულის კვალი, დანაშაულის ჩადენის იარაღი), რომ დოკუმენტი იყოს პირადული იარაღი და ასე შემდეგ, რომ ეს ნიშნები გამოიხატოს „ნატურაში“ და გამოცემული არ იქნას ნიშნობრივ ფორმაში (მაგალითად, აღწერის საშუალებით)¹.

როგორც ჩანს, ამ დებულების ერთი ნაწილი ეწინააღმდეგება თვით ავტორთა აზრს ნივთსაბუთის შეცვლის შესაძლებლობის შესახებ, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. ამას გარდა, როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ დოკუმენტი წარმოგვიდგება აგრეთვე ნივთსაბუთად, როდესაც მისი შედგენა დაკავშირებულია სწორედ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების ნიშნობრივ ფორმაში აღწერასთან. თუ ზოგიერთი ავტორი ფოტოგამოსახულებაშიც კი ეძებდა აღწერილობის ნიშნებს, ნუთუ პირობითი ნიშნებით აზრის გამოსახვა არ შეიძლება მოხდეს იმ დოკუმენტში, რომელიც მთლიანად ყალბად წარმოგვიდგენს ამა თუ იმ მოვლენის ვითარებას? ავტორებს, ალბათ, მხედველობიდან გამორჩაო, რომ არსებობს ე. წ. ინტელექტუალური სიყალბე, რომელიც გულისხმობს დოკუმენტში იმავეითვე სინამდვილის განგებ დამახინჯებას (შეცდომით შინაარსის დამახინჯება სიყალბეს არ გულისხმობს, რასაკვირველია). და სწორედ ასეთი დოკუმენტები, როგორც წესი, წერილობითი ნიშნების საფუძველზე დგება ამა თუ იმ გარემოების აღწერის საშუალებით (ვთქვათ, აღწერილია დახასიათებაში ყალბად პიროვნების სახელმწიფო-საზოგადოებრივი დამსახურებანი და სხვა). ჩვენ ვფიქრობთ, დოკუმენტების, როგორც ნივთბუთებიც და კლასიფიკაცია უნდა მოხდეს შემდეგნაირად: 1. ე. წ. ინტელექტუალურად გაყალბებული დოკუმენტები (ყალბი დოკუმენტები, რომლებიც არ იწვევენ დავას მათი შედგენის ფორმის მხრივ, მაგრამ არ ასახავენ სინამდვილეს, არიან უკანონონი)...; 2. დოკუმენტები, რომელთა შინაარსი გადასხვაფერებულია შემდგომში ფორმის შეცვლით (გადასწორება, ამოშლა, ამოკმა...), თუ ეს არ არის დაკავშირებული შინაარსის ობიექტური სინამდვილის შესატყვისად გასწორებასთან, ან უფრო მკაფიოდ გამოხატვასთან (მაგალითად, ფერმკრთალად შესრულებულ ნაწერში შტრიხების გამუქება და ა. შ.); 3. დოკუმენტები, რომლებიც არ ყოფილან გაყალბებული არც შინაარსობრივად და არც ფორმით, მაგრამ თავიანთი ხასიათით (აღმოჩენის ადგილისა და სხვა გარემოებათა გამო) მიუთითებენ გარკვეულ პიროვნებაზე (შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი ეპიტიანილის წერილი), დანაშაულის მომზადებაზე, ჩადენაზე, დაფარ-

¹ დასახ. თეორია, გვ. 672.

ვაზე (დღიურში ჩანაწერების მიხედვით და სხვა). ზემონათქვამიდან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, ნიეთსაბუთად უნდა იქნეს მიჩნეული თანამდებობრივი დანაშაულის დროს თანამდებობის პირის უკანონო განკარგულებები, ბრძანებები და რეზოლუციებიც: აქვე უნდა აღინიშნოს არასწორი პრაქტიკა საქმეზე ასეთი მტკიცებულებების ასლების დართვასთან დაკავშირებით; ის, რომ პრაქტიკაში ნაცელად უკანონო ბრძანებისა საქმეს დაურთავენ ხოლმე მის დამოწმებულ ასლს, ეს გარემოება იმაზე კი არ მიუთითებს, რომ ნიეთიერი მტკიცებულება შეიძლება იყოს ნაწარმოებიც, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ფიქრობს¹, არამედ, იმაზე, რომ ადგილი აქვს ისეთი სახის დარღვევას, რასაც შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შეცდომა დედნის განადგურების შემთხვევაში; იმ მიზნით, რომ უარყოს პასუხისმგებელმა პირმა ასეთ ბრძანებაზე საკუთარი ხელმოწერა. თუ როგორ გაუგებრობამდე მივყევართ ე. წ. „აღწერის“ მეშვეობით ნიეთსაბუთის წერილობით საბუთისაგან გარჩევას, ამის ილუსტრაციას თვითონ ავტორების მიუღებელი მსჯელობა წარმოადგენს. ჯერ ერთი, სრულიად უმართებულოდ მიგვაჩნია საკითხის დაყენება: „მტკიცებულების რომელ სახეს განეკუთვნება ბრალდებულის დღიური და წერილი, რომლებითაც მტკიცდება დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ამასთან დაკავშირებით გამოხატული განცდები და ა. შ.“? ავტორები (გ. მ. მინკოვსკი, ვ. გ. ტანასევიჩი) იქვე იძლევიან პასუხს: „გვეჩვენება, რომ ეს ობიექტები უნდა განეკუთვნონ „უბრალო“ დოკუმენტების რიცხვს, რადგანაც ისინი შეიცავენ მხოლოდ გამოსაკვლევი მოვლენისა და მოქმედების აღწერას“². კანონსაც რომ თავი დავანებოთ, რომლის მიხედვითაც ნიეთიერ დამამტკიცებელ საბუთად ითვლება აგრეთვე საგანი, რომელიც შეიძლება გამოდგეს დანაშაულისა და დამნაშაის გამომჟღავნების საშუალებად... თვითონ იმავე „თეორიის“ ავტორები (რ. ს. ბელკინი, ს. ს. სტეპიჩევი, გ. ი. კოჩაროვი) ზემოთ ხომ თვლიდნენ დოკუმენტს ნიეთსაბუთად, თუ იგი ადასტურებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას (დამნაშაის პიროვნების დადგენას და სხვ.)?³ თუ გვამთან აღმოჩენილი მისამართის ჩანაწერი ნიეთსაბუთია, რომელიც სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა საცხოვრებელი ადგილის, ქუჩის, ნომრის ე. წ. „აღწერა“, რატომ არ ითვლება ნიეთსაბუთად ბრალდებულის წერილი დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომელსაც თუ არ

1 დასახ. თეორია, გვ. 673.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 648.

მოვეუარებ სათანადოდ, შესაძლოა ხელიდან გავუშვათ ამ გზით ჰემარიტების დადგენის შესაძლებლობაც.

ნივთიერ-დამამტკიცებელი საბუთების შეფასება მეტად რთული პროცესია; ამას ისიც ემატება, როგორც წესი, ნივთები არაპირდაპირად ამტკიცებენ საძიებელ ფაქტს; არ არის გამორიცხული პრაქტიკაში მოვლენების შემთხვევითი დამთხვევა. თეორიულადაც ყოველთვის არ შეიძლება დასაბუთდეს არაპირდაპირი მტკიცებულებების მიხედვით პირის პასუხისგებაში მიცემა (რასაც, სამწუხაროდ, პრაქტიკაში კი მაინც აქვს ადგილი). მართალია, ყურადღება ექცევა ნივთიერ მტკიცებულებათა ინდივიდუალობას, მათი აღმოჩენის ადგილს, წარმოქმნის მექანიზმს, ურთიერთობას და სხვა მტკიცებულებებთან კავშირს, მაგრამ არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ეს კავშირები ლოგიკურია მხოლოდ მოჩვენებითად და თანაც იმდაგვარად, რომ საექვო თითქოს აღარაფერია... ვფიქრობთ, ყველა შემთხვევაში გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ პირის ბრალეულობა ემყარება მხოლოდ არაპირდაპირ მტკიცებულებებს და თანაც ექვის საფუძველი მთლიანად არ იხსნება, თუ კვლავ არსებობს მხოლოდ ბრალდებულის სასარგებლოდ რომელიმე ვერსიის წამოჭრის შესაძლებლობა.

დოკუმენტი, როგორც წარმოშობითი მატერიალუა

კანონის თანახმად, დასამტკიცებელი თეზისი შეიძლება დადგინდეს დოკუმენტითაც, როდესაც თანამდებობის პირის, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციისა და მოქალაქის მიერ დოკუმენტში მოხსენებული ან დადასტურებული გარემოებანი და ფაქტები მნიშვნელოვანია საქმისათვის. ასეთ დოკუმენტებად მიჩნეულია: სხვადასხვა სახის ხელნაწერები, ცნობები, დახასიათებები, მოწმობები, სარევიზიო აქტები... დოკუმენტი თავისი ფორმით შეიძლება იყოს როგორც წერილობითი (პირობითი ნიშნების მიხედვით აზრის გამოხატვა — გრაფიკა, სქემები, ჩანახატები...), ისე ხმის ჩანაწერი. სწორად არის შენიშნული, როდესაც დოკუმენტი მოვლენას უშუალოდ ასახავს — პირველადი მტკიცებულება იქმნება, ხოლო თუ დოკუმენტში გამოხატულია მეორე დოკუმენტის შინაარსი, იგი ნაწარმოებ მტკიცებულებად ჩაითვლება (საბუღალტრო წიგნი, ნასამართლობის შესახებ ცნობა...). საერთო აღიარებითა და კანონის თანახმადაც, პროცესუალური წესით შედგენილი ოქმები, რომლებიც ადასტურებენ გარემოებებსა და ფაქტებს, რაც დადგენილია დათვალეობის, გასინჯვის, ამოღების, ჩხრეკის, დაკავების, ამოსაცნობად წარდგენის, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას — მტკიცებულებებად

ითვლებიან. კანონის აღნიშნული ტექსტის თაობაზე შეიძლება შევნიშნოთ, რომ დათვალეირებით, გასინჯვითა და სხვა საგამომიებო-სასამართლო მოქმედებებით დადგენილ გარემოებებს და ფაქტებს ოქმები კი არ ადასტურებენ, არამედ, მტკიცებულებანი ნივთებისა და შემთხვევის ადგილის გარემოებათა სახით. ვფიქრობთ, საკუთრივ საგამომიებო-სასამართლო მოქმედებათა ოქმები, როგორც პროცესუალური დოკუმენტები, არ შეიძლება ჩაითვალოს წერილობით მტკიცებულებებად (წინააღმდეგ გავრცელებული აზრისა) შემდეგ მოსაზრებათა გამო: 1. პროცესუალური ოქმის მტკიცებულებად მიჩნევა დამამტკიცებელი საბუთის ფიქსაციას ხელოვნურად თიშავს მტკიცების პროცესის სხვა ელემენტებისაგან და მას ანიჭებს დამოუკიდებელ, უჩვეულო თვისებას; მართლაც, თუ ფიქსაცია ყოველთვის რაიმე საგნის ნიშან-თვისებათა აღბეჭდვასა და გადმარცმას გულისხმობს, მაშინ მისი ავტონომია შეუძლებელია; თუ მტკიცების პროცესში ყველა ელემენტი (საფეხური) ერთნაირი მნიშვნელობისაა, რატომ უნდა ვალიაოთ დამოუკიდებელ მტკიცებულებად მხოლოდ მტკიცებულების პროცესუალური დამაგრების (ფიქსაციის) საშუალებანი (ოქმები)? განა, ვთქვათ, მტკიცებულებათა აღმოჩენისათვის გამოყენებული ხერხები ნაკლებ როლს თამაშობენ ჰეშმარიტების დადგენისათვის? 2. საგამომიებო-სასამართლო ოქმის მტკიცებულებად გამოცხადება, უცილობლად გამოიწვევს გამოძიებლისა (მომკვლევი) და სასამართლოს მიერ დამამტკიცებელი საბუთების შექმნის შესაძლებლობათა აღიარებას. მართლაც, თუ უშუალოდ ოქმია დამამტკიცებელი საბუთი, მის შემოქმედად ყოველთვის გვევლინება გამოძიებელი (მომკვლევი), სასამართლო; დამამტკიცებელი საბუთის წყარო (ინფორმაციის მატარებელი) ამ შემთხვევაში იქნება თვით გამოძიებელიც (მომკვლევი), სასამართლოც; ე. ი. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ისინი დავკითხოთ მოწმეებად, ისევე, როგორც თანამოწმეები... ვფიქრობთ, ძნელია უფრო შეუსაბამო რაიმეს წარმოდგენა, ვიდრე საგამომიებო-სასამართლო ორგანოების მიერ მტკიცებულებათა შექმნის შესაძლებლობის დაშვება. 3. თუ დავუშვებთ, რომ საგამომიებო-სასამართლო ოქმები წერილობითი მტკიცებულებებია, მაშინ დავკითხვების ოქმებიც ასეთებად უნდა ჩაითვალოს (აღბათ ექსპერტის დასკვნაც, რაკი ისიც წერილობით ფორმდება); მაშასადამე, გამოდის, რომ დამამტკიცებელი საბუთები საბოლოოდ დაიყვანება ნივთსაბუთებამდე და წერილობით მტკიცებულებებამდე. ზოგიერთი ავტორი, ერთადერთ მტკიცებულებად — თუ რა მოხდა სასამართლოში — თვლის სასამართლოს სხდომის ოქმს (ი. პერლოვი); მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ერთგვარად მცირდება

ნივთების, მოწმეების ჩვენებებისა თუ სხვა მტკიცებულებათა მნიშვნელობა, რაკი ისინი დაიყვანება მხოლოდ სასამართლოს სხდომის ოქმამდე; მაგრამ აქვე საკითხავია, მაშ რაზე ამყარებს სასამართლო თავის განაჩენს? ნუთუ მხოლოდ ოქმზე, როგორც ერთადერთ მტკიცებულებაზე? ისიც ხომ ცნობილია, რომ სასამართლოს ოქმი შეიძლება დაშლადღეს სამი დღე-ღამის განმავლობაში, ზოგჯერ განაჩენის გამოცხადების შემდეგაც, ე. ი. გამოდის, რომ განაჩენი არც ემყარება მტკიცებულებებს! 4. როგორც ცნობილია, საგამოძიებო-სასამართლო მოქმედებათა ოქმების გარდა, დგება სხვა სახის ოქმებიც (წინასწარი გამოძიების მასალების ბრალდებულისათვის გაცნობის, გამწესრიგებელი სხდომის ოქმი...), მაგრამ მათ მტკიცებულებით მნიშვნელობაზე ლაპარაკიც არ არის; შეიძლება თუ არა მათ მიენიჭოთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა? შეიძლება, თუ ისინი დამახინჯებულად (გაყალბებულად) წარმოგიდგენენ საქმის ვითარებას. ასევე უნდა ითქვას საგამოძიებო-სასამართლო მოქმედებათა ოქმებზე. მტკიცებულებათა შემოწმებისა და შეფასების დროს მნიშვნელობა აქვს, ცხადია, ფიქსაციის პროცესუალურ ფორმებს, მაგრამ არ შეიძლება მათი გადაჭარბებული შეფასებაც, გამომძიებელი შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს აღმოჩენილ ნივთებსა და გარემოებებს ისევე შეფასვლის, როგორც, მაგალითად, მოწმის ჩვენებას. იგი, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ობიექტურად აღიქვამს მათ და კრიტიკულად აფასებს სხვა გარემოებებთან და ფაქტებთან მიმართებაში, მაგრამ ამით მაინც არ შეიძლება მან სუბიექტური შთაბეჭდილება გამოხატოს ოქმში, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმით არის გამოწვეული, რომ მას ეკრძალება თვითონ შექმნას მტკიცებულება. თანამოწმენიც მოწოდებული არიან აღწერონ და ასახონ მხოლოდ ის, რასაც აღიქვამენ. ეს პროცესი ნივთიერ მტკიცებულებათა და შემთხვევის გარემოებათა უშუალოდ შესწავლის მიზნებთან არის დაკავშირებული; თქმა იმისა, რომ რაკი წინასწარი გამოძიების დროს დათვალიერებას ესწრებიან (თანამოწმენი, თითქოს ეს აძლევს ოქმებს მტკიცებულებით თვისებას და ძალას — არ არის ლოგიკური, რადგან სასამართლოც ახდენს დათვალიერებას, სადაც არ მონაწილეობენ თანამოწმენი... სასამართლო ამას აკეთებს სწორედ ნივთებისა თუ შემთხვევის გარემოებათა, როგორც მტკიცებულებითი მნიშვნელობის ინფორმაციების, შესწავლისთვის.

**x. შპიციპაპულაჲანი სისხლის სამართლის პროცესის
სტადიების მიხედვით და ზოგინათი წინადადებანი**

სისხლის სამართლის საქმის (მოკვლევის, გამოძიების) აღძვრა დასაწყისი სტადიაა, რომლის გარეშე არ შეიძლება შესრულდეს საგამოძიებო მოქმედებანი (რომელთა ერთობლიობაც ქმნის მოკვლევას, გამოძიებას). კანონმდებელი სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით ლაპარაკობს დანაშაულის ნიშნების შესახებ საკმაო მონაცემებზე (და არა მტკიცებულებებზე). კერძოდ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბთა (მოქალაქის განცხადება, იურიდიული თუ თანამდებობის პირის მიერ მოწოდებული ცნობა, პრესაში გამოქვეყნებული ცნობა — კორესპონდენცია, ბრალის აღიარებით გამოცხადება, მომკვლევის, გამოძიებლის, პროკურორის, სასამართლოს — მოსამართლის მიერ დანაშაულის ნიშნების უშუალოდ გამოვლინება) გარდა, აუცილებელია მოპოვებულ იქნას საკმაო მონაცემები დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, მოქალაქის განცხადება დანაშაულის ჩადენის თაობაზე მოითხოვს სპეციალურ შემოწმებას (რამდენად შეესაბამება განცხადების შინაარსი სინამდვილეს); მაშინაც კი, როდესაც განცხადება ზეპირად კეთდება (რაც უნდა გაფორმდეს ოქმში — ოქმის შემდგენისა და განმცხადებლის ხელმოწერით), გამოირკვევენ ხოლმე განმცხადებლის ვინაობას და აფრთხილებენ მას ცრუ დასმენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. მაშასადამე, მოკვლევას მოითხოვს როგორც განმცხადებლის პიროვნება, ასევე განცხადებაში მოტანილი ინფორმაციები. მაგრამ მოკვლევის ან გამოძიების აღძვრამდე არამც და არამც არ შეიძლება მასალების შემოწმება მოხდეს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით მოკვლევას ან გამოძიებას, რომელიც მოკლებული იქნებოდა იურიდიულ საუბუძველს. მოკვლევის და გამოძიების აღძვრა წარმოებს, როგორც მიღებულთა, სწორედ მასალების წინასწარი შემოწმების შემდეგ, რაც გულისხმობს დადგინდეს დანაშაულის ნიშნები (დანაშაულის ფაქტი) იმ მოცულობით, როგორც ეს შესაძლებელია საგამოძიებო მოქმედებათა გარეშე დოკუმენტების შეგროვების გზით. პროცესის ამ სტადიაზე ამდენად შესაძლებელია ლაპარაკი მხოლოდ წერილობით მტკიცებულებებზე, მათი შემოწმების გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით. წესით, რაკი სისხლის სამართლის პროცესი იწყება სისხლის სამართლის საქმის (გამოძიების, მოკვლევის) აღძვრით, ცხადია, მტკიცებულებებზეც მსჯელობა უნდა იყოს პროცესის ამ საფეხურის შემდეგ;

მაგრამ, მეორეს მხრივ, თვითონ ეს სტადია თავისი შინაარსით ისინ-
ხლხორციებს ინფორმაციების სახით „საკმაო მონაცემებს“, რომელთა
გარეშე შინაარსი დაეკარგებოდა მათ. შემთხვევითი არ არის, რომ ის
პირი, რომელსაც ევალება აღძრას წარმოება, განცხადების ან ცნო-
ბების შემოსვლის გამო, კანონის შესაბამისად, გამოითხოვს ხოლმე
საჭირო მასალებს, ლებულობს განმარტებებს და ათ დღეში აუღებს
გადაწყვეტილებას (აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს, გამოიტანს
მოტივირებულ დადგენილებას სისხლის სამართლის საქმის არ
აღძვრის შესახებ, განცხადებას ან ცნობას აგზავნის დადგენილებით
ქვემდებარეობისამებრ). სისხლის სამართლის საქმის აღძვრა უმთავ-
რესად სავარაუდო ფორმით გულისხმობს ამა თუ იმ დანაშაულის
არსებობას, რაც, როგორც წესი, საბოლოოდ გაირკვევა ხოლმე გა-
მოძიებისას. კანონის თანახმად, გამოძიებელს (მოძველევს) შეიძლე-
ვა გადაეცეს პროკურორის მიერ აღძრული საქმეც (თუ პროკუ-
რორმა თვითონ არ მიიღო იგი წარმოებაში გამოსაძიებლად). ასევე
მოსამართლესაც შეუძლია აღძრული საქმე გადასცეს გამოძიებელს
(მოძველევს), თუ იგი უშუალოდ არ ექვემდებარება სასამართლოს
განსახილველად (მოკვლევისა და გამოძიების გარეშე). არის ისეთი
კატეგორიის ქმედობანი (მაგალითად, შეურაცხყოფა...), რომლებსაც
არ უნდათ წინასწარი გამოძიება (მოკვლევა), თუ ამას საჭიროდ არ
ჩათვლის პროკურორი ან სასამართლო (ყერძო ბრალდების საქმეები),
მაგრამ ე. წ. ყერძო-საჯარო ბრალდების საქმეების აღძვრას საფუ-
ძვლად უნდა დაედოს საკმაო მონაცემები, რაკი მათი შეწყვეტა
ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგებით არ არის კანონით
დასაშვები (გაუპატიურება, სხეულის დაზიანება).

დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის აღმოსაჩენად სათანადო
ორგანოების მიერ წარმოებულ ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიე-
სათა ერთობლიობას შეიძლება ეწოდოს მოკვლევა. კანონით, მოკვ-
ლევას აწარმოებენ: მილიციის, სახელმწიფო უშიშროების, სახანძრო
ზუღამხედველობის, სასაზღვრო დაცვის ორგანოები, სამხედრო ნა-
წილებისა და შენაერთების მეთაურები და სამხედრო დაწესებულე-
ბათა უფროსები, შრომა-გასწორების დაწესებულებათა უფროსები;
შორეულ ნაოსნობაში მყოფი საზღვაო გემის კაპიტნები. დამამტკი-
ციებელი საბუთების შეკრებისა და მათი შემოწმება-შეფასების თვალ-
საზრისით, ცხადია, არ შეიძლება პრინციპული განსხვავება იყოს
მოკვლევასა და გამოძიებას შორის. იმ დანაშაულთა გამო, რომლებიც
არ მოითხოვენ წინასწარ გამოძიებას, მოკვლევული მასალები სა-
ბრალდებო დასკვნით (პროკურორის დასტურით) იგზავნება სასამა-
რთლოში, ოღონდ საგამოძიებო მოქმედებანი ჩატარებული უნდა

იყოს წინასწარი გამოძიებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად. კანონმდებელი აქ უშვებს მხოლოდ ზოგიერთ გამოწვევას: მოკვლევის მასალებს (მოკვლევის ვადა ერთი თვე) არ აცნობენ დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს (მათ წარმომადგენლებს); მათ ეცნობებათ ხოლმე, რომ საქმე გადაეცა პროკურატურას; მოკვლევისას დამცველი არ მონაწილეობს და, ამას გარდა, მომკვლევნი თუნდაც არ ეთანხმებოდნენ პროკურორს — პირის პასუხისგებაში მიცემის, დანაშაულის კვალიფიკაციის, ბრალდების მოცულობის, საქმის სასამართლოში გაგზავნის, ან საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე — მას არა აქვს უფლება საქმე წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს წერილობითი მოსაზრებებით (რასაც აკეთებს ხოლმე გამოძიებელი თავისი რწმენით). როგორც ამ უკანასკნელ პუნქტიდანაც ჩანს, მომკვლევის უფლებები ერთგვარად შეზღუდულია და ძნელია იმის თქმა, რომ იგი ყოველთვის საკუთარი რწმენით მოქმედებდეს; ამას გარდა, რაკი მოკვლევის დროს პირი ეძლევა პასუხისგებაში, მიუხედავად დანაშაულის ხასიათისა, არ უნდა იყოს გამართლებული ამ სტადიაზე დამცველის მონაწილეობის აკრძალვა. მაშინაც კი, როდესაც საქმეზე წინასწარი გამოძიება სავალდებულოა, მაგრამ მოკვლევა დაწყებული, 10 დღის განმავლობაში მომკვლევნი უფლებამოსილია აწარმოოს ყველა საგამოძიებო მოქმედება, რომლებსაც იგი მიიჩნევს გადაუდებლად (შეუძლია დაკითხოს ექვემდებარებული). მაშასადამე, ამ თვალსაზრისით მისი უფლებების შეზღუდვა ხელს ვერ შეუწყობს ქვეყნის დადგენას. როგორც ცნობილია, წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ: პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამოძიებლები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. გამოძიებელს კანონით მინიჭებული აქვს დიდი უფლებები: გამოძიებელი, საკმაო საფუძვლის შემთხვევაში, ჩადენილი დანაშაულის გამო თავის სამოქმედო ტერიტორიაზე აღძრავს სისხლის სასამართლოს საქმეს და მიიღებს წარმოებაში ერთიანი დადგენილებით, და ერთი დღე-ღამის განმავლობაში დადგენილების ასლს უგზავნის პროკურორს; გამოძიებელი დამოუკიდებლად ლებულობს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ (ზოგიერთი გამოწვევის გარდა — როცა საქმეა პროკურორის სანქცია ჩხრეკაზე და სხვა); გამოძიებელს შეუძლია დაავალოს მომკვლევს სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებათა შესრულება, გამოძიებლის კანონიერი მოთხოვნები სავალდებულოა აგრეთვე შესრულოს ყველა დაწესებულებამ, საწარმომ, ორგანიზაციამ თუ თანამდებობის პირმა (მოქალაქემ): გამოძიებელს შეუძლია აღძრას

სხვა რაიონის ქვემდებარე საქმეც, ოღონდ მან უნდა შეასრულოს მხოლოდ გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი და საქმე გადაუგზავნოს ქვემდებარეობისამებრ. კანონით, დავას ქვემდებარეობის საკითხზე წყვეტს ზემდგომი პროკურორი. აღსანიშნავია, რომ გამოძიებისათვის დადგენილია ორი თვის ვადა, რაც, როგორც წესი, ირღვევა პრაქტიკაში და გამოძიება ხშირად ჰიანურდება წლობითაც. ამას ხელს უწყობს, ცხადია, გამოძიებლების გადატვირთვაც. გამოძიებელს, კანონის თანახმადვე, შეუძლია ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა შესრულება დაავალოს სხვა რაიონის გამოძიებელს (რომელიც სათანადო დადგენილების საფუძველზე ათი დღის განმავლობაში ასრულებს დავალებას). წინასწარი გამოძიების ორგანოებს უფლება აქვთ აგრეთვე საგამოძიებო მოქმედებათა შესრულება დაავალონ სხვა რესპუბლიკის საგამოძიებო ორგანოებსაც.

როგორც ცნობილია, წინასწარი გამოძიების ინსტიტუტმა განიცადა საკმაო ცვლილებები დღიდან მისი ჩამოყალიბებისა. წინასწარ გამოძიება თავისი ბუნებით კარჩაკეტილია, იგი მიმდინარეობს საიდუმლოდ — უმთავრესად შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების გარეშე. ვფიქრობთ, წინასწარი გამოძიების დღევანდელი ფორმა დაუსაბუთებელი ჩანს პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ერთის მხრივ, აღიარებულია, რომ წინასწარი გამოძიების ორგანოები მოწოდებული არიან დაადგინონ ქეშმარიტება სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას, მაგრამ, მეორეს მხრივ, სწორედ სასამართლოს ვეალება საბოლოოდ გადაწყვიტოს საქმის ბედი (უშუალობის, ზეპირობის, შეჯიბრებითობის და სხვ. პრინციპების დაცვით), დამოუკიდებლად აწარმოოს სამსჯავრო გამოძიება და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოაქვეყნოს წინასწარი გამოძიებით ქობოვებული ინფორმაციები. წინასწარი და სასამართლო გამოძიების პარალელიზმი გაუმართლებელი უნდა იყოს სწორედ ქეშმარიტების დადგენისათვის: უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ წინასწარი გამოძიება დანაშაულებრივ მოვლენას ამორებს მის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას; ზოგჯერ იქმნება გაუმართლებელი განმეორებანი, საგამოძიებო მოქმედებებით (წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებში) იხარჯება დიდი დრო, ორჯერ და მეტჯერაც ხდება მოწმეთა დაკითხვები, რაც იწვევს ძირითადი საქმიანობისაგან მოქალაქეთა მიზანშეუწონელ მოწყვეტას. მთავარი კი ის არის, რომ დაკითხვების საშუალებით მიღებული ინფორმაციები ხშირად არასანდონი არიან სწორედ იმიტომაც, რომ ერთხელ დაკითხული პიროვნება შემდგომში ერთგვარად იძულებულია ანგარიში გაუწიოს თავის ჩვენებას, თუნდაც ეს ჩვენება მიცემული ჰქონდეს პირადი შეცდო-

მის ან გამოძიებლის მიერ ტაქტიკურად გაუმართლებელი მეთოდების გამოყენების წყალობით. რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინასწარი გამოძიების დროს გამოძიებელი თითქოს, არ ადგენდეს მთლიანი მოცულობის ქვეშარიტებას. ამდგვარი მტკიცებით მივიდოდით არა მარტო მოქალაქეთა უსაფუძვლოდ პასუხისგებაში მიცემის გამართლებამდე, არამედ საერთოდ წინასწარი გამოძიების ორგანიზაციულ მანკიერების აღიარებამდე; მაგრამ მეორეს მხრივ, თუ წინასწარი გამოძიება სინამდვილეში აღწევს ქვეშარიტებას, მაშინ ვილას სჭირდება განმეორებით მისი დადგენა? თუ ვიტყვით, რომ სასამართლო ამოწმებს წინასწარი გამოძიების მიერ დადგენილ ქვეშარიტებას — არც ეს იქნება სწორი, რადგან სასამართლო თავისი ბუნებით სრულებითაც არ არის მოწოდებული ამოწმოს წინასწარი გამოძიების მასალები, იგი დამოუკიდებელი ორგანოა, დამოუკიდებელი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად. სასამართლოს რომ წინასწარი გამოძიების მიერ შეგროვილი მტკიცებულებების შემოწმება ევალებოდეს, იგი ერთობ, როგორც იტყვიან, აპელაციურ ფორმას მიიღებდა წინასწარი გამოძიების ორგანოებთან მიმართებაში და დაკარგავდა ნამდვილ თვისებას. მაშინაც კი, როდესაც უნაკლოდ არის ჩატარებული წინასწარი გამოძიება, როდესაც სასამართლო გამოძიების შედეგები ობიექტურად ემთხვევა წინასწარი გამოძიების შედეგებს, მაინც არ ხდება წინასწარი გამოძიების მასალების „დამოწმება“; სასამართლო სრულიად დამოუკიდებლად, საკუთარი ძიებით აღწევს ქვეშარიტებას, თუ ნამდვილ სასამართლო განსჯაზეა ლაპარაკი. ამას გარდა, წინასწარი გამოძიების ორგანოს კანონით მინიჭებული აქვს უფლება შეწყვიტოს წარმოება, ე. ი. ბრალეულობის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტით გამოძიებელი ამ შემთხვევაში სასამართლოს ფუნქციის შემსრულებლადაც გვევლინება. ეს წესი, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი. წინასწარი გამოძიების ორგანოს, ერთის მხრივ, ვაკუთვნებთ ბრალმდებლის ფუნქციას, რაკი პიროვნების პასუხისგებაში მიცემა თავისთავად გულისხმობს გარკვეული ბრალდებების განსაზღვრასაც, მეორეს მხრივ, გამოძიებელს დამცველის ფუნქციასაც მიაწერენ, როდესაც დამცველი არ მონაწილეობს წინასწარი გამოძიების პროცესში. სინამდვილეში გამოძიებელი არც დამცველია (როგორც ითქვა, დამცველისა და ბრალმდებლის ფუნქციების შეხამება შეუძლებელია), არც ფაქტურად „სრულყოფილი“ ბრალმდებელი (ბრალმდებელს უნდა უპირისპირდებოდეს დამცველი) და არც. მოსამართლე (მას საერთო წესით არ ევალება საქმის ბედის გადაწყვეტა). სიტყვა „წინასწარი გამოძიება“ თავისი შინაარსით უფრო უნდა გამოხატავდეს მოკვლევას.

იგი უნდა გულისხმობდეს სწორედ დანაშაულის ნიშნების და დამნაშაის გამოვლენას უფრო წერილობითი საბუთების საშუალებით და არა გამოძიების ამომწურავად ჩატარებას, რაც მხოლოდ სასამართლოში უნდა კეთდებოდეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ლოგიკური იქნება კანონიერად არსებობდეს მხოლოდ მოკვლევა (რის უფლება ექნებოდა აგრეთვე პროკურორსაც, რასაკვირველია) და სასამართლო გამოძიება. მოკვლევის დროს საჭიროა ჩატარდეს სახელდობრ გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი: ჩხრეკა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ამოღება, გასინჯვა, ექვმიტანილის დაკავება, მისი დაკითხვა, წერილობითი დოკუმენტების შეგროვება (სარევიზიო აქტების, სხვადასხვა ხასიათის ცნობების გააოთხოვა, დანაშაულის შემსწრეთაგან ახსნა-განმარტებების მიღება და სხვ.). მოწმეთა, დაზარალებულთა დაკითხვები, ექსპერტიზები უნდა ტარდებოდეს, როგორც წესი, სასამართლოში. მოკვლევის დადგენილება პიროვნების პასუხისგებაში მიცემის შესახებ საჭიროა დაამტკიცოს პროკურორმა; პროკურორს უნდა ევალდებოდეს აგრეთვე დამცველთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულის დაკითხვაში, რაც საჭიროა მოხდეს დაუყოვნებლივ ბრალდების წაყენებისთანავე (გადაუდებელ შემთხვევაში). პიროვნების პასუხისგებაში მიცემის მომენტიდან დამცველისა და ბრალდებულის სისხლის სამართლის პროცესში ჩაბმა ბევრად შეუწყობს ხელს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით ჰუმანიტეტების დადგენას. ვფიქრობთ, გამოძიების ინსტიტუტის მოკვლევით შეცვლა და სასამართლო ფუნქციების გაზრდა — მხარეთა შეუამდგომლობით იმ გარემოებათა გამოკვლევის უფლების ნიწიჭების ხარჯზე, რომლებსაც მოკვლევა არც შეხებია — უფრო მკაფიოდ განასხვავებდა ბრალდებულის, დამცველისა და მოსამართლეთა კომპენტენციებს ერთმანეთისაგან; ერთხელ და სამუდამოდ საფუძველი ჩაეყარებოდა თანმიმდევრულად შეჯიბრებითობაზე და მყარებულ საქვეყნო გამოძიებასაც, სხვა ჰუმანური პრინციპების დაცვით (უმუშალობა, კოლეგიალობა და სხვ.).

სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ სტადიად ითვლება ბრალდებულის სამართალში მიცემა. მოქმედი კანონმდებლობით, მოსამართლე, ხუთ დღეში საქმის სასამართლოში შემოსვლის დღიდან, ერთპიროვნულად აძლევს პირს სამართალში (დადგენილებით), თუ არსებობს. საკმაო საფუძველი საქმის სამსჯავრო სხდომაზე განსახილველად. მაგრამ არასრულწლოვანთა და იმ დანაშაულთა შესახებ საქმეებზე, რომლებიც ითვალისწინებენ სიკვდილით დასჯას, ამას გარდა, როდესაც მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას, ან მიაჩნია საჭიროდ შეცვალოს აღკვეთის ღონისძიება —

მოიწვევა სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომა (შვიდ დღეში) მოსამართლის და ორი მსაჯულის შემადგენლობით (გამწესრიგებელ სხდომაზე პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა). ბრალდებულის სამართალში მიცემის დღევანდელი წესის გამო შეიძლება შეენიშნოთ: კანონში აღნიშნულია, რომ სამართალში მიცემისას წინასწარ არ წყდება ბრალეულობის საკითხი; სინამდვილეში, ძნელი წარმოსადგენია ბრალეულობის საკითხის განხილვის გარეშე საქმის წარმოების შეწყვეტა, რასაც ახდენს სასამართლო გამწესრიგებელ სხდომაზე (თუ არ გამოაქვს განჩინება პირის სამართალში მიცემის, საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების, ან ქვემდებარეობისამებრ მისი გაგზავნის შესახებ); კანონში დათქმულია აგრეთვე, რომ ბრალდებულის სამართალში მიცემის შემთხვევაში სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე შეუძლია საბრალდებო დასკვნიდან ამოიღოს ბრალდების ცალკეული პუნქტი, ან გამოიყენოს სისხლის სამართლის კანონი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ, ამასთან, არ შეცვალოს ბრალდების ფორმულირება. როდესაც სასამართლო თვლის, რომ არ არის დადასტურებული ბრალდების ცალკეული პუნქტები ან თუნდაც ბრალდების ფორმულის შეუცვლელად აზუსტებს დანაშაულის კვალიფიკაციას, ძნელია ამ შემთხვევაშიც ვილაპარაკოთ ბრალეულობის საკითხის შეუხებლობაზე. მით უმეტეს, ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ მოსამართლის დადგენილების შედგენის წესშიც გათვალისწინებულია, სხვა რეკვიზიტებთან ერთად (დადგენილების შედგენის დრო, ადგილი, არსებობს თუ არა საქმის სამსჯავრო სხდომაზე განხილვისათვის საკმაო მონაცემები, სამართალში მისაცემის ვინაობა), იმ ქმედობათა კვალიფიკაციაზე მითითება, რაც ერაყზე ბრალდებულს. მაშასადამე, მოსამართლე, რაკი ამტკიცებს საბრალდებო დასკვნას, იგი ერთგვარად წინასწარ წყვეტს აგრეთვე ბრალეულობის საკითხს; სხვანაირად, მას უფლება არ უნდა მინიჭებოდა ეზრუნა გამწესრიგებელი სხდომის მოწვევისათვის და, მით უმეტეს, დაეყენებინა საკითხი საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და სხვა. როდესაც მოსამართლეს ერთპიროვნულად არ გამოაქვს დადგენილება პირის სამართალში მიცემის, ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირებისაგან შემოსულ შუამდგომლობების განხილვისა და სამსჯავრო სხდომის მომზადების შესახებ, საგანგებოდ დანიშნულ გამწესრიგებელ სხდომაზე საქმის განხილვა იწყება მოსამართლის მოხსენებით, რომელიც, მოქმედი კანონის თანახმად, ასაბუთებს საწინააღმდეგო მოსაზრებებს საბრალდებო დასკვნის ან აღკვეთის ღონისძიების გამო... ამის შემდეგ სასამართლო მოუსმენს პროკურორს და სხვა პირებს, რომლებმაც აღძრეს შუამდგომლობანი (პრო-

კურორი მათ მიერ განცხადებულ შუამდგომლობებზეც აკეთებს დასკვნას) და მხოლოდ მერე გადის სათათბირო ოთახში განჩინების გამოსატანად. როგორც ჩანს, მოსამართლის მსჯელობა საბრალდებო დასკვნის სისწორის შესახებ სხვა არაფერია, თუ არა მისი წინასწარ შემუშავებული რწმენის გამომჟღავნება, რასაც უცილობლად უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია შემდგომში საქმის სასამართლო სამსჯავრო განხილვისას. ის, რომ მოსამართლე, ან სასამართლო გამწესრიგებელ სხდომაზე, დღევანდელი წესის მიხედვით, უქვეყლად ეხებიან საქმის არსს ზოგადად და ბრალულობის საკითხს — კერძოდ, — ეს ჩანს სამართალში მიცემისას კანონმდებლის მიერ გამოსაკვლევი საკითხების დასახელებიდანაც. იმ საკითხების გვერდით, რომელთა გადაწყვეტაც ლოგიკურია პიროვნების სამართალში მიცემის სტადიაზე (მოცემულ სასამართლოს ექვემდებარება თუ არა საქმე განსახილველად, მიღებულია თუ არა ღონისძიებები დანაშაულის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის და ქონების შესაძლებელი კონფისკაციისათვის, დატულია თუ არა საგამოძიებო, ან სხვა მოქმედებათა შესრულების წესები), გათვალისწინებულია ისეთი საკითხებიც, რომლებზედაც პასუხის გაცემა თავისთავად უკვე ნიშნავს მოსამართლეების რწმენის წინასწარ შექმნას (მაგალითად, საქმის შეწყვეტისათვის საფუძვლის ძებნა, მტკიცებულებათა სისრულის შესახებ მსჯელობა, განსჯა: ბრალდებულს წარდგენილი აქვს თუ არა ბრალდება ყველა კმედობისთვის, მიცემულია თუ არა პასუხისგებაში ყველა — ვინც იმხილება დანაშაულის ჩადენაში, სწორად არის თუ არა მიყენებული სისხლის სამართლის კანონი...). ვფიქრობთ, სამართალში მიცემა უნდა გულისხმობდეს: სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში მიღებას მხოლოდ გამწესრიგებელ სხდომაზე იმ ანგარიშით, რომ საქმე განსახილველად მას ექვემდებარება; საჭიროა მოხდეს დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩილედ ცნობა, გადაწყდეს საკითხი საზოგადოებრივი ბრალმდებლის და დამცველის დაშვების შესახებ (პროკურორისა და ადვოკატის მონაწილეობა სამსჯავრო სხდომაზე სავალდებულოდ უნდა იქნას მიჩნეული ყველა შემთხვევაში); ამას გარდა, გამწესრიგებელ სხდომაზე განხილული უნდა იქნეს მხარეების შუამდგომლობანი დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩლის, სამოქალაქო მოპასუხის, მათ წარმომადგენელთა, მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების, თარჯიმანთა სამსჯავრო სხდომაზე დაბარების წესსახებ; საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვონ, აგრეთვე, დამატებითი მტკიცებულებანი (დოკუმენტური და ნივთიერი); გადაწყდეს საკითხი — საქმის ღია ან დახურულ სხდომაზე განხილვის თაობაზე. სასამართლოს, ცხადია,

ისევ უნდა დაეტოვოს კანონით მინიჭებული უფლება: შეწყვიტოს წარმოება სამართალში მიცემის სტადიაშიც ხანდახმულობის ვადის გასვლის გამო, ამნისტიის აქტის ძალით, თუ სამართალში მისაკემ პირს არ შესრულებია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი, თუ არ არის დაზარალებულის საჩივარი, როცა ეს სავალდებულოა (გამონაკლის შემთხვევათა გარდა), ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო, თუ საქმე აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით (გამონაკლის შემთხვევების გარდა), გარდაცვალებულის მიმართ, თუ საჭირო არ არის საქმის წარმოება გარდაცვალებულის რეაბილიტაციისათვის, ან სხვა პირთა საქმის განახლებისათვის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა 'გამო იმ პირთა მიმართ, რომელთა შესახებ არსებობს დაკანონებული განაჩენი იმავე ბრალდებების შესახებ. სხვა შემთხვევებში (ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არ არსებობის ან სხვა გარემოებების საფუძველით) საქმის ბედი უნდა გადაწყდეს მხოლოდ მისი სამსჯავრო განხილვის შედეგად.

სასამართლო განხილვისათვის კანონით დადგენილი ღრეკანდელი საერთო პირობები (სასამართლო შემადგენლობის უცვლელობის, სასამართლო განხილვის უშუალობის, ზეპირობის, უწყვეტობის, საქმის განხილვის მონაწილეთა უფლებების თანასწორობის და სხვა პრინციპების დაცვა) არ იწვევენ შენიშვნებს, ოღონდ, საჭიროდ მიგვაჩნია, თუ მოხდება წინასწარი გამოძიების ინსტიტუტის რეორგანიზაცია — მოკვლევით შეცვლის თვალსაზრისით — შესაბამისად გაიზარდოს, გაფართოვდეს სასამართლო განხილვის ფარგლებიც (ახალი ბრალდების მიმართ), პროკურორის შუამდგომლობით, რასაც გაეცნობა როგორც უშუალოდ სამართალში მიცემული, ისე მისი დამკველი და ამით აღარ მოხდება ბრალდებულის დაცვის უფლებების შეზღუდვა. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს სხვა პირის მიმართაც მიიღოს საქმე სასამართლომ თავის წარმოებაში (მისცეს პირი სამართალში) უშუალოდ სამსჯავრო სხდომაზე საქმის აღძვრასთან ერთად, როდესაც შუამდგომლობს პროკურორი სათანადო დასაბუთებით (თუ საქმეების არასწორი შეერთების ან გამოყოფის გამო არ არის საჭირო დამატებითი მოკვლევის ჩატარება). საქმეში ჩაბმულ სხვა პირს უნდა გააცნონ საბრალდებო თეზისები და უზრუნველყონ იგი დაცვით (თუნდაც საამისოდ საჭირო გახდეს საქმის განხილვის გადადება). სამსჯავრო სხდომაზე ბრალდების დამძიმების (ახალი ბრალდებით განსჯის) ან ახალი პირის მიმართ საქმის აღძვრისთანავე სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღების უფლების საკანონმდებლო წესით დამკვიდრება ბევრად შეუწყობდა ხელს საქ-

მის სასამართლოში ოპერატიულად განხილვას და თავიდან აგვაცი-
ლებდა საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებით გამო-
წვეულ გაქიანურებებს.

კანონით მართებულად არის განსაზღვრული სასამართლოს მო-
ქმედება სამსჯავრო სხდომის გახსნიდან გამოძიების დაწყებამდე (სა-
მსჯავრო სხდომის გახსნა; პროცესის მონაწილეთა განცხადებების
შემოწმება; თარჯიმანისათვის მოვალეობის განმარტება; მოწმეთა
გაყვანა სასამართლოს დარბაზიდან, და სხვ.), ოღონდ, პროკურორისა
და დამცველის მონაწილეობა ყველა შემთხვევაში სამსჯავრო სხდო-
მის დროს, ვფიქრობთ, სავალდებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული და
მათი გამოუცხადებლობის შემთხვევაში საჭიროა საქმის მოსმენის
გადადება. სამსჯავრო გამოძიება არ უნდა იწყებოდეს თავმჯდომარის,
სახალხო მსაჯულის ან სასამართლო სხდომის მდივნის მიერ საბრალ-
დებო დასკვნის გამოქვეყნებით. ეს მისია მიზანშეწონილია დაეკის-
როს ბრალდების წარმომადგენელს (პროკურორს, ან დაზარალებულს
— კერძო საჩივრის საქმეებზე), რადგან იგი აყალიბებს ბრალდების
თეზისებს და არა მოსამართლე (მსაჯული ან მდივანი). დამამტკიცე-
ბელი საბუთების გამოკვლევის წესის დადგენის შემდეგ, როგორც
ცნობილია, ხდება სასამართლო-საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება.
კანონის შესაბამისად, ჯერ დაკითხავენ ხოლმე სამართალში მიცე-
მულს, შემდეგ — მოწმეებს, დაზარალებულს, ექსპერტს. — ექსპერ-
ტის მიერ დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ; დათვალეირდება ნივთიე-
რი დამამტკიცებელი საბუთები. დოკუმენტები — მოხდება მათი გა-
მოქვეყნება; შეიძლება მოხდეს შემთხვევის ადგილის დათვალეირება,
საჭიროებისამებრ ჩატარდეს საგამოძიებო ექსპერიმენტიც... ბოლოს,
აუცილებელი დამატებითი მოქმედებების შესრულების შემდეგ
სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ცხადდება გამოძიება დამთავრე-
ბულად; იხსნება სასამართლო კამათი; სამართალში მიცემულს
ეძლევა საბოლოო სიტყვა; საბოლოო სიტყვის შემდეგ მოსამართლე-
ნი გადიან სათათბირო ოთახში განაჩენის დასადგენად. კანონის თა-
ნახმად, განაჩენს შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ ის მტკი-
ცებულბები, რომლებიც განხილული იყო სამსჯავრო სხდომაზე. ეს
გარემოებაც კარგად მიგვანიშნებს სამსჯავრო გამოძიების მნიშვნე-
ლობაზე საქმის ბედის გადაქარასა და მართლმსაჯულების უზრუნველ-
ყოფის თვალსაზრისით. განაჩენის დადგენისას კანონმდებელი სავალ-
დებულოდ თვლის გადაწყვეტის შემდეგი საკითხები: მომხდარია თუ
არა ქმედობა, რაც სამართალში მიცემულს ერაცხება; თუ ქმედობა
შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას, რომელ კანონშია იგი გათვა-
ლიწინებული; ბრალი მიუძღვის თუ არა სამართალში მიცემულს ა

დანაშაულის ჩადენაში; უნდა დაისაჯოს თუ არა იგი; რა სასჯელით (მოიხადოს თუ არა სასჯელი); დაკმაყოფილდეს თუ არა სამოქალაქო სარჩელი; რა ბედი ეწიოს ნიეთმტკიცებებს; ვის დაეკისროს (რა რაოდენობით) სასამართლო ხარჯები; როგორ გადაწყდეს ალკეეთის ღონისძიება; თავისუფლების ალკეეთის შემთხვევაში რომელ შრომაგასწორებით დაწესებულებაში და როგორი რეჟიმით უნდა მოიხადოს სასჯელი... ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა (რასაც ცალკ-ცალკე ახდენენ მოსამართლენი, თავმჯდომარე ბოლოს აძლევს ხმას) მოითხოვენ მტკიცებულებათა ჭეროვან შეფასებას (გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენის უშუალოდ დადგენისათვის).

დამამტკიცებელ საბუთებს გამამტყვეტი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდებისათვისაც. როგორც ცნობილია, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც პირმა ქმედობა ჩაიდინა შეურაცხად მდგომარეობაში ან იგი დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა სულიერად. წინასწარი გამოძიებით, კანონის მიხედვით, სავალდებულოა გამოირკვეს: 1. ქმედობის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი და სხვა ვითარება; 2. ქმედობის ჩადენა მოცემული პირის მიერ; 3. ქმედობის ჩამდენი პირის სულით ავადმყოფობა წარსულში; სულით ავადმყოფობის ხარისხი და ხასიათი ქმედობის ჩადენის მომენტში და საქმის გამოძიებისას; 4. ქმედობის ჩადენამდე და მის შემდეგ პირის საქციელი; 5. ქმედობით მიყენებული ზარალის ხასიათი და ოდენობა (საქ. სსრ სსსკ 327-ე მუხ.).

ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისათვის დადგენილი უნდა იყოს, რამ ქმედობა ჩაიდინა სწორედ მოცემულმა პირმა, რის გამოც აღიძრა საქმე და წარმოებს გამოძიება. კანონის მიხედვითვე, როგორც კი დადგინდება ქმედობის ჩამდენი პირის სულით ავადმყოფობა, მაშინვე სავალდებულოა დაიშვას დამცველი. საქმე გამოძიების შემდეგ იგზავნება განსახილველად სასამართლოში დადგენილებით (პროკურორის თანხმობით). ვფიქრობ, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი, როდესაც მოსამართლე (თავმჯდომარე) ნიშნავს გამწესრიგებელ სხდომას საქმის წარმოების შეწყვეტისათვის სამედიცინო ხასიათის ღონისძიების გამოყენების უსაფუძვლოდ გამო. ეს საკითხი სასურველია წყდებოდეს უშუალოდ საქმის სამსჯავრო განხილვისას, სადაც ხდება იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე გამომძიებლის დადგენილების გამოქვეყნება; სასამართლოს სამსჯავრო დახურულ სხდომაზე (პროკურორისა და დამცველის აუცილებელი მონაწილეობით) იკითხებიან მოწმეები, მოწმდება სხვა მტკიცებულებანი, მოისმენენ ექსპერტის დასკვნას და სხვა. კანონის

თანხმად სასამართლო თავის განჩინებით დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე უფარდება პირს სამედიცინო ხასიათის კონკრეტულ იძულებით ღონისძიებას, ან საჭიროა განჩინებითვე არ შეუფარდოს ასეთი ზომა და შეწყვიტოს წარმოება, თუ პირს არ ჩაუდენია ქმედობა, განურჩევლად მისი სულიერი მდგომარეობისა (საქ. სსრ სსსკ. 333-ე მუხ.).

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმეთა წარმოება — კანონმდებლობით მიჩნეულია პროცესის დამოუკიდებელ სტადიად. კანონის თანახმად, საკასაციო წესით ზემდგომ სასამართლოში განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვთ: მსჯავრდებულს, მის დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს; დაზარალებულს, მის წარმომადგენელს; სამოქალაქო მოსარჩლეს, სამოქალაქო მოპასუხეს, მათს წარმომადგენლებს, შეუძლიათ გაასაჩივრონ განაჩენი სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით; გამართლებულ პირსაც აქვს უფლება გაასაჩივროს განაჩენი გამართლების საფუძვლად თაობაზე; პროკურორს ევალება გაპროტესტოს, როგორც დაუსაბუთებელი, ისე უკანონო განაჩენი (გასაჩივრებისა და გაპროტესტების ვადაა ხუთი დღე). კანონის შესაბამისად, საქართველოს უმაღლეს სასამართლოს განაჩენის გაპროტესტება და გასაჩივრება საკასაციო ფორმით არ დაიშვება (იხე. როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების განაჩენებისა). საბჭოთა საკასაციისათვის დამახასიათებელ პრინციპებად აღიარებენ: 1. მხარეთა მიერ განაჩენის გასაჩივრების თავისუფლებას; 2. პირველი ინსტანციის სასამართლოში კანონის დაცვისა და ფაქტიურ გარემოებათა დადგენის შემოწმებას; 3. სარევიზიო წესს; 4. მხარეთა ინტერესების, დაცვის უზრუნველყოფას¹. კანონის თანახმად საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვა იწყება სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მოხსენებით — საქმის შინაარსზე და პროტესტის ან საჩივრის მოსაზრებებზე. ვფიქრობთ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა საქმის განხილვა დაწყებულიყო პროკურორის ან მომჩივანის (მსჯავრდებულის, გამართლებულის, მათი დამცველის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩლის, ან სამოქალაქო მოპასუხის, მათი წარმომადგენლის) მოხსენებით პროტესტის ან საჩივრის მოსაზრებებზე (რის გამოც აუცილებლადაც იქნებოდა მიჩნეული საჩივრის შემტანის სასამართლო სხდომაზე დასწრება), რაკი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის საკითხი საბოლოოდ მხოლოდ განჩინებით და

¹ М. С. Строгович, Проверка законности и обоснованности судебных приговоров, 1956, с. 62—70.

იქამდე საქმის არსობაზე არც ერთ მოსამართლეს არ უნდა უხდებოდადეს აზრის გამოთქმა (მით უმეტეს ზოგჯერ ეს ე. წ. საქმის შინაარსის „ობიექტური“ გადმოცემაც არ არის თავისუფალი სუბიექტური მოსაზრებებიდანაც და ხარვეზებიდანაც). განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მასალები, რომლებსაც აქვეყნებს სასამართლო და შესაძლებლობას აძლევს საქმეში მონაწილე პირებს გაეცნონ მათ. ეს ე. წ. „ახალი მასალები“ წერილობითი მტკიცებულების მნიშვნელობით უნდა იქნეს განხილული; სხვანაირად მათ არც ექნებოდათ ღირებულება. მართალია (ისე როგორც საქმის აღძვრის მომენტში წარმოდგენილი მასალები), საკასაციო სასამართლოში მიღებული მასალებიც ვერ მოწმდება საგამოძიებო მოქმედებებით, მაგრამ წერილობით მტკიცებულებების ურთიერთმიმართებაში განხილვა და გაანალიზება უექველად ქმნის იმის საფუძველს, რომ სათანადო დასკვნები იქნეს გამოტანილი. კანონით, საკასაციო ინსტანციაში შეიძლება წარდგენილ იქნას ისეთი ახალი მასალებიც, რომლებიც პირველი ინსტანციის ფორმით საქმის განხილვისას არ იქნენ მიღებულნი. საკასაციო ინსტანციას, როგორც ეს ლიტერატურაშიც არის შენიშნული, უფლება არა აქვს არ მიიღოს ახალი მასალები იმ საფუძველით, რომ იგი არ ეხება საქმეს, რომ თითქოს არაფრის მთქმელია და სხვა ამდაგვარი მოტივით. მეორე ინსტანციის სასამართლო არ არის უფლებამოსილი სპეციალური განჩინება გამოიტანოს წარდგენილი მასალების მიუღებლობის შესახებ, როგორც ეს კეთდება საქმის არსებითად განხილვისას; წესით ახალი მასალების შეფასება უნდა მოხდეს თვით განჩინის დასაბუთებულობის და კანონიერების საკითხების გადაწყვეტისას განჩინებით. სწორად არის აგრეთვე შენიშნული, რომ სასამართლომაც უნდა იზრუნოს დამატებითი მასალების გამოთხოვისათვის, თუ ეს საჭიროა ქეშმარიტების დასადგენად. მ. ს. სტროგოვიჩის, მ. მ. გროძინსკის და სხვათა აზრით, დასაშვებია მხარეებმა მიიღონ წერილობითი განმარტებები ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად ცალკეული მოქალაქეებისაგან (მეორე ინსტანციის სასამართლოსათვის). როგორც მიღებულია, მეორე ინსტანციის სასამართლოს არ ეკრძალება მოიწვიოს სპეციალისტი საქმეზე ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით, რომელსაც შეუძლია ჩამოაყალიბოს წერილობით თავისი შეხედულება, რომელიც არ უტოლდება საექსპერტო დასკვნას, მაგრამ წერილობითი მტკიცებულების ძალას კი იძენს.

აღსანიშნავია, რომ პროკურორის მეორე ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობის შესახებ არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი. მ. ს. სტროგოვიჩი ეთანხმება მ. ა. ჩელცოვს, რომელიც არ

თვლის მხარედ საკასაციო წარმოების დროს მონაწილე პროკურორს, რაკი იგი ბრალდებას მხარს არ უჭერს¹. მ. მ. გროძინსკის აზრით, პროკურორი მხარეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მხარს უჭერს შეტანილ პროტესტს². მ. ს. სტროგოვიჩი აკრიტიკებს ამ შეხედულებას და აღნიშნავს, რომ პროკურორი არ შეიძლება იყოს ზოგჯერ მხარე და — ზოგჯერ არა — იმისდა მიხედვით — მხარს უჭერს პროტესტს თუ საჩივარს. პროფესორი მ. ს. სტროგოვიჩი გაკვირვებას გამოხატავს: თუ პროკურორი მხარს უჭერს პროტესტს, რომელიც ითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტას, დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო — არის ბრალმდებელი და თუ მხარს არ უჭერს საჩივარს და მოითხოვს ძალაში დარჩეს გამამტყუნებელი განაჩენი — არ არისო ბრალმდებელი? ამ ლოგიკურად გამართული მსჯელობით მაინც არ მტკიცდება მ. ს. სტროგოვიჩის შეხედულების სისწორე. მისი აზრით, პროკურორი მეორე ინსტანციის სასამართლოში არც ბრალმდებელია და არც მხარე, რადგან იგი აძლევს დასკვნას განაჩენის კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე. ვფიქრობთ, ეს არგუმენტი ვერ ხასიათდება დამაჯერებლობით. როგორც ცნობილია, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მონაწილეობს პროკურორი, იგი იღვწის იმისათვის, რომ გამოტანილ იქნას კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი. საამისოდ იგი ამზადებს ნიადაგს მაშინაც, საბრალდებო დასკვნას რომ ამტკიცებს მოკვლევისა თუ წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ, თვლის რა დანაშაულს დადასტურებულად. მაგრამ, იმის მიუხედავად — სასამართლო გაამართლებს თუ გაამტყუნებს ბრალდებულს, პროკურორი როგორც სახელმწიფო — ცენტრალიზებული ორგანოს წარმომადგენელი, მაინც ბრალმდებელია, რაკი ბრალდებებსაც იმთიფითვე მისი ხელმძღვანელობით ეყრება საფუძველი და სასამართლოშიც სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქცია ეკისრება მას, თუნდაც იგივე მის მიერ დამტკიცებული საბრალდებო დასკვნის მიხედვით. ის, რომ, ეთქვას, სამსჯავრო გამოძიების დროს მონაწილე პროკურორის მოთხოვნით გაამართლებელი განაჩენი გამოიტანა პირველი ინსტანციის სასამართლომ — ეს კიდევ არ ნიშნავს პროკურორისაგან საბრალდებო ფუნქციის ჩამოცილებას. პროკურორი შეიძლება შეტდეს კიდევ, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში საბრალდებო სიტყვის თქმის დროს, ისე მეორე ინსტანციის სასამართლოს წინაშე დასკვნის მიტეპისას; მაგრამ იქამდე, სანამ განაჩენი არ

1 მ. ა. ჩელცოვი, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი (რუს.), 1951, გვ. 390.

2 მ. მ. გროძინსკი, საკასაციო და სახელმძღვანელო წარმოება საბ. სის. საპ. პროცესში, 1953, გვ. 44—45. (რუს.).

დაკანონდება, პროკურორი, როგორც პროკურატურის წარმომადგენელი, ითვლება ბრალმდებლად, რაკი საჯარო ბრალდების საქმეების სასამართლოში განხილვა ამ ორგანოს თაოსნობის გარეშე წარმოუდგენელია (თვით კერძო ბრალდების საქმეებიც საჯარო ხასიათს ლებულობს მოქალაქეთა ინტერესების დაცვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო). პროკურორის მიერ დამტკიცებული საბრალდებო დასკვნით განხილულ საქმეზე, რომ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს მაშინ, როდესაც პროკურორმა, ვთქვათ, მოითხოვა სამართალში მიცემულის გამართლება, პროკურორი მაინც ბრალმდებლად რჩება თუნდაც იმიტომ, რომ სასამართლო ვერ განიხილავდა საქმეს ბრალდების ორგანოების მიერ, რომ არ ყოფილიყო ჩატარებული გამოძიება (მოკვლევა) და პროცესუალურად სათანადოდ გაფორმებული საბრალდებო დასკვნა.

მ. ს. სტროგოვიჩის აზრით, მეორე ინსტანციის სასამართლოში პროკურორი არ არის მხარე (ბრალმდებელი), რადგან მას არა აქვს წინასწარ შემუშავებული რწმენა, იგი არ ხელმძღვანელობდა გამოძიებას, არ დაუმტკიცებია საბრალდებო დასკვნა, არ დაუჭერია მხარი პირველი ინსტანციის სასამართლოში ბრალდებისათვის და თავის დასკვნას ამყარებს მხოლოდ საქმის მასალებზე¹. ვფიქრობთ, ეს არგუმენტებიც მიუღებელია. მართალია, მეორე ინსტანციის სასამართლოში მონაწილე პროკურორს არ დაუმტკიცებია საბრალდებო დასკვნა, მაგრამ ამით როდი ეხსნება პროკურორს, როგორც საჯარო ბრალდების ორგანოს, პასუხისმგებლობა. თუ ზემდგომ პროკურორს, რომელიც მონაწილეობს მეორე ინსტანციის სასამართლოში, პერსონალურად არ დაუმტკიცებია საბრალდებო დასკვნა — ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზემდგომი პროკურატურა (რომლის წარმომადგენელიც თვითონ არის) არ ხელმძღვანელობდა გამოძიებას (განა ქვემდგომი პროკურატურის ხარვეზებითვე არ ხასიათდება ზემდგომი პროკურატურაც?); რბგორც ცნობილია, ზოგჯერ ზედამხედველ პროკურორს საკასაციო პროტესტი შეაქვს მაშინაც, როდესაც მას არ დაუჭერია მხარი ბრალდებისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში, ამიტომ მეორე ინსტანციის სასამართლოში მონაწილე პროკურორის განსაკუთრებული პროცესუალური მდგომარეობა არც იმით შეიძლება დახასიათდეს, რომ იგი არ მონაწილეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში და თავის დასკვნას ამყარებს მხოლოდ საქმის მასალებზე. რწმენის საკითხთან დაკავშირებით მართლაც შეიძინევა

¹ მ. ს. სტროგოვიჩის, სასამართლო განაწინების კანონიერების დაცვაზეუბულობის შემოწმება, 1956, გვ. 179. (რუს.).

ერთგვარი განსხვავება საბრალდებო დასკვნის (დამამტკიცებელ პროკურორსა (რომელიც მონაწილეობს აგრეთვე სასამართლოს სხდომაზე საქმის არსებითად განხილვაში) და მეორე ინსტანციის სასამართლოში მონაწილე პროკურორს შორის, მაგრამ აქაც საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზოგჯერ პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქცია მიენდობა ხოლმე იმ პროკურორსაც, რომელსაც არ დაუმტკიცებია საბრალდებო დასკვნა (ე. ი. არა აქვს შემუშავებული წინასწარი რწმენა); ამას გარდა, ცნობილია, პროკურორის წინასწარი რწმენა არამც და არამც არ გამოორიცხავს სასამართლოში მის შეცვლას; ასე რომ, არ იყოს, მაშინ ადარ უნდა გველაპარაკა სასამართლო სამსჯავრო გამოძიების დამოუკიდებლობაზე, პროფ. მ. სტროგოვიჩის შენიშვნით, თუ პროკურორი საქმის საკასაციო წარმოების დროს მხარე (ბრალმდებელი) იქნებოდა, მაშინ სავალდებულოდ უნდა გაგვეხადა დამცველის მონაწილეობაც, რადგან საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, სასამართლოში არსებითად საქმის განხილვისას პროკურორის მონაწილეობა უკვე გულისხმობს აგრეთვე დამცველის ჩაბმასაც¹ (თუ ბრალდებული უარს არ განაცხადებს ჰყავდეს დამცველი, რასაკვირველია). ვფიქრობთ ეს შენიშვნა საყურადღებოა, მაგრამ არა იმ მხრივ, რომ მეორე ინსტანციის სასამართლოში მონაწილე პროკურორი მხარედ (ბრალმდებლად) არ ჩავთვალოთ; უდავოდ გვეჩვენება, დამცველი უნდა დაინიშნოს მეორე ინსტანციის ფორმით საქმის განხილვისას მაშინაც, როდესაც მსჯავრდებულს (გამართლებულს) სურს ჰყავდეს დამცველი, რაჟი ეს უეჭველად ხელს შეუწყობს ქვემარტივების დადგენას. მ. ს. სტროგოვიჩი თავისი შეხედულების გასამტკიცებლად აღნიშნავს, რომ მაშინაც კი, როდესაც საკასაციო პროტესტს მხარს უჭერს ზემდგომი პროკურორი, იგი მაინც არ ხდება ბრალმდებლად, ისევე როგორც საჩივრისადმი მხარდაჭერა მას ვერ გადააქცევსო დამცველად. მიუხედავად იმისა, რომ ზემდგომ პროკურორს შეუძლია გამოითხოვოს ქვემდგომი პროკურორის საკასაციო პროტესტი (რაჟი საკასაციო ინსტანცია იხილავს მხოლოდ ისეთ პროტესტებს, რომლებზეც თანახმაა ზემდგომი პროკურორი), ავტორი რატომღაც გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ პროტესტი შეიტანება ხოლმე არა ზემდგომი პროკურორის, არამედ იმ პროკურორის მიერ, რომელიც მონაწილეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. იგი აღნიშნავს, რომ ზემდგომ პროკურორს (პროტესტიც რომ არ მოხსნას) კასაციის დროს შეუძლია არც დაეთანხმოს ქვემდგომ პროკურორს²; შეუძლია

¹ მ. ს. სტროგოვიჩი, იქვე. გვ. 180.

² იქვე, გვ. 181—182.

შეცვალოს თავისი დასკვნა მხარეთა მიერ ახლად წარმოდგენილი მასალების საფუძველზე. ვფიქრობთ, ამ არგუმენტებითაც ვერ მტკიცდება მ. ს. სტროგოვიჩის აზრის სისწორე; პირიქით, ვერ ცვლიან იმ ლოგიკურ დასკვნას, რომ არ შეიძლება პროკურორის ფუნქცია სხვადასხვა პოზიციით იქნას განხილული პირველსა და შემდგომ სასამართლო ინსტანციებში. როგორც ცნობილია, პირველი ინსტანციის სასამართლოშიც პროკურორის შეუძლია მხარი არ დაუჭიროს ბრალდებას, მაგრამ ეს ხომ არ ცვლის მის პროცესუალურ მდგომარეობას? მეორე ინსტანციის სასამართლოში შემდგომი პროკურორის მონაწილეობის ხასიათიც არ შეიძლება იმის მიხედვით იქნეს განსჯილი — მხარს უჭერს თუ არა იგი ბრალდებას; ამას გარდა, რაკი შემდგომ პროკურორს არ შეაქვს საკასაციო პროტესტი იმ სიძნელეების გამო, რომ საკასაციო ვადაში უნდა გაეცნოს საქმის მასალებს მხარეები და სხვა, ამით რა იცვლება? თუ შემდგომი პროკურორი თანახმაა განხილულ იქნას პროტესტი (რის გარეშეც წარმოუდგენელია პროტესტით საკასაციო წარმოება), რაღატომ არ არის შემდგომი პროკურორი ისეთივე მხარე (ბრალმდებელი), როგორიც პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილე პროკურორი? ბულგარელი მკვლევარის სტეფან პავლოვის სწორი შენიშვნით, თუ მეორე ინსტანციის სასამართლოში მონაწილე პროკურორი არ იქნებოდა მხარე, მაშინ აღარც შეიძლებოდა გველაპარაკა შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენებაზე; თვითონ სტროგოვიჩიც ხომ არ უარყოფს შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენებას საქმის კასაციურად განხილვისას? კერძოდ, შეჯიბრებითობას იგი ასაბუთებს ბრალდებულის უფლების დაცვის თვალსაზრისით, რომ ბრალდებულს უფლება აქვს უშუალოდ (ან დამკველის მეშვეობით) საკასაციო საჩივარი შეიტანოს შემდგომ სასამართლოში. საკასაციო სასამართლო, ამოწმებს რა, დაცული იქნა თუ არა შეჯიბრებითობის პრინციპი სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის დროს, ავტორს ლოგიკურად გამოაქვს დასკვნა, რომ მეორე ინსტანციის სასამართლოში შეჯიბრებითობას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც ბრალდებული არ ესწრება კასაციას. აღნიშნულის სისწორე თავისთავად ექვს არ იწვევს, მაგრამ მ. ს. სტროგოვიჩის მსჯელობას ამ შემთხვევაში რომ ცალმხრივობის ელფერი დაჰკრავს, არც ეს უნდა იყოს სადავო. მართლაც, შეჯიბრებითობა უქვევლად გულისხმობს არა მარტო დაცვას, არამედ ბრალდების ფუნქციის გამიჯნვასაც სასამართლო ფუნქციისაგან. თუ კასაციის დროს ადგილი აქვს დაცვას, მაშინ რაღატომ უგულვებელყოფთ ბრალდების ფუნქციას? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პიროვნებას ხომ დაცვა სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ბრალდებისაგან?

ნუთუ მეორე ინსტანციის სასამართლოში სრულიადაც აღარ არის საინტერესო ბრალდების პოზიციები თუნდაც პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილე პროკურორის მოქმედების მხრივ? ამ გარემოებათა გაუთვალისწინებლად საკითხის გადაწყვეტა ხომ უეჭველად გამოიწვევს დაცვისა და ბრალდების ფუნქციების ერთმანეთისაგან ხელოვნურად გათიშვას?

ლიტერატურაში სწორად არის აღნიშნული მეორე ინსტანციის სასამართლოში, შეჭიბრებითობის პრინციპის გარდა, სისხლის სამართლის პროცესის სხვა პრინციპების გამოყენებაზეც. ნ. კალაშნიკოვასა და სხვათა აზრით, საქმის საკასაციო განხილვის დროს ხდება მტკიცებულებათა შეფასების შემოწმება და არა შეფასება. მ. ს. სტროგოვიჩის სწორი შენიშვნით, შეფასების გარეშე შეუძლებელია „შეფასების შემოწმება“¹. ამავე აზრს იცავს მ. მ. გროძინსკიც. მ. ს. სტროგოვიჩი მართებულად აღნიშნავს აგრეთვე, რომ კასაციის დროსაც ფასდება მტკიცებულებანი მათი კეთილზარისხონეების, სისრულის, ყოველმხრივობის, ობიექტურობის თვალსაზრისით, რაკი ჩვენთან არ არის „სუფთა“ კასაცია; მაგრამ, ცხადია, კასაციის დროს, რაკი არ ხდება გამოძიება, სასამართლოს სხლომაზე გამოცხადებული მსჯავრდებული (გამართლებული) იძლევა განმარტებას და არა ჩვენებას; ჩვენებისათვის არ გამოიძახება ხოლმე აგრეთვე მოწმეები, არ ტარდება ექსპერტიზა და სხვა საგამოძიებო მოქმედებანი.² კასაციის დროს კმაყოფილდებიან წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს ფიქსირებული მტკიცებულებებით. საერთო აღიარებით, კასაცია ვერ მიიჩნევის დამტკიცებულად ისეთ ფაქტებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით არ არის მიღებული ან უარყოფილი (მეორე ინსტანციის სასამართლო არ არის კომპეტენტური დაადგინოს ახალი ფაქტები). კანონით, საკასაციო სასამართლო დამამტკიცებელი საბუთების შეფასების შედეგად ვერ მიუთითებს ქვემდგომ სასამართლოს, თუ რა გზით შეაფასოს მტკიცებულებანი საქმის ხელახლა განხილვისას, მაგრამ თვითონ კი მოვალეა იქამდე, სანამ რაიმე დასკვნას გამოიტანდეს, გაანალიზოს მტკიცებულებანი, რამდენად ლოგიკურად უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს, არის თუ არა ობიექტურად დამაჯერებელი ინფორმაციების წყაროები, სწორად შეამოწმა და შეაფასა თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლომ მტკიცებულებანი და სხვა. დამამტკიცებელი საბუთების შეფასების გარეშე, ცხადია, შეუ-

¹ მ. ს. სტროგოვიჩი, სასამართლო განაჩენების კანონებისა და დასაბუთებულობის შემოწმება, 1956, გვ. 115.

² ი. პერლოვი, უსაფუძვლოდ ცდილობდა კასაციაში შეეტანა გამოძიების ელემენტები, რაც სასამართლიანად ექნა დაკმობილი (ი. დ. პერლოვი, საკასაციო წარმოება, 1968, გვ. 81).

ძლებელია სათათბირო ოთახში განჩინების გამოტანა. განჩინების გამოტანის დროს სასამართლოს წევრს შეიძლება შეუშუშავდეს განსაკუთრებული აზრი, რაც, კანონის თანახმად, მოხსენდება ხოლმე სასამართლოს თავმჯდომარეს, ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანის საკითხის გადასაწყვეტად. საკასაციო სასამართლოს, დამამტკიცებელი საბუთების განხილვის შემდეგ, კანონის შესაბამისად, შეუძლია არ დააკმაყოფილოს პროტესტი ან საჩივარი და განაჩინი უცვლელად დატოვოს; შეუძლია აგრეთვე შეწყვიტოს საქმის წარმოება. საკასაციო სასამართლოს შეუძლია აგრეთვე გააუქმოს განაჩენი და საქმე გააგზავნოს წინასწარი გამოკვლევისათვის ან პირველი ინსტანციისებურად სასამართლო განხილვისათვის. საკასაციო სასამართლოს განჩინებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მტკიცებულებებს. კანონით ცნობილია, რომ განჩინების შედგენისას, ფიქსირდება საფუძველიც, თუ რატომ არ დაკმაყოფილდა, მაგალითად, პროკურორის პროტესტი, პროკურორის წერილობით დასკვნაში ჩამოყალიბებული მოსაზრებანი, ან საკასაციო საჩივარი. ეს საფუძველი სხვა არაფერი არ შეიძლება იყოს, გარდა ისევე საქმეში არსებული მტკიცებულებებისა, რომლებზეც უნდა მიუთითოს საკასაციო სასამართლომ. კანონშივეა აგრეთვე დატკმული, რომ განაჩენის გაუქმების ან შეცვლის დროს, განჩინებაში აღინიშნება, როგორც კონკრეტული კანონის მუხლის დარღვევის ხასიათი, ასევე დაუსაბუთებლობის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო, თუ საქმეს დააბრუნებს დამატებითი გამოძიებისათვის, ან პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსაზღვრულად, უთითებს გამოსაკვლევ გარემოებათა თაობაზე; იგი უფლებამოსილია აგრეთვე მიუთითოს საგამოძიებო-სასამართლო მოქმედებათა ჩატარების შესახებაც, რაც, თავისთავად ცხადია, სავალდებულოა შესრულდეს. მეორე ინსტანციის სასამართლოს მიუთითებანი მართალია, უცილობლად უნდა შესრულდეს წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერაც, თუ საქმე გადაეცემა მათ დამატებითი გამოძიებისათვის, მაგრამ კანონის თანახმად, მეორე ინსტანციის სასამართლოს არ შეუძლია წინასწარ გადაწყვიტოს რომელიმე მტკიცებულების დამაჯერებლობის, არადამაჯერებლობის, უპირატესობის შესახებ; საკასაციო სასამართლო ვერ მიიჩნევს აგრეთვე დამტკიცებულად და ვერც დაადგენს ისეთ ფაქტებს, რომლებიც განაჩენით არ ყოფილა დადგენილი (უარყოფილი). მეორე ინსტანციის სასამართლოში ახლად წარმოდგენილი მასალები (რაკი არ შემოწმებულან გამოძიებით) არ გამოიყენებიან საბოლოო დასკვნისათვის, თუმცა, მათი საშუალებითაც მოწმდება განაჩენის დასაბუთებულობა

და კანონიერება. დამატებითი მასალები, როგორც მიღებულია, დაერთვის საქმეს და მასთან ერთად განიხიებით ეგზავნება პროკურორს (დამატებითი გამოძიებისთვის) ან განაჩენის გამომტან სასამართლოს (განიხიების გამოტანიდან სამი დღის განმავლობაში). კანონის თანახმად, როდესაც განაჩენი გაუქმდება პროკურორის პროტესტით ან დაზარალებულის საჩივრით, სასჯელის გაძლიერების ან უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის გამოყენების საბაზით, საქმე განხილული (გამოძიებული) უნდა იქნას ხელახლა საერთო წესით, მაგრამ არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც პირველი განაჩენი არ ყოფილა გაუქმებული მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის გამოყენების მოთხოვნით, მაგრამ საქმეზე დამატებითი გამოძიების შედეგად დასტურდება, რომ ბრალდებულს ჩადენილი ჰქონია იმაზე უფრო მძიმე დანაშაულს, ვიდრე ერაცებოდა წინასწარი გამოძიებითა და სასამართლოში პირველად განხილვის დროს. ამ შემთხვევაშიც, ცხადია, ბრალდებული პასუხისგებაში იქნება მიცემული სინამდვილეში ჩადენილი დანაშაულისთვის და საქმე საერთო წესით წარიმართება სასამართლოში განსახილველად. რაკი მეორე ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია კერძო განიხილებაში მიუთითოს (მომკვლევს, გამოძიებელს, სასამართლოს კონკრეტულ დარღვევებზე) აგრეთვე დანაშაულის ხელშემწყობ პირობებზე გარკვეული ორგანიზაციის, დაწესებულების, საწარმოს მხრივ ზომების მიღების მიზნით, ცხადია, განიხიება ამ თვალსაზრისითაც უნდა დასაბუთდეს მტკიცებულებით.

საკასაციო წარმოებისაგან განსხვავებით, სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ თავიანთი კომპენტენციის ფარგლებში სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირთა (სსრკ გენერალური პროკურორი, მისი მოადგილეები, მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორები, მათი მოადგილეები, ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები, ავტონომიური ოლქების პროკურორები, სსრკ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, ავტონომიური ოლქების სასამართლოების თავმჯდომარეები) პროტესტების საფუძველზე და თანაც თუ სასამართლოს განაჩენებს (განიხიებანი, დადგენილებანი) უკვე კანონის ძალა აქვთ. სასამართლო ზედამხედველობის წესით წარმოება პროცესის დაპოუქიდებულ სტადიად ითვლება და მისი მნიშვნელობა ლიტერატურ-

რაში ექვსაც არ იწვევს; პირიქით, იმაზეც არის ლაპარაკი, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ამ ინსტიტუტის არარსებობა უმართებულად არის დასაბუთებული (დაკანონებული განაჩენის კემპარიტებასთან გათანაბრებით). მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენ არ მიგვაჩნია სასამართლო ზედამხედველობის წესით წარმოება თეორიულად დასაბუთებულად და პრაქტიკული თვალსაზრისით მიზანშეწონილად შემდეგ მოსაზრებათა გამო: სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ საკმაოდ ბევრი საქმეები იხილება დაკანონებული განაჩენებით სწორედ საკასაციო სასამართლოების მიერ განხილვის შემდეგ. საკასაციო სასამართლოს ყურადღების გარეშე კი უფრო მცირე საქმეებიღა რჩება; ძირითადად ეს ისეთი დანაშაულის საქმეებია, რომელთა მიხედვით დასჯილ პირებს აშკარად უსაგნოდ მიაჩნიათ რაიმე საბაბით მდგომარეობის გაუმჯობესებაზე საჩივრის აღძვრა. თუმცა, ისეთი მსჯავრდებულებიც არიან ზოლმე, რომლებიც არ ერიდებიან არაფერს, უსირცხვილოდ იყენებენ განაჩენის საკასაციოდ გასაჩივრების უფლებას (ხშირად სიყალბეებსაც კადრულობენ), ღრმადაც რომ იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთ მოქმედების უმართლობაში... ისმება კითხვა — ნუთუ კანონიერების პრინციპი არ ავალდებულებს სასამართლო ორგანოებს, რომ განაჩენი დაკანონების შემდეგ იყოს სტაბილური, რომ მას სინამდვილეში ენიჭებოდეს ისეთივე ძალა, როგორიც გააჩნია კანონს? რაკი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არ არის სასამართლო ზედამხედველობის ინსტიტუტი — ეს არ გამოდგება არგუმენტად ჩვენთან მისი გამართლების დასაბუთებლად. როგორც ცნობილია, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არსებობდნენ და ახლაც არსებობენ მთელი რიგი ინსტიტუტებისა, რომელთა სახელწოდებანიც ცნობილია ჩვენთანაც, მაგრამ ისინი სრულიად სხვა შინაარსით არიან წარმოდგენილნი. სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმის წარმოება ერთგვარად შემწყნარებლობასაც უშვებს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიმართ და ანელებს პასუხისმგებლობას, რაკი იმთავითვე დასაშვებად ცხადდება საკასაციო ინსტანციის დარღვევები გაასწოროს უფრო ზემდგომმა სასამართლომ და ა. შ. ჩვენ აქ არ გვინდა ის აზრი ვავატაროთ, რომ თითქოს აღარ უნდა მიექცეს ყურადღება მსჯავრდებულის (თუ გამართლებულის) ინტერესების დაცვას, რაკი განაჩენი დადგინდა, თუნდაც იგი ეწინააღმდეგებოდეს კანონს ან დაუსაბუთებელი იყოს. ასეთი მოთხოვნა, ცხადია, არაფრით არ იქნებოდა გამართლებული, მაგრამ დღევანდელი მოქმედი წესი საქმის სასამართლო ზედამხედველობის თვალსაზრისით წარმოებასთან დაკავშირებით, რომ შეუსაბამოა თვით მართლმსაჯულების ამოცანების განხორციელების მხრივაც, ჩვენ ამაში ეჭვი არ გვე-

პარება. მართლაც, როგორ შეიძლება განაჩენის ნამდვილ პრევენტიულ მნიშვნელობაზე ვილაპარაკოთ, თუ ერთხელ და სამუდამოდ ვერ დადგინდება ისეთი სახით, რომ სინამდვილეში მისი აღსრულება იყოს გარდუვალი; ნუთუ ექვს იწვევს, ის, რომ განაჩენის გაპროტესტების ასეთი განუსაზღვრელად დიდი შესაძლებლობანი (თუმცა გარკვეული პირობების ფარგლებში) თვით მსჯავრდებულსაც უნერგავს გარკვეულად სასჯელიდან თავის დაღწევის იმედებს (რომ არაფერი ვთქვათ იმ სხვა მოქალაქეების მიმართ, რომელთა ფსიქოლოგიაც პროტენციურად არ გამოირიცხავს ხელსაყრელ პირობებში დანაშაულის ჩადენისათვის გადაწყვეტილების მიღებას და მათთვის საქმის განხილვის ასეთი მრავალსაფეხურიანი წესი უეჭველად მისაღებია). ვფიქრობთ, სასამართლო ზედამხედველობის წესით წარმოება მთლიანად უნდა შეცვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლება და აი როგორ: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების დღევანდელ მოქმედ წესში გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმის არსებობის განხილვის ან საკასაციო წარმოების დროს ადგილი ჰქონდა სასამართლო შემადგენლობის მხრივ აშკარა დანაშაულებრივ დაუდევრობას (რაც დაედება საფუძველად საქმის განახლებას). ეს შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, აშკარა საწინააღმდეგო მტკიცებულებათა არსებობისას გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაში, რაც დამტკიცებულია საკასაციო სასამართლოს მიერ, აშკარად არასაკმარისი მასალების სფუძველზე საქმის ბედის გადაწყვეტაში და სხვა. მსგავს სიტუაციაში განაჩენის (განჩინების, დადგენილების) დაკანონების შემდეგ მართებულია გამოძიება აწარმოოს ზემდგომმა (და არა ზედამხედველმა) პროკურორმა. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს წინააღმდეგობრივად საკითხის ამდაგვარი გადაწყვეტა; კერძოდ, ფორმალურად საყვედურისათვის თითქოს ადგილიც რჩება, რაკი თუ სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არ დაადგინა მოსამართლეთა აშკარა დაუდევარი მოქმედება — განაჩენის (განჩინების, დადგენილების) გამოტანისას, როგორ დავაყენოთ საკითხი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლებაზე? აქ შეიძლება მოვიშველიოთ საქმის განახლების ისეთი შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, ყალბი ჩვენებისათვის ვერ აძლევენ მოწმეებს პასუხისგებაში (სიკვდილის, გაქცევის და სხვა მიზეზით), რომელთა ჩვენებების საფუძველზე პირი დაისაჯა, მაგრამ საქმის განახლება კი ხდება, რადგან სხვანაირად შეილახებოდა უკანონოდ სასამართლებულ პირთა ინტერესები. არ არის გამორიცხული აგრეთვე პასუხისგებაში ვერ მიეცეს ის მოსამართლეც, რომელმაც თანამდებობა ბო-

როტად გამოიყენა განაჩენის დადგენისას (რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა), მაგრამ მისი გასამართლებაც ვერ მოხერხდა ობიექტური მიზეზების გამო. პრაქტიკაში ეს ვითარება არ აფერხებს საქმის განახლებას, მაგრამ აქ საკითხი უფრო სხვა კუთხით არის საინტერესო. თუ ტრადიციულად საქმის განახლებისათვის ახლად აღმოჩენილ გარემოებად ითვლება მოსამართლის დანაშაულებრივი ბოროტმოქმედება, თუნდაც საქმის განხილვის დროს მისი აზრი სულაც არ იყოს გატარებული განაჩენში (რაკი უკვე სასამართლოს შემადგენლობა არაკანონიერია), რატომ არ უნდა განახლდეს საქმე განაჩენის (განჩინების, დადგენილების) დადგენის პროცესში აშკარად დაუდევარი მოქმედებისას, მაშინ როდესაც ამას უფრო მძიმე შედეგი მოჰყვება? თუ იმას ვიტყვით, რომ სწორედ ამიტომაც არის შემოღებული საზედამხედველო წარმოება, რომ საქმის თვალსაჩინო ხარვეზების მიხედვით იყოს მსჯელობა — ეს ულოგიკობა იქნება, რადგან უამრავი შემთხვევებია, როდესაც თვით საზედამხედველო წარმოების შემდეგ მაინც აღმოჩნდება ხოლმე საქმის მასალების მიხედვით აშკარა შეუსაბამობა და უსწორობა. მ. ს. სტროგოვიჩის შენიშვნით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების პროცესში მაინც გვაქვს სახეზე პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომები, რაკი დაისაჯა უდანაშაულო ან გამართლდა დამნაშავე¹, მაგრამ, ვფიქრობთ, დაუდევრობა შეცდომაზე შეტყობის ნიშნავს, რაკი გარკვეული პირების მიერ არ სრულდება ის, რაც მათ თანამდებობრივი მოვალეობის მხრივ ეკისრებათ. სწორედ ასეთი ქმედობის შედეგია ის უმართებულო განაჩენებიც, რომლებიც საქმის მასალების მიხედვით ყოველთვის რელიეფურად თითქოს ვერც ვლინდებიან, მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე განხილვით. სასამართლო საზედამხედველო წარმოების ნაცვლად, განაჩენის (განჩინების, დადგენილების) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების წესით განხილვით უკვე აღადგინდება პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების პასუხისმგებლობა; სასამართლო ფუნქციების შესრულებისას დაუდევრობისათვის სისხლის სამართლის თუ დისციპლინური წესით მოსამართლეთა დასჯა შეამცირებს უკანონოდ და დაუსაბუთებელი განაჩენების (განჩინებების, დადგენილებების) გამოტანის შემთხვევებს, სტაბილურს გახდის მართლმსაჯულებას და ხელს შეუწყობს სასჯელის პრევენტიული ამოცანების უზრუნველყოფას.

¹ М. С. Строгович, Проверка законности и обоснованности судебных приговоров, 1956, с. 302.

მოქმედი კანონის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ საკითხი შეიძლება დაისვას მხოლოდ დაკანონებული (კანონიერ ძალაში შესული) განაჩენების თაობაზე და თანაც როდესაც: „1... სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ აშკარად ყალბია მოწმის ჩვენება ან ექსპერტის დასკვნა; აგრეთვე ყალბია სხვა დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც განაჩენს ან განჩინებას საფუძვლად დაედო; 2. ...კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილია მოსამართლის დანაშაულებრივი ბოროტმოქმედება, რაც მის მიერ დაშვებული იყო ამ საქმის განხილვის დროს; 3... კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილია დანაშაულებრივი ბოროტმოქმედებანი, ჩადენილი იმ პირთა მიერ, რომლებიც გამოკვლევას აწარმოებდნენ საქმეზე და რამაც გამოიწვია დაუსაბუთებელი და უკანონო განაჩენის გამოტანა, ან სასამართლოს განჩინების გამოტანა საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ“; 4. არსებობს „სხვა გარემოება, რომელიც განაჩენის ან განჩინების გამოტანის დროს სასამართლოსათვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებებთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას, ან მის მიერ უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, ვიდრე ის დანაშაული, რომელსათვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ან იმ პირის ბრალეულობას, ვის მიმართაც საქმე შეწყვეტილი იყო“ (საქ. სსრ სსსკ 394-ე მუხ.).

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების ეს წესი არსებობს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. კანონმდებლობით, მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა მხოლოდ მაშინ იქცევენ ყურადღებას, როდესაც ისინი საფუძვლად დაედნენ განაჩენს (რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა) და შემდეგში გამოირკვა, რომ ეს დამამტკიცებელი საბუთები ყალბია, თანაც მათი სიყალბის ფაქტი უნდა დადგინდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ხოლმე კანონიერ ძალაში შესული ორი განაჩენი. ერთი, გამოტანილი იმ საქმეზე, რომელიც მოითხოვს განახლებას და მეორეც — დამამტკიცებელი საბუთების სიყალბის შესახებ, საფუძვლად რომ დაედნენ გასანახლებელ საქმეზე გამოტანილ განაჩენს. ასევე მოსამართლისა და მომკვლევის დანაშაულებრივი ბოროტმოქმედება დადასტურებული უნდა იქნას კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით. მაშასადამე, ლოგიკურად ერთი დაკანონებული განაჩენი მეორე საქმისათვის — რომლის განახლებაც წარმოებს — დამამტკიცებელი საბუთის ძალას იძენს, ოღონდ, როგორც წინა პარაგრაფშიც აღვნიშნეთ, ყო-

ველთვის არ უნდა იყოს სავალდებულო მოსამართლეთა დანაშაულებრივი ფაქტი დადგენილ იქნას სასამართლოს განაჩენით, რომ დაინდევას საკითხი ძირითადი საქმის (რომელთანაც დაკავშირებით დანაშაულებრივ ქმედობას ჰქონდა ადგილი მოსამართლეთა მხრივ) განახლების შესახებ. საქმის განახლებას საფუძვლად უნდა დაედოს ხოლმე აგრეთვე გამოკვლევის მასალებიც, რომ არ მოხდეს პროცესში მონაწილე პირთა კანონიერი უფლებების შელახვა. სწორედ ამ თვალსაზრისითაც მივიჩნით საჭიროდ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების ფარგლებში გაფართოვდეს და მას დაეფუძნოს ისეთი ვითარებაც, როდესაც პირველი ან მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვასა და გადაწყვეტის დროს დაშვებული იყო აშკარა დანაშაულებრივი დაუდევრობა, რაც დადგინდება საქმეში არსებული და დამატებით მტკიცებულებათა საგანგებო შემოწმების საფუძველზე. რაც შეეხება სხვა გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად დაედება ხოლმე საქმის განახლებას, ისინი შეიძლება იყოს მრავალნაირი. სასამართლო პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც, მაგალითად, მკვლელობისათვის დაუსჯიათ სამართალში მიცემული და მერე ცოცხალი აღმოჩენილა ის პიროვნება, რომლის მოკვლასაც აბრალებდნენ მას. არის შემთხვევები, როდესაც სარევიზიო აქტი, რომლის მონაცემებსაც ეფუძნებოდა ბრალდებები, არასწორი გამომდგარა შემდგომი შემოწმებით და ა. შ. მსგავსი გარემოებანი, ცნობილია, პრაქტიკაშიც „ახალ გარემოებებად“ მიიჩნევა ხოლმე. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების თაობაზე წარმოების აღძვრა მოქმედი კანონით ეკისრება პროკურორს, რომელიც აგრეთვე ახდენს გამოძიებას (შეუძლია გამოძიებელსაც მიანდოს გამოძიება). კანონის თანახმად, საქმის განახლებისათვის განცხადებები შეაქვთ როგორც მსჯავრდებულებს (მათ და მკვლელებს და ნათესავეებს), ისე მოქალაქეებს, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოთა თანამდებობის პირებს. როდესაც პროკურორი უსაფუძვლოდ ჩათვლის წარმოების აღძვრას, მას ამის შესახებ გამოაქვს დადგენილება და აცნობებს დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ გაასაჩივრონ დადგენილება. კანონის თანახმად, გამამართლებელი განაჩენის, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების (დადგენილების) და გამამტყუნებელი განაჩენის (განჩინების, დადგენილების) — სასჯელის სიმსუბუქის თუ უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის შეფარდების მოთხოვნის გამო — გადაინიჭება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის განსაზღვრული ხანდაზმუ-

ლობის ვადაში, ოღონდ ერთი წლის განმავლობაში ახალი გარემოების აღმოჩენის მომენტიდან. მსჯავრდებულის სიკვდილის შემთხვევაშიც. შესაძლებელია საქმის განახლება მისი რეაბილიტაციისათვის. კანონი არ ადგენს არავითარ ვადას — როდესაც საკითხი ეხება გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვას მსჯავრდებულის ინტერესების დასაცავად. კანონშივეა აგრეთვე განსაზღვრული პროკურორის მოქმედება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამოკვლევის დამთავრებასთან დაკავშირებით. პროკურორი დაამთავრებს რა გამოკვლევას, მასალებს გადაუგზავნის დადგენილებით ზემდგომ პროკურორს; ზემდგომ პროკურორს (მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, ან ავტონომიური ოლქის პროკურორს) შეუძლია დადგენილებით შეწყვიტოს წარმოება საქმის განახლების შესახებ, რაც უნდა ეცნობოს დაინტერესებულ პირებს. დანარჩენ შემთხვევაში იგი საქმეს იმ მასალებით, რომელიც შეგროვილი იყო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრასთან დაკავშირებით და თავის დასკვნას უგზავნის განაჩენის (განჩინების) გამომტან სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას. წესით, მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს გაეგზავნება საქმე საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის მიერ; თუ იგი განხილულია არსებითად საქართველოს უმაღლეს სასამართლოში, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმის განახლების შესახებ საკითხის გადაწყვეტა კანონით შეუძლია აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას (ასევე უფლებამოსილი არიან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოების პრეზიდიუმები და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები). საქმის განახლების შესახებ საკითხის განხილვისას სასამართლოს პრეზიდიუმს (ან სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას) კანონის თანახმად, შეუძლია: 1. გააუქმოს განაჩენი ან განჩინება და საქმე ვადასცეს ზედახდა გამოკვლევისათვის, ან სასამართლო-სამსჯავრო განხილვისათვის; 2. გააუქმოს განაჩენი და შეწყვიტოს საქმის წარმოება. 3. უარყოს პროკურორის დასკვნა (საქ. სსრ სსსკ 395—399 მუხ.).

XI. საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების მტკიცებითი სამართალი

საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების მტკიცებითი სამართალი ვითარდება სსრ კავშირის მტკიცებითი სამართლის ანალოგიურად. ეს ბუნებრივი პროცესი იმითაც აიხსნება, რომ საგამოძიებო-სასამართლო ორგანოთა ფორმირებისა და მოქმედების პრინციპები ჰუმანურობის ნიშნებით ყალიბდება. მტკიცებითი სამართლის ძირითადი ინსტიტუტები დასაბუთებულია საგამოძიებო-სასამართლო მოქმედებებით ქეშმარიტების დადგენის აუცილებლობის თვალსაზრისით.

ბულგარეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მიღებულია 1974 წლის 31 ოქტომბერს სახალხო კრებაზე და ძალაში შევიდა 1975 წლის 1 მარტს). 82-ე მუხ. თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე დამტკიცებას ექვემდებარება: ჩადენილი დანაშაული და ბრალდებულის მონაწილეობა დანაშაულში, ზარალის ხასიათი და ოდენობა; სხვა გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ ბრალდებულის პასუხისმგებებაში მიცემისათვის; დანაშაულის ჩადენის მიზეზები და პირობები.

მტკიცების საგანს სპეციალური ადგილი ეთმობა ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (1973) — პარაგრაფი 89 (1); მტკიცების საგანზეა ლაპარაკი აგრეთვე უნგრეთის სისხლის სამართლის პროცესის შესახებ № 1 კანონში (1973), სადაც ყურადღების ცენტრშია მთავარი ფაქტი (ე. ი. იმ ფაქტების წყება, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის და პროცესუალური თვალსაზრისით — § 59 (1) და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალისტური ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობის პოზიციები მტკიცებულებათა ცნების განსაზღვრების თაობაზე. ბულგარეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის მიხედვით, დამამტკიცებელ საბუთებად შეიძლება იყოს ყოველგვარი მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ფაქტიურ გარემოებებთან და გვეხმარება მათ გამოსავლინებლად, კოდექსით დადგენილი წესებით. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1968 წლის 12 იანვარი) მე-2 თავი ეძღვნება მტკიცებებსა და მტკიცების საშუალებებს. 23-ე პარაგრაფის მიხედვით, მტკიცებულებად მიჩნეულია ყველა გარემოება, რომელთა გამოკვლევა აუცილებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენისათვის. რუმინეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1975) 63-ე მუხლი დამამტკიცებელ საბუთებად თვლის

ყოველგვარ ფაქტიურ გარემოებას, რომლებიც ემსახურება დანაშაულის არსებობის, ან არარსებობის დადგენას, დამნაშავე პირის იდენტიფიკაციას და სხვა იმ გარემოებების გამოვლენას, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის მართებულად გადაწყვეტას. ამ განმარტებაში თვალში მოსახვედრია „დამნაშავე პირის იდენტიფიკაცია“, რაი კანონმდებელს იდენტიფიკაცია გაგებული აქვს არა მარტო ექსპერტიზების შემდეგობით გასაიგივებელი საგნების დადგენის თვალსაზრისით, არამედ როგორც მთელი მტკიცების პროცესი, რომელსაც შედეგად მოსდევს დამნაშავის გამოვლენა. სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ს. მ. პოტაპოვს (რომელმაც საფუძველი ჩაუყარა იდენტიფიკაციის თეორიას) იმთავითვე სწორედ ასე ესმოდა იდენტიფიკაციის მნიშვნელობა.

ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების შესახებ 1973 წლის კანონი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი) მკვეთრად არ გამოიჩინავს მტკიცებულებებს მტკიცების საშუალებებისაგან. კერძოდ, 89 (2)-ე პარაგრაფის მიხედვით მტკიცებულებებად შეიძლება ჩაითვალოს ყველაფერი, რაც დაგვეხმარება საქმის გამოკვლევაში; კერძოდ, ბრალდებულთა და მოწმეების ჩვენებები, ექსპერტების დასკვნები, საგნები და დოკუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმისათვის და დათვალეობა. როგორც ჩანს, მტკიცებულების ცნება თავისთავად მოიცავს ე. წ. მტკიცების საშუალებასაც; თუ, მაგალითად, მოწმის ან ბრალდებულის ჩვენებებს დავაშორებთ ინფორმაციებს, ისინი დაკარგავენ შინაარსს და არაფრის მთქმელ ფრაზებად გადაიქცევიან. სოციალისტური ქვეყნების უმრავლესი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები მტკიცების საშუალებებზე ცალკე ამახვილებენ ყურადღებას და მათ ამომწურავადაც ჩამოთვლიან. მაგალითად, რუმინეთის საპროცესო კოდექსის (1975) მესამე ტიტული (მუხ. 62—68) ეძღვნება მტკიცებულებებსა და მტკიცების საშუალებებს. კერძოდ, 63-ე მუხლით, მტკიცების საშუალებებად მიჩნეულია: ძიებაში მყოფი პირის ან ბრალდებულის განცხადება, სამოქალაქო მოსარჩლის, სამოქალაქო მოპასუხის განცხადებები, მოწმეთა ჩვენებები, წერილობითი საბუთები, ნივთიერი მტკიცებულებანი, მეცნიერულ-ტექნიკური და სასამართლო-სამედიცინო აქტები. აგრეთვე ექსპერტიზების აქტები. როგორც ჩანს, ძიებაში მყოფი პირი განსხვავებულია ბრალდებულისაგან, ისევე როგორც სამეცნიერო-ტექნიკური და სასამართლო-სამედიცინო აქტები წერილობითი საბუთებისაგან და ექსპერტიზების აქტებისაგან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1968 წ. 12 იანვარი) 24-ე პარაგრაფის მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას: მოწმეთა ჩვენებები, მოწმე-სპეციალისტების ჩვენებები, ექსპერტების დასკვნები, ბრალდებულთა და სამართალში მიცემულთა ჩვენებები, ნივთიერი მტკიცებულებანი და ჩანაწერები (აგრეთვე კოლექტივის წარმომადგენელთა ჩვენებანი თუ მნიშვნელოვან ფაქტებს ეხებიან). აქ განსაკუთრებულ ყურადღებას აქვრობს: მოწმე-სპეციალისტების ჩვენებები, ჩანაწერები და კოლექტივთა წარმომადგენლების ჩვენებები. ამ სახის საშუალებებს მინიჭებული აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. სპეციალისტი ითვლება არა მარტო დამხმარე პერსონად ამა თუ იმ საგამოძიებო—სასამართლო მოქმედების შესრულებისას, არამედ პრაქტიკულად მის ჩვენებას დამოუკიდებელი მნიშვნელობაც ენიჭება. ამას გარდა, ჩანაწერების გვერდით, ცალკე აღილი უკავია კოლექტივის წარმომადგენლის ჩვენებას, რაც, კანონმდებლის აზრით, კოლექტივის წარმომადგენელს შეუძლია მნიშვნელოვან ფაქტზე მიაწოდოს დამკითხავს. ეს გულისხმობს უმთავრესად თვით კოლექტივის ნების მოწმობას.

ბულგარეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1975) 85-ე მუხლის თანახმად, მტკიცების საშუალებებია: ბრალდებულის განმარტება, ევემიტანილის განმარტება, მოწმის ჩვენება, სასამართლო-საგამოძიებო ორგანოთა მოქმედებების ოქმები და სხვა საშუალებები, რომლებიც გათვალისწინებულია კოდექსით. უნგრეთის სისხლის სამართლის პროცესის შესახებ № 1 კანონის (1973) 61 (1)-ე პარაგრაფში დასახელებულია მტკიცების საშუალებები: მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტიზის დასკვნა, ნივთიერი საშუალებები, დოკუმენტები, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ამოსაცნობად წარდგენა და ბრალდებულის აღიარება. ამ ჩამოთვლაში აშკარად შეიმჩნევა სასამართლო-საგამოძიებო მოქმედებათა ერთგვარი გაიგივება ე. წ. მტკიცების საშუალებებთან (მაგალითად, როდესაც ლაპარაკია დათვალიერებაზე, საგამოძიებო ექსპერიმენტზე და სხვა, მათ გვერდით, ნაცვლად მოწმის ჩვენებისა ან ექსპერტიზის დასკვნისა, ცხადია, შეიძლება დაგვესახელებინა მოწმის დაკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა).

ჩეხოსლოვაკიაში, როგორც ითქვა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების შესახებ 1973 წლის კანონი), მტკიცების საშუალებებს მკვეთრად არ გამიჯნავს მტკიცებულებათა ცნებისაგან. კერძოდ, თუ მტკიცებულებად მიჩნეულია ყოველივე ის, რაც ხელს შეუწყობს საქმის გამოკვლევას,

აქვე ნაგულისხმევია როგორც ბრალდებულთა და მოწმეთა ჩვენებები, ისე ექსპერტის დასკვნა, საგნები, დოკუმენტები და დათვალიერება (§ 89 (2)). სამართლიანობა მოითხოვს, აქაც აღინიშნოს, რომ დათვალიერება, როგორც საგამოძიებო-სასამართლო მოქმედება, ამავე დროს, გათანაბრებულია მტკიცების საშუალებასთან (ე. ი. კანონმდებლის ლოგიკით, თვით მტკიცებულებასთან). განსაკუთრებით საყურადღებოა ჩეხოსლოვაკიის პროცესუალური დებულება, რომლის მიხედვით ბრალდებულის აღიარება არ ათავისუფლებს საგამოძიებო ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალის შემოწმებისაგან (§ 91 (1)). კანონმდებელმა, მტკიცედ განსაზღვრა რა ბრალდებულის დაკითხვის წესები, დაკითხვის დროს აკრძალა ცრუ ცნობებზე მითითება, განგებ ხელოვნურად დასაკითხი პირის დაბნევა, მისახვედრი კითხვების მიცემა და სხვა (§ 92 (3)), შეუვალად აღიარა უდანაშაულობის პრეზუმპცია. აღსანიშნავია, რომ უდანაშაულობის პრეზუმპცია ფიქსირებულია უმრავლეს სოციალისტური ქვეყნების პროცესუალური კანონმდებლობით. ასე, მაგალითად, ბულგარეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1975) 83-ე მუხლის მიხედვით, ბრალდებულმა არ უნდა ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა; ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტის დამტკიცება ევალება პროკურორს, ან წინასწარი გამოძიების ორგანოებს (ან კერძო პირს). უდანაშაულობის პრეზუმპციის რეალურ გარანტიას ბულგარეთში ის გარემოებაც ქმნის, რომ ბრალდებულის აღიარება არ ათავისუფლებს შესაბამის ორგანოებს შეაგროვონ სხვა მტკიცებულებანი (მუხ. 91). რუმინეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (1975) ცალკეა დასათაურებული „უდანაშაულობის პრეზუმპცია“, რომლის შინაარსი გადმოცემულია 66-ე მუხლში. კერძოდ, ამ მუხლის ძალით, ძიებაში მყოფი (და ბრალდებული) არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ეს ფუნქცია, კანონმდებლის აზრით, ევალება ბრალმდებელს. უდანაშაულობის პრეზუმპციის უზრუნველყოფის არაპირდაპირ გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს დებულება, რომლის მიხედვით ძიებაში მყოფის (ან ბრალდებულის) ქმარი (ცოლი) და ახლო ნათესავები არ არიან ვალდებული მოწმედ გამოვიდნენ (მუხ. 80). ეს მეტად მნიშვნელოვანი დებულება მოითხოვს განმარტებას სხვა სოციალისტური ქვეყნების ასეთსავე შინაარსის საპროცესო კანონებთან მიმართებაში. საქმე ის არის, რომ უმრავლესი სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობით იმთავითვე იყო გათვალისწინებული ის პირობები, რომლებიც უფლებას აძლევდა მოწმეს ჩვენების მიცემაზე უარი განეცხადებინა. როგორც ცნობილია, პირველ ხანებში, მაგალითად, გერმანიის დემოკრატიულ

რესპუბლიკაში მოქმედებდა 1877 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც თავისი შინაარსით ლიბერალური ბურჟუაზიის კანონმდებლობის ნიმუშადაც გამოდგებოდა. ამ კოდექსმა, ცხადია, განიცადა ცვლილებები 1933 წლის 30 იანვრიდან — ჰიტლერული ფაშიზმის გამარჯვების დღიდან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისთანავე კვლავ იქნა გამოყენებული 1877 წლის საპროცესო კოდექსი თავისი პირვანდელი ფორმით, მაგრამ სულ მალე საჭირო შეიქნა მიღებულიყო ახალი საპროცესო კოდექსი, რაც განხორციელდა 1952 წლის 2 ოქტომბერს (იმავე დროს მიღებულ იქნა სასამართლო წყობილების შესახებ კანონი). როგორც ლიტერატურაშიც შენიშნულია, თუ 1877 წლის კოდექსი სასამართლო სელისუფლებას აღიარებდა, როგორც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელს, რომელსაც თითქოს არ ჰქონდა პოლიტიკასთან კავშირი, ახალმა კოდექსმა (1952) დაგმო ეს პოზიცია. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ როგორც 1877 წლის, ისე 1952 წლის საპროცესო კოდექსებში გათვალისწინებული იქნა საგანგებო პირობები მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებასთან დაკავშირებით. კერძოდ, 1952 წლის საპროცესო კოდექსის 16-ე პარაგრაფის მიხედვით, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება ჰქონდათ: ბრალდებულის მეუღლეს, მის დას ან ძმას, აგრეთვე იმათ, ვინც იმყოფებოდნენ ბრალდებულთან პირდაპირი ხაზით (ან შვილად აყვანის გამო) ნათესაურ კავშირში (ეს უფლებები არ გამოიყენებოდა მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ სისხლის სამართლის კანონი ავალუბდა მათ ჩვენების მიცემას). აქვე აღსანიშნავია, რომ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება ჰქონდათ აგრეთვე: სასულიერო პირებს (რელიგიის მსახურებს), რელიგიური ვალდებულებებიდან გამომდინარე; ადვოკატებს და ექიმებს, პროფესიული ფუნქციების შესრულების დროს განდობილ გარემოებებთან დაკავშირებით (§ 47). მნიშვნელოვან წესს შეიცავდა 49-ე პარაგრაფი, რომლის ძალით, ყველა მოწმეს შეეძლო უარი განეცხადებინა განმარტების მიცემაზე იმ კითხვების გამო, რომელთა პასუხი თვითონ მას ან მის მახლობელს გაამხელდა დანაშაულის ჩადენაში და გამოიწვევდა სასამართლო სისხლის სამართლის დევნის აღძვრას. დამახასიათებელია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლის (12 იანვარი) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით, კვლავ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული დებულებები, მცირედი

შესწორებებით¹ (§§ 26—27), რაც, ჩვენი აზრით, უეჭველად ემყარება პუმანურ საწყისებს.

პოლონეთის 1973 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მტკიცებულებებს უთმობს მეხუთე განყოფილებას (მე-19 თავი), მოწმეს ანიჭებს უფლებას უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე, თუ იგი ბრალდებულის ახლობელია, ან თუ ჩვენება თვითონ მასვე გაამხელს დანაშაულის ჩადენაში (მუხ. 165 § 1, მუხ. 166 § 1).

ჩეხოსლოვაკიის 1973 წლის საპროცესო კოდექსის მე-100 (1) პარაგრაფის მიხედვით, მოწმეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე, თუ იგი პირდაპირი ნათესავია ბრალდებულისა. მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, როდესაც ამით საფრთხეში ჩაადგებს თავის თავს ან პირდაპირ ნათესავეებს (დას, ძმას), შვილად აყვანილს, მეუღლეს, მეგობარს ან სხვა ნათესავს, რომლის ინტერესი საკუთარს უთანაბრდება (§ 100 (2)). კანონში მითითებულია გამონაკლის შემთხვევებზე, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია ვალდებულება პირმა განაცხადოს დანაშაულის შესახებ. უნგრეთის სისხლის სამართლის პროცესის შესახებ № 1 კანონი (1973) უფლებას აძლევს ჩვენება არ მისცეს ბრალდებულის ნათესავმა, აგრეთვე თუ მოწმე თავისი ჩვენებით გაამხელს თავის თავს ან ნათესავს დანაშაულის ჩადენაში (§ 66 (1)).

როგორც ჩანს, საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ავალდებს მოწმეს ყველა შემთხვევაში მისცეს ჩვენება წინასწარი ან სასამართლო გამოძიების დროს. კანონი მოწმეს არ აიძულებს დაადასტუროს თავისი ან ახლო ნათესავის ბრალი დანაშაულის ჩადენაში. ეს ფუნქცია, კანონმდებელთა ლოგიკიდან გამომდინარე, დაკისრებული აქვთ თვით სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებს. თავისთავად ცხადია, მოწმეს რომ ევალდებოდეს საკუთარ ბრალდებებზეც ჩვენების მიცემა, ამით ერთგვარად შეიზღუდებოდა უდანაშაულობის პრეზუმპციის ფარგლები. უდანაშაულობის პრეზუმპცია კი ითვალისწინებს არა მარტო ბრალდებულის, ან ექვემიტანილის, არამედ ყველას ინტერესებს. როგორ შეიძლება, რომ მოწმე ჯერ აიძულო ცრუ ჩვენებისათვის პასუხისმგებლობაში მიცემის შიშით ილაპარაკოს საკუთარ დანაშაულზე და მერე აღიძრას მის მიმართ სისხლის სამართლის დევნა? ეს ზომიგივე იქნება ექვემიტანილის ან ბრალდებულს მოტყუებით ვათქმევი-

¹ 27-ე პარაგრაფის მიხედვით, პროფესიული საიდუმლოების დაცვის თვალსაზრისით, შეუძლიათ არ მისცენ ჩვენება: ადვოკატებს, ნოტარუსებს, ექიმებს, სტომატოლოგებს, ფსიქოლოგებს, ფარმაცევტებს, ექთნებს (ან მათ თანაშრომლებს).

ნოთ, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს? ვფიქრობთ, ზემოდასახელებული პროცესუალური კანონმდებლობათა ეს გეზი უქვეყნად ესადაგება ადამიანის უფლებების დაცვისათვის მზრუნველობას, რაკი უდანაშაულობის პრეზუმპცია მხოლოდ რეალური გარანტიებით იაზრება, როგორც ჰუმანური საწყისი. უდავოდ, პროგრესული ხასიათით და შინაგანი ლოგიკურობით გამოირჩევა პროცესუალური წესი, რომელიც არ ავალდებულებს მოწმეს ამხილოს ახლო ნათესავი ან მეგობარი დანაშაულის ჩადენაში; რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის, რომ ადამანი უნდა იყოს პრინციპული, მიუდგომელი, საერთო საქმისათვის თავდადებული... მაგრამ ადამიანს გააჩნია ინტიმური საიდუმლოების მომცველი საკუთარი სამყაროც ნათესავებსა თუ მეგობართა წრეში; ადამიანს უფლება უნდა ჰქონდეს, თუ სისხლის სამართლის კოდექსი უშუალოდ არ ავალდებს დანაშაულის გამხელას, თავი შეიკავოს ჩვენების მიცემაზე, როცა საკითხი ეხება ახლო ნათესავის ან მეგობრის ინტერესებს.. თუ ვამართლებთ იმას, რომ ახლო ნათესავს ან მეგობარს შეუძლია დაიცვას ბრალდებული, არ უნდა ვაქციოთ ვალდებულებად ნათესავმა ამტკიცოს ნათესავის (ან მეგობრის) ბრალი დანაშაულის ჩადენაში. ეს, პირველ რიგში, მორალური თვალსაზრისით არის ნაკარნახევი. სწორედ ამიტომ სავსებით მოსაწონია საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებული დასახელებული წესები.

საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების ყველა მტკიცებითი სამართალი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს მოწმის ჩვენებას, როგორც მტკიცების ერთ-ერთ საშუალებას. მაგალითად, ბულგარეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე განყოფილება მთლიანად ეთმობა მოწმის ჩვენებას. კანონში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ მოწმეთა დაკითხვით შეიძლება დადგინდეს ყველა ფაქტი, რაც მოწმეებმა აღიქვეს და რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია გამოირკვეს საქმის გარემოებანი. საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მიხედვით, მოწმე პასუხს აგებს ჩვენებაზე უარისთქმის შემთხვევაშიც, მაშინაც, როდესაც იგი მისცემს გამოგონილ ჩვენებას ან არ გაამხელს ზოგიერთ გარემოებას, რაც მან იცის. როგორც ჩანს, კოდექსი მართებულად ანსხვავებს გამოგონილ (ცრუ) ჩვენებას, გარემოებათა დაფარვისაგან (არ გამხელისაგან), რაც, სამწუხაროდ, ყველა ქვეყნის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. მცირეწლოვან მოწმეთა დაკითხვისას თითქმის ერთნაირი წესებია შემოღებული ყველა სოციალისტურ ქვეყანაში. ბულგარეთის საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის მიხედვით, მცირეწლოვან მოწმის დაკითხვას უნდა დაესწროს პედაგოგი ან ფსიქოლოგი. ჩეხოსლოვაკიის საპრო-

ცესო კოდექსი 15 წლამდე მოწმის დაკითხვისას სავალდებულოდ ხდის პედაგოგის ან შობლის დასწრებას. უნგრეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი მცირეწლოვანთა მოწმეებად დაკითხვას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ჩვენებები არ შეიძლება შეიცვალოს სხვა რამით (§ 63 (3)).

სოციალისტურ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ექსპერტიზას. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ორი ექსპერტის მოწვევას, როდესაც დასადგენია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარემოება (§ 105). წესით, გვამის დათვალიერებისა და გაკვეთის დროს არ დაიშვება მკურნალი ექიმის მონაწილეობა. იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტების მიერ არ არის წარმოდგენილი წერილობითი დასკვნა, იგი ჩვენების სახით შეაქვთ ოქმში (§ 108). მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებს შეუძლიათ გამოითხოვონ დასკვნა სახელმწიფო ორგანოებიდან ან სათანადო ინსტიტუტებიდან, რომლებსაც, ამავე დროს, ზოგჯერ დაეკისრებათ ხოლმე ექსპერტიზის დასკვნის შემოწმებაც (სახ. ორგანო, ან ინსტიტუტი დასკვნაში მოიხსენიებს იმ პირებს, რომლებმაც შეადგინეს დასკვნა, ე. ი. თუ მნიშვნელოვანი გარემოების დადგენაზეა ლაპარაკი იმ ორ პირს, ვინც გამოიყვლია იგი). ექსპერტიზას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და სხვა სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობით, რუმინეთის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლო ინსტანციასაც შეუძლია ჩაატაროს ჩხრეკა (ადგილის დათვალიერებაც); ჩვეულებრივად პროკურორს ეთხოვება ხოლმე მისი შესრულება (მუხ. 102). ჩეხოსლოვაკიის საპროცესო კოდექსი, როგორც წესი, სავალდებულოდ ხდის ექსპერტის მოწვევას დათვალიერების ჩატარებისას (§ 113). იმ შემთხვევაში, თუ გასინჯვას არ აწარმოებს ექიმი, საჭიროა ეს მოქმედება შეასრულოს იმავე სქესის პირმა, რა სქესისაც არის გასასინჯი პირი (§ 114).

აღსანიშნავია, რომ ჩეხოსლოვაკიის საპროცესო კოდექსი პრინციპულად სწორად განსაზღვრავს წერილობითი დოკუმენტის ცნებას; კერძოდ, წერილობითად, საპროცესო კოდექსის 112 (2)-ე პარაგრაფის მიხედვით, ითვლებიან ისეთი დოკუმენტები, რომლებიც თავიანთი შინაარსით ამტკიცებენ ან უარყოფენ მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულთან ან ბრალდებულთან.

საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში ყურადღება ექცევა, აგრეთვე, მტკიცების სხვა საშუალებებსაც. მაგალითად, ბულგა-

რეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალკე მიუთითებს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მოქმედებათა ოქმებზე (მუხ. 103) და სხვა. აქვე აღსანიშნავია ის საერთო სახელმძღვანელო დებულება, რომლის მიხედვითაც, სასამართლო და გამოძიება ვალდებულია შეკრიბოს და შეამოწმოს როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი საბუთები (ბულგარეთის საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლი). ეს პრინციპული დებულება ერთნაირი მნიშვნელობით არის გათვალისწინებული ყველა სოციალისტური ქვეყნის საპროცესო კოდექსში.

როგორც ზემოთ ითქვა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თავდაპირველად მოქმედებდა 1877 წლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ითვალისწინებდა წინასწარ გამოძიებას მხოლოდ იმ მოცულობით, რაც საკმარისი იყო პირის სამართალში მიცემისათვის; გამოძიების მთელი სიმძიმე აწვა სასამართლოს. 1952 წლის საპროცესო კოდექსმა შეცვალა ეს წესი და წინასწარი გამოძიების ბატონპატრონად აღიარა პროკურორი; თუმცა, ჩხრეკა, ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება და ბრალდებულის საპრობილუში მოთავსება ამ უკანასკნელი კოდექსით მაინც სასამართლოს სანქციით უნდა მომზდარიყო. ამასთან, საინტერესოა, რომ 1952 წლის კოდექსით წინასწარი გამოძიების ორგანოებს მიეცათ უფლება შეწყვიტონ წარმოება დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო, ან თუ დანაშაული ან გადაცდომა ჩადენილი არ იყო ბრალდებულის მიერ. პროკურორს, ამას გარდა, უფლება ჰქონდა დამატებით შეეწყვიტა წარმოება, თუ არ დადასტურდებოდა დანაშაულის, ან გადაცდომის ჩადენა ბრალდებულის მიერ. უდავოდ გეჩვენება, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტა იმ შემთხვევაში, როდესაც აღძრულია სისხლის სამართლის დევნა, ნიშნავს აგრეთვე ბრალულობის საბოლოოდ გადაწყვეტასაც, რაც, სოციალისტური კანონმდებლობის ლოგიკიდან გამომდინარე, უნდა იქნას მხოლოდ სასამართლო ფუნქციად გამოცხადებული. სასამართლოს გარეშე თუ პიროვნება არავის შეუძლია ჩათვალოს დამნაშავედ, წინასწარი გამოძიების დროს პასუხისმგებაში მიცემის შემდეგაც ისევე სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მისი უდანაშაულობა. ვფიქრობთ, უდანაშაულობის პრეზუმპციის დედაზრიდან გამომდინარე, როდესაც სასამართლო საბოლოოდ დაადგენს, რომ პირს არ ჩაუდენია დანაშაული და ამ საფუძველით შეწყვეტს წარმოებას (მაშინაც, როდესაც ვერ დადასტურდება მისი დანაშაული, არასაკმარისი მასალების გამო), საჭიროა მიღებულ იქნას განსაკუთრებული სასტიკი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებმაც უსაფუძვლოდ მისცეს პირი პასუხისმგებაში (ან მონაწილეობა

მიიღეს ამ მოქმედებაში), რომ შემდგომში აღიკვეთოს მოქალაქეთა ადამიანური უფლებების შელახვა. აგრეთვე, უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ გერმანიის 1877 წლის საპროცესო კოდექსის მიერ შემოღებული წესი, მთელი გამოძიების სასამართლოში ჩატარების შესახებ უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო და მისი გაუქმება თეორიულადაც ვერ დასაბუთდება.

XII. ბურჟუაზიული კვანძების მტკიცებითი სამართალი

1. შესავალი

ბურჟუაზიული კანონმდებლობის მიხედვით, ძალიან ძნელია საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაზე პირდაპირი დასკვნების გაკეთება; მით უმეტეს, როდესაც სახელმძღვანელო პრინციპებად ფორმალურად აღიარებულია კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორუფლებიანობა. რაკი მოსამართლენი და წინასწარი გამოძიების (მოკვლევის) მწარმოებლები გაბატონებული კლასის ინტერესებს იცავენ, ცხადია, კანონების ცხოვრებაში განხორციელების ხასიათიც ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს. სასამართლო ორგანოების მოქმედების ისტორია სწორედ ტენდენციურობისა და უსამართლობის ნათელი დადასტურებაა. სასამართლო ყოვეთვის თითქოს ადამიანთა უფლებების მიუყვარებელი დაცვისათვის იყო მოწოდებული, მაგრამ ამ ამოცანის განხორციელება ფაქტიურად არ შეიძლებოდა, რადგან პრივილეგიურთა და გაბატონებულთა ინტერესები ვერასოდეს თავსდებოდა მდაბიობების და დამორჩილებულთა ინტერესებთან. სასამართლო საქმიანობის ძირითადი საწყისები ყოველთვის ეფუძნებოდა დამამტკიცებელი საბუთების თავისებურ გამოყენების. ფორმებსა და ხასიათს, დამამტკიცებელი საბუთები განსაზღვრავდნენ სასამართლოს მთელი საქმიანობის შინაარსს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გაყალბებული იყო არა მარტო დამამტკიცებელი საბუთების რაობა, არამედ მათი გამოყენების ფორმებიც. სისხლის სამართლის პროცესის ჩანასახშიც მკვეთრად გამოიჩინევა დამამტკიცებელი საბუთებისადმი დამრკიდებულების ხასიათი.

საბრალდებო ტიპის პროცესი, რომელიც წარმოიშვა მონათმფლობელურ ეპოქაში და განავრცობდა თავის არსებობას ადრე-ფეოდალურ ხანაში, მართალია, განისაზღვრებოდა ბრალმდებელ-დაზარალებულის სურვილებით (შეეძლო შეეწყვიტა წარმოება),

მაგრამ თავისთავად პროცესის ბედს ნორმალურ პირობებში ბრალ მდებელსა და ბრალდებულს შორის ბრძოლის შედეგები წყვეტდნენ მოსამართლე დამამტკიცებელი საბუთის ძალას ანიჭებდა სწორედ მებრძოლთა შორის უპირატესობის სახით გამოვლინებულ „ქულებს“; მოსამართლე არბიტრისეულად აზუსტებდა, თუ, მაგალითად ვინ უფრო მეტად გაუძლო წყლით ან ცეცხლით გამოცდას... რადროსაც, როგორც ნათქვამია, თურმე ხდებოდა „ღმერთის ნების გამოვლინება“. მონათმფლობელურ საზოგადოებაში ჩაისახა აგრეთვე ე. წ. სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი, რომელმაც, ცნობილია, სრული განვითარება პპოვა აბსოლუტური მონარქიის ეპოქაში. აბსოლუტიზმის დროს მოსამართლე — იგივე მონარქის მსახური და თანამდებობის პირია, რომელსაც წერილობით მიჰყავდა პროცესი, მხარეების (დამცველთა) მონაწილეობის გარეშე. ინკვიზიციური პროცესი, უდავო ცნობებით, მთლიანად ემყარებოდა ფორმალურ მტკიცებულებებს; ბრალდებულის აღიარება გადამწყვეტი მტკიცებულება იყო. მაგრამ, ისიც ცნობილია, რომ სამწუხაროდ, ბრალდებულის აღიარებას უმთავრესად ღებულობდნენ მისი სხვადასხვანაირი წამების შედეგად. ასეთმა წამებამ, როგორც ლიტერატურაში შენიშნულია, განსაკუთრებული მასობრივი და ბარბაროსული ხასიათი მიიღო X—XI საუკუნეებში, რასაც მოწმობენ იმდროინდელი სამამართლო საქმიანობის მაგალითები. ისტორიული ტიპებიდან ცნობილია აგრეთვე ე. წ. შერეული პროცესი, რომლის დახასიათებისათვის ხშირად ასახელებენ 1808 წლის ფრანგულ საპროცესო კოდექსს; ამ კოდექსში ფიქსირებულია პროცესის ზეპირობა, საქვეყნობა, შეჯიბრებითობა, უშუალობა და სხვა დემოკრატიული პრინციპები. შერეული პროცესისათვის დამახასიათებელია აგრეთვე წერილობითი სახე წინასწარი გამოძიებისა (სადაც შეზღუდულია დაცვა) და ფორმალურ მტკიცებულებათა გამოყენება, თუმცა შინაგანი რწმენის პრინციპიც არის აღიარებული. პროცესის ამ თავისებურმა ფორმამ, როგორც საყოველთაოდ აცნობილი, თავისი განვითარება პპოვა გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში და სხვ. და ბოლოს, პროცესის ისტორიული ტიპებიდან მეოთხე ფორმად მიჩნეულია შეჯიბრებითი პროცესი, რომლის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ ბრალმდ-

ბლისა და ბრალდებულს შორის „ბრძოლის“ შედეგები მოსამართლეს გამოჰყავს იმისდა მიხედვით, თუ რა დამამტკიცებელი საბუთები იყო წარმოდგენილი შეჯიბრებულ მხარეთა მიერ. ამ შეჯიბრში მოპოვებულ მტკიცებულებათა შორის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ბრალდებულის აღიარებას. შეჯიბრებითი პროცესი წარმოიშვა და განვითარდა ინგლისში, ამერიკაში, კანადაში და სხვ.¹

2. ინვლისის მტკიცებითი სამართალი

პოლიციის შესახებ 1964 წლის კანონით („სასამართლო წესები“), წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ კონსტებლები (პოლიციელები), რომლებსაც საერთო ხელმძღვანელობას უწევს შინაგან საქმეთა სამინისტრო. პოლიცია ახდენს ამოღებას, ჩხრეკას, მოსამართლის ბრძანებით (თუ მოსაძებნია მოპარული ნივთი). რამდენადაც დაპატიმრება ხდება მოსამართლის ბრძანებით, მაშასადამე, პიროვნების კანონიერ დაპატიმრებისას პოლიციელი უფლებამოსილია გაჩხრიკოს იგი.² შინაგან საქმეთა მინისტრის დავალებით პოლიციელს მოსამართლის სანქციის გარეშეც შეუძლია მოისმინოს ტელეფონით ლაპარაკი. საიღუმლო პოლიციას ევალება გარკვეულ პირობებში საფოსტო გზავნილების გახსნა და დაკავება და სხვა.³ დადგენილი წესის მიხედვით, წინასწარი გამოძიება მოიცავს სისხლის სამართლის დევნის მწარმოებელ ორგანოების (პირების) და ბრალდებულის, მისი დამცველის საქმიანობას, საქმის სასამართლოში განხილვამდე. წინასწარი გამოძიებით შზადდება ნიადაგი საქმის სასამართლოში განსახილველად იმ თვალსაზრისით, რომ შეგროვილი მტკიცებულებანი აღბათურად ამტკიცებდეს ბრალდებულის ბრალეულობას,⁴ რომ, როგორც ეს კანონშია ფიქსირებული, „სასამართლოში არ წარმოიშვას გონივრული ეჭვი“. აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიება რეგლამენტირებულია როგორც „სასამართლო წესებით“ (1964 წლის რედაქცია), ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციით (რაკი წინასწარ გამოძიებას უმთავრესად აწარმოებენ პოლიციელები). მაღალი სასამართლოების მიერ შემუშავებულ „სასამართლო წესებში“ ლაპარაკია იმ ნიუანსებზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს ექვემდებარების პოლიციური დაკითხვა, რომ სასამართლოში ბრალდებულმა

¹ იხ. ა გ რ თ ვ ე, კ. ფ. ვუცენკო. სისხლის სამართლის პროცესი ძირითად კაბეტალისტურ სახელმწიფოებში (რუს.). 1969, გვ. 50.

² ა. ბ. ლუბენკო. წინასწარი გამოძიება კაბეტალისტური სახელმწიფოების კანონმდებლობის მიხედვით (რუს.). 1977, გვ. 44.

³ იქვე, გვ. 45.

⁴ იქვე, გვ. 39.

ალიაროს დანაშაულის ჩადენა და ამას მიენიჭოს მტკიცებულებით მნიშვნელობა.¹ ერთ-ერთ ასეთ პირობად, წესის თანახმად, ცნობილია ის, რომ პოლიციამ ექვემდებარებული გააფრთხილოს დაკითხვის წინ შემდეგნაირად: „თქვენ არ უნდა უპასუხოთ, თუ არ გსურთ, მაგრამ რასაც იტყვით, შეიძლება ოქმში ჩაიწეროს და იგი გამოყენებულ იქნას მტკიცებულებად“. „გაჩუმების უფლება“ აქვს აგრეთვე დაზარალებულსაც; ამიტომ მასაც უნდა განუმარტოს პოლიციამ ეს დაკითხვამდე. როდესაც პიროვნებას წარედგინება ბრალდება, კანონით, იგი უკვე ითვლება ბრალდებულად; ამასთან, მას ეუბნებიან: „თქვენ არა ხართ ვალდებული უპასუხოთ, თუ არ გსურთ, მაგრამ რასაც იტყვით, შეიძლება ოქმში ჩაიწეროს და იგი გამოყენებულ იქნას მტკიცებულებად“.² აქვე აღსანიშნავია, რომ, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, პოლიცია აწარმოებს ე. წ. პასიურ დაკითხვას, ე. ი. ხდება ჩვენების ბრალდების გარეშე ფიქსირება და კითხვები დაისმება ხოლმე გაუგებრობის შემთხვევაში. წინასწარი გამოძიების გარდა, ინგლისში ცნობილია აგრეთვე საქმის წინასწარი განხილვა. მაგისტრატული სასამართლოების შესახებ 1952 წლის კანონის შესაბამისად (მუხ. 4 (3), საქმის წინასწარ განხილვას სასამართლოში უნდა დაესწროს ბრალდებული. საქმის სასამართლოში წინასწარი განხილვის დროს ბრალდებული ეცნობა რა ბრალდებებს (კლერკის მეშვეობით ბრალდებლის შესავალი სიტყვის საფუძველზე), მას უფლება აქვს არა მარტო წარმოადგინოს მისი გამაბათილებელი მტკიცებულებანი, არამედ იცოდეს იმ მტკიცებულებათა შესახებაც, რომლებიც გააჩნია ბრალდების მხარეს.³ როდესაც საქმის წინასწარი განხილვის დროს სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს ბრალდებებს, ბრალდებელი ადგენს საბრალდებო აქტის ასლს და შეიტანს მას დასამტკიცებლად იმ სასამართლოში, რომელსაც ექვემდებარება საქმე არსებითად განსახილველად. შემოღებული წესისამებრ, ასეთი სახით შედგენილ საბრალდებო აქტს ამტკიცებს კლერკი.⁴ ა. ი. ლუბენსკი ულოგიკოდ მიიჩნევს იმ წესს, რომლის მიხედვითაც ბრალდებელს არ ეკრძალება შემდგომში წარადგინოს დამატებითი მტკიცებულებანი. იგი ამავე დროს დაცვას არ თვლის ეფექტურად, რაკი შეზღუდულია საქმის წინასწარი განხილვის ამოცანები. ამ შემთხვევაში ავტორს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ საქმის წინასწარი განხილვის დროს არ ხდება ბრალეულობის დადგენა, რომ დასაშვებია არა საე-

1 ა. ი. ლუბენსკის დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 84.

2 იქვე, გვ. 85.

3 იქვე, გვ. 89.

4 იქვე, გვ. 90—91.

ქვო, არამედ მხოლოდ ისეთი დაცვითი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებითაც ქარწყლდება ბრალდებები.¹

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ 1967 წლის კანონის შესაბამისად, მოსამართლე წევრებს საკითხს განიხილოს თუ არა საქმე წინასწარ, დადგენილი წესის მიხედვით იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს არა აქვთ საწინააღმდეგო, რომ საქმის წინასწარი განხილვა მოხდეს დამამტკიცებელი საბუთების გამოუკვლევლად და თვით სასამართლოც იმავე აზრისაა; ამ შემთხვევაში უბრალოდ ფორმდება ხოლმე სამართალში შეცემის აქტი, მაგრამ თუ რომელიმე მხარე უარყოფს მოწინააღმდეგის მიერ წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებების სინამდვილეს, მოითხოვს მოწმეთა გამოძახებას და დაკითხვას, საჭიროა შედგეს საქმის წინასწარი განხილვა დამამტკიცებელი საბუთების შესამოწმებლად.² აღსანიშნავია, რომ ე. წ. „პირველი გამოცხადების“ შემთხვევაში მაგისტრატი განუმარტავს ხოლმე ბრალდებულს, რომ მას უფლება აქვს: არ მისცეს ჩვენება, იყოლიოს დამცველი, განთავისუფლდეს ბეით, მოითხოვოს საქმის უშუალოდ სასამართლოში გადაცემა, რა დროსაც მოხდება მისი წინასწარი განხილვა და არ არის გამორიცხული, რომ შემდეგ ბრალულობის შესახებ წარმოება წარმართოს გამარტივებული წესითაც. როგორც წესი, „პირველი გამოცხადების“ შემდეგ სასამართლოში საქმე შემოდის წინასწარი განხილვისათვის, თუ აუცილებელია მისი საბრალდებო აქტით წარმოება; სხვა შემთხვევაში საქმეები უშუალოდ იხილება სასამართლო სხდომაზე არსებითად.³ წესით, საქმის წინასწარი განხილვა ხდება, როდესაც იგი არსებითად განსახილველად ექვემდებარება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. რა თქმა უნდა, დამამტკიცებელი საბუთების წინასწარ განხილვას ბურჟუაზიული ავტორები მართლმსაჯულების გარანტიად მიიჩნევენ.⁴ პროცესის ამ საფეხურზე ბრალმდებელი გამოდის მოკლე დასკვნით საქმის სასამართლოში არსებითად განხილვის საფუძვლიანობის საკითხზე. იხილება მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები; ასევე მოისმენენ დაცვის მტკიცებულებებს და მხოლოდ ამ თანმიმდევრობით მასალების ანალიზის შემდეგ კეთდება დასკვნები საქმის შემდგომი მსვლელობის უზრუნველსაყოფად. როგორც ჩანს, პროცესის ეს სტადია არ უტოლდება წინასწარ გამოძიებას, რაკი აქ, უშუალოდ გარდა, ზეპირობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები საკმაოდ მკვეთრად წარმოიჩინება

1 ი. ი. ლუბენსკის დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 92.

2 ი. ი. ლუბენსკის დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 49.

3 ი. ი. ლუბენსკის დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 88.

4 ი. ი. ლუბენსკის დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 47.

კანონმდებლობის მიერ. ამასთან, საყოფადღებოა დამამტკიცებელი საბუთების შეფასების ფართო მასშტაბები, განსხვავებით წინასწარი გამოძიებისაგან, სადაც, როგორც ითქვა, ცალ-ცალკე წარმოებს სისხლის სამართლის დევნისა და დაცვის წარმომადგენელთა მიერ მტკიცებულებათა შეგროვება. წინასწარი გამოძიების პროცესში ერთგვარად შეუპირისპირებელი რჩება ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეთა ზოგჯერ საკმაო მკვეთრი ტენდენციური ინტერესები. საქმის წინასწარი განხილვა კი თითქმის ხსნის მათი გათიშვის შესაძლებლობებს, ეძებს მათი დაპირისპირების ობიექტურ საფუძვლებს, ორივე ხასიათის დამამტკიცებელი საბუთების შეფასების წყალობით; საინტერესოა ამ მხრივ კანონმდებლის პოზიცია დამამტკიცებელი საბუთების გამოყენების თვალსაზრისით; კანონით დაშვებულია ფაქტიური პრეზუმპცია — დანაშაული ჩადენილია ბრალდებულის მიერ, თუ იგი ვერ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს, როდესაც დამტკიცებელია ისეთი გარემოება, რაც შეიძლება ჩვეულებრივ გამოდგეს დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ მტკიცებულებად. ეს ფორმულა, რომელიც საკმარის ცნობილია ინგლისის საპროცესო კანონმდებლობით, აშკარად ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმპციას, რაკი პრაქტიკის მაგალითებიც ბრალდებულს ავალუბენ ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. კერძოდ, ბრალდებულმა თვითონ უნდა იზრუნოს, რომ დაასაბუთოს თავისი შეურაცხადობა, ალიბი; აგრეთვე, იგი ვალდებულია დაამტკიცოს იმ ბრალდებების უსაფუძვლობა, რომლებიც მისთვის პირადად არის ცნობილი. საერთო აღიარებით, თუ, მაგალითად, აღმოჩნდება საგანი, და შეიქმნება გონივრული ვარაუდი, რომ იგი მოპარულია, იმ პირის მოქმედება, რომელთანაც ეს საგანი აღმოაჩინეს, განიხილება როგორც უტონონო მფლობელობა, თუ ვერ დაამტკიცებს საგნის კანონიერ შექმნას¹. რა თქმა უნდა, უდანაშაულობის პრეზუმპციის პრობლემა ინგლისურ სამართალში სხვანაირად არც შეიძლება გადაწყვეტილ იქნას, რაკი დაცვით დამამტკიცებელ საბუთებს სწორედ ის საზრისი აქვს, რომ გაბათილებულ იქნას ბრალდების თეზისები.

კორონერის მიერ წარმოების 1953 წლის წესების მე-13 მუხლის თანახმად, წინასწარი გამოძიების დროსაც დაინტერესებულ პირს შეუძლია იყოლიოს დამცველი; დამცველი მონაწილეობს აგრეთვე საქმის წინასწარი განხილვის დროს სწორედ იმიტომ, რომ ჩაებას მტკიცებულებათა შემოწმებაში — ჯერედინად დაკითხოს ბრალდების მოწმეები და სხვა. გამარტივებული წესით საქმის განხილვის

¹ ა. ე. ლუბენკის დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 34—40.

დროს თუ მონაწილეობას ღებულობს დამცველი, მართალია მას არ აცნობენ პოლიციური გამოძიებით მიღებულ მტკიცებულებებს, მაგრამ იგი მაინც სასამართლო განხილვისას ყოველთვის იმისათვის არის მოწოდებული, რომ გააბათილოს ბრალდების თეზისები და დაადასტუროს ბრალდებულის უდანაშაულობა ან მისი ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი. დამახასიათებელია, რომ სასამართლო წესების (1964 წლის რედაქცია) მიხედვით, პოლიციაში მიღებული ბრალდებულის აღიარება უნდა განიხილოს მოსამართლემ და მან გადაწყვიტოს, თუ რამდენად არის იგი დასაშვები საქმეში. თავისთავად ბრალდებულის აღიარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება ნეგატიურად უკვე ნიშნავს უდანაშაულობის პრეზუმპციის უარყოფას. როდესაც ინგლისურ პროცესუალურ სამართალში მტკიცებულებათა დასაშვებითობაზე ლაპარაკობენ, აქვე გაიხსენებენ ხოლმე მთავარი მოსამართლის ლორდ გოდარდის სიტყვებს: მტკიცებულებათა დასაშვებითობის გადასაწყვეტად გამოიყენება მისი შესახებითობა და სასამართლოსათვის არაა საინტერესო თუ რა ვიზით იქნენ ისინი მოპოვებულნი¹; თუმცა, კანონით, ბრალდებულის საწინააღმდეგოდ უკანონოდ მიღებული მტკიცებულებაც შეიძლება მოიხსნას სასამართლოს შეხედულებით.² მეტად თავისებური და საინტერესოა ინგლისის სასამართლოებში საქმის არსებითად განხილვის დროს დამამტკიცებელი საბუთების გამოყენების წესები. ცნობილია, რომ ინგლისის სასამართლო სისტემაში პირველი ინსტანციის წესით საქმეს იხილავენ როგორც დაბალი საფეხურის (მაგისტრატული) სასამართლოები, ისე უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში მყოფი (მაღალი) კორონის სასამართლო³ (ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სახით). მაგისტრალურ სასამართლოებს, როდესაც გამარტივებული წესით იხილავენ საქმეებს (ტრანსპორტის მოძრაობის წესების დარღვევა, მანქანების აკრძალულ ადგილებში გაჩერება), კანონით, შეუძლიათ შეუფარდონ დამნაშავეებს ექვს თვემდე თავისუფლების

1 ა. ო. ლუბენსკის დასახ. ნაშრ., 1977, გვ. 44—45.

2 ტ. ვ. აპაროვა, მტკიცებითი სამართლის ტენდენცია ინგლისში, „საბჭოთა კანონმდებლობის გაუმჯობესების პრობლემები“, შრომები, 8. 1977, გვ. 181 (რუს.).

3 უმაღლეს სასამართლოს შემადგენლობაში მაღალი სასამართლოს სახით, კორონის სასამართლოს გარდა, როგორც ცნობილია, შედის სამეფო სკაშის განყოფილება, რომელიც აპელაციურად იხილავს საქმეს. ამას გარდა მოქმედებს უმაღლეს სასამართლოს შემადგენლობაში აპელაციური სასამართლო, იგი პირველი ინსტანციით არ იხილავს საქმეებს. ლორდთა პალატა, როგორც სასამართლო სისტემის უმაღლესი ორგანო, განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქმედებს მხოლოდ აპელაციურად.

აღკვეთა და ას გირვ. სტერლინგამდე გადასახადი. მარტივი იურისდიქციის საქმეების განხილვისას მონაწილეობას ღებულობენ მომრიგებელი მოსამართლეები¹ (2—7). პროფესიული მაგისტრატი ერთპიროვნულადაც იხილავს საქმეს; კანონით, მას შეუძლია გამოიყენოს აგრეთვე სასჯელის ზომა, როგორსაც უფარდებს მაგისტრატული სასამართლო ორი მომრიგებელი მოსამართლის მონაწილეობით (14 დღემდე თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 20 შილინგამდე).

მარტივი იურისდიქციით საქმეები, წესით, საბრალდებო დასკვნის გარეშე იხილება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საქმე შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საბრალდებო აქტით (მარტივი ქურდობა, კვალიფიციური ქურდობის ზოგიერთი სახე, თავდასხმა — სხეულის დაზიანებით, ქონების მითვისება, გატაცებული ქონების დაფარვა), ისე გამარტივებული წესით. კანონის თანახმად, საქმე შეიძლება გადაეცეს გამარტივებული წესით განსახილველად, როდესაც: არ არის საფუძველი საბრალდებო დასკვნით განსჯისათვის; იმაზე მეტი სასჯელის შეფარდება არ შეიძლება, რის უფლებაც გამარტივებული წესით განმხილველ სასამართლოს გააჩნია; გამარტივებული წესით განხილვაზე, ბრალდებულის გარდა, თანახმაა ბრალმდებელიც საკუთრების, ან სახელმწიფოს ინტერესების შესახებ საქმეებზე; თანახმაა საჯარო დენის დირექტორიც, მის მიერ აღძრულ საქმეებზე. როდესაც ბრალდებულის თანხმობით საქმე გადაეცემა ხოლმე გამარტივებული წესით განხილვისათვის, კანონით, სასამართლო ვალდებულია მას გააგებინოს, რომ, თუ სასჯელის ზომა აღემატება გამარტივებული წესით განმხილველ სასამართლოს უფლებამოსილებას, იგი შეიძლება განსაზღვროს ზემდგომმა სასამართლომ. მაგისტრატული სასამართლოების შესახებ 1952 წლის კანონმა (25-ე მუხლი), ბრალდებულს უფლება მიანიჭა მოითხოვოს საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, როდესაც დანაშაული სამ თვეზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს².

აღსანიშნავია, რომ გამარტივებულად („суммарное“) საქმის წარმოებისას, როგორც წესი, სავალდებულოდ არ ითვლება მხარეთა დასწრება სასამართლო სხდომაზე, თუ მათი წარმომადგენლები გამოცხადდებიან. ბრალმდებელი ყოველთვის ვალდებულია გააგებინოს ბრალდებულს როგორც მისი ბრალის, ისე საბრალდებო დამამტკიცებელი საბუთების შესახებ. თუ ბრალმდებელი არ წარმოადგენს და-

¹ მათ ნიშნავს ღირს-კანცლერი სიკედილამდე, მეთიკმნიშვნელობის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად (75 წლამდე ასრულებენ სასამართლო ფუნქციებს).

² „Законодательство зарубежных стран“. 1972, с. 20—23.

მამტიციებელ საბუთებს და თვითონაც არ გამრცხადდება სასამართლოში, არ არის გამორიცხული, რომ საქმის წარმოება შეწყდეს. ხშირ შემთხვევაში აღარ ახდენენ დამამტიციებელი საბუთების გამოკვლევას, როდესაც ბრალდებული სცნობს თავს დამნაშავედ, მაგრამ, კანონით, მას შეუძლია განაჩენის აღსრულებამდე შესცვალოს თავისი ჩვენება, რაც, სასამართლოს ნებისამებრ ზოგჯერ საქმის ხელახალ განხილვას იწვევს¹. გამარტივებული წესით საქმის სასამართლოში ე. წ. „მოკლე განხილვა“ ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების დროსაც ხდება, რაც, კანონის თანახმად, შემდეგში მდგომარეობს: ბრალმდებელი აყალიბებს ბრალდებებს, სამართალში მიცემული აკეთებს განცხადებას, პოლიციელი ახასიათებს სამართალში მიცემულს (წარსულ საქმიანობასთან დაკავშირებით და სხვა); დასაშვებია მოწმეთა ჩვენებების შემოწმება ჯვარედინი დაკითხვით, რომლის დროსაც მონაწილეობს როგორც სამართალში მიცემული, ისე მისი დამცველი. როგორც ცნობილია, გამარტივებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო სამსჯავრო გამოძიება უფრო სრულად წარმოებს, როდესაც ბრალდებული არ ცნობს თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. სასამართლო გამოძიებას ამ შემთხვევაში წინ უძღვის ბრალმდებლის მიერ საბრალდებო თეზისების ჩამოყალიბება, რომელთა დასადასტურებლად გამოიძახებენ ბრალდების მოწმეებს; მათ დაკითხავს ბრალმდებელი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჯვარედინი დაკითხვის ჩატარება. თუ მოწმეების ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ აღარ მოისურვებს ბრალმდებელი განმეორებით დაკითხვას, გამოკვლეული იქნება ბრალმდებლის სხვა მტიციებულებანიც. დამამტიციებელი საბუთების გამოკვლევისას ყურადღებას იქცევს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ 1967 წლის კანონი, რომლის მიხედვითაც, ამა თუ იმ პიროვნების წერილობითი განცხადება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუთანაბრდება სიტყვიერ განცხადებას, თუ მის შინაარსს ადასტურებს თვით შემდგენელი, ან ის პირი; ვინც მის მაგივრად ხელს აწერს; ამასთან ავტორს შეგნებული უნდა ჰქონდეს ცრუ ჩვენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (კანონით, წერილობითი ჩვენებების ასლები მხარეებს უნდა გადაეცეთ შვიდი დღით ადრე საქმის სასამართლოში განხილვამდე, თანაც არც ერთი მხარე არ უნდა იყოს წინააღმდეგი დოკუმენტის წარდგენაზე, 21 წელზე ახალგაზრდამ დოკუმენტში უნდა მიუთითოს წლოვანებაზე). კანონი უფლებას ანიჭებს სამართალში მიცემულს (მის დამცველს) აღძრას შუამდგომლობა ბრალდე-

¹ „Законодательство зарубежных стран“, вып. 133, 1977, с. 29:

ზის დაუმტკიცებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. მას შემდეგ, როდესაც განხილული იქნება ბრალდების მტკიცებულებანი, ბრალდებელს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სიტყვით სასამართლოს. კანონითვე განსაზღვრული, რომ შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში და მაშინაც, როდესაც საერთოდ არ აღიძვრება ასეთი შუამდგომლობა, სასამართლო-სამსჯალო გამოძიება გაგრძელდება დაცვითი მტკიცებულებების გამოკვლევით. კერძოდ, დამცველი (ან უშუალოდ სამართალში მიცემული) ჭერ-განცხადებით მიმართავს სასამართლოს და აყალიბებს დაცვით თეზისებს; შესაძლებელია ასეთი განცხადების გარეშეც ჩატარდეს დაცვითი მტკიცებულებების გამორკვევა, მაგრამ კანონი დამცველს (სამართალში მიცემულს) უფლებას ანიჭებს სასამართლოს მიმართოს სიტყვით არა მარტო დაცვითი მტკიცებულების გამოკვლევამდე, არამედ მის შემდეგაც. როდესაც გამორკვეული იქნება დაცვითი მტკიცებულებანი (ბრალდების მტკიცებულებათა მსგავსად), სასამართლო შენადგენლობა აღდგენს სამართალში მიცემულის ბრალეულობის საკითხს; ამასთან, კანონის შესაბამისად, ბრალეულობის თაობაზე გადაწყვეტილება გამარტივებულად გამოაქვთ მომრიგებელ მოსამართლეს, რომლებსაც ეზმარება პროფესიული იურისტი — კლერკი (მას შეუძლია სასჯელის განსაზღვრის დროსაც შევიდეს სათათბირო ოთახში მოსამართლეთა მოთხოვნით და დაეხმაროს მათ, ოღონდ ვერ მიუთითებს. თუ როგორ გადაწყვიტონ საქმე). იმ შემთხვევაში, როდესაც მაგისტრატულ სასამართლოში ბრალეულობის საკითხის განხილვისას მოსამართლეთა (2—7) ხმები გაიყოფა, იგი კანონით ითვლება გამართლებულად, თუ არ იქნება აუცილებლად მიჩნეული მოსამართლეთა ახალი შემადგენლობის შექმნა. წესით, სასჯელის განსაზღვრა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით სამართალში მიცემულის ბრალეულად მიჩნევის შემდეგ — როდესაც მოპოვებულ იქნება აგრეთვე მის სასამართლობაზე და სხვა პიროვნულ თვისებებზე ცნობები. აქვე აღსანიშნავია, კანონით, სასამართლოს თავმჯდომარე არ სარკველობს უპირატესობით არც ბრალეულობის და არც სასჯელის საკითხების გადაწყვეტის დროს. როდესაც სასჯელით სამართალში მიცემულს ჩამოერთმევა ხოლმე გარკვეული უფლებები, ან შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა, ასეთი სახის სასჯელები, წესით, ცხადდება დასჯილის დასწრებით¹.

¹ „Законодательство зарубежных стран“, вып. 133, 1977, с. 31—32.

კანონმდებლობის მიხედვით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საბრალდებო აქტით საქმის წარმოება; ამასთან, მნიშვნელობა აქვს — ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ ბრალდებებში, რომლებსაც წარუდგენს მოსამართლე საქმის არსებითად განხილვამდე. წესით, აღარ შეიქმნება ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (იუიური¹), თუ ბრალდებული თავს ცნობს დამნაშავედ. ამ დროს თავის სიტყვაში ბრალმდებელი ვადმოგვცემს საქმის შინაარსს, მერე შეიკრიბება ბრალდებულის დახასიათებისათვის ცნობები და უშუალოდ დადგინდება განაჩენი. როდესაც ბრალდებული თავს ცნობს დამნაშავედ უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენაში, ვიდრე მას რაცხავენ, ამ შემთხვევაში თვითონ მოსამართლე წყვეტს საკითხს — გადასცეს თუ არა საქმე გამარტივებული წესით განსახილველად. კანონის თანახმად, საქმის არსებითად განხილვამდე შეიძლება გადაწყდეს აგრეთვე უშუამდგომლობით ისეთი საკითხები, როგორიცაა: საბრალდებო აქტის უკანონოდ შედგენა, ქვემდებარეობა, ერთი ქმედობისათვის მეორედ გასამართლება და სხვა. საბრალდებო აქტით საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, როდესაც ბრალდებული არ ცნობს თავს დამნაშავედ (ამასთან, ბრალდებულის დუმილიც იმას ნიშნავს, რომ იგი არ თვლის თავს დამნაშავედ). 1972 წლის კანონით (ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შესახებ რეფორმა) გაუქმდა ნაფიც მსაჯულად არჩევისათვის ქონებრივი ცენზი (შემცირდა წლოვანებაც). როგორც ცნობილია, ნაფიც მსაჯულებს ირჩევენ სასამართლო სესიისათვის. იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ კონკრეტული საქმის განხილვაში მსაჯულების სიიდან წილისყრით ამოირჩევენ მათ იმ ანგარიშით, რომ აცილების შემდეგ დარჩეს 12 ან 9 მსაჯული მაინც.¹

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ 1948 წლის კანონის 35-ე მუხლის მიხედვით, თუ ბრალმდებელმა უნდა დაასაბუთოს აცილება (ნაფიც მსაჯულთა სიაში შეტანილის სასამართლოების, საქმის ბედით დაინტერესების, წინასწარი აკვიატებულობისა, არაკვალიფიციურობის და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით), სამართალში მიცემულს შეუძლია აიცილოს უმოტივოდ შეიდ მსაჯულამდე და მხოლოდ ამის შემდეგ ევალება აცილების სათანადო დასაბუთება. კანონის მიხედვით, აცილების შემდეგ, როდესაც აღარ დარჩება სიაში ეიურისათვის მსაჯულთა საკმარისი რაოდენობა, სასამართლოს დავალებით შერიფი აღგენს ახალ სიას.. ზოგჯერ კი სასამა-

¹ როგორც ცნობილია, ისტორიულად თითოეულ საგრაფოდან გამოდიოდა 12 „რაინდი“ ეიურის რომ შეადგენდნენ. XVI საუკუნიდან ისინი „მოსამართლეებად გადაიქცნენ“ და მათი აღგრა მოწვევებმა დაიკავეს. „Проблемы совершенствования сов. законодательства“, труды, 8, 1977, с. 175.

ათლოს დარბაზში დამსწრეებიდანაც შეავსებენ ხოლმე¹. ისეთი მძიმე დანაშაულის (დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა) შესახებ საქმეთა განხილვის დროს², რომლებსათვისაც კანონით სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული, საჭიროა ყიუჩი დაკომპლექტდეს მთელი შემადგენლობით. „არასრული ყიუჩი“ კანონით დაშვებულია მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში. საქმის სასამართლო განხილვის მომზადებად ითვლება სასამართლოს ინიციატივით მოწმეთა გამოძახება და აგრეთვე იმის გამორკვევა — ეცნობა თუ არა სამართალში მიცემულს საბრალდებო აქტზე დართული სიის მიხედვით გამოსაძახებელ მოწმეთა შესახებ. კანონი ნებას აძლევს სამართალში მიცემულს, რომ გაეცნოს ბრალმდებლის მტკიცებულებებს თავის დაცვის უზრუნველსაყოფად. ინგლისური სამართლის მიხედვით, როგორც უკვე ითქვა, საქმის სასამართლოში არსებითად განხილვა იწყება ბრალმდებლის შესავალი სიტყვით, რომელიც მიმოიხილავს მეგროვილ მტკიცებულებებს; კანონით, ბრალმდებელს ევალება წარმოადგინოს „გონივრული ეჭვის გარეშე“ სასამართლო მტკიცებულებანი, რაკი მტკიცების ტვირთი მას აწევს.³ როგორც კი ბრალმდებელი მიმოიხილავს ბრალდების მტკიცებულებებს, მაშინვე იკითხება ბრალდების მოწმეები. ბრალმდებლის მიერ მოწმეთა დაკითხვის შემდეგ, სამართალში მიცემული და მისი დამცველი აწარმოებენ ჯვარედინ დაკითხვას და კვლავ შეუძლია ბრალმდებელს განაახლოს დაკითხვა და სხვა მტკიცებულებებსაც შეეხოს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების 1972 წლის რეფორმამ დამამტკიცებელი საბუთების გამოყენებაზეც გაამახვილა ყურადღება. მოწმის ჩვენება არ დაიშვება მტკიცებულებად, თუ იგი ადასტურებს ფაქტს სხვისი სიტყვებით. არსებობენ ე. წ. „მეორეხარისხოვანი“ მტკიცებულებანი, რომლებიც მოითხოვენ და-

1 იქვე, გვ. 34.

2 მაგისტრალურ სასამართლოს საბრალდებო აქტით საქმის განხილვის დროს შეუძლია შეუფარდოს დამნაშავეს 12 თვემდე თავისუფლების აღკვეთა. სასამართლოს შესახებ 1971 წლის 12 მაისის კანონის შესაბამისად, მაღალ სასამართლოს შემადგენლობაში ყოფი კორონის (აქამდე კვარტალური და ასიზების) სასამართლოები იხილავენ: ლაღატის, მკვლელობის, ვენოცილის... და საერთოდ ყველა იმ დანაშაულის შესახებ საქმეებს, რომლებზედაც დამნაშავეს სიკვდილი შეიძლება შეუფარდოს. აღსანიშნავია, რომ მაღალი სასამართლო სამეფო სკამის განყოფილებაში, გარდა განსაკუთრებული კატეგორიის საქმეებისა, იხილება სამართლებრივი საკითხებიც. ლორდათა პალატა, კანონით უფლებამოსილია განიხილოს მაღალი თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი ქმედობანი, თუმცა, პირველი ინსტანციის წესით იშვითად მოქმედებს. („Зак. зап. ст. 28“, 1972, с. 28—30).

3 მუხუდავად ამისა, ჯერდობის შესახებ 1968 წლის კანონის თანახმად, თუ პირს აღმოაჩნდება ინსტრუმენტები, რომლებითაც შეიძლება გაიღოს სიკვდილი, ითვლება დამნაშავედ.

დასტურებას. დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მისმა შემდგენელმა და თანაც ზეპირად დაადასტუროს შინაარსი. თუ მოწმეს (თუნდაც ჭვარედინი) დაკითხვის დროს მიეცემა ისეთი კითხვები, რომლებიც გაამხელენ დანაშაულის ჩადენაში, ასეთი გზით ჩატარებული დაკითხვა გამოიწვევს ჩვენების მტკიცებულებათა რიცხვიდან გამოდევნას¹. ყოველი მტკიცებულება, რომელიც ბრალდებულის საწინააღმდეგოდაა და უკანონოდაა მიღებული, არ დაიშვება მტკიცებულებად (სასამართლოს შეხედულებით). მტკიცებულებად შეიძლება მიღებულ იქნას განცხადება, მაგალითად, გაუპატიურების შესახებ, თუ მას ადგილი ექნება პირველი შესაძლებლობისამებრ. როგორც ცნობილია, 1970—72 წლების სასამართლო პრეცედენტებით განმტკიცდა წესები მაგნიტოჩანაწერების გამოყენების შესახებ². როდესაც დამთავრდება ბრალდების მტკიცებულებათა განხილვა, კანონით, სამართალში მიცემულის დამცველს შეუძლია აღძრას შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე — ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო. ამ შემთხვევაში სასამართლო ან მიმართავს ეიურის, რომ გამოიტანოს გამამართლებელი ვერდიქტი (თუ არსებობს საფუძველი) ან აგრძელებს პროცესს. კანონით დაშვებულია ვერდიქტის გამოტანაზე მოსამართლის წინადადება, თვით დაცვითი მტკიცებულებათა გამოკვლევის დროსაც. დაცვის მტკიცებულებათა განხილვას წინ უძღვის დამცველის შესავალი სიტყვა. რის შემდეგაც იკითხებიან დაცვის მოწმეები. ბრალდებულს უფლება აქვს მისცეს ჩვენება, როგორც მოწმემ (თავის საქმეზე) ფიცის გარეშეც. იგი უნდა დაკითხოს სხვა მოწმეებზე აღრე (ჭვარედინადაც). მართლმსაჯულების შესახებ 1967 წლის კანონის თანახმად (მუხ. 10), ბრალდებულის ჩვენება ითვლება უტყუარ მტკიცებულებად, როდესაც იგი ცნობს თავს დამნაშავედ. დაცვის მოწმეების დაკითხვის შემდეგ ბრალმდებელი დაკითხავს მათ ჭვარედინად. ბრალმდებელს შეუძლია დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენაც (სასამართლოს ნებართვით, ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით). საერთოდ, მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ კანონით დასაშვებია მოწმეთა ჩვენებების ოქმებით სარგებლობა, თუ ისინი შედგენილი არიან პირის სამართალში მიცემის დროს საქმის წინასწარი განხილვისას ან ბრალმდებელთან ფიცით ჩამოყალიბებული წერილობითი განცხადებებით, რომლებიც წარადგენილი იქნენ საქმის წინა-

¹ Апарова Т. В., Тенденция доказательственного права в Англии. „Проблемы совершенствования сов. законодательства“, труды 8, с. 172—175.

² იქვე, გვ. 176—177.

სწარი განხილვის დროს, სხვა სახის წერილობითი განცხადებანი მტკიცებულებად დაიშვებიან მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. მოწმის ჩვენება გამოქვეყნდება, როდესაც არ გამოცხადდება მოწმე ავადმყოფობის, სამართალში მიცემულის მიერ დაბრკოლებების შექმნის და სხვა მიზეზით. მოწმე შეიძლება არ გამოიძახონ, თუ მისი ჩვენება არ იწვევს დავას მხარეთა მიერ. კანონის თანახმად, ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ შემთხვევის აღგილის დათვალეურებისა. შემთხვევის აღგილზე მოსამართლის დასწრება ამ შემთხვევაში სავალდებულოა, თუ აღგილზე საჭირო განდება მოწმეთა განმარტებები, რაკი, წესით, ნაფიცებს არ შეუძლიათ უშუალოდ მიმართონ მოწმეებს. ჭვარდიანი დაკითხვაც დასაშვებია, მაგრამ არ არის ყოველთვის სავალდებულო ბრალდებულის დასწრება. როდესაც დამთავრდება მტკიცებულებათა გამორკვევა, ბრალმდებელი და დამცველი გამოდიან დასკვნითი სიტყვებით (ბრალმდებელი არ ამბობს სიტყვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალში მიცემულს არ გამოუწვევია მოწმეები და არ ჰყავს დამცველი). მხარეებს აქვთ აგრეთვე რეპლიკების უფლება (იხ. სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესახებ 1964 წლის კანონის პირველი მუხლი).

იქამდე, სანამ სათათბიროდ გავიდოდნენ ნაფიცი მსაჯულები, სასამართლოს თავმჯდომარე წარმოთქვამს დასკვნით სიტყვას; აყალიბებს ბრალდებისა და დაცვის მტკიცებულებებს, მათ დასკვნებს; ერთხელ კიდევ განუმარტავს ნაფიც მსაჯულებს, რომ დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე ისინი წყვეტენ დანაშაულის ფაქტის შესახებ საკითხებს. მოსამართლის სიტყვის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები გადიან სათათბიროდ. თუ სადავოა დანაშაულის ფაქტის დადგენის საკითხები, კანონით ნებადართულია სათათბირო ოთახშიც მიიწვიონ მოსამართლე განმარტებისათვის, მოსთხოვონ მას ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები დასათვალეურებლად და სხვა. თუ „ნაფიცები“ ამხანაგებენ მტკიცებულებათა შინაარსს, მოსამართლეს კვლავ შეუძლია დამატებით განუმარტოს მათ მტკიცებულებანი. კანონით საკმარისად ითვლება თუ 11—12 მსაჯულიდან ხმას მისცემს ათი; 10-დან — 9. ვერდიქტის დადგენა სავალდებულოა ერთხმად მოხდეს, თუ „ნაფიცთა“ შემადგენლობაში სულ 9 კაცი დარჩება. კანონითვე დადგენილია, აგრეთვე, სხვა წესებიც ვერდიქტის გამოტანისათვის. კერძოდ, ხმის უმრავლესობით ვერდიქტის გამოტანისათვის დაწესებულია ორი საათი. თუ ორ საათზე აღრე გამოიტანენ ვერდიქტს, მოსამართლეს შეუძლია ისინი უკანვე დააბრუნოს შეთანხმებისათვის; თუ კვლავ ვერ მიადწევენ „ნაფიცები“ ერთსულოვნებას, მოსამართლე უფლებამოსილია ერთხელ კიდევ დააბრუნოს ისინი სათათბი-

როდ, სადაც უკვე „ნაფიცებს“ შეუძლიათ საბოლოოდ ხმის უმრავ-
ლესობით დაადგინონ ვერდიქტი (ხმის უმრავლესობით ვერდიქტის
გამოტანის შემთხვევაშიც მოსამართლეს შეუძლია ხელახლა დანიშ-
ნოს საქმე განსახილველად — საქმეში მონაწილე „ნაფიცები“ კი
დაითხოვოს). იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საქმის
განმეორებით განხილვის დროსაც ვერდიქტი ვერ იქნება ხოლმე გამო-
ტანილი; ამ დროს, წესით, ბრალმდებელი უარს აცხადებს სისხლის
სამართლის დევნაზე.

ინგლისური კანონმდებლობით, საერთო (მთლიანად ბრალდების
შესახებ), კერძო (ბრალდების რომელიმე პუნქტში ან იმავე გვარის
უფრო მსუბუქ ქმედობაში დამანაშავედ ცნობა), ან სპეციალური (სა-
მართლებრივი შედეგების გარეშე მომხდარი ფაქტის დადასტურება
— ქმედობის შეურაცხად მდგომარეობაში ჩადენა)¹ ვერდიქტის
გამოტანა შეიძლება მოსამართლემ უმართებულოდ ჩათვალოს
და მიმართოს „ნაფიცებს“, რომ გადასინჯონ იგი, მაგრამ თავს ვერ
მოახვევს საკუთარ სურვილებს. როგორც კი გამოქვეყნდება საბრალ-
დებო ვერდიქტი, სასამართლოს თავმჯდომარე ნებას აძლევს სამარ-
თალში მიცემულს განაცხადოს — რაც სურს. სამართალში მიცემულს
შეუძლია საბრალდებო აქტის შედგენის წესების დარღვევის თაობაზე
მოითხოვოს საქმის წარმოების შეწყვეტა, ან სამართალში მიცემის
საფეხურიდან საქმის ხელახალი განხილვა; იმ შემთხვევაში, როდესაც
სამართლებრივი ნორმა არ ითვალისწინებს აბსოლუტურად განსა-
ზღვრულ სასჯელს, ხდება სამართალში მიცემულის პიროვნებისათვის
დამახასიათებელი მონაცემების გამორკვევა (შესაძლოა სასჯელი გან-
საზღვროს სასამართლოს სხვა შემადგენლობამაც, თუ გაჭიანურდება
მასალების შესწავლა)². სასჯელზე უარყოფით გავლენას ახდენს სა-
მართალში მიცემულის სხვა დანაშაულის აღიარება, რომელზედაც
არ მიუღია სასჯელი. სხვათა შორის, მისი ეს ჩვენება დამამტკიცებელ
საბუთად ჩაითვლება, თუ აღიჭვრება ახალი საქმე იმ დანაშაულზე,
რომელიც აღიარა სამართალში მიცემულმა, თანაც, კანონშივეა და-
თქმული, რომ სამართალში მიცემულის აღიარებას იურიდიული ძალა
ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ეხება იმ ქმედობას, რო-
მელიც განეკუთვნება მოცემული სასამართლოს იურისდიქციას (სა-
დაც აღიარებას კქონდა ადგილი)³.

1 „Законодательство зарубежных стран“, вып. 133, 1977, с.39—40.

2 ი ქ ვ ე, გვ. 39—40.

3 ი ქ ვ ე, გვ. 40—41.

დადგენილი უკანონო ჩხრეკისათვის (სასამართლო ბრძანების გარეშე, თუ უკანონოდ დაპატიმრებისას ხდება; არ გამოუთქვამს გასაჩხრეკ პირს თანხმობა და სხვა); 11 შტატში უკანონოდ ითვლება სასამართლო ბრძანების გარეშე ჩატარებული ჩხრეკა¹. უკანონოდ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად მიღებული მტკიცებულებანი არ დაიშვებიან საქმეზე. ასევე შეერთებული შტატების უმაღლეს სასამართლოს 1961 წლის დადგენილებით, ყველა შტატზე ვრცელდება უმაღლესი სასამართლოს 1914 წლის დადგენილება (სპეციალურად ფედერალური სასამართლოების საყურადღებოდ რომ იქნა გამოცემული)², უკანონოდ ამოღებისას მოპოვებული საგნების მტკიცებულებად დაუშვებლობის შესახებ. წესით, საშტატო პოლიცია დახმარებას უწევს ადგილობრივ პოლიციასაც, რომელიც მოქმედებს, როგორც დიდ ქალაქებში (ნიუ-იორკი, ჩიკაგო), ისე ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში³. ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 813ა მუხლის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილია გასცეს ტელეფონით ლაპარაკის მოსმენისათვის ორდერი პროკურორის ან პოლიციის (სერჟანტზე მეტი ჩინით) განცხადებით, თუ არსებობს მტკიცებულებათა მიღების ე. წ. „გონივრული საფუძველი“⁴. შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს 1964 წლის გადაწყვეტილებით, ეკვმიტანილს შეუძლია ჰყავდეს დამცველი; პოლიციის მიერ დაკითხული ეკვმიტანილის აღიარება უკანონოდ ითვლება, თუ მას პოლიციამ დამცველის დახმარებაზე უარი განუცხადა⁵.

პოლიციის მსგავსად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ფედერალური, საშტატო და ადგილობრივი პროკურატურის ორგანოები. წესით, პროკურატურა წარმოდგენილია, როგორც საჯარო ბრალდების ორგანო, რომელიც აღძრავს სისხლის სამართლის დევნას; პროკურატურა უფლებამოსილია არ მიიღოს პოლიციის გამოძიება და თვითონ ითავოს ეს საქმიანობა⁶. პროკურორს (პოლიციასაც) საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარებაში დახმარებას უწევს ე. წ. „დიდი ჟიური“ სესიის დროს (წევრებს ქონებრივად შეძლებული ფენებიდან რომ ირჩევენ 12—23-მდე წილის ყრით, ზოგ შტატში კი — ადგილობრივი ხელისუფლების შეხედულებით). პროკურორს შეუძლია გამოიძახოს მოწმე დიდი ჟიურის სახელით და დაჰკითხოს, რო-

1 А. И. Лубенский, Предварит. расследование по законод. капиталистических государств. 1977. гл. 58—61.

2 იქვე, გვ. 56.

3 იქვე, გვ. 55.

4 იქვე, გვ. 63.

5 იქვე, გვ. 118.

6 იქვე, გვ. 65.

მლის ჩვენება გაფორმდება ბრალდებულისა და დამცველის მონაწილეობის გარეშე;— თუ მოწმე არ გამოცხადდება, ეს ითვლება სასამართლოს უპატივეცემლობად.¹ წინასწარი გამოძიების თვალსაზრისით, „ერთპიროვნულ დიდ ქიურის“ უწოდებენ მაგისტრატს (სასამართლო მოხელე); იგი საქმეს გადასცემს პროკურორს ან დიდ ქიურის პირის სამართალში მისაცემად.² ამერიკაში კორონერი (ზოგიერთ შტატში იგივე მომრიგებელი მოსამართლე) უმთავრესად იძიებს ძალადობით სიკვდილის მიზეზებს, ზოგიერთ შტატში — ხანძრის საქმეებსაც. კორონერი იძლევა ბრძანებას მკვლელობაში ექვმიტანილის დაპატიმრებაზე, მოწმის იძულებით მიყვანაზე და სხვ.³ საქმის სასამართლოში წინასწარი განხილვის შედეგად შესაძლებელია პროკურორის თანხმობით შეწყდეს წარმოება, აგრეთვე პატიმრობაში იქნას დატოვებული პირი, სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტამდე (დიდი ქიურის ან პროკურორის მიერ)⁴. აღსანიშნავია, რომ თუ ფედერალური კანონმდებლობით, საქმის წინასწარი განხილვისათვის არ არის სავალდებულო ბრალდებულის თანხმობა, ზოგიერთ შტატში საჭიროა როგორც ბრალდებულის, ისე ბრალმდებლის სურვილი საამისოდ (ზოგან კი — მარტო ბრალდებულის თანხმობაც საკმარისია). შენიშნულია, რომ პროკურორის, სასამართლოს მოხელისა და თვით დიდი ქიურის მიერ წინასწარი გამოძიება ფაქტიურად მიმდინარეობს დაცვის გარეშე⁵.

კონსტიტუციის მეხუთე შესწორების (1787) თანახმად, არავის არ შეუძლია იძულებულყოს პიროვნება მისცეს ისეთი ჩვენება, რომელიც თვითონ მას გაამხელს დანაშაულის ჩადენაში; მეექვსე შესწორების მიხედვით, ბრალდებულს უფლება ენიჭება იძულებით წარმოადგინოს მოწმეები თავის დასაცავად; კონსტიტუციის მე-14 შესწორების (1868) ძალით, კანონში გათვალისწინებული პროცედურის გარეშე, არც ერთ მოქალაქეს არ შეიძლება შეეზღუდოს პირადი თუ საკუთრების უფლებები შტატების ხელისუფალთა მიერ⁶. შეერთებული შტატების უმაღლეს სასამართლოს 1966 წლის დადგენილებით, დაპატიმრებულის (ან დაკავებულის) დაკითხვამდე უნდა გაფრთხილდეს იგი, რომ უფლება აქვს გაჩუმდეს, რომ რასაც იტყვის, შესაძლოა სასამართლოში მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული,

1 А. И. Лубенский. Предварительное расследование по законодательству капиталистических государств. 1977. гл. 66.

2 იქვე, გვ. 68.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 69.

5 იქვე, გვ. 121.

6 იქვე, გვ. 92.

რომ ბრალდებულმა სურვილისამებრ უნდა მოიწვიოს დამცველი, ან დაენიშნოს უსახსრობის შემთხვევაში. ამასთან, კანონში დათქმულია, თუ ბრალდებელი ვერ დაადასტურებს, რომ სწორედ ამ წესის დაცვით იყო მიღებული ბრალის მამხილებელი მტკიცებულებანი, მათ ვერ მიენიჭებათ მნიშვნელობა. როგორც ცნობილია, იმავე წლიდან ფედერალური კანონმდებლობით, ბრალდებულს უფლება ენიჭება გაეცნოს ბრალდებლის მონაცემებს: ექსპერტის ოქმს, ნივთიერ მტკიცებულებებს, დოკუმენტებს და სხვა¹, რაკი არც პოლიცია და არც პროკურატურა არ კრეფენ ბრალდების სასარგებლო მტკიცებულებებს.

1968 წლის 19 ივნისს კონგრესის მიერ მიღებულ კანონთა კრებულის (მე-18 განყოფილება, 23-ე თავი) § 3501-ის მიხედვით („ალიარების მტკიცებულებად დაშვების შესახებ“), იმისათვის, რომ ბრალის აღიარება მტკიცებულებად იქნეს დაშვებული, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი: 1. აღიარება მოხდა თუ არა ბრალდების წარდგენამდე (დაპატიმრების შემდეგ); 2. იცოდა თუ არა ბრალდებულმა ჩადენილი დანაშაულის ხასიათი; 3. იცოდა თუ არა ბრალდებულმა, რომ შეეძლო არ მიეცა ჩვენება და თანაც მისი ჩვენება, რომ სასამართლოში მის წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენონ; 4. უთხრეს თუ არა მას, რომ დამცველისათვის მიემართა დასახმარებლად (დაკითხვის დროს თუ ჰყავდა დამცველი)².

იქამდე, სანამ საქმის სასამართლოში განხილვის საკითხებს შეეხებოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებენ: შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლო; ფედერალური აპელაციური სასამართლოები და რაიონული ფედერალური სასამართლოები. ამასთან, ცნობილია, უმაღლესი სასამართლო იშვიათად იხილავს (განსაკუთრებული კატეგორიის) საქმეებს პირველი ინსტანციის ფორმით (უცხოელთა საჩივრებს, მათი ოჯახის წევრების მიმართ). პირველი ინსტანციისეულად საქმეებს იხილავენ რაიონული ფედერალური სასამართლოები, რომლებსაც 92-მდე ითვლიან შტატებში (შტატში სულ მცირე ერთი მაინც არის ასეთი სასამართლო); რაიონული სასამართლოების მოსამართლეებს (დაახლ. სამასამდე), კანონის თანახმად, ნიშნავს პრეზიდენტი, სენატის თანხმობით (სიკვდილამდე). მოსამართლეს თანამდებობიდან დაითხოვს კონგრესი, თუ იგი ბოროტად გამოიყენებს მდგომარეობას. როგორც ცნობილია, ფედერალურ რაიონის სასამართლოებთან მოქ-

¹ А. И. Лубенский, Предварительное расследование по законодательству капиталистических государств. 1977. гл. 101.

² * § 30, гл. 94—95, 98.

მედებენ მაგისტრატები (მოხელეები), რომლებიც უმთავრესად იხილავენ ტრანსპორტზე მოძრაობის წესების დარღვევის და სხვა მცირე მნიშვნელობის საქმეებს¹. საქმეები არ იხილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, თუ ბრალდებული ცნობს თავს დამნაშავედ. ფედერალური სასამართლოებისათვის ნაფიც მსაჯულთა სიებს (12-მდე მსაჯულის ასარჩევად) ადგენენ კლერკები, ან სასამართლოს მოხელეები (მაგალითად, დიდ ქალაქებში); კანონით, ნაფიც მსაჯულად შეიძლება იყოს 21 წლის, ამერიკაში მცხოვრები (ერთი წლის განმავლობაში შაინც) მოქალაქე, რომელმაც იცის ინგლისური ენა; კანონში დათქმულია აგრეთვე, რომ ნაფიც მსაჯულის კანდიდატად არ იქნეს დასახელებული სახელმწიფო თანამდებობის პირები, ექიმები, გინეკოლოგები, რწმუნებულები, რელიგიის მსახურები...² ცნობილია, რომ ამერიკის კანონმდებლობა მიიჩნევს ისეთი კატეგორიის დანაშაულებებს, როგორცაა: ფელონია, მისდომინორი და მცირე მნიშვნელობის დანაშაულობანი. ფელონია ფედერალური კანონმდებლობით ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, ან ერთ წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთას; ხოლო მცირე მნიშვნელობის დანაშაულად ითვლება მისდომინორი (ყველა, ფელონიას გარდა), რომელიც ითვალისწინებს 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთას, ან ჯარიმას 500 დოლარამდე. ამ მხრივ განსაკუთრებული სურათია საშტატო კანონმდებლობაში. მართალია, შტატების კანონმდებლობითაც ფელონია ისჯება სიკვდილით, ან ერთ წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთით, მაგრამ ცალკეა გამოყოფილი მცირე მნიშვნელობის დანაშაულობანი და მათ არ მოიცავს მისდომინორი, ამასთან, ზოგ შტატში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ განიხილავს საქმეს, როდესაც ბრალდებულს არ სურს; მაგრამ ზოგან კი — მნიშვნელობა არა აქვს ბრალდებულის სურვილს, თუ ჩადენილი დანაშაული სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს; შტატებში ნაფიც მსაჯულთა სიებს ადგენენ ე. წ. საგრაფოების კომისიონერები, ან ინსპექტორები. ზოგიერთი შტატის კანონმდებლობით, განსხვავებით ფედერალური კანონმდებლობისაგან, არ შეიძლება ნაფიც მსაჯულთა კანდიდატად დასახელებულ იქნენ აგრეთვე: ეურნალისტები, პოლიციელები, მეხანძრეები, რკინიგზის მსახურები, მბეჭდავები და სხვა³. შტატების სასამართლო სისტემაში ყველაზე დაბალსაფეხურის სასამართლოებად ითვლებიან: პოლიციური, მაგისტრატული, მართლმსაჯულებისა და მუნიციპალური სასამართლოები. ამ სასამართლოებს შეზღუდული იურისდიქციის

1 „Законодательство зарубежных стран“, 1972, с. 30—32.

2 იქვე, გვ. 36.

3 იქვე.

სასამართლოებსაც უწოდებენ. ზოგიერთ შტატში დასახელებულ სასამართლოებში საქმიანობენ მომრიგებელი მოსამართლეები, რომლებსაც ირჩევენ სათანადო წესით (2—4 წლით, არაიურისტებს). სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს დამნაშავეს ერთ თვემდე თავისუფლების აღკვეთა ან 100 დოლარამდე ჯარიმა¹. ხაზი უნდა გაესკას იმ გარემოებას, რომ შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოებისათვის შტატებში კანონით დადგენილია მტკიცედ განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთაც და ჯარიმაც (რომლებსაც ისინი გამოიყენებენ). შტატების კანონმდებლობის შესაბამისად, მოქმედებენ აგრეთვე საერთო იურისდიქციის სასამართლოები (მაღალი, რაიონული თუ საოკრუგო სასამართლოების სახელწოდებით). ეს სასამართლოები პირველი ინსტანციისეულად იხილავენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს (აპელაციასაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში). საოკრუგო სასამართლოს მოსამართლეები, წესის მიხედვით, ინიშნებიან იურისტებიდან 4 წლით საკანონმდებლო კრებაზე, გუბერნატორის წარდგენით. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სასჯელის ზომა ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ან 1000 დოლარამდე ჯარიმა. კანონის მიხედვითვე, საოკრუგო სასამართლოებთან მოქმედებენ სპეციალური ბიუროები ტრანსპორტზე მოძრაობის წესების მცირე დარღვევათა განსახილველად². ხაზი უნდა გაესკას იმას, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოს ქვემდებარე საქმეები არ შეიძლება განიხილონ შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოებმა. როგორც კანონმდებლობიდან ცნობილია, 14 შტატში მოქმედებენ ე. წ. შუალედური აპელაციური სასამართლოები (დაბალ და მაღალ სასამართლოებს შორის); ზოგიერთ შტატში კი ცალ-ცალკეა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებისათვის აპელაციური სასამართლოები. ყველა შტატში სასამართლო სისტემის უმაღლეს ორგანოდ ითვლება სამშტატო უმაღლესი (აპელაციური) სასამართლო.

იქამდე, სანამ მოხდებოდეს ნაფიც მსაჯულთა ფორმირება, ანიონის თანახმად, მხარეებს (თვით უშუალოდ მოსამართლესაც) უფლება აქვთ გამოკითხონ კანდიდატებს ცალ-ცალკე იმის გამოსარკვევად — რომ არ არის რომელიმე მათგანი დაინტერესებული საქმის ბედით. ან იქნებ თავისი მონაცემებით შეუფერებელია სამსაჯულო ფუნქციის შესრულებისათვის, ამ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მოტივირებული მოსაზრებებით აიცილონ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატები.³

1 „Законодательство зарубежных стран“, 1972, с. 82—83.

2 იქვე. გვ. 32—33.

3 „Законодательство зарубежных стран“, вып. 133, 1977, гв. 41.

ამასთან, შემდგომში როგორც ბრალდებულს, ისე დამცველს ნება ეძლევათ უმოტივოდაც მოახდინონ აცილება. იმისათვის, რომ ნაფიც-მა მსაჯულებმა შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა, წესის მიხედვით, მათ ამაჩუგებენ ცნობარებით, მოსამართლე ეხმარება განმარტების მიცემით (საგანგებო მოხსენებებში) და სხვ.

საქმის სასამართლო განხილვა იწყება ბრალმდებლის შესაფასო სიტყვით და, საინტერესოა აღინიშნოს, რომ მაშინვე სიტყვა ეძლევა თვით დამცველსაც ბრალდების მტკიცებულებათა გაანალიზებისათვის. როგორც ცნობილია, ბრალდებულს შეიძლება დაიკითხოს მოწმედ (ძველნასამართლეობაზეც), მაგრამ, თუ ფიქსირდება უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე — ეს არამც და არამც არ უნდა შეაფასონ მოსამართლეებმა ბრალდებულის პიროვნების უარყოფითად დამახასიათებელ გარემოებად (ცნობილია, რეალურად ასე არ ხდება). კანონის თანახმად, როგორც კი დამთავრდება ბრალდების მტკიცებულებათა გამოკვლევა, ამერიკაშიც დაცვის წარმომადგენელს შეუძლია იშუამდგომლოს საქმის წარმოების შეწყვეტაზე (წესით, დამცველი წინასწარ არც ეცნობა ბრალდების მტკიცებულებებს) და თუ მოსამართლეც თანახმაა, იგი რეკომენდაციას აძლევს ნაფიც მსაჯულებს კერძო დიქტის გამოტანაზე, რაც სავალდებულოა მათთვის. ჩვეულებრივად კი, ბრალდების მტკიცებულებათა გამოკვლევას მოჰყვება ხოლმე დაცვის მტკიცებულებათა განსჯა. აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებათა განხილვა მთავრდება დასკვნითი სიტყვებით. ბევრ შტატში, კანონის შესაბამისად, დამცველის სიტყვის შემდეგ გამოდის ბრალმდებელი; ზოგან მოსამართლის ნაფიც მსაჯულებისადმი მიმართულ დასკვნითი სიტყვის დამთავრებას მოსდევს ხოლმე დამცველის დასკვნითი სიტყვა; ზოგან — დამცველი და ბრალმდებელი მხოლოდ თითოჯერ გამოდიან... ბევრ შტატში, თუ კანონით აკრძალულია მტკიცებულებათა კომენტირება ნაფიც მსაჯულებისათვის, ზოგან, პირიქით, წინასწარ ტექსტიც კი შედგება ხოლმე მოსამართლის მიერ საამისოდ. ფედერალურ სასამართლოში კანონი ნებას აძლევს მოსამართლეს მიმართოს ნაფიც მსაჯულებს სიტყვით, რათა განუმარტოს მან საქმის ფაქტობრივი გარემოებანი. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი დადგინდება სათათბირო ოთახში. ფედერალური კანონმდებლობით, სასამართლო სესიაზე უნდა მონაწილეობდეს 12 ნაფიცი მსაჯული. ვერდიქტი დადგინდება ერთხმად (არ არის საჭირო მტკიცებულებათა ანალიზი). ხოლო ბევრ შტატში მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შემცირდეს „ნაფიცთა“ რიცხვი, ოღონდ თუ 12 ნაფიცი მსაჯული მონაწილეობს, 9—10 ხმაც საკმარისია ვერდიქტის დასადგენად. ვერდიქტით პირის ბრალეულად მიჩნევის შემდეგ განისაზღვრება სასჯელი. შემოღებუ-

ლი წესის მიხედვით, ზოგჯერ სასჯელის გამოტანას წინ უძღვის სამართალში მიცემულის დახასიათებისათვის მასალების გახანგრძლივებული (20—30, 90-დღემდე) შემოწმება (ნასამართლობაზე, პიროვნული ღირსებების დამადასტურებელი ცნობებით). ბრალეულად მიჩნეულ პიროვნებას ზოგჯერ ციხეშიც ათავსებენ სპეციალური დაკვირვებისათვის, სასჯელის განსაზღვრის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შტატში, კანონით, სასჯელის განსაზღვრაც ნაფიც მსაჯულებს ევალებათ; საერთო წესით კი, სასჯელს განსაზღვრავს მოსამართლე, რაც ცხადდება საჯაროდ¹.

4. საფრანგეთის შაკიციებითი საპართალი

საფრანგეთის კანონმდებლობა ერთმანეთისაგან ანსხვავებს გადაცდომას, დელიქტსა და დანაშაულს. გადაცდომა ითვალისწინებს ორ თვემდე თავისუფლების აღკვეთას, ან ჯარიმას 2 ათას ფრანკამდე; დელიქტისათვის დაწესებულია ორ თვეზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთა (5 წლამდე), ან ჯარიმა 2 ათას ფრანკზე მეტი; ხოლო დანაშაულისათვის შეიძლება პირს შეეფარდოს სიკვდილი, სამუდამო პატიმრობა, ან ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთა, გაძევება და სხვ. ეს გარემოება ქვემდებარეობის განსაზღვრის თვალსაზრისითაც იპყრობს ყურადღებას. კერძოდ, კანონმდებლობით გადაცდომებს იხილავენ პოლიციური ტრიბუნალები (მათი რიცხვი 500-მდე აღწევს), დელიქტებს — გამასწორებელი ტრიბუნალები (სამი პროფესიული მოსამართლის შემადგენლობით — მაღალი ტრიბუნალის მოსამართლეებიდან) და დანაშაულს — ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (სამი პროფესიული მოსამართლის, თავმჯდომარის, ორი მსაჯულისა და 9 ნაფიც მსაჯულის მონაწილეობით)².

იქამდე, სანამ საქმის სასამართლოში განხილვის საკითხებს შეეხებოდეთ, საკიროა მოკლედ მაინც მიმოვიხილოთ წინასწარი გამოძიების ძირითადი საკანონმდებლო დებულებანი, რომლებიც ნათელყოფენ სისხლის სამართლის პროცესის დასაწყისში დამამტკიცებელი საბუთების შეკრებისა და შეფასების თავისებურებებს. საფრანგეთში, საქმის სასამართლოში განხილვამდე ცნობილია: წინასწარი მოკვლევის, სასწრაფო, გადაუდებელი მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ინსტიტუტები. წინასწარი მოკვლევა პოლიციური მოკვლევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა: სასამართლო პოლიცია ატარებს ყველა საგამოძიებო მოქმედებას (დათვალიერება,

¹ „Законодательство зарубежных стран“, 1977, გვ. 41—44.

² „Законодательство зарубежных стран“, 1972, გვ. 2.

ამოღება, ჩხრეკა, მოწმეთა დაკითხვა). როგორც ცნობილია, წინასწარი მოკვლევა კანონმდებლობით არც არის ზღვარდადებული, მას აწარმოებენ პოლიციის მეთაურები თუ აგენტები (პრევენტორები დეპარტამენტებიდან თუ ცენტრალური ადმინისტრაციის წარმომადგენელი) როგორც აშკარა დანაშაულთა და დელიქტების, ისე წინასწარი გამოძიების მაგივრადაც (თუ საქმეზე წინასწარი გამოძიება სავალდებულო არ არის).

მოკვლევის მეორე ფორმაა აშკარა დანაშაულისა და დელიქტების გამოძიება. 1958 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1966 წლის შესწორება) 53-ე მუხლის მიხედვით, აშკარა დანაშაულად (ან გადაცდომად) ითვლება ჩადენის პროცესში ან ჩადენისთანავე გამოძვლავებული ქმედობა, ან როდესაც ექვიტანილს უმაღლესად კვალდაკვალ მიხვეებიან მნახველები ან თუ ექვიტანილთან აღმოჩნდება საგნები ან კვალი, რომლებიც დანაშაულში მის მონაწილეობაზე მიუთითებენ (აგრეთვე, როდესაც სახლის მეპატრონე მის ბინაში რომხდარი დანაშაულის ფაქტის დადასტურებას სთხოვს პროკურორს) ამ სახის მოკვლევას აწარმოებს სასამართლო პოლიცია, რომელიც უფლებამოსილია შეასრულოს ყველა საგამოძიებო მოქმედება (ჩხრეკისათვის იგი არც მიმართავს პროკურორსა და მოსამართლეს სანქციის მისაღებად). ზოგჯერ გადაუდებელ მოკვლევას აწარმოებენ პროკურორიცა და საგამოძიებო მოსამართლეც, თავიანთი სურვილებით; საგამოძიებო მოსამართლეს შეუძლია ადგილზევე მოახდინოს ექვიტანილის დროებითი დაპატიმრება (რის უფლებაც სასამართლო პოლიციას არა აქვს). აშკარა დანაშაულის ჩადენის თაობაზე პროკურორის მოკვლევის დროს დამკველს შეუძლია დაესწროს ექვიტანილის დაკითხვას (თუ დამკველთან ერთად გამოცხადდება დანაშაულის ჩამდენი პირი, მის დაკითხვასაც შეიძლება დაესწროს დამკველი). კანონი იცნობს მოკვლევის მესამე ფორმასაც, რომელსაც წინასწარი გამოძიება ეწოდება. წინასწარ გამოძიებას, წესით, აწარმოებს საგამოძიებო მოსამართლე (არასრულწლოვანთა საქმეებზე — არასრულწლოვანთა საქმეთა მოსამართლეები). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საგამოძიებო მოსამართლეები ინიშნებიან უმაღლესი ტრიბუნალის მოსამართლეებიდან პრეზიდენტის დეკრეტით, იუსტიციის მინისტრის წარდგენით (სამი წლის ვადით), რომლებიც იმყოფებიან უმაღლეს ტრიბუნალთან (თითოში — ერთი ან მეტი), ითვლებიან აგრეთვე მოსამართლეებად საქმის ქვემდებარეობისამებრ ვაგზავნისა და აღკვეთის ზომის შერჩევის საკითხებში. სწორედ ამიტომაც საგამოძიებო მოსამართლე ზოგ შემთხვევაში მონაწილეობას ლეზულობს იმ საქმეთა განხილვაშიც, რომლებ-

ბიკ მის მიერ არ არის წინასწარ გამოძიებული. 1808 წლის საპროცესო კოდექსის შესატყვისად, საგამოძიებო მოსამართლე ატარებდა საგამოძიებო მოქმედებებს, მაგრამ იგი ვერ გამოიტანდა გადაწყვეტილებას საქმის წარმოების შეწყვეტაზე ან მის სასამართლოში გადაცემაზე, საამისო ფუნქციები ეკისრებოდა სასამართლო სათათბირო საკანს. როგორც ვიცი, 1956 წლის 17 ივლისის კანონით ეს წესი გაუქმდა. დამახასიათებელია, რომ საგამოძიებო მოსამართლე არ ახდენს საქმის წინასწარ განხილვას; როგორც წესი, საგამოძიებო მოქმედებებს ატარებს ისეთ საქმეებზე, რომლებზედაც წინასწარი გამოძიება სავალდებულოა, ე. ი. ყველა დანაშაულისა და ზოგიერთი დელიქტის (18 წლამდე არასრულწლოვანის ქმედობა) გამო. საგამოძიებო მოსამართლე პოლიციიდან ლეზულობს გამოსაძიებლად მასალებს. წინასწარ გამოძიებას აწარმოებს აგრეთვე პროკურორი (მას შეუძლია წინასწარი გამოძიება ჩაატაროს გადაცდომების დროსაც, როდესაც დამნაშავე არ არის დადგენილი)¹.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, საგამოძიებო მოსამართლეს შეუძლია მივიდეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევისათვის, ან ჩხრეკის ჩასატარებლად, რის შესახებაც აცნობებს რესპუბლიკის პროკურორს (პროკურორს, თავის მხრივ შეუძლია განოცხადდეს შემოხვევის ადგილზე). საგამოძიებო მოსამართლეს პროცესუალურ მოქმედებათა შესრულებისას თან ახლავს მდივანი, ოქმების შედგენაში დასახმარებლად. კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს ჩხრეკას ყველგან, სადაც კი აღმოჩნდება საგნები, ქეშმარიტების დასადგენად (მუხლი 94-ე). წესით, ჩხრეკა წარმოებს ყოველთვის ბრალდებულის დასწრებით; თუ ეს შეუძლებელია, საგამოძიებო მოსამართლე წინადადებას აძლევს მას მოითხოვოს თავისი სურვილით ორი თანამოწმე (ან თეთონ გამოძიებელი შეარჩევს თანამოწმეებს). კანონით, ჩხრეკა დაუშვებელია, როგორც წესი, საღამოს 9 საათის შემდეგ დილის 6 საათამდე (მუხ. 59-ე). ამის გამო პოლიციის აგენტი, რომელსაც გადაეცა შესასრულებლად გარკვეული პირის დაპატიმრების მანდატი, არ არის უფლებამოსილი შევიდეს დასაპატიმრებლის ბინაში საღამოს 9 საათის შემდეგ დილის 6 საათამდე (სსსკ 134-ე მუხ.).

საფრანგეთის კანონმდებლობით, დოკუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქმეზე როგორც წერილობით, ისე ნივთიერმტკიცებულებებად. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აწესებს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს დო-

¹ ა. ბ. ლუბენსკის დასახ. ნაშრომი. 1977, გვ. 10—21.

კუმენტების მოპყრობის წესებს. კერძოდ, 97-ე მუხლის თანახმად, ყველა ჩამორთმეული დოკუმენტი აიწერება და დაილუქება, ლუქი და ბეჭედი შეიძლება მოიხსნას მხოლოდ ბრალდებულისა და მისი დამცველის დასწრებით. საფრანგეთში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ მტკიცებულებათა სახედ მიჩნეულია მოწმის ჩვენება. საინტერესოა, რომ ფიცის ქვეშ არ შეიძლება დაევალოთ მისცენ ჩვენება ბრალდებულის მამას, დედას და სხვა ნათესაებს — შვილებს, ძმებს, დებს, თავიანთი თვისებებით ბრალდებულის მსგავსებს, ცოლს (ქმარს), სამოქალაქო მოსარჩლეს, ბავშვებს 16 წლამდე (სსსკ 335-ე მუხ.). ეს წესი იმ საწყისს ემყარება, რომ ბრალდებულის ახლო ნათესაეები განთავისუფლებული არიან ბრალეულობის მტკიცებისაგან, დანაშაულის მხილებიდან, რომ მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში აწევთ ოფიციალურ ორგანოებს. მაგრამ საფრანგეთის საპროცესო კოდექსი მაინც თანმიმდევრულად ვერ იცავს უდანაშაულობის პრეზუმციას და მისგან გამომდინარე მტკიცების ტვირთის დანაწილების კანონზომიერებებს. მაგალითად, სსსკ 433-ე მუხლის მიხედვით, ის ფაქტები, რომლებიც ფიქსირებულია ოქმებში, სარწმუნოდ ითვლებიან იქამდე, სანამ არ იქნება გაცხადებული ოქმის სიყალბის შესახებ. როგორც ჩანს, ეს დებულება პირდაპირ ესადაგება ფორმალურ მტკიცებულებათა წესებს. თუ, მაგალითად, ბრალდებული არ განაცხადებს მის საწინააღმდეგო მტკიცებულებათა უსწორობაზე, საგამოძიებო სასამართლოს ორგანოების მიერ ეს მტკიცებულება უტყუარ საბუთად ითვლება. სინამდვილეში, მართო უბრალო განცხადება როდი კმარა, რომ დოკუმენტი გაყალბებულად იქნეს მიჩნეული. ლოგიკურად საჭიროა ამავე დროს განმცხადებლის მიერვე დამტკიცდეს სიყალბის ფაქტ. მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი გარემოება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, საგამოძიებო მოსამართლეს, მაგისტრატებს, ანდა სასამართლო პოლიციის თანამდებობის პირებს არ შეუძლიათ დაკითხონ მოწმედ ის პირები, რომელთა მართ სერიოზული მხილებებია ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის შესახებ (რომ არ დაირღვეს პიროვნების პროცესუალური დაცვის უფლება).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალკე ადგილი ეთმობა ექსპერტის დასკვნას. საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების მიერ ექსპერტიზა ტარდება ტექნიკური წყების საკითხების გამოსაკვლევად (სსსკ 156-ე მუხ.). იმ შემთხვევაში, თუ საქმის არსებით გარემოებას შეეხება ექსპერტიზით გადასაწყვეტი საკითხები, მო-

წვევენ ხოლმე ორ ექსპერტს (მუხლი 159-ე). ექსპერტი იძლევა ფიცს, ღირსებისა და სინდისის მიხედვით რომ გამოიტანს დასკვნას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, ექსპერტს შეუძლია მოითხოვოს ბრალდებულის დაკითხვა, როდესაც საჭიროა დასკვნისათვის. სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულად პირი ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც საგამოძიებო მოსამართლე გასცემს მანდატს მის გამოძახებაზე, მოყვანაზე (წარმოდგენით) ან დაპატიმრებაზე — თუ იმალება ან საფრანგეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთაა¹. კანონის შესაბამისად, გამოძახების მანდატის გამო ბრალდებულს დაუყოვნებლივ წარედგინება ბრალდება და დაკითხება საგამოძიებო მოსამართლის მიერ, — წარმოდგენის მანდატით — 24 საათში, ხოლო პატიმარი — 48 საათის განმელობაში მისი დაპატიმრების დღიდან.² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლი საგამოძიებო მოსამართლეს უფლებას აძლევს ბრალდების წარდგენის დროს არ გააცნოს ბრალდებულს ის მუხლი, რითაც პასუხისმგებში ეძლევა. ლიტერატურაში ისიც არის შენიშნული, რომ იტალიისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან შედარებით, საფრანგეთში ბრალდებულს მცირე უფლებები აქვს: მას არ შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებანი, გარდა ექსპერტის დასკვნისა, იგი არ ეცნობა წინასწარი გამოძიების მასალებს. ბრალდებულს შეუძლია უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე და ეს უნდა აუხსნას მას ბრალდების წაყენების წინ საგამოძიებო მოსამართლემ; ბრალდებულს შეუძლია ჰყავდეს დამცველი და თუ არა ჰყავს — მოითხოვოს მისი დანიშვნა. ლიტერატურაში ხაზგასმულია აგრეთვე დამცველის შეზღუდვებზე, რაკი იგი არ მონაწილეობს შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ჩხრეკის დროს³. კანონით, ბრალდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოძიებო მოქმედება მოსარჩლის დაშვების, საპატიმრო ვადის ვაგრძელებისა და ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე. გასაჩივრების შედეგად შესაძლოა საგამოძიებო მოსამართლის მოქმედება აღარ შესრულდეს მხოლოდ აპელაციური სასამართლოს საბრალდებო საკანის გადაწყვეტილებით⁴. აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო მოსამართლის მიერ წინასწარი გამოძიებისას ბრალდებულის დაკითხვა (დაპირისპირება) შესაძლებელია მხოლოდ დამცველის მონაწილეობით, როდესაც ამას თვით ბრალდებული ითხოვს, რადგან დამცველი სისხლის სამართლის

1 ა. ი. ლუბენკის დასახ. ნაშრომი. 1977, გვ. 73.

2 იქვე, გვ. 75.

3 იქვე, გვ. 76—77.

4 იქვე.

პროცესში დაიშვება თვით ბრალდების წარდგენის მომენტადან (თუ ბრალდებული უსახსროა, მას უნიშნავს დამცველს ადვოკატთა კოლეგიის ზემდგვი)¹. საპროცესო კოდექსის 118-ე მუხლის ძალით, ადვოკატს შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს, რათა დაკითხვისთვის მოემზადოს, მაგრამ მას არ შეუძლია მასალებიდან ამონაწერები გადასცეს ბრალდებულს. ბრალდებულის პროცესუალური უფლებების დაცვის საგარანტიოდ საკასაციო სასამართლომ შეიმუშავა წესები, რომელთა მიხედვით ბრალდებულის მოწმედ დაკითხვა უკანონოდ ითვლება, თუ დაცვის კანონიერი გარანტიები შეგნებულად არის დარღვეული ან თუ ადგილი ექნება ბრალდებულის დაცვის უფლებას ფაქტიურ დარღვევას². სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეათე განყოფილებაში გათვალისწინებულ იქნა საგამოძიებო მოქმედებათა ბათილად გამოცხადების პირობები. საგამოძიებო მოსამართლეს, სსსკ 172-ე მუხლის ძალით, ნება დაერთო საგამოძიებო მოქმედების ბათილად გამოცხადების შესახებ საკითხი დაეყენებინა, ჰაგალითად, საბრალდებო საკანის წინაშე. შეცდომის თავიდან აცილების მიზნით, ის დოკუმენტი (ან მოქმედება, რომელიც ბათილად იქნებოდა ცნობილი, ამოიღებოდა საქმიდან და გაიგზავნებოდა აპელაციურ სასამართლოს კანცელარიაში (მუხ. 173-ე); დადგენილი წესის მიხედვით, თუ კმედობაზე საგამოძიებო მოსამართლემ შეწყვიტა დევნა, აღარ შეიძლება აღიძრას საქმე ახალ გარემოებათა გამოვლინების გარეშე (მუხ. 189-ე). ახლად აღმოჩენილ გარემოებად ითვლება: მოწმეთა ჩვენებები, დოკუმენტები და ოქმები, რომლებიც ამაგრებენ მხილებებს, ან ფაქტები იძენენ სხვანაირ მნიშვნელობას კეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით, თუ ისინი არ იყვნენ წარმოდგენილი საგამოძიებო მოსამართლესთან.

საფრანგეთში, როგორც ცნობილია, წინასწარი გამოძიება სავსაშუალოდ კარჩაკეტილობით (წერილობითი ფორმა), მაშინ როდესაც, კანონით, საქმის სასამართლოში განხილვა საქვეყნობის პრინციპს ემყარება და სწორედ აქედან ჩანს შერეული პროცესის არსი. მაგრამ პოლიციის ტრიბუნალში საქმე იხილება ხოლმე სამართალში მიცემულის დაუსწრებლადაც, როდესაც ამ უკანასკნელს არ სურს სასამართლოში გამოცხადება (თუ დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ ჭარიმამ). კანონით, მხოლოდ სამართალში მიცემულის მიერ დაქირავებულ დამცველს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პოლიციურ ტრიბუნალში საქმის განხილვის დროს. პოლიციის ტრიბუნალ-

¹ ა. ა. ლუბენსკის დასახ. ნაშრომი. 1977, გვ. 105.

² იქვე, გვ. 74.

ში, წესის თანახმად, საქმე განსახილველად იგზავნება როგორც საგამოძიებო მოსამართლის, ისე აპელაციური სასამართლოს საბრალდებო საკანის დადგენილებით. პოლიციის სასამართლოს შეუძლია უშუალოდაც გამოიძახოს ბრალდებული (ე. წ. „უშუალო გამოძახება“), ან ბრალდებულის „ნებაყოფლობით მოსვლის“ გამო შედგეს საქმის განხილვა. სხვათა შორის, საქმის განხილვა ანალოგიურად იწყება გამასწორებელ ტრიბუნალშიც. როდესაც დანაშაული არ ითვალისწინებს ორ წელზე ზევით თავისუფლების აღკვეთას, გამასწორებელ ტრიბუნალს საქმე შეუძლია განიხილოს ბრალდებულის ჯაუსწრებლადაც. კანონით დაშვებულია აგრეთვე ბრალდებულის დაკითხვა ერთ-ერთი მოსამართლის მიერ და ამ გზით მიღებული ჩვენების სასამართლოში გამოქვეყნება, როდესაც სამართალში მიცემულს არ შეუძლია ავადმყოფობის გამო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. კანონშივეა გათვალისწინებული დამცველის აუცილებელი მონაწილეობა, როდესაც სამართალში მიცემულს ახასიათებს დაცვის ხელშემშლელი ნაკლოვანებანი. მაგრამ გამასწორებელი ტრიბუნალის (აგრეთვე პოლიციის ტრიბუნალის) თავმჯდომარეს შეუძლია შეწყვიტოს დამცველის გამოსვლა, თუ საქმის მასალების გამოკვლევას საკმარისად ჩათვლის. სასამართლოს სხდომა ღიად მიმდინარეობს, თუ იგი საზიანო არ არის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ან მორალური თვალსაზრისით. ტრიბუნალებში ღიდ როლს ასრულებენ სათანადო თანამდებობის პირთა (სასამართლო პოლიციისა და ს.წ.) მიერ შეკრებილი მტკიცებულებანი (წერილობითი მტკიცებულებანი და სხვა).¹ როგორც ითქვა, პოლიციურსა და გამასწორებელი ტრიბუნალების გარდა, პირველი ინსტანციისეულად საქმეებს განიხილავენ აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, რომლებიც კოლეგიალობის პრინციპის საფუძველზე წყვეტენ (პროფესიული მოსამართლეები და ნაფიც მსაჯულები) ბრალისა და სასჯელის საკითხებს².

საკვიროა აღინიშნოს, რომ მაღალი თანამდებობის პირთა (პრეზიდენტი, მინისტრები...) მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ საქმეების განსახილველად 1958 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებულ იქნა მართლმსაჯულების უმაღლესი პალატა (24 ძირითადი მო-

¹ „Законодательство зарубежных стран“, 1977, с. 1—8.

² პროფესიული მოსამართლეები ინიშნებიან პრეზიდენტის დეკრეტით, რომელთა თანამდებობიდან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მათივე თანხმობით, ან მძიმე ქრონიკული დაავადების შემთხვევაში. ნაფიც მსაჯულად ირჩევენ 30 წელს მიღწეულ პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებებს მქონე პირებს (მათ შორის ქალებსაც).

სამართლის, 12 მსაჯულის შემადგენლობით). მოსამართლეები აირჩევიან ეროვნული კრებისა და სენატის წევრებისაგან¹.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, კანონის შესაბამისად, საქმის განხილვის დროს უნდა სარგებლობდნენ ზეპირობის, საქვეყნობისა და შეჭიბრებითობის პროცესუალური პრინციპებით. პირის სამართალში მიცემა ხდება აპელაციური სასამართლოს საბრალდებო საკანის დადგენილებით. მართალია, სამართალში მიცემა ხორციელდება ბრალდებულის დაუსწრებლად, მაგრამ, მას უფლება აქვს ხუთ დღეში გაასაჩივროს კასაციურად სამართალში მიცემის შესახებ სასამართლოს დადგენილება. ბრალდებულს უფლება აქვს ჰყავდეს დამცველი, რომელსაც შეუძლია გაეცნოს მასალებს... საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარე, ან ასესორი (წევრი) საქმის სასამართლოში არსებითად განხილვამდე დაკითხავს ხოლმე სამართალში მიცემულს იმის გამოსარკვევად — რამდენად სრულად არის ჩატარებული წინასწარი გამოძიება. როცა წინასწარი გამოძიება შესაესებია, თავმჯდომარე ავალებს დამატებითი გამოძიების ჩატარებას ასესორს ან სასამართლო გამოძიებელს, ან თვითონ კისრულობს ამ ვალდებულებას. ბრალდებულს ეძლევა იმ დოკუმენტების ასლები, რომლებითაც მტკიცდება მისი დანაშაული. კანონითვეა განსაზღვრული, რომ პროკურორმა და სამოქალაქო მოსარჩელემ უნდა აცნობონ სამართალში მიცემულს სასამართლოში გამოსაძახებელ მოწმეებისა და ექსპერტების პერსონებზე (საქმის განხილვამდე 24 საათის განმავლობაში). თავის მხრივ, სამართალში მიცემულმაც უნდა აცნობოს პროკურორს და სამოქალაქო მოსარჩელეს, თუ ვის იწვევს მოწმედ ან ექსპერტად. საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვამდე, კანონის თანახმად, სამართალში მიცემულს 24 საათის განმავლობაში გადაეცემა ხოლმე ნაფიც მსაჯულთა სია, რომელთა საერთო რიცხვს შეადგენს 27 მოსამართლე და 6 მოადგილე. კანონში ფიქსირებულია აგრეთვე, რომ სასამართლო სხდომის ე. წ. მოსამზადებელი ნაწილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა ნაფიც მსაჯულთა ჟიურის შედგენა კონკრეტული საქმის განხილვისათვის. აქ მხედველობაშია ის, რომ ერთი სესიისათვის არჩეულ 27 ძირითად და 6 მოადგილე ნაფიც მსაჯულებიდან უნდა ამორჩეულ იქნას 9 კაცი, რადგან სასამართლოს საქმე შეუძლია განიხილოს სამი პროფესიული მოსამართლის, ორი ასესორის (წევრის) და 9 ნაფიც მსაჯულის მონაწილეობით. ტექნიკურად ნაფიც მსაჯულთა ამორჩევა შემდეგნაირად არის მიღებული: სასამართლოს მიერ ღია სხდომაზე

¹ „Законодательство зарубежных стран“, 1972, с. 4.

წილისყრისათვის ყუთში ათავსებენ ნაფიც მსაჯულთა გვარების შემცველ ფურცლებს; შემდეგ იღებენ რიგრიგობით ამ ფურცლებს და არკვევენ — პროკურორს, სამართალში მიცემულს, დამცველს, — ხომ არა აქვთ აცილება. ნაფიცი მსაჯული აცილების შემთხვევაში არ შეიყვანება „ჩიურში“. თანაც, სრულებითაც არ არის საჭირო აცილების დასაბუთება. კანონის შესაბამისად, პროკურორს უფლება აქვს მისცეს აცილება ოთხ კანდიდატს, ხოლო სამართალში მიცემულს და ადვოკატს — ხუთს. ამ წესით მიმდინარეობს წილისყრა 9 ნაფიც მსაჯულის არჩევამდე. ირჩევენ ხოლმე სათადარიგო ნაფიც მსაჯულესაც (საჭიროებისამებრ).

სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილის (პირველი ეტაპი) ლოგიკური გაგრძელებაა სასამართლო გამოძიება. სასამართლო გამოძიება (მეორე ეტაპი), კანონის თანახმად, იწყება სასამართლოს მდივნის მიერ საბრალდებო საკანის დადგენილების გამოქვეყნებით, პირის სამართალში მიცემის შესახებ. სამართალში მიცემულს დაკითხავს სასამართლოს თავმჯდომარე; დაიკითხებიან ბრალდებისა და დაცვის მოწმეები, მოისმენენ ექსპერტის დასკვნას, გამოირკვევენ ნივთსაბუთებს; ამასთან, კანონით, თავმჯდომარეს უფლება აქვს გამოიყენოს ე. წ. დისკრეციონული (ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღების) უფლება. მიუხედავად მხარეების შეხედულებათა. მას შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა, გამოიწვიოს დამატებითი მოწმეები, შეამოწმოს დოკუმენტები და სხვა.

საპროცესო კოდექსის 342-ე მუხლის თანახმად, საქმის სასამართლოში განხილვის დროს თუ მოწმე იმხილება სიტყუეში, მას ტოვებენ დარბაზში განაჩენის გამოქვეყნებამდე (თუ წასვლას დააპირებს, აპატიმრებენ. განაჩენის შემდეგ მის მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე). ბავშვები 16 წლამდე და ბრალდებულის ნათესავები დაიკითხებიან ფიცის გარეშე (სსსკ 448-ე მუხლი). ბრალდებულსა და დამცველს შორის მიმოწერები არ ითვლება წერილობით მტკიცებულებად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 432-ე მუხლი). ექსპერტებს დაკითხვის დროს შეუძლიათ გამოიყენონ სასამართლოში თავიანთი მოხსენებები და მისი დანართებიც (სსსკ 168-ე მუხლი).

სასამართლო განხილვის მესამე ეტაპია — მხარეთა კამათი. სსსკ 346-ე მუხლის თანახმად, მხარეთა კამათი იწყება დამცველის სიტყუით (სამოქალაქო მოსარჩლის წარმომადგენელი), შემდეგ სიტყუას ამბობს პროკურორი და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ კამათში გამოსვლის უფლება სამართალში მიცემულსა და მის დამცველს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმის განხილვის მეოთხე

ეტაპად ითვლება სასამართლო შემადგენლობისათვის საკითხების შემუშავება. ამ საფეხურზე, რაკი საქმის სასამართლო განხილვა დამთავრებულია, აკრძალულია არა მარტო დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა, არამედ შუამდგომლობების აღძვრაც, თუ არ არის ისეთი განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც საჭიროა საქმის წარმოების განახლება. ისიც ცნობილია, რომ სწორედ ამ დროს ხდება სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქვეყნო სხდომაზე სპეციალური კითხვების შემუშავება: „დამნაშავეა თუ არა სამართალში მიცემული კონკრეტულ დანაშაულში“, კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, დამამტკიცებელ, შემამსუბუქებელ, პასუხისმგებლობიდან, სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ გარემოებებზე და სხვა. სხვათა შორის, ამ კითხვების შემუშავებაში მონაწილეობენ მხარეებიც, მათ შორის უთანხმოება კი წყდება სასამართლოს მიერ (ეიურის გარეშე). საქმის სასამართლო განხილვის მე-5 ეტაპია — განაჩენის შედგენა და გამოქვეყნება. სათათბიროდ გავსლამდე, სასამართლოს თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს უკითხავს ინსტრუქციის შემდეგ ტექსტს: „კანონი არ თხოვს მოსამართლეებს ანგარიშს იმ საშუალებათა შესახებ, რომლებითაც რწმენა შეექმნათ; იგი არც თავს ახვევს იმ წესებს, თუ რა საზომით ჩათვალონ მტკიცებულებანი საქმარისად და ნათელის მომფენად; კანონი მიანიშნებს მათ მდუმარედ და დაკვირვებით განმარტოდნენ თავიანთ თავთან, გულწრფელად, სინდისის წინაშე გასცენ პასუხი — რა შთაბეჭდილება მოახდინა მათ გონებაზე ბრალდებულის წინააღმდეგ შეკრებილმა მტკიცებულებებმა და დაცვის არგუმენტებმა. კანონი სვამს მხოლოდ ერთ კითხვას: „გაქვთ თუ არა თქვენ შინაგანი რწმენა?“ ამ „შეგონების“ შემდეგ სათათბირო ოთახში გადის სასამართლოს მთელი შემადგენლობა. კანონის თანახმად, ყველა კითხვაზე წარმოებს კენჭისყრა, სასამართლოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. ბიულეტენები, რაშიც წერია — „პო“, „არა“.. დაიწება ხოლმე, როგორც კი დამთავრდება საიდუმლო კენჭისყრა (ყუთიდან მათი ამოღების შემდეგ). 12-დან 8 ხმით შესაძლებელია ბრალდებულის საწინაო განაჩენის გამოტანა. თავმჯდომარე ბოლოს აძლევს ხმას. იმისათვის, რომ სასჯელი იქნეს გამოტანილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, საჭიროა ჯერ სამართალში მიცემული იცნონ დამნაშავედ; ამასთან, კანონით, სასჯელის განსაზღვრამდე ხდება აგრეთვე შემამსუბუქებელ გარემოებებზეც კენჭისყრა, სასამართლოს განაჩენი მოიცავს კითხვებზე პასუხებს დასასჯელზე, სასჯელიდან განთავისუფლების თუ გამართლებასზე ცნობებს, რომლებიც ქვეყნდება საჯაროდ.

იტალიაში, პროკურორის მიერ სისხლის სამართლის დევნის აღძვრამდე, კანონით ცნობილია პოლიციური მოკვლევა და გამარტივებული გამოძიება¹. როდესაც პროკურორის მიერ აღიძვრება სისხლის სამართლის დევნა, მას შეუძლია მოითხოვოს საგამოძიებო მოსამართლისაგან ე. წ. ფორმალური გამოძიების ჩატარება. ფორმალურ გამოძიებას ახდენს საგამოძიებო მოსამართლე მაშინაც, თუ იგი არ ეთანხმება პროკურორის გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის დევნის არ აღძვრის შესახებ². მაშასადამე, იტალიის კანონმდებლობით ცნობილია წინასწარი გამოძიების შემდეგი ფორმები: პოლიციური მოკვლევა, გამარტივებული გამოძიება და ფორმალური გამოძიება. საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ მათზე. პოლიციურ მოკვლევას უმთავრესად ატარებს პოლიცია; მაგრამ, კანონის თანახმად, ამგვარი მოკვლევა შეუძლია ჩაატაროს აგრეთვე პროკურორსაც, პრეტორსაც და სხვა თანამდებობის პირსაც (კარაბინერები — სასამართლო პოლიცია, უშიშროების მუშაკები, საფინანსო აგენტები, კომუნის მერები...). მოკვლევის დაწყებისათვის, წესის თანახმად, არ არის საჭირო რაიმე პროცესუალური დოკუმენტის გაფორმება. სასამართლო პოლიცია აწარმოებს საგამოძიებო მოქმედებებს (მოწმეთა მოკლე დაკითხვა, დაპირისპირება, დათვალეირება, ამოცნობა). სასამართლო პოლიციის ამოცანების შესახებ ნათქვამია 1930 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც. კერძოდ, 219-ე მუხლის თანახმად, „სასამართლო პოლიცია, მოქმედებს რა საკუთარი ინიციატივითაც, მოვალეა შეკრიბოს ცნობები ჩადენილ დანაშაულობებზე, აღკვეთოს ისინი, უზრუნველყოს მტკიცებულებანი, დაძვინოს დამნაშავენი, დაადგინოს ყოველივე, რაც შეიძლება აუცილებელი იყოს სისხლის სამართლის კანონის შეფარდებისათვის“. აღსანიშნავია, რომ სსსკ 78-ე მუხლის მიხედვით, იტალიაში ბრალდებულად ითვლება: ვისზედაც საჩივარია (განცხადებაა), რომ მან დანაშაული ჩაიდინა; თუ პროკურორის წინადადება სისხლის სამართლის დევნის აღძვრაზე, ან დადგენილებაა გამოტანილი ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის თაობაზე სასამართლოში გამოცხადების შესახებ, ან პიროვნება დაპატიმრებულია სასამართლოზე გადასაცემად... სასამართლო პოლიცია ახდენს დაპატიმრებულის (ბრალდებულის) დაკითხვასაც, როდესაც პროკურორი (ან პრეტორი) არ მოითხოვს მის უშუალოდ შესრულ-

1 ა. ა. ლუბენკოს დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 22—23.

2 იქვე, გვ. 22—23.

ლებას¹. იტალიის კონსტიტუციის 24-ე მუხლით ბრალდებულს მინიჭებული აქვს დაცვის უფლება პროცესის ყველა სტადიაზე. ამის შესაბამისად, 1974 წლის 14 ოქტომბრის № 497 კანონით, პოლიციური მოკვლევის დროსაც არ შეიძლება დამცველის გარეშე ჩატარდეს: ბრალდებულის დაკითხვა, მოწმეთა დაკითხვები და დაპირისპირებანი (ბრალდებულის მონაწილეობით), პირადი ჩხრეკა, დათვალერება. დამცველი არ მონაწილეობს მხოლოდ მოწმეთა შემოკლებითი დაკითხვისა და ბრალდებულის გარეშე დაპირისპირების დროს². 1969 წლის 5 დეკემბრის № 932 კანონით (შეტანილი იქნა ცვლილებები 1930 წლის საპროცესო კოდექსში), დამცველი მთლიანად არ ეცნობა პოლიციური მოკვლევის მასალებს. საკასაციო სასამართლოს მითითების თანახმად, პოლიცია უნდა იცავდეს საპროცესო წესებს რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან დაუყოვნებლოვ მოქმედების ჩატარებას, მაგრამ მიენიჭება თუ არა პოლიციის მიერ უკანონოდ მიღებულ ცნობებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა — ამას საბოლოოდ უკვე სასამართლო წყვეტს³. პოლიციას შეუძლია ჩაატაროს ჩხრეკა, სასამართლო სანქციის გარეშეც, თუ დაკავებული იქნება საპატიმროდან გაქცეული პიროვნება, ან ე. წ. აშკარა დანაშაულის შემთხვევაში, ე. ი., როდესაც დანაშაული მიმდინარეობს, ან წაასწრეს სუბიექტს დანაშაულის ჩადენის დროს, დამნაშავეს გამოეკიდებიან დაინტერესებული პირები, ან პიროვნებასთან აღმოჩნდება დანაშაულის დამადასტურებელი საგნები⁴.

აღსანიშნავია, რომ კანონით, სასამართლო პოლიცია არ არის უფლებამოსილი დანიშნოს ექსპერტიზა, ან ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი. ასეთ მოქმედებებს ასრულებს პრეტორი, როდესაც მიიღებს საქმეს პოლიციიდან. ასევე პრეტორი წყვეტს აღკვეთის ზომის არჩევის საკითხს, ამყოფოს თუ არა ბრალდებული წინასწარ პატიმრობაში. პრეტორი აწარმოებს სწორედ გამარტივებულ გამოძიებას, რაკი, იგი, ისევე როგორც პროკურორი, წინასწარი გამოძიების პროცესში, თავის კომპეტენციის ფარგლებში, ასრულებს ბრალმდებლის ფუნქციას. გამარტივებულ გამოძიებას აწარმოებს აგრეთვე რესპუბლიკური პროკურორიც. გამარტივებული გამოძიების შედეგები, მტკიცებულებითი მნიშვნელობის ცნობების მოპოვების თვალსაზრისით, კანონით გათანაბრებულია ფორმალურ გამოძიება-

1 ა. ე. ლუბენსკის დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 26.

2 იქვე, გვ. 109.

3 იქვე, გვ. 27.

4 იქვე, გვ. 26.

სთან და თანაც, როგორც ეს შენიშნულია, 80 პროცენტამდე საქმეებისა სწორედ ამგვარად მთავრდება გამოძიებით¹.

სსსკ 389-ე მუხლის მიხედვით, გამარტივებული გამოძიება, ფორმალური გამოძიების სანაცვლოდ, ჩატარდება ტრიბუნალისა და ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე, როდესაც; ბრალდებულნი დაკავებულია დანაშაულის ჩადენის ადგილზე; ბრალდებულმა აღიარა დანაშაული და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარება აღარ არის აუცილებელი; უდავო მტკიცებულებებით არის დადგენილი ბრალდებულის დანაშაული, რისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა (მცირე სასჯელი). გამარტივებულ გამოძიებას ინკვიზიციურად თვლიან, რაჟი იგი მიმდინარეობს საიდუმლოდ, თანაც ბრალდებულსა და დამცველს არ აცნობენ მასალებს. პროკურორი გამარტივებულ გამოძიებას ატარებს ხოლმე უფრო საზოგადოებრივად გახმაურებულ საქმეებზე. როდესაც გამარტივებული გამოძიებისას აუცილებელი ხდება რთული ექსპერტიზის ჩატარება, მაშინ ინიშნება ფორმალური გამოძიება².

ცალკე ყურადღებას იპყრობს ეპემიტანილის ე. წ. „საქმეში ნებაყოფლობით ჩაბმის“ ინსტიტუტი, რაც მდგომარეობს შემდეგში: ექვმიტანილი თავის სტრუქტურით გამოცხადდება სასამართლოში მაგისტრატთან, სადაც, მისი აზრით, საქმის წარმოებას იწყებენ და აქლევს ჩვენებას, როგორც ბრალდებულნი. კანონით კი ბრალდებულს უფლება აქვს საგანძობებო მოსამართლის ნებართვით დაესწროს ექსპერტიზას, საგანძობებო ექსპერიმენტს, ამოცნობას, ჩარეკას: ზოიწვიოს თავის ხარჯზე სპეციალისტი ექსპერტიზის პროცესში მონაწილეობისათვის (ჩაკიოხის დაყენების, საექსპერტო საგნების დათვლიერების, ექსპერტების დასკვნებზე შენიშვნებისა და შეამდგომლობათა განცხადების უფლებით)³ ბრალდებულად დაიკითხება პირი აგრეთვე ე. წ. დადგენილებით გამოძახების შემთხვევებშიც. ფორმალური გამოძიება ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე განსახილველად ექვმდებარება ტრიბუნალებს, ან ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოებს, თუ არ შეიძლება გამარტივებული გამოძიებით დაკმაყოფილება, რასაკვირველია. ფორმალური გამოძიება, კანონის შესაბამისად, სავალდებულოა შემდეგ შემთხვევებში: გამარტივებული გამოძიებისას ბრალდებულის წინასწარა პატიმრობა თუ გრძელდება 40 დღეზე მეტი ხნით; როდესაც განსახილველ დანაშაულზე შეიძლება დაინიშნოს საკატორლო სამუშაო; როდესაც ხანგრძლივად შესა-

1 ა. ი. ლუბენსკის დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 29.

2 იქვე, გვ. 29.

3 იქვე, გვ. 78—79.

სწავლია ბრალდებულის პიროვნება, საექვო გარემოებანი (როგორც შენიშნულია, ზოგჯერ ორ წლამდე გრძელდება ხოლმე); ფორმალურ გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო მოსამართლე (მარტო რომში 18 საგამოძიებო მოსამართლეა)¹. ისინი იმყოფებიან ტრიბუნალებთან (ტრიბუნალის წევრებიდან დანიშნულნი). კანონის თანახმად, ფორმალურ გამოძიებას ატარებენ აგრეთვე აპელაციური სასამართლოების საგამოძიებო საკანების წევრებიც (ეს საკანი ხუთი მაგისტრატისაგან შედგება თავმჯდომარის ხელმძღვანელობით). საგამოძიებო საკანში იხილება საგამოძიებო მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე საჩივრებიც.² საგამოძიებო მოსამართლეს ფართო უფლებები აქვს. შეუძლია ჩაატაროს ყველა საგამოძიებო მოქმედება და ხანგრძლივ პატიმრობაში ამყოფოს ბრალდებულ³. პატიმრობაში მყოფი ბრალდებული შეუძლია ინახულოს დამცველმა, საგამოძიებო მოსამართლის ნებართვით. დამცველი ესწრება ისეთ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს, როგორცაა: დათვალიერება, ამოცნობა, შენობის ჩხრეკა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ექსპერტიზა და ბრალდებულის დაკითხვა. მას არ შეუძლია დაესწროს გასინჯვის პროცესს.⁴ სსსკ 341-ე მუხლის თანახმად, დამცველს ჩამოერთმევა ღოკუმენტები, რომლებიც ნიეთმტკიცებულებებად გამოდგება. ცალკე ყურადღებას იპყრობს საქმის სასამართლოში განხილვისას დამამტკიცებელი საბუთების გამოყენება. კანონმდებლობით იტალიაში 24 აპელაციური სასამართლო ოკრუგია ცნობილი. ოკრუგებში მოქმედებენ პრეტორები, ტრიბუნალები და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები⁵. აპელაციური სასამართლოები არის რომში, მილანში, გენუაში და სხვა დიდ ქალაქებში. მათ კანონით არ ენიჭებათ პირველი ინსტანციის ფორმით საქმეების განხილვის უფლება. პირველი ინსტანციისგულად საქმეებს არ განიხილავს იტალიის უმაღლესი სასამართლო ორგანო — საკასაციო სასამართლო. პრეტორს შეუძლია განიხილოს იმ დანაშაულის შესახებ საქმე, სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას რომ ითვალისწინებს. იგი, როგორც დაბალი საფეხურის სასამართლო, მხარეების დაუსწრებლადაც გადაწყვეტს ხოლმე საქმეს ბრძანებით ფულადი ვადასახადის დაკისრების სახით. პრეტორი ვერ განიხილავს პროფესიული დამნაშავის მიერ ჩადენილ, ან სხვა ქმედობის

1 ა. ი. ლუბენკის დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 31—32.

2 იქვე, გვ. 31—32.

3 იქვე, გვ. 32.

4 იქვე, გვ. 107—108.

5 „Законодательство зарубежных стран“, 1972, с. 6.

გამო აღძრულ საქმეს.¹ წესით, ბრალდებულს გამოძახებამდე ხუთი დღით ადრე ატყობინებენ, რომ მისი საქმე იხილება პრეტორიაში. გამოძახებული მხარეები ეცნობიან მასალებს, აცხადებენ შუამდგომლობებს სხვა მტკიცებულებათა წარმოდგენის თაობაზე და სხვ. პრეტორთან გამოძახების დადგენილებას თან ერთვის ცნობა, სადაც აღინიშნება: დანაშაულის ფაქტის, კვალიფიკაციის, დამამძიმებელ გარემოებათა და უშიშროების ზომების გამოყენების შესახებ გარემოებებზე. როგორც მიღებულია, სასამართლოში საქმის განხილვის დროს პრეტორს შეუძლია ბრალმდებლად დანიშნოს პოლიციელიც, ნოტარიუსიც, ადვოკატიც, მერიც... ამასთან, დამცველის დანიშვნაზეც თვითონ პრეტორი ზრუნავს, რადგან კანონითვეა დაუშვებელი საქმის განხილვა დამცველის გარეშე (თუ არ არის უმნიშვნელო დანაშაული). ბრალდებულს შეუძლია პყავდეს ორი დამცველიც, მაგრამ ბრალდებულის მონაწილეობა პროცესში არ არის სავალდებულო; მას შეუძლია წავიდეს კიდეც სხდომიდან დაკითხვის შემდეგ. თუმცა, სსსკ 429-ე მუხლის მიხედვით, როდესაც საჭიროა მასთან დაპირისპირება ან მისი ამოცნობა, იძულებითაც კი მოიყვანენ ხოლმე. როგორც წესი, თვითონ მხარეები იხდიან მოწმეთა გამოძახების ხარჯებს. კანონით, უფასო იურიდიული დახმარების საკითხები რეგულირდება ტრიბუნალებთან, აპელაციურ და საკასაციო სასამართლოებთან შექმნილ სპეციალური კომისიების გადაწყვეტილებებით. მოსამზადებელ პერიოდში თვითონ სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივითაც ხდება დამამტკიცებელი საბუთების გამოთხოვა. კანონის შესაბამისად, ტრიბუნალები იხილავენ სისხლის სამართლის საქმეებს იმ დანაშაულთა თაობაზე, რომლებიც არ ექვემდებარებიან პრეტორისა და ნატიც მსაჯულთა სასამართლოებს და ითვალისწინებენ ორიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სავალდებულოა, ბრალდებულმა იცოდეს (რვა დღით ადრე), რომ მისი საქმე იხილება ტრიბუნალში. გამოძახებული პიროვნება (ბრალდებული); მხარეები წინასწარ ეცნობიან საქმის შინაარსს, მათ შეუძლიათ განაცხადონ შუამდგომლობანი ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენაზე და სხვა. ისე, როგორც პრეტორიაში, საქმის ტრიბუნალში განხილვაც ღიად მიმდინარეობს. კანონი ითვალისწინებს ყველა სასამართლოში საქმის დახურულ განხილვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, ან სასამართლო დარბაზში მყუდროების დაცვის უზრუნველყოფა; აგრეთვე, კანონითვე, სასამართლო სხდომაზე დაიშვებიან მხოლოდ

¹ „Землеоподательство зарубежных стран“, 1972, с. 7.

18 წელს მიღწეული მოქალაქეები (თუ არიან წესიერად ჩაცმულნი, ან არ არიან უსაქმურნი — მაწანწალები). სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 74-ე მუხლის ძალით, სასამართლოში საქმის განხილვა უნდა ხდებოდეს აუცილებლად პროკურორის მონაწილეობით. პროკურორად შეუძლიათ გამოვიდნენ სახელმწიფოს სხვა მოსამსახურეებიც. საქმის განხილვამდე ბრალდებულს უნდა ჩიბარდეს საგამოძიებო მოსამართლის განჩინება საქმის ტრიბუნალში გაგზავნის შესახებ (პროკურორის დასკვნა გამოძიების დამთავრების თაობაზე). ტრიბუნალებში მოქმედებენ აგრეთვე სამოქალაქო განყოფილებებიც. სისხლის სამართლის საქმეს იხილავს სამი პროფესიული მოსამართლე!

იტალიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, კანონის შესაბამისად, არჩევენ საქმეებს სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ (დაკავშირებულნი მკვლელობასთან, მასობრივ არეულობასთან და სხვ.). ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იმყოფება ყველა აპელაციურ სასამართლო ოკრუგში (სულ მცირე ერთი მაინც); ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს თავმჯდომარის, პროფესიული წევრის (რომელიც არჩეულია, როგორც იტალიელი მოქალაქე 1963 წლიდან მაინც, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებით აღჭურვილი, მორალურად უმწიკლო პიროვნება, რომელსაც ძალუძს სასამართლო ფუნქციების შესრულება) და ექვსი სახალხო მოსამართლის (მსაჯულის) შემადგენლობით. მსაჯულებს ირჩევენ 30—65 წ. ასაკის, მორალურად მისაღები ქცევის, არასრული საშუალო განათლების მქონე პირებისაგან (ადგილობრივი მოსახლეობა); წევრს — ტრიბუნალის მოსამართლეებისაგან; ხოლო თავმჯდომარეს — აპელაციური სასამართლოს მრჩეველებისაგან.¹ კანონით, ბრალდებულს გამოძახებამდე 15 დღით ადრე ეცნობება ხოლმე, რომ მისი საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. გამოძახებული პირი და მხარეები ეცნობიან საქმის მასალებს, აღძრავენ შუამდგომლობებს და სხვ. საქმის განხილვისათვის მომზადების თვალსაზრისით, წესით, ბრალდებულს უნდა ჩიბარდეს პროკურორის დასკვნა გამოძიების დამთავრებაზე და საგამოძიებო მოსამართლის განჩინება საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გაგზავნის შესახებ. წესად არის შემოღებული, როგორც კი საჭირო ხდება განრიგით განხილულ იქნას საქმე, უმალ მოსახლეობიდან ირჩევენ სახალხო მოსამართლეთა კოლეგიას, რის შემდეგაც მზადდება ნიადაგი ნაფიც მსაჯულთა სესიისათვის. ამ თვალსა-

¹ „Законодательство зарубежных стран“, 1972, с. 7.

² იქვე, გვ. 7—9.

ზრისით, სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს სახალხო მოსამართლეთა გვარებს და ამასთან დასძენს, რომ დასახელებულებიდან პირველი ექვსი შევიდეს ნაფიცთა შემადგენლობაში (თანაც მამაკაცები, სამი მინც). ხუთ დამატებით მოსამართლეს წილისყრით აირჩევენ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია სხდომის დიდხანს გაგრძელება. დღის წესრიგით გათვალისწინებული საქმეების განხილველ ნაფიც მსაჯულთა სესია ირჩევა პროკურორის, ბრალდებულისა და დამცველის დასწრებით. როგორც უკვე ითქვა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაშია აგრეთვე თავმჯდომარე და წევრი (ე. ი. პროფესიული მოსამართლეები). კანონის მიხედვით, საქმის სასამართლოში განხილვა წარმოებს გარკვეული თანმიმდევრობით, კერძოდ, სასამართლო განხილვის მოსამზადებელი ნაწილი მოიცავს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მხარეთა, მოწმეების, ექსპერტების და მთარგმნელების გამოცხადების შემოწმებას; ბრალდების ფორმულის გამოქვეყნებას და სასამართლო სხდომის გახსნას. ამის შემდეგ მხარეებს საშუალება ეძლევათ აღძრან შუამდგომლობანი მოსამართლეთა აცილების, სამოქალაქო სარჩელის შესახებ და სხე. საქმის სასამართლო განხილვის მნიშვნელოვან ეტაპად სასამართლო გამოძიება ითვლება, რაც იწყება ბრალდებულის დაკითხვით (სასამართლოს თავმჯდომარის მიერ). სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ბრალდებულს შეუძლია მოითხოვოს საქმის განხილვის ხუთი დღით გადადება, როდესაც წინასწარი გამოძიებით, ან სასამართლო განხილვით დადგინდება, რომ ბრალდებულს ჩადენილი აქვს სხვა (ე. წ. „თანამგზავრი“) დანაშაულიც; თუ გამოვლინდება ბრალდების ფორმულასთან ორგანულად დაკავშირებული ახალი ქმედობანი, ან ბრალის დამამძიმებელი გარემოებანი. კანონით, თავმჯდომარეს შეუძლია გამოაქვეყნოს ბრალდებულის მიერ წინასწარ გამოძიების დროს მიცემული ჩვენება, თუ მიუღებლად ჩათვლის სასამართლოში ბრალდებულის განმარტებებს. ბრალდებულის შემდეგ დაკითხვებიან: სამოქალაქო მოპასუხე, სამოქალაქო მამძიმებელი, დაზარალებული, მოწმეები (ბრალდებისა და დაცვის მოწმეები თავმჯდომარის შეხედულებისამებრ თანმიმდევრობით); სსსკ 457-ე მუხლის თანახმად, დასაშვებია დამატებითი მოწმეების გამოძახება (მხარეთა შუამდგომლობითაც). საქმის სასამართლო განხილვის შემდგომ სტადიაზე — ე. წ. მხარეთა კამათი იწყება სამოქალაქო მოსარჩლის მიერ სარჩელის დასაბუთებით. მერე პროკურორი თავის სიტყვაში აანალიზებს საქმის შინაარსს. იგი კატეგორიულ დასკვნებს აკეთებს როგორც სასჯელის სახეზე, ისე მის ზომასზე. პროკურორის შემდეგ, თანმიმდევრულად გამოდიან სამოქალაქო მოპასუხისა და ბრალდებ-

ბულის დამცველები, როგორც მიღებულია, მათ შეუძლიათ მოითხო-
ვონ ზოგადად — თავიანთი მარწმუნებლების სასიკეთო გადაწყვეტი-
ლების გამოტანა. კანონი მხარეებს ანიჭებს რეპლიკის უფლებასაც
(სსსკ 168-ე მუხლი დამცველსა და მის მარწმუნებელს — ბრალდებ-
ულს ე. წ. „დამავგირგვინებელ“ გამოსვლის უფლებას აძლევს).

განაჩენის დადგენა ხდება სათათბირო ოთახში, როგორც კი და-
მთავრდება სასამართლო კამათი. კანონის შესაბამისად, განაჩენის
გამოტანასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს წევრებს სასამართლოს
მთელი შემადგენლობა (დაწყებული დაბალი ჩინით, თანაბარი ჩინე-
ბის შემთხვევაში — პირველად ხმას აძლევს წლოვანებით უმცროსი,
ბოლოს თავმჯდომარე აძლევს ხმას). კანონით, ხმების გაყოფის შე-
მთხვევაში გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნას ბრალდებულის
სასარგებლოდ. კანონითვეა დადგენილი, რომ პირველად, სვეულე-
ბრივად ცხადდება თავმჯდომარის ხელმოწერით განაჩენის სარეზო-
ლუციო ნაწილი, ხოლო შემდეგ (ხუთი დღის განმავლობაში) უნდა
შეგდგეს აუცილებლად ყოველმხრივ დასაბუთებული განაჩენი, რო-
მელსაც ხელს მოაწერს სახალხო მოსამართლეთა ვარდა ყველა მოსა-
მართლე. იტალიაში ცალკე ყურადღებას იპყრობს სასამართლო
განხილვის გარეშე საქმის წარმოება, უშუალო სასამართლო განხილ-
ვა და დაუყოვნებლივ სასამართლო განხილვა; ყოველივე ეს კანონ-
მდებარეობაში განსაკუთრებული წარმოების სახელწოდებით არ
განხილვა სასამართლო განხილვის გარეშე წარმოება არ შეიძლება
სადაც პროცესულ დამნაშავეთა დანაშაულის, ან სხვა ყველა
საქმეზე, როდესაც დამნაშავეებს მოეწივთ სასჯელი — თავსავე უ-
ბრუნებენ ან სასამართლო განხილვის გარეშე წარმოების სახელ-
წოდებით, სამოქალაქო მართლის, მონასუხის მიღმა, რომლებ-
საც შეუძლიათ ჰყავდეთ დამცველები. საქმის გადაწყვეტა კი ხდება
დამამტკიცებელი საბუთების სასამართლო გამოკვლევის გარეშე.
კერძოდ, უშუალოდ თვითონ არის უფლებამოსილი დაკითხოს ბრალ-
დებელი, დანიშნოს ექსპერტება... პრეტორი ადგენს განაჩენის
გარეშე უფლადი გადასახადის დაკისრების შესახებ, რაც ვადა-
ხდება ბრალდებულს, ოღონდ კანონში დათქმულია, სამოქალაქო სარ-
ჩელი უნდა გადაწყდეს მხოლოდ სამოქალაქო წესით, აქვე აღსანიშ-
ნავია, რომ იგივე პრეტორი (რომელმაც გამართლებული წესით გან-
საჯა) საქმეს განიხილავს უკვე პირველი ინსტანციისეულად და მას
შეუძლია გამოიყენოს სასჯელის უფრო მძიმე ზომა, როდესაც გასა-
ჩივრდება სასამართლო განხილვის გარეშე წარმოებისას გამოტანილი
განაჩენა ჯარიმის დაკისრების შესახებ (რისთვისაც დაწესებულია

ხუთი დღის ვადა). პრეტორიაში საქმის უშუალოდ განხილვისას, კანონის თანახმად, პრეტორი პირველად დაჰკითხავს წარმოდგენილ პატიმარს; საქმის მასალების შესწავლის დროს ზოგჯერ საჭირო ხდება ფორმალური გამოძიების ჩატარება, რაც მიენდობა ხოლმე საგამოძიებო მოსამართლეს. პროკურორმა უნდა იზრუნოს, რომ ბრალდებულს ჰყავდეს დამცველი საქმის უშუალოდ განხილვისას. საქმის უშუალო განხილვა ხდება შემდეგ შემთხვევებში: როდესაც რესპუბლიკური პროკურორი საჭიროდ არ მიიჩნევს წინასწარი გამოძიების ჩატარებას, პოლიციის მიერ გადაუდებელი მოქმედებების შესრულების (დათვლიერება, ბრალდებულის დაკითხვა...) შემდეგ დაკავებული იგზავნება უშუალოდ სასამართლოში საქმის განხილვა რომ შედგეს; როდესაც დაპატიმრებული დანაშაულს ჩაიდენს საპატიმროში, ან სასამართლოს დარბაზში (ბრალდებული და მხარეები მტკიცებულებებს უდგენენ უშუალოდ სასამართლოს ზეპირად განსახილველად). რესპუბლიკური პროკურორი, კანონის თანახმად, რთულ საქმეებს უგზავნის საგამოძიებო მოსამართლეს ფორმალური გამოძიებისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ტრიბუნალის ქვემდებარეა და თანაც უშუალოდ უნდა მოხდეს მისი განხილვა, პროკურორი ასეთ საქმეს უგზავნის ტრიბუნალს დაპატიმრებულის დაკითხვის შემდეგ. ეს პროცედურა კანონით გათანაბრებულია სისხლის სამართლის დევნის აღძვრასთან. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქვემდებარე დანაშაულობათა შესახებ საქმეები შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს უშუალოდ სასამართლო განხილვის წესით იმ დროს, როდესაც მიმდინარეობს ნაფიც მსაჯულთა სესია... დაბოლოს, ე. წ. დაუყოვნებლივ სასამართლო განხილვა შეეხება სასამართლო სხდომაზე ჩადენილ დანაშაულს (კასაციურის გარდა). ამასთან, წესით, საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოახდინოს დაუყოვნებლივ სასამართლო განხილვა, როდესაც დანაშაული ითვალისწინებს ხუთ წლამდე სასჯელს, თანაც სასამართლო სხდომაზე მონაწილე პროკურორის თანხმობით. დაუყოვნებლივ სასამართლო განხილვა შეიძლება მოხდეს მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის თაობაზე (როდესაც იგი მეორედ გააფრთხილეს, რომ არ ეცრუა). კანონით, სასამართლო უფლებამოსილია გადადოს ძირითადი საქმის განხილვა და შეუდგეს დაუყოვნებლივ სასამართლო წარმოების წესით საქმის განხილვას. ამ შემთხვევაში ბრალდებულს გააცნობენ ძირითადი საქმის განხილვის დროს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ფორმულას,

აუცილებლად უზრუნველყოფენ დამცველის მონაწილეობას, ჩატარდება სასამართლო გამოძიება, მხარეთა კამათი და დადგინდება განაჩენი, რომლის გასაჩივრება ხდება საერთო წესით¹.

**6. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის
მთავრობის სახარტალი**

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კანონმდებლობით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1974 წლის 9 დეკემბრის კანონი — სისხლის სამართალწარმოების რეფორმის შესახებ) გათვალისწინებულია მოკვლევა, რომლის უზრუნველყოფა პროკურორის მიერ საფუძვლად ედება სისხლის სამართლის დევნის აღძვრას. პოლიცია სსსკ 161-ე მუხლის ძალით, ვალდებულია შეასრულოს პროკურორის ყველა დავალება მოკვლევასთან დაკავშირებით. 1974 წლის რეფორმამ პროკურორს ფართო უფლებები მიანიჭა ამ მხრივ (აქამდე წინასწარ გამოძიებას აწარმოებდა საგამოძიებო მოსამართლე). 1974 წლის რეფორმამდე მხოლოდ მოსამართლეს ჰქონდა უფლება ძალით მოეყვანა მოწმეები და ექსპერტები, თუ ისინი უარს განაცხადებდნენ გამოცხადებაზე. ამჟამად ამ ფუნქციას ასრულებს პროკურორიც. 1953 წელს ქ. ვისბადენში შეიქმნა (1951 წლის 8 მარტის კანონზე დაყრდნობით) სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალური სამმართველო, რომელიც, კანონის თანახმად, იძიებს სერიოზულ პოლიტიკურ საქმეებს ფედერალური გენერალური პროკურორის მითითებით. ფედერალური სამმართველო არა მარტო აწონასწორებს მიწების (მხარის) სისხლის სამართლის პოლიციათა საქმიანობას, არამედ ამოწმებს მიწების (მხარის) სამმართველოების პოლიტგანყოფილებებს. ფედერალური კანონმდებლობით, პოლიციას უფლება არა აქვს უსაფუძვლოდ აიძულოს ბრალდებული (ექვემიტანილი), მოწმეები, ექსპერტები გამოძახებაზე (ჩვენების მიცემაზე); თანაც, მომკვლევს არ შეუძლია წინასწარ დააპატიმროს პირი, ან იგი მოათავსოს სამკურნალო დაწესებულებაში, ჩამოართვას მას ავტომოტორტრანსპორტის მართვის უფლება; ეს უფლებები კანონით ენიჭება მხოლოდ მოსამართლეს. ე. წ. პროკურორის დამხმარე - მოსამსახურე პოლიციელები უფლებამოსილნი არიან პროკურორის სათანადო ნებართვის გარეშე ჩატარონ ამოღებაც, ჩხრეკაც და სამედიცინო გასინჯვაც (სისხლის აღება), რის უფლებაც არა აქვს სხვა სახის პოლიციას. მოკვლევაში ძირითადი როლი სისხლის სამართლის

¹ „Законодательство зарубежных стран“, вып. 133, 1977, с. 9—19.

პოლიციას მიუძღვის; ბავარიის მიწაზე (მხარეში) სისხლის სამართლის პოლიციის გარდა, ცნობილია: მიწის, ოპერატიული და სასაზღვრო პოლიცია, რომლებიც შედიან სახელმწიფო პოლიციაში; ცალკე არსებობს სათემო პოლიციაც. პოლიციას, კანონით, უფლება აქვს მოახდინოს ხმის ჩაწერა, ფოტოგრაფირება, აილოს ანაბეჭდების ასლები და სხვ. ამას გარდა, პოლიციელები აწარმოებენ ბრალდებულის, მოწმეების დაკითხვას, დაკავებას; სსკ 163-ე მუხლის შესაბამისად, პოლიცია, გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შემდეგ, საქმეს უგზავნის პროკურორს, ოღონდ მას შეუძლია კვლავ აწარმოოს ე. წ. „მეორე ეგზემპლარის“ სახით მოკვლევა, სისხლის სამართლის დევნის აღძვრისათვის საფუძვლის დადგენამდე¹. კანონით დაშვებულია მოკვლევაში მონაწილეობა მიიღოს საუბნო მოსამართლემაც, მიწის (მხარის) მაღალი სასამართლოს მოსამართლეებმაც, უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს მოსამართლეებმაც. (თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში). მოსამართლე-მომკვლევო ატარებს ყველა საპროცესო მოქმედებას („სასამართლო გამოძიების წესით“) პროკურორისა და პოლიციის თხოვნით. მოსამართლე — მომკვლევს შეუძლია დააჯარიმოს მოწმე, ექსპერტი, თუ ისინი უარს იტყვიან ფიცით ჩვენების მიცემაზე (შეუძლიათ დააპატიმრონ კიდევ მოწმე ექვს თვემდე პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვამდე). პროკურორს კანონით უფლება არა აქვს დაკითხოს ფიცის ქვეშ². მოსამართლე-მომკვლევის მიერ პროცესუალური მოქმედების ჩატარების მიზანია დამამტკიცებელი საბუთების მოპოვება და განმტკიცება, რასაც უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება. გენერალური ფედერალური პროკურორის მიერ წარმოებულ მოკვლევაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მოსამართლე-მომკვლევმა.³ სსკ 137-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულს უფლება ენიჭება ჰყავდეს დამცველი საქმის წარმოების ყველა ეტაპზე. კანონის თანახმად, დამცველის მონაწილეობა სავალდებულოდ ითვლება, როდესაც: 1. ბრალდებული იმყოფება სამ თვეზე მეტი ხნით წინასწარ პატიმრობაში (ან დახურულ სამკურნალო დაწესებულებაში); 2. ბრალდებულს აგზავნიან მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამოსარკვევად, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ზომის გამოყენების მიზნით; ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო ბრალდებულს არ შეუძლია თვითონ განახორციელოს დაცვის ფუნქცია; ჩადენილია მძიმე დანაშაული და იქმნება სიმძნ-

1 • • • • • ლ უ ხ ე ნ ს კ • • • • • დასახ. ნაშრომი. 1977, გვ. 35.

2 • ქ ე მ, 23- 37.

3 • ქ ე მ, 23- 36.

ლევები ფაქტიური და სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში¹. კანონით, დამცველს შეუძლია გაეცნოს იმ მოქმედებათა ოქმებს, რომელთა წარმოების დროს უფლება ჰქონდა მიეღო მონაწილეობა. იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას პოლიციაში ბრალდებულის დაკითხვისას, მაგრამ მისი დასწრებით ხდება მოსამართლის მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მოწმეების, ექსპერტების დაკითხვები. კანონითვე დაშვებულია დამცველის მიერ საქმის მასალების მთლიანი გაცნობა მოკვლევის დამთავრებისთანავე². ბრალდებულს დაკითხვამდე აცნობენ თავის უფლებებს (ჰყავდეს დამცველი, გამოიყენოს მტკიცებულებანი...), თუმცა პოლიცია არ არის ვალდებული გააცნოს მას იურიდიული კვალიფიკაცია. კანონის თანახმად, დაკავებული ბრალდებული მოსამართლის მიერ იკითხება მეორე დღესვე. ამასთან, ბრალდებულს შეუძლია დაესწროს მოსამართლე-მოძველების მიერ ჩატარებულ დათვალიერებას, მოწმეთა დაკითხვებს, ექსპერტიზას. ამას გარდა, შეუძლია იუოლიოს თავისი ექსპერტიც, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა მოქმედების ჩატარებაში (დათვალიერება...), ეს უფლება არა აქვს ბრალდებულს, როდესაც პროკურორი და პოლიციელი აწარმოებენ საგამოძიებო მოქმედებებს³.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოწმეს შეუძლია უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, როდესაც მისი ჩვენება თვითონ მას შეუქმნის საფრთხეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მხრივ (სსსკ 55-ე მუხლი). როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სასამართლო სისტემის პირველი საფეხურია საუბნო სასამართლო. არის აგრეთვე ე. წ. მიწის (სამხარეო) სასამართლო, მიწის (სამხარეო) მაღალი სასამართლო და უმაღლესი ფედერაციული სასამართლო. კანონით, საუბნო სასამართლო შედგება საუბნო მოსამართლისა და შეფენებისაგან (ადგილობრივი მოსამართლეებისაგან). საუბნო სასამართლოების რიცხვს 826-მდე ითვლიან. საუბნო სასამართლო (თაემჯდომარე და ორი შეფენი) იხილავს ისეთი დანაშაულის შესახებ საქმეებს, სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას რომ იმსახურებს. შეფენების სასამართლოდან შესაძლოა საქმეები გაიგზავნოს განსახილველად მიწის სასამართლოში (მაგალითად, პროკურორის შეხედულებისამებრ). საუბნო სასამართლო არ არის უფლება-მოსილი განიხილოს რეციდივისტთა ან იმ პიროვნების დანაშაულის გამო საქმე, რომლისთვისაც უშიშროების ზომა გამოიყენება. უბნის

¹ ო. ო. ლუბენსკი. დსახ. ნაშრომი, გვ. 112.

² ოქვე, გვ. 113.

³ ოქვე, გვ. 81.

მოსამართლისა და შეფენების ერთიან კოლეგიას შესაძლებელია ზემდგომ სასამართლოდან განსახილველად მიღებულ საქმეებზე ან პროკურორის მითითების საფუძველზე დაემატოს სასამართლოს სხდომის დროს კიდევ ერთი საუბნო მოსამართლე. უბნის სასამართლოში, კანონის შესაბამისად, ერთპიროვნულად იხილება ისეთ ქმედობათა შესახებ საქმეები, როგორცაა: გადაცდომები, კერძო ბრალდებით აღძრული ნაკლებად მძიმე დანაშაულობანი (როდესაც დანაშაული ითვალისწინებს ექვს თვემდე თავისუფლების აღკვეთას), პროკურორის მიერ აღძრული საქმეები, რომლებზედაც დამნაშავეებს შეიძლება შეეფარდოთ ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა¹. წესით, შეფენად შეიძლება არჩეულ იქნას თემში მცხოვრები (ერთი წლის განმავლობაში), 30 წელს მიღწეული, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების მქონე პიროვნება, რომელსაც შესწევს უნარი შეასრულოს სასამართლო ფუნქცია.

მიწის (სამხარეო) სასამართლო იხილავს ისეთ საქმეებს, რომლებიც არ ექვემდებარება საუბნო, ნაფიც მსაჯულთა და მიწის მალაღ სასამართლოებს. კანონის თანახმად, მიწის სასამართლო თავის წარმოებაში ღებულობს ზემდგომ სასამართლოს ან პროკურორის მიერ გადმოგზავნილ საქმეებსაც². მიწის სასამართლო (რომლის საერთო რიცხვს 92-მდე ითვლიან) შედგება თავმჯდომარის (პრეზიდენტი), დირექტორების (სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატების გამგებელნი) და წევრებისაგან. კანონის თანახმად, სისხლის სამართლის პალატა საქმეებს იხილავს სამი პროფესიული მოსამართლის და სამი შეფენის შემადგენლობით (პროფესიული მოსამართლეებიდან ერთ-ერთი თავმჯდომარეობს). კანონითვეა გათვალისწინებული მიწის სასამართლოსთან (ან სასამართლოებთან) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნა, რომლის ერთიანი კოლეგია მოქმედებს სამი პროფესიული მოსამართლისა და ექვსი ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხილავს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ პარაგრაფებში გათვალისწინებულ დანაშაულობებს: § 178 (სიკვდილით დამთავრებული გაუპატიურება და გარყვნილი მოქმედება); § 211 (განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობა); § 212 (განზრახი მკვლელობა); § 217 (ბავშვის მკვლელობა); § 221 (სიკვდილით დამთავრებული უმწეოდ მიტოვება); § 226 (სხეულის სასიკვდილო დაზიანება); § 229 (მოწამვლით დამღვარი სიკვდილი); § 239 (სიკვდილით დამთავ-

¹ „Законодательство зарубежных стран“, 1972, с. 11—12.

² იქვე, გვ. 15.

რებული თავისუფლების აყრა); § 251 (დამამძიმებელ გარემოებებში ყაჩაღობა); § 252 (გამოძალავე ძალადობით); § 307 (ცეცხლის წაქი-
დება განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში) და სხვ. ნატიც
მსაჯულთა სასამართლოს მთელი შემადგენლობა ერთდროულად და
ერთად წყვეტენ ბრალისა და სასჯელის საკითხებს¹. მიწის (სამხარეო)
მაღალი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, სენატების თავმჯდო-
მარებისა და მრჩეველებისაგან. კანონით, ყველა მიწაზე (მხარეში)
მოქმედებს ოთხამდე მიწის მაღალი სასამართლო. მიწის მაღალ სასა-
მართლოს მინიჭებული აქვს უფლება განიხილოს მნიშვნელოვანი
საქმეები. კერძოდ, 1969 წლის 8 სექტემბრის კანონის თანახმად, მან
უნდა განსაჯოს ის საქმეები, რომლებიც შეეხებიან სისხლის სამართ-
ლის კოდექსში გათვალისწინებულ ქმედობებს: § 80 (აგრესიული
ომის მომზადება); § 81—83 (სახელმწიფო ღალატი); § 94—100 (სახ.
საიდუმლოების გაცემა და საგარეო უშიშროების ხელყოფა); § 102
(უცხო სახელმწიფოთა მოღვაწეების სიცოცხლისა და ჯანმრთელო-
ბის ხელყოფა); § 220 (გენოციდი) და სხვა². მიწის მაღალი სასამართ-
ლოს სისხლის სამართლის სენატი საქმეს პირველი ინსტანციის ფორ-
მით განიხილავს ხუთი პროფესიული მოსამართლის (სასამართლოს
წევრები) შემადგენლობით. გერმანიის უმაღლესი ფედერაციული
სასამართლო, როგორც ცნობილია, 1969 წლიდან აღარც იხილავს
პირველი ინსტანციისეულად საქმეებს³.

საერთო წესით, საქმის სასამართლო განხილვის მოსამზადებელ
მოქმედებებზე ითვლება თავმჯდომარის მიერ: ქვემდებარეობის სა-
კითხის გადაწყვეტა; სხდომის დანიშვნა; ზომების მიღება, რათა ერთი
კვირით აღრე შეატყობინონ ბრალდებულსა და მის დამცველს სასა-
მართლოს სხდომის დღის შესახებ (გადაგზავნილ უნდა იქნას აგრე-
თვე უწყებები მოწმეების, ექსპერტების გამოსაძახებლად); საჭი-
როებისამებრ დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა და ე. წ.
„რწმუნებით დაკითხვის“ უზრუნველყოფა (რომელიმე მოსამართ-
ლეს, თუნდაც სხვა სასამართლოს წევრს ევალება დაკითხოს მოწმეები,
ექსპერტები, თუ ისინი საპატიო მიზეზით—ავადმყოფობა, მონუცე-
ბულობა...ვერ გამოცხადდებიან საქმის განხილვის დროს), კანონმდე-
ბლობითვე, შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში,
სამართალში მიცემულთ უფლება აქვთ თავიანთი ხარჯით სასამართ-
ლო აღმასრულებელს გამოაძახებინონ მოწმეები, ექსპერტები... საქ-
მის სასამართლოში განხილვისას (ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ იმაზე,

1 „Законодательство зарубежных стран“, 1972, с. 16.

2 საქვე, გვ. 17.

3 საქვე, გვ. 10.

რომ სასამართლოს თავმჯდომარე ხსნის სხდომას... იცავს წესრიგს, აცხადებს შესვენებას, იძლევა განკარგულებას ხელბორკილების გამოყენებაზე და სხვ.), საბრალდებო აქტის გამოქვეყნებას წინ უძღვის ე. წ. მოსამზადებელი ნაწილი (სასამართლოში გამოცხადებულთა შემოწმება და სხვ.). თვითონ საბრალდებო აქტის გამოქვეყნება კი იმით იპყრობს ყურადღებას, რომ მას ახდენს უშუალოდ პროკურორი. ეს წესი, ვფიქრობთ, პროცესუალური თვალსაზრისით უეჭველად ლოგიკურია, რაკი, პროკურორი ბრალდების წარმომადგენელია და მასზე სწორედ საბრალდებო აქტშია ლაპარაკი. შემთხვევითი არ არის, რომ პროკურორი ეხება ხოლმე თვით სასამართლოს ე. წ. შუალედურ გადაწყვეტილებასაც — პირის სამართალში მიცემის შესახებ და გამოთქვამს თავის აზრს ამ მიმართულებით. საბრალდებო აქტის გამოცხადების ეტაპისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ის, რომ სამართალში მიცემულთ მაშინვე აძლევენ წინადადებას — თქვან ბრალდების თაობაზე, რაც სურთ. ამავე დროს, ბრალდებულის დაკითხვაც ხდება, თუ მას არ ექნება საწინააღმდეგო. ამის გამო, ზოგიერთი ავტორი ბრალდებულის ჩვენებას ანსხვავებს სხვა სახის მტკიცებულებებისაგან, რაკი იგი მიიღება სასამართლო გამოძიების დაწყებამდე. როგორც ვხედავთ, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკის პროცესუალური სამართლის მიხედვით, მკაფიოდ ჩანს გამოძიების გარეშეც მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობა. სასამართლო განხილვის საპასუხისმგებლო ეტაპად ითვლება გამოძიება. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გავრცელებული აზრის მიხედვით, განსაკუთრებულ, მკაფიოდ განსაზღვრულ მტკიცებას ადგილი აქვს მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში; ე. ი. როდესაც დგინდება სამართალში მიცემულის ბრალეულობა და სასჯელი. განსაკუთრებულის საპირისპიროა ე. წ. თავისუფალი მტკიცება, წინასწარი გამოძიების დროს რომ გამოიყენება. თავისუფალი მტკიცების დროს პოლიციის, პროკურატურის მოქმედებანი არ მოითხოვენ მტკიცე ფორმების დაცვას (როგორც ამას ადგილი აქვს სასამართლოში უშუალოებისა და ზეპირობის პრინციპების საფუძველზე მოქმედებისას). წინასწარი გამოძიებით, სსსკ 160-ე მუხლის თანახმად, დგინდება საკმარისი ეჭვი საჯარო ბრალდების აღძვრისათვის და სპამისოდ კი მიმართავენ კრიმინალისტიკურ მეთოდებს (ე. ი. მეთოდებს, რომლებიც კანონით არ არიან განსაზღვრულნი). როგორც ცნობილია, თავისუფალი მტკიცება წინასწარი გამოძიების დროს შეეხება საქმის აღძვრას, ქვემდებარეობის განსაზღვრას, საჯარო

ბრალდების აღძვრას, მოსამართლეთა აცილებას, სამართალში მიცემას¹. კანონის თანახმად, საქმის სასამართლოში განხილვისას, სასამართლოს თავმჯდომარეზეა დამოკიდებული, რა წესით დაიკითხებიან მოწმეები, ექსპერტები (მათი ჩვენებების გამოკვეყნება და სხვ.). მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მოწმეებისა და ექსპერტების დაკითხვის დროს პროკურორი, სამართალში მიცემული და მისი დამკველი უშუალოდ აძლევენ კითხვებს დასაკითხად გამოძახებულ პირებს, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, პროკურორისა და დამკველის შუამდგომლობით, შესაძლებელია ჩატარდეს ჭვარდიანი დაკითხვა. კანონით, მოწმეს უფლება აქვს არ უპასუხოს კითხვაზე, როდესაც პასუხი თვითონ მას, ან ნათესავს გააზნელს დანაშაულში. უმაღლესი ფედერაციული სასამართლოს განმარტების მიხედვით, კანონი ერთნაირად აფასებს მოწმეების ჩვენებებს, რომლებიც უშუალოდ აღიქვამენ საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებს და იმ მოწმეების ჩვენებებსაც (საიღუმლო აგენტების სახით და სხვ.), სხვა წყაროების მეშვეობით რომ იქმნება². სსსკ 238-ე მუხლის თანახმად, რაკი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს გამოძიებას, ცხადია, სასამართლოს შემადგენლობაში მყოფ მოსამართლესაც და შეფენსაც შეუძლიათ კითხვები მისცენ მოწმეს (ექსპერტს) თავმჯდომარის ნებართვით. კანონითვეა დადგენილი, რომ პროკურორსა და დამკველს შეუძლიათ დაკითხონ მათ მიერ გამოძახებული მოწმეები (თუმცა, როგორც ცნობილია, კ. პეტერსის შენიშვნით, დამკველს ხშირად ეშინია დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის დროს მოსამართლეს „არ შეუღახოს ავტორიტეტი“ და ამით არ აზარალოს ბრალდებულის)³. კანონის შესაბამისად, დამამტკიცებელი საბუთების შენიშვნელობა აქვთ აგრეთვე პოლიციაში იმ პირთა დაკითხვების ოქმებს, რომლებიც ვერ გამოცხადდნენ სასამართლოში. სასამართლო სხდომაზე ექსპერტები იკითხებიან ისევე, როგორც მოწმეები. სასამართლო ირკვევს აგრეთვე სხვა დამამტკიცებელ საბუთებს (ნივთსაბუთებს და სხვ.). ყველა დამამტკიცებელი საბუთის გამოკვლევის შემდეგ კანონი ნებას აძლევს სამართალში მიცემულს მისცეს განმარტება. კანონით ცნობილია, რომ ბრალდებული შეიძლება დაისაჯოს იმ დანაშაულისათვის, რომლის შესახებაც პროკურორმა აღძრა დევნა. ამიტომ სასამართლოში სხდომის მიმდინარეობის დროსაც შეუძლია პროკურორის წარადგინოს დამატებითი საბრალდებო მით-

1 Б. А. Филимонов. Понятие и виды доказывания в уголовном процессе ФРГ. Вестник МГУ, Право. № 6. 1976, с. 41—48.

2 „Законодательство зарубежных стран“, вып. 133. 1977, с. 20—28.

3 ბ. ა. ფილიმონოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 41—48.

ხოვნები (სსსკ 264-ე მუხლი). მაგრამ, სამართალში მიცემულსაც შეუძლია მოითხოვოს გამამართლებელი საბუთები და უარყოს საბრალდებო აქტი, რის უფლებაც მას, „სისხლის საპროცესო სამართლის რეფორმის შესახებ“ 1974 წლის 9 დეკემბრის კანონით, მოკვლევის დამთავრებისთანავე აღარ აქვს. სასამართლო გამოძიების დროს არ შეიძლება სამართალში მიცემული ჯვარედინად დაიკითხოს. რაკი საქმის სასამართლოში განხილვისას პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა (დასაშვებია ჩამოდენიშეც), კანონი აუცილებლად მიიჩნევს აგრეთვე დამცველის მონაწილეობასაც, ოღონდ შემდეგ შემთხვევებში: თუ საქმე იხილება არსებითად მიწის (სამხარეო), ან მიწის (სამხარეო) მაღალ სასამართლოში; როდესაც ჩადენილია მძიმე დანაშაული; როდესაც შეიძლება გამოყენებულ იქნას იძულებითი მკურნალობა, ან სამართალში მიცემულს ჩამოერთვას პროფესიული საქმიანობის უფლება; თუ სამართალში მიცემული არის ყრუ-მუნჯი; როდესაც საქმე იხილება სასამართლოში სამართალში მიცემულის დაუსწრებლად. ამ შემთხვევების გარდა, სასამართლოს თავის შეხედულებითაც შეუძლია დაუნიშნოს სამართალში მიცემულს დამცველი. სასამართლო გამოძიების დროს დამცველი ისევე, როგორც პროკურორი, იძლევა დასკვნებს, შეუძლია განაცხადოს შუამდგომლობაც...

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროცესუალური სამართლის მიხედვით, მტკიცება განმარტებულია, როგორც „ფაქტების მართლობის (ან არამართლობის) დამაჩერებელი დასაბუთება“. ფაქტები კი საბოლოოდ მხოლოდ სასამართლოს მიერ დგინდება სამართლებრივი ფორმით. როგორც ცნობილია, ე. რუპის შეხედულებით, მტკიცება — ეს არის რწმენის ჩამოყალიბებისათვის გრძნობად აღქმათა ერთობლიობა. მტკიცებას, ფართო გაგებით, ყველა ოფიციალურ ორგანოთა მოქმედებებთანაც ათანაბრებენ, რაკი მათი საქმიანობა მიმართულია ქვეყნის მართლების ძიებისაკენ, რითაც სასამართლოს უადვილდება განაჩენის დადგენა. ამ შემთხვევაში, მტკიცების ვიწრო გაგებისათვის ადგილი რჩება საქმის სასამართლოში საბოლოოდ გადაწყვეტის მიმართულებით¹.

ცალკე ყურადღებას იპყრობს სასამართლო კამათი, რომელიც მოიცავს პროკურორის (დამატებითი ბრალმდებლის — დაზარალებულის), სამართალში მიცემულის და დამცველის სიტყვებს (მათ რეპლიკის უფლებაც აქვთ). კანონითვეა მიჩნეული სამართალში მი-

¹ ბ. ა. ფილიპოვის დასახ. ნაშრომი, 1976, გვ. 41—48.

ცემულის საბოლოო სიტყვა კამათის შემადგენელ ნაწილად¹. სასამართლო კამათის დამთავრების შემდეგ, სასამართლოს შემადგენლობა სათათბირო ოთახში ადგენს განაჩენს (თათბირის დროს დასაშვებია პრაქტიკანტების დასწრებაც). კანონით მტკიცედაა განსაზღვრული — თუ რომელ კითხვაზე რამდენი ხმის მიცემაა საჭირო. კერძოდ, ბრალეულობის, ამასთან, დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე, სასჯელზე, გამასწორებელ, გამაფრთხილებელ, დამატებით ზომებზე (უფლებების ჩამორთმევა) შესაძლებელია ორი მესამედი ხმებით; რაც შეეხება სხვა საკითხებს, კანონი მათ გადასაწყვეტად საკმარისად თვის ხმის უბრალო უმრავლესობას, დადგენილი წესის მიხედვით, ჭერ შეფენები (მსაჯულები — მოქალაქეები) და ნაფიცი მსაჯულები აძლევენ ხმას, მერე — პროფესიული მოსამართლეები და თავმჯდომარე. განაჩენის დადგენის შემდეგ დასაშვებია მისი საჩურო-ლუციო ნაწილის გამოცხადება ზეპირი არგუმენტაციით (4 დღის განმავლობაში სხდომის დასურვიდან). სსკ 275-ე მუხლის თანახმად, მთლიანი განაჩენის შედგენისათვის დადგენილია შვიდი დღე (მისი გამოცხადების დღიდან), ოღონდ, კანონი სასამართლოს უფლებას ანიჭებს არ გამოაქვეყნოს განაჩენის დამასაბუთებელი ცნობები, თუ ისინი საფრთხეს შეუქმნიან საზოგადოებრივ უშიშროებას, ან მორალური პრინციპების დაცვას, სახელმწიფო, საწარმოო ან კომერციული საიდუმლოების დაცვას².

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცნობილია საქმის სასამართლო განხილვის ე. წ. განსაკუთრებული („суммарное“) გამარტივებული წარმოებაც, რომლის ერთ-ერთ სახეს დაჩქარებული წარმოება ეწოდება. კანონის თანახმად, პროკურორის შუამდგომლობით მარტივი საქმე შეიძლება განიხილოს საუბნო მოსამართლემ, ან შეფენების სასამართლომ მოკლევის შემდეგ შუალედური წარმოების — სამართალში მიცემის გარეშე. მაგრამ არის აგრეთვე სასამართლო წარმოება სასამართლო ბრძანებისა და სასამართლო განკარგულების ფორმებით, როდესაც არ ხდება საქმის სასამართლო განხილვა. სასამართლო ბრძანების წესით საქმის წარმოება, კანონის შესაბამისად, შემდეგში მდგომარეობს: მხოლოდ პროკურორს შეუძლია გაგზავნოს მარტივ დანაშაულზე საუბნო მოსამართლესთან ბრძანების გასაცემად, თანაც კონკრეტულად უნდა მიუთითოს სასჯელის სახესა და ზომაზე (ავტორტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა ერთ წლამდე, სამ თვემდე თავისუფლების აღკვეთა, ფულადი

¹ „Законодательство зарубежных стран“, вып. 133. 1977, с. 20—28.
² იქვე, გვ. 20—28.

ჯარიმა...)). მოსამართლე სასამართლო ბრძანების გაცემის შემთხვევაში მტკიცედ ასრულებს პროკურორის მოთხოვნას; მაგრამ მას შეუძლია არ დაეთანხმოს პროკურორს და საქმე დანიშნოს განსახილველად მისი სირთულის მოტივით. სასამართლო ბრძანების გაცემისას, ცხადია, არ ესწრება ბრალდებულო. მას შეუძლია მხოლოდ გაასაჩივროს უკვე გაცემული ბრძანება (7. დღის ვადაში), რაც ასევე იწვევს საქმის განსახილველად დანიშვნას. სასამართლო ბრძანების დაკანონება როდი ნიშნავს იმას, რომ ამავე საქმეზე გამოირიცხოს სისხლის სამართლის დევნის აღძვრა. პირიქით, სხვა მუხლითაც შეიძლება აღიძვრას სისხლის სამართლის დევნა და დამნაშავე მკაცრად დაისაჯოს. სხვათა შორის, სასამართლო ბრძანებით გათვალისწინებულ ზომაზე უფრო მკაცრად შეიძლება დაისაჯოს დამნაშავე მაშინაც, როდესაც ეს ბრძანება გაპროტესტდება ბრალდებულის მიერ, რასაც ხსნიან იმით, რომ მოსამართლე ბრძანების გაცემის დროს ვერ ირკვევს საქმის ყველა გარემოებას სრულად. კანონმდებლობით ცნობილია აგრეთვე, ე. წ. სასამართლო — განკარგულების წესით წარმოება, რაც მდგომარეობს შემდეგში: ამ შემთხვევაში უკვე მხოლოდ პოლიციელი უფზავნის მოკვლევის მასალებს საუბნო მოსამართლეს; ბრალდებულო არც განკარგულების გაცემისას გამოიძახება. მას უფლება აქვს გააპროტესტოს განკარგულება, რასაც მოპყვება. საქმის სასამართლო განხილვა. კანონის თანახმად, მოსამართლეს პოლიციელისაგან მოკვლევის მასალების მიღების შემდეგ შეუძლია: გასცეს სასამართლო განკარგულება; აწარმოოს სასამართლო განხილვა; გაუფზავნოს საქმე პროკურორს; შეწყვიტოს საქმის წარმოება. განკარგულების გაცემის დროს მოსამართლე უფლებამოსილია აგრეთვე შესცვალოს პოლიციელის მიერ მითითებული კვალიფიკაცია და სასჯელი¹.

იპონიის ზაკონი სასამართლო

იპონიის კონსტიტუციის (1947) 76-ე მუხლის შესაბამისად მიღებულ სასამართლოების შესახებ კანონში (1947) ჩაწერილია: „მართლმსაჯულების განხორციელების უფლება აქვთ უმაღლეს სასამართლოს და დაბალი საფეხურის სასამართლოებს, რომლებიც შექმნილია კანონიერად“. კანონის თანახმად, ე. წ. პირველად სასამართლოებში (რომლებიც შექმნილია ქალაქებისა და სოფლების პრეფექტურის პუნქტებში), საქმეები იხილება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად, თანაც როდესაც დამნაშავეს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა, ან მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა იძულებითი სამუშაოებით

¹ „Законодательство зарубежных стран“ выд. 188. 1977 с. 20—28.

სამ წლამდე ისეთი ქმედობებისათვის, როგორცაა: აზარტული თამაში, ბინაში შექრა, ქურდობა, მითვისება და სხვ.

ტერიტორიული (რაიონული) სასამართლოები მოქმედებენ პრეფექტურალურ ცენტრებში, მძიმე დანაშაულის საქმეებზე კოლეგიალურადაც (სამი მოსამართლის შემადგენლობით), უფრო ხშირად კი — ერთპიროვნულად. ტერიტორიულ სასამართლებს განსახილველად ექვემდებარება ყველა საქმე, რომელიც არ უნდა გაარჩიოს მაღალმა სასამართლომ. მძიმე დანაშაულისათვის დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს სიკვდილი, უვადო პატიმრობა. ცნობილია, რომ როგორც პირველადი, ისე ტერიტორიული სასამართლოები მოქმედებენ მხოლოდ პირველი ინსტანციის ფორმით¹. რაც შეეხება მაღალ სასამართლოს, იგი მოქმედებს აგრეთვე როგორც მეორე ინსტანციის სასამართლო. მაღალი, ანუ აპელაციური სასამართლოები მოქმედებენ მსხვილ ქალაქებში (აქვეა სააპელაციო სასამართლოებიც, იუსტიციის დეპარტამენტებიც, მაღალი პროკურატურებიც)². მაღალი სასამართლოები პირველი ინსტანციის ფორმით იხილავენ ე. წ. შინაგანი აჯანყების, აჯანყების მცდელობის საქმეებს ხუთი მოსამართლის შემადგენლობით; ხოლო, როგორც მეორე ინსტანციის სასამართლოები — ისინი მოქმედებენ სამი მოსამართლის შემადგენლობით.³ იაპონიაში მოქმედებენ აგრეთვე საოჯახო სასამართლოები, რომლებიც, კანონის თანახმად, იხილავენ არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევისა და თამბაქოს მოწევის აკრძალვის თაობაზე საქმეებს. სასამართლო სისტემის უმაღლესი ორგანოა — უმაღლესი სასამართლო (საბოლოო ინსტანცია), რომელიც იმყოფება ქალაქ ტოკიოში. უმაღლესი სასამართლო პირველ ინსტანციისეულად საქმეებს არ იხილავს⁴. დაბალი სასამართლოების ე. წ. „მოსამართლეთა ჩინები“ ინიშნებიან მინისტრთა კაბინეტის მიერ უმაღლეს სასამართლოს სიის მიხედვით ათი წლით (კანონით დასაშვებია განმეორებითი დანიშვნაც გარკვეულ ასაკამდე)⁵.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში საქმე არ იხილება საქვეყნოდ მხოლოდ ე. წ. „შეკვეცილი პროცედურით“. „შეკვეცილი პროცედურით“ საქმის განხილვა ხდება პროკურორის მოთხოვნით. სასამართ-

1 „Законодательство зарубежных стран“, 1972, с. 39—42.

2 ი ქ ე ე, გვ. 40—41.

3 ი ქ ე ე, გვ. 42—43.

4 ი ქ ე ე, გვ. 42.

5 კანონი იცნობს შემდეგ წოდებებს: მაღალი სასამართლოს თავ-რე, მოსამართლე, უმაღლესი მოსამართლე, პირველადი სასამართლოს მოსამართლე, პირველად და ტერიტორიულ სასამართლებში თავმჯდომარეები არ ინიშნებიან (გვ. 43—44).

ლოს შეუძლია სასამართლო ბრძანების გაცემით („შეკვეცილი განკარგულება“) დააკისროს ეპქმიტანილს 200 ათას იენამდე. სისხლის სამართლის პროცესუალური წესების 461გ-ე მუხლის მიხედვით, „შეკვეცილი პროცედურა“ გამოიყენება მხოლოდ ეპქმიტანილის თანხმობით. კანონით (მუხლი 465-ე) გამოქვეყნებული „შეკვეცილი განკარგულება“ (14 დღეში) ხელს არ უშლის მეორედ საქმის დიასხდიმაზე განხილვის მოთხოვნას. კანონის შესაბამისად, საქმის სასამართლოში საქვეყნოდ განხილვისათვის ცნობილია გარკვეული ეტაპები (ფაზები), რომელთა მნიშვნელობას პირდაპირ აკავშირებენ მართლმსაჯულების უზრუნველყოფასთან. ასეთი ეტაპებიდან უპირველესად აღსანიშნავია საქმის მომზადება. კანონით, სამართალში მიცემულს აუცილებლად უნდა გაეგზავნოს საბრალდებო აქტის ასლი. სისხლის სამართლის პროცესუალური წესდების 271-ე მუხლის მიხედვით, ბრალდება გაქარწყლდება, როდესაც ორი თვის განმავლობაში ვერ გაეგზავნება საბრალდებო აქტის ასლი სამართალში მიცემულს. მომზადება გულისხმობს აგრეთვე სამართალში მიცემულისათვის უფლებების განმარტებას (შეუძლია ჰყავდეს დამცველი, მოითხოვოს მისი დანიშვნა...). სისხლის სამართლის პროცესუალური წესების 272-ე მუხლი სასამართლოს ავალებს საქმის სასამართლოში აღძვრისთანავე აცნობოს სამართალში მიცემულს, რომ შეუძლია ჰყავდეს დამცველი ან მოითხოვოს მისი დანიშვნა. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ, იაპონიის კანონმდებლობით, დაკავებული პირის დაპატიმრებისათვის ორდერი შეიძლება გაიცეს მხოლოდ ბრალდებულის ახსნა-განმარტების მიცემის შემდეგ სასამართლო ხელისუფლების მიერ. საქმის განხილვის მომზადების თვალსაზრისით სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა დანიშნოს საქმის საქვეყნოდ მოსმენის დღე, აცნობოს ამის შესახებ როგორც ბრალდებულს, ისე პროკურორს, დამცველს („ხოსანიინი“ — „თანაშემწე“, მარწმუნებელი, ანუ კანონიერი წარმომადგენელი შეიძლება იყოს მეურვეც, დაც, ძმაც, მეუღლეც). სისხლის სამართლის საპროცესო წესების 178გ-ე — 178იგ-ე მუხლების მოთხოვნის შესაბამისად, პროკურორი, დამცველი საქმის საქვეყნოდ განხილვამდე კრებენ საჭირო მტკიცებულებებს. სასამართლოზე არასასურველი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად, დაუშვებელია მოსამზადებელ (წინასწარ) სხდომაზე დაკითხვების წარმოება. საპროცესო წესების 289-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს სხდომა არ გაიხსნება დამცველის დასწრების გარეშე, როდესაც იხილება ისეთი დანაშაულის შესახებ საქმე, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს ან დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს უვადო, სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ციხეში დაპატიმრება, ან იძულებ-

ბითი ფიზიკური შრომა. 290-ე მუხლი კი ავალებს სასამართლოს დაუნიშნოს დამცველი სამართალში მიცემულ არასრულწლოვანებს, კუთასუსტებს, ყრუ-მუნჯებს, მოხუცებს და სხვა აუცილებელ შემთხვევაშიც, როდესაც დამცველი არ გამოცხადდება სხდომაზე. სასამართლოს სხდომა არ გაიხსნება აგრეთვე ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში (მუხლი 286-ე). საპროცესო წესების 204-ე მუხლი არ მიიჩნევს სავალდებულოდ ბრალდებულის გამოცხადებას, როდესაც კმედობა სასჯელის სახით ითვალისწინებს სუთი ათას იენამდე ჯარიმას. ანალოგიური წესია შემოღებული იურიდიული პირის შერაცხვის თაობაზე (283-ე მუხლი). კანონში (მუხლი 282-ე) სპეციალურად არის ხაზგასმული, რომ სასამართლოს სხდომაზე იმყოფებოდნენ: პროკურორი, „სასამართლოს ჩინი“ და მდივანი. კანონითვეა რეგლამენტირებული სასამართლო კოლეგიის ერთსულოვანი ხელმძღვანელობა. კერძოდ, იგი განსაზღვრავს არამართო სასამართლო განხილვის ფარგლებს (შეცვლას), არამედ იძლევა თანხმობას — საბრალდებო აქტის შეცვლაზე, საქმის განახლება-გამოყოფა-შეერთებაზე... მტკიცებულებათა გამორკვევის თანმიმდევრობაზე (ამ უკანასკნელზე უთანხმოებას კანონი დაუშვებლად მიიჩნევს) და სხვა. საქმის სასამართლო განხილვა, საპროცესო წესების 169-ე, 182-ე მუხლების ძალით, ემყარება ე. წ. უწყვეტობის პრინციპს. სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას (ე. ი. პოლიტიურ უფლებებს) ახორციელებს სასამართლოს თავმჯდომარე. საქვეყნოდ საქმის მოსმენის ფაზეზიდან (მოწმადების შემდეგ) კანონით ცნობილია აგრეთვე ე. წ. „შესავალი პროცედურა“. იგი შემდეგში მდგომარეობს: სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე გამოკითხავს სამართალში მიცემულს, პროკურორი აქვეყნებს საბრალდებო აქტს, ამის შემდეგ სასამართლო წყვეტს უცვლელად დატოვოს საბრალდებო აქტი, თუ შეცვალოს მისი საფუძველები (შეიძლება დაემატოს კიდევ), შეცვალოს კვალიფიკაცია. საპროცესო წესების 312-ე მუხლის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის საქვეყნოდ მოსმენას ბრალდებულის (დამცველის) თხოვნის საფუძველზე, რომ დაცვისათვის მოეზადნენ, როდესაც შეიცვლება, მოიხსნება ან დაემატება საბრალდებო აქტს საფუძველი. კანონი მოითხოვს, განემარტოს სამართალში მიცემულს, რომ მას შეუძლია არ მისცეს ჩვენება (ნაწილობრივაც) და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა სიტყვა სამართალში მიცემულს (დამცველსაც) წაყენებული ბრალდების ირგვლივ. 1953 წლის № 172-ე კანონით შემოღებული „საქვეყნოდ მოსმენის გამარტივებული პროცედურა“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალში მიცემული სცნობს თავს დამნაშავედ (და სასამართლო მოისმენს ამის შესახებ

პროკურორის, სამართალში მიცემულისა და დამცველის აზრს). იაპონიის კანონმდებლობით, „გამარტივებული პროცედურა“ შეეხება სახელდობრ მტკიცებულებების გამორკვევის გამარტივებას (ალარხდება მათი გამორკვევის თანმიმდევრობის დაცვა, კარგავს მნიშვნელობას წესი — სხვისი მონასმენის მტკიცებულებად გამოყენების უვარგისობის შესახებ და სხვა). მაშასადამე, როგორც ჩანს, „შესავალი პროცედურის“ დროს გამარტივებულ პროცედურაზე გადასვლა არ გულისხმობს განაჩენის მაშინვე დადგენას. მაგრამ გამარტივებულ პროცედურას კანონი კრძალავს იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავეს ჩადენილი დანაშაულისათვის შეიძლება მიესაჯოს სიკვდილი, ციხეში დაპატიმრება (ერთ წელზე ზევით), ან თავისუფლების აღკვეთა იძულებითი ფიზიკური შრომით. საქვეყნოდ საქმის მოსმენის მნიშვნელოვან ფაზად მიჩნეულია მტკიცებულებათა გამოკვლევა, რაც, საპროცესო წესების 296-ე მუხლის თანახმად, იწყება პროკურორის შესავალი სიტყვით (ბრალდების არგუმენტებზე). მტკიცებულებათა გამორკვევა, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ ეტაპებს: კანონის შესაბამისად (298-ე), მხარეთა შუამდგომლობის განილვა მტკიცებულებათა გამოკვლევაზე; მტკიცებულებად დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება (190-ე მუხ.) და მტკიცებულებათა გამოკვლევის უზრუნველყოფა. მტკიცებულებათა გამოკვლევა ხორციელდება თავმჯდომარის (შემდეგ წევრების) მიერ ბრალდებულის, მოწმეების, ექსპერტების დაკითხვით; თავმჯდომარის ნებართვით, პროკურორის, ბრალდებულის, დამცველის მიერ დაკითხვით; საპროცესო წესების 304-ე მუხლის თანახმად, მოწმეების დაკითხვას იწყებს პროკურორი ან დამცველი, როდესაც ისინი გამოძახებულნი არიან მათი ინიციატივით. მტკიცებულებათა გამოკვლევა ხორციელდება აგრეთვე წერილობითი საბუთების გამოქვეყნებით, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დათვალიერებით, ექსპერტების დაკითხვით (როგორც მოწმეების)... მტკიცებულებათა გამოკვლევას მოსდევს ე. წ. დასკვნითი კამათი. საპროცესო წესების მიხედვით (მუხლი 293-ე), პროკურორი იწყებს კამათს, დასკვნითს სიტყვაში აყალიბებს, თუ რა ფაქტებზეა დაფუძნებული ბრალდება, რომელი მუხლით რა სასჯელი უნდა შეეფარდოს დამნაშავეს. იაპონიის უმაღლეს სასამართლოს 1954 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით, სასამართლო უფლებამოსილია დამნაშავეს შეუფარდოს იმაზე უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე პროკურორი მოითხოვს, რაკი პროკურორის აზრი არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის. პროკურორის შემდეგ დასკვნითი სიტყვით გამოდის დამცველი, რომელიც, თავის მხრივ, ანალიზებს მტკიცებულებებს, ეხება აგრეთვე, ბრალისა და სასჯელის საკით-

ხებს., კანონი (211-ე, 293₂-ე მუხ.) სამართალში მიცემულსაც აძლევს დასკვნითი სიტყვის უფლებას. დაბოლოს, საქვეყნოდ საქმის მოსმენის უკანასკნელი ფაზაა განაჩენის დადგენა. სასამართლოების შესახებ კანონის 77-ე მუხლის თანახმად, როგორც წესი, განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს ზეპირობისა და შეჭიბრებითობის პრინციპების დაცვით საქმის განხილვისას მოპოვებულ მონაცემებს. განაჩენი დადგინდება ხმის უმრავლესობით. გამამტყუნებელ განაჩენში, კანონის მიხედვით, სავალდებულოა დამამტყიცებელ საბუთებზე მითითება. განაჩენის გამოქვეყნების შემდეგ (რაც ხდება სხდომის დარბაზში) სასამართლოს აღარ შეუძლია შეცვალოს იგი, თუ, რასაკვირველია, შემდგომში ზედამხედველობის წესით არ მოხდება ცვლილებები!

სარჩევი

I. მტკიცებითი თეორია და მისი ადგილი ხაზართლის მეცნიერებათა სისტემაში	8
1. მტკიცებითი თუ მტკიცებულებითი სამართალი?	8
2. მტკიცებითი სამართალი და მტკიცებითი თეორია	4
3. მტკიცებითი სამართლის მეცნიერება და სხვა მონათესავე დარგები	9
II. მტკიცებითი თეორიის მეთოდოლოგიური ხაფუძელები	20
III. მტკიცების საგანი და ფარგლები	47
1. მტკიცების საგანი	47
2. მტკიცების ფარგლები	64
IV. დამამტკიცებელი საბუთების არსი	68
1. მტკიცებულების ცნების განსაზღვრა	68
2. დამამტკიცებელ საბუთთა წყაროების ცნება	87
V. დამამტკიცებელი საბუთების შესახებობითობა და დასაშვებობითობა	93
1. დამამტკიცებელი საბუთების შესახებობითობა	93
2. დამამტკიცებელი საბუთების დასაშვებობითობა	100
VI. დამამტკიცებელი საბუთების კლასიფიკაცია	108
VII. მტკიცების პროცესი	186
1. ზოგადი საკითხები	136
2. მტკიცების პროცესის ეტაპები	157
VIII. მტკიცების სუბიექტები	198
1. მტკიცების სუბიექტებისა და მოვალეობის ცნება	193
2. გამოძიებელი (მომკვლელი), როგორც მტკიცების სუბიექტი	198
3. პროკურორი, როგორც მტკიცების სუბიექტი	202
4. ეპქვიტანისი, ეპქვდებული და ბრალდებული, როგორც მტკიცების სუბიექტები	209
5. დამცველი, როგორც მტკიცების სუბიექტი	212
6. დაზარალებული, როგორც მტკიცების სუბიექტი	219
7. სამოქალაქო მძიებელი და სამოქალაქო მოპასუხე, როგორც მტკიცების სუბიექტები	222
8. საზოგადოებრივი ბრალმდებელი და საზოგადოებრივი დამცველი, როგორც მტკიცების სუბიექტები	224
9. სასამართლოს პროცესუალური საქმიანობა	225
IX. დამამტკიცებელი საბუთების ცალკეული ხსენებები	228
1. მოწმის ჩვენება	228
2. დაზარალებულის ჩვენება	249
3. ეპქვიტანისის ჩვენება	251
4. ბრალდებულის ჩვენება	253
5. ექსპერტის დასკვნა	261

6. ნივთიერი მტკიცებულებანი	271
7. დოკუმენტი, როგორც წერილობითი მტკიცებულება	284
X. მტკიცებულებანი სახელის სამართლის პროცესის ტაძიების მიხედვით და ზოგიერთი წინადადებანი.	287
XI. საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების მტკიცებითი სამართალი	218
XII. ბურჟუაზიული ქვეყნების მტკიცებითი სამართალი	292
1. შესავალი	322
2. ინგლისის მტკიცებითი სამართალი	324
3. ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცებითი სამართალი	337
4. საფრანგეთის მტკიცებითი სამართალი	344
5. იტალიის მტკიცებითი სამართალი	354
6. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მტკიცებითი სამართალი	363
7. იაპონიის მტკიცებითი სამართალი	372

Харაშავილი ბეჟან ვისარიონოვიჩ

ДОКАЗАТЕЛЬНОЕ ПРАВО

[**на грузинском языке**]

**Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1982**

გამომცემლობის რედაქტორი ნ. იორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ა. ოშიაძე
კორექტორი გ. წერეთელი

სბ 507

გადაეცა წარმოებას 20.11.81. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.08.82.

უე 05685. საბეჭდი ქაღალდი 60×90 1/16. პირობითი ნაბეჭდი

თაბახი 23,75. საღრ.-საგამომც. თაბახი 21,53.

ტირაჟი 4000 შეკვეთის № 804

ფ ა ს ი 2 შ ა ნ. 40 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, თ. ჯავახიძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

სტამბა „ლენინსკოე ზნამო“, ქ. თბილისი, ძნელაძის ქ. № 27.

Типография издательства газ. „Ленинское знамя“.

г. Тбилиси, Дзneladze № 27.